საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის
სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის

შ რ ო მ ე ბ ი

ტ. XIV

85
1956 წ.
VIII

ქუთაისი 1955



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტი

აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

შ რ ო მ ე ბ ი

Ч 84

ტ. XIV



ქუთაისი 1955

ეროვნული სამეცნიერო
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს დადგენილებით

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
Кутаисский Государственный Педагогический Институт
им. А. Цулукидзе

Т Р У Д Ы

КУТАИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО ПЕДАГОГИЧЕСКОГО ИНСТИТУТА ИМЕНИ А. ЦУЛУКИДЗЕ

Т. XIV

КУТАИСИ 1955

Печатается по постановлению Ученого совета
Кутаисского Педагогического Института

ს ა რ ჩ ე ვ ი

გვერდი

1. ა. ე ბ რ ა ლ ი ძ ე. რუსეთის 1905—1907 წ. წ. რევოლუციის 50 წელი . . . . . 1—19
2. ი. მ ა ტ ა რ ა ძ ე. რუსეთის პირველი რევოლუციის გამოძახილი დასავლეთ ევროპაში . . . . . 21—35
3. გ. ს ა ნ ა ძ ე. საქართველოში სიმინდის წარმოების საკითხისათვის . . . . . 37—58
4. ბ. უ რ ი დ ი ა. სილოგისტური დასკვნის მესამე ფიგურის ზოგიერთი სადავო საკითხის შესახებ . 59—70
5. გ. ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი. ძველი თვისებრიობიდან ახალ თვისებრიობაში გადასვლის ფორმების შესახებ 71—88
6. ნ. მ ა ი ს ურ ა ძ ე. მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი . 89—101
7. მ. მ ა ხ ა თ ა ძ ე. ვახტანგის როლის განსაზღვრისათვის რუსთაველმცოდნეობის ერთი საკითხის გაშუქებაში . . . . . 103—136
8. ო. გ ი ო რ გ ა ძ ე. გრ. ორბელიანი და ქართული სალიტერატურო ენის საკითხები . . . . . 137—156
9. დ. ბ რ ე გ ა ძ ე. ქართველი პოეტები და მწერლები რუსეთში (XVIII ს.) . . . . . 157—181
10. ქ. კ ი ლ ა ს ო ნ ი ა. საზოგადოებრივ-ლიტერატურული ბრძოლის საკითხისათვის XIX საუკუნის 60-იან წლებში (ბრძოლა ა. ი. პოლეჟაევის შემოქმედების გარშემო) . . . . . 183—191
11. შ. ა ბ რ ა მ ი ძ ე. ვერნერ ზომბარტი შუა საუკუნეების ქალაქის წარმოშობის საკითხის შესახებ . 193—213
12. ლ. ს ა ნ ი კ ი ძ ე. პონტოს სამეფოს როლის შესახებ რომის საიმპერატორო ხელისუფლების ჩამოყალიბების საქმეში . . . . . 215—226
13. ა. გ ო გ უ ა ძ ე. ლიბერალურ ხალხოსანთა ქუთაისის ჯგუფი . . . . . 227—236

14. ლ. სვანაძე. საისტორიო წყაროები და ლიტერატურა ლეველერთა მოძრაობის შესახებ XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიულ რევოლუციაში . . . . . 237—258

15. ვ. სულავა. დიდსიმკვრივიან გაზებში რეზონანსული სპექტრული ხაზების სიგანეები . . . . 259—267

16. მ. გობეჯიშვილი. მექანიკის ზოგიერთი ცნებისა და კანონის მატერიალისტური გაგებისათვის . . . . . 269—283

17. ნ. გაბადაძე. სწორხაზოვანი კონგრუენციის კუმერის ტენზორის განსაზღვრა მისი განმსაზღვრელი ფუნქციის მიხედვით . . . . . 285—291

18. ლ. ჰელიძე. ტყიბულის რაიონის ბენტონიტური თიხები . . . . . 293—301

19. ი. საღინაძე. ქუთაისის მიდამოების კვარცის ქვიშები და ქვიშაქვები . . . . . 303—311

20. გ. დევდარიანი. ეპეიროგენეტური მოძრაობა და მისი როლი დასავლეთ საქართველოს დეპრესიის რელიეფის ჩამოყალიბებაში . . . . 313—332

21. ა. გოცირიძე. კუნთის პესიმალური და ოპტიმალური ეფექტების გამოკვლევა მისი მოქმედების სხვადასხვა პირობებში . . . . . 333—362

22. ნ. მანგალაძე. ცილოვანი ნივთიერების შემცველობა ბადრიჯნისა და წიწაკის ზოგიერთი საწარმოო ჯიშის ფოთლებსა და ნაყოფებში . . 363—373

23. თ. კოხოძე. მინდვრის თახვის არსებობის საკითხისათვის საქართველოში . . . . . 375—391

24. თ. ახვლედიანი. ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი 1945—1950 წ.წ. . . . . 393—478

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

25. დ. ბრეგაძე. საინტერესო გამოკვლევა . . . . 479—484

ОГЛАВЛЕНИЕ

стр.

1. А. Е. Эбралидзе. 50 лет первой буржуазно-демократической революции (1905—1907 г. г.) в России . . . . . 1—19
2. И. И. Матарадзе. Отклики первой русской революции в Западной Европе . . . . . 21—35
3. Г. С. Санадзе. К вопросу о производстве кукурузы в Грузии . . . . . 37—58
4. Б. И. Уридия. О некоторых спорных вопросах третьей фигуры силлогического умозаключения . . . . . 59—70
5. Г. И. Бериашвили. О формах перехода от старого качества к новому качеству . . . . . 71—88
6. Н. Л. Маисурадзе. Семья каллиграфов Габашвили . . . . . 89—101
7. М. С. Махатадзе. Относительно роли Вахтанга VI в освещении одного вопроса Руставеловедения . . . . . 103—136
8. О. Я. Гиоргадзе. Г. Орбелиани и вопросы грузинского литературного языка . . . . . 137—156
9. Д. Д. Брегадзе. Грузинские поэты и писатели в России (XVIII в.) . . . . . 157—181
10. К. А. Киласония. К вопросу об общественно-литературной борьбе 60-х годов XIX в. (Борьба вокруг творчества А. И. Полежаева) . . . . 183—191
11. Ш. В. Абрамидзе. Вернер Зомбарт к вопросу о возникновении средневекового города . . 193—213
12. Л. Д. Саникидзе. О роли Понтийского царства в создании римской императорской власти . 215—226
13. А. В. Гогуадзе. Группа кутаисских либералов-народников . . . . . 227—236

стр.

14. Л. Н. Сванадзе. Источники и литература о движении левеллеров в английской буржуазной революции XVII века . . . . . 237—258

15. В. А. Сулава. Резонансное уширение спектральных линий при больших плотностях газа . . 259—267

16. М. С. Гобеджишвили. К вопросу материалистического толкования некоторых понятий и законов механики . . . . . 269—283

17. Н. А. Габададзе. Определение тензора Куммера прямолинейной конгруэнции по ее определяемой функции . . . . . 285—291

18. Л. А. Челидзе. Бентонитовые глины ткибульского района . . . . . 293—301

19. И. А. Сагинадзе. Кварцевые пески и песчаники в окрестностях г. Кутаиси . . . . . 303—311

20. Г. С. Девдариани. Эпейрогенические движения и их значение в образовании рельефа западно-грузинской депрессии . . . . . 313—332

21. А. М. Гоциридзе. Исследование пессимального и оптимального эффектов мышцы при различных условиях её деятельности . . . . . 333—362

22. Н. Г. Мангаладзе. Содержание белковых веществ в некоторых сортах баклажана и перца 363—373

23. Т. В. Коходзе. К вопросу о существовании речного бобра в Грузии . . . . . 375—391

24. Т. И. Ахвледиани. Кутаисский Государственный Педагогический Институт им. Ал. Цулукидзе 1945—1950 г.г. . . . . 393—478

Критика и библиография

25. Д. Д. Брегадзе. Интересное исследование . 479—484

ა.ლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

ა. ეგრალიძე

რუსეთის 1905 — 1907 წ.წ. რევოლუციის 50 წელი

1905 — 1907 წ.წ. რევოლუცია რუსეთში იყო იმპერიალიზმის ეპოქის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია.

ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი მიუთითებდნენ იმ ღრმა განსხვავებაზე, რომელიც არსებობდა ადრეული და გვიანდელი პერიოდის ბურჟუაზიულ რევოლუციებს შორის. ამ განსხვავებას კი სხვადასხვა ისტორიული ეპოქები განაპირობებდა.

ბურჟუაზიული რევოლუციები ინგლისსა და საფრანგეთში მოხდა იმ პერიოდში, როცა გაბატონებული იყო წარმოების ფეოდალური წესი, როცა კაპიტალიზმი თავისი განვითარების მანუფაქტურულ საფეხურზე იმყოფებოდა. ბურჟუაზია, რომელიც იბრძოდა ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ ალმავალი, პროგრესული კლასი იყო.

პროლეტარიატი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა, არ არსებობდა, მას შეგნებული არ ჰქონდა თავისი კლასობრივი მიზნები და ამოცანები და ამიტომ ზოგჯერ ბურჟუაზიის დამხმარის როლში გამოდიოდა.

პირველი ფართო, მასობრივი, პოლიტიკურად ჩამოყალიბებული პროლეტარული რევოლუციური მოძრაობა, ჩარტიზმი, ინგლისმა მისცა მსოფლიოს.

ამ პერიოდში ინგლისის პროლეტარიატს ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჰქონდა თავისი კლასობრივი ინტერესები, იდეები და პრინციპები.

შემდგომში ინგლისის პროლეტარიატის რევოლუციურმა ბრძოლამ ტრედუნიონისტული ხასიათი მიიღო. მთავარი, რამაც განაპირობა ინგლისის პროლეტარიატის რევოლუციური მოძრაობის შესუსტება, ის იყო, რომ ინგლისის ბურჟუაზიამ შეძლო თავის

მონოპოლიურ მოგებათა შედეგად შეექმნა მუშათა კლასის გაბურჟუებული ზედაფენა — „მუშათა არისტოკრატია". ისე, რომ „მოწინავე კაპიტალისტური ქვეყანა რამდენიმე ათეული წლით ჩამორჩენილი აღმოჩნდა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის მხრივ" [1].

1848 წლიდან მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ავანგარდში საფრანგეთის პროლეტარიატი იდგა.

პარიზის მუშათა აჯანყება 1848 წლის ივნისში პირველი სერიოზული ბრძოლა იყო მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის. ამ ბრძოლაში პროლეტარიატს გააჩნდა თავისი პოლიტიკური მოთხოვნები, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ორგანიზებული არ იყო დამოუკიდებელი პოლიტიკური ბრძოლებისათვის. ბურჟუაზიასთან ბრძოლაში პროლეტარიატი მარტოდმარტო აღმოჩნდა, ამიტომ მან მარცხი განიცადა.

საფრანგეთის პროლეტარიატმა ბურჟუაზიის წინააღმდეგ გმირული ბრძოლის მაგალითი კიდევ უჩვენა მსოფლიოს 1871 წელს. როგორც ლენინი შენიშნავს, ამ ორი გმირული აჯანყებით საფრანგეთმა თითქოს ამოსწურა პროლეტარიატის ძალები და მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალში ჰეგემონია გადავიდა გერმანიის ხელში. გერმანია გახდა ევროპის მუშათა მოძრაობის საკვანძო პუნქტი.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, მარქსისა და ენგელსის ხელმძღვანელობით, დასაწყისი მისცა ფართო პროლეტარულ მოძრაობას ევროპაში. მაგრამ თანდათანობით გერმანიის მუშათა კლასის შიგნითაც გაჩნდა მუშათა არისტოკრატია, ხოლო სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით — სხვადასხვა ოპორტუნისტული ჯგუფები და მიმდინარეობანი.

გერმანიის ბურჟუაზიამ გამოიყენა ინგლისისა და საფრანგეთის ბურჟუაზიის გამოცდილება მუშათა კლასის ნაწილის შეგნების დამახინჯების საქმეში, ხოლო სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ვერ უზრუნველჰყო მუშათა კლასის ავანგარდული როლის დაცვა.

ენგელსის სიკვდილის შემდეგ დაჩქარდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გადაგვარების პროცესი.

მე-19 საუკუნის დასასრულს არსებული ობიექტური პირობები ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიდა მუშათა კლასის ბიუროკრატიული ფენის წარმოშობისათვის და სოციალ-დემოკრატიული პარტიების

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 338.

შიგნით იზიდავდა წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს, რაც განსაკუთრებით აძლიერებდა ოპორტუნიზმს. ოპორტუნიზმი გამოხატავს ბურჟუაზიულ პოლიტიკას მუშათა მოძრაობაში, მისი იდეურ-პოლიტიკური შინაარსია კლასთა თანამშრომლობის ქადაგება და ბრძოლის რევოლუციურ საშუალებებზე უარის თქმა.

სწორედ ოპორტუნიზმის გაძლიერებამ განაპირობა დასავლეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებში რევოლუციური მოძრაობის შესუსტება.

თუ 1848—1871 წლები, როგორც ლენინი შენიშნავს, ქარიშხალთა და რევოლუციების პერიოდის წლები იყო, პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ დადგა მშვიდობიანი პერიოდი.

ევროპაში დამთავრდა ბურჟუაზიული რევოლუციები და შემდგომში მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრი გახდა რუსეთი.

* * *

მე-19 საუკუნის დასასრულს მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემაში ძირეული ცვლილებები ხდება. დამთავრდა კაპიტალიზმის განვითარების მშვიდობიანი პერიოდი და იგი გადავიდა თავისი განვითარების მონოპოლისტურ სტადიაში — იმპერიალიზმში.

იმპერიალიზმის ეპოქაში კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი საერთო წინააღმდეგობანი უკიდურეს წერტილს აღწევენ. ისინი შინაგანად ღრღნიან კაპიტალისტურ სისტემას და აჩქარებენ მის ლპობასა და დაცემას. სწორედ ამიტომ უწოდა ლენინმა იმპერიალიზმს „მომაკვდავი კაპიტალიზმი“.

მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთი, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ყოფილა იმპერიალიზმის კლასიკური ქვეყანა, იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტს წარმოადგენდა.

მართალია, რუსეთი გვიან დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას, მაგრამ ეს გზა მან შედარებით მოკლე პერიოდში გაიარა.

ათი წლის მანძილზე — 1887-1897 წლებში — რუსეთში საწარმოთა რიცხვი 20.3%-ით გაიზარდა, მუშათა რიცხვი — 59,2%-ით, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ღირებულება — 112,8%-ით.

რუსეთში დაიწყო მრეწველობის რეორგანიზაცია — მსხვილი მონოპოლისტური კავშირების შექმნა. რუსეთის კაპიტალიზმი განვითარების მონოპოლისტურ, იმპერიალისტურ სტადიაში შევიდა. მონოპოლისტური კაპიტალიზმი აქ გადახლართული იყო ნახევრად-

ფეოდალურ ურთიერთობასთან, ბატონყმობის უძლიერეს გადმონაშთებთან ეკონომიკასა და პოლიტიკურ წყობილებაში, რაც თავისებურ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე.

ხელისუფლების სათავეში იდგა მსხვილ მემამულეთა კლასი, რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა ფინანსური კაპიტალის მაგნატებთან. რუსეთისათვის დამახასიათებელი იყო ჩამორჩენილი პოლიტიკური ზედნაშენი, რომლის მეშვეობით გაბატონებული კლასები ახშობდნენ საზოგადოების გარდაქმნისაკენ მიმართულ პროგრესიული ძალების ყოველგვარ მოძრაობას. ნახევრადბატონყმური წარმოებითი ურთიერთობა აბრკოლებდა საწარმოო ძალთა ზრდას და აძლიერებდა რუსეთის დამოკიდებულებას დასავლეთ ევროპის კაპიტალზე.

რუსეთის მრეწველობის გადამწყვეტ დარგებში მთავარ როლს უცხოეთის კაპიტალი ასრულებდა. მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები უცხოეთის ბანკების კონტროლს ემორჩილებოდა. უცხოეთის კაპიტალის წილი რუსეთის მრეწველობაში დაახლოვებით 40%-ს შეადგენდა. ეს გარემოება რუსეთის ეკონომიკას ნახევრადკოლონიურ მდგომარეობაში აყენებდა, აძლიერებდა დასავლეთის მსხვილ მაგნატთა პოზიციებს.

ცარიზმისა და დასავლეთის იმპერიალიზმის ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესები ერთმანეთში იყო გადახლართული.

რუსეთის მშრომელი ხალხი ორმაგ კაპიტალისტურ ჩაგვრას განიცდიდა, ერთი მხრივ, რუსული, ხოლო მეორე მხრივ, უცხოური კაპიტალისაგან. ამას ემატებოდა თვითმპყრობელობის პოლიციური დესპოტიზმი.

მეფის მთავრობა ატარებდა ნაციონალური ჩაგვრის პოლიტიკას. იგი ახშობდა არარუსი ხალხების კულტურას, ეწეოდა მათს ძალდატანებით რუსიფიკაციას, აღვივებდა მტრობასა და შუღლს ხალხებს შორის. მეფის რუსეთი იყო მემამულური, კაპიტალისტური და ეროვნული ჩაგვრის კერა, რაც განსაკუთრებით ამწვავებდა და აღრმავებდა სოციალურ წინააღმდეგობებს.

ცარიზმი იყო ხალხთა საპყრობილე.

როგორც ი. ბ. სტალინი შენიშნავს „ცარიზმი იყო იმპერიალიზმის ყველაზე უფრო უარყოფითი, კვადრატში აყვანილი, თვისებების თავმოყრა“ [1].

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, 1951, გვ. 6.

იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი ყველაზე უფრო აშკარად რუსეთში მჟღავნდებოდა იმიტომაც, რომ მათ განსაკუთრებით უხსგავსი, აუტანელი ხასიათი ჰქონდათ.

რუსეთის საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირეული მოთხოვნები და ხალხთა საარსებო ინტერესები მოითხოვდნენ ცარიზმის დამხობას.

ამ ისტორიული ამოცანის გადაჭრა შესაძლებელი იყო დემოკრატიული რევოლუციის გზით.

მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთი ფეხმძიმედ იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციით.

დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ რევოლუციებში ჰეგემონია ეკუთვნოდა ბურჟუაზიას. პროლეტარიატი მცირერიცხოვანი და დაურაზმავი იყო. იგი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალას.

გლეხობა ფეოდალური ურთიერთობის წინააღმდეგ იბრძოდა ბურჟუაზიასთან ერთად. ძველი. ბატონყმური წესებისაგან გათავისუფლება მან მიიღო არა პროლეტარიატის, არამედ ბურჟუაზიის ხელით. ამ რევოლუციებში გლეხობა ბურჟუაზიის რეზერვი იყო.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია კი დაიწყო კლასობრივი ბრძოლის ახალ, უფრო განვითარებულ პირობებში, იგი გაიშალა იმპერიალიზმის ეპოქაში.

იმპერიალისტური ეპოქის დემოკრატიულ რევოლუციაში, მონოპოლისტურამდელი კაპიტალიზმის ეპოქის რევოლუციებისაგან განსხვავებით, ხელმძღვანელ ძალად გამოდის არა ბურჟუაზია, არამედ პროლეტარიატი, ხოლო გლეხობა ბურჟუაზიის რეზერვიდან პროლეტარიატის რეზერვი, მისი მოკავშირე ხდება.

მაშასადამე, რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას ახასიათებდა თავისებურება, რომელსაც არ მოეპოვებოდა პრეცედენტი დასავლეთის ბურჟუაზიული რევოლუციების ისტორიაში.

რუსეთის რევოლუციის ეს თავისებურება სპეციფიკურმა გარემოებებმა განსაზღვრეს.

მართალია, მრეწველობის ტექნიკური განვითარების მხრივ რუსეთი ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებს. მაგრამ წარმოებისა და მუშათა კლასის კონცენტრაციის მხრივ იგი წინ იდგა ისეთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანასთან შედარებით, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატები იყო.

მაგ., 1901 წლისათვის მუშების მთელი რაოდენობის 46,7%

მუშაობდა საწარმოებში, სადაც თავმოყრილი იყო 500-ზე მეტი მუშა, მაშინ როდესაც აშშ-ის ანალოგიურ საწარმოებში მუშაობდა მუშების საერთო რაოდენობის ერთი მესამედი.

მუშათა კონცენტრაცია მსხვილ საწარმოებში ხელს უწყობდა პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების განვითარებასა და პოლიტიკური აქტივობის ამაღლებას.

საწარმოებში არსებობდა ექსპლოატაციის უმსგავსი ფორმები. ბურჟუაზია შრომის აუტანელ პირობებს ქმნიდა. სამუშაო დღის ხანგრძლივობა 12-14 საათს უდრიდა, ხოლო ზოგიერთ საწარმოში — 15-16 საათს. ამას ემატებოდა ხელფასის სიმცირე, მძიმე საბინაო პირობები, შრომის კანონების არარსებობა და სხვა.

რუსეთის პროლეტარიატის პოლიტიკურ დარაზმულობაზე დადებით გავლენას ახდენდა ის გარემოებაც, რომ რუსეთში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით, სოციალური ბაზა ოპორტუნიზმის ზრდისათვის ვიწრო იყო.

მართალია, არსებობდა ოპორტუნიზმისა და რეფორმიზმის ნაირსახეობანი ინტელიგენციასა და წვრილბურჟუაზიაში, მაგრამ მუშების პოლიტიკურად აქტიურ ფენებს შორის ოპორტუნისტები სრულიად უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდნენ და მათ არავითარი სერიოზული დასაყრდენი არ გააჩნდათ მუშათა მასებში. პრივილეგირებული მუშების, ე. წ. „მუშათა არისტოკრატიის“, ფენა რუსეთში ძალზე სუსტი იყო.

რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნების განვითარება და ჩამოყალიბება ხდებოდა საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის გამოცდილების საფუძველზე. მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას წარმატება მხოლოდ მაშინ შეეძლო მოეპოვებინა, თუ იგი გამოიყენებდა სხვა ქვეყნების რევოლუციურ გამოცდილებას, კრიტიკულად მოეკიდებოდა და დამოუკიდებლად შეამოწმებდა მას.

ბოლშევიკური პარტია, რომელიც შეიარაღებული იყო მოწინავე რევოლუციური თეორიით, ზრდიდა და რაზმავდა რუსეთის პროლეტარიატს იმ საუკეთესო ტრადიციებზე, რომლებიც დასავლეთ ევროპის პროლეტარიატმა შექმნა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ბოლშევიკური პარტია მუშათა კლასს ზრდიდა ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ოპორტუნიზმთან ბრძოლის სულისკვეთებით და აიარაღებდა მას ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის რევოლუციური საშუალებებით.

ამ გარემოებებმა განაპირობეს რუსეთის პროლეტარიატის მაღალი რევოლუციური თვისებები. პროლეტარიატი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების უდიდესი ძალა გახდა.

რუსეთის სოციალური ცხოვრების პირობებმა პროლეტარიატთან ერთად რევოლუციის ბანაკში მოაქცია გლეხობაც. რუსეთის გლეხობას ტანჯავდა ფეოდალური ურთიერთობის აუტანელი გადმონაშთების არსებობა სოფლად. 1861 წლის „საგლეხო რეფორმა“ გლეხთა გათავისუფლების მხოლოდ იურიდიული ფორმა იყო. რეფორმის შემდეგ მემამულეთა ხელში „ჩამონაჭრების“ სახით გადავიდა იმ მიწების ნაწილი, რომელსაც გლეხობა ამუშავებდა და რომლის გარეშე მათ არ შეეძლოთ საკუთარი, დამოუკიდებელი მეურნეობის მოწყობა. გლეხი ისევ დარჩა დამოკიდებული მემამულეზე. ექსპლოატაციის ბატონყმური სისტემა მაგრად იყო ფესვგადგმული სოფლად.

მე-19 საუკუნის დამლევისათვის რუსეთში მეურნეობის კაპიტალისტურმა სისტემამ გზა გაიკაფა სოფლადაც. მიწა სავაჭრო ბრუნვაში მოექცა და განვითარება წარიმართა მიწის ბურჟუაზიული კერძო საკუთრების შექმნისაკენ.

კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად ჩქარდება გლეხობის ფენებად დაყოფა. იქმნება, ერთის მხრივ, გაბურჟუებული გლეხობის ფენა, ხოლო მეორე მხრივ, სოფლის პროლეტარიატი. მიუხედავად მიწის ბურჟუაზიული საკუთრების განვითარებისა, ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ ძლიერი იყო მებატონე-მემამულეთა მიწათმფლობელობის ძალა. მიწების დიდი და საუკეთესო ნაწილი ისევ თავმოყრილი იყო თავადაზნაურული წოდების ხელში.

რუსეთის კერძო მიწათმფლობელობის დამახასიათებელ ნიშანთვისებას ლატიფუნდიები შეადგენდა. მე-19 საუკუნის დამლევისათვის 10,5 მილიონი გლეხური კომლი ფლობდა 75 მილიონ დესეტინა მიწას. მაშინ როცა 30.000 მსხვილი მიწათმფლობელის განკარგულებაში იყო 70 მილიონი დესეტინა.

ვ. ი. ლენინი, უკეთებდა რა ანალიზს რუსეთის გლეხთა მდგომარეობას მე-19 საუკუნის დამლევისათვის, მიუთითებდა, რომ 24—30 მილიონამდე გლეხური მოსახლეობა შეადგენდა პაუპერებს, რომელთაც მიწის ისეთი მცირე და უხარისხო ნაკვეთები ჰქონდათ, რომ მათ შიმშილის პირას აყენებდა.

ბატონყმობის ნაშთები წარმოადგენდნენ მთავარ და ძირითად დაბრკოლებას რუსეთის სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის. ასე, რომ აგრარული საკითხის გადაწყვეტა

აუცილებელს ხდიდა ბოლო მოღებოდა შუასაუკუნოებრივ გადმონაშთებს და გაწმენდილიყო გზა საწარმოო ძალთა ზრდისათვის.

აგრარულ-გლეხური საკითხი, რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ცენტრში იდგა.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ბოლშევიკური პარტიის აგრარული პროგრამა — მიწის ნაციონალიზაციის პროგრამა, რომელიც გულისხმობდა მემამულეთა მიწების კონფისკაციას გლეხობის სასარგებლოდ. ბოლშევიკური პარტიის აგრარული პროგრამის მოთხოვნები უკავშირდებოდა ცარიზმის მოსპობასა და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას.

მიწის ნაციონალიზაცია დააჩქარებდა ბატონყმური ნაშთების ლიკვიდაციის პროცესს და გაასწმენდდა გზას ახალი ურთიერთობის განვითარებისათვის.

ბოლშევიკური პარტიის აგრარული პროგრამა გლეხობას მოუწოდებდა მეფისა და მემამულეების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ და უდიდეს როლს თამაშობდა მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების საქმეში.

რუსეთის ბურჟუაზია პირდაპირ დამოკიდებული იყო სახაზინო შეკვეთებზე და ყოველმხრივ დაკავშირებული იყო მეფესა და მემამულეებთან. მას უფრო აშინებდა პროლეტარიატის რევოლუციურობა, ვიდრე ფეოდალური რეაქცია. მას არ სურდა ბატონყმობის ყველა გადმონაშთისა და ცარიზმის მოსპობა. ამიტომ არსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციაში ბურჟუაზია კონტრრევოლუციის მხარეზე გადადის. იმპერიალიზმის ეპოქამ გაანაპირობა ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური ხასიათი.

ამრიგად, მეფის რუსეთში მიმდინარეობდა ორი სოციალური ომი: ძველი, ბატონყმური წყობილების წიაღში — მემამულეებსა და მთელ გლეხობას შორის — და ბურჟუაზიულ საზოგადოებაში — პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. ამან განაპირობა კლასობრივი ბრძოლის სიმწვავე და თავისებურება რუსეთში.

* * *

მე-20 საუკუნის დასაწყისში რუსეთში მწიფდებოდა რევოლუციური სიტუაცია.

1900—1903 წლების სამრეწველო კრიზისმა კიდევ უფრო გააუარესა მშრომელთა მასების მდგომარეობა, გაამწვავა კლასობრივი წინააღმდეგობანი.

პროლეტარიატი ეკონომიური გაფიცვებიდან გადადის პოლიტიკურ გაფიცვებსა და დემონსტრაციებზე.

რევოლუციის დასაწყისი გახდა 1905 წლის 9 (22) იანვრის ამბები.

ამ დღეს პეტერბურგში, ზამთრის სასახლესთან, მეფის ბრძანებით დახვრეტილ იქნა მუშათა მშვიდობიანი დემონსტრაცია. მეფის მთავრობა ფიქრობდა, რომ ამ სისხლიანი ბოროტმოქმედებით შეაჩერებდა რევოლუციის ზრდას, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგო შედეგები მიიღო.

9 იანვრის ამბებმა რევოლუციური მოძრაობის მძლავრი აზვირთება გამოიწვია. გაფიცვების ტალღა მოედო მთელ რუსეთს. 1905 წლის იანვარ-მარტის განმავლობაში გაფიცული მუშათა რაოდენობა ორჯერ მეტი იყო, ვიდრე წინა ათი წლის განმავლობაში. ისინი ახლა ქუჩებში გამოდიან ლოზუნგებით: „ძირს თვითმპყრობელობა!“.

მსოფლიოს არც ერთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანას არ უნახავს ისეთი გრანდიოზული საგაფიცვო მოძრაობა, როგორიც იყო რუსეთში 1905 წელს. გაფიცულთა საერთო რაოდენობამ სამ მილიონამდე მიაღწია.

მუშათა კლასის მასობრივმა პოლიტიკურმა გაფიცვამ უდიდესი როლი შეასრულა რევოლუციურ ძალთა მობილიზებისა და შემჭიდროების საქმეში.

ვ. ი. ლენინი შენიშნავს: „რუსეთის რევოლუცია იყო ამასთანავე პროლეტარულიც არა მარტო იმ აზრით, რომ პროლეტარიატი იყო ხელმძღვანელი ძალა, მოძრაობის ავანგარდი, არამედ იმ აზრითაც, რომ ბრძოლის სპეციფიკური პროლეტარული საშუალება, სახელდობრ გაფიცვა, წარმოადგენდა მასების ამოძრავების მთავარ საშუალებას და ყველაზე მეტად დამახასიათებელ მოვლენას გადამწყვეტი ამბების ტალღისებური აზვირთების დროს“ [1].

საგაფიცვო მოძრაობის დამახასიათებელი ნიშანი ის იყო, რომ პოლიტიკური და ეკონომიური გაფიცვები იზრდებოდა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და შეხამებული, რაც განსაკუთრებულ ძალას აძლევდა მუშათა მოძრაობას.

ხშირი იყო გაფიცული მუშების შეტაკებანი მეფის ჯარებთან.

რევოლუციის მსვლელობაში რუსეთის პროლეტარიატმა მთელ რიგ ქალაქებში შექმნა მსოფლიო ისტორიაში წინათ უმაგალითო

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 23, გვ. 314.

მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია — მუშათა დეპუტატების საბჭოები, რომლებიც წარმოადგენდნენ რევოლუციური ხელისუფლების ჩანასახ ორგანოებს.

მუშათა კლასის რევოლუციურმა გამოსვლამ გავლენა მოახდინა გლეხობაზე.

გლეხობის ფართო მასები რევოლუციურ ბრძოლას აჩაღებენ მემამულეთა წინააღმდეგ.

1905 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა გლეხთა 3,5 ათასზე მეტ გამოსვლას.

გლეხთა მოძრაობა სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა როგორც რუსეთის ცენტრში, ასევე მის განაპირა მხარეებში. უმაგალითო გაქანება მიიღო გლეხთა მოძრაობამ საქართველოში.

რევოლუციური გამოსვლები დაიწყო არმიასა და ფლოტში.

რუსეთის ჩაგრულმა ხალხებმა გააჩაღეს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლა.

რევოლუციურმა განწყობილებამ მოიცვა ახალგაზრდობა და ინტელიგენციის დემოკრატიული ფენა.

ქვეყნის შიგნით შექმნილი ვითარება იმაზე მიუთითებდა, რომ მწიფდებოდა პირობები ხალხის შეიარაღებული აჯანყებისათვის. რუსეთში იწყებოდა საერთო, სახალხო რევოლუცია.

ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში რევოლუციით გამოწვეულ მობრუნებასთან დაკავშირებით ყველა კლასმა და პარტიამ შეიმუშავა თავისი მოქმედების ხაზი, თავისი ტაქტიკა.

პარტიის III ყრილობამ განსაზღვრა ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკური ხაზი, რომელიც შემდეგ ვ. ი. ლენინმა მეცნიერულად დაასაბუთა თავის ცნობილ შრომაში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ დაწყებული რევოლუცია მიმართულია ცარიზმის წინააღმდეგ და რომ რუსეთის ისტორიულ პირობებში რევოლუციას სათავეში უნდა ჩადგომოდა პროლეტარიატი.

რატომ უნდა გამოსულიყო პროლეტარიატი რევოლუციის ხელმძღვანელად? რით იყო იგი დაინტერესებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში?

1905 წლის რევოლუცია საზოგადოებრივ-ეკონომიური გადატრიალების შინაარსით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იყო.

„ეს იმას ნიშნავს, რომ გადატრიალება ხდება წარმოების კაპიტალისტურ ურთიერთობათა ნიადაგზე და რომ გადატრიალების

შედეგს გარდუვალად წარმოადგენს წარმოების სწორედ ამ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება“ [1].

მიზანი, რომლისკენაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია მიისწრაფოდა და რომლის განხორციელება მას შეეძლო თავისი საკუთარი ძალებით, იყო დემოკრატიული რესპუბლიკა, 8 საათიანი სამუშაო დღე, მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის ლიკვიდაცია, მიწების ძირეული გადანაწილება გლეხობის სასარგებლოდ.

პროლეტარიატი დაინტერესებული იყო ფეოდალური ნაშთების სრული მოსპობითა და დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვებით.

მხოლოდ ძველი, ნახევრადბატონყმური საზოგადოების დემოკრატიული დამსხვრევის გზით პროლეტარიატს საშუალება მიეცემოდა სავსებით განმტკიცებულიყო, როგორც დამოუკიდებელი კლასი, საერთო დემოკრატიული ამოცანებიდან გამოეყო თავისი, სოციალისტური ამოცანები და შეექმნა სოციალიზმისათვის რაც შეიძლება თავისუფალი, ფართო და გაძლიერებული ბრძოლის საუკეთესო პირობები, ე. ი. პროლეტარიატს შემდგომში ბურჟუაზიის წინააღმდეგ უნდა მიემართა ის იარაღი, რომელსაც იგი სჭედდა.

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა:

„...კაპიტალისტთა კლასის წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლა არ შეიძლება საკმაოდ ფართოდ გაჩაღდეს და გამარჯვებით დამთავრდეს, ვიდრე პროლეტარიატის უფრო ძველი ისტორიული მტრები დამხობილნი არ არიან“ [2].

ის, რომ 1905 წლის რევოლუცია ბურჟუაზიული იყო თავისი სოციალური შინაარსით, სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ მისი მამოძრავებელი ძალა ბურჟუაზია იყო.

ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესები მოითხოვდა, რომ რევოლუციას არ მოესპო ძველი დროის ყველა ნაშთი, ვინაიდან იგი ამ ნაშთებს ეყრდნობოდა რევოლუციური პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელი იყო, რომ დემოკრატიული გარდაქმნები ჩატარებულიყო თანდათანობით, ფრთხილად, რეფორმების გზით, რათა ასეთ გარდაქმნებს ნაკლებად შეეწყო ხელი პროლეტარიატის რევოლუციური თვითმოქმედების, ინიციატივისა და ენერგიის გაშლისა და განვითარებისათვის. რევოლუციის სრული გამარჯვება ბურჟუაზიას საფრთხეს უქმნიდა.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 12, გვ. 404.

[2] იქვე.

აქედან გამომდინარეობს ბურჟუაზიის მისწრაფება — ბოლომდე არ მიიყვანოს რევოლუცია, დაამთავროს იგი შუა გზაზე ნახევრად მოპოვებული თავისუფლებით, ნეფესა და მემამულეებთან გარიგებით.

თანმიმდევარი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, მისი ბოლომდე მიყვანა გულისხმობდა გადამწყვეტ გამარჯვებას ცარიზმზე, ე. ი. ცარიზმის დამხობასა და დემოკრატიული წყობილების დამყარებას.

რევოლუციის ასეთი შედეგებით დაინტერესებული იყო არა ბურჟუაზია, არამედ პროლეტარიატი და გლეხობა, რადგან ამ კლასებს უფრო მეტად, ვიდრე ბურჟუაზიას, ტანჯავდა ძველის ნაშთები. სწორედ პროლეტარიატს და გლეხობას ესაჭიროებოდათ ამ ნაშთების ლიკვიდაცია და თავისუფლების მოპოვება.

მაშასადამე, რევოლუციის მამოძრავებელი ძალები იყო პროლეტარიატი და გლეხობა და არა — ბურჟუაზია.

დანმიმდევრული ბურჟუაზიული რევოლუცია, უზრუნველყოფდა რა პროლეტარიატის ინტერესების დაცვას, განსაზღვრული აზრით, როგორც ლენინი შენიშნავს, უფრო ხელსაყრელი იყო პროლეტარიატისათვის, ვიდრე ბურჟუაზიისათვის. ამიტომ პროლეტარიატი განზე არ დგებოდა რევოლუციისაგან. იგი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, გლეხობასთან კავშირში, რევოლუციის ჰეგემონი იყო.

რევოლუციის წარმატებით დამთავრება სწორედ იმაზე იყო დამოკიდებული, გამოვიდოდა თუ არა მუშათა კლასი სახალხო რევოლუციის ხელმძღვანელის როლში.

პროლეტარიატს გააჩნდა ყველა შესაძლებლობა იმისა, რომ თავი დაეღწია ბურჟუაზიის ხელშემწყობის ხვედრისაგან და გამხდარიყო რევოლუციის ჰეგემონი.

ეს შესაძლებლობანი, როგორც ლენინი მიუთითებდა, ის იყო, რომ პროლეტარიატი თავისი მდგომარეობით ყველაზე უფრო რევოლუციურ და თანმიმდევარ კლასს წარმოადგენდა, პროლეტარიატს ჰყავდა მოწინავე რევოლუციური თეორიით შეიარაღებული პარტია — ბოლშევიკური პარტია, რომელიც მას რაზმავდა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად. პროლეტარიატი უფრო დაინტერესებული იყო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადამწყვეტი გამარჯვებით, ვიდრე ბურჟუაზია.

ამიტომ მხოლოდ პროლეტარიატს შეეძლო სათავეში ჩასდგომოდა ხალხის ფართო მასების ბრძოლას ექსპლოატაციისა და ცა-

რიზმის აუტანელი პოლიციური რეჟიმის წინააღმდეგ და გამარჯვებით დაეგვირგვინებინა ცარიზმის დამხობისა და დემოკრატიულ თავისუფლებათა მოპოვების საქმე. იმისათვის, რომ პროლეტარიატი რევოლუციის ჰეგემონი გამხდარიყო, საჭირო იყო, ერთის მხრივ, მას ჰყოლოდა მოკავშირე კლასი, რომელიც დაინტერესებული იქნებოდა ცარიზმზე გადამწყვეტი გამარჯვებით და ამ ბრძოლაში გაჰყვებოდა პროლეტარიატს, როგორც ხელმძღვანელს. ასეთ მოკავშირედ ვ. ი. ლენინი თვლიდა გლეხობას. ხოლო, მეორეს მხრივ, ხელმძღვანელობის ასპარეზიდან განდევნილიყო კლასი, რომელიც ებრძოდა პროლეტარიატს რევოლუციის ჰეგემონობის საქმეში. ასეთი კლასი კი იყო ლიბერალური ბურჟუაზია.

გაჰყვებოდა თუ არა გლეხობა პროლეტარიატს დემოკრატიულ რევოლუციაში?

ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ გლეხობა შეიცავს ნახევრადპროლეტარული ელემენტების მასას წვრილბურჟუაზიულ ელემენტებთან ერთად, რაც განაპირობებს მის მერყეობას, მაგრამ გლეხობის მერყეობა ძირფესვიანად უნდა განვასხვავოთ ბურჟუაზიის მერყეობისაგან.

გლეხობა მოცემულ მომენტში დაინტერესებული იყო, უპირველეს ყოვლისა, მემამულეთა მიწათმფლობელობის მოსპობით. რამდენადაც გამარჯვებული რევოლუცია გლეხობას მისცემს ყველაფერს მიწის რეფორმათა დარგში, ყოველივე იმას, რაც აუცილებელია მისთვის, ამდენად იგი, შენიშნავდა ლენინი, გარდუვალად გახდება დემოკრატიული რევოლუციის რადიკალური მომხრე, რევოლუციისა და რესპუბლიკის დასაყრდენი.

რუსეთის რევოლუციის ნამდვილი გაქანება მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, თუ გლეხობა გამოვიდოდა აქტიურ რევოლუციონერად პროლეტარიატთან კავშირში, ხოლო ბურჟუაზია, რომელმაც ზურგი შეაქცია რევოლუციურ ხალხს და კავშირი შეჰკრა ცარიზმთან, იზოლირებული იქნებოდა.

საზოგადოებრივ ძალთა ასეთი თანაფარდობის პირობებში, რევოლუციური ხალხის — მუშებისა და გლეხების — ძლევამოსილი შეიარაღებული აჯანყების გზით შესაძლებელი იყო გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვება ცარიზმზე.

მხოლოდ შეიარაღებულ ხალხში შეიძლება იყოს ხალხის თავისუფლების ნამდვილი ბურჯი, — წერდა ვ. ი. ლენინი.

ვ. ი. ლენინი ითვალისწინებდა, რომ ცარიზმის დამხობის, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შეიქმნებოდა დროებით რევო-

ლუციური მთავრობა. მას უნდა განემტკიცებინა რევოლუციის მონაპოვარი და განეხორციელებინა პარტიის პროგრამა მინიმუმი — ჩაეტარებინა ისეთი გარდაქმნები, რომლებიც აუცილებლად საჭირო იყო პროლეტარიატისა და გლეხობისათვის.

ასეთ გარდაქმნათა განხროციელება, ცხადია, გამოიწვევდა როგორც ცარიზმისა და მემამულეების, ასევე მსხვილი ბურჟუების გააფთრებულ წინააღმდეგობას. ამ წინააღმდეგობათა დაძლევა, კონტრრევოლუციური ცდების უკუგდება კი შეუძლებელი იქნებოდა დიქტატურის გარეშე. მაშასადამე, დროებითი რევოლუციური მთავრობა იქნებოდა გამარჯვებული კლასების — პროლეტარიატისა და გლეხობის — რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა, იგი ვერ შეეხებოდა კაპიტალიზმის საფუძვლებს.

„საუკეთესო შემთხვევაში იგი შესძლებს მოახდინოს მიწის საკუთრების ძირეული გადანაწილება გლეხობის სასარგებლოდ, გაატაროს თანმიმდევარი და სრული დემოკრატიზმი თვით რესპუბლიკის შექმნით, ძირფესვიანად აღმოფხვრას არა მარტო სოფლის, არამედ ფაბრიკის ყოფაცხოვრებიდანაც ყველა აზიური, კაბალური ნიშანი, საფუძველი ჩაუყაროს მუშათა მდგომარეობის სერიოზულ გაუმჯობესებას და მათი საცხოვრებელი დონის ამაღლებას“ [1]...

ე. ი. თავისი შინაარსით ეს დიქტატურა იქნებოდა არა სოციალისტური, არამედ დემოკრატიული.

ვ. ი. ლენინი დასაშვებად თვლიდა ხელსაყრელ პირობებში სოციალ-დემოკრატიის რწმუნებულთა მონაწილეობას დროებით რევოლუციურ მთავრობაში, რათა დაუნდობელი ბრძოლა გამოცხადებოდა ყველა კონტრრევოლუციურ ცდას და დაცული ყოფილიყო მუშათა კლასის დამოუკიდებელი ინტერესები.

პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურის დამყარება ნიშნავდა გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვებას ცარიზმზე. მაგრამ, ლენინის აზრით, რევოლუციური მოძრაობის გაქანება ვერ შეიზღუდებოდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამოცანების შესრულებით, რევოლუცია ვერ შეჩერდებოდა დემოკრატიულ ეტაპზე.

მაშასადამე, პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა, მიუთითებდა ლენინი, რევოლუციის დამთავრების საშუალება კი არ იყო, არამედ პირიქით — იგი იყო რევოლუციური მდგომარეობის გახანგრძლივების, პროლეტარიატის

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 9, გვ. 54.

პოლიტიკური განათლებისა და დარაზმვის საშუალება, რის შემდეგ რევოლუციურ პროლეტარიატს მოსახლეობის ნახევრად პროლეტარულ, ექსპლოატირებულ მასებთან ერთად, ბოლშევიკური პარტია ხელმძღვანელობით, უნდა დაეწყო ბრძოლა სოციალისტური გადატრიალებისათვის.

ეს იყო სოციალისტური რევოლუციის ახალი, ლენინური თეორია. რომელიც ემყარებოდა მარქსის დებულებას განუწყვეტელი რევოლუციის შესახებ და მის აზრს პროლეტარულ რევოლუციასთან გლეხური მოძრაობის აუცილებელი დაკავშირების შესახებ.

ვ. ი. ლენინმა თავის ამ თეორიაში წამოაყენა დებულება იმის შესახებ, რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის აუცილებელია პროლეტარიატის კავშირი ქალაქისა და სოფლის ნახევრადპროლეტარულ ელემენტებთან და რომ ამ კავშირში ხელმძღვანელობა ეკუთვნის პროლეტარიატს.

პროლეტარიატის ჰეგემონია კი, როგორც სტალინი შენიშნავს, იყო ჩანასახი და გარდამავალი საფეხური პროლეტარიატის დიქტატურისაკენ.

ამრიგად, ლენინი სოციალისტური რევოლუციის შესახებ მარქსის დებულებათა განმეორებით კი არ დაკმაყოფილებულა, არამედ მან ეს დებულებანი განავითარა და ჩამოაყალიბა სოციალისტური რევოლუციის მწყობრი თეორია.

დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატების თეორიით ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ გლეხთა მასები, მათ შორის ღარიბი გლეხობაც, თითქოს ჩამოშორდებოდნენ რევოლუციას, პროლეტარიატს მარტოდმარტო, მოკავშირის გარეშე მოუხდებოდა ბრძოლა ბურჟუაზიისა და არაპროლეტარული კლასებისა და ფენების წინააღმდეგ და რომ ამიტომ ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ დადგებოდა „დამშვიდების“ ხანგრძლივი პერიოდი 50—100 წლით.

სოციალისტური რევოლუციის ახალი, ლენინური თეორია ამსხვრევდა და აცამტვერებდა დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატების ამ დამპალ დებულებას.

„ლენინის თეორიაში ჯერ კიდევ არ იყო პირდაპირი დასკვნა ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, მაგრამ მასში მოცემული იყო ყველა ან თითქმის ყველა ძირითადი ელემენტი, რომელიც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ადრე თუ გვიან გამოტანილი ყოფილიყო ასეთი დასკვნა“ [1].

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1950, გვ. 94.

ასეთი დასკვნა ვ. ი. ლენინმა გააკეთა 1915 წელს თავის ცნობილ სტატიაში „ევროპის შეერთებული შტატების ლოზუნგის შესახებ".

მაშინ, როცა ბოლშევიკებს აღებული ჰქონდათ კურსი რევოლუციის განვითარებისაკენ, შეიარაღებული აჯანყების გზით ცარიზმის დამხობისაკენ, მენშევიკების ტაქტიკური ხაზი მიმართული იყო რევოლუციის შეკვეცისაკენ.

მენშევიკების აზრით, რუსეთის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციის ჰეგემონი უნდა ყოფილიყო არა პროლეტარიატი, არამედ ლიბერალური ბურჟუაზია. პროლეტარიატს თავისი რევოლუციურობით არ უნდა დაეფრთხო ბურჟუაზია, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი რევოლუციას ზურგს შეაქცევდა და რევოლუცია დასუსტდებოდა. შეიარაღებული აჯანყების გზით ცარიზმის დამხობის ნაცვლად, დროებითი რევოლუციური მთავრობის ნაცვლად, მენშევიკები ქადაგებდნენ რეფორმების გზით ცარიზმის „გაუმჯობესებას" და სახელმწიფო სათათბიროს მოწვევას, რომელიც თითქოს ქვეყნის „რევოლუციური ძალების" ცენტრი გახდებოდა.

მენშევიკების ტაქტიკური ხაზი იმაზე მიუთითებდა, რომ ისინი ფაქტიურად მაისწრაფოდნენ ლიბერალურ ბურჟუაზიასთან ბლოკისაკენ და გამოდიოდნენ ბურჟუაზიის აგენტებად მუშათა მოძრაობაში.

1905 წლის რევოლუციის მსვლელობამ დაადასტურა ლენინური სტრატეგიისა და ტაქტიკის სისწორე.

რევოლუციის მთელს მანძილზე პროლეტარიატი გამოვიდა, როგორც მშრომელთა ინტერესების თანმიმდევრული გამომხატველი და საერთო დემოკრატიული მოძრაობის ხელმძღვანელი ძალა.

პროლეტარიატმა, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დარაზმა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში წაიყვანა ქვეყნის რევოლუციური ძალები.

პროლეტარიატის მასობრივმა გამოსვლებმა მოამზადა დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება, რომელიც პირველი რევოლუციის განვითარების უმაღლესი წერტილი იყო.

დეკემბრის შეიარაღებულმა აჯანყებამ ცხადყო, თუ როგორ გიგანტურად გაიზარდა რევოლუციის მსვლელობაში პროლეტარიატის პოლიტიკური შეგნებულობა და როგორ სწრაფად გამოიწრთო იგი ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დეკემბრის შეიარაღებული აჯანყება დამარცხდა, რის შემდეგაც რევოლუციური მოძრაობის ტალღა თანდათან შენელდა, რევოლუციურმა ძალებმა უკან დაიხიეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ რევოლუცია უკვე დათრგუნვილი იყო.

1905—1907 წლებში ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში კიდევ ებმებოდნენ მუშათა კლასისა და გლეხობის ახალი ძალები.

პროლეტარიატი, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, უკან ახევდა ორგანიზებულად, პანიკის გარეშე, ზოგავდა თავის ძალებს ახალი, მძლავრი დარტყმებისათვის.

* * *

1905 წლის რევოლუცია უდიდესი მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის ხალხთა გმირული ბრძოლის ისტორიაში.

რევოლუციამ მკვეთრი გარდატეხა მოახდინა ხალხის ფართო მასების ცხოვრებაში, გაამდიდრა ისინი პოლიტიკური ბრძოლის გამოცდილებით და შეამზადროვა ახალი შეგნებული რევოლუციური ბრძოლებისათვის.

ბოლშევიკური პარტია რეაქციის მძიმე პირობებში რაზმავდა ჩვენი ქვეყნის რევოლუციურ ძალებს მუშათა კლასის გარშემო და ამზადებდა მათ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ცარიზმისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

1917 წლის ოქტომბერში რუსეთის პროლეტარიატმა, მშრომელ გლეხობასთან მჭიდრო კავშირში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სამუდამოდ დაამხო მემამულეებისა და ბურჟუაზიის ბატონობა, დაამყარა თავისი დიქტატურა და ამით კაცობრიობის ისტორიაში დასაწყისი მისცა ახალ ერას — პროლეტარული რევოლუციების ერას.

ოქტომბრის რევოლუცია კლასიკური ნიმუში იყო სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის განხორციელებისა, ბოლშევიკური პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის ძალისა და ცხოველმყოფელობისა.

ლენინიზმი თეორიისა და ტაქტიკის ნიმუშია მსოფლიო პროლეტარიატისათვის.

ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გმირმა საბჭოთა ხალხმა ჩვენს ქვეყანაში ააშენა სოციალისტური საზოგადოება და წარმატებით ახორციელებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას.

„ამით საბჭოთა ხალხმა განახორციელა რუსეთის პირველი რევოლუციის მოწინავე მებრძოლთა იდეალები და ცხადყო, რომ მძიმე მსხვერპლს და თავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღვრილ სისხლს ამაოდ არ ჩაუვლია“ [1].

ლენინიზმის დროშით კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში გაიმარჯვეს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებმა, ამავე დროშით პროლეტარიატი გაიმარჯვებს მთელს მსოფლიოში.

(შემოვიდა რედაქციაში 2. V. 1955)

A. E. ЭБРАЛИДЗЕ

50 ЛЕТ ПЕРВОЙ БУРЖУАЗНО-ДЕМОКРАТИЧЕСКОЙ РЕВОЛЮЦИИ (1905—1907 г. г.) В РОССИИ

Р е з ю м е

В начале XX века центр мирового революционного движения переместился с Запада на Восток. Россия тогда находилась накануне буржуазно-демократической революции.

Буржуазно-демократическая революция в России имела свои специфические особенности, которые отличали ее от буржуазных революции запада. Эти особенности определились прежде всего новой империалистической эпохой и той ролью, которую стала играть в начале XX века Россия в системе мирового империализма.

В. И. Ленин выработал тактику большевистской партии в этой революции.

В. И. Ленин указывал, что несмотря на буржуазный характер революции, она является не верхушечной, а народной революцией, приводящей в движение весь народ — рабочий класс и крестьянство, окончательной победой революции заинтересована не буржуазия, а пролетариат, и потому пролетариат в союзе с крестьянством должен быть вождем буржуазно-демократической революции.

В. И. Ленин считал, что вслед за выполнением демократических задач, пролетариат во главе других эксплуатируемых масс

[1] რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თებისები), 1955, გვ. 31.

начнет борьбу за социалистическую революцию. Эта была новая установка по вопросу о соотношении между буржуазной и социалистической революциями, — ленинская теория перерастания буржуазно-демократической революции в революцию социалистическую.

Победа Великой Октябрьской социалистической революции в нашей етране явилась торжеством ленинской теории пролетарской революции.

Ленинизм представляет собой образец теории и тактики для пролетариата всех стран в борьбе за торжество социализма.

ქლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

ი. მატარაძე

რუსეთის პირველი რევოლუციის გამოძახილი დასავლეთ ევროპაში

„რუსეთში ცარიზმის დამხობა, რაც გმირულად დაიწყო ჩვენმა მუშათა კლასმა, შემობრუნების პუნქტი იქნება ყველა ქვეყნის ისტორიაში“ [1].

ასე განსაზღვრავდა გენიალური ლენინი რუსეთის პირველი რევოლუციის განვითარების ისტორიულ პერსპექტივებს რევოლუციის დაწყების დღეებში და მას მსოფლიო ისტორიის ამბებს უკავშირებდა. რუსეთის 1905—1907 წლების რევოლუცია, როგორც იმპერიალიზმის ეპოქის პირველი სახალხო რევოლუცია, მკვეთრად განსხვავდება „დასავლეთის XVIII—XIX საუკუნეთა ბურჟუაზიული რევოლუციებისაგან“ [2] არა მარტო იმით, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ხელმძღვანელი ძალა ამჟამად იყო პროლეტარიატი, თანამედროვე საზოგადოების ყველაზე რევოლუციური კლასი, არამედ იმითაც, რომ რევოლუციის მონაპოვართან და მის პერსპექტივებთან ორგანულად იყო დაკავშირებული თვით რუსეთის მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესები. რუსეთის პირველ რევოლუციამდის ისტორიამ არ იცის სხვა მაგალითი, რომ ასე არსებითად და ღრმად დაკავშირებოდეს ხალხის სასიცოცხლო ინტერესები რევოლუციის ინტერესებს. მეფის ყოფილი იმპერიის მრავალმილიონიანი მასები დიდი რუსი ხალხის ხელმძღვანელობით საბარიკადო ბრძოლებით გამოვიდა და მტარვალთა ძალებს დაუპირისპირდა. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში შექმნილმა ისტორიულმა ვითარებამ, როდესაც კაპიტალიზმი გადაიზარდა თავისი განვითარების უმაღლეს და უკანასკნელ სტადიაში—იმპერიალიზმში, უდიდესი მისია დააკისრა რუსეთის მუშათა კლასს. მეცნიერული

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 8, გამოცემა 4, გვ. 104.
[2] რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები).

სიზუსტით მართლდებოდა ეპოქის უდიდესი ადამიანების კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მართებული განჭვრეტა იმის შესახებ, რომ ნამდვილად აღმოსავლეთი, რუსეთის სახით, გახდებოდა პიონერი მომავალი რევოლუციებისა. რადგანაც ევროპაში შექმნილი ამბები და სიმპტომები ნათლად ადასტურებდნენ იმ ვითარებას, რომ რევოლუციური სიტუაცია თანდათანობით გადადიოდა დასავლეთიდან აღმოსავლეთში, რასაც განაპირობებდა მთელი ისტორიული მსვლელობა. „ისტორიული განვითარების მთელი მსვლელობით რუსეთის პროლეტარიატი, რომელსაც რევოლუციური მარქსისტული პარტია ხელმძღვანელობდა, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ავანგარდში გამოდიოდა. მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრი რუსეთში გადმოდიოდა“ [1]. იმპერიალისტური ეპოქის — რუსეთის პირველმა სახალხო რევოლუციამ, ძირეულად შეარყია ცარიზმი და სერიოზული ლახვარი ჩასცა მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობას. დიდი რუსი ხალხის შეუპოვარი ბრძოლები მისაბაძი მაგალითი შეიქნა არარუსი ხალხებისათვის, სადაც „ცარიზმი ახორციელებდა რუსეთის არარუსი ხალხების უხეში ჩაგვრის პოლიტიკას, მათი ძალდატანებითი რუსიფიკაციისა და ეროვნული კულტურის ჩახშობის პოლიტიკას“ [2]. სავსებით კანონზომიერი იყო ის გარემოებაც, რომ მეფის რუსეთის იმპერიაში შემავალი ყველა არარუსი ხალხი თავისი უფროსი ძმის — დიდი რუსი ხალხის — დაძახილზე საბრძოლო ყიჟინით გამოვიდა, რათა დაემხო მეფის საძულველი თვითმპყრობელობა და მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალმომრეობა და მათი სასიცოცხლო ამოცანები სახალხო რევოლუციის გზით გადაეჭრა. თავგანწირული ბრძოლებისათვის რევოლუციის ასპარეზზე გამოსულ მუშებს და გლეხებს ბრძოლისა და გამარჯვების უტყუარ გზებზე მიუთითებდა ლენინის და სტალინის მიერ შექმნილი რევოლუციური მარქსისტული პარტია. „რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში (1905—1907), როცა პირველ პლანზე წამოწეულ იქნა ტაქტიკის საკითხები, ბოლშევიკები ადგენენ სახალხო რევოლუციის გაშლისა და მისი გამარჯვების, ცარიზმისა და მემამულეთა უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლების, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციად გადაზრდის გეზს“ [3].

---

[1] რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები).

[2] იქვე.

[3] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ორმოცდაათი წელი, გვ. 13.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის განსაკუთრებული სპეციფიკა მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ იგი იმპერიალისტური ეპოქის პირველი სახალხო რევოლუციაა, რომელმაც ძირეულად აამოძრავა ყველა საზოგადოებრივი კლასი, არამედ იმაშიც, რომ არც ერთ მანამდის მომხდარ რევოლუციას ევროპაში არ გამოუწვევია პოლიტიკური ძვრები ისეთი გრანდიოზული მასშტაბით, როგორიც იყო იმპერიალისტური ეპოქის რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის შედეგად. რის გამოც მოცემული რევოლუციის დიაპაზონი უფრო ფართოა და ღრმა, ვიდრე დასავლეთ ევროპაში მანამდის მომხდარი რევოლუციებისა. რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის აღნიშნულ სპეციფიკასაც ისტორიულად კანონზომიერი გამართლება აქვს, რაც, პირველ რიგში, ვლინდება პარალელის გავლების დროს დასავლეთ ევროპის რევოლუციებსა და რუსეთის პირველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას შორის. დასავლეთ ევროპის რევოლუციების ძირითადი პრობლემა იყო ფეოდალიზმის დამხობა და ბურჟუაზიული წყობილების დამკვიდრება. XX ს. დასაწყისის სინამდვილემ რუსეთის პიოველი რევოლუციის სახით მიზნად დაისახა დაემსხვრია ფეოდალურ-მონარქიული წყობილება, გაენადგურებინა კაპიტალიზმი და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების გზით გზა გაეხსნა სოციალისტური რევოლუციისაკენ პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად. დასავლეთ ევროპის რევოლუციები მცირე მასშტაბით გამოდიან პოლიტიკურ ასპარეზზე — მათი მოქმედების არე შეზღუდულია და ვიწრო ნაციონალური, ხოლო რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის პოლიტიკური მრწამსი უფრო ფართოა, პროგრესული, დემოკრატიული და ინტერნაციონალურია, ამიტომ იყო, რომ „რუსეთის პიოველმა რევოლუციამ ახალი ფურცელი გადაშალა მსოფლიო ისტორიაში, დაიწყო უღრმესი პოლიტიკური ძვრებისა და რევოლუციური ქარიშხლების ეპოქა, დასაბამი მისცა ევროპაში მუშათა მოძრაობისა და აზიის ჩაგრულ ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის აღმავლობას“ [1]. საერთაშორისო კონტრრევოლუციური და რევოლუციური ძალები არასოდეს არ ყოფილა მანამდის დაპირისპირებული ისე რადიკალურად, როგორც XX ს. დასაწყისში — იმპერიალიზმის ეპოქის დასაწყისში. ისტორიულმა ვითარებამ მეფის რუსეთი კაპიტალისტურ სახელმწიფოთა დამა-

[1] რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები).

ტებად აქცია. გაუხსნა რა მათ ფანტასტიკური გეგმები შუა და ახლო აღმოსავლეთში იმპერიალისტური ექსპანსიისათვის, რომლის ძირითადი დასაყრდენი მეფის რუსეთი შეიქნა. „მეფის რუსეთი XX საუკუნის დასაწყისში იყო იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტი“ [1]. შემთხვევითი არ იყო ის გარემოებაც, რომ მეფის თვითმპყრობელობას რუსეთის პირველი რევოლუციის ჩასაქრობად დასავლეთ ევროპის იმპერიალისტები დაეხმარნენ. საფრანგეთი ბანკირებმა და გერმანელმა იმპერიალისტებმა მილიონებითა და მრავალრიცხოვანი არმიის მუქარით ჩაახშეს რუსეთის მშრომელთა რევოლუციური გამოსვლები, რადგანაც რევოლუციის გამარჯვება რუსეთში მოასწავებდა კაპიტალიზმისა და მეფეთა ტახტების დამსხვრევას, მუშათა კლასის გამარჯვებას. რუსეთის პირველი რევოლუციის დიადი ისტორიული მსვლელობა და ლოგიკური გამარჯვება მოასწავებდა არა მარტო ცარიზმის დამხობას მეფის რუსეთში, არამედ მას „გარდუვალად უნდა შეერყია იმპერიალისტური სისტემის თვით საფუძვლები“ [2].

რუსეთის პირველმა რევოლუციამ ახალი რევოლუციური ბიძგი მისცა საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობას და მან დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი გამოაფხიზლა პარიზის გმირ კომუნართა საქმეთა სადიდებლად. დიდი რუსი ხალხის გმირულმა ბრძოლამ გადამწყვეტი მხარდაჭერა და თანაგრძნობა პოვა დასავლეთ ევროპისა და მსოფლიოს პროლეტარიატში და თვით მსოფლიოს შორეული კუთხეებშიც კი — ადის-აბებში და მონტევიდეოში. მთელი მსოფლიოს მუშათა კლასთან ერთად და, უპირველეს ყოვლისა, დასავლეთ ევროპის მუშათა კლასთან ერთად ყველა ქვეყნის შეგნებული, მოწინავე პროგრესული და დემოკრატიულად მოაზროვნე ადამიანები თანაუგრძნობდნენ პეტერბურგში 9 იანვრის უსამართლოდ დახოცილ მუშებს და სასტიკ პროტესტს უცხადებდნენ რუსეთის ცარიზმს. მართლაც, „რუსი ხალხის მხარდასაჭერად, ცარიზმის სისხლიან ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ პროტესტით გამოვიდნენ საერთაშორისო პროლეტარიატი, პროგრესიული საზოგადო მოღვაწეები დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში“ [3].

მეფის რუსეთის თვითმპყრობელური ხელისუფლება, რომელიც გაუგონარი შურისძიებით ანადგურებდა რევოლუციურ მუშათა

---

[1] რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები).

[2] იქვე.

[3] იქვე

კლასს და მის ავანგარდს, ბოლშევიკურ პარტიას, ჟანდარმერიისა და საიდუმლო აგენტების მეშვეობით საიდუმლო ცნობებს კრებდა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. რევოლუციურმა მოძრაობამ საბოლოოდ შეარყია მეფის ტახტის ავტორიტეტი არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ მის გარეთაც. ამჟამად ყველა შეგნებული ადამიანისათვის ცხადი იყო ის გარემოება, რომ კუზიან ცარიზმს მხოლოდ სამარე გაასწორებდა. მეფის რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლები თუ სხვა აგენტები სათანადო საბუთებს გვიდგენენ თავიანთ დასმენებში მეფის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლამზდორფისადმი, სადაც ზოგ შემთხვევაში ტენდენციურად, მრავალ შემთხვევაში კი ობიექტურად წარმოგვიდგენენ 1905 რევოლუციის გამოძახილს დასავლეთ ევროპაში. საბჭოთა ისტორიოგრაფიის განკარგულებაშია ფრიად მნიშვნელოვანი მასალები, რომელთა სათანადო ანალიზი და კრიტიკული განხილვა ჩვენ გვიდგენს უცილობელი ამბების მთელ სურათს დასავლეთ ევროპაში რევოლუციური აზვირთების შესახებ 9 იანვრის ამბების შედეგად, როდესაც დასავლეთ ევროპის პროლეტარიატი, პროგრესულ-დემოკრატიულ ელემენტებთან ერთად, ერთხმად დადგა რუსეთის მუშათა კლასის მხარეზე და მის გამარჯვებას დაუკავშირა თავისი ქვეყნების გამარჯვების საქმე ტარანიაზე და უხეშ ძალაზე. არსებული დოკუმენტები არა ნაკლებ საინტერესოა იმ მხრივაც, თუ როგორ რელიეფურად ასახავენ ისინი დასავლეთის კაპიტალისტური სამყაროს შეშფოთებას და შიშს რუსეთის პირველი რევოლუციის ძლევამოსილი მსვლელობის გამო. თუ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა XIX ს. პირველ ნახევარში რევოლუციური ვითარების მაგალითზე საქვეყნოთ განაცხადეს იმის შესახებ, რომ „აჩრდილი დადის ევროპაში — აჩრდილი კომუნიზმისაო“, არა ნაკლები სიამაყის გრძნობით შეეძლო ეთქვა რუს მუშას, რომ 1905 წ. რევოლუციის გამარჯვების შიში მოსვენებას არ აძლევდა ევროპის ბურჟუას, ხოლო საერთაშორისო პროლეტარიატს კი გამარჯვების იმედებს უნერგავდა.

პეტერბურგში მომხდარი 9 იანვრის მუშათა ტრაგედიის გამო მეფის რუსეთისადმი თავისი პროტესტი დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების პროლეტარიატმა სხვადასხვა ფორმით გამოხატა. სახელდობრ, დიდი პოლიტიკური დემონსტრაციებით, ხალხმრავალი მიტინგებით, დაუპუპულთა ოჯახების სასარგებლოდ შეწირულებათა შეგროვებით და სხვ. მაგ., 6 თებერვალს (24 იანვარი) სტოკოლმში გაიმართა დიდი მიტინგი „ახალგაზრდა

სოციალისტთა კლუბში“ [1], სადაც მიტინგის მონაწილეებმა მოისმინეს ცნობა პეტერბურგში 9 იანვარს მუშათა დახვრეტის შესახებ. მიტინგის მონაწილეებმა თავიანთი აღშფოთება გამოთქვეს მეფის რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ და პროტესტის ნიშნად გაემართნენ მეფის საელჩოსაკენ, გზადაგზა მათ შეუერთდნენ სტოკჰოლმის მშრომელთა დაბალი ფენები და მოწინავე ინტელიგენცია.

რომში სტუდენტების მიერ მოეწყო დიდი მანიფესტაცია ვატიკანთან არსებულ რუსეთის საელჩოს შენობასთან. მანიფესტაციაში მონაწილეთა გეგმის თანახმად, განზრახული იყო პროტესტის ნიშნად მოწყობილიყო მსვლელობა რომის მთავარ ქუჩებზე, რათა მასში მონაწილეობა მიეღო რომის ფართო მოსახლეობას, მაგრამ პოლიციისა და წინასწარ მომზადებულ ჯარისკაცთა რეპრესიული მოქმედების გამო მანიფესტაციამ ვერ მიაღწია დასახულ მიზანს, რასაც აცნობდა მეფის ელჩი საგარეო საქმეთა მინისტრს 1905 წ. 24 (11) იანვრის თარიღით [2]). ბრიუსელში ახალგაზრდობის ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა მეფის საელჩოს წინ, სადაც დემონსტრანტები ხმამაღლა გაიძახოდნენ რუსეთის ხელისუფალთა მისამართით: „მკვლელებო“ და სხვ. ქ. მადრიდში მოსალოდნელი დიდი დემონსტრაციის გამო ადგილობრივმა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ღონისძიებანი გაატარა მეფის საელჩოს დასაცავად და მიტინგი აკრძალა [3], ხოლო პრაღაში, მიუხედავად პოლიციის აკრძალვისა, მოეწყო მუშათა დიდი მიტინგი, რომელიც პროტესტს უცხადებდა მეფის რუსეთის ხელისუფლებას. ამავე დღეებში დიდი პოლიტიკური დემონსტრაცია გამართეს მუშებმა ტრიესტში, გაისმოდა შეძახილები: „ძირს აბსოლუტიზმი! გაუმარჯოს პროლეტარიატს, გაუმარჯოს სოციალიზმს!“ და სხვ... რის შესახებაც მეფის რუსეთის კონსული ტრიესტში მეტად შეშფოთებული სწერდა რუსეთის მეფის ელჩს ვენაში ბარონ ბუდბერგს: „საკონსულოს შენობის წინ 500-მდე კაცისაგან შემდგარმა ბრბომ გამართა რუსეთის საწინააღმდეგო დემონსტრაცია, შეძახილებით: „ძირს

---

[1] სტოკჰოლმში საქმეთა რწმუნებულის სტალ-ჟონ-გოლშტეინის დეპეშა საგარეო საქმეთა მინისტრ ლამბდორფს — 1905 წ. 9 თებერვლის (27 იანვარი) თარიღით. **Документы**, ჟურ. „**Ист. марксист**“, 1936 წ., წიგნი პირველი.

[2] „**Красный архив**“, ტ. 72, გვ. 35. ციტირებულია ჟურ. „**Историк-марксист**“, წიგნი პირველი, 1936 წ., გვ. 27.

[3] მადრიდში რუსეთის ელჩის შევიჩის დეპეშა ლამბდორფს. „**Историк-марксист**“, წიგნი პირველი, 1936 წ., გვ. 103.

აბსოლუტიზმი! გაუმარჯოს პროლეტარიატს, გაუმარჯოს სოციალიზმს"-ო და სხვ.[1].

ხალხმრავალი მიტინგები და დემონსტრაციები მოაწყეს მუშებმა ჩერნოვიცში, სტანისლავოში, პერეშიშლში, გრაცში და ლემბერგში, სადაც მიტინგის მონაწილენი ერთხმად მოითხოვდნენ რუსეთში ცარიზმის დამხობას და თავიანთი პროლეტარული თანაგრძნობის სიმპათიებს გამოხატავდნენ გმირი რუსი მუშათა კლასისადმი. დასავლეთ ევროპის მეზობელ სახელმწიფოთა შორის რუსეთის პირველმა სახალხო რევოლუციამ ყველაზე არსებითი გავლენა ავსტრო-უნგრეთის სახელმწიფოზე იქონია, სადაც რევოლუციის გავლენით დაიწყო ახალი რევოლუციური აღტყინება, რასაც საგრძნობლად უწყობდა ხელს ეკონომიური კრიზისიც, რომელიც შემდეგში პოლიტიკურ კრიზისში გადაიზარდა. ავსტრო-უნგრეთის თავადაზნაურულ-მემამულეთა მთავრობა, გაუჩის მეთაურობით, უძლური აღმოჩნდა მოზღვავებულ რევოლუციურ ძალთა წინაშე და იძულებული შეიქნა „მართვის" მეთოდები შეეცვალა. რუსეთში 9 იანვრის ამბების შემდეგ ავსტრიის პროლეტარიატი რევოლუციურად ამოძრავდა და გაბედულად თქვა: „ჩვენც გვინდა რუსულად ვილაპარაკოთო"[2]. რაც პროლეტარიატის ენაზე ნიშნავდა მუქარას ავსტრიის ხელისუფალთა წინააღმდეგ საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვებისათვის, ქუჩებში საბრძოლო ლოზუნგებით გამოსასვლელად. პეტერბურგის 9 იანვრის ამბების შემდეგ ავსტრიის პროლეტარიატმა ბევრი რამ ისწავლა რუსეთის მუშათა კლასისაგან; მათ შორის საყურადღებოა: საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვების იდეა და საბარიკადო ბრძოლები. რუსეთის რევოლუციის გრანდიოზულობას ადასტურებდა ის ფაქტიც, რომ არა მარტო ქალაქად გავრცელდა ელვისებურად რევოლუციის ტალღები, არამედ მან მასიურად აამოძრავა ავსტრიის მშრომელი გლეხობაც და სოფლად გაჩაღდა ღრმა კლასობრივი ბრძოლები. ვენის პროლეტარიატის პოლიტიკურ ცხოვრებაში დაუვიწყარი იქნება 1905 წ. 23 იანვრის მუშათა დიდი რევოლუციური მიტინგი, სადაც გამოსული ორატორები საჯაროდ აცხადებდნენ: გაუმარჯოს რევოლუციურ რუსეთს, ძირს ცარიზმი, გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს, დიდება თავისუფლებისათვის წამებულთ![3] და სხვ...

---

[1] ტრიესტში რუსეთის კონსულის მოხსენება რუსეთის ელჩს ვენაში, 1905 წ. 25 (12) იანვრის თარიღით.

[2] „Arbaiter Zeitung" — 1905 წ., 26 იანვარი № 26. ციტირებული ჟურნ. „Борьба классов" — 1935 წ., № 1—2, გვ. 46.

[3] „Arbaiter Zeitung" — 1905 წ., 24, 30 და 31 იანვარი, ციტირ. „Историк марксист", წ. I, 1936 წ., გვ. 28.

9 იანვრის ამბებთან დაკავშირებით დიდი მიტინგები გაიმართა მიუნხენში, ბერლინში და სხვ., სადაც ორატორები ხაზს უსვამდნენ რუსეთის რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობას. დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების პროლეტარიატთან ერთად საფრანგეთის მუშათა კლასმაც სთქვა თავისი გაბედული სიტყვა და ღრმა თანაგრძნობით მიმართა რუსეთის მებრძოლ პროლეტარიატს. 1905 წლის 30 იანვარს პარიზში, ტივოლის დარბაზში, გამართულ გრანდიოზულ მიტინგზე, სხვებთან ერთად საპროგრამო სიტყვით გამოვიდა საფრანგეთის ცნობილი სოციალისტი ჟ. ჟორესი, იგი ფრანგი ხალხის მოწინავე ნაწილის სულისკვეთებას გამოხატავდა. მიტინგმა ფრანგი ხალხისადმი მიიღო განსაკუთრებული მანიფესტი, რომელიც შემდეგი სიტყვებით თავდებოდა: „მოქალაქენო, რუსეთის პროლეტარიატი, რომელიც თავისი საქმისათვის იბრძვის, ამავე დროს ჩვენი საქმისათვისაც იბრძვის. ცარიზმის დამხობა — ეს დიდი ძლიერი დარტყმაა ყველა ქვეყნის კონტრრევოლუციურ ძალებზე. ეს არის სოციალისტური მოქმედების ერის დასაწყისი ყოველი საზღვრის განურჩევლად". („იუმანიტე", 1905 წ. 30 იანვარი)[1]. მართლაც, „ცარიზმისათვის მიყენებული დარტყმა ამავე დროს იყო მთელი იმპერიალისტური სისტემისათვის მიყენებული დარტყმა"[2]. დეპარტამენტის გაერთიანებულმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა რუს მუშებს: „ღრმად შეძრწუნებულნი პეტერბურგში მომხდარ მკვლელობათა გამო, რომელთა საშინელებანი ჩვენ მოგვაგონებს 1871 წ. სისხლის ღვრას, გიძღვნით თქვენ პარიზის მუშათა სახელით ღრმა თანაგრძნობას რევოლუციის საქმეში, რომელსაც თქვენ ეწევით და რომელსაც ტყვიები ვერ შეაჩერებს... რევოლუციური ქალაქის — პარიზის მუშები თქვენთანაა და გიერთებენ თავიანთ ხმას: გქონდეთ ჩვენი იმედი, ჩვენი დახმარება თქვენდამი უზრუნველყოფილია. ძირს მეფე! ძირს ექსპლოატატორები! გაუმარჯოს სოციალურ რევოლუციას! („იუმანიტე", 24 იანვარი, 1905 წლის)[3].

9 იანვრის ამბების გამო ხალხმრავალი ს.პროტესტო მიტინგები გაიმართა საფრანგეთის სხვა ქალაქებშიც: გავრში, მარსელში, ბრესტში, ბორდოში, ნიცაში, ტულონში და სხვ. 1905 წლის 18 და 19 თებერვალს გამართულ მიტინგებზე სიტყვებით გამოვიდნენ

[1] ციტირებულია: ჟურნალ „Ист. марксист". წ. I, 1936 წ., გვ. 30.
[2] რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები).
[3] ციტირებულია: ჟურნალ „Ист. марксист", წ. 1, 1936 წ., გვ. 30.

საფრანგეთის სოციალისტური სექციების ცნობილი წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ: ჟ. ჟორესი, დელორი, ლონგე, ტივრიერი, ალლარი, ლიუკა, ალლემანი, როლლანი, ლანდრენი, ფრიშური და სხვ. [1]. რუსეთის ცარიზმის საზიზღარი მოქმედების გამო თავიანთი ღრმა პროტესტი გამოთქვეს პარიზის ცნობილმა ექიმებმა და სენ-ანტუანის სახალხო უნივერსიტეტმა. საფრანგეთის სახელგანთქმული ისტორიკოსები: ოლარი, მონტუ და სხვ. რუსი ისტორიკოსის კარეევის სახელზე გამოგზავნილ მიმართვაში ღრმა თანაგრძნობას გამოთქვამდნენ რუსეთში რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობისადმი [2]. დიდი რუსი მწერლის მ. გორკის დაპატიმრების გამო აღშფოთებას გამოთქვამდნენ ფრანგი ხალხის შემდეგი სახელოვანი ადამიანები: სეევრინი, ფრანსი, მირაბო, როლანი, მენდე და სხვ., ხოლო საფრანგეთის მეცნიერები თავიანთ მიტინგზე, რომელიც გაიმართა აკადემიკოს პენლევეს თავმჯდომარეობით, საჯაროდ გმობდნენ „ბანდას, რომელიც მთავრობის სახელით მართავდა რუსეთს“ [3]. რუსეთის პირველი რევოლუციის შედეგად საფრანგეთში განვითარებული ამბები ერთხელ კიდევ ადასტურებდა რუსეთის რევოლუციის მოქმედების მსოფლიო არეს, როდესაც „სამი თვის განმავლობაში, საფრანგეთი წარმოადგენდა სახალხო კრულვის აღელვებულ ნაკადს“ [4],

ლონდონში გამართულ მუშათა მიტინგებზე გამოსული მუშები პეტერბურგის 9 იანვრის ამბების გამო მიუთითებდნენ მეფის ხელისუფლების მიერ დაუზოგავ სისასტიკესა და ბარბაროსობაზე, რომელიც, მათი აზრით, დღემდის „გაუგონარი იყო ევროპისა და აზიის ანალებში“ [5]. მეფის რუსეთის დიპლომატიური წარმომადგენლები თავიანთ მოხსენებებში აღნიშნავდნენ რევოლუციური ამბების შესახებ ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, არგენტინაში, ურუგვაიში და სხვ., რაც განვითარდა პეტერბურგში მომხდარი სისხლის ღვრის შედეგად, რომლითაც დაიწყო რუსეთის პირველი სახალხო რევოლუცია. მსოფლიო ისტორიის განვითარებამ ჯანამდის არ იცოდა ისეთი საყოველთაო სოლიდარობა და თანაგრძნობა რუსეთის მუშათა კლასისადმი, როგორსაც ადგილი ჰქონდა 1905 წელს.

---

[1] „Вопросы истории“ № 1, 1955 წ., გვ. 88, „იუმანიტე“, 1905 წ. 27 იანვარი.

[2] იქვე, „იუმანიტე“, 1905 წ. 8 თებერვალი.

[3] იქვე, „იუმანიტე“, 1905 წ. 4 თებერვალი.

[4] М. Я. Доминич, Начало революции 1905 г. и движение солидарности во франции, „Вопросы истории“, № 1, 1955.

[5] ციტირებულია: ჟურნალ „Ист. маркснст“, წ. I, 1936, გვ. 32.

ამბები და მოვლენები, რომლებიც ვითარდებოდნენ ელვისებურის სისწრაფით, რეალურად ადასტურებდნენ იმ გარემოებას, რომ „რუსეთის პირველმა რევოლუციამ გამოიწვია დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის თანაგრძნობა რუსეთის მუშებისა და გლეხების რევოლუციური ბრძოლისადმი საპროტესტო გაფიცვებისა და დემონსტრაციების ტალღა მოედო ევროპის ყველა უდიდეს ქვეყანას“ [1].

რუსეთის პირველი რევოლუციის შედეგად საბრძოლო ასპარეზზე გამოვიდნენ არა მარტო დასავლეთ ევროპის პროლეტარები, არამედ რევოლუციამ მძაფრი აღმავლობა გამოიწვია მთელ აზიაში და აღმოსავლეთის ქვეყნებში, რითაც შეიძლება განსხვავდეს რუსეთის რევოლუცია დასავლეთი ევროპის რევოლუციებისაგან, რომლებსაც ესოდენ მძლავრი ბიძგი არ მიუციათ აღმოსავლეთის ხალხებისათვის. აღნიშნულ მომენტს ღირსშესანიშნავად გამოხატავდა გენიალური ლენინი, როდესაც წერდა: „რუსეთის რევოლუციამ გამოიწვია მოძრაობა მთელ აზიაში, რევოლუციები თურქეთში, სპარსეთში, ჩინეთში ამტკიცებენ, რომ 1905 წლის ძლევამოსილმა აჯანყებამ ღრმა კვალი დატოვა და რომ მისი გავლენა, რომელიც აშკარავდება მრავალი ასეული მილიონი ადამიანის წინსწრაფ მოძრაობაში, შეუძლებელია აღმოიფხვრას“ [2].

9 იანვრის „სისხლიანი კვირის“ ამბები, რომლებიც რევოლუციის შემდგომი განვითარების სტიმული გახდა, მძლავრ რევოლუციურ ტალღად იქცა. არა მარტო რუსეთის თვითმპყრობელი სახელმწიფოს შიგნით და განაპირა ნაციონალურ რაიონებში, არამედ შემდეგში იგი კიდევ უფრო შეუპოვარ ბრძოლებად იქცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც, რასაც არ შეიძლებოდა არ დაეფიქრებინა დასავლეთის იმპერიალისტები და ტახტის მფლობელნი. ამიტომ იყო, რომ რუსეთში რევოლუციის გამარჯვება რუსეთის მეფესთან ერთად კიდევ უფრო მეტად აფიქრებდა კაპიტალის მაგნატებს. რევოლუციური მოძრაობა რომ არ გადასულიყო დას. ევროპაში, ყოველგვარი სახის დახმარებას პირდებოდნენ რუსეთის ცარიზმს იმპერიალისტური სახელმწიფოები. საჟრანგეთის მთავრობა კიდევ უფრო მეტად ზრდიდა რუსეთის მეფისათვის ფინანსიურ დახმარებას — ორი მილიარდი მანეთის რაოდენობით, მ. გორკის გამოთქმით „იუდას სესხს“, ხოლო გერმანიის იმპერატორს — ვილგელმ II-ს

[1] რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები).

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 23, გვ. 331.

რუსეთის საზღვარზე გამზადებული ჰყავდა დივიზიები მეფისათვის „დასახმარებლად". ამრიგად, დასავლეთის იმპერიალისტები ემზადებოდნენ სამხედრო ინტერვენციისათვის რუსეთში ცარიზმის სასარგებლოდ. ვილგელმ II-ის იმპერიალისტურ გეგმას სააშკაროდ ხდის რუსეთის გენერალური კონსულის ეიხდერის წერილი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან — ლამზდორფთან, რომელიც დათარიღებულია 1905 წ. 20 (7) მაისით. ეიხდერი სხვათაშორის წერს: „იმპერატორი განსაკუთრებით შეშფოთებულია ჩვენი შინაური საქმეებით... მას აქვს თავისი მოსაზრებით მთელი სურათი ღონისძიებათა რუსეთში წესრიგის დასამყარებლად" [1] და სხვ... ვილგელმ II-ს არც მტაცებელი ინგლისი ჩამორჩა და რუსეთში რევოლუციის ჩასახშობად შავ ზღვაზე აგზავნის ორ კრეისერს, ვითომდა ინგლისელ ქვეშევრდომთა დასახმარებლად, რომლის გეგმასაც ააშკარავებს რუსეთის ელჩი კონსტანტინოპოლში — ზინოვიევი. ამრიგად ლენინის გენიალური გამოთქმით: ევროპული კონტრრევოლუცია ხელს უწვდიდა რუსეთის კონტრრევოლუციას. საფრანგეთის, იაპონიის, ა. შ. შტ. და სხვათა •იმპერიალისტური ღონისძიებანი მიზნად ისახავდნენ რუსეთში რევოლუციის ჩახშობას და რუსი ხალხის დამონებას, ნამდვილად: „რუსეთის პირველი რევოლუციის ამბებმა ცხადყო, რომ საერთაშორისო რეაქციის მთავარი დასაყრდენი, დასავლეთში მუშათა მოძრაობისა და აღმოსავლეთში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩამხშობი იყო უკვე არა ცარიზმი, არამედ დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური ბურჟუაზია, რომელიც ცდილობდა ეხსნა ცარიზმი რევოლუციისაგან" [2].

იმპერიალისტურ მტაცებლებს გვერდში ამოუდგა საერთაშორისო სოც. დემოკრატია, გამყიდველი II ინტერნაციონალი — ვანდერველდეს, კაუცკის, ბაუერის, რენნერის, ადლერის და სხვათა სახით, რომლებიც ევროპის მუშებს მოუწოდებდნენ არ მიეღოთ მონაწილეობა რევოლუციაში და „მშვიდობიანი" გზით მოეპოვებინათ თავიანთი უფლებები. ევროპის ქვეყნების მუშებმა საკმაოდ ვერ გამოიყენეს რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის ძალა, რადგანაც მათ არ ჰყავდათ ბრძოლებში გამოწრთობილი მარქსისტური ახალი ტიპის ბოლშევიკური პარტია და მათი მოქმედება

---

[1] ეიხდერი, საგარეო საქმეთა მინისტრი — ლამზდორფს 1905 წ. 20 (7) მაისი. ციტირებულია ჟურნალ „Ист. марксист", წ. I, 1936 წ.

[2] რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები).

ზოგ შემთხვევაში სტიქიურად წარმოებდა. შემდეგში კი „რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციურმა პრაქტიკამ სერიოზული ლახვარი ჩასცა II ინტერნაციონალის ოპორტუნისტებს, დაადასტურა რა შემოქმედებითი მარქსიზმის დიდი სასიცოცხლო ძალა, ლენინიზმის თეორიისა და ტაქტიკის უდიდესი მნიშვნელობა პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლაში“ [1].

რუსეთის პირველი რევოლუცია მარცხით დამთავრდა. ცარიზმის გამარჯვებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ არ იყო მიღწეული მუშათა და გლეხთა მტკიცე კავშირი. მენშევიკური პარტიის გამყიდველური პოლიტიკა არღვევდა მუშათა კლასის მთლიანობას და რევოლუციის მსვლელობას ხელოვნურად ბორკავდა. მენშევიკურმა პარტიამ ბურჟუაზიასთან და მემამულეთა კლასთან შეკრა ბლოკი. არმია არ გადავიდა რევოლუციის მხარეზე. რევოლუციის დროებითი დამარცხების მიუხედავად, მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან რევოლუციამ გამოაფხიზლა და პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოიყვანა ფართო მასები. ასეთი რამ ისტორიამ მანამდის არაფერი იცოდა. მშრომელთა ფართო მასები მტკიცედ დარწმუნდნენ, რომ მათი გამარჯვება შეიძლებოდა მხოლოდ პროლეტარიატისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობითა და ბელადობით. გენერალურმა რეპეტიციამ — რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის სახით — შემდგომში უზრუნველყო ძლევამოსილი დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

რუსეთის პირველ სახალხო რევოლუციის დამარცხებამ, რევოლუციისა, რომელმაც უდიდესი გამოძახილი და გავლენა პოვა მთელ მსოფლიოში, თავისებური დაღი დაასვა რევოლუციის მსვლელობას მსოფლიო მასშტაბითაც. საერთაშორისო ბურჟუაზია, რომელიც რუსეთის რევოლუციის სახით დიდი განსაცდელის წინაშე დადგა, იძულებული შეიქნა ერთიანი ფრონტით გამოსულიყო რუსეთის რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ, რომლის ორგანიზატორებად უფრო აქტიურად გამოვიდნენ: ინგლისი, გერმანია და საფრანგეთი, აღნიშნული სახელმწიფოები მზად იყვნენ თოფიარაღთან ერთად მილიონები და მილიარდები გაეღოთ, რათა რუსეთში ცეცხლი შეეჩერებინათ“. რუსეთის პირველმა რევოლუციამ უდიდესი რევოლუციური აღტყინება და ენთუზიაზმი გამოიწვია ევროპის მუშებში, რაც რევოლუციის მსვლელობის დროს ინტერნაციონალურ სოლიდარობაში გადაიზარდა. ევროპაში 30 წლის რეაქ-

[1] რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თბილისები).

ციის ბატონობის შემდეგ რუსეთის პირველი რევოლუციის უშუალო შედეგად რევოლუციური გამოცოცხლება დაიწყო. ევროპის მუშებს მასიურად გადაჰქონდათ რუსეთის მუშათა კლასის გაბედული ბრძოლის მაგალითები და თავიანთ მთავრობებს რუსეთის რევოლუციის მსგავსად რევოლუციით ემუქრებოდნენ.

ამრიგად, რუსეთის პირველი რევოლუცია თანდათან გადაიქცა საერთო პროლეტარულ ბრძოლად იმპერიალიზმის წინააღმდეგ. რევოლუციები თურქეთში, სპარსეთში, ჩინეთში და რევოლუციური გამოეხმაურება აზიის ქვეყნებში ამტკიცებდა, რომ „1905 წლის ძლევამოსილმა აჯანყებამ ღრმა კვალი დატოვა და რომ მისი გავლენა, რომელიც აშკარავდება მრავალი ასეული მილიონი ადამიანის წინააღმდეგ მოძრაობაში, შეუძლებელია აღმოიფხვრას“ [1].

რუსეთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ საერთაშორისო იმპერიალიზმმა იოლად შეძლო ჩაეხშო რევოლუციური მოძრაობა დასავლეთში და აღმოსავლეთში, მაგრამ ეს იყო დროებით, რადგანაც რუსეთის მუშათა კლასის ხელმძღვანელობით საერთაშორისო მუშათა კლასმა გაბედულად დასახა თავისი ამოცანები შემდგომი შეტევისათვის კაპიტალის წინააღმდეგ.

განვლილი 50 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ხალხებმა დიდი რუსი ხალხის მეთაურობით, სახელოვანი კომუნისტური პარტიის ბრძნული წინამძღოლობით სამი რევოლუციის საბრძოლო გზა განვლეს, გზა შეუპოვარი ბრძოლისა და გამარჯვებისა. პირველი რევოლუციის პერიოდში რუსეთის მუშათა კლასმა ბრძოლის კლასიკური მაგალითი მისცა საერთაშორისო პროლეტარიატს — მეფეთა ტახტებისა და გაბატონებული კლასების დასამხობად. რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის ჭარიშხალმა ელვისებურად გადაიარა დასავლეთსა და აღმოსავლეთში, რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში პოლიტიკურად მოდუნებული ევროპელი მუშა გამოაფხიზლა და პარიზის კომუნართა სახელოვანი ბრძოლის მაგალითები მოაგონა, ხოლო ევროპის გვირგვინოსანი და უგვირგვინო მეფეები შეაშფოთა და საგონებელში ჩააგდო. გარკვეულმა მიზეზებმა ვერ უზრუნველყვეს რუსეთის მუშათა კლასის გამარჯვება აღნიშნულ ეტაპზე, რადგანაც საერთაშორისო და საკუთარმა ტირანებმა დაამარცხეს რევოლუციური ძალები, მაგრამ ეს იყო დროებით. პროლეტარიატმა მიიღო საუკეთესო გაკვეთილი და ჭიდევ უფრო მაღლა ასწია თავისი პოლიტიკური და კლასობრივი ბრძო-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 23, გვ. 331.

ლის დროშა. გენერალური რეპეტიციის შემდეგ რუსეთის მუშათა კლასი მშრომელ გლეხობასთან ერთად ემზადებოდა ახალი კიდევ უფრო მძლავრი დარტყმისათვის. ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუცია დიდ გრიგალად იქცა, რომელმაც სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა მსოფლიო კაპიტალიზმს. რუსეთში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებით, დაიწყო ახალი ერა მსოფლიო ისტორიაში; ძლევამოსილმა ოქტომბერმა გამარჯვების სრული რწმენის იმედი ჩაუნერგა მსოფლიო პროლეტარიატს და მიუთითა იმ გზებზე და ბრძოლის საშუალებაზე, რომლებითაც შეიძლება კაპიტალის ქვეყნებში მუშათა კლასმა დაამსხვრიოს კაპიტალიზმის ბატონობა და მოიპოვოს გამარჯვება. რუსეთის მუშათა კლასის მაგალითზე ამ საამაყო და ბედნიერ გზას დაადგნენ დასავლეთ ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები და დიდი ჩინელი ხალხი. „ამას მკაფიოდ მოწმობს ის, რომ შეიქმნა და განმტკიცდა დემოკრატიული და სოციალისტური ბანაკი, რომლის ავანგარდში დგას საბჭოთა კავშირი“ [1].

საბჭოთა ქვეყნის ძლევამოსილი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის საქმეში და გიგანტური ნაბიჯით წინსვლა კომუნიზმის გამარჯვებისაკენ, როგორც ისტორიულ-კანონზომიერი მოვლენისაკენ, — აძრწუნებს მსოფლიო იმპერიალისტურ ყაჩაღებს, რომელთაც სათავეში უდგას ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური მთავრობა და მას მხარს უმშვენებს ახალი ფაშისტური ხროვა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ისტორიული კანონზომიერებით, როდესაც დღეს ყველა გზები კომუნიზმისაკენ მიდის, მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებას ვერავინ შეაჩერებს. განვლილი რევოლუციებისა და ომების ისტორია მეცნიერულად ასაბუთებს კაპიტალიზმის დამარცხებას და კომუნიზმის გამარჯვებას. საბჭოთა ხალხები, დემოკრატიულ ხალხებთან ერთად, დღეს უფრო მედგარი და ძლიერნი არიან, ვიდრე ოდესმე. ამიტომაა, რომ „საბჭოთა ადამიანები კანონიერი სიამაყის გრძნობით ავლებენ თვალს განვლილი გზის დიდებულ შედეგებს. ჩვენი სამშობლო მტკიცედ მიდის წინ, მთელი მსოფლიოს წინაშე გამოდის როგორც პროგრესის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბურჯი“ [1].

(შემოვიდა რედაქციაში 15. III. 1955)

[1] რუსეთის პირველი რევოლუციის ორმოცდაათი წელი (თეზისები).

И. И. МАТАРАДЗЕ

ОТКЛИКИ ПЕРВОЙ РУССКОЙ РЕВОЛЮЦИИ В ЗАПАДНОЙ ЕВРОПЕ

Р е з ю м е

„Революция в России вызвала горячее сочувствие западноевропейского пролетариата к революционной борьбе рабочих и крестьян России. Волна стачек, протеста и демонстраций охватила все крупнейшие страны Европы“ [1].

Первая русская революция оказала огромное воздействие на развитие революционного движения во всем мире. Рабочие многолюдные демонстрации, митинги и политические стачки, происходившие в дни первой русской революции во всей Европе, выявляли горячее сочувствие и солидарность рабочего класса с борющимися русскими рабочими и крестьянами. Под знаком пролетарской солидарности состоялись мощные демонстрации протеста против расстрела безоружных рабочих царским правительством (В Вене, Триесте, Кракове, Львове, Париже, Берлине и др. городах).

На рабочих собраниях раздавались бурные возгласы: „Да здравствуют русские борцы за свободу!“, „Да здравствуют революционная Россия и его герои!“ и др. В особенности горячий отклик русской революцией был вызван в Австро-Венгрии, что способствовало усилению борьбы славянского населения против гнета гамбургской монархии. Движение сочувствия русской революции охватило все слои прогрессивной общественности. „Дело революции, за которое полвека назад развернулась первая героическая битва народов России, ныне неизмеримо выросло и окрепло.

Ярким свидетельством этого является образование и укрепление демократического и социалистического лагеря, в авангарде которого идет Советский Союз“ [2].

[1] Пятьдесят лет первой русской революции (тезисы).

[2] Там же, стр. 35.

ალ. ფულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

გ. სანაძე

საქართველოში სიმინდის წარმოების საკითხისათვის

სოციალისტური წარმოების მიზანია მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ამ მიზნის მისაღწევი საშუალებაა სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდა და სრულყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე.

კომუნისტური პარტია განუხრელად ახორციელებდა და ახორციელებს მძიმე ინდუსტრიის ყოველი ღონისძიებით განვითარების სწორ ხაზს. კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანა არის შემდგომი აღმავლობა მძიმე ინდუსტრიისა, რომელიც შეადგენს საბჭოთა კავშირის მთელი სახალხო მეურნეობისა და ურყევი თავდაცვისუნარიანობის მტკიცე საფუძველს, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების წყაროს. საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შექმნა ყოველმხრივ განვითარებული მძიმე ინდუსტრია, რომლის ბაზაზეც შესაძლებელი გახდა სოფლის მეურნეობის აღჭურვა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების პირველხარისხოვანი ინდუსტრიული ტექნიკით, რითაც გადაწყდა უმნიშვნელოვანეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის პრობლემა.

სოციალისტური სოფლის მეურნეობა დიდ როლს თამაშობს სოციალისტური წარმოების მთავარი ამოცანის შესრულებაში. იგი ამარაგებს მოსახლეობას სურსათით და მრეწველობას — სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს სწორი პროპორციების დამყარებას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის. მან უნდა უზრუნველყოს მრეწველობის წამყვანი როლი, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობრივი წარმოების შემდგომი განუწყვეტელი ზრდა.

მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით 1926 წლიდან 1952 წლამდე ქალაქის მოსახლეობა გადიდდა სამჯერ და უფრო მეტად, ამასთან ერთად განუწყვეტლივ იზრდება მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი და კოლმეურნეთა შემოსავალი. ამის გამო სოფლის მეურნეობას საბჭოთა ხალხი ამჟამად უყენებს უფრო მეტ მოთხოვნებს ვიდრე წინათ.

საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობრივი წარმოების არსებული დონე ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მუდმივად მზარდ მოთხოვნილებებს კვების პროდუქტებზე და მსუბუქი მრეწველობის მოთხოვნილებებს ნედლეულზე.

სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამა მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტის, ივნისისა და იანვრის პლენუმების დადგენილებებში, პარტიისა და მთავრობის გამოჩენილ მოღვაწეთა მოხსენებებსა და სიტყვებში.

სოფლის მეურნეობრივი წარმოების შემდგომი განვითარება აუცილებლობით მოითხოვს მისი საფუძვლის — მარცვლეულის მეურნეობის განვითარებას. მარცვლეულის წარმოების ამჟამად არსებული დონე როგორც პროდუქციის საერთო მოსავლის, ისე მისი სასაქონლო ნაწილის მხრივ ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მზარდ საჭიროებებს.

მარცვლეულის წარმოების მკვეთრად გადიდების აუცილებლობა გამოწვეულია შემდეგი მიზეზებით:

1. ხალხის კეთილდღეობის განუხრელი ზრდის შედეგად სასურსათო და სამრეწველო საქონელზე მოთხოვნილების განუწყვეტელი ზრდა;

2. მოსახლეობის სწრაფი ზრდის შედეგად პურსა და სხვა პროდუქტებზე მოთხოვნილების ზრდა;

3. ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მოსახლეობის ზრდის გამო სასაქონლო სურსათზე საერთო მოთხოვნილების ზრდა;

4. მარცვლეულის მძლავრი რეზერვების აუცილებლობა;

5. საგარეო ვაჭრობისათვის მარცვლეულის საკმაო ფონდის არსებობის აუცილებლობა;

6. ფურაჟის წარმოების მკვეთრად გადიდების აუცილებლობა (ეს მთავარი მიზეზია).

მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდების წყაროებია:

1. მოსავლიანობის გადიდება ყველა ფართობზე;

2. დანაკარგების შემცირება მოსავლის აღებისას;

3. ყამირი და ნასვენი მიწების ათვისება;

4. სიმინდის ნათესების გაფართოება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმი, გამოვიდა რა იქიდან, რომ ჩვენში არსებობს ყოველგვარი პირობა მარცვლეულის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, ადგენს:

1. უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ამოცანად ჩაითვალოს მარცვლეულის მეურნეობის განვითარება იმ ოდენობით, რომელიც 1960 წლისათვის მარცვლეულის საერთო მოსავალს ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყოფს სულ ცოტა 10 მილიარდი ფუთის ოდენობით წელიწადში;

2. ყამირ და ნასვენ მიწებზე ნათესები 1956 წელს გაფართოვდეს სულ ცოტა 28—30 მილიონ ჰექტარამდე;

3. 1960 წლისათვის სიმინდის ნათესი ფართობები აყვანილ იქნას სულ ცოტა 28—30 მილიონ ჰექტარამდე.

პარტია დიდ ყურადღებას აქცევს სიმინდის წარმოების განვითარებას. სიმინდს აქვს მთელი რიგი ძვირფასი მეურნეობრივი თვისებები, რაც აპირობებს მის დიდ მნიშვნელობას სახალხო მეურნეობაში. სიმინდი, როგორც სასურსათო მცენარე, ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მისგან მიღებული პროდუქტების მაღალი ხარისხის მხრივ. სიმინდის ფქვილისაგან აცხობენ პურს (საქართველოში მას „მჭადს“ ეძახიან); ამზადებენ ე. წ. „ღომს“, ხმარობენ საჭმელად მთლიან მარცვლადაც. სიმინდის ფქვილი გამოყენებულია პურის ცხობის წარმოებაში, უმთავრესად ხორბლის ფქვილში შესარევად და პურ-ფუნთუშების ნაკეთობათა დასამზადებლად. დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდის ფქვილს ბისკვიტის წარმოებაშიც. სიმინდის მარცვალს, როგორც საქონლის საკვებს, თავისი კალორიულობით, შეცვლობის ხარისხითა და ცხოველის მიერ გამოყენების მაღალი კოეფიციენტით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს საკვებ საშუალებათა შორის. სიმინდისაგან დამზადებული სილოსი თავისი ყუათიანობის მიხედვით სჯობნის ყველა სხვა მასალისაგან დამზადებულ სილოსს. სიმინდის მარცვლის გადამუშავებისას მიღებული ნარჩენები კარგი საკვებია პირუტყვისათვის. მცირე კვებითი ღირებულება არ აქვს მის ჩალასაც, რომელიც ამ მხრივ შეუდარებლად უკეთესი ხარისხისაა ვიდრე თავთავიანი პურეულის ნამჯა ან ბზე.

სიმინდს აქვს უპირატესობა აგროეკონომიკური და აგროტექნიკური თვალსაზრისითაც:

1. მოსავლიანობის მხრივ სიმინდს აშკარა უპირატესობა აქვს სხვა მარცვლეული პურეულის წინაშე (გარდა ბრინჯისა);

2. ის შედარებით ნაკლებად განიცდის ამინდის არახელსაყრელ პირობათა გავლენას, რაც აპირობებს მისი მოსავლის სიმყარეს;

3. სიმინდი თავთავიანებზე უკეთ იტანს გაზაფხულის გვალვებს და კარგად იყენებს ზაფხულის ნალექებს. ამიტომ სიმინდი წარმოადგენს ერთგვარ დამზღვევ კულტურას;

4. იმ რაიონებში, სადაც მარცვლეულის ხვედრითი წონა მაღალია, თავთავიანების ნაწილობრივი შეცვლა სიმინდით აადვილებს აგროტექნიკურად უფრო სწორი თესლბრუნვის შემოღებას;

5. სიმინდი, როგორც სათოხნი კულტურა, კარგი წინამორბედია თავთავიანი კულტურებისათვის;

6. ზოგან შესაძლებელია სიმინდთან ერთად, შერევით ან შეთესვით, სხვა კულტურის მოყვანა;

7. მრავალ ადგილას თავთავიანი კულტურის აღების შემდეგ შესაძლებელია სიმინდის დათესვა სანაწვერალო კულტურის სახით;

8. ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში შესაძლებელია წელიწადში სიმინდის ორი მოსავლის მიღება, თუ ის აღებული იქნება რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სტადიაში.

ასეთია სიმინდის მნიშვნელობის არაამომწურავი დახასიათება.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ ხორბლის წარმოების მოცულობით ჩვენ გავუსწარით აშშ-ს და პირველი ადგილი გვიკავია მსოფლიოში. აშშ-ს გავუსწარით ერთ სულ მოსახლეზე ხორბლის წარმოების მხრივაც. პარტია ითვალისწინებს ხორბლის მოსავლის გადიდებას მომავლისთვისაც; მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საფურაჟე კულტურების მხრივ საქმის ვითარება გაცილებით უფრო ცუდია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია, რომ სიმინდი, როგორც ყველაზე მოსავლიანი მარცვლეული კულტურა, ფართოდ უნდა გავრცელდეს ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში. მექანიზაციის თანამედროვე დონის პირობებში სიმინდი სხვა კულტურებთან შედარებით ალარ არის შრომატევადი კულტურა. ახლა არის შესაძლებლობა სიმინდი დაითესოს კვადრატულ-ბუდობრივი წესით, მოხდეს მისი მექანიზებული დამუშავება ორივე მიმართულებით და მოსავალი აღებულ იქნას კომბაინებით.

სიმინდი იმით არის ძვირფასი, რომ ეს კულტურა ერთსა და იმავე დროს წყვეტს ორ ამოცანას — მარცვლეულის რესურსების შევსებასა და სიმინდის ღეროსაგან კარგი სილოსის მიღებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული პლენუმი გვავალებს:

1. უხვი მოსავლის მისაღებად სიმინდი უნდა დავთესოთ კვადრატულ-ბუდობრივად;

2. გავაფართოოთ სამარცვლე სიმინდის ნათესები, განვავითაროთ მეთესლეობა უკრაინის სამხრეთ და ცენტრალურ რაიონებში, მოლდავეთში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ამიერკავკასიაში;

3. სამხრეთ რაიონებში მიზანშეწონილია სიმინდის ნათესების ნაწილი ავიღოთ რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სტადიაში;

4. საქართველოს, კრასნოდარის მხარის შავი ზღვის სანაპირო ზონაში, აგრეთვე შუა აზიის მთელ რიგ რაიონებში უზრუნველყოფილ იქნას წელიწადში სიმინდის ორი მოსავლის მიღება და იგი აღებულ იქნას რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სტადიაში, რათა გადიდდეს პირუტყვის საკვები რესურსები;

5. სიმინდის ნათესების გაფართოება მიზანშეწონილია წარმოებდეს ნაკლებმოსავლიანი მარცვლეული საკვები კულტურების შეცვლით, ნაკლებპროდუქტიული მდელოებისა და საძოვრების მოხვნით. შესაძლებლად იქნას მიჩნეული აგრეთვე სიმინდის თესვა ანეულის მინდვრების ნაწილზე;

6. უახლოეს 2—3 წელიწადში დაითესოს მხოლოდ ჰიბრიდული თესლი;

7. მოვახდინოთ სიმინდის წარმოების სრული მექანიზაცია. გავხადოთ სიმინდი წამყვან კულტურად მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში;

ქართველი ხალხი პრაქტიკულად შეუდგა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

საქართველოში სიმინდი ერთ-ერთი ძირითადი მარცვლეული კულტურაა. ქართველ ხალხს სიმინდის წარმოების დიდი გამოცდილება აქვს. საქართველოს მიწა-წყალი ევრაზიის კონტინენტზე სიმინდის და ნერგვისა და გავრცელების ერთ-ერთი პირველი კერაა.

* * *

სიმინდის კულტურის სამშობლო არის მექსიკა. ევროპელები არ იცნობდნენ ამ კულტურას ამერიკის აღმოჩენამდე. კოლუმბის ექსპედიციამ პირველად ნახა მათთვის უცნობი მცენარე — სიმინდი ყარაიბის ზღვის კუნძულებზე.

სიმინდის, როგორც კულტურული მცენარის, წარმოქმნა ამერიკელ მკვიდრთა მეურნეობრივი საქმიანობის შედეგია. მაგრამ

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვაგვარ მცენარეთა მოშენებისა და კულტურულ მცენარეთა შექმნის მხრივ ამერიკა დიდად ჩამორჩებოდა აღმოსავლეთის კონტინენტს.

მაშინ, როდესაც აღმოსავლეთის კონტინენტს, ე. წ. ძველ ქვეყანას, უკვე გააჩნდა კულტურული მარცვლეულის ყველა სახეობა გარდა სიმინდისა, დასავლეთის კონტინენტს, ამერიკას, კულტურული პურეულიდან ჰქონდა მხოლოდ ერთი — სიმინდი [1].

ქართველი ხალხი ცსოფლიო კულტურის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მის წინაპრებს გარკვეული ღვაწლი მიუძღვით ძირითადი სასურსათო პურეულის, ხორბლის, კულტურულ მცენარედ ჩამოყალიბების საქმეში. საქართველო ხორბლის ძველი კულტურის ქვეყანაა [2].

სიმინდი (მარცვლად) შემოტანილ იქნა ევროპის კონტინენტზე XV საუკუნის ბოლოს, როგორც ჩანს, კოლუმბის ექსპედიციის მიერ. ქ. სევილიის (ესპანეთი) ოფიციალურ აქტებში, რომლებიც დათარიღებულია 1500 წლით, უკვე იხსენიება სიმინდი [3].

ევროპაში (და საერთოდ აღმოსავლეთის კონტინენტზე) სიმინდის კულტურა პირველად შევიდა და დაინერგა ესპანეთსა და იტალიაში XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დამდეგს. ამ ქვეყნებიდან ის თანდათან გავრცელდა ჯერ ევროპის სამხრეთ ნაწილში, ხოლო შემდეგ სხვაგანაც [4].

სიმინდის კულტურა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პირველად საქართველოში შემოვიდა და დაინერგა [5].

თუ როდის და რომელი ქვეყნიდან შემოვიდა სიმინდის კულტურა საქართველოს მიწა-წყალზე არაა ზუსტად დადგენილი.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, სიმინდის კულტურა შემოსული უნდა იყოს საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, XVII საუკუნის დამდეგს [6].

ამ დასკვნის გაკეთებისას ის ეყრდნობოდა არქანჯელო ლამბერ-

[1] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1950 წ., გვ. 214.

[2] ვ. მენაბდე, საქართველო ხორბლის ძველი კულტურის ქვეყანაა, თბილისში წაკითხული საჯარო ლექციის სტენოგრამა, თბილისი, 1950, გვ. 3—10.

[3] ი. ნ. ლომოური, მარცვლეული კულტურები, ნაწ. II, 1950, გვ. 23.

[4] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი პირველი, ტფილისი, 1930, გვ. 363.

[5] პ. გუგუშვილი, სიმინდის მეურნეობა ამიერკავკასიაში (1801—1920 წ.წ.) საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 4, თბილისი, 1946, გვ. 231.

[6] ივ. ჯავახიშვილი, დასაბეჭდებული შრომა, გვ. 363.

ტის თხზულების („სამეგრელოს აღწერა“) ქართულ თარგმანს. მასში დასახელებულია სიმინდი სამეგრელოს პურეულ კულტურებს შორის (არქ. ლამბერტი, „სამეგრელოს აღწერა“, იტალიურიდან ნათარგმნი ალექსანდრე ჭყონიასი, 1901, ტფილისი, გვ. 58). თარგმანში „სიმინდი“ მოცემულია იტალიურ „Miglio“-ს ქართულ შესატყვისად. სინამდვილეში „Miglio“ ნიშნავს არა სიმინდს, არამედ „ფეტვს“ [1].

ამრიგად, ლამბერტის თხზულებაში სიმინდი არ იხსენიება. ამ საფუძველზე სხვა ავტორთა უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებულ შრომებში უარყოფილია ივ. ჯავახიშვილის შეხედულება საქართველოში სიმინდის კულტურის შემოტანის პერიოდის შესახებ.

ლ. დეკაპრელევიჩი ფიქრობს, რომ სიმინდი შემოტანილია საქართველოში XVII საუკუნის შუა ხანებში, ყოველ შემთხვევაში ამ საუკუნის ბოლოს მაინც [2].

პ. გუგუშვილის შეხედულებით, უფრო დასაჯერებელია, რომ სიმინდი შემოვიდა საქართველოში XVII საუკუნის შუა ხანებში [3].

ს. ჯიქია საქართველოში სიმინდის კულტურის შემოსვლის პირველ პერიოდად XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისს თვლის [4].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოხსენებულ ავტორთა ნაწილს ამ მოსაზრების გამოთქმისას მხედველობაში აქვს საქართველოს დღევანდელი ტერიტორიული ფარგლები.

საქართველოში სიმინდის კულტურის შემოსვლისა და დანერგვის პერიოდის გარკვევისას ჩვენ მხედველობაში გვაქვს ქართველთა მთელი მიწა-წყალი, მათ შორის ამჟამად თურქეთის რესპუბლიკაში შემავალი ლაზისტანიც.

გერმანელ ბოტანიკოს Bocka-ს მონაცემების მიხედვით, 1532 წელს არსებობდა სიმინდის კულტურა ანატოლიაში. ის აღნიშნავს, რომ გერმანიაში სიმინდის თესლი შეტანილ იქნა ანატოლიიდან და არაბეთიდან [5].

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949, გვ. 564.

[2] Л. Декапрелевич, Из истории появления и распространения кукурузы в Грузии, „Социалистическое растениеводство“, № 13, 1934 г., გვ. 46.

[3] პ. გუგუშვილი, დასახელებული შრომა, გვ. 231.

[4] ს. ჯიქია, „ლაზეთ“ სიტყვის წარმოშობისათვის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 2, 1944, გვ. 232.

[5] Жуковский, Земледельческая Турция; Кожухов, Кукурузы Турции, 1933, გვ. 232.

XVI საუკუნის ანატოლიაში სიმინდი ფართოდ იყო გავრცელებული და ის „ლაზუტის“ ანუ „ლაზური მცენარის“ სახელით იყო ცნობილი. ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში მას „ლაზურ პურს“ უწოდებდნენ[1].

თურქეთში სიმინდი ცნობილია ორი სახელწოდებით: ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიაში სიმინდს „ლაზუტს“ („ლაზურ მცენარეს“) ეძახიან, თურქეთის სხვა ადგილებში კი „მისირს“[2] („ეგვიპტეს“), რაც იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ თურქეთს სიმინდის კულტურა შეუთვისებია ქართველებისა და ეგვიპტელებისაგან. ანატოლიაში სიმინდის კულტურის მიმღებნი, ამთვისებლები და გამავრცელებლები იყვნენ ლაზები.

XVI საუკუნეში ოსმალო თურქებს, ანატოლიაში მაგრად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული და აქედან სიმინდი თურქების სახელით გადიოდა. ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ევროპის ზოგ ქვეყანაში სიმინდს „თურქულ მარცვალს“ უწოდებდნენ, ხოლო აღმოსავლეთში — „თურქულ ხორბალს“. ლაზები არიან სიმინდის კულტურის ერთ-ერთი პირველი ამთვისებლები და გამავრცელებლები ევრაზიაში. ლაზისტანიდან სიმინდის კულტურა გავრცელდა მთელს საქართველოსა და ამიერკავკასიაში, აქიდან რუსეთში და სხვაგანაც.

1639 წელს მოსკოვიდან სამეგრელოში (ლევან დადიანთან) დესპანებად გამოგზავნეს თევდორე ელჩინი და პავლე ზახარევი. მათ დაგვიტოვეს სამეგრელოს დაწვრილებითი აღწერილობა, რომელშიც მოცემულია საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის დამახასიათებელი ბევრი მნიშვნელოვანი ცნობა. მათ შორის არის მასალები საქართველოს მარცვლეულის მეურნეობის შესახებ, მაგრამ აქ არაფერია ნათქვამი სიმინდის კულტურის შესახებ.

რუსეთის მეფე ალექსიმ, კახეთის მეფე თეიმურაზსა და იმერეთის მეფე ალექსანდრეს დესპანებად გამოუგზავნა ნიკიფორე ტოლოჩანოვი და ვლექსი იევლევი 1650 წელს. ამ რუს ელჩთა მოხსენებანი საგულისხმო ცნობებს შეიცავენ იმდროინდელი საქართველოს მეურნეობრივი ვითარების გასათვალისწინებლად. აღნიშნულ მოხსენებებში არ ჩანს სიმინდის კულტურის არსებობა იმერეთსა და კახეთში, და საერთოდ საქართველოში).

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 320.

[2] Русско-турецкий словарь, 1946, გვ. 79, 129.

ეჭვს გარეშეა რომ რუსი ელჩები არ იძლევიან საქართველოში გავრცელებულ „თესლ-მარცვლეულთა“ სრულ სიას. იმერეთის მარცვლეული პურეულიდან ისინი ასახელებენ ხორბალს, ქერს, ფეტვს, ღომს, შვრიას, ბრინჯს; სადადიანოს მიწა-წყლის მარცვლეული პურეულებიდან — ხორბალს, ქერს, შვრიას, ფეტვს, ბრინჯს, ღომს.

ფრანგი მოგზაური ტავერნიე ექვსჯერ იყო აღმოსავლეთში 1636—1663 წლებში. ამ მოგზაუროაბათა აღწერილობაში საინტერესო ცნობებია მოცემული საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი მხარის შესახებ. ტავერნიე არ იხსენიებს სიმინდის კულტურას.

ცნობილია აგრეთვე, ფრანგი მოგზაურისა და ვაჭრის ჟ. შარდენის მიერ მოცემული XVII საუკუნის 70-იანი წლების საქართველოს საკმაოდ ვრცელი აღწერილობა (ჟ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, 1935) ის არ ასახელებს სიმინდის კულტურას საქართველოში გავრცელებულ მარცვლეულ პურეულთა შორის (ღომი, ფეტვი, ბრინჯი, ხორბალი და ქერი).

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არქანჯელო ლამბერტის თხზულებას — „სამეგრელოს აღწერა“, რომელიც დაიბეჭდა ნეაპოლში 1654 წელს. ლამბერტი იყო იტალიის მისიონერი სამეგრელოში 1633—1649 წლებში. ამ ხნის განმავლობაში მან ქართული ენაც შეისწავლა და ჩვენი ხალხის ზნეჩვეულებებსაც გაეცნო. „სამეგრელოს აღწერა“ წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს საქართველოს, უპირატესად სამეგრელოს, მეურნეობის ისტორიისათვის. ამ თხზულებაში არსად არ არის ნახსენები სიმინდის კულტურა.

„სიმინდი“ პირველად მოხსენებულია ფარსადან გორგიჯანიძის „ქართულ-არაბულ-სპარსულ ლექსიკონში“ (XVII საუკუნის მეორე ნახევარი). „სიმინდრი“ („სიმინდი“) მისი განმარტებით არაბულ „ზორათსა“ და სპარსულ „არზანს“ შეესატყვისება. ფარსადანს „არზანი“ „ფეტვის“ შესატყვისადაც აქვს დასახელებული და, მართლაც, „არზანი“, სპარსულად სწორედ „ფეტვს“ ნიშნავს [1].

ზემოაღნიშნულის საფუძველზე არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფარსადანი კარგად ვერ ერკვეოდა სიმინდის კულტურის რაობაში. ლექსიკონის შედგენის დროს სიმინდი შედარებით ახალი კულტურა უნდა ყოფილიყო სპარსეთისათვის, მას არ გააჩნდა საკუთრივ სპარსული სახელი. „ზორათს“ (არაბული სიტყვაა) „ფეტვის“ მნიშვნელობაც აქვს და „სიმინდისაც“ [2].

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1930 წ, გვ. 363.

[2] ფ ა რ ს ა დ ა ნ გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი, თბილისი, 1941 წ.. გვ. 36.

ვინაიდან სპარსულ ენაში ამ ახალი კულტურის (სიმინდის) სახელწოდება არ მოიპოვებოდა ფარსადანმა მის შესატყვისად „ფეტვი“ აირჩია (სიმინდი ფეტვნაირებს ეკუთვნის). თანამედროვე სპარსულში სიმინდის არაბული სახელი, „ზორათი“, არის დამკვიდრებული. გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში სიმინდს „ფეტვს“ ეძახდნენ. მაგალითად ის „სირიის ფეტვის“ სახელითაც არის ცნობილი.

საბას ლექსიკონში არის სიტყვა „სიმინდი“, რომელიც მხოლოდ მცენარის (ბალახის) აღმნიშვნელი სიმბოლოთი არის განმარტებული[1].

ლექსიკონში სიმინდის დახასიათების მოუცემლობა საფუძველს არ გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სიმინდის კულტურა ახალი შემოსული იყო საქართველოში და საბა კარგად არ იცნობდა მას.

საბას ბალახის ნიშნით აქვს მოცემული არა მხოლოდ სიმინდი, არამედ საქართველოს ძველი პურეული კულტურებიც: ფეტვი[2], ღომი[3] და სხვ.

საბა მოგზაურობდა ევროპაში, სიმინდის მომყვან ქვეყნებში (იტალია, საფრანგეთი), 1713—1716 წლებში და, მაშასადამე, მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო სიმინდის წარმოება საზღვარგარეთის ქვეყნებშიც.

XVIII საუკუნის ცნობილი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ასახელებს სიმინდს საქართველოს სასურსათო თესლმარცვლეულთა შორის. ის წერს:

„გარნა არს ქვეყანა მშვენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა ღვთისა მიერ, და არა კელოვნებათა კაცთათა, რამეთუ ნაყოფიერებს ყოველნი თესლ-მარცვალნი კაცთა საზრდელნი: ბრინჯნი, კორბალნი, ქრთილი, შვრიგა, სიმინდი, ღომი, ფეტვი, მუხუდო, ლობიო, ოსპი, ცერცვი, საკადრისი, ძაძა, მაშა, უგრეხელი, კანაფი, სელი და სხვანიცა“[4].

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ცალკეული კუთხეებისა და ადგილების დახასიათებისას ვახუშტი მხოლოდ ერთხელ იხსენიებს სიმინდს — ხეფინის ხევის აღწერის დროს. ვახუშტი წერს:

„და არს ხეობა ესე კეფინის-კევი მოსავლიანი, ვენახოვანი ხილიანი. ჭართლისაგან მეტი არს აქა ღომი, ხურმა, წაბლი, რო-

[1] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, გვ. 317.

[2] იქვე, გვ. 358.

[3] იქვე, გვ. 381.

[4] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 29.

მელი მთას იქითი დავსწერეთ, ქვიშხეთის დასავლით, იგინიცა ესრეთვე ჰგონე. არს ცხოვარი უდუმო, სთესენ სიმინდსა მრავალსა. ხოლო ადგილები ესენი, რომელნი აღვსწერენით, ლიხის მთის შორისი, ეგრეთვე ჰგონე. ვითარცა აღვსწეროთ იმერეთი" [1].

ამრიგად, იმერეთისა და ქართლის შესაყარში — ხეფინის ხევში სთესდნენ „სიმინდსა მრავალსა". მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ სიმინდის კულტურა ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული მთელს იმერეთში [2].

თუ რა გზით და რომელი ქვეყნიდან შემოვიდა სიმინდის კულტურა საქართველოში, ამის შესახებ დოკუმენტური მასალები არ მოიპოვება. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სიმინდის კულტურა შემოტანილი უნდა იყოს საქართველოში შავი ზღვის გზით. ეს დასკვნა გაკეთებულია წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ სიმინდის კულტურა თანდათან ვრცელდებოდა კავკასიაში დასავლეთიდან (დასავლეთ საქართველოდან) აღმოსავლეთით.

ამრიგად, ეჭვს გარეშეა, რომ საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის მარცვლეულის მეურნეობაში სიმინდის ხვედრითი წილი უფრო დიდი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ხეფინის ხევში.

მართალია, საქართველოს შავიზღვისპირეთის პურეულთა შორის ვახუშტი სიმინდს არ იხსენიებს, მაგრამ მისი სიტყვები — „მდიდარი ყოვლითა მარცვლითა", „ხოლო მარცვალნი, რომელნიც დავსწერენით, ყოველნი ნაყოფიერებენ ფრიად", უთუოდ სიმინდსაც გულისხმობს.

მაშასადამე, ვახუშტის შრომის საფუძველზე შესაძლებელია მიახლოებითი წარმოდგენა ვიქონიოთ XVIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში სიმინდის კულტურის გავრცელების ზომის შესახებ, სახელდობრ:

1. დასავლეთ საქართველოს მარცვლეულის მეურნეობაში სიმინდს მნიშვნელოვანი ადგილი სჭერია;

2. სიმინდის კულტურა რამდენადმე ცნობილი უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ საქართველოსთვისაც.

ს. ჯიქიას შეხედულებით, ქართულში სიტყვა „სიმიდ" შემოსულია არაბულიდან. ძველ მწერლობაში ნახმარია სიტყვა „სემიდალი",

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 83.

[2] ამერეთ-იმერეთს ჰყოფს ლიხის მთა, რომლის დასავლეთით არის იმერეთი. ამ იმერეთს ვახუშტი უწოდებს ეგრისს. იმერეთად წოდებულია მაშინდელი მთელი დასავლეთ საქართველო.

რომელსაც თეთრი, ხორბლის უმაღლესი ხარისხის ფქვილის მნიშვნელობა აქვს. სიტყვები —„სემიდალი“, „სამინდალი“, „სამინდო“. „სიმინდაჲ“, ძველ ქართულში საუკეთესო ხარისხის ხორბლის ფქვილის აღმნიშვნელია. არაბულში „სიმინდ“ ძალიან თეთრ ფქვილს ნიშნავს.

ს. ჯიქია იზიარებს ივ. ჯავახიშვილის აზრს იმის შესახებ, რომ პირველად სიმინდი ფქვილად უნდა ყოფილიყო შემოტანილი, მაგრამ ამავე დროს დასძენს, თეთრი ჯიშის სიმინდის ფქვილადო. და მის გარეგნულ თვისებას, სითეთრეს უნდა გამოეწვია ასოციაცია ხორბლის თეთრ ფქვილთან. ამით უნდა აიხსნას ახალი კულტურისათვის (სიმინდისათვის) ძველი ტერმინის, „სიმინდის“, გამოყენების მიზეზი.

სალიტერატურო ქართულსა და მის ყველა დიალექტში გვაქვს „სიმინდი“, ხოლო სამეგრელოს ერთ ნაწილში სიმინდის აღსანიშნავად „ლაზუტი-ლატი-ლაიტი“ იხმარება[1].

სამეგრელოში სიტყვა „ლაზუტის“ (რაც თურქული წარმონაქმნია და ნიშნავს „ლაზურ მცენარეს“) ხმარება სიმინდის აღსანიშნავად სხვა მასალებთან ერთად საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ სიმინდის კულტურა ჭანეთ-ლაზეთიდან უპირველესად გავრცელდა საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში და შემდეგ აქედან მთელ დასავლეთ საქართველოში და ამიერკავკასიაში.

XV—XVIII საუკუნეებში ღომს მთავარი ადგილი ეკავა დასავლეთ საქართველოს მარცვლეულის მეურნეობაში.

სიმინდის კულტურას იმთავითვე დაუხვდა მეტოქედ ადგილობრივი მარცვლეული კულტურები და განსაკუთრებით ღომი, რომლის დაძლევა და სამეურნეო ასპარეზიდან განდევნა არ იყო ადვილი საქმე.

როგორც ჩანს, XVII საუკუნის ბოლომდე სიმინდს უმნიშვნელო ადგილი ეკავა დასავლეთ საქართველოს მარცვლეულის მეურნეობაში, თუმცა, საფიქრებელია, რომ მანამდეც არსებობდა ისეთი მიკრორაიონები ანდა ცალკეული მეურნეობანი, სადაც მას (სიმინდს) ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

XVIII საუკუნეში სიმინდის კულტურა თანდათან ვრცელდება აღმოსავლეთით. ამ საუკუნის 80-იან წლებში (1786 წ.) აღმოსავლეთ საქართველოში (ქარ ლსა და კახეთში) სიმინდის კულტურის გავრცელებას აღნიშნავს პოლკ. ს. ბურნაშევიც[2].

---

[1] ს. ჯიქია, „ლაზუტ“ სიტყვის წარმოშობისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 2, 1944, გვ. 230—232.

[2] С. Бурнашев, картина Грузии..., Тифлис, 1896, გვ. 2.

XVIII საუკუნეში სიმინდი თანდათან ავიწროებდა სხვა პურეულებს (ღომს, ჰადს და სხვ.), მაგრამ იგი მაინც არ წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს ძირითად სასურსათო პურეულს. ვახუშტი ეგრისის აღწერისას ამბობს: „თესენ ღომსა მრავლად და გამოიზრდებიან მით“ [1].

აკად. გიულდენშტედტი, რომელმაც იმოგზაურა საქართველოში XVIII საუკუნის 70-იან წლებში, იმერეთ-სამეგრელოს ძირითად სასურსათო კულტურებად თვლის ღომსა და ფეტვს [2]. ასე გაგრძელდა XIX საუკუნის დამდეგამდე. XIX საუკუნის შუა პერიოდშიც მთელ დასავლეთ საქართველოში (გარდა სამეგრელოსა და მთიანი ზონისა) მარცვლეულ პურეულს შორის ღომს პირველი ადგილი ეჭირა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს მარცვლეულის მეურნეობაში სიმინდმა გაბატონებული ადგილი დაიჭირა, რაც სიმინდსა და ღომს შორის ხანგრძლივი ბრძოლის (სახალხო მეურნეობრივი თვალსაზრისით) შედეგი არის.

სიმინდის კულტურამ თანდათან გამოდევნა დასავლეთ საქართველოში მანამდე არსებული მარცვლეული კულტურები, კერძოდ, ღომი, ჰადი და სხვ. ამის მაჩვენებელი ისიც არის, რომ სიმინდის ფქვილისაგან დამზადებულმა პროდუქტებმა მიიღეს ძველისძველი კულტურების — ღომისა და ჰადის სახელწოდებები. ამიერიდან ღომს „ღომისღომი“ ეწოდება, ხოლო ჰადს „ჰადისჰადი“ [3].

დასავლეთ საქართველოში სიმინდის კულტურის მიერ სხვა მარცვლეული კულტურების გამოდევნა მოცემულ პირობებში სიმინდის წარმოების ეკონომიკური უპირატესობით აიხსნება, რაც გაპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

ა) ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე;

ბ) სიმინდის კულტურის მეურნეობრივი მნიშვნელობა, მაღალმოსავლიანობა;

გ) სიმინდის კულტურის მოთხოვნილებანი გარემო პირობებზე და დასავლეთ საქართველოს კლიმატის თავისებურება;

დ) სხვა პურეული მცენარეებისათვის ნიადაგის გამოუიტვა.

---

[1] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 145.

[2] Гюльденштедт, Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа, 1809.

[3] პ. გუგუშვილი, სიმინდის მეურნეობა ამიერკავკასიაში (1801—1920 წ.წ.), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 4, თბილისი, 1946.

* * *

XIX საუკუნის 50-იან წლებში დასავლეთ საქართველოს მარცვლეული პურეულები იყო სიმინდი, ხორბალი, ღომი, ფეტვი, ქერი, ბრინჯი და სხვა. ღომი ითესებოდა მეტწილად ქუთაისისა და ოზურგეთის მაზრებში და სამეგრელოში; ფეტვი მოჰყავდათ უპირატესად სამეგრელოში, სიმინდს ყველგან აწარმოებდნენ მნიშვნელოვანი ოდენობით, განსაკუთრებით კი — დაბლობ ადგილებში.

1852 წელს სამეგრელოს პურეულთა საერთო მოსავალში სიმინდის ხვედრი წილი უდრიდა 53%, ღომის — 23,3%, ფეტვის 17,3%, ხორბლის — 4,3%. ზუგდიდის ოკრუგის პურეულთა საერთო მოსავალში სიმინდზე მოდიოდა 60,8%, ხოლო ლაილაშის ოკრუგში — 75% [1].

ამრიგად, სამეგრელოს პურეულთა საერთო მოსავლის ნახევარზე მეტი მოდის სიმინდზე. ღომი და ფეტვი ჯერ კიდევ წარმოადგენენ მთავარ სასურსათო კულტურებს მარცვლეულის მეურნეობაში დაკავებული ადგილის მიხედვით.

ამ დროს ქუთაისის გუბერნიაში ღომი საყოველთაო მოხმარების საგანს წარმოადგენდა [2].

საქართველოში ჩინგიზის მშენებლობის განვითარებამ ხელი შეუწყო სოფლის მეურნეობრივი წარმოებისა და, კერძოდ, სიმინდის წარმოების განვითარებას. ფოთი-თბილისის რკინიგზის ხაზის გაყვანის შემდეგ ძლიერ განვითარდა სიმინდის წარმოება დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით მდინარე რიონის ხეობაში [3].

XIX საუკუნის 70-იან წლებში იმერეთის პურეულ მცენარეებს შორის პირველი ადგილი ეკავა სიმინდსა და ღომს.

XIX საუკუნის 80-იან წლებში სიმინდი გავრცელებულია ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიების ყოველ მაზრაში. სიმინდის წარმოების მთავარი რაიონი არის ქუთაისის გუბერნია, რომლის ზოგიერთ ნაწილშიც სიმინდი ერთადერთი პურეულია. გუბერნიის მთელი მოსახლეობის მთავარი საკვები არის სიმინდის ფქვილისაგან დამზადებული პური — მჭადი. სიმინდი ითესებოდა ტფილისის გუბერნიის ყოველ მაზრაში, მაგრამ აქ მას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონდა როგორც ქუთაისის გუბერნიაში. სიმინდის წარმოება ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა თიანეთისა

[1] Лаврентьев, Статистическое описание Кутаисской губернии, СПБ, 1858, გვ. 80, 83, 86, 87.

[2] იქვე.

[3] Опыт экономического очерка Кавказского края преимущественно Закавказья, Москва, 1876, გვ. 37.

და თელავის მაზრებში, გორისა და ტფილისის მაზრების განსაზღვრულ ნაწილში. მაგალითად, თელავის მაზრაში სიმინდის კულტურას ეჭირა მთელი ფართობის 10%[1].

1889 წელს ქუთაისის გუბერნიაში სიმინდის საერთო მოსავალი 12.294.402 ფუთს შეადგენდა[2]. გუბერნიის სიმინდის მეურნეობაში წამყვანი ადგილი ეჭირა სენაკის, ზუგდიდის და ქუთაისის მაზრებს, აქ ხორბალი თითქმის არ ითესებოდა. თუ 1884 წელს ქუთაისის გუბერნიის სიმინდის საერთო მოსავალში სამეგრელოს (სენაკისა და ზუგდიდის მაზრების) ხვედრითი წილი 67,9% იყო 1889 წელს შემცირდა 47,6%-მდე, რაც იმერეთში სიმინდის კულტურის სწრაფი გავრცელების შედეგი არის.

1890 წელს ტფილისის გუბერნიაში მარცვლეული პურეულის (ხორბალი, ქერი, სიმინდი, ფეტვი, შვრია) საერთო მოსავალი უდრიდა 16.420.151 ფუთს[3]. მათ შორის: ხორბალი 60,8%, ქერი — 34,4%, სიმინდი — 3,4%, ფეტვი — 0,8%, შვრია — 0,6. როგორც ჩანს, ტფილისის გუბერნიაში სიმინდს უმნიშვნელო ადგილი ეჭირა მარცვლეულთა შორის. 1891 წელს საქართველოში პურეულის (სიმინდი, ხორბალი, ქერი, ფეტვი, შვრია) საერთო მოსავალი შეადგენდა 36.389.202 ფუთს[4]. მათ შორის: სიმინდი — 43,9%, ხორბალი — 38,2%, ქერი — 16,7%, ფეტვი — 0,4%, შვრია — 0,4%. ამრიგად, სიმინდს უპირველესი ადგილი უჭირავს პურეულთა შორის საქართველოს მასშტაბით.

1891 წელს ქუთაისის გუბერნიაში აღებული იქნა 13.143.589 ფუთი პურეული მარცვალი[5].

აქედან სიმინდი — 91,9%, ხორბალი — 6,0%, ქერი — 1,1%, ფეტვი — 1%. აქ სიმინდი წარმოადგენს ერთადერთ ძირითად სასურსათო კულტურას. სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის და ქუთაისის მაზრებში. სიმინდი მემინდვრეობის ერთადერთი კულტურაა თითქმის. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაა ბათუმისა და სუხუმის ოკრუგებში.

1891 წელს ქუთაისის, ოზურგეთისა და სენაკის მაზრებში აიღეს 20.000 ფუთამდე ღომის მოსავალი, ანუ სამივე მაზრის სიმინდის

---

[1] Вермишев, Земледелие у государственных крестьян закавказского края, 1888, გვ. 185.

[2] Кавказский календарь на 1893 год. Тифлисъ, 1892, გვ. 87.

[3] იქვე, გვ. 90.

[4] იქვე, გვ. 86—87.

[5] იქვე.

საერთო მოსავლის 0,3%. ამრიგად, ღომი განდევნილია სიმინდის მიერ სამეურნეო ასპარეზიდან. ამიერიდან ღომი ჩვენში იშვიათად გავრცელებული პურეულია.

90-იანი წლების დასაწყისისათვის სიმინდს თესენ ჩრდილოეთ რაჭის სოფლებში; სიმინდის კულტურა დაინერგა გლოლაშიაც კი. სიმინდის ნათესები გაჩნდა ქვემო რაჭის მთიან ნაწილებში, მაგრამ აქ სიმინდი ყოველთვის ვერ ასწრებდა მომწიფებას და იღებდნენ მწვანედ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოში მასობრივად გავრცელდა ვაზის სხვადასხვა დაავადება (ოიდიუმი, მილდიუ, ფილოქსერა), რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა მეენახეობას, სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ დარგს. მოსახლეობა იძულებული გახდა გაედიდებინა სიმინდის ნათესი ვენახის ფართობის ანგარიშზე.

პირველი მსოფლიო ომისა და ქართველი ხალხის უბოროტესი ბატონების, შენშევიკების, ბატონობის პერიოდში ძირფესვიანად მოშალა სოფლის მეურნეობა (და მთელი სახალხო მეურნეობა). არსებული ჩამორჩენილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გაიცვითა და დაიმტვრა. შემცირდა ნათესი ფართობი და პირუტყვის სულადობა. რუსეთისაგან საქართველოს მოწყვეტამ გამოიწვია მარცვლეულის მწვავე ნაკლებობა და მშრომელი მოსახლეობის დამშეება. ღარიბი და საშუალო გლეხები იძულებულნი იყვნენ გაედიდებინათ მარცვლეულის ფართობი სხვადასხვა ძვირფას კულტურათა ფართობის ხარჯზე, ვინაიდან ისინი მოკლებულნი იყვნენ უხმარი მიწების ათვისების საშუალებებს.

სულ პურეულთა ნათესი ფართობი 1920 წელს 13,3%-ით ნაკლები იყო 1909—1913 წლების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ 1917 წელთან შედარებით 1920 წელს სიმინდის ნათესი ფართობი გაიზარდა 42,6%-ით, რაც იმით აიხსნება, რომ სასურსათო კრიზისის პირობებში ქართველი გლეხი იძულებული ხდებოდა მრავალწლიანი ნარგავები აეჩეხა და მის ადგილზე მაღალმოსავლიანი მარცვლეული პურეული, სიმინდი, დაეთესა. 1920 წელს აღებულ იქნა 35.346.000 ფუთი მარცვლეული პურეული, მათ შორის სიმინდი— 23.614.000 ფუთი.

რევოლუციამდელი საქართველო წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის ქვეყანას, სადაც გაბატონებული იყო მიწათმოქმედების შუასაუკუნეებრივი ტექნიკა. სიმინდის წარმოების მთავარ რაიონში

ქუთაისის გუბერნიაში გაბატონებული იყო თითქმის პრიმიტიული სახვნელი იარაღი, კავი; სიმინდის მეურნეობაში გამოიყენებოდა აგრეთვე ხის ფარცხი და თოხი. ქართველი გლეხობის ძირითადი მასისათვის დიდ სიძნელეს წარმოადგენდა მიწათმოქმედების ასეთი იარაღების გაწყობაც კი.

დასავლეთ საქართველოში პირველად 1852 წ. მთავარმა დ. დადიანმა (ზუგდიდი) გამოიწერა ამერიკული სისტემის გუთნები. იმერეთში ევროპული გუთნები ჩნდება 1862 წ. ანანოვის ფერმაში. საერთოდ, მიწათმოქმედებაში ევროპული გუთნების როლი უმნიშვნელო იყო.

1900-იანი წლების დასაწყისიდანვე რუსული მრეწველობის იარაღ-მანქანები წარმატებით ავიწროებენ უცხოურ და უპირატესად დასავლეთ ევროპის იარაღ-მანქანებს[1].

რევოლუციამდელ საქართველოში გაუმჯობესებული იარაღ-მანქანები მცირე ზომით იყო გავრცელებული და ისიც მემამულეთა და შეძლებულ გლეხთა შორის. სიმინდის მოსავლიანობა საერთოდ დაბალი იყო და თანდათან ეცემოდა. ჩამორჩენილი ტექნიკის პირობებში სიმინდის წარმოების გადიდება შესაძლებელი იყო ძირითადად ნათესი ფართობის გადიდებით. უხეში ექსპლოატაციის შედეგად მიწა თანდათან იფიტებოდა და მცირდებოდა მოსავლიანობა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ საკარმიდამო ნაკვეთებს ნიადაგის განოყიერება თითქმის არ ხდებოდა.

ქუთაისის გუბერნიაში სიმინდის მთელი ვაჭრობა ხელში ჰქონდათ ჩაგდებული ჩარჩ-კულაკებს და შემსყიდველებს. ვალებში გახლართული გლეხი ხშირად იძულებული იყო აუცილებელი პროდუქტების ნაწილიც გადაეცათ მევალე შემსყიდველებისათვის. ექსპორტის ოპერაციებში ბატონობდნენ უცხოეთის ფირმები. მათ შორის ყველაზე მძლავრი იყო საფრანგეთის ფირმა „დრეიფუსი და კომპანია“. ეს ფირმები აგენტების საშუალებით ყიდულობდნენ სიმინდს გლეხებიდან და მსხვილი ვაჭრებიდან და შემდეგ გაჰქონდათ ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში გასაზიდად.

1909—1913 წლებში სასურსათო პურეულის საერთო მოსავალი (საშუალო წლიური) საქართველოში შეადგენდა 42.577 ათას ფუთს, 1921 წელს კი — 22.003,2 ათას ფუთს. 1909—1913 წლებში აღე-

---

[1] პ. გუგუშვილი. მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში, 1954.

ბულ იქნა 22.540 ათასი ფუთი სიმინდი (საშუალო წლიური), 1921 წელს კი — 14.487,4 ათასი ფუთი.

ამრიგად, ომამდელ პერიოდთან შედარებით 1921 წელს პურეულის საერთო მოსავალი შემცირდა 48,3%-ით, ხოლო სიმინდის მოსავალი — 35,7%-ით.

1925 წელს საქართველოში მარცვლეული პურეულით დაითესა 733,2 ათასი ჰექტარი [1], რაც 40,3%-ით აღემატებოდა 1921 წლის დონეს და შეადგენდა 1909—1913 წლების საშუალო-წლიური მაჩვენებლის 95%-ს. 1921—1925 წლებში სიმინდის ნათესი ფართობი გაიზარდა 314,2 ათასი ჰექტარიდან 387,8 ათას ჰექტარამდე [2].

1925 წლიდან მოყოლებული პურეული კულტურების ნათესი ფართობი განუხრელად იზრდებოდა. 1930 წელს პურეული კულტურების ფართობი უდრიდა 827,3 ათას ჰექტარს, მათ შორის სიმინდი 432,5 ათასი ჰექტარი, ხორბალი — 291,7 ათასი ჰექტარი, ქერი — 82,1 ათასი ჰექტარი. როგორც ჩანს 1930 წელს სიმინდს ეჭირა პურეულის ნათესი ფართობის 52%, ხორბალს—35%, ქერს—9,9%. სიმინდს უპირველესი ადგილი უჭირავს პურეულთა შორის ნათესი ფართობის მიხედვით.

1930 წელს აღებული იქნა 918.075 ტონამდე პურეული მარცვალი. მათ შორის სიმინდი 524.420 ტონამდე. მარცვლეულის მოსავალში სიმინდის ხვედრითი წილი უდრიდა 57%. მაშასადამე, სიმინდს უპირველესი ადგილი ეჭირა მარცვლეულთა შორის მოსავლის მხრივაც.

1940 წელს მარცვლოვანი და ცერცვოვანი კულტურები დაითესა 748,2 ათას ჰექტარზე [3].

აქედან სიმინდზე მოდიოდა 355.266 ჰექტარი ანუ 47,5%.

1940 წელს აღმოსავლეთ საქართველოში მარცვლოვან და ცერცვოვან კულტურებს ეჭირა 461.536 ჰექტარი. მათ შორის ნათესი სიმინდისა — 88.527 ჰექტარი (19,2%), ხორბლისა — 263.348 ჰექტარი (57,2%). [4] აღმოსავლეთ საქართველოში მარცვლეულთა შორის გაბატონებული ადგილი ხორბალს ეჭირა.

დასავლეთ საქართველოში 1940 წელს მარცვლოვანი და ცერცვოვანი კულტურებით დაკავებული იყო 276.607 ჰექტარი, აქედან

---

[1] Советская Грузия в цифрах, 1921—1929, Тифлис, 1929, გვ. 76—77.

[2] იქვე.

[3] ბ. ხასია, საქართველოს სსრ მარცვლეულის მეურნეობის ეკონომიკის საკითხები, თბილისი, 1954. გვ. 51.

[4] იქვე, გვ. 55.

სიმინდის კულტურაზე მოდიოდა 266.739 ჰექტარი (93,1%), ხორბალზე — 14.276 ჰექტარი (5%)[1].

როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს მარცვლეულის მეურნეობაში სავსებით გაბატონებულია სიმინდი.

სიმინდის კულტურა მცირე ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი აღმოსავლეთ საქართველოს შემდეგი რაიონების მარცვლეულის მეურნეობაში: ახალქალაქის (0,2%), სიღნაღის (6,0%), წითელი წყაროს (5,3%), ასპინძის (8,6%). ამ რაიონებში ხორბლის კულტურაა გაბატონებული. შედარებით მაღალი ხვედრი წონა აქვს სიმინდს გურჯაანის რაიონში 20,9%, ყვარლის — 17.5%, ლაგოდეხის — 27%, ადიგენის — 43,6%, ხაშურის — 44%, ბორჯომის — 38,7%[2].

დასავლეთ საქართველოს რაიონების უმრავლესობაში მარცვლეული პურეულიდან თითქმის მხოლოდ სიმინდი ითესება. მაგალითად ქუთაისის რაიონში — 99,5%, წყალტუბოს — 99,8%, სამტრედიის — 93,5%, წულუკიძის — 98,9%. ასეთივე სურათია თითქმის ვანის, თერჯოლის, ტყიბულის, აბაშის, ცხაკაიას, გეგეჭკორის, ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, მახარაძის, ლანჩხუთის და ჩოხატაურის რაიონებში, აჭარასა და აფხაზეთში.

დიდი სამამულო ომის პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა სიმინდის ნათესი ფართობი და საერთოდ მარცვლეულის ფართობი.

1951 წელს 1940 წელთან შედარებით აღმოსავლეთ საქართველოში შემცირდა სიმინდის ნათესი, ხოლო გაიზარდა ხორბლის ნათესი ფართობი.

ამავე პერიოდში დასავლეთ საქართველოში შემცირდა სიმინდის ნათესი 41.9%-ით. ამ მხრივ ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი აჭარასა და აფხაზეთში.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მრავალწლიან კულტურებს: ჩაის, ციტრუსოვანთა ნარგავებს, ვენახებს, ხეხილის ბაღებს, თამბაქოს. მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეთამბაქოობა საქართველოს სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძე აღნიშნავს, რომ წარსულში ადგილი ჰქონდა არასწორ ტენდენციას — გაეღიდებინათ ხორბლის ნათესი ფარ-

[1] ბ. ხ ა ს ი ა, დასახელებული შრომა, გვ. 56—57.

[2] იქვე, გვ. 56.

თობი ვითომდა იმ მიზნით, რომ საქართველო უზრუნველეყოთ საკუთარი წარმოების მარცვლეულით, რამაც ზიანი მიაყენა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას.

მარცვლეულის სათესი ფართობების გადიდების მიზნით ადგილი ჰქონდა თამბაქოს ფართობების შემცირებას, მევენახეობისა და მეხილეობის განვითარების შეზღუდვას. მოიხსნა ვარგისი საძოვრების და სათიბების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებენ საქართველოს სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგების ყოველი ღონისძიებით განვითარებას. მაგრამ ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ პარტია და მთავრობა დიდ და სერიოზულ ამოცანებს აყენებს საქართველოს მარცვლეულის მეურნეობის წინაშე. საქართველოში უნდა გადიდდეს მარცვლეულის წარმოება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმმა დაადგინა გაფართოვდეს სამარცვლე სიმინდის ნათესები, განვავითაროთ მეთესლეობა ამიერკავკასიაში.

საქართველოს აქვს დიდი შესაძლებლობა სათესლე სიმინდი მიაწოდოს საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებს.

აღნიშნული პლენუმი ადგენს, რომ საქართველოში უზრუნველყოფილ იქნას წელიწადში სიმინდის ორი მოსავლის მიღება და იგი აღებულ იქნას რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სტადიაში, რათა გადიდდეს პირუტყვის საკვები რესურსები.

საქართველოში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგია. 1945 წლის ოქტომბრიდან 1953 წლის ოქტომბრამდე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა ყველა კატეგორიის მეურნეობაში შემცირდა 85,1 ათასი სულით, აქედან ძროხის სულადობა — 75,6 ათასი სულით. ჩვენში დაბალია საშუალოწლიური წველადობა ერთ საფურაჟე ძროხაზე, მაგალითად, 1952 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებში იგი შეადგენდა მხოლოდ 418 კილოგრამს.

პარტიამ მიზნად დაისახა. აღმოიფხვრას მეცხოველეობაში არსებული არანორმალური მდგომარეობა.

მეცხოველეობის აღმავლობა დიდად არის დამოკიდებული საკვები ბაზის განვითარებაზე.

მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნაში სიმინდი წამყვანი კულტურა უნდა იქნას. საქართველოში ძირითადი საკვები კულტურაა სიმინდი. ამავე დროს უნდა ითქვას, რომ საქართვე-

ლოში (დასავლეთ საქართველოში) სიმინდი ძირითადი სასურსათო კულტურაა.

მიწათმოქმედების კულტურა საქართველოში განუწყვეტლად უმჯობესდება. რესპუბლიკის მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს სიმინდის მაღალი მოსავალი მოჰყვათ. 1953 წელს გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში" 677 ჰექტარი სიმინდის ნათესიდან საშუალოდ ჰექტარზე 19,5 ცენტნერი მარცვალი მიიღეს. ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ღვერკის კოლმეურნეობამ 130 ჰექტარ სიმინდის ნათესიდან ჰექტარზე მიიღო საშუალოდ 13 ცენტნერი მარცვალი. ცხაკაიას რაიონის თეკლათის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბერგოლურმა, სოციალისტური შრომის გმირმა ბ. გვიჩიამ 1947 წელს 3 ჰექტარზე 322 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა, ხოლო მისმა რგოლმა თითოეულ ჰექტარზე — 70 ცენტნერი.

საქართველოს მეტწილ რაიონებში მარცვლეული კულტურების (და სიმინდის) მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია. ზოგიერ რაიონში სიმინდის წარმოება თითქმის სრულებით არ არის მექანიზებული. სოფელ ვერტყვიჭალის კოლმეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 2,5 ცენტნერი სიმინდი.

საქართველოს შესაძლებლობა აქვს სიმინდი მოიყვანოს იმ რაოდენობით, რაც საჭიროა როგორც სურსათი და პირუტყვის საკვები.

ქართველი ხალხი პრაქტიკულად შეუდგა სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის პროგრამის განხორციელებას. 1954 წელს საქართველოს მექანიზატორებმა კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესეს 44,4 ათასი ჰექტარი სიმინდი. მარნეულის რაიონის კოლმეურნეობებმა 1954 წელს მიიღეს მთელი ნათესი ფართობის თითოეულ ჰექტარზე 21 ცენტნერი სიმინდი, ახმეტის რაიონმა — 17,6 ცენტნერი, ლანჩხუთის — 15,3 ცენტნერი, ხულოს რაიონის კოლმეურნეობებმა — 15 ცენტნერი. ლაგოდეხის საყრდენ-საჩვენებელი მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა 1954 წ. სიმინდი ნაწვერალზე დათესეს 960 ჰექტარი, რითაც დამატებით მიიღეს 500 ტონა მარცვლეული და 17 ტონა მწვანე მასა. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა დათესეს რა სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივად ერთ ჰექტარზე, მიიღეს 25 ცენტნერი მარცვალი და 450 ცენტნერი მწვანე მასა. თითოეულ საფურაჟე ძროხაზე დაანაბადეს 4.600 კილოგრამი მარტო სიმინდის სილოსი. ნაწვერალზე მოსავლის მისაღებად ძირითადად თესენ ჰიბრიდულ სიმინდს.

საქართველოში სიმინდის წარმოების განვითარება გადაუდებელი ამოცანაა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის აპრილის პლენუმმა განიხილა საქართველოში სიმინდის წარმოების საკითხები და ქართველ ხალხს მისცა სახელმძღვანელო მითითებები.

საქართველოში სიმინდის წარმოება უნდა გადიდდეს შემდეგი ღონისძიებების გატარებით:

1. სიმინდის მოყვანის აგროტექნიკური წესების ზუსტად დაცვა;
2. ადგილობრივი და მინერალური სასუქების ფართოდ გამოყენება;
3. მოწინავე მიღწევათა ფართოდ დანერგვა;
4. მტს-ების პარკის კარგად გამოყენება;
5. სიმინდის წარმოების მექანიზაციის დონის ამაღლება;
6. სიმინდის ნათესებისათვის კოლხიდის დაბლობის გამოყენება;
7. სიმინდის კულტურის ფართოდ განვითარება რესპუბლიკის ყველა რაიონში, მათ შორის მთისპირა და მთიან რაიონებშიც;
8. ნაკლებპროდუქტული მდელოების გადახვნა და მისი გამოყენება სიმინდის ნათესებისათვის;
9. სიმინდის სანაწვერალო ნათესების გაფართოება;
10. უახლოეს 2—3 წელიწადში მხოლოდ ჰიბრიდული თესლით თესვაზე გადასვლა;
11. საქართველოს მთელ რიგ რაიონებში სიმინდის ორი მოსავლის მიღების უზრუნველყოფა.

საქართველოში ყოველგვარი პირობა არსებობს სიმინდის წარმოების განვითარებისათვის.

ქართველი ხალხი პირნათლად შეასრულებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ მოცემულ დავალებებს.

(შემოვიდა რედაქციაში 18. III. 1955).

ალ. ჭულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

გ. ჯ რ ი დ ი ა

სილოგისტური დასკვნის მესამე ფიგურის ზოგიერთი სადავო საკითხის შესახებ

სილოგისტური დასკვნის ოთხი ფიგურაა ცნობილი. ამ ოთხი ფიგურის გარშემო საუკუნეთა განმავლობაში სხვადასხვაგვარი შეხედულებაა გამოთქმული. პირველი, მეორე და მეოთხე ფიგურისაგან განსხვავებით, მესამე ფიგურა ზოგიერთი მკვლევარის მიერ უარყოფილია, როგორც სილოგისტური დასკვნა და აღიარებულია ინდუქციურ დასკვნად. ამ ფიგურის ინდუქციურად თუ დედუქციურად გაგების საკითხი პრობლემად არის გადაქცეული.

არის მეორე სადავო საკითხიც: მესამე ფიგურით მიღებული დანასკვი აუცილებელი თუ შემთხვევითი ხასიათისაა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მესამე ფიგურით მიღებული დანასკვი გამომდის თუ არა წანამძღვრებიდან აუცილებლობით; ბოლოს, სადავო საკითხია ისიც, აღნიშნულ ფიგურას აქვს თუ არა რაიმე შემეცნებითი მნიშვნელობა.

ამგვარად, მიზნად დასახულია გაირკვეს სამი ძირითადი საკითხი: პირველი — მესამე ფიგურით მიღებული დანასკვი წანამძღვრებთან შედარებით მეტად ზოგადია თუ ნაკლებად ზოგადი; მეორე — მესამე ფიგურით მიღებული დანასკვი აუცილებლობით გამომდის თუ არა წანამძღვრებიდან და მესამე — აღნიშნული ფიგურა დანასკვში წანამძღვრებთან შედარებით იძლევა თუ არა რაიმე ახალ ცოდნას.

§ 1. სილოგისტური დასკვნის მესამე ფიგურა წარმოადგენს დედუქციურ დასკვნას. ამ ფიგურის დანასკვი, მის წანამძღვრებთან კავშირში განხილული, ყოველად შეუძლებელია წანამძღვრებზე უფრო ზოგადი იყოს.

1. ლოგიკოსთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ მესამე ფიგურის ინდუქციურ დასკვნასთან მსგავსებაზე, მის ინდუქციურობაზე ჯერ

კიდევ არისტოტელემ მიუთითაო, მაგრამ ეს აზრი არ უნდა იყოს სწორი. არისტოტელე მიუთითებდა არა მესამე ფიგურის ინდუქციურობაზე, არამედ ამბობდა, რომ ინდუქციური დასკვნა (სრული ინდუქცია), მესამე ფიგურის მსგავსიაო. ეს ნათლად ჩანს არისტოტელეს მიერ მოყვანილი მაგალითიდან:

ადამიანი, ცხენი, ვირი და სხვ. დიდხანს ცოცხლობენ
ადამიანი, ცხენი, ვირი და სხვ. უნაღველო ცხოველებია
უნაღველო ცხოველები დიდხანს ცოცხლობენ[1]

ეს ინდუქციური დასკვნა გარეგნულად მესამე ფიგურის ფორმისაა. მათ შორის მსგავსება მხოლოდ გარეგნულია; რადგანაც არისტოტელესთან ჰეშმარიტი დასკვნა მ ხ ო ლ ო დ სილოგისტურია, ამდენად ინდუქციას უნდა ჰქონდეს რაიმე კავშირი, მსგავსება სილოგიზმთან. სწორედ ამ აზრით თქვა არისტოტელემ, რომ ინდუქცია არის მესამე ფიგურის დასკვნის მსგავსი და არა ის, რომ მესამე ფიგურაა ინდუქციური დასკვნაო.

2. ზოგიერთი ლოგიკოსი მესამე ფიგურას ინდუქციური დასკვნის ერთ-ერთ ფორმად მიიჩნევს, მაგალითად, მ. კარინსკი, პ. ტავანეცი და სხვ. მათი აზრით, მესამე ფიგურაზე ჩვეულებრივი შეხედულება სახეშეცვლილი გამოდის. მესამე ფიგურით დანასკვი მსჯელობის დამახასიათებელი ნიშანია არა კერძოობითი მსჯელობა, როგორც ამას ძველი ლოგიკა ამტკიცებდა, არამედ ზოგადი მსჯელობა. მესამე ფიგურის დანასკვი იმაზე მიუთითებს, რომ ის წანამძღვრებთან შედარებით უფრო ზოგადია. ამ ფიგურის დასკვნაში წანამძღვრები ეხება ერთეულ საგნებს, ხოლო დანასკვი — საგანთა ჯგუფს. მესამე ფიგურის დასკვნის პროცესი მიდის არა ზოგადიდან კერძოსაკენ, არამედ კერძოდან ზოგადისაკენ, ამიტომაც უნდა მოთავსდეს იგი ინდუქციურ დასკვნათა რიგში. კარინსკი წერს: „მესამე ფიგურაში ლაპარაკი არ შეიძლება ზოგადიდან კერძოს მიღებაზე... შეუძლებელია ყველა სილოგისტურ დასკვნას ვუწოდოთ ზოგადიდან კერძოსაკენ დასკვნა“[2]. მისი აზრით, პირველი და მესამე ფიგურა ერთმანეთს ეწინააღმდეგება იმ მიმართებით, რომ ერთი ასკვნის ზოგადიდან კერძოზე, მეორე კი — კერძოდან ზოგადზე. პირველი და მესამე ფიგურა დასკვნის ორი განსხვავებული

[1] Аристотель, Аналитики первая и вторая, 1952, გვ. 168.
[2] М. Каринский, Классификация выводов, 1880, გვ. 3—4.

სახეაო[1]. მ. კარინსკი და პ. ტავანეცი მესამე ფიგურას განიხილავენ ინდუქციურ დასკვნათა ჯგუფში[2].

არსებობს სხვაგვარი შეხედულებაც, თუმცა იგი არსებითად მაინც არ განსხვავდება ზემოაღნიშნული შეხედულებისაგან. ამ შეხედულების წარმომადგენელთა აზრით, მესამე ფიგურა ინდუქციურ დასკვნათა ჯგუფში არ არის გადატანილი, მაგრამ სინამდვილეში იგი დახასიათებულია, როგორც ინდუქციური დასკვნა. მესამე ფიგურა განხილულია სილოგისტურ დასკვნათა ჯგუფში, მაგრამ დანასკვი უფრო ზოგადადაა მიჩნეული, ვიდრე წანამძღვარი. მესამე ფიგურის დანასკვი საგანთა ჯგუფის შესახებ დასკვნაა მთლიანად[3]. უნდა ითქვას, რომ პირველი ჯგუფის მსჯელობა უფრო ლოგიკურია, ვიდრე მეორე. თუ მესამე ფიგურას დავახასიათებთ კერძოდან ზოგადისაკენ დასკვნად, მაშინ, მართლაც, უაზროა მისი დატოვება სილოგისტურ დასკვნათა ჯგუფში.

დასასაბუთებლად იმისა, რომ მესამე ფიგურაში დანასკვი უფრო ზოგადია, ვიდრე მისი წანამძღვრები, მოჰყავთ სხვადასხვა მაგალითი. იღებენ ასეთ მაგალითს:

ყველა ვეშაპი წყალში მცხოვრებია
ყველა ვეშაპი ძუძუმწოვარია

ზოგიერთი ძუძუმწოვარი წყალში მცხოვრებია

ამ ლოგიკოსთა აზრით, დანასკვი მსჯელობის პრედიკატი „წყალში მცხოვრები“ მიეწერება არა მხოლოდ „ვეშაპ ძუძუმწოვარს“, არამედ იგი მიეწერება „ზოგიერთ ძუძუმწოვარს“. „ზოგიერთი ძუძუმწოვარი“ კი უფრო ზოგადია, ვიდრე „ვეშაპი ძუძუმწოვარიაო“. ზოგიერთებს მოჰყავთ ასეთი მაგალითი:

ნატრიუმი წყალზე მსუბუქია
ნატრიუმი ლითონია

ზოგიერთი ლითონი წყალზე მსუბუქია

დანასკვი მსჯელობის პრედიკატი „წყალზე მსუბუქია“ ახასიათებს საგანთა მთელ ჯგუფს და ამიტომაც დანასკვი მის წანამძღვარზე უფრო ზოგადიაო. აღნიშნული მაგალითებია მოდუსი Darapti (aai).

[1] М. Каринский, Классификация выводов, 1880, გვ. 22.

[2] იქვე, გვ. 112—113. И. Тавanец, Философские записки, I, გვ. 93—94.

[3] В. Б. Асмус, Логика, 1947, გვ. 195—196; Н. И. Кондаков, Логика, 1954, გვ. 229.

3. ისმება კითხვა, მესამე ფიგურით მიღებული დანასკვი არის თუ არა მართლაც წანამძღვრებთან შედარებით უფრო ზოგადი, ე. ი. არის თუ არა იგი ინდუქციური დასკვნა? მტკიცება იმისა, რომ მესამე ფიგურით მიღებული დანასკვი მის წანამძღვრებთან შედარებით უფრო ზოგადია, მცდარია[1].

ის, ვინც მიუთითებს მესამე ფიგურით მიღებული დანასკვი მის წანამძღვრებზე უფრო ზოგადიაო, გაუგებრობას ემყარება, სახელდობრ იმას, რომ მესამე ფიგურით მიღებული დანასკვი წარმოდგენილი აქვს მ-სი წანამძღვრებისაგან დამოუკიდებლად, მისი წანამძღვრების გარეშე.

ამ ფიგურის დანასკვის პირველი სიტყვა „ზოგიერთი" წარმოდგენილი აქვთ, როგორც „ზოგიერთი" საერთოდ, მას წანამძღვრებთან კავშირის გარეშე. თუ დანასკვის სიტყვას „ზოგიერთს" ავიღებთ მისი წანამძღვრებისაგან დამოუკიდებლად, მაშინ, მართლაც, „ზოგიერთი" ნიშნავს წანამძღვრებში ნაგულისხმევზე მეტს. წანამძღვრებისაგან დამოუკიდებლად აღებული „ზოგიერთი" შეიძლება ნიშნავდეს „ყველას", „ზოგიერთს" და „ერთსაც".

მესამე ფიგურის დანასკვი „ზოგიერთი" მხოლოდ იმ „ზოგიერთს" ნიშნავს, რომელიც წანამძღვრებშია მოცემული და არა იმაზე მეტს, როდესაც დანასკვი წანამძღვრებთან მთლიანობაშია განხილული; მესამე ფიგურის მაგალითში:

ნატრიუმი ლითონია
ნატრიუმი წყალზე მსუბუქია

ზოგიერთი ლითონი წყალზე მსუბუქია

დანასკვი მსჯელობის „ზოგიერთი ლითონი" მის წანამძღვრებთან კავშირში სხვა არაფერზე არ მიუთითებს, თუ არა მხოლოდ ნატრიუმზე. მაგრამ თუ დანასკვს ავიღებთ წანამძღვრებისაგან დამოუკიდებლად და მათ ერთი-მეორეს შევუდარებთ ურთიერთთან კავშირის გარეშე, მაშინ მესამე ფიგურით მიღებულ დასკვნაში წანამძღვარსა და დანასკვს შორის დასკვნის პროცესი იქნება ერთეულიდან ზოგადისაკენ, რადგან წანამძღვარში ლაპარაკია „ნატრიუმი წყალზე მსუბუქია", ხოლო დანასკვში კი — „ზოგიერთი ლითონი წყალზე მსუბუქია". სინამდვილეში დანასკვის „ზოგიერთის" ქვეშ მხოლოდ ის „ზოგიერთი" იგულისხმება, რომელიც წანამძღვრებშია ნაგულისხმევი, ამ შემთხვევაში კი „ნატრიუმი".

[1] იხილეთ — К. Бакрадзе, Логика, 1951, გვ. 315—316.

დანასკვ მსჯელობაში „წყალზე მსუბუქია“, მართალია, მიეწერება „ზოგიერთ ლითონს“ და არა „ნატრიუმს“, მაგრამ წანამძღვართან კავშირში „ზოგიერთ ლითონში“ სხვა არაფერი არ იგულისხმება, თუ არა ნატრიუმი.

ამრიგად, წანამძღვრებისა და დანასკვი მსჯელობის ურთიერთკავშირში განხილვის დროს მესამე ფიგურის დანასკვი მსჯელობის „ზოგიერთში“ სხვა არაფერი არ იგულისხმება იმაზე მეტი, რაც წანამძღვრებშია ნაგულისხმევი. თუ დანასკვს მისი წანამძღვრებისაგან დამოუკიდებლად ავიღებთ, მაშინ დანასკვი უთუოდ კარგავს იმ მნიშვნელობას, რომელიც მას დასკვნაში, როგორც მთლიან პროცესში აქვს. დანასკვი მხოლოდ წანამძღვრებთან კავშირში ინარჩუნებს თავის ნამდვილ მნიშვნელობას. დასკვნა წანამძღვრებისა და დანასკვის მთლიანობის გარეშე არც არის დასკვნა, იგი მსჯელობაა. დასკვნა მხოლოდ მაშინ არის დასკვნა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, თუ დანასკვი განხილულია წანამძღვრებთან კავშირში. თუ დანასკვზე წანამძღვრებისაგან მოწყვეტილად გვაქვს საუბარი, მაშინ იგი დანასკვის როლს არ ასრულებს, იგი მსჯელობაა.

ცნობილია დებულება, რომ დანასკვს ყოველთვის განაპირობებს მისი წანამძღვარი, ამიტომაც დანასკვი მის წანამძღვრებთან უნდა იქნეს განხილული. დასკვნა რომ პირდაპირ წანამძღვრებისა და დანასკვის ერთიანობას გულისხმობს, დასკვნა რომ არ არსებობს წანამძღვრებისა და დანასკვის ერთიანობის გარეშე, ეს თვით დასკვნისა და დანასკვის განმარტებიდან ცხადად ჩანს. ამრიგად, უდავოდ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მესამე ფიგურის დანასკვი მის წანამძღვრებთან კავშირში ყოველად შეუძლებელია წანამძღვრებზე უფრო ზოგადი იყოს.

მესამე ფიგურის დანასკვი რომ შეუძლებელია წანამძღვრებზე უფრო ზოგადი იყოს, ეს მტკიცდება კიდევ ამ ფიგურის წანამძღვრების სუბიექტების იგივეობის საფუძველზე. მესამე ფიგურის დასკვნის დროს დანასკვი მსჯელობის სუბიექტი და პრედიკატი ერთი და იმავე ან იგივეობრივი სუბიექტიდან გამოდის:

ნატრიუმი წყალზე მსუბუქია
ნატრიუმი ლითონია

ზოგიერთი ლითონი წყალზე მსუბუქია

აქ წანამძღვრის პრედიკატები „წყალზე მსუბუქია“ და „ლითონია“ წანამძღვრების ერთსა და იმავე მოცულობისა და ერთისა

და იმავე შინაარსის სუბიექტებს მიეწერება ცალ-ცალკე, ხოლო დანასკვი მსჯელობის სუბიექტი „ზოგიერთი ლითონი“ ორი ერთსა და იმავე სუბიექტს „ნატრიუმს“ მიეწერება თანაბრად. თუ დანასკვი მსჯელობის სუბიექტი ორი ერთსა და იმავე მოცულობისა და შინაარსის სუბიექტის შედეგია, მაშინ ხომ ზედმეტია იმის თქმა, რომ დანასკვი მსჯელობის სუბიექტი უფრო ზოგადია, ვიდრე წანამძღვრებისა. ჩვენ მიერ აღებული მაგალითის შემთხვევაში დანასკვი მსჯელობის „ზოგიერთი ლითონი“ ხომ შეუძლებელია იმაზე მეტ ლითონს გულისხმობდეს, რაც დიდი და მცირე წანამძღვრების სუბიექტებშია. დიდი და მცირე წანამძღვრების სუბიექტებში მხოლოდ „ნატრიუმია“, მაშასადამე, დანასკვშიც იგივე ნატრიუმი იგულისხმება და არა სხვა რომელიმე ლითონი.

§ 2. მესამე ფიგურის დასკვნა წარმოადგენს აუცილებლობას. დანასკვი წანამძღვრებიდან გამომდის აუცილებლობით, კანონზომიერად და არა შემთხვევით. დანასკვის აუცილებლობას განაპირობებს აზროვნების ლოგიკური კანონები; აზროვნების კანონების საფუძველზე დანასკვი მსჯელობაში მცირე წანამძღვრის სუბიექტს კანონზომიერად მიეწერება დიდი წანამძღვრის პრედიკატი. ამიტომაც დანასკვში წანამძღვრების სუბიექტისა და პრედიკატის კანონზომიერი კავშირია და არა შემთხვევითი.

1. ზოგიერთი ლოგიკოსის აზრით, მესამე ფიგურაში შედეგის აუცილებლობაზე შეუძლებელია ლაპარაკი. მესამე ფიგურას არ შეუძლია დაასაბუთოს რაიმე აუცილებლობით, იგი შესაძლებლობის დასკვნაა. მესამე ფიგურის დანასკვი მსჯელობა „ზოგიერთი S არის P“ წანამძღვრებიდან არ საბუთდება, ან სრულიად უშინაარსოა [1].

მესამე ფიგურის დანასკვი აუცილებლობითი ხასიათისაა. ამ დებულების სიცხადისათვის განვიხილოთ აღნიშნული ფიგურის პირველი მოდუსი Darapti (a a i)

M a P	ნატრიუმი წყალზე მსუბუქია
M a S	ნატრიუმი ლითონია
S i P	ზოგიერთი ლითონი წყალზე მსუბუქია

[1] Хр. Зигварт, Логика, ტ. I, 1908, გვ. 402—403 და Н. Лосский, Логика, часть II, 1922, გვ. 87—88.

დანასკვი მსჯელობა „ზოგიერთი ლითონი წყალზე მსუბუქია“ სრულიად კანონზომიერად, აუცილებლობით გამოდის წანამძღვრებიდან. აქ წანამძღვრების პრედიკატი „წყალზე მსუბუქია“ და სუბიექტი „ლითონია“ შინაარსობრივად და მოცულობით იგივეობრივ საშუალო ტერმინს მიეწერებიან ცალ-ცალკე. საშუალო ტერმინი იგივეობრივია; როცა საშუალო ტერმინი იგივეობრივია, მაშინ ხომ ზედმეტია ლაპარაკი დანასკვის შემთხვევით ხასიათზე? ეს იგივეობაა ერთ-ერთი აუცილებელი საფუძველი წანამძღვრებიდან დანასკვის აუცილებლობით გამომდინარეობისა. საშუალო ტერმინს ერთ წანამძღვარში რომ ერთი შინაარსი ჰქონდეს და მეორეში სხვა, მაშინ დანასკვის მიღება შეუძლებელი იქნებოდა. ისე, როგორც სილოგისტურ დასკვნათა სხვა ფიგურაში, აქაც, გარდა საშუალო ტერმინისა, იგივეობრივია დიდი და მცირე ტერმინიც. დანასკვი მსჯელობის სუბიექტი „ზოგიერთი ლითონი“. და მცირე წანამძღვრის სუბიექტი „ნატრიუმი“ იგივეობრივი ცნებებია, ასევე იგივეობრივია ცნებები დანასკვი მსჯელობის პრედიკატისა „წყალზე მსუბუქია“ და დიდი წანამძღვრის პრედიკატისა „წყალზე მსუბუქია“. მაშასადამე, აღნიშნულ სილოგისტურ დასკვნაში წანამძღვრებიდან დანასკვის აუცილებელი მიღებისათვის დაცულია ყველა ის წესი, რომელიც სილოგისტური დასკვნის სხვა ფიგურას აქვს[1]. ამიტომაც შეუძლებელია მასზე ვთქვათ, რომ იგი არ არის აუცილებლობითი დასკვნა.

2. ეს საკითხი უფრო სხვაგვარად დგას მესამე ფიგურის დანარჩენ მოდუსებში, მაგრამ დასკვნის აუცილებლობის თვალსაზრისით აღნიშნული ფიგურის ყველა მოდუსი ერთსა და იმავე არსებისაა. მესამე ფიგურის მოდუსებზე Disamis(iai), Datisi(aii), Bokardo(oao), Ferison(eio) ამბობენ, რომ მათი დანასკვი ნამდვილად შესაძლებლობის ხასიათისააო. შესაძლებლობის ხასიათისაა იმიტომ, რომ სუბიექტი, რომლის ადგილი საშუალო ტერმინს უკავია, არ არის იგივეობრივი. ყველა M-ის მხოლოდ ნაწილია იგივეობრივი ზოგიერთ M-თან; ამის გამო ერთი პრედიკატი შესაძლებლობის ხასიათისაა. განვიხილოთ მოდუსი Datisi (aii)

---

[1] მზედველობაში ვგულისხმობ ის, ვინც ამტკიცებს, მხოლოდ შესამე ფიგურაა შემთხვევითი ხასიათის, და არა ის, ვინც საერთოდ სილოგისტურ დასკვნათა შემთხვევითობას ამტკიცებს.

M a P ყველა ლოგიკოსი იცნობს არისტოტელეს „ორგანონს“
M i S ზოგიერთი ლოგიკოსი მათემატიკოსია

S i P ზოგიერთი მათემატიკოსი იცნობს არისტოტელეს „ორგანონს“ [1].

მათ, ვინც ამბობს ამ დასკვნაში წანამძღვრის სუბიექტები, რომლების ადგილი საშუალო ტერმინს უკავია, არ არის იგივეობრივი და ამიტომ დასკვნა შესაძლებლობის ხასიათისაა, უდავოდ მხედველობაში აქვთ სუბიექტების (საშუალო ტერბინების) მოცულობითი განსხვავება. მოცულობით მართლაც განსხვავებულია პირველი და მეორე წანამძღვრის სუბიექტები: ერთ შემთხვევაში „ყველა ლოგიკოსია“ და მეორეში „ზოგიერთი ლოგიკოსი“. მოცულობის თვალსაზრისით, მართლაც, „ყველა ლოგიკოსის“ ნაწილია იგივეობრივი „ზოგიერთი ლოგიკოსთან“, მაგრამ დასკვნაში წანამძღვრებიდან დანასკვის აუცილებლობით გამომდინარეობისათვის სუბიექტების მოცულობითი განსხვავება ამ შემთხვევაში არავითარ როლს არ თამაშობს. დასკვნის აუცილებლობა მოცულობით იგივეობას კი არ ემყარება, არამედ შინაარსობრივს. ზემოთ მოყვანილ მაგალითში სუბიექტები შინაარსობრივად იგივეობრივია. ასეთნი რომ არ იყონ, მაშინ საშუალო ტერმინადაც არ გამოდგებოდნენ. დასკვნის აუცილებლობა საშუალო ტერმინების შინაარსობრივ იგივეობაზეა დაფუძნებული, მართალია, საშუალო ტერმინები მოცულობით განსხვავებულნი არიან, მაგრამ მცირე წანამძღვრის სუბიექტი და დანასკვი მსჯელობის სუბიექტი მოცულობით იგივეობრივია, რაც ერთ-ერთი პირობაა დასკვნის აუცილებლობითი ხასიათისათვის. დანასკვი მსჯელობის სუბიექტი „ზოგიერთი მათემატიკოსი“ იგივეობრივია მცირე წანამძღვრების სუბიექტის „ზოგიერთი ლოგიკოსის“. იგივეობრივია იმიტომ, რომ „ზოგიერთი მათემატიკოსი“, რომელიც არისტოტელეს „ორგანონს“ იცნობს, სწორედ ის ზოგიერთი ლოგიკოსია, რომელიც მათემატიკოსია. მაშასადამე, საშუალო ტერმინის მოცულობითი განსხვავება არავითარ როლს არ თამაშობს დასკვნის აუცილებლობითი ხასიათის მიმართ. საშუალო ტერმინის მოცულობით განსხვავებას გარკვეული როლი რომ ეთამაშა, მაშინ მცირე წანამძღვრის სუბიექტი და დანასკვი მსჯელობის სუბიექტი მოცულობითი განსხვავებული უნდა ყოფილიყო, სინამდვილეში მოცულობით იგივეობრივი არიან. იგივეობრივია,

[1] მაგალითი აღებულია პროფ. კ. ბაჭრაძის წიგნიდან—ლოგიკა, 1951.

აგრეთვე, ცნებები დანასკვი მსჯელობის პრედიკატისა, — „იცნობს არისტოტელეს ორგანონს“ და დიდი წანამძღვრის პრედიკატისა „იცნობს არისტოტელეს ორგანონს“. მაშასადამე, აღნიშნული მოდუსი სრულიად კანონზომიერი, აუცილებელი ხასიათისაა. დანასკვი აუცილებლობითაა გამომდინარე წანამძღვრებიდან, ხოლო დანასკვი მსჯელობის სუბიექტი და პრედიკატი ერთმანეთთან შემთხვევით კი არ არის დაკავშირებული, არამედ აუცილებლობით. ასევე აუცილებლობითი ხასიათისაა მესამე ფიგურის დანარჩენი მოდუსებიც.

მესამე ფიგურის ყველა მოდუსი, რომ აუცილებლობითი ხასიათისაა, ამას ადასტურებს სილოგისტური დასკვნების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპიც. მესამე ფიგურის ლოგიკურად შესაძლებელი მოდუსებიდან აუცილებლობით, კანონზომიერად რომ არ გამომდინარეობდეს წანამძღვრებიდან დანასკვი, მაშინ იგი უნდა არღვევდეს სილოგისტური დასკვნის იმ ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, რომელიც ყველა სილოგისტურ დასკვნას ახასიათებს. სახელდობრ, სილოგისტური დასკვნის დიდი წანამძღვარი თავისში გულისხმობს დანასკვი მსჯელობის პრედიკატს, ხოლო მცირე წანამძღვარი კი — დანასკვი მსჯელობის სუბიექტს. ეს აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია სილოგისტური დასკვნის ლოგიკურად ყველა მართებული მოდუსისათვის. მესამე ფიგურის მოდუსებიც ამ კანონს ემორჩილებიან. მესამე ფიგურის ლოგიკურად მართებული ყველა მოდუსის დიდი წანამძღვარი გულისხმობს დანასკვი მსჯელობის პრედიკატს და მცირე კი — დანასკვი მსჯელობის სუბიექტს. ავიღოთ მოდუსი:

ზოგიერთი ლითონი სითხეა
ყველა ლითონი ელექტროობის გამტარია
ზოგიერთი ელექტროობის გამტარი სითხეა

პირველი წანამძღვრის კერძოობით დადებით მსჯელობაში „ზოგიერთი ლითონი სითხეა“ იგულისხმება დანასკვი მსჯელობის პრედიკატი „სითხეა“, ხოლო მეორე წანამძღვრის ზოგად დადებით მსჯელობაში „ყველა ლითონი ელექტროობის გამტარია“ იგულისხმება დანასკვი მსჯელობის სუბიექტი „ელექტროობის გამტარი“. თუ დანასკვი მსჯელობის სუბიექტი „ელექტროობის გამტარი“ მცირე წანამძღვარშია მოცემული, ხოლო პრედიკატი „სითხეა“ — დიდ წანამძღვარში და ამათი აუცილებელი, კანონზომიერი კავშირია დანასკვი მსჯელობა, მაშინ შემთხვევითობაზე ლაპარაკი ზედმეტია. წანამძღვრები აუცილებლობით აპირობებენ დანასკვ მსჯე-

ლობას. ასეთია მესამე ფიგურის ყველა ლოგიკურად შესაძლებელი მოდუსი.

§ 3. მესამე ფიგურა შემეცნების თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობის მქონეა. ამ ფიგურის დანასკვი მსჯელობა „ზოგიერთი S არის P“ წანამძღვრების ერთიანობის შედეგია. დანასკვი მსჯელობა საფუძვლად ორივე წანამძღვარს გულისხმობს, ორივე წანამძღვრის კავშირის შედეგია. დანასკვი მსჯელობა თითოეული წანამძღვრისაგან განსხვავებული აზრია.

1. ტრადიციული ლოგიკის თვალსაზრისით, მესამე ფიგურის დასკვნებს პირველ და მეორე ფიგურაზე უფრო ნაკლები შემეცნებითი მნიშვნელობა აქვთ. შემეცნების თვალსაზრისით, ამ ფიგურას ყველაზე ნაკლებ მნიშვნელობას აწერენ იმიტომ, რომ მისი დანასკვი ყველა კერძოობითია. ტრადიციული ლოგიკა ამ ფიგურის შემეცნებით ღირებულებას ხედავს იმაში, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია უარყოფილ იქნას ზოგადი შემცდარი მსჯელობა.

ზოგიერთი ლოგიკოსი სრულიად უარყოფს მესამე ფიგურის დასკვნის შემეცნებით მნიშვნელობას. ისინი მსჯელობენ ასე: რადგანაც მესამე ფიგურის დანასკვი მსჯელობის სუბიექტის „ზოგიერთი S-ის“ ქვეშ იგულისხმება მხოლოდ ის საგნები, რომლებიც წანამძღვრებში გვქონდა, ამიტომაც იგი არსებითად არავითარ დანასკვს არ გვაძლევს, იგი არ იძლევა არავითარ ახალს შემეცნებისათვის. თქმა იმისა, რომ მესამე ფიგურით დანასკვი მსჯელობის და წანამძღვრის სუბიექტი ერთი და იგივე საგანია და ამის გამო იგი არავითარ ახალ ცოდნას არ იძლევაო, უმართებულოა. დასკვნა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, წანამძღვრებთან შედარებით დანასკვში უდავოდ გვაძლევს ახალ ცოდნას, მაგრამ დანასკვში ახალი ცოდნის საკითხი ორგვარია: ერთ შემთხვევაში დანასკვი მსჯელობაში თითოეული წანამძღვრისაგან განსხვავებით გვაქვს მხოლოდ ახალი კავშირი, ხოლო მეორეში კი ახალ კავშირთან ერთად ახალი საგნები.

სილოგისტურ დასკვნაში დანასკვი მსჯელობა იმავე საკანს ეხება, რა საგანსაც — წანამძღვრები, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ახალ ცოდნას გვაძლევს, იმ აზრით, რომ დანასკვში გვაქვს წანამძღვრებისაგან განსხვავებული კავშირი. წანამძღვრებისაგან განსხვავებული კავშირი, ახალი კავშირი, ახალ ცოდნაზე მიუთითებს. მართალია, მესამე ფიგურა ახალ ცოდნას არ გვაძლევს იმ

აზრით, რომ დანასკვში წანამძღვრებთან შედარებით ახალი საგნები იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ახალ ცოდნას არ გვაძლევდეს საერთოდ. მესამე ფიგურა სილოგისტური დასკვნაა. სილოგისტური დასკვნისათვის, როგორც აღვნიშნეთ, დამახასიათებელია ის, რომ დანასკვში წანამძღვრებთან შედარებით ახალი საგანი კი არა, ახალი კავშირი გვაქვს[1]. მესამე ფიგურის დანასკვში სწორედ ახალი კავშირი გვაქვს. ავიღოთ III ფიგურის მაგალითი:

ნატრიუმი წყალზე მსუბუქია
ნატრიუმი ლითონია

ზოგიერთი ლითონი წყალზე მსუბუქია

დანასკვი მსჯელობა „ზოგიერთი ლითონი წყალზე მსუბუქია“ ცალ-ცალკე არც ერთ წანამძღვარში არ ჩანს, იგი ორივე წანამძღვრის შედეგია. პირველ წანამძღვარში „ნატრიუმი წყალზე მსუბუქია“ არაფერია თქმული იმაზე, არის თუ არა ნატრიუმი ლითონი, ე. ი. პირველ წანამძღვარში ლითონის ცნება სრულიად არ გვაქვს; მეორე წანამძღვარში „ნატრიუმი ლითონია“ ლითონის ცნება გვაქვს, მაგრამ სრულიად არ ჩანს, ნატრიუმი არის თუ არა „წყალზე მსუბუქი“. დანასკვი მსჯელობა კი გვეუბნება, რომ ნატრიუმი „ლითონია“ და „წყალზე მსუბუქია“. მაშასადამე, დანასკვში გვაქვს სრულიად ახალი კავშირი, ეს ახალი კავშირია ახალი ცოდნა.

დანასკვი მსჯელობა „ზოგიერთი ლითონი წყალზე მსუბუქია“ ცალ-ცალკე არც ერთ წანამძღვარს არ შეუძლია მოგვცეს. იგი ორივე წანამძღვრის შედეგია. თუ დანასკვი მსჯელობა ცალ-ცალკე არც ერთს არ შეუძლია მოგვცეს, თუ იგი ორივე წანამძღვრის შედეგია, მაშინ აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ დანასკვი მსჯელობა სრულიად ახალია წანამძღვრებთან შედარებით. დანასკვი მსჯელობის, როგორც შედეგის, საფუძველია არა რომელიმე ერთი წანამძღვარი, არამედ ორივე. ეს ცხადად ჩანს მესამე ფიგურის ფორმიდანაც:

M—P
M—S
S—P

[1] სილოგისტურ დასკვნათა სინთეზურობის საკითხი ცალკე კვლევის ობიექტია, ამიტომ ამაზე აქ ვერ შევჩერდებით.

დანასკვი მსჯელობა S—P ცალ-ცალკე არ მოჩანს არც M—P და არც M—S-ში. იგი ორივე წანამძღვარს გულისხმობს, საფუძვლად.

(შემოვიდა რედაქციაში 25. II. 1955)

Б. И. УРИДИЯ

О НЕКОТОРЫХ СПОРНЫХ ВОПРОСАХ ТРЕТЬЕЙ ФИГУРЫ СИЛЛОГИЧЕСКОГО УМОЗАКЛЮЧЕНИЯ

Резюме

1. Третья фигура силлогического умозаключения — дедуктивное умозаключение. Вывод этой фигуры, рассмотренный в связи с ее предпосылками, не может быть более общим, чем предпосылки.

2. Умозаключение третьей фигуры является необходимостью. Вывод вытекает из предпосылок не случайно, а закономерно. Необходимость вывода определяется логическими законами мышления. В выводном суждении на основании законов мышления субъекту меньшей предпосылки закономерно приписывается предикат большей предпосылки; поэтому в выводе не случайная, а закономерная связь предпосылок, субъекта и предиката.

3. С точки зрения познания третья фигура имеет определенное значение. Выводное суждение этой фигуры „некоторые S есть P“ является следствием обоих предпосылок. Выводное суждение есть отличная от обоих предпосылок мысль.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

გ. გერიშვილი

ძველი თვისებრიობიდან ახალ თვისებრიობაში გადასვლის ფორმების შესახებ*

ერთიანი მატერიალური სამყარო მრავალფეროვან, გარკვეულობის მქონე საგანთა, მოვლენათა სახით არსებობს. ამ საგნებს, მოვლენებს ახასიათებს თვისებრივი და რაოდენობრივი გარკვეულობა.

საგანთა, მოვლენათა თვისებრივი გარკვეულობა — ეს ისეთი გარკვეულობაა, რომელიც მათს სპეციფიკაზე, მათს დანარჩენ საგანთაგან, მოვლენათაგან არსებითი ხასიათის განსხვავებულობაზე უთითებს. მაგალითად, ცოცხალი ბუნება არაცოცხალი ბუნებისაგან თვისებრივად განსხვავებულია; იგი თავისი სპეციფიკის, თვისებრიობის მქონეა. ცოცხალი ბუნება, თავისი მხრივ, სხვა რიგის არსებითი განსხვავების მქონე სახეების შემცველია. ცოცხალი ბუნების თითოეული სახე შემცველია თავისი სპეციფიკისა, თვისებრიობისა, რომელსაც აპირობებს შესაბამისი ტიპი ნივთიერებათა ცვლისა. ასევე, თავისი სპეციფიკის, თვისებრიობის მქონეა საზოგადოებრივი ცხოვრება. თვით ეს საზოგადოებრივი ცხოვრებაც არაა ერთფეროვანი; ცნობილია, რომ სხვადასხვა ეპოქაში თვისებრივად განსხვავებულ ცხოვრებას ეწევიან ადამიანები. ისტორია იცნობს ხუთ ტიპს საზოგადოებრივი წყობილებისას: პირველყოფილ-თემურს, მონათმფლობელურს, ფეოდალურს, კაპიტალისტურსა და სოციალისტურს. თვისებრივი გარკვეულობა საგნისათვის, მოვლენისათვის შინაგანია. იგი შინაგანია იმ აზრით, რომ მისი შეცვლა მოცემული საგნის, მოვლენის უკვე სხვა საგნით, სხვა მოვლენით შეცვლას ნიშნავს. თუ საგანი, მოვლენა კარგავს თავის თვისებრიობას, მაშინ იგი წყვეტს მოცემულ საგნად, მოვლენად

* წაკითხულია მოხსენებად ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტში ი. ბ. სტალინის შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხების“ გამოკვეყნებით სამი წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე 30. VI. 53 წ. ამან განსაზღვრა საკითხის განხილვის მიმართულება.

არსებობას. ასე, მაგალითად, საკმარისია კაპიტალისტურმა წყობილებამ დაკარგოს თავისი თვისებრიობა, თავისი არსებითი გარკვეულობა, რომ მის ნაცვლად სხვა თვისებრიობის მქონე საზოგადოებრივი წყობილება მივიღოთ. როგორც ცნობილია, კაპიტალისტური წყობილების ლიკვიდაციის შედეგად, რომელიც პროლეტარული რევოლუციის გზით ხდება, ვღებულობთ სოციალისტურ საზოგადოებრივ წყობილებას, როგორც თავისი თვისებრიობის, თავისი სპეციფიკის მქონეს.

საგანთა, მოვლენათა რაოდენობრივი გარკვეულობა განსხვავებულია მათი თვისებრივი გარკვეულობისაგან. ეს ისეთი გარკვეულობაა, რომლის ცვლილებას შეუძლია აუცილებლად გამოიწვიოს საგანში, მოვლენაში არსებითი ხასიათის ცვლილება მხოლოდ გარკვეულ საფეხურზე. რაოდენობრივი გარკვეულობა თვისებრივი გარკვეულობისაგან განსხვავებით რიცხვზე, სიდიდეზე, ხარისხზე და სხვა ამგვარ ზომენტებზე უთითებს. მაგალითად, ბუნებისმეცნიერების მიერ უდავოდ დადგენილია, რომ ქიმიური ელემენტები, რომლებიც ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავებულნი არიან, რაოდენობრივი შედგენილობის მხრივაც განსხვავდებიან. ასევეა საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროშიაც. ასე, მაგალითად, წარმოების წესი, რომელიც ყოველთვის თვისებრივად გარკვეულ ფორმაში არსებობს, შემცველია, აგრეთვე, რაოდენობრივი ხასიათის გარკვეულობისა — საწარმოო ძალების განვითარების მეტ-ნაკლები დონისა.

თვისებრივი და რაოდენობრივი ხასიათის გარკვეულობანი განუყრელად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ჯერ ერთი, არ არსებობს „წმინდა“ თვისებრიობა და „წმინდა“ რაოდენობრიობა; მეორე, მოცემული თვისებრივი გარკვეულობა უთავსდება არა ნებისმიერ, არამედ გარკვეულ ფარგლებში მყოფ რაოდენობრივ გარკვეულობას.

ამის თაობაზე ფრ. ენგელსი შემდეგს ამბობს:

„ყველა თვისებრივი განსხვავება ბუნებაში დამყარებულია ან სხვადასხვა ქიმიურ შემადგენლობაზე, ან მოძრაობის (ენერგიის) სხვადასხვა რაოდენობასა თუ ფორმაზე, ანდა ორივეზე, რასაც თითქმის ყოველთვის აქვს ადგილი“ [1].

ამრიგად, ყოველი საგანი, ყოველი მოვლენა რაოდენობრივი და თვისებრივი გარკვეულობის მთლიანობას წარმოადგენს. ამ ერთი-

[1] ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950, გვ. 52.

ანობის გამომხატველია ზომის ცნება. უკეთ, ზომის ცნება გამოხატავს გარკვეული თვისებრიობისა და მისი შესაბამისი რაოდენობრივი გარკვეულობის ერთიანობას.

წინააღმდეგ მეტაფიზიკისა, მარქსისტული დიალექტიკა, ემყარება რა მეცნიერებისა და საზოგადოებრივი პრაქტიკის მრავალსაუკუნოვანი განვითარებით მიღწეულ შედეგებს, ამტკიცებს, რომ სამყაროს მრავალფეროვანი საგნები, მოვლენები იმყოფება არა მყუდროებისა და უძრაობის მდგომარეობაში, არამედ ცვლილების, განახლებისა და განვითარების მდგომარეობაში.

ამ ცვლილებასა და განვითარებას გააჩნია თავისი ზოგადი კანონზომიერება, რომელიც შეისწავლება მარქსისტული ფილოსოფიის მიერ.

ცვლილებისა და განვითარების ერთ-ერთ ზოგად კანონს შეადგენს ის, რომ რაოდენობრივი ხასიათის თანდათანობითი ცვლილებები, მიაღწევს რა გარკვეულ საფეხურს, იწვევს თვისებრივი ხასიათის ძირეულ ცვლილებებს[1]. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ევოლუცია და რევოლუცია, ნახტომი, განვითარების ორი ერთიმეორისაგან მოუწყვეტელი მომენტია; პირველი ამზადებს მეორეს, ხოლო მეორე აგვირგვინებს პირველს.

რაოდენობრივი და თვისებრივი გარკვეულობის ერთმანეთისაგან მოწყვეტა მეტაფიზიკისთვისაა დამახასიათებელი; ევოლუციისა და რევოლუციის, თანდათანობითი რაოდენობრივი ზრდის პროცესისა და ნახტომის ერთმანეთისაგან მოწყვეტა, როგორ ფორმაშიაც არ უნდა ხდებოდეს ის, განვითარების მეტაფიზიკური კონცეფციის ნიადაგზე დგომის მაჩვენებელია.

ზოგიერთი მეტაფიზიკოსი აშკარად უარყოფს საგნებში, მოვლენებში თვისებრივი ხასიათის გარკვეულობებს, თვისებრივი გარკვეულობები დაჰყავს რაოდენობრივ გარკვეულობებამდე და განვითარებას წარმოიდგენს რაოდენობითი ხასიათის უბრალო ზრდად, ე. ი. ძირეულ თვისებრივ ცვლილებებს, ნახტომებს უარყოფს[2].

---

[1] რაოდენობრივი ხასიათის თანდათანობით ცვლილებებს მარქსისტულ ლიტერატურაში ჩვეულებრივ ევოლუციას უწოდებენ, ხოლო ამ ევოლუციური ხასიათის ცვლილებათა ნიადაგზე გამოწვეულ თვისებრივი ხასიათის ცვლილებას — ნახტომს, რევოლუციას.

[2] როგორც ცნობილია, დარვინმა ცოცხალი ბუნების განვითარების მეცნიერული ახსნის მიმართულებით ეპოქალური მნიშვნელობის ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ამასთან ერთად იგივე დარვინი, ებრძოდა რა სავსებით სამართლიანად კიუვეს რეაქციულ კატასტროფების თეორიას, ვარდებოდა უკიდურესობაში და იჰეროებდა

ამ თვალსაზრისის დამცველებს განეკუთვნებოდნენ, მაგალითად, ბიოლოგიის ისტორიაში ცნობილი ერთ-ერთი რეაქციული მიმდინარეობის, ე. წ. პრეფორმიზმის (XVI—XVIII ს.) წარმომადგენლები, რომელთა მტკიცებით მოზრდილი ორგანიზმი — ეს იგივე ჩანასახია და თითქოს მათ შორის მხოლოდ რაოდენობრივი ხასიათის განსხვავებაღა არსებობს. შემდეგში პრეფორმიზმის ეს მეტაფიზიკური პრინციპი ათვისებულ იქნა ვეისმან-მორგანიზმის მიერ. ამ უკანასკნელი მიმდინარეობის წარმომადგენელთა მტკიცებით ცოცხალ ორგანიზმში ორი ერთმანეთისაგან იზოლირებული სფერო არსებობს: „მემკვიდრეობითი ნივთიერება“ და სხეული. „მემკვიდრეობითი ნივთიერება“ უკვდავად და თვისებრივ ცვალებადობას მოკლებულად მიაჩნიათ. ჩვენს ქვეყანაშიაც აღმოუჩნდნენ მიმდევრები ვეისმანიზმ-მორგანიზმს, მაგრამ პროგრესული მიჩურჩინული ბიოლოგიური მიმართულების წარმომადგენლებმა სასტიკად დაამარცხეს ისინი. უნდა აღინიშნოს, რომ სოციოლოგიაშიც ვხვდებით ნახტომების უარყოფისა და განვითარების უბრალო რაოდენობრივ ზრდად მიჩნევის შემთხვევებს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ რეფორმისტები (ბერნშტეინი, კაუცკი, თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები), რომლებიც ცნობილნი არიან, როგორც მუშათა კლასის უბოროტესი მტრები. მარქსისტულ-ლენინური თეორია დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება შეიძლება არა რეფორმების გზით, არამედ პროლეტარული რევოლუციის გზით, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების გზით. ამ საკითხზე მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების სისწორეს ადასტურებს უკვე ფაქტის სახით არსებული რევოლუციური პრაქტიკა.

ამრიგად, ნახტომების უარყოფისა და განვითარების უბრალო რაოდენობრივ ზრდად წარმოდგენის ცდამ როგორც ბუნებისმეცნიერებაში, ასევე სოციოლოგიაში სრული მარცხი განიცადა.

მეტაფიზიკოსთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ცნობენ სამყაროში თვისებრივად განსხვავებული საგნების, მოვლენების

მანამდე უკვე ცნობილ მეტაფიზიკურ დებულებას — „ბუნება არ აკეთებს ნახტომებს“, — რითაც იგი თავისი მოძღვრების ძირითად იდეას ეწინააღმდეგებოდა. მისი ეს შეცდომა იმაზე ჟღითებს, რომ მას ნახტომზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა; მას ვერ გაემიჯნა ნახტომის ცნება კატაკლიზმების შესახებ კიღევს ფანტასტიკური წარმოდგენისაგან. მიუხედავად ამისა, „ზერელე ევოლუციონიზმის“ წარმომადგენლად მისი ჩათვლა, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი აკეთებს გადაჭარბებაა.

არსებობას, მაგრამ უარყოფენ მათი წარმოქმნის ისტორიულობას, უარყოფენ თანდათანობითი რაოდენობრივი ცვლილებების (ევოლუციის) როლს; ევოლუციას წყვეტენ ნახტომისაგან და ამ უკანასკნელს მისტიკურად გებულობენ. რაკი მათ მიერ ევოლუციის როლი უარყოფილია, ცხადია, სამყაროში არსებულ თვისებრივ გარკვეულობათა მიზეზად იძულებული არიან ზებუნებრივი ძალა აღიარონ. ასეთი იყო თვალსაზრისი, მაგალითად, ცნობილი ბუნებისმეტყველის კარლ ლინეისა (1707—1778 წ.) ცოცხალი ბუნების სახეების შესახებ. მსგავსი ცალმხრივი მეტაფიზიკური პრინციპის ნიადაგზე ააგო თავისი მოძღვრება ფრანგმა მეცნიერმა კიუვემ (1769—1832 წ.). როგორც ცნობილია, იგი აწარმოებდა პალეონტოლოგიურ გათხრებს, ნახულობდა დიდი ხნის წინათ ამომწყდარი ცხოველების ნაშთებს, აწარმოებდა მათს შესწავლას. მათი შესწავლის საფუძველზე იძლეოდა დედამიწის ქერქის თვისებრივად განსხვავებული შრეების დახასიათებას. თვისებრივად განსხვავებული შრეების წარმოქმნის მიზეზად მას სასწაულებრივი ძალის მიერ გამოწვეული პერიოდული კატაკლიზმები მიაჩნდა.

ფრ. ენგელსი კიუვეს მეტაფიზიკურ მოძღვრებას შემდეგნაირად ახასიათებს: „კიუვეს თეორია დედამიწის რევოლუციების შესახებ რევოლუციური ფრაზით იყო, საქმით კი რეაქციული. ერთი ღვთაებრივი შემოქმედების ადგილას ეს თეორია განმეორებითი შემოქმედების აქტების მთელ რიგს აყენებდა და სასწაული ბუნების არსებით ბერკეტად გახადა“ [1].

ასეთივე მეტაფიზიკური მეთოდოლოგიური პრინციპის ნიადაგზე აგებული თეორიის ნიმუშს წარმოადგენს დე-ფრიზის (1848—1935 წ.) მიერ შექმნილი თეორია მუტაციების შესახებ. მისი მტკიცებით, ყოველი ახალი სახე წარმოიშობა უეცარი აფეთქების (მუტაციის) გზით; აფეთქებას არ უსწრებს არაეითარი ევოლუციური საფეხური განვითარებისა.

დე-ფრიზის ამ მეტაფიზიკურ თეორიას, ისევე როგორც კიუვეს მოძღვრებას, სასწაულებრივი ძალის აღიარებამდე მივყავართ.

დე-ფრიზის მოძღვრება მუტაციების შესახებ შეემატა ვეისმანიზმ-მორგანიზმს, როგორც შემდგომი „განვითარება-გაღრმავება“ და მივიღეთ „უფრო სრულყოფილი“ ცრუმეცნიერული ეკლექტიკური მოძღვრება, რომელიც თეორიულ-მეცნიერული თვალსაზრისით უვარგისია და პრაქტიკულად უნაყოფო.

---

[1] ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 15.

წინასწარმდეგ აღნიშნული ცალმხრივი, მეტაფიზიკური თეორიებისა, რომლებიც ევოლუციასა და რევოლუციას, რაოდენობრივი ხასიათის ცვლილებებსა და ნახტომს ერთმანეთისაგან წყვეტენ, მარქსისტული დიალექტიკური მეთოდი ამტკიცებს, რომ „ევოლუცია და რევოლუცია, რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილება — ორი აუცილებელი ფორმაა ერთი და იმავე მოძრაობისა“ (ი. ბ. სტალინი).

მთელი რიგი მაგალითები შეიძლება მოყვანილ იქნას იმის საილუსტრაციოდ, რომ ბუნებასა და საზოგადოებაში ადგილი აქვს მოძრაობას, განვითარებას ორ ერთმანეთისაგან მოუწყვეტელ ფორმაში — ევოლუციისა და რევოლუციის, ნახტომის, ფორმაში.

რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებში გადასვლის საყოველთაოდ ცნობილი უმარტივესი მაგალითია ნორმალური ატმოსფერული წნევის პირობებში წყლის გადაქცევა ორთქლად ტემპერატურის მატების გარკვეულ წერტილზე და, პირიქით, წყლის გადაქცევა ყინულად ტემპერატურის გარკვეულ წერტილამდე შემცირების შემთხვევაში.

ორგანულ სამყაროში რაოდენობრივ ცვლილებათა თვისებრივ ცვლილებებში გადასვლის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ უსტრუქტურო ცოცხალი ნივთიერებიდან უჯრედის წარმოქმნა, რომლის შესაძლებლობას ექსპერიმენტალურად ამტკიცებს ცნობილი საბჭოთა მეცნიერი ო. ბ. ლეპეშინსკაია.

მსგავსი მდგომარეობაა საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროშიაც; ცნობილია, რომ საწარმოო ძალების განვითარების გარკვეულ საფეხურზე აუცილებლობის ძალით ადგილი აქვს ერთი საზოგადოებრივი წყობილებიდან ნახტომს მეორე, უფრო მაღალ საზოგადოებრივ წყობილებაზე.

ასევეა საქმის ვითარება აღამიანთა თეორიული მოღვაწეობის სფეროში. მაგალითად, მარქსიზმის წარმოშობა წინამორბედ პროგრესულ მრძღვრებათა უბრალო გაგრძელებას კი არ ნიშნავდა, არამედ მათს გაგრძელებას ახალ საფეხურზე, ე. ი. ნახტომს, რევოლუციას.

ასეთი მაგალითების რიცხვი შეიძლებოდა გაგვედიდებინა, და ეს საკმაოთ გასაგებია, ვინაიდან რაოდენობრივ ცვლილებათა თვისებრივ ცვლილებებში გადასვლის კანონი ერთ-ერთი უზოგადესი კანონია ბუნებისა და საზოგადოების განვითარებისა.

ი. ბ. სტალინი თავის ნაშრომში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ“, რომელშიც მარქსისტული ფი-

ლოსოფიის ძირითადი პრინციპები გადმოცემულია სისტემატური სახით, იძლევა რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივ ცვლილებებში გადასვლის კანონზომიერების შემდეგნაირ დახასიათებას:

„წინააღმდეგ მეტაფიზიკისა, დიალექტიკა განვითარების პროცესს იხილავს არა როგორც ზრდის უბრალო პროცესს, სადაც რაოდენობრივი ცვლილებები არ იწვევენ თვისებრივ ცვლილებებს, — არამედ როგორც ისეთ განვითარებას, რომელიც უმნიშვნელო და მალული რაოდენობრივი ცვლილებებიდან გადადის აშკარა ცვლილებებზე, ძირფესვიანად ცვლილებებზე, თვისებრივ ცვლილებებზე, სადაც თვისებრივი ცვლილებანი თანდათანობით კი არ ხდება, არამედ სწრაფად, უეცრად, ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაზე ნახტომისებური გადასვლის სახით, ხდება არა შემთხვევით, არამედ კანონზომიერად, ხდება შეუმჩნეველი და თანდათანობითი რაოდენობრივი ცვლილებების დაგროვების შედეგად“ [1].

ი. ბ. სტალინმა მარქსიზმის შემოქმედებითი ბუნების შესაბამისად თავის ნაშრომში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ შემდგომ განავითარა, დააკონკრეტა მარქსისტული მოძღვრება ძველი თვისებრიობიდან ახალ თვისებრიობაში გადასვლის ფორმების შესახებ.

თანახმად მარქსისტული დიალექტიკისა, ძველი თვისებრიობიდან ახალში გადასვლის ფორმა განისაზღვრება მოცემულ საგანთა, მოვლენათა სპეციფიკით, მათი შინაგანი წინააღმდეგობის ხასიათით.

ძველი თვისებრიობიდან ახალში გადასვლის უნივერსალურ (ერთადერთ) ფორმას არ წარმოადგენს აფეთქება, ე. ი. ისეთი ფორმა, რომელიც ნიშნავს ძველი თვისებრიობის ერთბაშად მოსპობასა და მის ნაცვლად ახალი თვისებრიობის შექმნას. ამგვარი აფეთქებითი ხასიათის ნახტომი იყო, მაგალითად, 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომელიც ნიშნავდა მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობას და მის ნაცვლად საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

ენის განვითარების კანონზომიერების განხილვის დროს ი. ბ. სტალინი აკეთებს უაღრესად საყურადღებო დასკვნას, რომ ძველი თვისებრივი მდგომარეობიდან ახალ თვისებრივ მდგომარეობაზე გადასვლა ხდება არა მხოლოდ აფეთქების გზით, არამედ ძველი თვისებრიობის ელემენტების თანდათანობითი კვდომისა და ახალი თვისებრიობის ელემენტების თანდათანობითი დაგროვების გზითაც.

---

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი, 1948. გვ. 137—138.

ენა საზოგადოების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში არსებული სპეციფიკური საზოგადოებრივი მოვლენაა. იგი, ისევე როგორც სამყაროში არსებული ყოველი საგანი, ყოველი მოვლენა, განიცდის ცვლილებას, განვითარებას. მაგრამ რაკი მას თავისი სპეციფიკა გააჩნია, ცხადია, ის განსაზღვრავს მისი განვითარების თავისებურებას. რა შეადგენს ენის სპეციფიკას? ენის სპეციფიკას შეადგენს ის, რომ იგი, როგორც ამაზე ი. ბ. სტალინი ამბობს „ემსახურება საზოგადოებას, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, როგორც საზოგადოებაში აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალება, როგორც ისეთი საშუალება, რომელიც ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს გაუგონ ერთმანეთს და მოაწყონ ერთობლივი მუშაობა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, როგორც წარმოების დარგში, ისე ეკონომიური ურთიერთობის დარგში, როგორც პოლიტიკის დარგში, ისე კულტურის დარგში, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ყოფაცხოვრებაში“ [1].

ენის სპეციფიკის, მისი სამსახურებრივი როლის, მისი ფუნქციის გათვალისწინება გამორიცხავს აფეთქების დაშვებას ენის განვითარებაში. ენის თვისებრიობის ერთბაშად მოსპობა ადამიანთა ყოველგვარი საქმიანობის მოშლა, ანარქია იქნებოდა. ამგვარი მოთხოვნილება არ გააჩნია საზოგადოებას.

რადგან ენა უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის ყველა სახის საქმიანობასთან, ცხადია, ადამიანთა საზოგადოების განვითარება, ადამიანთა მრავალფეროვანი საქმიანობის სრულყოფა-განვითარება იწვევს მოცემული ენის ლექსიკური შემადგენლობის განუწყვეტელ ცვლილებას. მაგრამ ენის სპეციფიკის არსებაში მთლიანად ერთდროული ცვლილება არ ხდება. ენის სპეციფიკის არსებაში ცვლილება, სწორედ, თვისებრივი ხასიათის ცვლილებაა.

რა შეადგენს ენის სპეციფიკის არსს? ამაზე ნათელი პასუხი მოცემულია ი. ბ. სტალინის მიერ:

„ენის გრამატიკული წყობა და მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი შეადგენს ენის საფუძველს, მისი სპეციფიკის არსს“ [2].

ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი შედარებით მყარია და თანაც ბაზაა ენის მთელი ლექსიკური შემადგენლობის ახალი სიტყვებით გამდიდრებისათვის (მის ბაზაზე იწარმოება ახალი სიტყვები), ხოლო გრამატიკული წყობის

[1] ი. ბ. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, 1954, გვ. 33.
[2] იქვე, გვ. 23.

მეშვეობით კი „ენას შესაძლებლობა ეძლევა ადამიანის აზრი ჩამოაყალიბოს მატერიალურ ენობრივ გარსში“ (ი. ბ. სტალინი).

ამრიგად, ენამ რომ თავისი სპეციფიკა შეინარჩუნოს, რომ მან თავისი ფუნქცია შეასრულოს „მთავარია მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი“ (ი. ბ. სტალინი). ენაში თვისებრივი ხასიათის ცვლილებები ნიშნავს ცვლილებებს, სწორედ, ენის გრამატიკულ წყობასა და ძირითად ლექსიკურ ფონდში, ე. ი. ენის სტრუქტურაში, ხოლო ის უწყვეტი ცვლილებები, რომლებიც ამზადებენ მოცემული ენის სტრუქტურაში ცვლილებებს, რაოდენობრივი ხასიათის ცვლილებებს შეადგენს.

ენის ბედს წყვეტს ცვლილებები, რომლებიც უშუალოდ ენის სტრუქტურას, ე. ი. ენის ძირითად ლექსიკურ ფონდსა და გრამატიკულ წყობას შეეხება, მაგრამ ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ თითქოს სხვა სახის ცვლილებები, რომლებსაც რაოდენობრივი ხასიათის ცვლილებები უნდა ეწოდოს, მოწყვეტილი იყოს ენის სტრუქტურის ცვლილებებისაგან.

ამ საკითხთან დაკავშირებით აკად. ვ. ვ. ვინოგრადოვი, სავსებით მართებულად, შემდეგს ამბობს:

„ცვლილებები ენაში, მის სხვადასხვა მხარეში სხვადასხვა ტიპისაა. ამ ცვლილებათაგან ერთნი, მაგალითად, ცვლილებები ლექსიკური შემადგენლობის მოძრავ ნაწილში „სრულებითაც არ წყვეტს ენის ბედს“. მაგრამ გარკვეული მიმართულებისას ლექსიკურ ცვლილებებსაც შეუძლიათ მათი გრამატიკული აბსტრაგირების ან სემანტიკური განზოგადოების პროცესში მიგვიყვანოს ახალი თვისებრიობის ელემენტების, ენის ახალი სტრუქტურის შექმნამდე“ [1].

ცვლილებები ენის სტრუქტურაში სწორედ რაოდენობრივი ცვლილებების ბაზაზე სწარმოებს, მაგრამ საქმე ის არის, რომ რაოდენობრივი ხასიათის უწყვეტი ცვლილებების გარკვეული მინიმუმის დაგროვებამდე ენის თვისებრიობის ელემენტი შედარებით უცვლელ მდგომარეობაშია.

[1] „Изменения в языке, в разных его сторонах разнотипны. Одни из этих изменений, например, изменения в подвижной части словарного состава, „ни в какой мере не решает судьбу языка“. Однако при определенной направленности и лексические изменения могут в процессе их грамматического абстрагирования или семантического обобщения повести к образованию элементов нового качества, новой структуры языка“ („В. В. Виноградов. Понятие внутренних законов развития языка в общей системе марксистского языкознания, журн. „Вопросы языкознания“, № 2, 1952 г., გვ. 38).

წინააღმდეგ მარისა და მისი მიმდევრების არასწორი თვალსაზრისისა, ი. ბ. სტალინმა ენის ძველი თვისებრივი სტრუქტურიდან ახალ თვისებრივ მდგომარეობაზე გადასვლა შემდეგნაირად დაახასიათა:

„მარქსიზმს მიაჩნია, რომ ენის გადასვლა ძველი თვისებრიობიდან ახალში ხდება არა აფეთქების გზით, არა არსებული ენის მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არამედ ახალი თვისებრიობის ელემენტების თანდათანობითი დაგროვების გზით, მაშასადამე, ძველი თვისებრიობის ელემენტების თანდათანობითი კვდომის გზით“ [1].

ენის ძველი თვისებრიობიდან ახალ თვისებრიობაში გადასვლის პროცესის ამ დახასიათებაში ყურადღება მახვილდება იმაზე, რომ მოცემული ენის თვისებრიობის ელემენტების ე რ თ დ რ ო უ ლ მოსპობას კი არა აქვს ადგილი, არამედ ენის ძველი თვისებრიობის ელემენტების თანდათანობით კვდომას და ასევე თანდათანობით ახალი თვისებრიობის ელემენტების დაგროვებას.

მაშასადამე, ენის თვისებრიობის ცვლა იმგვარად წარმოებს, რომ ენის მიერ მისი ფუნქციის შესრულება კი არ ფერხდება, არამედ, პირიქით, ადვილდება, მსუბუქდება; ენა უფრო მოქნილი ხდება. ენების განვითარების ისტორია ნათლად ადასტურებს ამას.

მაგალითად, რუსული ენა თავისი განვითარების პროცესში თანდათან კარგავდა ძველი თვისებრიობის ელემენტებს და იძენდა ახალს. ცნობილია, რომ რუსულ ენაში ზმნებმა ისტორიული განვითარების გარკვეული პერიოდიდან იწყეს შეძენა სრული და უსრული სახის (вид) ფორმებისა. ასევე ცნობილია, რომ სრულ და უსრულ სახეებს შორის მკვეთრი განსხვავების ჩამოყალიბების პროცესის პარალელურად წარმოებდა ძველი მრავალდროიანი სისტემის უარყოფა და მის ნაცვლად სამდროიანი სისტემის ჩამოყალიბება.

უდავოა, რომ ამგვარი ცვლილებების წყალობით ძველმა რუსულმა ენამ ადგილი დაუთმო თანამედროვე რუსულ ენას, ე. ი. რუსული ენის ახალ ვარიანტს. ასევე მოხდა ქართული ენის განვითარებაშიაც. ძველმა ქართულმა ადგილი დაუთმო თანამედროვე ქართულ ენას, ე. ი. ქართული ენის ახალ ვარიანტს. ან კიდევ, ცნობილია, რომ ხალხური ლათინური ენიდან სხვადასხვა კონკრეტულ ისტორიულ პირობებში განვითარდნენ ერთმანეთისაგან და თვით ხალხური ლათინურისაგან თვისებრიეად განსხვავებული რო-

[1] ი. ბ. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 26.

მანული ენები: ესპანური, პორტუგალიური, ფრანგული, იტალიური, რუმინული, კატალონური, პროვანსული, რეტო-რომანული, სარდინული და მოლდავური.

წინააღმდეგ მარისა და მისი მიმდევრების მტკიცებისა, ენათა შეჯვარედინების შემთხვევაშიაც არა აქვს ადგილი აფეთქებას. შეჯვარედინების შემთხვევაში ერთი რომელიმე ენა გამოდის გამარჯვებული, ხოლო დამარცხებული ენა თანდათან კვდება და ადგილს უთმობს გამარჯვებულ ენას. ეს უკანასკნელი ენა ინარჩუნებს თავის თვისებრიობას, უფრო მტკიცდება და განაგრძობს განვითარებას „თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით".

ი. ბ. სტალინი ამბობს:

„ენების შეჯვარედინება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც გადამწყვეტი დარტყმის ერთეული აქტი, რომელიც თავის შედეგებს იძლევა რამდენიმე წლის მანძილზე. ენების შეჯვარედინება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ასეულ წლობით გრძელდება. ამიტომ აქ არავითარ აფეთქებაზე ლაპარაკი არ შეიძლება" [1].

მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების ეპოქაში კი, როდესაც იქნება პირობები ერების მეგობრული თანამშრომლობისა, როდესაც ეროვნული ჩაგვრა ადგილს დაუთმობს ეროვნულ თანასწორუფლებიანობას, როდესაც მოხდება ერების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული დაახლოება მაშინ ენებს ექნებათ საშუალება ურთიერთ თანამშრომლობისა, ურთიერთ გამდიდრებისა. ამ პერიოდში მოხდება ჯერ უფრო გამდიდრებული ზონალური ენების გამოყოფა, ხოლო შემდეგში კი შეიქმნება ერთი საერთო მსოფლიო ენა, რომელიც მომსახურეობას გაუწევს მატერიალური და სულიერი ცხოვრების ერთიანობით შედუღებულ კაცობრიობას. ის მსოფლიო ენა შექმნილი იქმნება არა აფეთქების გზით, არამედ ეროვნულ და ზონალურ ენათა საუკეთესო ელემენტების ათვისების გზით.

ამრიგად, ენის ძველი თვისებრიობიდან ახალ თვისებრიობაში გადასვლა გამორიცხავს აფეთქებას, მაგრამ არ გამორიცხავს ნახტომს. უნდა ითქვას, რომ ნახტომის უარყოფა არსებითად თვით დიალექტიკურად გაგებული განვითარების უარყოფა და, მაშასადამე, განვითარების მეტაფიზიკური კონცეპციის ნიადაგზე გადასვლაა. რომ ენის განვითარებაში აფეთქების უარყოფის ნახტომის უარყოფად მიჩნევა შეცდომაა, ამას ადასტურებს ი. ბ. სტალინის

[1] ი. ბ. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 26—27.

ნაშრომიდან „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ — შემდეგი ადგილი:

„8—10 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში განვახორციელეთ ბურჟუაზიული ინდივიდუალურ-გლეხური წყობილებიდან სოციალისტურ, საკოლმეურნეო წყობილებაზე გადასვლა. ეს იყო რევოლუცია (ხაზგასმა ჩვენია — გ. ბ.), რომელმაც სოფლად მოსპო ძველი ბურჟუაზიული სამეურნეო წყობილება და შექმნა ახალი, სოციალისტური წყობილება. მაგრამ ეს გადატრიალება (ხაზგასმა ჩვენია — გ. ბ.) მოხდა არა აფეთქების გზით, ე. ი. არა არსებული ხელისუფლების დამხობის და ახალი ხელისუფლების შექმნის გზით, არამედ სოფლად ძველი ბურჟუაზიული წყობილებიდან ახალ წყობილებაში თანდათანობითი გადასვლის გზით. ეს კი იმიტომ მოხერხდა, რომ ეს იყო რევოლუცია ზევიდან, რომ გადატრიალება მოხდა არსებული ხელისუფლების ინიციატივით და გლეხობის ძირითადი მასების მხარდაჭერით“ [1].

მოყვანილ ციტატაში პირდაპირი პასუხია იმაზე, რომ აფეთქების გარეშე საგნის, მოვლენის ძველი თვისებრივი მდგომარეობიდან ახალზე გადასვლაც რევოლუციაა, გადატრიალებაა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ძველი თვისებრიობიდან ახალზე თანდათანობითი გადასვლა ნახტომს კი არ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, გულისხმობს მას.

ამ დებულების სისწორეზე უთითებს აგრეთვე ფრ. ენგელსის შემდეგი ციტატი:

„ყოველივე თანდათანობის მიუხედავად გადასვლა მოძრაობის ერთი ფორმიდან მეორე ფორმაზე ყოველთვის ნახტომად, გადამწყვეტ შემობრუნებად რჩება“ [2].

ვ. ი. ლენინი, აღგენს რა კონსპექტს ჰეგელის შრომისას „ლექციები ფილოსოფიის ისტორიაზე“, აკეთებს შენიშვნას:

„რით განსხვავდება დიალექტიკური გადასვლა არადიალექტიკურისაგან? ნახტომით. წინააღმდეგობით. თანდათანობის წყვეტით“ [3].

ამ შენიშვნიდან ნათლად ჩანს, რომ ლენინს საეჭვოდ არ მიაჩნია ნახტომის აუცილებლობა ძველი თვისებრივი მდგომარეობიდან ახალზე გადასვლისათვის.

---

[1] ი. ბ. სტალინი, მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები, გვ. 26.

[2] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 79.

[3] В. И. Ленин, „Философские тетради“, 1947, გვ. 265.

უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ზოგიერთი ენათმეცნიერის (მაგ., ვ. ვ. ვინოგრადოვის) თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით[1]. რატომღაც ვინოგრადოვი ნახტომის ცნებას გაურკვეველ ცნებად მიიჩნევს და მოითხოვს მის უფრო ზუსტ განსაზღვრებას. იგი თავგამოდებით ცდილობს ნახტომი გააიგივეოს აფეთქების ცნებასთან და ამ გზით უარყოს იგი ენის განვითარების მიმართ.

თუ რა გამოიხატება ნახტომის ცნებით მარქსისტულ ლიტერატურაში, ამაზე ორაზროვნებისათვის რეალური საფუძველი არ არსებობს. ნახტომის ცნება ასახავს იმას, რომ განვითარების პროცესში აღგილი აქვს თანდათანობითი რაოდენობრივი ზრდის პროცესის წყვეტას და ახალ თვისებრივ მდგომარეობაზე გადასვლას, ახალ უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმას, რომ შესაძლებელია ნახტომი გამოვლინდეს სხვადასხვა ფორმით. შესაძლებელია ნახტომი გამოვლინდეს ისეთ სპეციფიკურ ფორმაში, რომ რაოდენობრივი ცვლილებები ძველი თვისებრიობის ელემენტებში უთანაბროდ მიმდინარეობდეს და ამიტომაც ძველი თვისებრიობა ერთბაშად კი არ ისპობოდეს, არამედ ადგილი ჰქონდეს ამ თვისებრიობის ელემენტების თანდათანობით კვდომას და ასევე თანდათანობით ახალი თვისებრიობის ელემენტების დაგროვებას. ამ გზით განხორციელებული ნახტომი ჩვეულებრივ ხანგრძლივ დროს საჭიროებს[2]. კერძოდ, ენაში რომ ასეთი ნახტომი განხორციელდეს „ამისათვის საუკუნეებია საჭირო“ (ი. ბ. სტალინი).

ენის განვითარების კანონზომიერების საკითხის გაშუქებას სპეციალური შრომა მიუძღვნა ამხ. ე. ლომთაძემ[3].

ძველი თვისებრიობიდან ახალ თვისებრიობაში გადასვლის კა-

---

[1] იხ. В. В. Виноградов, Понятие внутренних законов развития языка в общей системе марксистского языкознания, „Вопросы языкознания“, 1952, № 2, გვ. 38.

[2] დროის ეს ხანგრძლივობა სხვადასხვა კონკრეტულ პირობებში სხვადასხვაა. თუ, მაგალითად, ენის ერთი თვისებრივი მდგომარეობიდან მეორე თვისებრივ მდგომარეობაში გადასვლისათვის საუკუნეებია საჭირო, სამაგიეროდ, ჩვენი ქვეყნის სოციალის მეურნეობაში, როგორც ცნობილია, ძველ ეკონომიურ ურთიერთობათა ნაცვლად 8—10 წლის განმავლობაში შეიქმნა ახალი, სოციალისტური ეკონომიური ურთიერთობანი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნახტომის გამოვლენის ეს ფორმა (არააფეთქებითი ფორმა) სრულებით არ გამორიცხავს თანდათანობითი რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივი ცვლილებებით სწრაფ, უეცარ დაგვირგვინებას. არამედ, პირიქით — გულისხმობს მას.

[3] იხ. ე. ლომთაძე, ენის განვითარების ბუნების შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. III.

ნონზომიერების დახასიათება, რომელსაც იგი ამ შრომაში იძლევა, არ მიგვაჩნია ზუსტად.

მიუხედავად იმისა, რომ ამხ. ე. ლომთაძეს აქვს ცდა ერთმანეთისაგან გამოეყნოს ნახტომის აფეთქებითი და არააფეთქებითი ფორმები, იგი ამას ვერ ახერხებს.

ამის დამადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ ადგილი მისი შრომიდან:

„ეს ენა (ლაპარაკია საერთაშორისო ენაზე — გ. ბ.), ცხადია, ერთა დაახლოების (თანამშრომლობის), შერწყმის შედეგად წარმოიქმნება, ე. ი. თანდათანობით, ევოლუციის გზით, ახალი ენის ელემენტების ხანგრძლივი რაოდენობრივი დაგროვების გზით, შემდეგ თვისებრივი ცვლილების გზით“ [1].

ჯერ-ერთი, ევოლუციისა და ახალი თვისებრიობის ელემენტების დაგროვების ცნებათა გაიგივება, რომელსაც ახდენს ავტორი, არასწორია. მეორე, მსჯელობა, რომ თითქოს ენის ახალი თვისებრიობის ელემენტების დაგროვების შემდეგ ჰქონდეს ადგილი თვისებრივ ცვლილებებს, ნახტომს, არაა ზუსტი. ნამდვილად კი ძველი თვისებრიობის ელემენტების კვდომისა და ახალი თვისებრიობის ელემენტების დაგროვების ხანგრძლივი პროცესი თვით არის ნახტომი.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნახტომის ხასიათის (ფორმის) განსაზღვრელ პირობათა მის მიერ მოცემული დახასიათებაც არაზუსტია.

ეხება რა აფეთქებითი ნახტომების ნიშნების საკითხს ამხ. ე. ლომთაძე წერს:

„აფეთქების დროს ყოველთვის არსებობს ისეთი გარეგანი დაბრკოლება, ისეთი გარეგანი წინააღმდეგობა, რომლის მოხსნა, რომლის დაძლევა აფეთქების გარეშე შეუძლებელია; ხოლო არააფეთქებითი ხასიათის ნახტომის დროს ჩვეულებრივ ეს ძლიერი გარეგანი დაბრკოლება, გარეგანი წინააღმდეგობა არ არსებობს“ [2].

ცნობილია, რომ თანახმად დიალექტიკისა ნახტომი შედეგია არა გარეგანი წინააღმდეგობის, არამედ შინაგანი წინააღმდეგობის დაძლევისა. და თუ ამას ვაღიარებთ, მაშინ შეუძლებელია ვამტკი-

[1] იხ. ე. ლომთაძე, ენის განვითარების ბუნების შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. III, გვ. 155.

[2] იქვე, გვ. 144.

ცოთ, თითქოს ნახტომის ხასიათი გარეგანი წინააღმდეგობის ხასიათით იყოს განსაზღვრული.

ავტორის ეს არაზუსტი მტკიცება, ალბათ, იმითაა გაპირობებული, რომ მან ერთმანეთში არია შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობის ცნებები. ასე, მაგალითად, 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროს ექსპლოატატორული სახელმწიფოს წინააღმდეგობის გადალახვა მას მიაჩნია გარეგანი წინააღმდეგობის დაძლევად. ეს, რა თქმა უნდა, არასწორია. განა ექსპლოატატორული სახელმწიფო ექსპლოატატორ კლასებთან ერთად მაშინ რუსეთში არსებული საზოგადოების შინაგანი წინააღმდეგობის ერთ დაპირისპირებულ დასაძლევ მხარეს არ განეკუთვნებოდა?!

ენის ძველი თვისებრიობიდან ახალში გადასვლის საკითხთან დაკავშირებით საყურადღებოა ამხ. შ. გაფრინდაშვილის ნაშრომი „ენის განვითარების ბუნების შესახებ“ [1].

დასმული საკითხის რიგ მხარეს ავტორი კარგად აშუქებს. მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, მის შრომაში ვხვდებით არსებითი ხასიათის ნაკლოვანებასაც. მხედველობაში მაქვს ის, რომ ავტორს გამოუდის თვისებრივ ცვლილებათა ფარგლების გაწევით რაოდენობრივ ცვლილებათა ფორმალური უარყოფა, ხოლო ფაქტიურად კი — თვისებრიესა და რაოდენობრივ ცვლილებათა შორის საზღვრის წაშლა.

იგი წერს:

„ენის განვითარება არ წარმოებს რაოდენობრივი ხასიათის ცვლილებების ნიადაგზე; ყოველი ენობრივი ცვლილება ახალი თვისებრიობის ელემენტის ენაში შემოტანას, ან ძველი თვისებრიობის ელემენტის მოსპობას წარმოადგენს“ [2].

და შემდეგ:

„ყოველი ენობრივი ცვლა, დაწყებული ბგერათცვლილებით და დამთავრებული ახალი გრამატიკული ოდენობის ჩამოყალიბებით, ენაში ახალი თვისებრიობის ელემენტის შემოტანას, ან ძველი თვისებრიობის ელემენტის გაქრობას მოასწავებს. ამიტომ ენობრივი ცვლა რაოდენობრივი ხასიათის არაა, იგი თვისებრივია“ [3].

მართალია, შრომაში ვხვდებით ისეთ მსჯელობებსაც, რომელთა მიხედვით თითქოს არ უნდა იყოს უარყოფილი რაოდენობრივი

[1] იხ. შ. გაფრინდაშვილი, ენის განვითარების ბუნების შესახებ, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“, ტ. III.

[2] იქვე, გვ. 191.

[3] იქვე, გვ. 192.

ცვლილებები. მაგრამ თუ „ყოველი ენობრივი ცვლა“ თვისებრივი ხასიათისაა, მაშინ რაოდენობრივი ხასიათის ცვლილებები, რომლებზედაც ავტორი აქცენტს აკეთებს, რაღაც გაურკვევლად, მისტიკურად გამოიყურება.

ყოველ შემთხვევაში, ის მაინც არაა საფუძველს მოკლებული, რომ ავტორს ვუსაყვედუროთ ერთგვარი მერყეობა აღნიშნული საკითხის გაშუქებაში.

* * *

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ, რომ საკითხი, რომელსაც ვეხებით, მოიცავს მრავალ მხარეს. აქ კი ყურადღება მივაქციეთ მოცემული საკითხის იმ მხარეს, რომლის შესახებაც მარქსიზმის კლასიკოსთა ნათელი აზრების გაბუნდოვანების შემთხვევები შეინიშნებოდა აქა-იქ, ზოგიერთი ავტორის სტატიებში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი თვისებრიობიდან ახალში გადასვლის კანონზომიერების საკითხის შემდგომი ღრმა გაშუქება აქტუალური ამოცანაა და ეს, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობითი გადასვლის გრანდიოზულ ამოცანათა გადაწყვეტისაკენ გამიზნული პოლიტიკის არსს უკეთ ჩავწვდეთ.

(შემოვიდა რედაქციაში 14. IV. 1955)

Г. И. БЕРИШВИЛИ

О ФОРМАХ ПЕРЕХОДА ОТ СТАРОГО КАЧЕСТВА К НОВОМУ КАЧЕСТВУ

Резюме

Единый материальный мир существует в виде многообразных качественно и количественно определенных предметов, явлений.

Марксистская диалектика, опираясь на результаты, добытые многовековым развитием науки и общественной практики, утверждает, что многообразные предметы, явления находятся не в состоянии застоя и неподвижности, а в состоянии изменения, развития.

Одним из общих законов изменения, развития является то, что постепенные количественные изменения, достигая опреде-

ленной ступени, вызывают коренные, качественные изменения,— скачки. Количественные и качественные изменения — две необходимостью связанные друг с другом формы развития. Отрыв количественных изменений от скачка, в какой бы форме не происходил он, является характерной чертой метафизики.

Согласно творческой природе марксизма-ленинизма, И. В. Сталин в своем произведении „Марксизм и вопросы языкознания" обогатил марксистскую диалектику новым положением относительно формах перехода от старого качества к новому качеству.

Суть этого марксистско-ленинского положения заключается в следующем: единственной формой перехода от старого качества к новому качеству не является взрыв, т. е. такая форма, при которой происходит разовое уничтожение старого качества и возникновение нового качества. Скачок осуществляется и в такой форме, при которой количественные изменения протекают неравномерно в различных элементах старого качества, и в силу этого прерыв постепенных количественных изменений не происходит одновременно во всем масштабе данного качества, т. е. скачки осуществляются и путем постепенного отмирания элементов старого качества и накопления элементов нового качества.

Например, так происходит переход от старого качества к новому качеству в развитии языка. Невозможность одновременного прерыва всей структуры языка, невозможность прерыва во всем масштабе качества языка, т. е. невозможность взрыва в развитии языка доказывается историческими фактами; также факты говорят о том, что происходит смена одних языков другими, качественно новыми языками, путем постепенного отмирания элементов старого качества и накопления элементов нового качества.

Ошибочна точка зрения тех товарищей, которые считают сомнительным наличие скачка в развитии языка; также неверны взгляды тех товарищей, у которых фактически получается признание взрыва в развитии языка, и тех, которые стирают грани между количественными и качественными изменениями в языке.

Учитивая факты неправильного комментирования некоторыми товарищами положения И. В. Сталина о формах перехода от старого качества к новому качеству, мне казалось не лишним обратить внимание на данное положение и сделать кое-какие замечания относительно того, как мы, на мой взгляд, должны понимать его.

ა.ლ. ფულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

ნ. მაისურაძე

მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი

ბესარიონ გაბაშვილის მდიდარი ბიოგრაფია საკმაოდაა შესწავლილი, მისი ოჯახის დანარჩენი წევრების შესახებ კი მეტად ძუნწი ცნობები მოგვეპოვება.

ირაკლი მეფისა და ანტონ კათალიკოსის მიერ გაძევებული ზაქარია გაბაშვილი რუსეთიდან 1771 წელს დაბრუნდა, იმერეთში დამკვიდრდა და სიცოცხლის უკანასკნელი წლები გელათში გაატარა. აქ ზაქარიას ბევრი საეკლესიო წიგნი გადაუწერია. იგი თარგმნის, არსებულ ქართულ თარგმანებს ადარებს ბერძნულ და რუსულ ტექსტებს, ავსებს, ასწორებს და „ყოვლითურთ განსრულებულ“ რედაქციას იძლევა. 1772 წელს მის მიერ გადაწერილი ლიტურღიისათვის ზაქარიას დაურთავს ანდერძი: „ბრძანებითა იოსიფ კათალიკოს მამამთავრისათა ერთობით ვიღაწეთ და თანაშევაწამენით ბერძენ „როსიისა საპატრიარქოთა ლიტურღიათა და ესრეთ აღვავსეთ ნაკლი რაიმე და ყოველითურთ განვასრულეთ. განიკარგა გეენათისა დიდისა ეზოსა შინა“ (საქ. მუზ. ხელნაწ. ფ. Q 331).

ჩანს, გელათის ძველი კულტურული კერა მეთვრამეტე საუკუნეშიც აგრძელებს თავის საუკუნეებრივ ტრადიციას და მწიგნობარი ზაქარია გაბაშვილი ქართული თარგმანების რუსულთან შეწამებით და ნაკლის აღვსებით ვალს უხდის საეკლესიო მწერლობის თანამედროვე მოთხოვნილებას.

გელათში ზაქარიას შეუქმნია მთელი საკალიგრაფიო სკოლა. ამ სკოლის ხელნაწერები გამოირჩევიან განსაკუთრებული სისუფთავით, სილამაზითა და რაღაც თავისებური, გაბაშვილთა საკალიგრაფიო სკოლისათვის დამახასიათებელი ნატიფობით.

გაბაშვილთა სკოლა თუ არ სჭარბობს, ყოველ შემთხვევაში, არ ჩამოუვარდება მესხიშვილთა ცნობილ საკალიგრაფიო სკოლას.

ზაქარიასთან ერთად მოღვაწეობდნენ მისი შვილებიც. ბესიკის ძმები პოეტები და განთქმული კალიგრაფები ყოფილან, მაგრამ

არა თუ მათი მწიგნობრული მოღვაწეობა, ჯერ კიდევ ამ ოჯახის შემადგენლობაც კი არაა შესწავლილი და დაზუსტებული.

ზაქარია გაბაშვილს მრავალი შვილი ჰყოლია, როდესაც საეკლესიო კრების მიერ შეჩვენებული მოძღვარი რუსეთში გააძევეს (1764 წ.), მაშინ მისთვის 8 შვილი დაუშორებიათ.

„თორმეტი დღე საპყრობილეში მამყოფეს, რვა შვილი წამართვესო". — სწერს ზაქარია ასტრახანის ეპისკოპოსს[1].

ამასვე იმეორებს იგი გიორგი ვახტანგის ძისადმი გაგზავნილ ეპისტოლეში:

„მე მტირალს ქართლი გამომაარეს.

შვილნი რვანიცა ერთჟამ წამგვარეს" (საქ. მუზეუმი, S 303).

ჩვენი ცნობებით, ზაქარია გაბაშვილის შვილები არიან: იოსებ, იოანე, ოსე, ბესარიონ, ანტონ, ნიკოლოზ, სვიმონ და ზაქარია.

ცნობილი კალიგრაფი ოსე გაბაშვილი რომ ზაქარია მოძღვრის შვილია, ეს მრავალი ხაბუთითაა დადასტურებული, მხოლოდ ზოგიერთ მკვლევარს ოსე და იოსები ერთი და იგივე პიროვნება ჰგონია და იოსების ანბანთქებას — „აღვაზმე არე ასპიროზ" — ოსეს მიაწერს.

იოსები ოსეს უფროსი ძმაა. ოსე 1822 წელსაც ცოცხალია (იხ. მისი წერილები ანა დედოფალთან, ს. კაკაბაძის გამოცემა), იოსები კი 1783 წელს გარდაცვალებული ჩანს.

ქუთაისის საისტორიო მუზეუმის ერთ საბუთში (ხელნაწ. ფონდი № 517) აღწერილია „ბიცვალება ხუცისა და მოძღვრისა ზაქარია იობიან გაბაონისა წმიდასა გაენათს მონასტერსა შინა" (ასეთია ხელნაწერის სათაური). აქვეა რამდენიმე საყურადღებო ცნობა ზაქარიას ძის იოსების შესახებ.

საბუთიდან ჩანს, რომ ზაქარია მოძღვარს უკანასკნელი წლები გელათში გაუტარებია. ხუთმეტი დღის ავადმყოფობის შემდეგ „უკანასკნელ იქმნა, გათენდებოდა რაი დღე საუფლო, რომელ არს კვირიაკე". ზაქარიამ აღსარება უთხრა თავის მოძღვარს სილვისტრო წინამძღვარს და „ამა საუფლოსა დღისა დასასრულსა მესამესა ჟამსა ღამისასა დაიწუხნა ტრედისა ყოველად მშვენიერი თვალნი და უფლისადმი შეევედრა სული თვისი".

„ხოლო აღსასრული წელთა სამეოცდაათთუთხმეტისა მჭონებელმან თვესა თებერვალსა ვ (6) ქრისტეს აქეთ ჩღპგ" (1783).

---

[1] პ. კარბელაშვილი, ცნობები საქართველოს ეკლესიისა.
ი. ლორთქიფანიძე, მასალები საქართველოს ისტორიისათვის.

გარდაცვალების თარიღი 1783 წ. ეთანხმება ამავე საბუთში მოცემულ ცნობას იმის შესახებ, რომ ამ წელს ზაქარია სამოცდახუთმეტი წლის ასაკში იყო.

ჩვენთვის ცნობილია ზაქარიას დაბადების წელი.

ზუგდიდის მუზეუმის ხელნაწერში „კავშირნი ღმრთის მეტყველებითნი“ აღნიშნულია, რომ იგი გადაწერილია ხელითა ზაქარიასითა ჩონჭ წელსა, როცა ზაქარია ერგასის წლისა იყო. აქედან გამოდის, რომ ზაქარია დაბადებულა 1707 წელს (1757—50)[1].

1707 წელს უჩვენებს მეორე საბუთიც (საქ. მუზეუმის Q ფ. № 331). ესაა ზაქარიას ხელით გადაწერილი „საღმთო ჟამის წირვა წმიდისა მამისა ჩვენისა იოანე ოქროპირისა“.

„ქ. ზახარია ყოვლად უღირსმან, ხუცეს მოძღვარმან, ხოლო სქეს-ტომობით ვიდრემე გაბაონმან ვიმუშაკენ, აღვსწერენ წმინდანი ესე სამნი ლიტურღიანი... განვფენ ვედრებასა მწერალი აღმომკითხველთა წინაშე, ოდეს იხილვიდეთ შრომილსა, შენდობას ყოფდეთ ჩემ ზახარია საწყალობელისათვის და, თუ რაიმე ცთომილი ჰპოვოთ, სიმშვიდით განმართეთ: რამეთუ სამეოცდახუთისა ჟამისა წელნი წარმევლნეს და მოხუც მხცოვნებითა მხედველობითნი უძლურ ქმნილ იყვნეს. დეკენბერსა იბ ქრისტეს აქეთ ჩღობ“ (1772) 1772 — 65 = 1707.

გარდაცვალების ჟამს ზაქარია სამოცდახუთმეტი წლისა ყოფილა. 1707 წელს დაბადებულ ზაქარიას 75 წელი 1783 წლის დამდეგს შეუსრულდებოდა. ასაკისათვის მხედველობაში მისაღები არაა 1783 წლის ერთი თვე — იანვარი. გარდაცვლილა მოძღვარი 6 თებერვალს „საუფლოსა დღის დასრულებისა მესამესა ჟამსა ღამისასა“, ე. ი. ორშაბათს. 6 თებერვალი ორშაბათ დღეს 1723 წელს მოდიოდა.

1783 წელს ზაქარიას შვილი იოსები გარდაცვლილი ყოფილა. ზაქარიას გარდაცვალების საბუთში, სადაც აღწერილია მომაკვდავი მოძღვრის ხილვანი და სასწაულები, ნათქვამია: „და კვალად სთქვა, აჰა წმინდანი მოწამენი მოვიდნენ, იგინიცა მუნ გამოცხადდენ, რომელთა შორის იხილვა ძეცა თვისი პირველგადაცვალებული და სიხარულით ხმა ჰყო, აჰა, ბუნებითი ძე ჩემი იოსებ, რომელი აღრიცხულ არს და წიაღებულ შორის მოწამეთა“.

იმავე ავტორის ცნობით „მიტროპოლიტმან ევთიმიოს დამარხა

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 603.

ყოვლად ღირსი ესე ხუცეს მოძღვარი ძისა თვისისა სასურველისა იოსებისათანა დასავლეთის კარის წინაშე ჩრდილოეთით კერძო“ [1].

იოსებ გაბაშვილს ერთ დროს სოლომონ პირველის კარზე უმსახურნია. 1777 წლის 15 იანვარს და იმავე წლის 1 აპრილს სამეფო პალატაში სახლთუხუცესი იოსებ გაბაონი წერს სოლომონ პირველის მიერ გაცემულ წყალობის წიგნებს (ქუთაისის მუზეუმის ხელნაწ. ფონდი № 126.131).

ზაქარია მოძღვრის მეორე შვილს იოანეს იმერეთში უმოღვაწნია. შესაძლებელია იგი ჯრუჭის მონასტრის ბერი იყო, ვინაიდან ამ მონასტრისათვის შეუწირავს მას მის მიერ გადაწერილი საღმთო წიგნები. ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერ კლემაქსს აქვს მინაწერი: ესე სულთა სიტყვიერთა მაცისკროვნებელი წიგნი მე ყოველთა ადამის ძეთა შორის უცოდვიღესმან და უგლახაკესმან, უღირსმან ხუცეს მონაზონმან სქესით ვიდრემე გაბაონმან, ხოლო ძემან ზაქარია მოძღვრისამან, ვიშრომე და აღვწერე და შემოგწირე შენ წმინდის მთავარ მოწამის გიორგის ეკლესიასა ზედწოდებით ჯრუჭს სულისა ჩემისა მოსახსენებლად“.

აქ ნათქვამია მხოლოდ ის, რომ გადამწერი ზაქარია მოძღვრის შვილია, მისი სახელი იოანე კი ნაჩვენებია მეორე ხელნაწერში (ქუთაისის მუზეუმის ხელნაწ. ფონდი № 61).

„აღესრულა თთვესა აპრილისასა კბ (22) ხელითა უღირსის ხუცეს მონაზონის იოანეს გაბაოვისათა ქრონიკონსა ჩლპშ (1788). იქვეა მინაწერი: „ეს მცირე ჩემი უღირსის ხელის ნაშრომი, წმინდაო მთავარ მოწამეო გიორგი, შენის მონასტრის, ჯრუჭისათვის, შემიწირავს მე უღირსს ხუცეს მონაზონს იოანეს“.

ქუთაისში, ზაქარიას ძმის დავითის შთამომავალთა ოჯახში, დაცულია საბუთი, გენეალოგიური შტო, სადაც დეკანოზ ზაქარია ნიკოლოზის ძის შვილად დასახელებულია მიტროპოლიტი იოანე. ამ საბუთებიდან ირკვევა, რომ იოანე ბერად აღკვეცილა, ხუცეს მონაზონი ყოფილა და მიტროპოლიტის ხარისხამდე ასულა.

ლიტერატურაში ცნობილია კალიგრაფის ნიკოლოზ გაბაშვილის (გაბაონელის) პიროვნება.

ნიკოლოზი რომ ზაქარია მოძღვრის შვილია, ეს დადასტურებუ-

[1] მღვდელ იონა აბაშიძის ცნობით „იოსებ და მამისა მისისა მოძღვრის ზაქარია გაბაშვილის საფლავის ქვაზე ესრეთ სწერია და არს გაენათის მონასტერსა შინა დასავლეთის მბრით ერთიან ქვაზე“...

მღვ. აბაშიძეს აღარ დაუწერია, რა სწერია ამ ერთიან ქვაზე. ნაჩვენებ ადგილს კი საფლავის ქვა არ აღმოჩნდა.

ლია მისივე ძმის ოსეს წერილობითი მოწმობით და სხვა საბუთებითაც [1].

ანტონის, სვიმონისა და ზაქარიას შესახებ არ მოგვეპოვება ისეთი საბუთი, რომელიც ეჭვმიუტანელად ადასტურებდეს, რომ ისინი ზაქარია მოძღვრის შვილები არიან.

ზაქარია მოძღვრის შვილებად ასახელებს ანტონს და ზაქარიას გ. ლეონიძე (იხ. მის მიერ შედგენილი „ბესიკის გენეალოგიური შტო". დასახელებულია ბესარიონის ოთხი ძმა: იოანე, ოსე, ანტონი, ზაქარია). მკვლევარი ცნობათა წყაროს არ უჩვენებს. შედგენილია სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტების მიხედვითო, — ამბობს სქოლიოში [2].

გ. ლეონიძის ჩვენებით, ზაქარია მოძღვრის შვილია ის ზაქარია გაბაშვილი, რომელიც კამერდინერად ახლდა 1772 წელს რუსეთში დიპლომატიური მისიით წარგზავნილ ლევან ბატონიშვილს (გვ. 374. Ср. Грамоты. I, 370).

ჩვენი ვარაუდი ანტონის, სვიმონისა და ზაქარიას შესახებ ემყარება მხოლოდ ერთ საბუთს. ესაა გაბაშვილებისათვის მიცემული იმერთა მეფის დავითის წყალობის წიგნი (ცენტ. არქივი ფონ. 226, № 3236).

„წყალობითა და მინდობითა... ტომით დავითიანმან და თვით მოსახელემან მისმან იმერთა მეფემან დავით და ერთხორცმან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ანნა ესე ამიერითგან დღეთა და ჟამთა საუკუნეთა გასათავებელი, უტყუარი, უმიზეზო მტკიცე და შეუცვლელი წყალობის წიგნი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ერთგულს და მარადის ოჯაბის ჩვენისათეის თავდადებით ერთგულს დი სისხლთა ვიდრემდე ნამსახურს გაბაშვილს ბესარიონს, ძმასა შენსა ოსეს, ანტონის, ნიკოლოზს, სვიმონს და ზაქარიას სხვათა თქვენთა შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა ასე და ასე ვითარად რომ შენ ჩვენზე მრავალი ნამსახური იყავი და ჩვენც ვინებეთ მაგიერი წყალობა და გიბოძეთ ხიმში [3], რომელიც ჩვენი სახასო მამული არის და ოტია გოცირიძის სოფლიც უკლისად, სასახლე, ზვარი და მისი შემავალი კაცი დიდიდგან მცირემდე, გიბოძეთ მათ[ს] ეკლესიით, მთით ბარით, წყლით, სასაფლაოთი და სამართლიანის საზღვრით, შესავალ-გასავლით საძებრითა და უძე-

[1] ნიკოლოზის ხელის ნაწერები დაუცავს ცენტრ. არქივის ხელნაწერებს: № 849, 896, 949, 1039, 1 6 , 1432, 1509, 2199, 2249, 2549 და სხვა.

[2] ლიტერატურული მემკვიდრეობა, II, 349.

[3] სოფელია რაჭაში.

ბრით, რაისცა მქონენი არიან და ქრთამიცა სრული აგართვით, რომლით ჩვენი გული შეჯერდებოდა. აწ მოგეცეს და გიბედნიეროს!..

აღიწერა წელსა ქრისტეს აქეთ ჩღპე (1785) თვესა სექტენბრისა ი (10) ხელითა მდივნის მღვდლის სვიმონისათა".

ვინ უნდა იყვნენ წყალობაში ნაჩვენები ანტონი, სვიმონი და ზაქარია თუ არა ბესიკის ძმები? ისინი ხომ ზაქარიას შვილებთან ბესარიონთან, ოსესთან და ნიკოლოზთან არიან დასახელებული, როგორც მათი ძმები. საეჭვოს არაფერსა ქმნის მხოლობითში ნახმარი „ძმასა შენსა", ეს გამოთქმა ბესიკის ძმად მარტო ოსეს არ გულისხმობს. ასეთი რამ ხშირად გვხვდება ძველ საბუთებში. მაგალითად: ირაკლი II-ის მიერ გაცემულ ერთ სიგელში ვკითხულობთ: ...ირაკლიმ და თანამეცხედრებამ ჩემმან დედუფალმან დარეჯან, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან ვახტანგ, გიორგი და ლეონ დავამტკიცეთ... (ცენტ. არქივი სიგ. № 1405).

ანტონი და სვიმონი ზაქარია მოძღვრის ძმისწულებს, დავითის შვილებსაც ერქვა. დავითის შვილს სვიმონსაც არა ერთჯერ მიუღია წყალობა იმერთა მეფეებისაგან, მაგრამ საეჭვოა მეფეს მამული მთელი გვარისათვის ებოძებინა და არა ერთი მამის შვილებისათვის. წყალობაც ხომ განსაკუთრებით „სისხლთა ვიდრემდე ნამსახურის" ბესარიონზე იყო გაცემული და მისი საშუალებით ძმებზე და შვილებზე გადადიოდა[1]. სიგელში დასახელებული პირები ზაქარია მოძღვრის შვილები უნდა იყვნენ. და თუ მის რვა შვილთაგან აქ მხოლოდ ექვსია მოხსენებული, ეს, ვფიქრობთ, მით აიხსნება, რომ იმ დროისათვის (1785 წ.) იოსები ცოცხალი აღარ იყო, იოანე კი ბერად იყო აღკვეცილი. იგი საბუთებში ხუცეს-მონაზონად იხსენიება.

---

[1] ბესიკის ბიოგრაფიისათვის საყურადღებოა დაცით მეფის ზემოთ დასახელებული სიგელის სიტყვები: „შენ ჩვენს ერთგულს და მარადის ოჯახისა ჩვენისათვის თავდადებით სისხლთა ვიდრემდე ნამსახურს გაბაშვილს ბესარიონს".

რას ნიშნავს „სისხლთა ვიდრემდე ნამსახური"? ამ სიტყვებში ხომ ბესარიონის ფიზიკური ტანჯვა და სისხლის დაღვრა იგულისხმება. სიგელი გაცემულია 1785 წელს. ამ დროს გაბაშვილთა ოჯახი იმერეთშია. ჩვენ ვიცნობთ საერთოდ დავით მეორის კარზე ბესარიონ გაბაშვილის თავდადებულ საქმიანობას, მაგრამ ეს არ კმარა. საინტერესოა, სახელდობრ რას აკეთებდა ბესარიონი 1785 წლის ახლოს. მისი საქმიანობის უფრო დეტალური ცნობებია საჭირო.

თუ სიტყვები „სისხლთა ვიდრემდე ნამსახური" პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, მაშინ საგრძნობი ბარვები გვექნება ბესიკის ბიოგრაფიის შესწავლაში.

ზაქარიას შვილები ყველანი ვაჟები ყოფილან. ამათგან ცნობილი არიან ბესარიონი, ოსე და ნაწილობრივ ნიკოლოზი. დანარჩენების სახელები იოანე, იოსებ, ანტონ, სეიმონ და ზაქარია დადასტურებულად მიგვაჩნია.

ამით შემოიფარგლება ჩვენი მცირე ნაშრომი ზაქარიას ოჯახის წევრთა შესახებ. ამ სახელგანთქმული კალიგრაფების მოღვაწეობა კი ცალკე შესწავლას მოითხოვს. საკალიგრაფიო სკოლებს ხომ თავისებური წვლილი შეჰქონდათ თავიანთი ეპოქის კულტურის ისტორიაში.

ზაქარიას ერთ ძმისწულს, დიაკონ გაბაშვილს, დამოუკიდებლადაც უცდია კალამი ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში.

მას აუწერია მისი პაიძის ზაქარიას გარდაცვალება (ქუთ. მუზ. ხელნ. ფ. № 517). „გარდაცვალების“ ერთ ადგილს, სადაც ზაქარიას მიერ სასწაულთა ხილვაზეა საუბარი, ვკითხულობთ: „ვეტყოდა, არა ხედავთა, რამეთუ გაბრწყინდა ცაი და ზედა წარწერილ არს ოქროს მელნითა, რომელ ასე ვითარად არაოდეს მიხილავს, და მე უღირსსა ძმის ძესა მისსა წარწერილისა წაკითხვასა მიბრძანებდა“.

ზაქარიას რომელი ძმის შვილია ჰაგიოგრაფი, არ ვიცით. ხელნაწერი დედანი არაა. გადამწერის ვინაობაც არ ჩანს. ტექსტის ბოლოში არის მინაწერი: „ჩემ უღირსის მიერ ნამდვილისაგან თანასწორად გადმოწერილი არს ჩყჲᲒ თებერვლის ზ“ (1868 წ. 7 თებ.). „გარდაცვალების“ ავტორი დავითის შვილი უნდა იყოს.

ზაქარიას რომ რამდენიმე ძმა ჰყოლია, ამას თვითვე ადასტურებს იგი ასტრახანის ეპისკოპოსისადმი გაგზავნილ მოხსენებაში: „ვიეედი ჯალაბთან, რომელიც ოცი სულისაგან შესდგებოდა, მათ შორის ჩემი შვილების და ძმების ცხრა ბავშვი იყო“.

ზაქარიას ძმებსა და შვილებს ბავშვები ჰყოლიათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ზაქარიას შთამომავლობა უმემკვიდროდ გადასულა. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ცნობილ არც ერთ საბუთში არ გვხვდება ცნობა ზაქარიას შვილიშვილების შესახებ.

ზაქარიასთან ერთად იმერეთში გადასახლებულა მისი ძმა დავითიც, რომელსაც, გ. ლეონიძის ცნობით, ქართლში სასახლის სუფრაჯის სახელო ეპირა (ც. არქივის სიგელების პირების წიგნი, № 24, სიგელი № 67).

ამ დავითის შთამომავლის ზაალ გაბაშვილის ოჯახში დაცულ გაბაშვილთა გენეალოგიურ შტოში აღნიშნულია ზაქარიას ოთხი

შვილი: იოსებ, იოანე, ოსე, ბესარიონ. ყოველ მათგანს აქვს რუსულად მინაწერი: „Умер бездетно".

ზაქარიას არც სხვა შვილებს დარჩენიათ მემკვიდრეები. ქუთაისში 1821 წელს მომხდარა მოსახლეობის აღწერა. ამ დროისათვის დავით ნიკოლოზის ძე (ზაქარიას ძმა) ცოცხალი აღარ ყოფილა და მისი შვილების ნიკოლოზისა და გიორგის გარდა სხვა გაბაშვილები აღწერის სიაში არ არიან[1]. იმ ხანად არც ქართლში ჩანან ზაქარიას ოჯახის წევრები. 1819 წელს, როდესაც პატიმარი ოსე თბილისში ჩაიყვანეს, იქ მახლობლები არავინ აღმოაჩნდა. ოსე სწერს ანა დედოფალს: „გახლავართ აქა, ტფილისის ქალაქს, პყრობილად ყარაულთა ქვეშე, იენება წელიწადი ერთი და თვე სამი, და არავინ არს თანაშემწე, ანუ მზრუნველი, გინა ნუგეშისმცემელ, ანუ განმამართლებელ, გარნა მხოლოდ ღმერთი... არღა მივის მამა, დედა, არცა ძმანი თანაშემწედ, არცა მეუღლე და შვილნი ჩემნი საყვარელნი" (ალ. ბარამიძე, ნარკვევები, II, 392).

ოსეს წერილებში მოცემულ ცნობებთან დაკავშირებით დამატებით შესწავლას მოითხოვს გაბაშვილთა ოჯახის სოლომონ მეორესთან დამოკიდებულების საკითხიც.

ანა დედოფლისადმი ოსეს წერილებიდან ირკვევა, რომ სოლომონ მეორის დროს გაბაშვილთა ოჯახს დევნა და რბევა განუცდია. „ჩემი ვედრება ხომ არ ოდეს ისმინე, არცა მოიხსენე მსახურება არცა ძმისა და არცა ჩემი, რომელთაც ერთგულებისათვის თქვენისა მიგვეღეს ყოველივე საცხოვრებელი და სოფლებიცა" (იქვე, 402). ირაკლი მეორესაგან გაძევებული და შეურაცხყოფილი გაბაშვილთა ოჯახი რომ დავით გიორგის ძისა და დავით არჩილის ძის შორის იმერეთის ტახტისათვის დავაში პირველს დაუჭერდა მხარს, ეს გასაგებია. დავით არჩილის ძე ირაკლი მეფის კანდიდატი იყო, მაგრამ იმერეთის თავად-აზნაურთა მოთხოვნით ტახტზე ავიდა დავით გიორგის ძე (დავით III). უეჭველია ზ. გაბაშვილის გავლენიანმა ოჯახმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ დავითის არჩევანში. დავით II გარდაიცვალა 1795 წ. ახალი მეფე დავით არჩილის ძე (სოლომონ II) სასტიკად გაუსწორდა მოწინააღმდეგეებს. ოსეს ცნობა სოლომონის მიერ გაბაშვილთათვის საცხოვრებლის წართმევის შესახებ თითქოს ამ გვარის ძველი საქმიანობისათვის ზღვას გულისხმობს, მაგრამ მაშინ გაბაშვილები არ დასჯილან. გაბაშვილთა ოჯახი არც სოლომონ მეორის დროსაა მეფის წყალობას

[1] ქუთაისის არქივი ფონ. I, საქმე № 87.

მოკლებული. სოლომონმა დაამტკიცა დავით მეფის მიერ რუსეთში დესპანად წარგზავნილი ბესარიონ გაბაშვილის რწმუნების სიგელები. ქუთაისის საკათალიკოსოს გამგებელი მიტროპოლიტი დოსითეოსი 1802 წელს წყალობის წიგნს აძლევს ზაქარიას შვილებს ნიკოლოზს, ოსეს და შვილთა და შთამომავალთა მათთა: „ერთგულებისა და მსახურებისა თქვენისათვის მიბრძანა მე (სოლომონ მეორემ) ბოძება ფარცხანაყანევს რაოდენისამე გლეხისა და ამისთვის გიბოძეთ ფხაკაძენი, მარდალეიშვილები, კვისკეიძე...“ (ქუთაისის მუზ. ხელნ. ფონდი № 814).

ნიკოლოზ გაბაშვილს არა ერთჯერ მიუღია წყალობა იმავე მეფისაგან. 1800 წელს სოლომონ მეორე უმტკიცებს ზაქარიას შვილებს დავით მეფისაგან ბოძებულ თავადობის სიგელს (ქუთაისის მუზ. № 1417).

ასე რომ გაბაშვილთა დასჯა სოლომონის გამეუებას უშუალოდ არ მოჰყოლია. ოსეს ანასადმი მიმართვა — ერთგულებისათვის თქვენისაო, უეჭველია, პირადად ანას სამსახურს გულისხმობს ყოფილი დედოფლის დევნის დროს, მხოლოდ მისი რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ 1803—1809 წლებს შორის. რა სამსახური გაუწიეს გაბაშვილებმა ყოფილ დედოფალს, რაში გამოიხატებოდა ის ერთგულება, რისთვისაც მათ საცხოვრებელი წაართვეს? ამ საკითხში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასარკვევი. სამართლიანად შენიშნავს პროფ. ალ. ბარამიძე, ოსეს წერილებში ყურადღებას იქცევს რაღაც ზნეობრივი მოვალეობისა თუ ვალდებულების მომენტებზე მითითებაო.

რა ზნეობრივ მოვალეობაზე მიუთითებდა ოსე ყოფილ დედოფალს, რით იყო ანა დავალებული გაბაშვილებისაგან, არ ვიცით. ერთი კი ცხადია. მისთვის დახმარება მხოლოდ ზაქარიას შვილებს გაუწევიათ და მამულები მხოლოდ მათთვის ჩამოურთმევიათ. დავითის შთამომავალთ კი მეფის რისხვა არ განუცდიათ. ქართლში გაბაშვილებს მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსაც დიდი მამულები ჰქონდათ თბილისის სამხრეთ დასაელეთისაკენ მდინარე ხრამსა და მტკვარს შორის[1]. იმერეთში კი გაბაშვილებს ეკუთვნოდათ მიწების დიდი რაოდენობა ოიონის მარჯვენა ნაპირზე, ბაგრატის ტაძრის ახლოს. ეს ადგილები დღესაც გაბაშვილთა გორის სახელითაა ცნობილი.

---

[1] ე. გუგუშვილი, მოკლე აღწერა თბილისის ნაწილთა, ჟურნალი მოგზაური, 1901 წ., № 4.

ეს მამულები ბესარიონის ბიძის, დავითის, შთამომავალთა კუთვნილება იყო.

ამ დავითს ოთხი შვილი ჰყოლია: ნიკოლოზ, გიორგი, სვიმონი და ანტონი (იხ. დანართები). მათ შორის ჩვენთვის სვიმონის პიროვნებაა საინტერესო.

ერთი სვიმონ გაბაშვილი იმ მისიის წევრი იყო, რომელიც დავით მეფემ რუსეთს გაგზავნა ბესიკის მეთაურობით. იგი ბესარიონის გარდაცვალების შემდეგ იმერთა მეფის საელჩოს ხელმძღვანელობდა. ეს სვიმონი თავის თავს ბესარიონის ძმად აცხადებს და ამას რამდენიმეჯერ იმეორებს ბეზბოროდკოს მიმართ გაგზავნილ მ~ხსენებაში.

ბესარიონის ძმად იცნობენ მას პ. ბუტკოვი და ზ. ჭიჭინაძე. თუ დასაბუთებულად ჩავთვლით, რომ ზაქარიას ერთ შვილს სვიმონი ერქვა, მაშინ თითქოს ეჭვმიუტანელი ხდება, რომ იმერეთის საელჩოს წევრი სვიმონ გაბაშვილი ბესარიონის ძმაა. მაგრამ პროფ. ალ. ბარამიძემ ბესიკის გარდაცვალების დათარიღების დროს, შეეხო რა ამ ელჩის, სვიმონის, პიროვნებას, უტყუარი საბუთებით დაამტკიცა, რომ იგი ბესარიონის ბიძაშვილია და არა ძმა. მკვლევარი აქვე ასაბუთებს, რა დიპლომატური მიზნით იყო საჭირო ბიძაშვილის ძმად გაცოცხლდება[1].

ამ საკითხს აქ მიტომ შევეხეთ, რომ მოგვეპოვება ჯერ გამოუქვეყნებელი საარქივო მასალების ცნობები, რაც კიდევ დამატებით არკვევს ელჩის, სვიმონ გაბაშვილის, ვინაობას.

ქუთაისის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს 1898 წ. ვინმე დავით გაბაშვილისა და მისი ბიძაშვილების თხოვნით გამოუყვია გაბაშვილთა თავადობის დამდგენი კომისია. სწორედ ამ კომისიის ოქმებია შემონახული (ქუთაისის არქივი ფონდი I, საქმე 89).


ოქმებში მოტანილია გაბაშვილთა თავადობის დამადასტურებელი რამდენიმე ცნობა: 1. გაბაშვილთა ოჯახობრივი სია. 2. იმპერატორ ალექსანდრე პირველის მიერ სიმონ დავითის-ძე გაბაშვილისათვის 1803 წ. ბოძებული კოლეგიის ასესორობის პატენტი. 3. სოლომონ მეორის სიგელი და ანა დედოფლის დასტური გაბაშვილთა თავადობის შესახებ. 4. სოლომონ მეფის წერილი სიმონ დავითის-ძის მიმართ და 5. 12 კეთილსაიმედო პირის მოწმობა[2].

[1] ვრცლად ამის შესახებ იხ. ნარკვევები II, გვ. 422—425.

[2] ოქმებში ჩაკერებულია ზაქარიას ძმის, დავით გაბაშვილის, ოჯახის გენეალოგიური შტო.

კომისიას გულდასმით შეუმოწმებია საბუთების სისწორე, ეჭვმიუტანელად მიუჩნევია და ამის საფუძველზე გამოუტანია დასკვნა: ოსე ზაქარიას ძე, მისი ბიძაშვილები, ნიკოლოზ დეკანოზის შვილები: დეკანოზი დავითი, კონსტანტინე, იოსებ და მინა[1], მათი მკვიდრი ბიძაშვილი --- კოლეჟის ასესორის სვიმონის შვილი — დავით, ამისი მამით ბიძა მღვდელი გიორგი დავითის ძე — ყველანი თავადის წარმოშობის არიანო (იხ. დანართი № 1).


დანართი 1.



გაბაშვილთა გენეალოგიური შტო.
საბუთი დაცულია ქუთაისის არქივის საქმეში № 89,
შედგენილია გიორგი მაქსიმეს ძის რწმუნებულის მიერ.

[1] ესენი ოსეს ბიძის შვილიშვილები არიან და არა შვილები.

დანართი 2.



გაბაშვილთა გენეალოგიური შტო.
ინახება დავითის შთამომავლის, ზაალ გაბაშვილის, ოჯახში.

ერთი საბუთის დედანი, რომელიც ხელთა ჰქონია კომისიას, დაცულია ქუთაისის მუზეუმში. მოგვაქვს მთლიანად:

„წყალობითა ღვთისათა, ჩვენ ქვემოისა ივერიისა და სხვათა მეფემან მეორემან სოლომონ ესე მტკიცე წერილი გიბოძეთ, ესრეთ რომელ უპირველეს ჩვენსა უმაღლესთა მეფეთა ინებეს და ერთგულებისა და მსახურებისათვის წარგავლინესთ ყოვლად უმაღლესისა კარისადმი ზახარიას და დავით გაბაონის ძენი და თავადობა ებოძათ წერილითა თქვენთვის და სხვათა ძმათა და მომავალთა თქვენთათვის საუკუნოდ. ამისთვის ჩვენცა ვამტკიცებთ და გიბოძებთ ფურცელსა ამას და სამეფოთა ბეჭდითა ჩვენითა ვბეჭდავთ, რათამცა ეგნეთ თავადად სამარადისოდ: აღიწერა ივნისის იგ წელთა უფლისათა 1800“ (ქუთ. მუზეუმი № 1417).

ამ საბუთიდან აშკარად ჩანს, თუ ვინაა დესპანის, ბესარიონის, შემცვლელი სვიმონ გაბაშვილი.

იმერთა მეფეს ბესარიონთან ერთად დავითის შვილის სვიმონისათვისაც უბოძებია თავადობა და ამით სპეციალურად მოუმზადებია იგი დესპანობისათვის, ალბათ, როგორც ბესარიონის ოფიციალური მოადგილე.

სოლომონის სიგელში არ ჩანს ზაქარიასა და დავითის შვილების სახელები. თუმც საეჭვო აქ ალარაფერია, მაგრამ ამ დავითის ძეში რომ სვიმონი იგულისხმება, ამისათვის კიდევ მოიპოვება დამადასტურებელი ცნობა ქუთაისის არქივის იმავე გაბაშვილთა თავადობის საქმეში. ამ საბუთის მხოლოდ რუსული თარგმანია მოცემული: „Божиею мылостью, Мы Имеретинская царица Анна признаем действительным, что Габаони Висарион и Симон имели грамоту на княжеское достойнство от бляженного царя всей Име-

ретии Давида Георгиевича, которая была утверждена собственною рукою его и царскою печатью, и после той грамоты и ныне могут пользоватся княжеским достойнством. В чем собственноручно подписываюсь и прилагаю гербовую печать на сургуче.

Царица Имеретии Анна 1803 г. 25 мая"

(შემოვიდა რედაქციაში 1. III. 1955)

Н. Л. МАИСУРАДЗЕ

СЕМЬЯ КАЛЛИГРАФОВ ГАБАШВИЛИ

Р е з ю м е

Сатирик Захарий, отец знаменитого поэта XVIII века Виссариона Габашвили, за политические интриги был изгнан из Грузии царем Ираклием II. Вернулся он из России в 1771 г., поселился в Имеретии и последние годы своей жизни провел в Гелатском монастыре.

Здесь Захарий переписывал и переводил церковные книги и в соответствии с потребностями эпохи сверял старые переводы с русскими текстами. Вместе с отцом Захарием, в Гелати работали его сыновья, выдающиеся каллиграфи своего времени. Семья Габаевых создает одну из наилучших каллиграфических школ, и в XVIII веке бывший рассадник культуры—Гелатский монастырь, по мере возможности продолжает свои славные традиции.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

მ. მახათაძე

ვახტანგის როლის განსაზღვრისათვის რუსთაველმცოდნეობის მრთი საკითხის გაშუქებაში

ვახტანგის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე, კერძოდ, ღვაწლი, რომელიც მან დასდო „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას, დიდი ხანია მკვლევართა ცხოველი ყურადღების საგნად გადაიქცა. ამგვარსავე ყურადღებას იმსახურებს საერთოდ მთელი აღორძინების ხანის მასალები რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ. ცნობილია, რომ პირდაპირი ცნობები მათ შესახებ XII – XIII საუკ. ძეგლებში ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. ამის გამო პირველწყაროების მნიშვნელობას და ღირებულებას, როგორც უშუალოდ რუსთაველის მომდევნო ეპოქისა, აღორძინების მონაცემები ინარჩუნებენ. მართალია, ყველა მათი კრიტიკულად გაზიარება არ შეიძლება. მაგრამ არც ხელაღებით უარყოფა იქნებოდა სწორი. მათს მნიშვნელობას აძლიერებს ის გარემოება, რომ აღორძინების ხანა არ დარჩენილა პოემის პასიურ აღმქვისებლად: მისი დასაწყისიდანვე ჩვენ მოგვეპოვება არა მარტო მშრალი ცნობები რუსთაველზე, არამედ მისი შემოქმედების სხვადასხვაგვარი შეფასებაც. ასე გრძელდება აღორძინების ვრცელ მანძილზე, ხოლო მისი უკანასკნელი ასეული წელი ცნობილია, როგორც რუსთაველისათვის გამძაფრებული ბრძოლის საუკუნე[1].

ამ ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვახტანგს. ამაგი, რომელიც დასდო, და ნაბიჯი, რომელიც რუსთაველმცოდნეობაში მან გადადგა, მართლაც კოლოსალურია. ვახტანგმა პირველმა გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ დაბეჭდა არა მისი აღორძინებისეული მემკვიდრეობა, არამედ რედაქტირებული ტექსტი. ეს, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ ხელნა-

[1] პროფ. ალ. ბარამიძე, ბრძოლა რუსთაველის გარშემო...

წერთა, თვით ტექსტის, ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობების და სხვ. შესწავლის საფუძველზე მომხდარიყო. მანვე დაამუშავა „თარგმანი“ ანუ კომენტარიები პოემისა, პირველი მეცნიერული ნარკვევი, რომელშიც რუსთაველის შემოქმედების მეტად მნიშვნელოვან საკითხებს შეეხო. ამიტ გამოა, რომ რუსთაველმცოდნეობითი ძიების დასაწყისი ვახტანგის სახელს უკავშირდება.

ამ ძიების წინაშე მრავალი საკითხი და ამოცანა აღიმართა გადასაჭრელად და გასაშუქებლად. მთავარ ამოცანას, რა თქმა უნდა, ტექსტის გაწმენდა წარმოადგენდა. ფილოლოგიური აზროვნების განვითარებისა და კვლევა-ძიებითი მეთოდების მაშინდელ საფეხურზე ვახტანგმა (თუ მის მიერ დანიშნულმა ტექსტის დამდგენმა კომისიამ) ეს ამოცანა ბრწყინვალედ გადაჭრა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არა თუ მაშინ, არამედ XIX საუკ. დასაწყისშიც კი, თითქმის ჩვენს თვალწინ, „ვეფხისტყაოსანს“ არა თუ წმენდდნენ, არამედ კიდევ ურთავდნენ ახალ სტროფებს, უკეთებდნენ ახალ დასასრულს და სხვ. ასეთივე კარდინალურად მიუჩნევიათ პოემის იდეურ-შინაარსობლივი რაობის, მორალურ-ზნეობრივი კრედოს, წარმოშობის პირობების, პოეტის რელიგიური მრწამსის, სასახლის, საზოგადოებრივ თუ სალიტერატურო წრეებთან ურთიერთობის, საერთოდ ბიოგრაფიისა და სხვ. საკითხები, რომელთა ასეთი თუ ისეთი გაშუქება სცადა ვახტანგმა თავის „თარგმანში“. ასეთთა რიგში მოექცა პოემის გენეზისის საკითხიც.

როგორც ვიცით, პოემის შესავალში ვკითხულობთ:

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები...
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი (9)...

აღნიშნული სტროფი, ალბათ, იკითხებოდა ვახტანგისეული კომისიისათვის ყველა ცნობილ და ხელმისაწვდომ ხელნაწერში და საგულებელია, მისი ავთენტურობა ეჭვს არ იწვევდა, რადგან იგი შეტანილ იქნა პოემის გამოცემაში. სტროფის მიხედვით პოემას თითქოს საფუძვლად დასდებია რომელიღაც „სპარსული ამბავი, ქართულად ნათარგმანები“. ამრიგად, სტროფი მიუთითებს სიუჟეტის (ამბავის) ვითომდა არაქართულ, უცხო გენეზისზე (და არა პოემის არაორიგინალურობაზე).

ვახტანგი, განმარტავს რა პოემას სტროფებისდა მიხედვით, ეხება ხსენებულ სტროფსაც. იგი სხვა აზრისაა: „ლექსიც იმას (რუსთაველს) გაუკეთებია და ამბავიცო“, ამბობს ვახტანგი ერთი წინამავალი სტროფის „თარგმანში“, აქ კი გვაძლევს ამ შეხედუ-

ლების ვრცელ დასაბუთებას. იგი წერს: „ეს ამბავი სპარსში არ არის. და სპარსთ კაი მელექსობა იცოდნენ. და თამარ მეფე კარგი და ძალიანი ხელმწიფე რომ იყო, ვითამ ეს მაზედ მოინდომა: ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო, რომე ქართლშიაც არ იყოსო. და უბძანა მის მდივანს რუსთველს, ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო. აწ იმას ამბობს (რუსთაველი), სპარსულის მიბაძვით რადგან ათქმევინა თამარ მეფემ, რომ სპარსთაგან ვსთარგმნეო, თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება: ამბავიც თვითან გააკეთა და ლექსადაც... უბნობს“ თვითონვეო[1].

ჩვენ ამ სტრიქონებს კვლავ დავუბრუნდებით. ამჯერად კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ აქ ვახტანგმა მკვეთრად განასხვავა ერთმანეთისაგან საკითხები სიუჟეტის გენეზისისა და პოემის, როგორც მხატვრული მთელის, ორიგინალურობისა. ამასთანავე ორივე მათგანის ავტორად მან მხოლოდ და მხოლოდ რუსთაველი მიიჩნია.

მაგრამ მომდევნო საუკუნის უკანასკნელ ათეულში პოეტის მოკრძალების, ან ეგებ რელიგიური წრეებისადმი ერთგვარად კომპრომისის გამომხატველი სტროფის განცხადება სიუჟეტის ნასესხეობის შესახებ პოემის, როგორც მხატვრული მთელის, ორიგინალურობის პრობლემად აქციეს. საკითხების ეს არევ-დარევა და პოემის უცხოური წარმოშობისად გამოცხადება მჭიდროდაა დაკავშირებული აკად. ნ. მარის სახელთან. მიუხედავად იმ დიდი ღვაწლისა, რაც აკად. ნ. მარმა პოემის მეცნიერულ შესწავლას დასდო, მისი პირველი გამოსვლიდან აღნიშნულ საკითხებზე რუსთაველმცოდნეობა ჩიხში მოექცა. მართალია, არც რუსთაველმცოდნეობას, არც ქართულ საზოგადოებრიობას „ვეფხისტყაოსანი“ არასოდეს უცხო წარმოშობის ძეგლად არ მიუჩნევია, მაგრამ ზოგიერთი „მკვლევარი“, მტკიცედ იცავდა რა ნ. მარის თვით ნ. მარისგანვე უარყოფილ შეხედულებას, 50 წლის მანძილზე „ამტკიცებდა“, პოემა გენეზისურად უცხო წარმოშობისააო, ხოლო მეორენი იძულებული ხდებოდნენ რუსთაველმცოდნეობის აქტუალური პრობლემების დამუშავების ნაცვლად დაუსრულებული პოლემიკა ეწარმოებინათ სრულიად უდავო და ნათელ საკითხებზე.

ამ პოლემიკისა და დავა-კამათის დროს ბუნებრივად დაისვა კითხვა, თუ როგორ უყურებდნენ აღორძინების ხანაში პოემისეული სტროფის ცნობას: იზიარებდნენ მას თუ არა და რით განი-

[1] ვეფხისტყაოსანი, ვახტანგის გამოცემა, აღდგენილი აკ. შანიძის მიერ, 1937, გვ. სლე — სლვ.

საზღვრებოდა ვახტანგის როლი საკითხის გარკვევაში. პასუხად, საკითხის ღრმად და ყოველმხრივ საფუძვლიანად შესწავლის ნაცვლად, ნ. მარის შეხედულების გავლენით, ერთის მხრივ, აღორძინების ცნობათა ცალმხრივი ანალიზის, მეორეს მხრივ, ვახტანგის „თარგმანის“ აქ დამოწმებული ადგილების მცდარი ინტერპრეტაციის საფუძველზე გამოითქვა მოსაზრება, თითქოს „ვახტანგ ბატონიშვილმა პირველმა წამოაყენა აზრი შოთას ნაწარმოების ორიგინალობის შესახებ“ [1]; თითქოს „თეიმურაზ მეფე ადასტურებს „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სპარსულიდან წარმოშობას“ [2], თითქოს არჩილი იმეორებს თეიმურაზ მეფის ძიერ დადასტურებულ აზრს „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულიდან წარმოშობის შესახებ“ [3]. ასე ფიქრობს ს. კაკაბაძე. მას იმეორებს გ. იმედაშვილი. მისი აზრითაც, ვახტანგმა პირველმა „წამოაყენა დებულება... („ვეფხისტყაოსნის“) ...ორიგინალობის — მისი ქართულ ნიადაგზე შექმნის შესახებ“ [4]. ამგვარადვე მსჯელობს ტრ. რუხაძეც, იმ განსხვავებით, რომ მან ვახტანგის ესოდენ დიდი დამსახურება არჩილსაც გაუზიარა. მისი შეხედულებითაც, „ვეფხისტყაოსნის“ „ქართულ-ეროვნულ ნაწარმოებად გამოცხადება არჩილსა და ვახტანგ მეექვსეს უნდა მივაწეროთ“ [5].

აღნიშნული მოსაზრებანი ემყარებიან შეხედულებას, თითქოს პოემა ვახტანგამდე, ხუთი საუკუნის მანძილზე, XIII საუკ. დასაწყისიდან XVIII საუკ. დასაწყისამდე, უცხო წარმოშობის ძეგლად ითვლებოდა თვით საქართველოში და მხოლოდ ვახტანგმა გაჭვანტა ეს გაუგებრობა. დასახელებულ წერილში ს. კაკაბაძე პირდაპირ ლაპარაკობს, რომ ეს აზრი „საყოველთაოდ მიღებული ყოფილა ქართულ ლიტერატურულ წრეებში“ [6]. ტრ. რუხაძემ, მართალია, ერთგვარად შეასწორა ს. კაკაბაძის მოსაზრება: «ვეფხისტყაოსნის» ქართულ-ეროვნულ ნაწარმოებად გამოცხადება მან უკან გადასწია... სულ 30-ოდე წლით!

აღორძინების მონაცემების გულდასმითი ანალიზი ნათლად დაგვანახებს, რომ ამ შეხედულებებს არაფერი აქვთ საერთო ჭეშმა-

---

[1] ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბილისი, 1913, გვ. 33

[2] იქვე, გვ. 30.

[3] იქვე.

[4] გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგია, თბილისი, 1941, გვ. 31.

[5] აღორძინების მწერლობის ცნობები შ. რუსთაველზე.., თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, გვ. 211 (ცალკე ამონაბეჭდი).

[6] „ვეფხისტყაოსანი“, 1913, გვ. 36.

რიტებასთან. აღორძინებას არა სჯერა პოემის საუკეთესის ნასესხეობა, ორიგინალობის პრობლემას კი არც იცნობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აღორძინებას წარმოდგენა არა აქვს რუსთაველის ქმნილების წარმოშობის გზებზე, რომ მისთვის „სულ ერთი" იყო „ვეფხისტყაოსნის" ამბავი ქართული იქნებოდა თუ სპარსული", როგორც ფიქრობს შ. ადეიშვილი. მისი აზრით, „საერო-ფეოდალური წრეები მეჩვიდმეტე საუკუნემდის დარწმუნებული იყვნენ, რომ მხატვრული შემოქმედება მარტო მელექსეობაა. მათი აზრით, რუსთაველის ღირსება იმაშია, რომ ის საუკეთესო მელექსეა, კარგად გალექსა „ვეფხისტყაოსნის" ამბავი (ეს ჩანს XVI—XVIII საუკუნის მელექსეთა ნათქვამიდან)... მათთვის არსებითად სულ ერთი იყო: ამბავი ქართული იქნებოდა თუ სპარსული" [1].

აქ არას ვლაპარაკობთ დამოწმებული ადგილის ენობრივ-სტილისტიკურ ღირსებებზე. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ასეთი ინდიფერენტული არც ქართველი ხალხი, არც ფეოდალური წრეები განურჩევლად, არც ქართული სალიტერატურო საზოგადოებრიობა «ვეფხისტყაოსნის» მიმართ არასოდეს არ ყოფილა. იგი საუკუნეთა განმავლობაში ითვლებოდა ქართველი ქალხის ეროვნულ სიამაყედ. ამაში მცირე როლი არ შეუსრულებია იმ გარემოებას, რომ როგორც გენეზისურად, ისე ყოველმხრივ პოემა წმინდა ქართულ მოვლენას წარმოადგენდა და ასეთადვე მიაჩნდათ იგი მის წარმომშობ ხანაშიც და მომდევნო საუკუნეებშიც. სწორედ ეს გარემოება დასტურდება აღორძინების ხანის მწერლობაში. ამის გამო ამ ცნობათა არასწორი ინტერპრეტაცია ან მათი მიჩქმალვის ყოველგვარი ცდა უნდა აიხსნას, როგორც საწინააღმდეგო თვალსაზრისის შემოპარება რუსთაველმცოდნეობაში.

წინამდებარე ნარკვევში ავტორი მიზნად ისახავს განიხილოს ერთი საკითხი: რას ამბობს ვახტანგი თავის „თარგმანში" პოემის გენეზისის შესახებ და რით განისაზღვრება მისი როლი საკითხის განვითარებასა თუ ფორმირებაში. მაგრამ დასახული ამოცანის გადაწყვეტა შეუძლებელი იქნება, თუ წინასწარ გარკვეული არ იქნა აღორძინების ხანის აზრი ვახტანგამდე პოემის გენეზისის შესახებ. გარდა იმისა, რომ საკითხი მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის, აუცილებელია შემოწმდეს მთელი ეპოქისადმი წაყენებული ბრალდების საფუძვლიანობა. მიზანშეწონილი არ უნდა იყოს უგულებელყოფა ქართულ მწერლობაში ხუთი საუკუნის მანძილზე

[1] „ვეფხისტყაოსნის" გამოცემები, შოთა რუსთაველი სკოლაში, თბილისი, 1937, გვ. 293.

გაბატონებული ან თუნდაც შემთხვევით გამოთქმული შეხედულებისა პოემის თუ მისი სიუჟეტის გენეზისის შესახებ ისევე, როგორც სრული უმართებულობა იქნება ვახტანგის როლის გაზვიადება ან გაზრახ დამცირება საკითხის დაყენებასა თუ გადაწყვეტაში. ამოცანა, ცხადია, უნდა გადაჭრილ იქნეს პირველწყაროების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე.

მაგრამ სანამ მათს მიმოხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროა აღინიშნოს შემდეგი.

ქართული აღორძინება მოიცავს როგორც საერო, ისე საეკლესიო-ფეოდალური მწერლობის დარგებს, მეტად ვრცელ საზღვრებში ექცევა და მრავალრიცხოვან წარმომადგენლებს ითვლის. ბუნებრივია, თუ ზოგიერთი მათგანი არ შეხებია რუსთაველსა და მის პოემას. (ბაგრატ ბატონიშვილი, გარსევან ჩოლოყაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, ბესარიონ გაბაშვილი და სხვ.).

აღორძინების ხანის მოღვაწეთა მეორე ჯგუფს ქმნიან ზოგიერთი უმნიშვნელო, ზოგიერთი დიდი სახელები, რომელთაც მოიხსენიეს რუსთაველი, თუ მისი პოემა, მაგრამ მათ ნაწერებში ვერაფერს ვპოულობთ ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. დავით მეფე, იაკობ სამებელი-შემოქმედელი დუმბაძე, იოსებ თბილელი-სააკაძე, სულხან ორბელიანი, პოემის ზოგიერთი სხვა გამგრძელებელი თუ ინტერპოლატორი მხოლოდ თითო-ოროლა ფრაზით ან მხოლოდ სახელით იხსენიებენ რუსთაველს. დავით გურამიშვილი მოხიბლულია რუსთაველის გენიით; იგი მის შემოქმედებას პოეზიის მწვერვალად მიიჩნევს, მაგრამ გურამიშვილის მგზნებარე სტრიქონებში არ ამოიკითხება შეხედულება პოემის გენეზისზე, თუ არ დავუშვებთ, რომ იგი ქართული პოეზიის უბრწყინვალეს ძეგლად არ ჩათვლიდა სპარსული პოეტური ქმნილების ეპიგონურ გადამღერებას. თვით „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელ გადამღერებას მიმართავენ ონანა მდივანი ქობულაშვილი, ქაიხოსრო მდივანბეგი — ანდრონიკაშვილი, მაგრამ პოემის გენეზისის საკითხზე ისინიც არას ლაპარაკობენ.

რჩება აღორძინების მოღვაწეთა საკმაოდ მოზრდილი პლეადა, რომლის წევრები ცხოველ ინტერესს იჩენენ რუსთაველის ქმნილებისადმი. სწორედ მათ შრომებში და შენიშვნებში გამოიხატა აღორძინების შეხედულება რუსთაველის პოეზიის სათავეებზე. მათ ხშირად არავითარი განზრახვა არა აქვთ დასვან ან გაარკვიონ ჩვენთვის საინტერესო საკითხი. მაგრამ ეხებიან რა პოემას, მათს ცნობებში ბუნებრივად და სრულიად ძალდაუტანებლად თავს იჩენს მათივე თვალსაზრისი პოემის გენეზისის შესახებაც. მით დიდია ამ შეხედულებათა მნიშვნელობა. შევჩერდეთ მათზე.

* * *

ქრონოლოგიური თანმიმდევრობა მოითხოვს პირველად შევეხოთ ერთ ანონიმურ სტროფს. რომელიც კარგა ხანია მკვლევართა ყურადღებას იქცევს. ბევრი მნიშვნელოვანი ხელნაწერი პოემისა სწორედ ამ სტროფით იწყება.

მის ავტორს არავითარი განზრახვა არა აქვს მიაწეროს სტროფი რუსთაველს, როგორც ამას სჩადიოდა ინტერპოლატორთა უმრავლესობა. პირიქით, იგი რელიგიური თვალსაზრისით აკრიტიკებს და აფასებს პოემას. ალბათ, ამიტომ ჩამოაცილა იგი ტექსტს ვახტანგის გამოცემის რედაქციამ. სტროფი, რომელიც ჩვენამდე მოსულია დიდი ნაირსახეობით, ჩვენი აზრით, ავტორის ხელიდან უნდა გამოსულიყო ამ სახით:

პირველ-თავი, დასაწყისი, ნათქვამია იქ სპარსულად,
ვუხმობთ ვეფხისტყაოსნობით, არას შეიქმს ხორცარსულად.
საეროა, არ ახსენებს სამებასა ერთარსულად,
თუ ისმინოს მონაზონმან, შეიქმნების გაპარსულად [1].

პ. ინგოროყვამ უკვე მიუთითა, და სამართლიანადაც. რომ ეს პოლემიკური სტროფი მიმართულია რუსთაველის წინააღმდეგ, და იგი XIV საუკ. დაათარიღა. მაგრამ სადავოა მისი სხვა მოსაზრებანი სტროფის შესახებ. ჯერ „რუსთველიანაში" და შემდეგ საიუბილეო დღეებშიც ის წერდა: აქ „აღნიშნულია, რომ ვეფხისტყაოსანი არ არის ქრისტიანული ნაწარმოები, რომ აქ გადმოცემულია არაორთოდოქსალური სწავლა — სპარსული მოძღვრება" [2]. აქედან მკვლევარს გამოაქვს დასკვნა. თითქოს ჩვენ აქ გვაქვს დადასტურება იმისა, რომ შოთა იყო მანიქეველი, რადგან „მანიქეიზმი ერთ-ერთი სახე იყო ნეოფარსიზმისაო" [3]

აკად. კ. კეკელიძემ არ გაიზიარა პ. ინგოროყვას აქ დამოწმებული შეხედულება. მან დაასაბუთა, რომ ფრაზა — „ნათქვამია იქ სპარსულად" არ ნიშნავს, თითქოს სტროფი პოემას საერთოდ სპარსული მოძღვრების, კერძოდ კი უთუოდ მანიქეიზმის აღმსარებელ ნაწარმოებად აცხადებს [4]. სტროფის ნაირსახეობითობას აკად. კ. კეკელიძე იმით ხსნის, რომ „ვერავის გაუგია, რა უნდა ეთქვა მის ავტორს" [5].

[1] ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, 1933; ვეფხისტყაოსნის ჩანართი და დანართი, თბილისი, 1948.

[2] პავლე ინგოროყვა, „შოთა რუსთველი", ბიოგრაფიული ესკიზი, თბილისი, 1938 გვ. 34.

[3] იქვე.

[4] ძვ. ქართ. ლიტ. ისტ., II, 1952, გვ. 139.

[5] იქვე, გვ. 145.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტროფი ჩვენამდე მოღწეულია დიდი ნაირსახეობით[1]. თითქმის არ მოიპოვება ორი ისეთი ხელნაწერი, რომლებშიც იგი ინდენტურობამდე ერთნაირად გვხვდებოდეს. პირდაპირი მნიშვნელობით მართლაც უაზრობაა „პირველ-თავი, დასაწყისი ნათქვამია იგ სპარსულად“, როგორც იკითხება „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართებში და დანართებში“ (სტრფ. ა). მართლაც, თუ დასაწყისი და პირველი თავი რომელიმე ნაწარმოებისა სპარსულია, ასეთივე იქნება, თუ უნდა იყოს იგი საერთოდ და მთლიანად, ე. ი. ბოლომდე. უფრო მოსალოდნელია, სტროფში იკითხებოდა „იქ სპარსულად“, როგორც იმავე გამოცემის წინასიტყვაობაში და ხელნაწერთა ნაწილშია. ეს ნიშნავს: თავდაპირველი ამბავი (თქმულება, რომელიც დაედო საფუძვლად ჩვენი მსჯელობის ობიექტს, მისი საწყისი), ნათქვამია (ვამოცხადებულია) იქ (მასში) სპარსულად.

კიდეც რომ დაეუშვათ, რომ პირველადია „იგ[2] სპარსულად“, ეს ორივე წაკითხვა ერთსა და იმავე აზრს შეიცავს: პოემა თავის თავს შესავალში გენეზისურად უცხო წარმოშობისად აცხადებსო, რადგან აშკარაა, როგორც უკვე აღნიშნულია[3], რომ ანონიმს მხედველობაში აქვს სწორედ პოემის „ესე ამბავი სპარსული“...

მაგრამ იგი ვერ მალავს თავის გულისწყრომას: წიგნი, რომელიც თავის თავს სპარსულ ნაწარმოებად აცხადებს, აი ის, ჩვენ რომ „ვუხმობთ ვეფხისტყაოსნობით“, „არ ახსენებს სამებასა ერთარსულადო“.

სპარსული ნაწარმოები რომ „სამებას“ არ მოიხსენიებს, „ერთ არსებად“ იქნება იგი თუ მხოლოდ „სამებად“, ეს ანონიმს, რომელიც ქრისტიანიზმის დოგმატებში ერკვევა და რელიგიური თვალსაზრისით აკრიტიკებს პოემას, კარგად ეკოდინება და იგი ამ გარემოებას ნაწარმოების „სპარსულობის“ დასამტკიცებლად არ დაიმოწმებს[4]. მან, ცხადია, იცის, რომ სპარსულ-მაჰმადიანური წარ-

[1] ძვ. ქართ. ლიტ. ისტ., II, 1952, გვ. 145.

[2] აღორძინების მწერლები ხშირად ხმარობენ ჩვენებით ნაცვალსახელს იგი ამ ფორმით.

[3] ძვ. ქართ. მწერ. ისტ., II, 1952, გვ. 139.

[4] ანონიმი აქ ერთგვარად ფაქტიურ შეცდომასაც უშვებს. პოემაში თუმცა „სამება“ ნახსენები არ არის, მაგრამ ღმერთი მოხსენებულია „ერთარსებად“:

...ჰე მხეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
ერთარსებისა ჭრთისა, მის უჟამოსა ჟამისად (836)...

ქრისტიანული დოგმატიკით კი სამება (სამპიროვანება) სწორედ ერთარსების აუცილებელი ატრიბუტია.

მოშობის სხვა ლიტერატურული დოკუმენტები ეკლესიის მიერ აკრძალული არ ყოფილა. რატომღა უკრძალავს იგი გაპარსვის მუქარით მონაზონთ „ვეფხისტყაოსნის“ გაცნობას? დავუშვათ, რომ ავთენტურია ამ სტროფის უკანასკნელი ტაეპის მეორე ვარიანტი:

არას გვარგებს საუკუნოს, რა დღე იქნას აღსასრულად.

ეს ნიშნავს: არაფრად გვარგებს „ვეფხისტყაოსანი“ საიქიოს[1], როცა აღსასრულის დღე დადგებაო. რომელი სხვა „სპარსული“ ნაწარმოები გამოადგებაო მორწმუნე ქრისტიანის აზრით მას „საუკუნოს“, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ საჭირო იყოს ამის საგანგებო მტკიცება, თუ ეს უკანასკნელი ანონიმის, ან, საერთოდ მიღებული აზრით, მართლა სპარსული იდეოლოგიისა და რელიგიის მქადაგებელ-აღმსარებელია ან გენეზისურად სპარსულია?

პირიქით, ანონიმი არ იზიარებს თვით პოემის შესავალში დაცულ ცნობას მისი სპარსული გენეზისის შესახებ; იგი ეკამათება ამ სტროფს; მას სურს ფარდა ახადოს მისი შინაარსის სიყალბეს; იგი ფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, ქართველი, ქრისტიანი, ამოეფარა განცხადებას „ესე ამბავი სპარსული“... ამით, მისი აზრით, რუსთაველმა თვალი აუხვია მკითხველს. რად დასჭირდა პოეტს შეგვიქმნას თავისი პოემის გენეზისის შესახებ ყალბი წარმოდგენა? იმად, რომ მისი პოემა „არას (ე. ი. არარსებულს, არარეალურს, გამოგონილს)[2] შეიქმს (გვიხატავს, წამოგვიდგენს) ხორცარსულად“ (ხორცარსებულად, რეალურივით, მართლად), ტყუილს მართლად ასაღებს. ამით ანონიმი გვეუბნება, რომ რუსთაველი არ გადმოგვცემს მართალ ამბებს, როგორც მაგალითად,

---

[1] სტერეოტიპიურ ფრაზაში „არას მარგებს საუკუნოს“, რომელიც გვხვდება, გარდა აღნიშნული სტროფისა, სერაპიონ საბაშვილის „როსტომიანში“ (3601), და თეიმურაზის „იოსებ-ზილიხანიანში“ (308, პირველწყაროს უნდა იყოს ანონიმი), საუკუნო ყველგან ერთი მნიშვნელობით იხმარება და ნიშნავს საიქიოს, იმ სოფელს, სადაც რელიგიური შეხედულებით, ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მისი სული აგრძელებს ცხოვრებას. „შუშეთა სალაროში“, მაგ., ვკითხულობთ: „ვინც ესამართლოსა იქმს, იძისთვის საჭაოს ამისთანა ცხრები არის მოშხადებული და საუკუნოს — ჯოჯობეთი“ (ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1949, გვ. 26).

[2] არას აოსებით სახელად გამოყენებული უარყოფითი ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმაა. სახელობითში იქნება არა (არარა — არრა — არა, აკად. აკ. შანიძე) და ნიშნავს არარსებული, არაფერი, არარეალური, გამოგონილი; სინტაქსურად პ/დამატებაა. ამ ფორმით და ამავე მნიშვნელობით ეს უარყოფითი ნაცვალსახელი არაერთხელ გვხვდება თვით „ვეფხისტყაოსანში“.

ბიბლია, ან ჰაგიოგრაფიული ძეგლები: მისი პოემა „საეროა (და ამავე დროს) არ(ც) ახსენებს სამებასა ერთარსულად", არ იცავს ორთოდოქსალურ ქრისტიანულ დოგმატიკას. ამიტომ „თუ ისმინოს მონაზონმან" და სხვ., ან „არას გვარგებს" და სხვ. ამრიგად, ანონიმის აზრით, „ვეფხისტყაოსნის" ქრისტიანი ავტორი თავის საერო, გამოგონილ ნაწარმოებში ღალატობს ორთოდოქსალურ ქრისტიანიზმს და რათა ეს გარემოება დაფაროს, აცხადებს: ჩემი პოემა გენეზისურად სპარსულიაო.

ასეთია ანონიმის აზრი საერთოდ პოემის, კერძოდ — მისი გენეზისის შესახებ[1]. სხვათაშორის, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სტროფის „ესე ამბავი სპარსული" ასახსნელად წარმოდგენილ მოსაზრებებში ანონიმის აქ გარჩეული შეხედულება ყველაზე მართებული უნდა იყოს. სხვა არა იყოს რა, იგი ქრონოლოგიურად ყველაზე ძველია და უნდა დავუშვათ, რომ ამის გამოც მასში ყველაზე უკეთ იქნება შემონახული თვით პოემის წარმომშობ ეპოქაში მიღებული გაგება აღნიშნული (9) სტროფისა.

ახლა განვიხილოთ ეპოქის მომდევნო წარმომადგენელთა ცნობები.

აღორძინების ხანის პირველი ჩვენთვის ცნობილი მოღვაწე, რომელიც რუსთაველს იხსენიებს, არის XVI საუკ. პირველი მესამედის მწერალი სერაპიონ სოგრატის-ძე საბაშვილი-კედელაური. ცნობილი „გაბაასების" ერთ (პირველ) სტროფში, ლაპარაკობს რა თავისი მეცენატის ბაგრატის საქმიანობის შესახებ, იგი არც თავის თავს ივიწყებს:

ნაძლევი ვარ რუსთველისა, თუ მეტი ქნა ჩემოდნობა (3599)[2].

აქ სერაპიონი მიუთითებს, „როსტომიანი" მოცულობით მეტია „ვეფხისტყაოსანზეო". რუსთაველი უპასუხებს:

რას მომერჩი ბერი ბერსა; — მე გავლექსე ლამაზ ენა!
აწიყი ვარ თვალ-წარბისა, ვინ სოფელი დააშვენა;
შენ ტყუილად შემოგფიცეს, მათ აუბნეს ტკბილად ენა,
თუმცა ფასი არ მიბოძა, მან რუსთავი ამიშენა (3600).

---

[1] დიდი ნაირსახეობითობა და თვით ბერიკას სტროფის უახლობა გვაიძულებს დავასკვნათ, რომ იგი უკვე ბეპირი გზით გავრცელებულა. ამ დროს დაუკარგავს ავთენტური სახე, განუცდია დეფორმაცია და სწორადაც ვეღარავის გაუგია, მაგრამ პოემაში მაინც შეუტანიათ, შესაძლოა, სხვადასხვა გადამწერს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლადაც კი.

[2] „შაჰ-ნაზეს" ქართული ვერსიები, ტ. II. თბილისი, 1934

ამ სტრიქონების აზრი ასეთია: რას მერჩი მოხუცი მოხუცს? მე „გავლექსე ლამაზ ენა“, მე ჩემ პოემაში „აშიყი ვარ თვალწარბისა, ვინ სოფელი დააშვენა“, (ე. ი. მასში გამოვხატე ეს გრძნობა, შენს ნაწარმოებში კი, თუმცა ის დიდტანიანია, ასეთ რამეს არა აქვს ადგილი). ამიტომაა, რომ თუმცა შენ (ფასის, ჰონორარის გადახდა) შემოგფიცეს, ენა ტკბილად აუბნეს (არაფერი გადაგიხადეს), მე კი, მართალია, ფასი არ მიბოძა (პოემის შექმნისთვის თამარმა). მაგრამ რუსთაველი ხომ ამიშენაო.

გაბაასებაში ჩაერია ბაგრატიც. იგი ეუბნება სერაპიონს:

ვიცი, ჩემო სერაპიონ, ხარ მრავლისა მონახული,
მეფე უნდა ღვთის მოშიში, სიკეთითა დანერგული;
ამ სოფლისა დიდებასა მირჩევნია მცირე სული,
არას მარგებს საუკუნოს საბჭოდ შენი ჭირნახული (3601).

გამოდის, რომ ბაგრატი არ უარყოფს წაყენებულ ბრალდებას ფასის გადაუხდელობის შესახებ, მაგრამ თავისი საქციელის სამართლიანობას იგი შემდეგი მოტივით ასაბუთებს: არას მარგებს საუკუნოს საბჭოდ შენი ჭირნახულიო. იგულისხმება — ამიტომ არ გადაგიხადე დაპირებულიო. აქედან, თუ შოთას დაპირებული ფასის ნაცვლად უფრო დიდი ჯილდო მისცეს, რუსთაველი აუშენეს, ცხადია, ეს მოხდა დამსახურებისამებრ.

ამრიგად, სერაპიონის აზრით, „როსტომიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“ დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. პირველი მართალია, მოცულობით მეტია მეორეზე, მაგრამ იგი უცხო (ისიც — არაქრისტიანული) წარმოშობისაა. „ვეფხისტყაოსანი“ კი, მართალია, შედარებით მცირეტანიანი პოემაა, მაგრამ მასში გამოხატულია თამარისადმი ტრფიალი, ის ამ გრძნობით არის ნაკარნახევი, და, როგორც ასეთი, ცხადია, გენეზისურად ქართულია: ამის გამო და სწორედ ამის გამო აუგეს შოთას რუსთაველი. აღმოსავლურ ზღაპარ-თქმულებათა თარგმნა-გალექსვა კი, თუნდაც ისეთისა, როგორიც არის „შაჰ-ნამე“, უსარგებლო „ჭირნახულია“ და ჯილდოს ღირსი არ არის.

„ომაინიანის“ ავტორმა, XVII საუკ. I ნახ. მოღვაწემ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილმა, მსჯელობს რა საკუთარ შემოქმედებაზე, ჩვენთვის საინტერესო საკითხზედაც გამოთქვა სრულიად გარკვეული აზრი.

ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს სურს ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ „ომაინიანი“ მისი საკუთარი თხზულებაა: მას არც არვისგან უთარგმნია და არც სხვისი ამბავი გაულექსავს („ომაინიანი“ „ვეფ-

ხისტყაოსნის“ გაგრძელებაა, გვიამბობს ტარიელისა და ავთანდილის ვითომდა შვილიშვილის ომაინ ჰაბუკის საგმირო-სამიჯნურო ფანტასტიკურ თავგადასავალს და არავინ არასოდეს მის ქართულ გენეზისში არ შეეჭვებულა). ამის ნათელსაყოფად იგი ანალოგიებით მსჯელობს:

თვითო მელექსე თვითოსა კარგთ ვისმე მაქებარია:
ფირდაუსტ როსტომ მტერზედ თქვა, ვით მტრედზე
მაღლით ბარია,
ტარიელისთვის რუსთველსა უშვენის ნაუბარია[1] (440)...

როგორც ვხედავთ, ჩოლოყაშვილის აზრით, თითო მელექსე თითო კარგი ვინმეს მაქებარია: ფირდოუსი — როსტომის, რუსთველი — ტარიელის. აქ ფირდოუსი და რუსთაველი დასახელებული არიან, ცხადია, როგორც პირველავტორები საუკეთესო ნაწარმოებებისა.

მე მათ საფერად ვერა ვთქვი, ამად ვარ საგმობარიაო,

ერთგვარი მოჩვენებითი თავმდაბლობით აცხადებს ჭაიხოსრო. მაგრამ ძნელი არ არის ამ განცხადებაში ავტორის ქედმაღლობა ამოვიკითხოთ. იგი ფირდოუსს, რუსთაველს და თავის თავს ერთ სიბრტყეზე ათავსებს: სამივენი დამოუკიდებელი შემოქმედნი ვართო.

მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ჩოლოყაშვილის მსჯელობის არა პოზიტიური, არამედ ნეგატიური მხარე. იგი ეჭვს არ ტოვებს, რომ, ჩოლოყაშვილის აზრით, რუსთაველი გენეზისურად დამოუკიდებელი ავტორია და არა რომელიღაც მზაშზარეული ამბის მთარგმნელ-გამლექსაი. მართალია, ფირდოუსმა ლეგენდები გალექსა. რაც ჭაიხოსროსეულ ანალოგიას არღვევს, მაგრამ ჭაიხოსროს ამის შესახებ ან წარმოდგენა არა აქვს, ან იგი ამაზე განზრახ დუმს: ამის გამჟღავნება მის ანალოგიას დაარღვევს. ამიტომ არის, რომ „როსტომიანის“ ავტორად იგი ფირდოუსს ასახელებს და არა სერაპიონ საბაშვილს. მას თავისი შემოქმედების კვალიფიკაციისათვის პირველავტორები სჭირდება და არა მთარგმნელ-გამლექსაეები: ასეთია ფირდოუსი, ასეთია რუსთაველი... ასეთივე ვარ მეცო, აცხადებს ჭაიხოსრო. მისი აზრით, ანალოგია სრულია... მაგრამ აქედან გამოდის, რომ ჩოლოყაშვილის აზრით „ვეფხისტყაოსანი“ გენეზისურად წმინდა ქართული მოვლენაა.

[1] ჭ ა ი ხ ო ს რ ო, ომინიანი, თბილისი, 1937, გვ. 120.

თავისებურად მსჯელობს რუსთაველის შემოქმედების შესახებ „იოსებ-ზილიხანიანის“ XVII საუკ. I მეოთხედის უცნობი მთარგმნელი. იგი რუსთაველს პოეზიის ღმერთად მიიჩნევს და მისგან გამოითხოვს მელექსეობის უფლებას, პოეტებს კი მიმართავს:

მელექსენო, ნუ გგონიათ თავი რუსთველის დასადარი...
მას მეუფემ განგებითა წყალობისა დასცა დარი (2)[1].

როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსნის“ შექმნაში, მორწმუნე პოეტის აზრით, თვით „მეუფის“ „განგება“, მისი „წყალობა“ ჩაერია. ცხადია, გენეზისურად იგი შოთას კუთვნილებაა. სწორედ ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ რუსთაველს „მეუფემ განგებითა წყალობისა დასცა დარი“: განა ქრისტიანის ღმერთი მოუვლენდა რუსთაველს „განგებასა“ და „წყალობა“-სასწაულებს — სპარსულ-მაჰმადიანური თხზულება გალექსეო? ანონიმი შეგნებულად, განზრახ, საგანგებოდ უპირისპირებს თავის შეხედულებას სტროფს „ესე ამბავი სპარსული“. „ესე ამბავი სპარსული... ლექსად გარდავთქვიო“, ამბობს რუსთაველი. პოემა პოეტმა მეუფის განგებით და წყალობით შექმნაო, ასწორებს ანონიმი. განა თქმა-ღა უნდა, რომ იგი აქ თვით რუსთაველს ეკამათება? პოემის მხოლოდ გალექსვა ცხადია, არ დაისაჭიროებდა ისეთ მძიმე არგუმენტაციასა და წინამძღვრებს, როგორიც არის განგება-სასწაულები ისევე, როგორც არაფერი ამის მსგავსი არ უძღოდა თვით უცნობი მწერლის საქმიანობას, რის შესახებაც იგი ამგვარად მოგვითხრობს:

ეს ამბავი ადრინდელი ცოტა ვპოვე დანარჩომი,
ქართულადა გარდავთარგმნე, სპარსულადა მუნ ნათქომო (9).

ახლა უნდა შევჩერდეთ თეიმურაზ I-ის (1589—1663), როგორც მისი ცნობილი მეტოქის, შეხედულებებზე რუსთაველის შემოქმედების შესახებ. ამ შეხედულებებისადმი ინტერესს აძლიერებს ის გარემოება, რომ, როგორც აღნიშნული გვქონდა, უკვე გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს თეიმურაზი პოემის გენეზისის საკითხში ირანულიდან წარმოშობილობის თვალსაზრისზე იდგეს.

თეიმურაზი არა მარტო მიუთითებდა თავისი პოემების უცხო გენეზისზე, არამედ მათი პროტოტიპების ავტორებსაც კი ასახელებდა (მოლა აჯა, ისპაანელი, შიხ-შეიდი, დაბადება)... ამავე დროს იგი მეტად უარყოფითი შეხედულებისა იყო ამ პოემების, საერ-

[1] გ. ჯ ა კ ო ბ ი ა, იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიები, თბილისი, 1927, გვ. 3.

თოდ სპარსულ-აღმოსავლური ძეგლების იდეურ-შინაარსობლივ ღირებულებაზე. აი რამდენიმე ამონაწერი მისი პოემებიდან:

ამა სიტყვაზედ გარდაწყდა მათი ბრძოლა და დავება,
მეც მომეწყინა ტყუილი ეს ცუდი გალაყბაება (92),
ვაიმე, ცუდის ლაყბითა თუ სული დავაზიანი (95, ვ. ბ);
შამი-ფარვანის წიგნისა ვინებე გარდმოღებანი,
ესოდენ ცუდთა ლაყაბსა ვინცა-ვინ მითხრას ქებანი (17),
ეს უსარგებლო ლაყაბი მეყოფა მეტის-მეტადო (65),
ღმერთო, ნუ მიწყენ ამ ცუდსა ლაყაბსა. მიდ-მოდებასა (63 შ. ფ.);
შენ მომიტევენ სიტყვანი უქმი, არ ნაყოფიანი...
ცოდვასა ზედან სულდგმულობ, შერიცხვა იცი გვიანი,
ვამე, ცუდისა ლაყბითა თუ სული დავიზიანი (310 ი. ზ.).

დამოწმებული ადგილების მიხედვითაც ნათელია, რომ თეიმურაზი მეტად უარყოფითი შეხედულებისაა მის მიერვე გადმოკეთებული თხზულებების იდეურ-შინაარსობლივ ღირებულებაზე. თვით „იოსებ-ზილიხანიანიც“ კი, მიუხედავად იმისა, რომ „მათ საქმესა საღმრთო წიგნი... ამბობს, დაბადება“ (308), თეიმურაზით — ლაყბობაა. „შამი-ფარვანიანსაც“ ვერ უშველა იმ გარემოებამ, რომ იგი დაწერა „მელექსეთ შიგან ქებულმან, კაცმან, განთქმულმან სპარსთ შორის, არ ცუდად მიდ-მოდებულმან“, რომ იგი მის ავტორს „უქეს ბრძენთა კრებულმან“: ამავე სტროფის საფინალო ტაეპში თეიმურაზი მასაც ლაყბობად მიიჩნევს (19).

სხვაგვარად არც შეიძლებოდა... თეიმურაზი რომ სპარსულ-აღმოსავლური ლიტერატურის, საერთოდ, კულტურის იდეურ-შინაარსობლივი მხარის თაყვანისმცემელი ყოფილიყო, მაშინ იგი პოლიტიკაშიც სპარსოფილი იქნებოდა. თეიმურაზი კი მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში აღმოსავლური მსოფლიოს იდეურ მოძულედ დარჩა, რის გამოც მასთან პოლიტიკური კავშირი თავისი ქვეყნის დაღუპვად მიაჩნდა. ამიტომ იყო, რომ გმირულად იბრძოდა რა სპარსული ძალადობის წინააღმდეგ, მან მთელი თავისი სიცოცხლე რუსეთთან პოლიტიკური და კულტურული კავშირის განმტკიცებას შეალია, რის სარგებლობას იგი, აშკარაა, ალღოთი გრძნობდა.

ბუნებრივად ისმის კითხვა: მაშ რაღად თარგმნიდა და აქართულებდა თეიმურაზი ამ ხასიათის თხზულებებს? აი მისი პასუხი.

სიბრძნე ხამს მარგედ სულისა, განქარდეს ხორცთა შვებანი,
უკლებლად წერეს მაჲთა იგი წმინდანი მცნებანი,

არვინ იკითხავს წიგნებსა, შესწყრნდეს ცუდად დებანი,
მას არვინ ისმენს, ვარჩიე სოფლისა მიდ-მოდებანი (3 ლ. მ.).

„გაზაფხულ-შემოდგომიანში“ კი უფრო კატეგორიულად აცხადებს:

არვის უნდა სახარება, არცა წიგნი მოციქულთა (5)...
თუ საღმრთო რამე მესიბრძნა, შიგ არვინ ჩაიხედევდა,
რა ეს ლაყაბი შეეკრიბე, ყველა ნახვასა ბედევდა (82)...

ასეთი ადგილების დამოწმება მრავლად შეიძლებოდა. თეიმურაზის ასეთი გულახდილი აღიარება გვიადვილებს მის ესთეტიკურ შეხედულებებში გაგერკვეთ. ამაეე დროს თეიმურაზის შემოქმედებაში შეიძლება ჩვენ გვქონდეს ერთი ბრწყინვალე მაგალითი კ. მარქსის ცნობილი დებულების საილუსტრაციოდ საზოგადოებრივი კლასებისა და მათი ლიტერატურული წარმომადგენლების ურთიერთობის შესახებ, რომელიც გვასწავლის: демократические представители „по своему образованию и индивидуальному положению могут быть далеки от лавочников, как небо от земли. Их делает представителями мелкой буржуазии то, что их мысль не выходит за пределы жизненной обстановки мелкой буржуазии, что они поэтому теоретически приходят к тем же задачам и решениям, к которым мелкий буржуа приходит практически... Таково вообще отношение между политическими и литературными представителями класса и классом, который они представляют“[1].

მომძლავრებულმა სპარსულ-აღმოსავლურმა ექსპანსიამ, გაბატონებული წოდების ერთი ნაწილის გულგრილობამ ეროვნული ინტერესებისა და კულტურისადმი ამჯერად, აღორძინების პირველ ნახევარში, გამოიწვია ეროვნულ-ნაციონალურ მისწრაფებათა იგნორირება ლიტერატურაში; ხოლო მკაცრმა ბატონყმურმა სინამდვილემ, რაც მოჰყვა მონგოლთა ბატონობას, ეკონომიურმა სიბეჩავემ, რომელშიც ჩავარდა ქვეყანა და განსაკუთრებით მისი მშრომელი ფენები, წარმოშვა ლიტერატურის იდეურ-შინაარსობლივი ღირებულებისა და სოციალური ფუნქციისადმი ყურადღების შეგნებული დაქვეითება. თუ რუსთველისათვის

შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდი მარგი,

ახლა ასე აღარ მსჯელობენ. გაბატონებული ფეოდალური კლასისათვის ხელსაყრელი აღარ არის ლიტერატურა სიბრძნეს გამოხა-

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Об искусстве, Москва, 1938, стр. 27.

ტაეფდეს და ცხოვრების საპირბოროტო საკითხებს აშუქებდეს. ამას აღარ მოითხოვენ მწერლისაგან. თვით რელიგიურმა ლიტერატურამაც დაკარგა ცხოველმყოფელი ზეგავლენის უნარი, რაც მას ერთ დროს გააჩნდა. ამით აიხსნება, რომ აღორძინებაის ზოგიერთი წარმომადგენელი პოეზიას მხოლოდ „სიტყვათა შეთხზვის“, „რიტორების“ ხელოვნებად აცხადებს.

ამ შეხედულების ყველაზე ტიპიური გამომხატველი აღორძინების ხანის მწერლობაში აროის სწორედ თეიმურაზ I. იგი ლიტერატურული მოვლენების, მთლიანად ლიტერატურის განსაზღვრისას ფორმალისტურ ნიადაგზე დგას. იგი მკვეთრად განასხვავებს ერთმანეთისაგან ლიტერატურული ნაწარმოების ფორმასა და შინაარსს, და თუმცა, როგორც ვნახეთ, სპარსულ-აღმოსავლური პოეზიის, ლიტერატურული სამყაროს იდეურ-შინაარსობლივი მხარე უბრალოდ აღებობად მიაჩნია, როგორც არაერთგზის აღნიშნულია, იგი ამ სამყაროს პოეტური ფორმის პირდაპირ ტყეეობაში იმყოფება, და იქამდე, რომ მასთან დაპირისპირებისას ქართულ-ეროვნული სინამდვილის ერთგვარად ნიჰილისტურ შეფასებამდეც კი მიდის: მე არა შინაარსის სიმდიდრემ, არა იდეებაის სიდიადემ და სიფაქიზემ, არამედ „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანი, მძიმეა ენა ქართველთაო“ (ლ. მ. 4).

თუმცა თეიმურაზი დარწმუნებულია, რომ „სულსა სხვა უჯობს“ (გ. შ. 3), რომ მისი „სიტყვანი უქმი, არნაყოფიანია“ (ვ. ბ. 95, ი. ზ. 310); თუმცა იგი გაიძახის, „მსურის სიბრძნე“ (ვ. ბ. 93), „ვეტრუვიალე სიბრძნესაო“, იქვე დასძენს: „ამად არვისგან ხმობილიო“ (ი. ზ. 3) და თავისი შემოქმედების ღირსებად „რიტორებას“ მიიჩნევს: „რიტორი ვარ... ლექსი აოსად დამეხვანჯა“ (ვ. ბ. 93), ვარ ავტორი „ლექსთა ღარიბთა, უცხოთაო“ (მაჯ. 2). თან გვარწმუნებს, რომ მისი პოეზია, მის მიერ გადმოკეთებული პოემები სხვა არა არის რა, თუ არ

სიტყვათა შესხმა რიტორად, ენის სამკაულ-მკობანი (შ. ფ. 66).

სხვაგანაც თეიმურაზი აღნიშნავს, რომ მან ეს ნაწარმოები შექმნა

სალხინო და სალაღობოდ, სხვად არასმე შესაძემან (ვ. ბ. 6).

ყველაზე ნათლად თეიმურაზის ფორმალისტური კონცეპცია გამოსჭვივის თეიმურაზისა და რუსთაველის შემოქმედების თეიმურაზისეული დაპირისპირებიდან.

ლექსი ჩემი სჯობს გვარად და ტკბილად სასმენლად ყურისა,
მაშინც რუსთველსა აქებენ, მე ამან გამაგულისაო (მაჯამა),—

წერს თეიმურაზი. მაგრამ აქ ხომ სრულიად გარკვეულად და გადაჭრით იგი მაღლა აყენებს თავისი შემოქმედების მხოლოდ ფორმას. სხვათა შორის, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თეიმურაზი თავისი პოემების ფორმალურ ღირსებებზე მეტად მაღალი და გაზვიადებული წარმოდგენისაა. მან უარყოფითად შეაფასა რუსთაველის ქმნილების მდიდარი საფუძველი — ქართული სალიტერატურო ენა, ხალხური, სადა, ბუნებრივი, მაგრამ სალიტერატურო ნორმებით დახვეწილი, დაწმენდილი, ამაღლებული და მის ნაცვლად ცადა დაემკვიდრებინა ხალხისთვის უცხო, ძნელად გასაგები, რიტორიკული ენა, მაჯამის უაღრესად ხელოვნური ხუნდებით შებოჭილ-შებორკილი. მიუხედავად ამისა, იგი გამომწვევი იერით აცხადებს:

მაქებარად ხელოვნისა გამოჩნდების მოამბე რა,
გამისინჯეთ ლექს-ქართული, ერთმანერთსა მოვაბე რა
(ვ. ბ. 9).

ხოლო მეორეგან კიდევ უფრო კადნიერად გაიძახის:

სიტყვანი ვთქვა ეს, ვერ გავბედოთ საზრახავად შემოდგომა
(გზ. შ. 12).

აშკარაა, თეიმურაზი თავისი შემოქმედების, კერძოდ, პოემების ფორმალური ღირსებებით — ჩვენი აზრით კი ენისა და ლექსის ხელოვნურობით — ტრაბახობს, თორემ მისი იდეურ-შინაარსობლივი მხარე რომ „ლაყაბია", „უქმი, არ ნაყოფიანი"[1], ამას თვითონ თეიმურაზიც მრავალჯერ აღნიშნავს, თუმცა „გაზაფხულ-შემოდგომიანს" ერთგვარ გამონაკლისად მიიჩნევს: „სიბრძნის ზღვასა შევსცურვილვარო" (12).

ესთეტიზმის პრინციპების უფრო გაშლილი და მკვეთრი დაცვა თეიმურაზს, XVII საუკ. პირველი ნახევრის ქართველ მოღვაწეს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო. მართალია, თავისი პოემების იდეურ-შინაარსობლივ სიცალიერეს იგი საზოგადოებრივი მოთხოვნილებებისადმი ანგარიშგაწევის საჭიროებით ხსნის: მე იძულებული ვარ მივაწოდო მკითხველ საზოგადოებას ის, რაც მას მოსწონს, ვწერო უიდეო და ფუჭი შინაარსის ნაწარმოებიო, მაგრამ შექმნილია რა ასეთი თხზულებები, ამით საქმე გვაქვს ფეოდალისტურ ლიტერატურულ პრაქტიკასთან, ხოლო სათანადო შენიშვნებში — მისი გამართლებისა და თეორიული დასაბუთების ცდასთან (სულ ერთია, რა მოტივით). მაინც თეიმურაზის სასარგებლოდ უნდა ითქვას,

[1] მხედველობაში გვაქვს თეიმურაზის ოთხეული: „ვ. ბ", „შ. ფ", „ლ. მ", „ი. ხ".

რომ ის კრიტიკულადაც აფასებს საკუთარ ლიტერატურულ პრაქტიკას და იგი ეხატება, როგორც

უსაქმოდ მოწყენილისა ცუდი რამ ტიკტიკობანი (შ. ფ. 66).

„ხელჰყო" რა „წიგნებსა სპარსულსა ქართულად მთარგმნელობით" (ლ. მ. 1), იგი ღრმა შიშსა და „პატიჟს" (ტანჯვას) განიცდის იმის გამო, რომ მას „ნივთთა უკან" დგომა უხდება, რომ აქტუალურ, რეალურ პრობლემათა, საჭირბოროტო საკითხების გაშუქების, ბრძოლის ნაცვლად. იგი იძულებულია უკან დაიხიოს, საქმის უკან დადგეს, წეროს „სიტყვა უქმი". დიდი გულწრფელობით დასტირის პოეტი საკუთარ ბედს და პოეტურ საქმიანობას:

მეშინის, ვა თუ სოფლისა ცუდმან ზრუნვამან გამირთოს,
ნივთთა უკანა დგომამან სული ცეცხლზედა წამირთოს,
სიტყვა უქმისა პატიჟმან ჭირნი ჭირზედა დამირთოს
(ლ. მ 2).

საკუთარი პოეტური ხვედრით შეურაცყოფილი და დამცირებული, იგი მაღლიდან დასცქერის თავის პოემებს, როგორც თავისთვის უცხოს, ნასესხებს, და ნაღვლიანად, მწუხარებით შენიშნავს „შამიფარანიანის" შესახებ: „ვინებე გარდმოღებანი, არც ჩემის საქმით ნათქვამი, არც გულსა მქონდა დებანი, სპარსთ უთქვამთ... მათგან არს ნაგონებანიო" (17). იმავე პოემის ბოლოსიტყვაობაში კი პოეტი კიდევ უფრო გულდაწყვეტილი აღნიშნავს, რომ ეს ნაჭარმოები მისთვის „არც სიხარული გულისა, არც ხატიკობანია" (66).

როგორც ვხედავთ, თეიმურაზი განუზომელი გულისტკივილით გვაწყებს არა მარტო იმას, რომ მისი პოემები მოკლებულია ნათელ იდეურობას და გამართლებულ სოციალურ მიზანდასახულობას, არამედ იმასაც, რომ ამ პოემებს არაფერი აქვთ საერთო თეიმურაზის პირად ცხოვრებასთან, მის საკუთარ სულიერ სამყაროსთან. ამრიგად ნათელია, რომ თეიმურაზის აზრით იგი, თეიმურაზი, მიმბაძველია, გამლექსველია, მხოლოდ რიტორია, სპარსთ „შეწმასნილთა სიტყვათა" (ლ. მ. 4) გადმომღებია, „გალაყბაების" თუ „ლაყაბის" ოსტატია...

სიტყვამ მოიტანა და უნდა აღვნიშნოთ, რომ შეუძლებელია გავიზიაროთ თეიმურაზის მთელი შემოქმედების იდეურ-შინაარსობლივი მონაკვეთების ავტორისეული შეფასება ისევე, როგორც ძნელია გავიზიაროთ მისი გაზვიადებული აზრი საკუთარი შემოქმედე-

ბის ფორმალური ღირსებების შესახებ, მაგრამ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ახლა — როგორი წარმოდგენისა იყო თეიმურაზი რუსთაველის შემოქმედებაზე. „იოსებ-ზილიხანიანის“ შესავალში ვკითხულობთ:

მრავალთა ხელყვეს სიბრძნესა, მოგვესმა ამას წინასა.
ვიეთნი წერდეს ზენასა, სულისა მოსასმინასა,
ზოგთა თქვეს, აქეს, შეაწყვეს ბროლ-ვარდ-გიშერი მინასა,
ჩემთა სიტყვათა ყვავილნი მათთან წერილმან მინასა (5).
გუბი ხე მთისა წყაროსა უმშაგომ ვითა აროსა?
მაგრამ მიებაძო აჩრდილად, არა ვიდუმნო აროსა (6).

წარმოდგენილი კლასიფიკაცია ძნელი გასაგები არ არის. ცხადია, მეორე ჯგუფის პოეტებში მას მხედველობაში ჰყავს საერო პოეზიის ზოგიერთი წარმომადგენელი. „მათთან წერილმან“ ჩემი „სიტყვათა ყვავილნი“, ე. ი. ფორმით მდიდარი პოეზია „მინასა“, დანავსა, დაჩრდილა და გააუფერულაო, წერს თეიმურაზი. თითქოს მისგან მოულოდნელი განცხადებაა, მაგრამ აქ საჭიროა გავიხსენოთ, რომ თეიმურაზი რუსთაველის შემოქმედებასთან დაპირისპირებისას მაღლა აყენებდა თავისი შემოქმედების მხოლოდ ფორმას. აქაც თეიმურაზი აღნიშნავს, რომ მისი ფორმით მდიდარი პოეზია ფერმკრთალი აღმოჩნდა ზოგიერთი წინაპრის შემოქმედების სიდიადესთან: იმის მიერ დაპყრობილ მწვერვალამდე, ვისმა წერილმაც თეიმურაზის „სიტყვათა ყვავილნი მინასა“, თეიმურაზი ისე ვერ ამაღლდება, როგორც „გუბი ხე მთისა წყაროსა“ ვერავინ „აროსა“. თეიმურაზს ისღა დარჩენია, რომ განაცხადოს: ჩემ დიდ წინაპრებს „მიებაძო აჩრდილად, არა ვიდუმნო აროსაო“.

მაგრამ არის კი საქართველოში პოეტი, რომელსაც თეიმურაზი ღირსად ჩათვლის მიბაძოს „აჩრდილად“? როგორც ვხედავთ, არის.

ზ ო გ თ ა თქვეს, აქეს, შ ე ა წ ყ ვ ე ს ბ რ ო ლ - ვ არ დ - გ ი შ ე რ ი
მინასაო, —

ამბობს ზემოდამოწმებულ სტროფებში თეიმურაზი თითქოს უმისამართოდ ამ აჩრდილთა შესახებ.

შ ე ა თ ხ ზ ნ ა ბ რ ო ლ ს ა გ ი შ ე რ ი, ძ ო წ ს ა ს ა დ ა ფ ი
წ ყ ო ბ ი თ ა

რუსთაველმაო, იმეორებს ცოტა ქვემოთ იმავე სიტყვებს ოდნავი პერეფრაზირებით იგივე თეიმურაზი.

მაგრამ ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს უფრო მიახლოებით გავიგოთ თეიმურაზის შეხედულება რუსთაველის შემოქმედებაზე.

გვიამბობს რა „ვეფხისტყაოსნის" გმირების თაეგადასავალს მოკლედ, თეიმურაზს იმავე პოემის შესავალში შემოაქვს ვრცელი ტირადა, რომელშიც იგი უფრო გულახდილად გადმოგვცემს თავის სრულ შეხედულებას რუსთაველის შემოქმედებაზე. თეიმურაზი წერს:

ესენი შოთა რუსთველმა შეამკო არსთა მკობითა,
თვით მინდობილმან სიბრძნესა, მერმე თამარის ხმობითა.
იტყვის: „ვპოვეო ამბავი პირველ სპარსთაგან მბობითა" (17).
გამოაცხადებს ნათქვამი მის, რუსთველისა ქებასა,
დასაბამითგან შაირთა მთქმელი თვით სად ვინ ებასა?
რად ხამს დუმილი მუსიკთა, ენა რიტორად ებასა!
თუმცა ხელობდა მის გამო, ხელჰოფდა მათსა ქებასა (18)!
სწვევდა სახმილი უშრეტი პირმზისა თამარ მეფისა...
მაგრამ მან მზემან ნათელი მიჯნურთ არ უიფისა (19).
მეფეს ენება სპარსული თქმათ ქართულისა ენითა.
„ლექსად თქმა მწადსო", უბრძანა ლაღმან ბრძნად...
ნიჭი აღუთქვა უზომო: „მოაჯე ვარ მოქენითა"!
მიჯნური მიჯნურთ საქებრად დაჯდა, გლახ. ცრემლთა
დენითა (20).

შეუძლებელია თეიმურაზს რუსთაველის პოემა გენიზისურად უცხო, ისიც სპარსული წარმოშობისად მიაჩნდეს, და მაინც განაცხადოს: ეს სპარსული შინაარსის პოემა რუსთაველის სიბრძნეს ღაღადებსო. ყველა ზემოდამოწმებული თეიმურაზისეული სტროფის შემდეგ, ვფიქრობთ, ეს აღარ არის საეჭვო. ვინ მისცა შემოქმედებითი სტიმული რუსთველს? თეიმურაზით, პოეტს „სწვევდა სახმილი უშრეტი პირმზისა თამარ მეფისა". მას კი, თამარს, „მეფეს ენება სპარსული თქმად ქართულისა ენითა, «ლექსად თქმა მწადსო», უბრძანა" შოთას და „ნიჭი აღუთქვა უზომო"... მაგრამ რატომ? სპარსული „ლაყაბის" გადმოღებისათვის?..

არა, აქ სხვა გარემოებაა. თეიმურაზით „მეფეს ენება" არა კონკრეტულად ამა და ამ „სპარსული" ამბის თუ ნაწარმოების ლექსად „თქმა ქართულისა ენითა", არამედ ზოგადად „სპარსული თქმათ ქართულისა ენითა (ლექსად)", ე. ი. ქართულ ენაზე საერო პოეზიის შექმნა. „სპარსული", როგორც უკვე გარკვეულია, აქ „საეროს" ნამდვილი ეკვივალენტია და ფრაზა: „მეფეს ენება სპარსული თქმათ ქართულისა ენითა" იგივეა, რაც „მეფეს სურდა სა-

ერო პოეზიის, საერო პოეტური ეპოსის შექმნა ქართულ ენაზე". ამიტომაა, რომ „ლექსად თქმა მწადსო, უბრძანა" მან შოთას ასევე ზოგადად და არა რომელიმე კონკრეტულ ძეგლზე, კერძოდ — „ვეფხისტყაოსანზე" მითითებით. რუსთაველიც ასრულებს მეფის ბრძანებას: „მიჯნური მიჯნურთ საქებრად დაჯდა" და შექმნა პოემა, „თვით მინდობილმან სიბრძნესა". ვის სიბრძნეს? არც ეს სიბრძნე შეიძლება იყოს სპარსული იმავე მიზეზით. გამოდის, რომ რუსთაველი საკუთარ სიბრძნეს მინდობია, „ვეფხისტყაოსანი" მისი ავტორის სიბრძნის, მისწრაფებათა, სულის ტკივილების, გრძნობების გამომხატველია. „არც ჩემი საქმით ნათქვამი" არის, მათი „არც გულსა მკონდა დებანიო", ამბობს თეიმურაზი თავისი პოემების შესახებ. ამის გამო „არც სიხარული გულისა, არც არა ზატიკობანია" ეს პოემები მისთვის. ამას უპირისპირდება, თეიმურაზის აზრით, რუსთაველის შემოქმედება. იგი, გარდა იმისა, რომ დიდი სიბრძნის შემცველია, არის თვით რუსთაველის „საქმით ნათქვამი", არის გამოხატვა იმისა, რისაც „გულსა ჰქონდა დებანი" რუსთაველს, რადგან მას „სწვევდა სახმილი უშრეტი" თამარის სიყვარულისა, ის „ხელობდა მის გამო" და თავის პოემაში „ხელჰყოფდა მათსა ქებასა". მან თუმცა განაცხადა „ვპოვეო ამბავი" და სხვ., სინამდვილეში „შეათხზნა ბროლსა გიშერი", შექმნა „პირველთა მიჯნურთა" (ი. ზ. 9), უპროტოტიპო მიჯნურთა სახეები და ისინი „შეამკო არსთა მკრბითა", დახატა როგორც მყოფნი (არსი — მყოფი, საბა), როგორც რეალური[1]. ამავე დროს რუსთაველს, თეიმურაზის წარმოდგენით, არ შეეძლო აშკარად და საჯაროდ განეცხადებინა: მე „ვეფხისტყაოსანში" ჩემი „სიხარული გულისა" გამოვხატე, თამარისადმი სიყვარულს ვუგალობე, იგი „ჩემი საქმით ნათქვამი" პოემააო, რადგან

მან მზემან ნათელი მიჯნურთ არ უიფიცა.

ეს გარემოება ბორკავდა, თეიმურაზით, რუსთაველს. მას ორი გზა დარჩენოდა: ან სრული დუმილი... მაგრამ „რად ხამს დუმილი მუსიკთა, ენა რიტორად ებასა"? რუსთაველმაც დუმილს მეორე გზა არჩია, გზა ფაქიზ გრძნობათა, განცდათა, მისწრაფებათა მხატვრულ სახეებში ამეტყველებისო, ამბობს თეიმურაზი, „ხელობდა მის გამო და ხელყოფდა მათსა ქებასაო". ეს არის მიზეზი, რომ რუსთაველი „იტყვის: «ვპოვეო ამბავი, პირველ სპარსთაგან მბობითა»"...

[1] ეს იგივეა, რაც ანონიმის „არას შეიქმს ბორცარსულად".

ამრიგად, თეიმურაზის აზრით, რუსთაველმა თავის გენეზისურად დამოუკიდებელ ნაწარმოებში თამარისადმი ტრფიალი გამოხატა, მაგრამ ამის საჯაროდ აღიარებას მოერიდა. ძნელი არ არის თეიმურაზის ამ შეხედულებაში პოემის პროლოგის კონცეპცია ვიცნოთ.

თეიმურაზი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „სპარსულობას“ იზიარებდეს, იგი რუსთაველს კი არ მიაწერდა სიტყვებს „ვპოვეო ამბავი“, თვით შეუდგებოდა ამის მტკიცებას. თეიმურაზი კი თავგამოდებით ამტკიცებს, რომ სწორედ მისი პოემები მომდინარეობენ სპარსულიდან: „რაც გამეგონა სპარსთაგან წიგნები... ლექსი ლექსად ვთქვი, ამბავი... არ დავაზიანი (ზ. ფ. 14); რაც მასმოდა მათგან, მეც ვთქვი (ვ. ბ. 93); ქართულად ვიტყვი ყოველსა ამბავსა მე სპარსულებსა (ი. ზ. 29); სპარსთ გალექსეს... რაც მათ ეთქვა, მეც ის ვთარგმნეო“ (ი. ზ. 308). ერთგან ხომ მორწმუნე პოეტი ღმერთსაც კი მოუხმობს იმის მოწმედ, რომ მან მხოლოდ სხვისი ნათქვამი გალექსა: „უწყის ღმერთმან, უსმენლად მე არა მომიგონიაო“ (ლ. მ. 270).

დასკვნები, ვფიქრობთ, ნათელია. თუმცა, თეიმურაზის აზრით, რუსთაველის ლექსი ფორმალური ღირსებებით დაბლა დგას თეიმურაზისეულზე, მაინც „დასაბამითგან შაირთა მთქმელი თვით სად ვინ ებასა“ რუსთაველზე უკეთესი? მისი პოემა გენეზისურად თვით რუსთაველური მოვლენაა, იდეურ-შინაარსობლივი მხრით — განუზომელი სიბრძნის შემცველი...

აი, ეს ინდივიდუალური, თვითწარმოშობადი, ბრძნული, უბადლო შემოქმედება გამოაცხადებს „რუსთველისა ქებასა“...

ნოდარ ციციშვილის, XVII საუკ. პირველი ნახევრის ავტორის აზრით,

> რუსთველს არ დარჩა უთქმელი, რაც ოდენ მისწვდა გონება,
> მ ი ს ი ს ლექსების მკითხველსა სხვა რადმცა მოეწონება?
> ტარიელისთვის საქებრად მ ა ს ენა ეადონება,
> მ ი ს თ ა ა მ ბ ა ვ თ ა უამე კაცს რამცა გაეგონება (6)?[1].

დაყოფილი სიტყვები ყველა რუსთველს წარემართება: ლექსები მ ი ს ი ა, ტარიელის საქებრად „მ ა ს ენა ეადონება“, „მ ი ს თ ა“, რუსთაველის „ა მ ბ ა ვ თ ა უამე“ კაცს არა გაეგონება რა. „შვიდი მთიები“ კი ასეთი წარმოშობისაა: „ესე ამბავი სპარსულებრ... ნი-

[1] „შვიდი მთიები“, 1930 წ..

ზამის უთქვამს განჯელსა... მას ჰბაძავს ხოსრო დოჰლევი (12)... ნევაის ესე ამბავი ჩალათურიძ ა ენითა უთქვამს... კვლა ჯამის უთქვამს სპარსულად (13)... მწადს ქართულებრ მათთა ლექსთა გამოთარგმნა, გალექსებაო" (14), დაასკვნის ნოდარი.

ამგვარად, ნოდარი ლაპარაკობს რუსთაველის შემოქმედებაზე, როგორც გენეზისურად ინდივიდუალურსა და ეროვნულზე და მას უპირისპირებს საკუთარს, როგორც გენეზისურად ეპიგონურსა და არაინდივიდუალურს

თეიმურაზის თანამედროვე, XVII საუკ. მოღვაწე მეფის მდივანი მაშუკა, გვარად თავაქალაშვილი, მის მიერ გალექსილ „ზააქიანის" შესავალში[1] ამბობს: „საქართველოს ეს ამბავი („ზააქიანი") დარჩომოდა ძველის-ძველი" (1), მისი გალექსვა „ვერ შეემართა შავთელსა და ვერცა სარგის თმოგველსა, ვერცა მანუჩარს მწერალსაო" (2). რაც შეეხება შოთას,

შოთამ გალექსა ტარიას და ავთანდილის ქებანი,
ნესტან-ჯარს უქო ციციში, თინათინს — მოვანებანი,
მას მოახმარა გონება და მისნი ტკბილნი მცნებანი,
სხვად არად სცალდა, მათ ზედა იმღერდა, ვითა ებანი (3)[2].

ამიტომ „ზააქიანის" გალექსვა წილად ხვდა მაშუკას: „მას თქვენც ხედავთ გაუწყობელსა" (2), თქვენ იცნობთ, მკითხველო, „ზააქიანის" პროზაულ („გაუწყობელ") ტექსტს,

მეფის მდივანმან მაშუკამ ვთქვი ესე ზააქიანიო (6).

ამრიგად, შავთელს, სარგის თმოგველს და ნანუჩას (ციციშვილს) ვერ „შეემართა", ვერ გაებედათ „ზააქიანის" გალექსვა. შოთა მათ რიგში არ დგას: იგი, რა თქმა უნდა, ადვილად „შემართავდა" მის გალექსვას, მაგრამ მას „სხვად არად სცალდა", სხვისი დაწერილის გასალექსად არ ეცალა. მას არც არაფერი უპოვნია: მან პირდაპირ „გალექსა ტარიას და ავთანდილის ქებანი, ნესტან-ჯარს უქო ციმციში, თინათინს — მოვანებანი... მათ ზედა იმღერდა"... ერთი სიტყვით, მან თვით შექმნა „ვეფხისტყაოსანი".

„ამირან-დარეჯანიანის" გამლექსავის, XVII საუკ. მოღვაწის სულხან თანიაშვილის აზრით, თუმცა

არა დაგვიგდო რუსთველმა სიტყვისა ჩვენ ქართულები,

[1] შაჰ-ნამე, ქართული ვერსიები, I, თბილისი, 1916.
[2] იხ. იქვე, სქ. 11 და 12.

სულხანი მაინც ახერხებს წერას, რადგანაც „ენამეტყველნი არიან სიტყვა-ულები“ (2)[1].

მაგრამ იგი თავის შემოქმედებას მოკრძალებით უპირისპირებს რუსთაველისას. რუსთველმა „ამბო ლექსები“, რუსთველმა თვითონ გვიამბო ლექსები, ამბავი რუსთაველისაა, მან „თქვა გაჭრა ტარიელისა, ჰყო ვეფხის ტყავით მოსილი, ცრემლი აჩქეფა თვალთაგან“ (23)...

მისთვის მოწწონდა რუსთველი, ტარიელ შექმნა
ბულბულად,

„აპოვნინა იგი მაზე... ადინა ცრემლი... ქნა შენატყუბულად“ (25). მან „ბევრი თქვა (თავის პოემაში თამარისადმი სიყვარულზე), მაგრამ ვერ ჰკურნა, რაცა თავს ჰქონდა წყლულები (2)...

ასეთი პოემა გენიზისურად, ცხადია, რუსთაველურია. ამიტომ ხომ არ მოსწონს იგი სულხანს?

რაც შეეხება თვით სულხანს, თუ მის შემოქმედებას, მას ასეთ კვალიფიკაციას აძლევს ავტორი:

ამბით შეემკოთ ხელმწიფე, მომწადდა გასალექსავად...
აწღა გალექსვა დავიწყე (26)...[2]

დაკვირვებულ ანალიზს მოითხოვს ფეშანგის, XVII საუკ. მოღვაწის, შეხედულება რუსთაველის შემოქმედებაზე.

ფეშანგი ერთადერთია ვახტანგის წინამორბედთაგან, რომელიც რუსთაველის გმირების ხასიათს განსაზღვრავს ტერმინით „უცხო“. ასეთსავე კვალიფიკაციას აძლევს იგი სერაპიონისა და თეიმურაზის გმირებს. ასახელებს (და მოკლედ ახასიათებს) რა „ვეფხისტყაოსნის“, „როსტომიანის“, „ლეილ-მეჯნუნიანის“, „იოსებ-ზილიხანიანის“ მთავარ გმირებს, აგრეთვე მათ ქართველ ავტორებს, იგი ამ უკანასკნელთა შესახებ დაასკვნის:

მაგრამ მათ აქეს უცხონი: ინდო და არაბელია,
ზოგი სხვაც ვინმე ახსენეს, ცუდად ნადირთან (მ)ელელია (8),

„უცხოთათვის საბრძოლველად მიდგეს“ (9), (შემოქმედებითი) ბრძოლა უცხოებს გაუმართესო. იგი გაკვირვებასაც გამოთქვამს ამის გამო:

მათნი ტკბილნი გონებანი მიკვირს, ვისთვის გარდააგეს (9)...

[1] ამირან-დარეჯანიანი, გ. ჯაკობიას რედაქციით, თბილისი, (94).
[2] იხ. აგრეთვე სტროფები: 5, 27, 29, 30, 38, 39, 41 და სხვ.

ამრიგად ფეშანგი რუსთაველს, სერაპიონსა და თეიმურაზს ერთ სიბრტყეზე ათავსებს.

მაგრამ ფეშანგი ერთხელაც არსად ლაპარაკობს, რომ ამ ავტორებმა სხვისი, ნასესხები ამბები გალექსეს. ამავე დროს შეუძლებელია დავუშვათ, რომ ფეშანგიმ აოფერი იცოდა ერთის მხრივ „შაჰ-ნამეს“ ავტორის ფირდოუსისა და მეორეს მხრივ მის-შეიდისა და დაბადების შესახებ, რომელთაც თეიმურაზი „ლეილ-მეჯნუნიანის“ და „იოსებ-ზილიხანიანის“ ავტოროდ და წყაროდ ასახელებს. რით ავხსნათ ეს გარემოება? მხოლოდ იმით, რომ სიუჟეტის გენეზისი, წარმომაელობა, სადაურობა ფეშანგისათვის უმნიშვნელო მომენტია. მისთვის მთავარია ნაწარმოების გმირების სადაურობა, უფრო სწორად — რეალურობა. ეწოდებს რა ჩახოთველილ გმირებს „უცხოს“, იგი ამით მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ეს გმირები ეროვნულად არაქართველები, უცხოელები არიან. და არა იმას, რომ ისინი ლიტერატურული თვალსაზრისით გენეზისურად უცხო, არაქართული, წარმოშობისანი არიან, რომ მათი სახეები ნასესხებია უცხოეთის ლიტერატურიდან. ამდენადვე აღნიშნულ ავტორებს ფეშანგი თავს ესხმის არა იმიტომ, რომ მათ ნასესხები სიუჟეტები გალექსეს, არამედ იმიტომ, რომ უცხოეთის ამბები, თუ უცხოელთა, არაქართველთა და ისიც — „ტყუილი თავგადასავალი“ შეთხზეს: ყველა ეს გმირები (და ამბები) ფეშანგის მიაჩნია გამოგონილ, არარეალურ, არაისტორიულ, ზღაპრულ პირებად (და ამბებად). იგი პირდაპირ აცხადებს:

რას ეხელყვის საქებარად ტარიელ და ავთანდილი?
რას იცნობდეს უცხოს უცხო, ან რა ნახეს მათგან ქნილი?

ყველა ტყუილი შეატმასნეს (თითქოს) ყოფილაყო (ეს მართლა) გარდავლილი (თითქოს მართლა მომხდარიყოს მათ მიერ მოთხრობილი ამბები).

აქეს ვინმე უმეცარი, გაიმწარეს მათთვი ძილი (10).

აქედან ამჯარაა, რომ ფეშანგი რუსთაველს (აგრეთვე სერაპიონსა და თეიმურაზს) ებრძვის ერთგვარად რეალიზმის პოზიციიდან, მოგონილ-მოჩვორილი ამბავი გალექსაო, და მას საკუთარ კრედოს უპირისპირებს:

აწ, თუცა ვარ უგუნური, ხემწიფისა ყმა და მონა,
არც სიბრძნე მაქვს, — შემეტყობის, — რომე სიტყვა გამეგონა;
პატრონისთვის საქებარად მწარე ტკბილად გამეწონა,
ვდგავარ მათად სამსახურად, დამიყრია ჭკუა და გონა (11).

თვით მინახავს პატრონისა ძალი, სიმხნე, ჯომარდობა (12),

„მართლად ვიტყვი, არა ჭორად", ვწერ „რაც მინახავ" (13), „სიმხნე მითქვამს (აი, ამ მართალი, რეალური) ხელმწიფისა, ვის არ მართებს ამის სმენაო" (14).

მიუხედავად ამისა, იგი რუსთველის შემოქმედებას მეტად მაღალ შეფასებას აძლევს: თუმცა რუსთაველმაც „ტყუილი შეატმასნა", იგი აქაც დიდი ოსტატია, მან „მრუდიცა მართლად გამართა" ისე, რომ გამოვიდა „ნახულთა დასადარია"[1]; იგი არის „სიბრძნით სავსე", უდიდესი მოვლენა ლიტერატურაში, იმდენად დიდი, რომ

მთქმელი და გამამეტყველი მისებრი არსად არია (3).
სიტყვა საღმრთოდ გასაგონი მსმენელთათვის ასად ასო (4)

რუსთველმაო, აცხადებს ფეშანგი. „მთქმელი და გამომეტყველი" აქ ამბავის და ლექსის ავტორთა კატეგორიებია, რომლებიც რუსთაველში გაერთიანებულან, ხოლო „საღმრთოდ გასაგონი სიტყვა" არ შეიძლება სპარსულ-მაჰმადიანური სამყაროდან მომდინარეობდეს. სწორედ ამაზე მიუთითებს აქ ფეშანგი.

ახლა განვიხილოთ არჩილის ვრცელი ცნობები რუსთაველზე. არჩილი XVII საუკ. მეორე ნახევრის და XVIII საუკ. პირველი ათეულის მოღვაწეა. მან საპატიო ღვაწლი დასდო ქართული მწერლობის შესწავლის საქმეს საზოგადოდ, კერძოდ კი თავის ცნობილ „გაბაასებაში" ვრცლად მიმოიხილა ორი პოეტის ცხოვრება და შემოქმედება. მისი აზრით,

ქართველთ ენითა მელექსე ვერ ედარების ამ ორსა,
რუსთველსა, ენა-რიტორსა, მეფეს — ალვისა ნამორსა (37)[2].

როგორც ვხედავთ, არჩილის შეხედულებით, რუსთაველი და თეიმურაზი ქართული პოეზიის მწვერვალები არიან; მაგრამ იგი რუსთაველს გადაჭრით თეიმურაზზე მაღლა აყენებს. მისი აზრით, „ვინ ვერ მიჰყვეს რუსთველის თქმულსა", მას „მელექსობა არ შეშვენის" (36), რადგან „რუსთველი სიბრძნის ტბა არის" (26), იგი „ზის სიბრძნის ტახტზედა" (46); თეიმურაზი კი „თუმც უხვია, მაგრამ სიბრძნეს კი არ გასცემს" (203), იგი მხოლოდ „სჩაობავს სიტყვასა", მხოლოდ „ავს კარგ თქმად ათინათინებს" (46).

---

[1] ფეშანგიც აქ ანონიმს იმეორებს: არას შეიქმს ხორცარსულადო, მხოლოდ სხვა ვარიაციით.

[2] არჩილიანი, ტ. II, 1937.

თუმცა არჩილი ასეთი მაღალი წარმოდგენისაა რუსთაველის შემოქმედებაზე, რაც ერთგვარად განსაზღვრავს კიდეც მის შეხედულებას პოემის გენეზისზე, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს კიდევ მეტად დავაზუსტოთ ეს შეხედულება. ჯერ – როგორ უყურებს საკითხის არჩილისეული თეიმურაზი.

„გაბაასებაში“ არჩილმა თეიმურაზი მეტად ჭირვეულ, თავშეუკავებელ, ნერვიულ, დაუზოგავ მოკამათედ წარმოგვიდგინა. იგი, თეიმურაზი, ცდილობს შეურაცყოს, დაამციროს რუსთაველი („უყურე ბრიყვსა მესხსა... ტურას... ძროხას... ყბედსა, გოლდიდსა“... 127); ნაკლი მოუნახოს („ღაზოთა სთქვი, შემოიღე ჯავახური ენა მძიმე“... 126; რაც ენაა, ყველა გითქვაბს“... 108); ტყუილში გამოიჭიროს („ბასიანის ომი რომ თქვი, იქ თქვენ სად იყავ მაშინა“? 979; „ჩახრუხაძემ უწინ არ თქვა? რად იპარავ პირველ თქმასა“? 80). თეიმურაზი ნაკლად უთვლის რუსთაველს იმასაც, რომ მისი ნაწარმოები სხვებმა „შეათავეს“, დაასრულეს:

ერთი აბზავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავესა (70),

— ეუბნება იგი რუსთაველს. ნაკლად მიიჩნევს თეიმურაზი იმ გარემოებასაც, რომ რუსთაველმა „იძულებით“ (თამარის დავალებით) „თქვა“, თეიმურაზი კი თავისუფალი შემოქმედია (71). ცხადია, არჩილის აზრით, თეიმურაზი რუსთაველის ქმნილებას გენეზისურად ქართულ მოვლენად მიიჩნევდა. წინააღმდეგ შემთხვევაში „გაბაასების“ თეიმურაზი, რადგან „იძულების“ მომენტს ჩაეჭიდა, რუსთაველს „ნასესხობასაც“ წააქადნიდა და ხახს გაუსვამდა თავის უპირატესობას ამ დარგში: იგი ხომ, სპარსულიდან გადმოქართულების გარდა, ინდივიდუალური ლირიკისა და ეროვნულ-ნაციონალური თემატიკის პიონერია აღორძინების ხანის მწერლობაში. მას კი ერთხელაც არ წამოსცდენია, რომ რუსთაველი უცხო, სხვისი ამბების გამლექსავია, მთარგმნელია, მიმბაძველია. პირიქით, მან „აიწყო ამბავი“, ეს „ამბავი“ მისია, თვით რუსთაველისაა. მას „შეუთავეს“ სწორედ მისი „ამბავი“; ის თამარის დავალებით წერს თხზულებას (უსათუოდ ორიგინალურს) რადგან ჩახრუხაძემ „უწინ“, პირველად „თქვა“ (სწორედ ამგვარი ნაწარმოები და ამის გამო რუსთაველი მხოლოდ მეორე პოეტია ამ გზაზე).

ახლა — როგორ ესმის არჩილისეულ რუსთაველს თავისი შემოქმედება: როგორც ეპიგონური და გენეზისურად სპარსული, თუ როგორც საკუთარი, თვითწარმოშობადი.

ჩემს მოსწრებაში აროდეს კვლავ მე ეს არ დამემართა:
სპარსთ შეტმასნილი ამბავი მე ლექსად არ დამემართა (202), —

ამბობს რუსთაველი. ამრიგად, იგი გადაჭრით აცხადებს, რომ მას არ „დაუმართავს" — გაუმართავს. გაულექსავს „სპარსთ შეტმასნილი ამბავი". ეს პირდაპირი პასუხია თეიმურაზის განცხადებისადმი: სპარსთ „შეწმასნილთა სიტყვათა მინდა მარტივად მბობანი" (ლ. მ. 4).

არჩილის რუსთაველი ყოველგვარი ბუნდოვანობის გარეშე, ხმამაღლა და ამაყად აცხადებს: „ვსთქვი ჩემგან, უწინ არ თქმული" (73), ვთქვი ჩემი შექმნილი, ჩემი ნაფიქრ-ნააზრევი, უწინ არვისგა თქმული, ვთქვი დამოუკიდებლადო.

როგორც ვხედავთ, რუსთაველი გადაჭრით აცხადებს, რომ მას არ ჰყოლია წინამორბედი და მასწავლებელი. თეიმურაზის შენიშვნაზე, რომ „ჩახრუხაძემ უწინ თქვა", რუსთაველი მტკიცედ უპასუხებს, რომ მას არც ჩახრუხაძის ოდებით, არც სხვა სახის პროტოტიპით არ უსარგებლნია; მისი აზრით,

ხელოსანი იმას ჰქვია, უნახავად შექმნას რამე (86)...

ახლა გავარკვიოთ — როგორი შეხედულებისაა არჩილი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე.

არჩილი, აშკარაა, თავისი გმირების თვალსაზრისზე დგას. ამ დიდტანიან ნაშრომში სხვაგვარი აზრი არც არავის გამოუთქვამს. ძნელი არ არის არჩილისეული თეიმურაზის შეხედულებებში დავინახოთ თვით თეიმურაზის თხზულებებში გაბნეული აზრი რუსთაველისა და საკუთარი შემოქმედების შესახებ: არჩილმა თეიმურაზს მხოლოდ ის ათქმევინა, რაც მის ნაწერებში ამოიკითხა. მაგრამ გაშიფვრას მოითხოვს ერთი ადგილი „გაბაასებისა".

არჩილი, აცხადებს რა, რომ რუსთაველსა და თეიმურაზს ვერ შეედრების ვერც ერთი „ქართველთ ენითა მელექსე", ორივეს შესახებ დაასკვნის:

სრულად იტყვიან, უკლებად ამბავსა, სპარსთა ნაჭორსა (37).

აქის მიხედვით გამოდის, თითქოს არჩილის აზრით რუსთაველი და თეიმურაზი ორივენი სპარსულ მონაჭორ ამბებს იმეორებენ.

მაგრამ აქ „სპარსთა ნაჭორი" როგორც უკვე გარკვეულია, ნიშნავს არა სპარსულ, უცხო, არაქართულ ამბავს, არამედ იდენტურია ზღაპრულის, მოგონილის, არარეალისტურის. „გაბაასების" შესავალში არჩილი წერს: „ვითაც მოწყენილის კაცის წესია, რაგინდარას მოგონება და ჯავრის დაუმორჩილებლობა (მეც ასე მოვიქეც), სხვას ზღაპრულს ამბავს ესევ მართალი ამბავი ვარჩიე

გასალექსავად; და არც რა ამაში ტყუილი სწერია ერთის — მეფისა და რუსთაველის პირდაპირ გაბასების — მეტი"[1]. იმოწმებს რა ამ ადგილს, პროფ. ალ. ბარამიძე აღნიშნავს, რომ აქ „საყურადღებოა ზღაპრულისა და მართლის მკვეთრი დაპირისპირება. რასაკვირველია, მეზღაპრეებად იგულისხმებიან" მოპაექრე პოეტები, რუსთაველი და თეიმურაზი. პროფ. ალ. ბარამიძის აზრით, „არჩილმა შესძლო მათგან გამიჯვნა"[2]. ყველა ზემოთქმულის მიხედვით პროფ. ალ. ბარამიძე სამართლიანად დაასკვნის, რომ არჩილი „თავისებური კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელია"[3]. სწორედ ამ პოზიციიდან განიხილავდა არჩილი (როგორც ფეშანგი), რუსთაველისა და თეიმურაზის შემოქმედებას: ისინი „სრულად იტყვიან, უკლებად ამბავსა, სპარსთა ნაშორსა". ეს ნიშნავს, ისინი „სრულად და უკლებად", ე. ი. ბოლოდ და ბოლოდ ზღაპრულ, არარეალისტურ თემებზე სწერდნენო, თორემ თუ ეს სიტყვები პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, გამოდის, რომ რუსთაველსა და თეიმურაზს, არჩილის აზრით, მთელი სპარსული ლიტერატურა გადმოუქართულებიათ, რაც, ცხადია, მათ არც ცალცალკე შეეძლოთ, არც ერთად.

დაგვრჩენია განვიხილოთ ერთი ანონიმი XVII—XVIII საუკ., რომელიც რუსთაველის „ნათქვამს" ოქრო-თვალით მორთულ, იაგუნდით და ალმასით სავსე ზანდუკს ადარებს:

> რუსთველის ნათქვამი ზანდუკს ჰგავს, მორთულსა ოქრო-თვალითა,
> იაგუნდით და ალმასით სავსესა ჩანათვალითა...

მთელი ეს ზანდუკი იმითაც, რითაც მორთულია (ფორმით) და იმითაც, რითაც სავსეა (შინაარსით), რუსთაველის კუთვნილებაა, რადგან თეიმურაზის „ნათქვამიც" ჰგავს ზანდუკს... თუმცა უმჯობესია თვით ანონიმს მოვუსმინოთ:

> კახის-ბატონის — მორთულსა ტკბილად რამ, მაგრამ ვალითა,
> არასფერითა სავსესა, არც ქვითა, არცა სალითა.

ამრიგად, თეიმურაზის „არასფერით სავსე", შინაარსისგან, აზრისგან დაცლილი პოეზია ვალითაა სავსე (შევალედ, ცხადია, იგულისხმება სპარსული პოეზია), რუსთაველი კი თავისუფალია ყოველგვარი ვალისაგან.

[1] არჩილიანი, ტ. II, გვ. 7.
[2] არჩილიანი, II, გვ. XVIII, ნარკვევები, II, გვ. 179.
[3] იქვე.

ჩვენ მიმოვიხილეთ ვახტანგის წინადროინდელი თითქმის ყველა ლიტერატურული ცნობა რუსთაველის შესახებ. აღმოჩნდა, რომ რუსთაველს მისი მომდევნო ლიტერატურული ეპოქა, მართალია, უდიდეს ფიგურად თელიდა და მის ქმნილებას — ლიტერატურულ შედევრად, მაგრამ ორივე მათგანს კრიტიკულადაც აფასებდა: ზოგიერთი მოღვაწე პოემაში რეალიზმის პრინციპების უარყოფას ხედავდა და ავტორს მეზღაპრეობას უსაყვედურებდა, ზოგიერთი კი ამასთან ერთად რუსთაველს ბრალად სდებდა ორთოდოქსალური ქრისტიანიზმისადმი ღალატს. მაგრამ არც ერთ მათგანს, არც სხვა მოღვაწეს არსად არ წამოცსდენია, რომ რუსთაველმა თავის პოემას საფუძვლად ნასესხები ამბავი დაუდო. პირიქით, მიმოხილული ცნობები მტკიცედ ადასტურებენ, რომ მათი ავტორები პოემის გენეზისის საკითხში გადაჰრიან ნაციონალურ თვალსაზრისზე დგანან. მაშ რაღა გააკეთა ვახტანგმა?

შეუდგა რა პოემის ბეჭდვის სამზადისს, ვახტანგმა დაწერა „თარგმანი", ანუ კომენტარიები პოემისა, რომელიც პოემასთან ერთად დაიბეჭდა აქ, თბილისში, როგორც აკად. კ. კეკელიძემ გამოარკვია, ვახტანგის სპარსეთში ყოფნისას[1]. კომენტარიებში თანმიმდევრობით წარმოდგენილია ზოგიერთი სტროფისა და ცალკეული სიტყვის „თარგმანი", ანუ განმარტებები. ვახტანგი, ეხება რა სტროფს „ესე ამბავი სპარსული" (9), აღნიშნავს: „ეს ამბავი სპარსში არ არის" და სხვ. (იხ. აქვე, გვ. 105).

როგორც ვხედავთ, ვახტანგი აქ ეხება არა სალიტერატურო-მწიგნობრულ, საეკლესიო-კლერიკალურ, ან სხვა წრეებში განიტკიცებულ, საზოგადოდ აღიარებულ, ან კერძოდ ვისგანმე გამოთქმულ შეხედულებას პოემის არაქართული გენეზისის შესახებ, არამედ პოემაში შეტანილ ერთ სტროფს.

ვახტანგი კომენტარიებში იცავს პოემას რელიგიურ-კლერიკალური თუ მემარჯვენე-რეაქციული კრიტიკისაგან, რომლის შეხედულებითაც, პოემა, თითქოს, ათეისტური, უღმრთოობის, თუ ამორალიზმის მქადაგებელი ნაწარმოებია (ვახტანგი აზვიადებს: ასეთი მკაცრი კრიტიკული აზრი პოემაზე ვახტანგამდე წერილობით არავის გამოუთქვამს). „მე ვწერ... წიგნსა ამას ამისთვის (რომ) უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა (ანგარების, შურიანობის გამო) საჭეძაოდ სთარგმნიდნენ მის რიტორისა და ბრძენ მეცნიერისა კეთილისა ნამუშაკევსა სამუშაკოსა" (გვ. სპვ).

[1] ლიტ. ისტ. II, 52. გვ. 98—99.

ვინ „სთარგმნიდა" პოემას „სამეძაოდ"? არ შეიძლება დავუშვათ, რომ ვახტანგს აქ მხედველობაში აქვს ტიმოთე გაბაშვილი, ან ანტონ კათოლიკოსი: ორივე ამ ავტორმა რუსთაველის წინააღმდეგ გაილაშქრა პევრად უფრო გვიან, მას შემდეგ, რაც დაიბეჭდა ვახტანგის გამოცემა. აღორძინების ეპოქის წერილობითი ძეგლების მიმოხილვისას კი, პირიქით, უკვე დავრწმუნდით, რომ არა ერთი მწერალი თვლიდა რუსთაველის პოემას „საღმრთოდ გასაგონ", თუ „მეუფის", „განგების" მიერ ნაკარნახევ მოვლენად. ამიტომ უნდა დავუშვათ, რომ ვახტანგს მხედველობაში აქვს ჩვენ მიერ უკვე განხილული სტროფი „პირველ თავი", რადგან სხვა ამ ხასიათის წერილობით დოკუმენტს ჩვენ არ ვიცნობთ. მართლაც, „არ ახსენებს სამებასა ერთარსულადო", გვაუწყებს სტროფი. „აბა ზოგი ვინმე რომ იტყვის — რუსთველის ნათქვამში საღმრთო არა ურევია რა, მაშ ეს რა არისო", ეხმაურება მას ვახტანგი. ამრიგად ვახტანგი უყურადღებოდ. უპასუხოდ არ ტოვებს და თვის „თარგმანში" უმ-სამართოდ („ზოგი ვინმე") ასახელებს და აკრიტიკებს ერთადერთ ავტორს, რომელიც პოემის იდეურ-მორალურ ღირებულებაზე ვახტანგის შეხედულებით მცდარი წარმოდგენისაა.

მაგრამ თუ ვახტანგი თავს დაესხა არაერთგზის და მკაცრად[1] პოემის რელიგიური თვალსაზრისით განმაჭიქებელს (თუ განმაჭიქებელთ), იგი ერთხელაც არსად ლაპარაკობს: მცდარია ამისა და ამის აზრი პოემის (თუ მისი ამბავის) გენეზისის შესახებო. იგი არც უმისამართო ბრალდებით გამოდის: აბა ზოგი ვინმე რომ იტყვის, რუსთაველმა სპარსულიდან თარგმნა პოემა, ეს ტყუილიაო. აქედან ერთადერთი დასკვნა გამომდინარეობს: ამგვარი შეხედულება აღორძინების ეპოქაში ვახტანგამდე ან ვახტანგის დროს არც არსებობდა. არავინ არ იზიარებდა ცნობას პოემის სიუჟეტის უცხო, არაქართული გენეზისის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, ვახტანგი არ იცნობს ასეთ მწერალს, რომელსაც მისი, ვახტანგის, საწინააღმდეგო შეხედულება გააჩნია ამ საკითხში. იგი არ იცნობს არც ერთ მოღვაწეს, არც ერთ ფრაგმენტს, რომელიც აღნიშნულ საკითხში, დღევანდელი ტერმინოლოგიით, კოსმოპოლიტურ-კომპარატივისტულ თვალსაზრისზე იდგეს. ვახტანგი მხოლოდ და მხოლოდ სტროფის „თარგმანს" გვაძლევს, მხოლოდ სტროფს ეხება. ამით შეიძლება აიხსნას, რომ ვახტანგი თავის „მოწინააღმდეგეთაგან" ამ საკითხში ვერავის ასახელებს ვერც პერ-

[1] „თარგმანში" ვახტანგი რამოდენიმეჯერ ეხება აღნიშნულ საკითხს.

სონალურად, ვერც უმისამართოდ. თვით სტროფს კი ვახტანგი შეეხო ორი აუცილებლობისა გამო.

ჯერ ერთი, იგი თავის წერილში განუმარტებლად არ ტოვებს შესავლის არც ერთ სტროფს; ბუნებრივია, იგი ვერც აღნიშნულ (9) სტროფს გამოტოვებდა. მეორეც არის და, ესოდენ საჩოთირო სტროფი, ბოლოს და ბოლოს, მოითხოვდა განმარტებას, რადგან თუ იგი გასაგები იყო აღორძინების ეპოქისა და ვახტანგისათვის, არ არსებობდა გარანტია, რომ იგი ასევე გასაგები იქნებოდა მომავალი თაობებისათვის.

ამიტომ, ვფიქრობთ, სწორი არ არის შეხედულება, თითქოს „მეცნიერი და პოეტი (ვახტანგი, მ. მ.) პირდაპირ ეკამათება მათ, ვინც პოემის ირანულ წარმოშობას იზიარებს“ [1]. რადგან აღორძინების არც ერთი წარმომადგენელი არ იზიარებს პოემის ირანულ წარმოშობას, მათთან არც კამათი შეიძლებოდა.

ასევე მცდარია ს. კაკაბაძის და სხვ. ზემოდამოწმებული შეხედულებანი, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ-ეროვნულ ნაწარმოებად გამოცხადება ვახტანგს (თუ არჩილს და ვახტანგს) უნდა მივაწეროთ [2].

ვახტანგს (ან არჩილს) ვერავითარ ნოვატორობას ვერ მივაწერთ პოემის გენეზისის საკითხის გაშუქებაში. ვახტანგი მხოლოდ კონსტატაციას ახდენს იმ ერთადერთი შეხედულებისას პოემის წმინდა ქართული წარმოშობის შესახებ, რომელიც მტკიცედ იყო ფეხმოკიდებული ჩვენში, აშკარაა, თვით პოემის წარმოშობის დღიდან. აღორძინების ეპოქის სალიტერატურო-მწიგნობრულ წრეებს კი მხოლოდ ისღა დარჩენოდათ, რომ პირნათლად დაეცვათ და გადმოეცათ წინამავალი ეპოქის თვალსაზრისი. აღორძინებამ ეს ამოცანა შეასრულა. სწორედ ეს მისი თვალსაზრისი გაიმეორა და დაასაბუთა ვახტანგმა, რათა სტროფს „ესე ამბავი“ დაბნეულობა არ გამოეწვია მომავალ თაობათა შეხედულებებში, და ამითვე განისაზღვრება მისი როლი საკითხის განვითარებაში.

როგორი შეხედულებისა იყო ვახტანგის მომდევნო თაობა ჩვენთვის საინტერესო საკითხზედ? XVIII საუკ. არც ერთ მოღვაწეს არ უთქვამს, რომ რუსთაველმა სპარსული ამბავი გალექსა [1]. ამავე

---

[1] ტრ. რუხაძე, აღორძინების ხანის მწერლები შ. რუსთაველზე... გვ. 20.

[2] პოემის გენეზისის საკითხის სწორ გაშუქებაში პირველობას მიაწერს ვახტანგს ს. ხუციშვილიც (ქართ. ლიტ. კრიტიკის ისტორიისათვის, 1955, გვ. 14—15).

საუკ. მოლვაშის იესე ტლაშაძის აზრით კი რუსთაველი არა თუ არ არის მთარგმნელი და მიმბაძველი. არამედ იგია „კარგი გამომთქმელი", და შემდგომი თაობის მწერლებმა სწორედ რუსთაველი გაქურდეს:

რიტორ რუსთველო, კარგ გამომთქმელო, ენა ტკბილო და შაქარიანო,
ავმა მთქმელებმა, ქურდმა მელებმა, ლექსი მრავალი მოგპარიანო[2].

ჩვენ იძულებული ვართ გულახდილად ვაღიაროთ, რომ იესე ტლაშაძის მიერ გამოტანილი მსჯავრი, მისი სიმკაცრის მიუხედავად, არ შეიძლება ცნობილ იქნას, როგორც დაუმსახურებელი: თეიმურაზ I-ის, ს. ორბელიანის, არჩილის, დ. გურამიშვილის, გ. ჩოლოყაშვილის და სხვ. საამაყო სახელების გვერდით, სამწუხაროდ უკვდავების მანიით შეპყრობილი „ავი მთქმელები" და „ქურდი მელებიც" მოღვაწეობდენ. მაგრამ ისინიც კი, მთელ აღორძინების ხანასთან ერთად, რუსთაველს პოეზიის მწვერვალად და ეროვნული დიდების სიმბოლოდ თვლიან და ასეთადვე დარჩება იგი მომავალი თაობების შეგნებაშიც.

(შემოვიდა რედაქციაში 10. I. 1955)

[1] მ. ბარათაშვილი სხვებს, და არა რუსთაველს, უსაყვედურებდა, „დედაკაცთ ტრფიალებისთვის თათრის ხლაპრები გაულექსავთს"; კათოლიკოსის „შეტყველი სპარსთა ენის" ვახტანგის „სპარსულის მიბაძვით ათქმევინაო" გამოძახილია, ხოლო II თეიმურაზისეული რუსთაველის განცხადებაში — „ვპოვე ამბავი, ლექსად ვთქვი" — „სპარსული" იგნორირებულია შეგნებულად.

[2] კათოლიკოზ-ბაქარიანი, ექ. თაყაიშვილის გამ. თბილისი, 1885 წ.

М. С. МАХАТАДЗЕ

ОТНОСИТЕЛЬНО РОЛИ ВАХТАНГА VI В ОСВЕЩЕНИИ ОДНОГО ВОПРОСА РУСТАВЕЛОВЕДЕНИЯ

Резюме

1. В руставеловедении до последних дней господствуют мнения: а) будто-бы сюжет „Вепхисткаосани" в эпоху грузинского Возрождения считался заимствованным из восточного мира, в частности, из персидской повести и б) будто-бы лишь Вахтанг VI в своем издании поэмы (1712 г.) опроверг это ошибочное мнение, пытаясь доказать, что сюжет поэмы, как и её художественное оформление, принадлежат самому Руставели. (С. Какабадзе, Г. Имедашвили, Тр. Рухадзе и др.). Означенное воззрение обосновывалось на одностороннем и ошибочном анализе и интерпретации сведений Возрождения и комментариев Вахтанга VI.

2. Подробный и углубленный анализ тех же сведений и комментариев делает ясным, что Вахтанг VI, комментируя последовательно все строфы пролога поэмы, касаясь 9 стр., базировался на сведениях предыдущих представителей Возрождения (анонимный автор строфы „первое начало, генезис объявляется в нем персидским", Сераппион Сабашвили, анонимный переводчик поэмы „Иосеб-Зилиханиани", Нодар Цицишвили, Сулхан Тяпиашвили и мн. др.), которые не расходятся в оценке генезиса поэмы, единогласно подчёркивая его индивидуальный и национальный характер. Поэтому Вахтанга VI (или кого-нибудь из представителей Возрождения) нельзя считать новатором постановки вопроса относительно национального генезиса поэмы. Иного мнения в эпоху Возрождения не существовало и после Вахтанга

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

ო. გიორგაძე

გრ. ორბელიანი და ქართული სალიტერატურო ენის საკითხები

სპეციალურ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, გრ. ორბელიანი ანტონ კათალიკოსის თეორიას იცავდა ენის საკითხში და ძველი სასულიერო მწერლობის მოტრფიალე იყო, თითქოს „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლაში ენის საკითხებზე იგი კონსერვატიულ ბანაკს მეთაურობდა.

ამ საკითხთან დაკავშირებული მასალების ანალიზის საფუძველზე სულ სხვა დასკვნამდე მივდივართ.

გრ. ორბელიანის შეხედულებანი სამწერლო ენის საკითხებზე ძირითადად ჩამოყალიბებულია წერილებში: „მგზავრობა სვანეთისაკენ — გ. წ. განხილვა“ [1] და „მასალა ჩვენის ლიტერატურისათვის (ორი წერილი თ. გრ. ორბელიანისა)“ [2].

პირველ წერილში გრ. ორბელიანი პირველად გრამატიკის საკითხს ეხება. იგი უარყოფს ზოგიერთი კონსერვატორის ნიღილისტურ დამოკიდებულებას გრამატიკისადმი და მოითხოვს ამ დისციპლინის საფუძვლიან შესწავლას.

პოეტი იმაშიც სცილდება „მამებს“, რომ არ მოითხოვს მწერლობაში ახალი ენის უარყოფას. იგი მოწადინებულია, „გაიწმინდოს ჩვენი [3] ენა ზოგიერთთა შეცდომილებათაგან, რომელნიცა, ანუ დაუდევნელობითა, ანუ უცოდინარობითა, შემოეპარნენ ჩვენსა მწერლობასა და ახდენენ ენასა მეტად უწყალოდ“ [4]. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი აზრით, შესაძლებელია უკანონობა გამოცხადდეს ენის კანონად.

აქ საჭიროა გაირკვეს, როგორ ესმის გრ. ორბელიანს ახალი ენა, ახალი სტილი.

ერთ ადგილზე იგი წერს: „დროების“ № 44-ში შევიტყვე დღეს,

---

[1] „ცისკარი“, 1874, სექტემბერ-ოქტომბერი.

[2] „დროება“, 1863, № 17ა.

[3] სათანადო ნიშნების უქონლობის გამო ავტორის მართლწერა ზოგ შემთხვევაში დაცული არაა.

[4] „ცისკარი“, 1874, სექტემბერ-ოქტომბერი.

რომ „ახალი სტილი შემოდისო“. რათა ჰგონიათ ეს სტილი ახლად? სწორედ აძ ენით ლაპარაკობენ თბილისის ბაზარში სომხები, ურიები, თათრები და, მოგეხსენებათ, თბილისის ბაზარი არ არის დღევანდელი შენობა. იქ ყოველთვის გაიგონებთ: „ბატონო, ერთი ჩემი ახალი სახლში ვორძანდით?... იმან მოვიდა; ვაა, ერთი შოიტანე ცხენი, ზედ დავჯდე“. აბა რათ გინდათ ეს ენა?

ახალი სტილი ვერაოდეს ვერ შეჰსცვლის ეხის ბუნებითსა თვისებასა. მართალია, დროთა განმავლობაში ზოგი-ერთი სიტყვა, უარგისობისა-გამო, ძველდება და აღარ იხმარება, მაგრამ ენის თვისება მყოფობს მარადის შეურყეველად. ენა არ არის მოგონებული ერთის ვისგანმე, რომ მეორესა შეეძლოს ძირიანად შეცვლა მისი! შ ე ი ს წ ა ვ ლ ე თ ა რ ა ბ ა ზ რ ი ს ა რ ე უ ლ ი ე ნ ა, ა რ ა მ ე დ მ დ ი დ ა რ ი, მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ი თ ს ა ვ ს ე ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ა, რ ო მ ე ლ ზ ე დ ა ც ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ს დ ა რ ო მ ე ლ ზ ე დ ა ც დ ა ჰ მ ღ ე რ ი ს ქ ა რ თ ვ ე ლ ი კ ა ც ი ! “ [1] (ხაზი ჩვენია).

აქედან ნათელია, რომ გრ. ორბელიანს დიდ შეცდომად მიაჩნია ახალ სტილად გამოცხადება იმ „სომხურ-ქართულისა“, რომელიც მშობლიური ენის თვისებას სრულებით არ უწევს ანგარიშს.

გრ. ორბელიანი წიგნერლისგან მოითხოვს ზედმიწევნით ცოდნას როგორც ძველის, ასევე ცოცხალი სალაპარაკო ენისას. მისი აზრით, სამწერლო ენის შემუშავებისას ანგარიში უნდა გავუწიოთ როგორც ცოცხალ, ასევე არქაულ ენას.

არსებითად მაინც რომელ ენას უნდა ეყრდნობოდეს ეს ახალი სტილი? როგორ უნდა შემუშავდეს სამწერლო ენა?

გრ. ორბელიანი წერს: „ხშირად ამბობენ აწინდელნი მწერალნი: „ხალხის ენაზედ ვჰსწეროთო“. მაშ რა ენაზე უნდა დაჰსწერონ? მაგრამ ეს კი უნდა ახსოვდეთ, რომ ხალხის ენა არის მხოლოდ მასალა შეუმუშავებული; ვიდრე დახელოვნებული მწერალი მასალასა მას არ გადაარჩენს კარგსა უვარგისისაგან, არ გაჰსწმენდს, არ გააშშვენიერებს და დიდებულებითა არ აღიყვანს სალიტერატუროს სამფლობელოში; ვერე იმ გალამაზებულსა ენასა გაშშვენიერებულის ფორმითა გადმოჰსცემს მოსახმარებლად ისევ იმასვე ხალხსა, რომელიც არის პატრონი ენისა, და რომელიცა შეითვისებს იმას, ვითარცა საკუთრებასა; და ამ სახით უმეტეს და უმეტეს მშვენიერდება ხალხის ენა და მით უმეტეს და უმეტეს ნათლდებაცა მისი გონება...[2] თვით „ვეფხის-ტყაოსანი“ რა არის, თუ არა იგივე სიტყვა ქართვე-

[1] „ცისკარი“, 1874, სექტემბერ-ოქტომბერი.

[2] ანალოგიური შეხედულება აქვს ამ საკითხზე მ. გორკის. იხ. М. Горький, О литературе, 1933. გვ. 189.

ლის გლეხისა, მხოლოდ ლამაზად გაწყობილი და გამოთქმული? მაშასადამე, სიტყვასა უნდა გაწყობა, გაწყობასა ჰსწავლა, ჰსწავლასაცა უნდა შეეწეოდეს ნიჭი ბუნებითი! და ახლა, ოა ვჰქნათ ჩვენ, რომ ვერცა ერთსა ამათგანსა ვერა ვჰპოებთ ამ მოთხრობასში? (იგულისხმება „მგზავრობა სვანეთისაკენ". ო. გ.). დაიჯერეთ, არაოდეს არ იტყვის ქართველი: „საკუთარი ფეხებით ჩემ აზრზე დამდგარვიყავ!" „ფეხებით ჰაზრზე დადგომა"!!! ვინ ნახა? განა ამისმა დაწერმა უნდა შემოიღოს ახალი სტილი? ეს ხომ მასხარაობა არის და დაბრიყვება ჩვენისა ენისა?" [1].

აქედან ამკარაა, რომ გრ. ორბელიანს მიზანშეწონილად მიაჩნია, სალიტერატურო ენას საფუძვლად დაედოს ხალხის ენა და, თუ ეს სამწერლო ენა კარგად არის შემუშავებული, იგი მისთვის მისაღებია.

გ. წერეთლის „მგზავრობის" ენას მისი სიახლის გამო კი არ იწუნებს იგი, არამედ იწუნებს იმიტომ, რომ, პოეტის აზრით, ეს ენა უხეირო და უმსგავსოა.

რომ გრ. ორბელიანი ახალი ენის უარმყოფელი არ არის, ეს კარგად ჩანს მის ამ განჯახდებიდანაც: „როგორ მოხდა, რომ „კაცია ადამიანი" რამდენჯერმე წავიკითხე დიდის სიამოვნებით და კიკოლიკის მგზავრობა მეჩვენა ესრეთ საზიზღრად? მაშ ამათ შორის, მაოთლაც, რომელი არის ქართული?" [2].

რომ დაასაბუთოს გ. წერეთლის მხატვრული ენის სისუსტე, გრ. ორბელიანს საკმაო მაგალითები მოჰყავს დასახელებული მოთხრობიდან. მოყვანილი მაგალითების უმრავლესობის მიმართ გრ. ორბელიანის საყვედური სამართლიანია.

დავასახელებთ ზოგიერთ მაგალითს: „სტუდენტები დაგვიხვდა". „ეს კაცი ან ქვეყნის მოკეთე უნდა იყოს, ან თვალთ მაქცობით იმის შემპარავი". „ერთმანეთის გვარ ფიქრებმა უცბად გონება წამიღეს". „ბევრი არის აქ ასეთი ყმაწვილები". „იმას გონება არაფრათ გაჰკვირს". „კაროლი თავის ხლებელიანა" და სხვ. [3].

---

[1] „ცისკარი", 1874, სექტემბერ-ოქტომბერი.

[2] იქვე.

[3] დაახლოებით ანალოგიური შეცდომები აქვს ხაზგასმული პოეტს ეკ. გაბაშვილის მიერ ოუსტლიდან თარგმნილ მოთხრობაში „გაიმარჯვა" (იხ. საქ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ეკ. გაბაშვილის არქივი, გრ. ორბელიანისეული „დროება", № 015473).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ასეთი შეცდომებისათვის აკრიტიკებდა გრ. ორბელიანი გაზ. „დროებას", ს. მესხს, აკ. წერეთელს, ალ. ყაზბეგს, ნ. ნიკოლაძეს, ანტ. ფურცელაძეს, დიმ. ბაქრაძეს და სხვ. (იხ. იონა მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა, ლიტერატურის მატიანე, წიგნი 1—2, გვ. 320—321). საერთოდ კი აკ. წერეთლის ლექსებისა და ალ. ყაზბეგის ნაწარმოებთა ენა მოსწონდა.

ამთავრებს რა გ. წერეთლის ენის შესახებ საუბარს, გრ. ორბელიანი აცხადებს: „ნუ თუ ეს არის ჩვენი ენა, როპელიცა ესრედ მდიდრად, ესრეთ ლამაზად და დიდებულებით ჰბრწყინავს ჩვენს საღმრთოს წერილსში, „ვეფხის-ტყაოსანში“, ძველთა და ახალთა ლექსებში და თვით სვანის სიმღერაშიაცა, რომელიცა, ამ მოთხრობაში („მგზავრობა სვანეთისაკენ“. ო. გ.), ჰგდია ვითარცა მარგარიტი ნაოხარზე?“

აი ეს სიმღერა:

„ცხრა მთას იქით გავეშურე,
ჯავრი წამყვა ქალისაო.
ჩემო მიწავ, ისევ გნახე,
შეხტი, ბიჭო, ამ მთისაო“...[1]

ცხადზე ცხადია, რომ არქაული ენის მოტრფიალე მწერალი ხალხურ კილოზე დაწერილ ლექსს ასეთ შეფასებას არ მისცემდა. ასეც რომ არ იყოს, განა ის, ვინც უარყოფს ახალ სალიტერატურო ქართულს და უპირატესობას ძველ მწიგნობრულ ენას ანიჭებს, ახალი ქართულის უვარგისობის დასამტკიცებლად ხალხურ ენაზე შექმნილ ნაწარმოებს დაიმოწმებს?

შეიძლება გვითხრან, საღვთო წერილის ენასაც იმოწმებს აქ ორბელიანიო. რით უნდა აიხსნას ეს? როგორ შევათავსოთ ერთმანეთთან ძველისა და ახალი ენის სიყვარული?

ვფიქრობთ, თუ გრ. ორბელიანი საღვთო წერილისა და „ვეფხისტყაოსნის“ ენას ხშირად ახსენებს და დიდი სიყვარულით ეპყრობა მას, ეს იმიტომ, რომ დასახელებული ნაწარმოებების ენა ყოველმხრივ სრული და საუკეთესოდ შემუშავებული იყო თავისი დროისათვის. ამიტომ, ორბელიანის აზრით, საჭიროა ამ ენას ყოველთვის გაეწიოს ანგარიში, იგი არ უნდა იქნეს უკუგდებული, მის ი თვისება არ უნდა იქნეს უარყოფილი. ორბელიანმა კარგად იცის, რომ საღვთო წერილის ენა განსხვავდება „ვეფხისტყაოსნისა“ და აქ დასახელებული ხალხური ლექსის ენისაგან, მაგრამ მისთვის ისიც ცხადია, რომ ამ ნაწარმოებებში ქართული ენის თვისება არ არის უგულებელყოფილი. ეს ნაწარმოებები წმინდა ქართულით არის დაწერილი და არა „სომხურ-ქართულით“. როგორც საღვთო წერილსა და რუსთაველის პოემაში ერთ დროს, ახლა ამ ხალხურ ლექსშიც დიდებულად ბრწყინავს ქართული ენა.

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „კოკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“, 1935, გვ. 129—130; ლექსი ცხრა სტროფია.

ამ მხრივ, საყურადღებოა კიდევ ერთი ადგილი გრ. ორბელიანის წერილიდან. უსაყვედურებს რა რედაქციას გ. წერეთლის მოთხრობის დაბეჭდვისათვის, იგი დასძენს: „ახლა რედაქციის მეტი ვინღა დაგვრჩა ენის მფარველად, რომ ესეცა ასე დაუდევნელად, გულ-შეუტკივრად, ჰბეჭდავს ყოველსა არეულად დაწერილსა? ჩემის ჰაზრით, რედაქციას აძევს მოვალეობა, რომ სასტიკი ყურად-ღება მიაქციოს ჩვენს მართლ-წერაზედაც და კანონიერად ენის ხმარებაზედაც, თორემ სრულებით უსარგებლოდ დაჰმთება ესოდენი მისი ღვაწლი, ესოდენი შრომა და მეცადინეობა დაცვისათვის სიწმინდით ჩვენისა ენისა“.

აქ შექებულია რედაქციის შრომა და ღვაწლი ქართული ენის სიწმინდის დაცვის საქმეში, მაგრამ საყვედური იმიტომ არის გამოთქმული, რომ ამ შესანიშნავი ამოცანის სათანადოდ განხორციელებას ხელი ეშლება ხშირად და ეშლება იმის გამო, რომ შესაფერისი კონტროლი არ არის დაწესებული დასაბეჭდ მასალებზე. „დროება“ დარჩა დღეს ჩვენი ენის მფარველად და ისიც ასე გულგრილად უნდა მოეკიდოს დედაენას? — გულმტკივნეულად კითხულობს პოეტი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. წერეთლის ენას მარტო გრ. ორბელიანი როდი იწუნებდა. გ. წერეთლის ენის ზოგიერთი უარყოფითი მხარის შესახებ აღნიშნა ნ. ნიკოლაძემაც [1], ხოლო ი. გოგებაშვილმა გ. წერეთელი გამოაცხადა ქართული ენის „დამკოდველად, დამამახინჯებლად და მწვალებლად“.

ძოჭყავს რა რამდენიმე ნიმუში გ. წერეთლის ნაწერებიდან, იგი ასკვნის: „თუ ამისთანა ეტყველებას ენა ჰქვიან, მაშ ჟარგონი რაღას დავარქვათ. განა სამტირალო არ არის, რომ ამ ჟარგონის პატრონი თამამად კისრულობდეს ხელმძღვანელობას და რეფორმატორობას ქართულს ენაში?“ [2].

ნ. ნიკოლაძისა და ი. გოგებაშვილის შენიშვნები გ. წერეთლის ენის შესახებ თითქმის ანალოგიურია გრ. ორბელიანის შენიშვნებისა.

განა შეიძლება იმის თქმა, რომ ნ. ნიკოლაძე და ი. გოგებაშვილი არქაისტები არიან და ამიტომ იწუნებენ გ. წერეთლის ენას? მაშ, გრ. ორბელიანს რატომ უნდა მივაწეროთ ასეთი რამ? იქნებ იმიტომ ხდება ასე, რომ გრ. ორბელიანი, როგორც ზემოთ ვთქვით, დაჟინებით და ყოველთვის აღიარებს, რომ ძველი ენა

[1] „მოამბე“, 1894, № 3, გვ. 144—145.

[2] „ივერია“, 1894, № 231.

კარგადაა შემუშავებული, დაეუფლეთ მას და ენასაც ისწავლითო, ენის ბუნებრივ კანონებს ანგარიში გაუწიეთ და ისე წერეთო, რომ ახალი ენა არ არის მამა-პაპათა ენასავით განვითარებული და გამშვენიერებულიო?

თუ ამას დავუდებთ საფუძვლად გრ. ორბელიანის არქაისტობას, დიდ შეცდომას დავუშვებთ, რადგანაც პოეტი ამ საკითხებში მართალია.

აი, თვით ახალი თაობის წარმომადგენელი ალ. ჭყონია როგორ შეხედულებას ავითარებს ძველი და ახალი სამწერლო ენის შესახებ:

„მე არ მინდა ვსთქვა, რომ ჩვენს მწერლობას არავითარი ნაკლოვანება არ ქონდეს. მას ერთი მძიმე საყვედური ეკადრება: ამ მწერლობამ თავისი ახლად ამორჩეული ენა ვერ შეამუშავა; თითქმის ყოველს მწერალს ჩვენში თავი'ი გრამატიკა აქვს. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენს თანამედროვე მწერლებს არ შეუსწავლიათ ჩვენი ძველი გამოჩენილი მწერლობა, რომლისაც ენა მართლა ძლიერ შემუშავებული არის. სამწერლო ენის ცვლილებისა და წარმატებისათვის საჭიროა, რომ ძველი მწერლობა რაგვიანა'ი შევისწავლოთ... ჩვენის ძველის მწერლობის ენა უკიდურეს ხარისხამდის არის შემუშავებული და იმისი საფუძვლიანად შესწავლა ჩვენ გაგვიადვილებს ჩვენის თანამედროვე სამწერლო ენის შემუშავებასა და გამშვენიერებას“ [1].

„ივერიაც“ ენის წარმატებისა და სიცოცხლის ერთ-ერთ აუცილებელ ფაქტორად თვლის ძველი ქართული ენის მდიდარი საგანძურიდან უხვად სარგებლობას [2].

მართალია, იაკინთე ალექსიევ-ჭესხიევისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ გრ. ორბელიანი დიდ ანგარიშს უწევს „ენის თვისებაზე დაფუძნებულ“ თეორიულ შეხედულებებს და ძალიან ერიდება მასში ცვლილებების შეტანას, მაგრამ ამ წერილიდან ისიც ნათელია, რომ მას სურს „შევათანხმოთ ტეორია პრაქტიკასა ისე, რომ არ დაირღვეს, არ წახდეს თვისება და სიწმინდე ენისა“. პრაქტიკაზე დაყრდნობა ორბელიანს გაუმართლებლად მხოლოდ მაშინ მიაჩნია, თუ ცოცხალი მეტყველებიდან სამწერლო ენაში შევიტანთ ასეთ გამოთქმებს: „იმან მოვიდა“, „ისინი წავიდა“. ასეთ შემთხვევაში უკანონობას გამოვაცხადებთ ენის კანონად, რაც ყოვლად დაუშვებელიაო.

---

[1] გახ. „შრომა“, 1881, № 8.

[2] „ივერია“, 1879, № 1, ნ. დავითაშვილის წერილი.

გრ. ორბელიანი ცდილობს დააკანონოს მართლწერის ზოგიერთი წესი. ამისათვის იგი ასეთ რჩევას იძლევა:

1. „ყოველი სიტყვა, რომელიცა დაბოლოვდება ა, ე, ო, უ და რომელსაცა უნდა მიუჯდეს თანდებული ზე, ანუ ში, მაშინ ის სიტყვა დაიდვას წრფელობითში. მაგალ.: ქვეყანაზე, მიწაში, ხეში, ხეზე, ოქროში, ოქროზე და სხვანი; მაგრამ ამ სიტყვებსა, თუ აქვს ზედშესრულნი, მაშინ ესე უკანასკნელნი. უნდა კი უთუოდ იყოს მიცემითში, მაგალ.: მაღალს მთაზე, ჩემს ქვეყანაში, ფოთლიანს ხეზე, ღრუბლიანს ღრეში და სხვანი, რათა იგულისხმებოდეს მაინცა, რომ არა მარტო ზედშესრულნი, არამედ არსებითნიც არიან მიცემითში.

2. ყოველი სიტყვა, რომელიცა დაბოლოვდება ი-თა და რომელსაცა უნდა მიუჯდეს რომელიმე ზემოხსენებულთაგანი თანდებული, მაშინ უკანასკნელი ასო, ი, მოისპობა და დაერთვება მას თანდებული, მაგალ.: სახლი, სახლში, სახლზე; კარი, კარში, კარზე: ბანზე, წყალზე, წყალში და სხვანი; მაგრამ ამათი ზედშესრული მაინც კი უნდა იყოს მიცემითში, მაგ.: მშვენიერს ცხენზე, ლამაზს თვალებში, ჩემს წერილში, შენს სახლში და სხვანი“ [1].

ამის შემდეგ კი აცხადებს: „მგონია, ეს კანონი უფრო უადვილესად მიეფერება აწინდელ წესს; მაგრამ მე თვით ვგრძნობ, რომ არც ეს არის ის შეურყეველი დედა-ბოძი, რომელზედაც უნდა დამკვიდრდეს ახალი კანონი ახლანდელი მწერლებთათვის. მაშ, რა ვქნათ? თუ ხელით სამძღვანი კანონი არ დაიდვა, სრულებით გადარევენ ჩვენს ენასა“ [2].

სხვა ადგილას გრ. ორბელიანი ენის საკითხებზე თავისი შეხედულებების შესახებ დასძენს: „მე ასე მგონია, და ასეც მჯერა თვისება ჩვენის ენისა, და ამ შემთხვევაში სხვა კანონი ჯერ აქამომდის არ გვაქვს-რა, მის მეტი რაცა აქა მოვიხსენიე. მაგრამ, ვინიცობაა, თუ ეს მოხსენიებული ტეორია დაძველდა, გაცუდდა და აღარ ჰშვენის აწინდელსა ჩვენს ენასა, მაშინ არ შეიძლება, რომ დაიდვას კანონად ესე. უკანონობა კი არ შეიძლება“ [3].

როგორც ვხედავთ, გრ. ორბელიანს ენის კანონები უცვლელად არ მიაჩნია. მისი აზრით, კანონი, რომელიც ახალ ენას არ შეესაბამება და მისგან არ გამომდინარეობს, არ შეიძლება გამოცხადდეს

---

[1] „დროება“, 1883, № 176.
[2] იქვე.
[3] იქვე.

ამ ენის კანონად. იგი მოითხოვს, წესად დაიდვას ის, რაც „ჰშვენის აწინდელსა ჩვენს ენასა".

ასეთ შეხედულებებს ავითარებდა გრ. ორბელიანი 1873—1875 წლებში სალიტერატურო ენის საკითხებზე. ეს ის წლები იყო, როცა მკაცრი პოლემიკა წარმოებდა ენის საკითხებთან დაკავშირებით.

ისმება კითხვა: თუ გრ. ორბელიანი არ უარყოფს „შვილების" მიერ გამოყენებულ ახალ სალიტერატურო ენას, რატომ მოხდა მაშინ ენის საკითხებზე ის მკაცრი ბრძოლა, რომელიც გამოიწვია, ერთი მხრივ, გრ. ორბელიანის ლექსმა „პასუხი შვილთა" და, მეორე მხრივ, ილ. შავშავაძის „პასუხის პასუხმა"?

ჩვენ ვფიქრობთ, „პასუხი შვილთა" არ იძლევა იმის საფუძველს, რომ გრ. ორბელიანი ახალი სალიტერატურო ენის მტრად გამოვაცხადოთ, რომ იგი არქაისტად ვცნოთ ენის საკითხში.

პოეტი აღნიშნულ ლექსში წერს:

„სხვათა ხელი ჰყვეს
კეთილსა საქმეს:
სტამბით მოჰფინონ სწავლა მამულსა!..
აღჩნდნენ მწერლები,
ჟურნალისტები,
ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას![1]
მათ უსწავლელთა,
ცრუ რუსთაველთა,
სულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,
ენა მაღალი,
მის ძალი, მადლი,
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!...
ერის ცხოვრება,
მისი დიდება.
მის ისტორია დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!"[2]

---

[1] წაიკითხეთ დროება და იხილავთ ქართულის ენის დაპრანჭვას (გრ. ორბელიანის შენიშვნა).

[2] გ რ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, პოეტური ნაწერების სრული კრებული, 1951, თბილისი, გვ. 69—70.

აი, ენის საკითხებზე გრ. ორბელიანის მიერ „შვილებისადმი“ წაყენებული ბრალდების თავი და ბოლო. აქედან და ზემოთ განხილული სტატიიდან „მგზავრობა სვანეთისაკენ“ ზოგიერთმა მკვლევარმა ისეთი დასკვნა გააკეთა, თითქოს გრ. ორბელიანი პლ. იოსელიანთან ერთად იყოს უკიდურესი არქაისტი და მწერლობაში მოითხოვდეს საეკლესიო ენის („მაღალი სტილის“) დამკვიდრებას [1].

არც ჩვენ მიერ გაანალიზებული სტატიები, არც ეს ადგილი და არც გრ. ორბელიანის მთელი ლიტერატურული პრაქტიკა არ გვაძლევს საბუთს ასეთი დასკვნის გამოტანისათვის.

გრ. ორბელიანი, როგორც ვხედავთ, ერის სიცოცხლისათვის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ენას. „შვილებისა“ და მისი შეხედულება ამ საკითხზე საესებით ერთნაირია. ამიტომ არის, რომ ეს „თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, მეუფე ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა“ (ილია), ეს „პირველი მოღვაწე ქართულის ლიტერატურისა და ბურჯი ქართული ენისა“ ვერ იტანს „ქართული ენის დაპრანჭვას“ და ასეთ მოვლენას ერის მტრობად, წმიდა ტაძრისათვის ჩირქის მოცხებად თვლის. ამ საქმეში კი დაბნაშავედ მიაჩნია „დროება“. ჩვენ აღვნიშნეთ, თუ რატომ უსაყვედურებდა ენის უკოდინარობას გრ. ორბელიანი „დროების“ ზოგიერთ თანამშრომელს. ვფიქრობთ, აქაც ასეთივე შინაარსის საყვედურთან გვაქვს საქმე. გამოთქმა: „ენა მდიდარი, ენა მაღალი“ როდი ნიშნავს იმას, როგორც ფიქრობს პატივცემული მკვლევარი აკ. გაწერელია, რომ თითქოს გრ. ორბელიანი აქ ძველ მწიგნობრულ ენას გულისხმობს და პატივს სცემს რა მას, მოთქვამს რა მისი დაკარგვის გამო, ბრძოლას უცხადებს ახალ სალიტერატურო ენას. რომ ეს ასე იყოს, მაშინ ილია, აკაკი და ახალი თაობის სხვა წარმომადგენლებიც არქაისტებად უნდა ვცნოთ, რადგან მათს ნაწერებში ხშირად შევხვდებით ჩვენი ენის ეპითეტებად: „მაღალი“, „მდიდარი“, „ღრმა“, „მუსიკალური“ და სხვ. ავიღოთ თუნდაც ი. ჭავჭავაძის „პასუხის პასუხი“.

ცნობილია, რომ გრ. ორბელიანს ილიამ გასცა პასუხი. ამ პასუხში ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ილ. ჭავჭავაძეს კონ-

---

[1] აკ. გაწერელია, პლატონ იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, 1936. გვ. XXXII; აკ. გაწერელია ამ შეხედულებას ნაწილობრივ იცავს: იხ. გრ. ორბელიანი, პოეტური ნაწერები სრული კრებული. 1951, თბილისი, გვ. 167.

სერვატიული ბანაკი[1] იმიტომ კი არ ჰყავს გაკიცხული, რომ მათ ხალხური ენა უარყვეს და ძველი ენა გამოიყენეს სამწერლო ენად, არამედ იმიტომ, რომ ამ ბანაკმა მშობლიური ენა არც სახლში შეიწყნარა და არც კარში, რითაც ერის ამ ერთ-ერთ სასიცოცხლო ნიშანს მკვდრის სუდარა გადააფარეს. მიაჩნია რა ილიასაც ენის მტრობა ქვეყნის მტრობად, არ ინდობს იმათ, რომლებმაც მეფის რუსეთის მიერ აღმოსაკვეთად განწირული დედაენა არ დაიცვეს და დათმეს მისი გამოძევება როგორც სკოლა-დაწესებულებებიდან, ასევე ოჯახებიდანაც. აი, რა კუთხით გაილაშქრა ახლა ილიამ რეაქციული ბანაკის წინააღმდეგ. მაგრამ ეს მარტო ამ თაობის წინააღმდეგ ამხედრებას არ ნიშნავდა. ეს იყო ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მკაცრი კრიტიკაც.

შეიძლება თუ არა, ილ. ჭავჭავაძის მიერ კრიტიკის ქარცეცხლში გატარებულ ამ ჯგუფში იგულისხმებოდეს გრ. ორბელიანი? თუ ამ კითხვაზე დადებითად ვუპასუხებთ, მაშინ ხაზი უნდა გადაესვას ყოველივე იმას, რაც ილიას აქვს ნათქვამი, საერთოდ, გრ. ორბელიანის ღვაწლის შესახებ და, კერძოდ, მისი ენის შესახებ[2].

ვფიქრობთ, იმაზე მეტი დიდი შეცდომა არაფერი იქნება, ვიდრე ვთქვათ, გრ. ორბელიანის პოეზია არის მტრობა ქართული ენისა „გარეთ, თუ შინა". იქნებ ილია აქ იმას გულისხმობს, რომ გრ. ორბელიანი, როგორც მეფის რუსეთის სამსახურში მყოფი, როგორც მოხელე, დევნიდა ქართულ ენას? ამის გაფიქრებაც კი შეუძლებელია. პირიქით, იგი ყოველთვის ერთ-ერთი ხელისშემწყობთაგანი იყო იმ კულტურული წამოწყებებისა, რომლებითაც ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები ცდილობდნენ ნაციონალური თვითშეგნების ამაღლებას. დავასახელებთ მხოლოდ ორ ფაქტს.

ამ უკანასკნელ პერიოდში მიკვლეული მასალებიდან მტკიცდება, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მსგავსი დაწესებულების დაარსების აზრი ქართველი ინტელიგენციის წრეებში ჯერ კიდევ სამოციან წლებში წამოჭრილა, კერძოდ, 1862 წელს. გრ. ორბელიანი, რომელიც ამ დროს თბილისის სამოქალაქო გუბერნატორი იყო, მონაწილეობდა ამ „ლიტერატურული საზოგა-

[1] ამ ბანაკში უნდა ვიგულისხმოთ არა ბ. ჯორჯაძისა, ივ. კერესელიძე, ე. წერეთელი, გ. ბარათოვი და სხვა მოღვაწენი, რომლებსაც ებრძოდა ადრე ილია, არამედ უმრავლესობა იმ პირებისა, რომლებიც პოეტს მკაცრად ჰყავდა გაკიცხული „გამოცანებში" და „კიდევ გამოცანებში".

[2] ილ. ჭავჭავაძე, ტ. IV, გვ. 254—255 და 277—278.

დოების" წესდების შედგენაში და შუამდგომლობაც აღძრა მეფისნაცვლის წინაშე ამ საზოგადოების ჩამოყალიბების თაობაზე. სამწუხაროდ, მეფის მთავრობის ხელისუფალთ არ მიუციათ ქართველი ინტელიგენციისათვის „ლიტერატურული საზოგადოების" დაარსების ნება [1].

ამ საზოგადოების დაარსების ცდა ი. ჭავჭავაძის სურვილიც ყოფილა. და, აი, როცა ახალი თაობის ბელადი ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას შეეცადა, მას გვერდში ამოუდგა გრ. ორბელიანი. ეს მოვლენა შემთხვევითად არ უნდა ჩაითვალოს.

საყურადღებოა აგრეთვე გრ. ორბელიანის ერთ-ერთი გამოუქვეყნებელი წერილი ილ. ჭავჭავაძისადმი [2], რომელიც ქართული თეატრის დაარსების საკითხთან არის დაკავშირებული.

ამ წერილში კარგად ჩანს გრ. ორბელიანის საქმიანი დაწოკიდებულება ახალი თაობის მიერ დაწყებული შესანიშნავი კულტურული ღონისძიებებისადმი — ქართული თეატრისა და სკოლების გახსნისადმი. გარდა ამისა, წერილში საუკეთესოდ ჩანს გრ. ორბელიანის გულახდილობა, გულის სიწმინდე და თან სიფრთხილეც, რომელზედაც რამდენიმე წლის წინ ლაპარაკობდა ი. ჭავჭავაძე თავის „გამოცანებში". წერილი სხვა მხრივაც არის საინტერესო: აქ ვხედავთ, რომ პოეტი ოცნებობს ხალხის „ეკონომიურ შემატებაზე", მათი გონების გახსნასა და სულით ამაღლებაზე. მას აწუხებს მხოლოდ ის, რომ სახსარი არ არსებობს ამ დიდი საქმის განხორციელებისათვის.

ამდენად, არ არსებობს საფუძველი ვთქვათ, რომ გრ. ორბელიანი არ იღვწოდა ჩვენი ქვეყნის კულტურული წინსვლისათვის, რომ იგი მშობლიურ ენას მტრობდა „გარეთ, თუ შინა". პირიქით, იგი ყოველთვის დარაჯად ედგა ქართულ კულტურასა და ქართულ ენას. აი, რას სწერს პოეტი თავის რძალს სოფიოს: „ჩემი იაკინთეს ქალი ერთხელ მეუბნებოდა: „მე ქართული არ ვიცი" და საბრალოსა დიდ ქებად ეგონა უცოდინარობა თავის ენისა" [3].

დავ. დადიანის ქალს, სალომეს, რომელიც ფრანგ აშილ მიურატზე იყო გათხოვილი, ქართულად წერილის მოწერის გაჭო, გრ. ორბელიანი სწეოს: „მეტად მანუგეშე შენის ქართულის ენითა,

---

[1] ა. გაწერილაძე, „მასალები ილ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის", ლიტერატურული ძიებანი, 1953, VIII.

[2] საქ. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმი, S, 2600; ილ. ჭავჭავაძის არქივი, გრ. ორბელიანის წერილები ილ. ჭავჭავაძისადმი, ფ. 2.

[3] ლიტერატურული მატიანე, წიგნი 1—2, 1940, გვ. 318.

ჩემო მშვენიერო სალომე, და აბა როგორ არა ვჰსთქვა სიმწარითა: პარიჟელსა უნდა უყვარდეს ქართული ენა, იგი უნდა ცდილობდეს მის შესწავლებასა და საქართველოში კი ქართველნი ქალები უარს ჰყოფდენ ქართულს ენასა და შეურაცხებით ტუჩებ აშვერით ამბობდენ: „რა საჭიროა ამ დროს ქართული ენა“. ეს სიტყვები ცხადად გამოაჩენენ აწინდელის საზოგადოების სამწუხაროს მდგომარეობასა, მის უმეცრებასა, გზის დაკარგვასა. ვისაც არ უყვარს თავის სამშობლო ენა, მას უეჭველია არ უყვარს თავის მშობელნიცა, თავის წინაპარნიცა, თავის მამულიცა!“ [1].

ძალიან საეჭვოა, ქართული ენის ასეთი დიდი გულშემატკივარი ილ. ჭავჭავაძეს დედაენის მტრად გამოეცხადებინა.

თუ ეს ასე არ არის და გრ. ორბელიანი მართლაც ქართულ ენას „ბრძანებით თმობდა აღმოსაკვეთად“, შიშით არც სახლში და აღარც კარში მას არ ხმარობდა, თუ ქართულ ენაზე საუბარი ესირცხვებოდა და ამის გამო მას „მკვდრის სუდარა გადააფარა“, როგორ მოხდა, რომ იგი შეიქმნა „თვითმპყრობელი“ ქართული ენისა, იგი გახდა „მეუფე“ ჩვენი სიტყვიერების ძალ-ღონისა და აღიარებულ იქნა ბურჯად დედაენისა?

აღნიშნული გვაქვს: გრ. ორბელიანი „შვილებს“ უსაყვედურებს იმის გამო, რომ ისინი სუსტად ფლობენ ქართულ ენას, ხოგჯერ არ იცავენ ენის კანონებს და ამახინჯებენ აზრსაც და ენასაც. იგი ამას უთვლის ცოდვად ზოგიერთ მწერალს და არა იმას, რომ მათ ხალხურ ენას დაუმკვიდრეს ადგილი ლიტერატურაში.

„პასუხის პასუხში“ ჩანს, რომ ეს საყვედური მიღებულია. აი, რას წერს აქ ილია:

„გვიან თუ მალე,
დღესა თუ ხვალე,
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება“.

ამ მხრივ, საყურადღებოა აგრეთვე ს. მესხის წერილის — „ჩვენი მამები და შვილები“ ეპიგრაფები.

პირველ ეპიგრაფად მოყვანილია გრ. ორბელიანის სიტყვები: „თქვენ უსწავლელნო“... ვიდრე „ჩირქი რათ მოსცხეთ ტაძარსა წმინდას“. მეორე ეპიგრაფს წარმოადგენს ილიას პასუხი ამ შენიშვნაზე: „გვიან თუ მალე“... ვიდრე „ისევ ისევე მრუდედ დარჩება“ [2].

---

[1] ლიტერატურის მატიანე, წიგნი 1—2, გვ. 118.

[2] „დროება“, 1862, № 7.

ამრიგად, ს. მესხიც ღებულობს გრ. ორბელიანის საყვედურს ენის საკითხებთან დაკავშირებით.

ს. მესხმა სხვაგანაც აღიარა, რომ „დროების“ ენა ყოველთვის არ არის მოსაწონი. იგი წერს: „გვეუბნებიან ჩვენ, რომ ენა გააფუჭეთო, გააჭრელეთ, კონსტრუქცია სულ ქართული არ არისო და სხვ. ეს ერთის მხრით ტყუილიც არ არის ჩვენდა სამწუხაროდ. მაგრამ ამას თავისი მიზეზებიც აქვს“ [1].

ს. მესხი არც იმას უარყოფს, რომ „დროებას“ „იმერული სუნი“ უდის [2].

„შვილებმა“, გაიზიარეს რა ასეთი შენიშვნები, გააძლიერეს ბრძოლა სწორი გრამატიკული ფორმებისა და გამოთქმების დასადგენად, ახალი სალიტერატურო ენის დასახვეწად, მხატვრული სტილის გასაუმჯობესებლად. ახალი თაობის წარმომადგენლებს წუთითაც არ მოუხუჭავთ თვალი ამ დიდი ეროვნული საქმის წინაშე. მათ თავიანთი მხატვრული ნაწარმოებებითა და პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილებით მტკიცედ დაამკვიდრეს მწერლობაში ახალი სალიტერატურო ენა, ხალხური ენა [3].

ჩვენ გავარკვიეთ გრ. ორბელიანის შეხედულებანი ენის საკითხ-

---

[1] „დროება“, 1869, № 23.

[2] „დროება“, 1873, № 45.

[3] დღემდე მკითხველი არ იცნობს, გარდა გრ. ორბელიანის ლექსისა „პასუხი შვილთა“, 70-იან წლებში „მამათა“ ბანაკიდან „შვილების“ წინააღმდეგ დაწერილ ლექსს.

ჩვენ ვიპოვეთ ერთი ხელნაწერი — „პასუხის პასუხის პასუხი“, (იხ. საქ. ცენტრალური არქივი, ქართული ხელნაწერების ფონდი, № 57, გვ. 8—9), რომელიც წარმოადგენს გრ. ორბელიანის პოლემიკურ ლექსში — „პასუხი შვილთა“ — გამოთქმულ შეხედულებათა დაცვისა და ახალი თაობის მიერ „მამებისადმი“ წაყენებული ბრალდებების გაქარწყლების ცდას.

სხვათა შორის, ამ ლექსში ავტორი (ნინო ორბელიანი) ენის საკითხსაც ეხება. იგი წერს:

„ენა მდიდარი,
ენა მძინარი
თქვენ შეიფარეთ და გააღვიძეთ,
მაგრამ საწყალი,
მას სიღრმე, ძალი
ავაზაკურად გამოუღიეთ...
და თუ რომ თქვენა
მდიდარი ენა
მწარედ გაცარცვეთ, მაშ ერსაცა გმობთ“.

ჩანს, რომ ეს საყვედური გრ. ორბელიანის საყვედურის ანალოგიურია.

ებზე და აგრეთვე მისი პოზიციები მე-19 საუკუნის 70-იან წლებში წარმოებულ პოლემიკაში.

როგორია გრ. ორბელიანის თხზულებათა ენა? გრ. ორბელიანის პოეზიის ენის ანალიზმა ცხადყო, რომ პოეტისათვის უცხოა სამი სტილის თეორია. არსებითი განსხვავების დანახვა, ენის მხრივ, გრ. ორბელიანის ლექსებში, როგორ თემაზედაც არ უნდა იყოს ისინი დაწერილი, შეუძლებელია. ერთი რამ უდავოა: მე-19 საუკუნის 30-იან წლებში დაწერილ ნაწარმოებების ენაზე უფრო მსუბუქი და მარტივია შემდგომი პერიოდის ლექსების ენა. პირველი ხანის ლექსების უმრავლესობაში აქა-იქ არის ძველი ფორმები ნახმარი. მხოლოდ სამიოდე ლექსია („იარალის", „გამოსალმება", „ღამე"), რომელთა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია გრ. ორბელიანი გამოვაცხადოთ ძველი („დარბაისელთა") ენის დამამკვიდრებლად ლიტერატურაში. მაგრამ, საერთოდ, ასეთი ენით დაწერილი ნაწარმოებები სანთლით არის საძებარი გრ. ორბელიანის შემოქმედებაში, განსაკუთრებით, 40-ანი წლების შემდეგ.

გრ. ორბელიანს, რომელმაც სადა და დახვეწილი ენით „დაიგალობა" ქართულ ლიტერატურაში, რომლის ლექსებიც სასიმღეროდ გადაიქცა, რომ მივაწეროთ „უკიდურესი ენობრივი კონსერვატიზმის დაცვა, მწიგნობრული („საეკლესიო") ენის უპირატესობის აღიარება „საერო" მწერლობაზე", დიდი შეცდომა იქნება.

გრ. ორბელიანს არაფერი აქვს საერთო იმ რეაქციონერთან, რომელიც წერდა: „Язык массы, всегда и у всех народов, был и будет не литературным",[1] ანდა რომელიც ფიქრობდა: „ქართველთა მწერლობა ძველი, წინათ ქრისტესსა წყობილი და ქრისტიანობისა შემდგომად გავრცელებული, არ არის დასაკარგავი. ენა ქართველთა, ეკკლესიისათვის ქრისტესსა შემზადებული უმეტეს და უკეთესად რომაელთა ანუ ლათინთა ენისა, არის ღირსი გაფრთხილებით დაცვისა. ენამან ამან დაბადა ენა რუსთაველისა, შავთელისა, ჩახრუხაძისა და ქართველთა წმინდათა ცხოვრებისა აღმწერელთა"[2].

ერთი რამ ფაქტია: გრ. ორბელიანის წერილები, რომლებიც მეცნიერულ-პუბლიცისტური ხასიათის არის, ენის მხრივ, ნაწილობრივ განსხვავდება მისი ლექსებისა და ჩვეულებრივი ხასიათის

[1] პ. იოსელიანი, Путевые записки от Тифлиса до Мцхеты, 1871, გვ. 53—54.

[2] „ცისკარი", 1869, № 3, გვ. 1—2.

მიწერ-მოწერის თუ სიტყვების ენისაგან. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც, როგორც ცნობილია, „მხატვრული ნაწარმოების ენა არ შეიძლება საზოგადოდ ისეთივე იყოს, როგორც ენა რომელიმე სამეცნიერო გამოკვლევისა ან პუბლიცისტური ნაწარმოებისა“ [1].

ასეთ მაგალითს ჟითქმის ყველა ქართველ მწერალთან შევხვდებით. აი, მაგალითად, რაფ. ერისთავი. რაფიელის სტატიების ენა ხშირად განსხვავებულია მისი მხატვრული ნაწერების ენისაგან. ამის შესახებ „ივერიაც“ წერდა [2].

ახლა შევჩერდეთ იმაზე, თუ როგორ აფასებდნენ გრ. ორბელიანის ენას მე-19 საუკუნის ცნობილი მოღვაწეები. ილიას აზრს ამ საკითხზე უკვე გავეცანით. შევეხოთ სხვებს.

ამ მხრივ, საინტერესოა ის მასალები, რომლებიც გრ. ორბელიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა.

ა. ცაგარელი აცხადებს: არა გვყავს ის, „ვინც ტკბილის ხმებით სასოებით მამულს დაძღერდა, სამშობლო ქვეყნის აღდგენისთვის ვინც სიმს აჟღერდა; ვის სიტყვა-ტკბილნი, მოწყობილნი სულს აამებდენ, გულის ჭრილობას გაჰკურნავიდენ, დაამებდენ“ [3] (ხაზი აქაც და ქვემოთაც ჩვენია).

ვ. ორბელიანი აღნიშნავს:

„მეფე სიტყვისა, ლექსთა მეფე, კაცი გულწრფელი...
და მისი სიტყვა, მარგალიტად, ტურფად წყობილი
არ გაგვიცხოველებს ამიერით გულსა დაჩაგრულს“ [4].

დავით სოსლანი წერს:

„გრ. ორბელიანი იყო უებრო და შეუდარებელი ენის პატრონი... „მოუბარი წყლიანი“ გრ. ორბელიანი იყო ზეშთაგონებით განსწავლული მეფე ქართული სიტყვიერებისა და პოეზიისა... იგი იყო შემაერთებელი ხიდი ძველისა და ახლისა“ [5].

---

[1] აკ. შანიძე, ილია ჭავჭავაძე, როგორც მებრძოლი ახალი სალიტ. ქართ. დამკვიდრებისათვის. ილია ჭავჭავაძე, სრიუბილეო კრებული, 1939, გვ. 14.

[2] „ივერია“, 1881, № 12.

[3] „დროება“, 1883, № 65.

[4] იქვე.

[5] „დროება“, 1883, № 66.

ვაზ. „შრომის" რედაქციის გვირგვინს ეწერა: „ლექსთა მეფეს". „დროების" რედაქციის გვირგვინს კი — „მეფეს სიტყვისას".

გრ. ყიფშიძის აზრით, გრ. ორბელიანის ლექსები არის „ძლიერი, პოეზიით სავსე და მტკიცედ ნაქედი, ალმასებრ წყალ-ჯავარიანი" [1].

„დროება" გრ. ორბელიანის ლექსების მეორედ გამოცემის გამო წერდა: „სასიამოვნო იქნება, თუ ამ ჩინებული მწერლის ლექსებს მეორეთ გამოსცემენ, რადგანაც, რამდენადაც ვიცით, მომეტებული მისი ლექსები მთელს საქართველოს ხალხშია მოფენილი და კიდევაც მღერიან" [2].

ლაპარაკობს რა გრ. ორბელიანის პოეზიის მაღალ ღირსებებზე, არტურ ლეისტი აცხადებს: „გრ. ორბელიანის პოეზიას როგორც ლირიკულს, ისე ეპიკურს, აღტაცებაში მოჰყავს კაცი თავისი მაღალი აზრით, კეთილშობილური ენით და სიმშვენიერის ღრმა გრძნობით" [3].

1873 წლის „კრებულის" მესამე ნომერში დაბეჭდილია ნ. ნიკოლაძის სტატია „ჩვენი მწერლობა", რომელიც წარმოადგენს პ. უმიკაშვილის მიერ 1873 წელს გამოცემული გრ. ორბელიანის ლექსების კრიტიკულ მიმოხილვას. ნიკოლაძე ორბელიანს თვლის დიდი ნიჭის მქონე პოეტად, მაღალ შეფასებას აძლევს მის ნაწარმოებებს და მოსწონს პოეტს ენა.

მეტად მნიშვნელოვანია რაფ. ერისთავის შეხედულება ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის პოეზიის შესახებ. იგი წერს:

„ეჭვი არ არის, რომ განსვენებული ნ. ბარათაშვილი იყო დამოუკიდებელი, დიდად ნიჭიერი პოეტი, რომელმაც ბევრად წინ გაუსწრო მის თანამედროვე ლექსის მჩხაბავებს, რომლებსაც, როგორც ამბობენ, არ უყვართ ბარათაშვილი, შეიძლება შურის გამოც.

თანამედროვეებს არ მოსწონდათ სტილი მისი ლექსებისა, რადგან მათში ვერ პოულობდნენ ღვარჭნილ სპარსული პოეზიის კვალს ან ყოველად ბრძნული სიტყვების რახა-რუხს, მსგავსად ჩახრუხაძისა და შავთელისა; მათში ვერ ნახულობდნენ წარღვნის წინადროინდელ სიტყვებს, რომელთა ხმარების მიზანი ის არის, რომ სწავლულად მოაჩვენო თავი და მხოლოდ მცირეოდენ მომაკვდავს შეეძლოთ გაგება, ისიც ლექსიკონით ხელში.

ნ. ბარათაშვილის პოეზიაში მუდამ არის ყველაზე ნაზი, ყვე-

[1] „მოამბე", 1895, № 10, გვ. 87.
[2] „დროება", 1878, № 138.
[3] „ივერია", 1884, № 5—6.

ლაზე მაღალი აზრი და გრძნობა, რომლებიც სწვდებიან ადამიანის სულს, აღელვებენ გულს და ეს მაშინ, როცა მის თანამედროვეთა ნაწარმოებებში (მცირეოდენთა გამოკლებით) ხანდახან აზრსაც ვერ იპოვით. გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნის განსაკუთრებით გრ. ორბელიანი, რომელიც თავის მხრივ ნამდვილი პოეტია და თანაც სახალხო პოეტი"[1].

როგორც ვხედავთ, რაფ. ერისთავი ნ. ბარათაშვილის მხატვრულ სტილს უპირისპირებს ჩახრუხაძისა და შავთელის „ბრძნული სიტყვების რახა-რუხს", უპირისპირებს არქაული ფორმებით დამძიმებულ სტილს და დიდ სხვაობას ხედავს მათ შორის. იგი ნ. ბარათაშვილის გვერდით აყენებს გრ. ორბელიანს და განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმას, რომ ის ნამდვილი სახალხო პოეტია. ცხადია, „უკიდურესი კონსერვატორი" ასეთ შეფასებას ვერ მიიღებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ გრ. ორბელიანის ენა დაწუნებულიც იქნა ზოგიერთების მიერ. ორბელიანი აღიარეს არქაისტად და პლ. იოსელიანის გვერდით მოათავსეს. ასეთი შეხედულება პირველად ზ. ჭიჭინაძემ განავითარა და შემდეგ იგი სხვებმაც გაიზიარეს.

ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ „ცისკარში" დაწყებული კამათის დროს ქართული ანბანის გამარტივების საკითხებზე ბევრი დაირაზმა „შვილების" წინააღმდეგ, მათ შორის გრ. ორბელიანი და პლ. იოსელიანიც ერივნენო. ძველი ქართული ენის სიყვარულის გამო ესენი ქართველ ყმაწვილებს რა მტრობას არ სწამებდნენო. ისინი მოძულე იყვნენ ახალი ენის, ახალი მწერლობისა და ახალი ახალგაზრდობისაო[2].

გრ. ორბელიანი ორთოგრაფიის გამარტივების მომხრე მართლაც არ იყო, მაგრამ, რაც შეეხება სხვა საკითხებს, ზ. ჭიჭინაძეს 60-იან წლებში გრ. ორბელიანის სამწერლო მოღვაწეობიდან ასეთი დასკვნის გამოტანა არ შეეძლო, რადგანაც არც ერთი დოკუმენტი არ არსებობს იმისათვის, რომ ზ. ჭიჭინაძეს საფუძველი ჰქონოდა ეთქვა: ი. ჭავჭავაძის პირველი კრიტიკული სტატიის გამო დაწყებული პოლემიკის დროს გრ. ორბელიანი „მამების" ბანაკში იყო და იცავდა სამი სტილის თეორიასო, იცავდა ანტონისა და მისი სკოლის ბრმად მიმდევართა შეხედულებებს და მიჰყვებოდა მათ ლიტერატურულ პრაქტიკასო.

---

[1] გ. ლეონიძე, რ. ერისთავის დავიწყებული წერილი ნ. ბარათაშვილზე, „ლიტერატურა და ხელოვნება", 1952, № 25.

[2] ზ. ჭიჭინაძე, პლატონ იოსელიანი, 1893.

სინამდვილეში ფაქტები სულ სხვას ამბობენ და, აი, რას:

მართალია, ილ. ჭავჭავაძემ დაუზოგავად გააკრიტიკა „ცისკრის“ თანამშრომელთა უმრავლესობა, მაგრამ სრულიად ხელაღებით როდი უკუაგდო ეს ჟურნალი. მან რამდენიმე პოეტი დადებითად მოიხსენია და მათ შორის გრ. ორბელიანიც. როცა ილია „მამების“ მიერ ჩვენი ენის წახდენაზე ლაპარაკობდა, როცა იგი რევაზ ერისთავს ესხმოდა მხატვრული ენის გაუხამსების გამო, ამ დროს გრ. ორბელიანის „დიმიტრი ონიკაშვილის დარდებით“ მოხიბლული იყო და „მამათა“ ბანაკს მის პოეზიაზე მიუთითა, რათა ესწავლათ ნამდვილი ქართული ენით წერა. ილ. ჭავჭავაძესა და მის თანამოაზრეებს ერთი სიტყვაც არ დაუძრავთ გრ. ორბელიანის შემოქმედების საწინააღმდეგოდ. პირიქით, ახალი თაობა საუკეთესო შეფასებას აძლევდა მის შემოქმედებასა და ენას.

როგორ მოიქცა თვით გრ. ორბელიანი? ამ მკაცრი ბრძოლის დროს მას არც ერთი წერილი არ გამოუქვეყნებია ახალი თაობის წინააღმდეგ. მას ამ ბრძოლაში მონაწილეობა სრულებით არ მიუღია. თუ იგი მართლაც ძველი ენით სულდგმულობდა, მასზე ოცნებობდა და ანტონ კათალიკოსისა და პლ. იოსელიანის „გრამატიკული წესების არქაიზმს“ იზიარებდა და მას ყველასათვის სავალდებულოდ თვლიდა, რატომ არ გაილაშქრა „შვილების“ წინააღმდეგ, რომელთაც „მამებისაგან“ დიამეტრალურად საწინააღმდეგო შეხედულებები გააჩნდათ, საერთოდ, და, კერძოდ, ენის საკითხებზე? „არქაისტმა“ გრ. ორბელიანმა რატომ არჩია დუმილი? რეაქციულ-კონსერვატიულ ბანაკს უტევდნენ და „უკიდურესი კონსერვატორი“ დუმდა. რით ავხსნათ ეს ფაქტი?

ვფიქრობთ, იმ ადამიანმა, რომელიც ცნობდა საზოგადოების განვითარებას და მასთან ერთად ენის ცვლილებებსაც, იმთავითვე ცნო „შვილების“ სამართლიანობა და უარი თქვა მათ წინააღმდეგ გალაშქრებაზე.

სანამ „მამათა“ და „შვილთა“ შორის ბრძოლა დაიწყებოდა, გრ. ორბელიანი ერთ კერძო წერილში აღნიშნავდა: „მაიმუნის ხასიათის აღწერაში რა საჭიროა სახარების სიტყვები .რამეთუ, უკეთუ, მიერით და სხვანი მკვდარნი სიტყვები, რომელნიცა ჰსცხოვრებენ დაბადებაში და ძველს წიგნებში და ეხლა აღარ ხმარობს ხალხი“ [1].

როგორ შეიძლებოდა, ასეთი შეხედულების მქონე ადამიანი

[1] გრიგოლ ორბელიანის წერილები, ტ. II, 1937, თბილისი, გვ. 55.

გამოსულიყო 60-იან წლებში ძველი სალიტერატურო ენის ნორმების დამცველად?

კიდევ მეტი: გრ. ორბელიანის თანხმობით „შვილებმა" შეიძინეს ისეთი იარაღი, რომლითაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს ძველ ენასა და დახავსებული იდეებით შეიარაღებულ „მამებს". ეს იარაღი იყო „საქართველოს მოამბე", რომლის დაარსების ნებართვა მაშინ მიიღო ილ. ჭავჭავაძემ, როცა კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობას გრ. ორბელიანი ასრულებდა. ამ უკანასკნელმა მოაწერა სწორედ ხელი დასახელებული ჟურნალის გამოცემაზე[1]. ორბელიანისთვის ეს არავის არ დაუვალებია. მიუხედავად იმისა, რომ მან კარგად იცოდა, თუ რა შეადგენდა „საქართველოს მოამბის" პროგრამას, თანაგრძნობის ხელი გაუწოდა თერგდალეულთა ბელადს და ამ დიდი ლიტერატურულ-კულტურული და, შეიძლება ითქვას, პოლიტიკური ღონისძიების შესრულებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. ცხადია, „მამების" ნამდვილ მეთაურს ასეთი ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლო და, კიდევაც რომ შეძლებოდა, არ ისურვებდა.

ასეთია გრ. ორბელიანის დამოკიდებულება სამოციან წლებში ახალი თაობისადმი.

ამდენად, არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ გრ. ორბელიანი მიჩნეული იქნას არქაული ენის დამცველად და ახალი სალიტერატურო ენის მტრად.

ნათქვამის შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ: გრ. ორბელიანი არ ცნობს სამი სტილის თეორიას, მისთვის არ არსებობს სხვადასხვაგვარი ენა. მისი აზრით, ენა ერთია, რომელიც დროთა განმავლობაში განიცდის ცვლილებებს. ეს ცვლილება განსაკუთრებით თვალსაჩინოა ლექსიკაში, „ენის თვისება" კი „მარადის მყოფობს უცვლელად".

გრ. ორბელიანის პრინციპი სალიტერატურო ენის შემუშავებისა სავსებით სწორია.

სახელოვან პოეტს ენა ეროვნების ბურჯად მიაჩნდა და ამიტომ მის სიწმინდესა და სიმშვენიერეს თავგამოდებით იცავდა, მისი სიცოცხლისათვის ზრუნავდა. იგი მხოლოდ იმას ებრძოდა, ვინც უცოდინარობით და დაუდევრობით, „მკვდარი" სიტყვებისა თუ უცხო ენის სიყვარულით საფრთხეს უმზადებდა დედაენის განვითარებას, მის სიცოცხლეს.

[1] Акты, XII, გვ. 238.

ერთ ჯგუფში მოთავსება „ჯვარცმული ენის“ დამცველი არქაისტებისა და გრ. ორბელიანისა, რომელმაც თავისი ლექსები „ციური ხმით“ დაიგალობა და ვისაც თერგდალეულთა ბელადმა ილ. ჭავჭავაძემ „სიტყვის მეუფე“ უწოდა, დიდი შეცდომაა.

ენის საკითხებზე გრ. ორბელიანის ნააზრევიდან და მისი ლიტერატურული პრაქტიკიდან ჩანს, რომ პოეტს უფრო მეტი აქვს საერთო „შვილებთან“, ვიდრე „მამებთან“. იგი ამ საკითხში „ძველის და ახლის შუა შემაერთავი ხიდია“.

(შემოვიდა რედაქციაში 15. III. 1955).

O. Я. ГИОРГАДЗЕ

Г. ОРБЕЛИАНИ И ВОПРОСЫ ГРУЗИНСКОГО ЛИТЕРАТУРНОГО ЯЗЫКА

Резюме

Грузинский писатель Гр. Орбелиани не признает теории трех стилей, для него не существуют языки разного рода. По его мнению, язык един, причем, этот язык с течением времени претерпевает изменения, которые особенно заметны в лексике.

В отличие от „отцов“, Г. Орбелиани не отвергает новый литературный язык. Он только требует, чтобы этот новый язык был очищен от некоторых незаконных форм. Вообще, Г. Орбелиани дает положительную оценку „благородному начинанию „детей“ — развитию и утверждению в литературе нового языка. И если он все же борется против них, то борется потому, что, по его мнению, некоторые писатели не смогли внести должной доли в дело решения этой важной задачи.

Принцип Г. Орбелиани в отношении обработки литературного языка верен.

Талантливый поэт считал язык опорой нации и поэтому он самоотверженно отстаивал его чистоту и красоту. Он боролся лишь с теми, кто по невежеству или небрежности, своей склонностью к „мертвым“ словам или варваризмам мешал развитию и жизни родного языка.

Из высказываний Г. Орбелиани по вопросам языка и его литературной практики видно, что поэт имеет гораздо больше общего с „детьми“, чем с „отцами“. В этом вопросе „он является мостом, соединяющим старое и новое“.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

დ. ბრეგაძე

ქართველი პოეტები და მწერლები რუსეთში

(XVIII ს.)

წერილი მეორე

რუსეთ-საქართველოს დაახლოებამ საშუალება მისცა ქართველებს, სამშობლოში შემოჰრილი ოსმალ-სპარსელთა ურდოებთან ბრძოლაში დამარცხებისა და მკვიდრი მამულის დატოვების შემთხვევაში თავშესაფარი რუსეთში ეძებნათ.

XVII საუკუნეში ჩრდილოეთის გზას დაადგა მეფე პოეტი არჩილი, რომელმაც რუსეთის დახმარებით დაიწყო ბრძოლა საქართველოში შემოჰრილი მუსულმანების წინააღმდეგ. მიუხედავად იმ გმირობისა და მამაცობისა, რაც ამ ბრძოლებში არჩილსა და ქართველთა ლაშქარს გამოუჩენია, დამპყრობელების განდევნა მაინც არ მოხერხებულა და ბოლოს და ბოლოს არჩილი კვლავ რუსეთში დაბრუნებულა (1699 წ.).

დაახლოებით ამ წელს უნდა ჩაყროდა საფუძველი მოსკოვში ქართველთა კოლონიას, რომლის მეთაურად არჩილი გვევლინება.

მართალია, ქართველთა კოლონია რუსეთში ოფიციალურ პოლიტიკურ დაჯგუფებას წარმოადგენდა და პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ მას აგრეთვე ჰქონდა კულტურული მიზნები და კოლონიის წევრები ინტენსიურ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ. მაგალითად, არჩილი ეცნობოდა რუსულ წიგნებს, თარგმნიდა მათ და ქართული სტამბის დაარსებაზე ფიქრობდა.

ეს დიდი კულტურული მოღვაწე შორიდან ჰგრეტდა იმ ბედნიერ დღეს, როდესაც საქართველო ნაბეჭდი წიგნებით აივსებოდა. არჩილმა გადაწყვიტა თვითონვე წამოეწყო სტამბის გამართვის საქმე და ამ მიზნით რამდენიმეჯერ იყო ნიკოლსკის ქუჩაზე, გაეცნო სტამბის მოხელეებს, გამოიკითხა ყველაფერი და განზრახულის სისრულეში მოყვანის იმედით აღფრთოვანებული დაბრუნდა შინ.

მალე არჩილმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ სტამბას მოსკოვში და რამდენიმე წიგნიც დაბეჭდა იქ. აქვე დაიწყო მან მზადება ქართული ბიბლიის დასაბეჭდად, შეაგროვა მისი სხვადასხვა ნუსხა, შეუდარა სლავურ ტექსტს და ის წიგნები, რომლებიც ქართულ ენაზე არ აღმოჩნდა, გადმოათარგმნინა. „არჩილსავე ეკუთვნის ხრონოღრაფი დასაბამითგან სოფლისა კონსტანტინე პალეოლოგამდე. ეს არის ვრცელი ისტორია, საეკლესიო და სამოქალაქო, ქვეყნის გაჩენიდან კონსტანტინოპოლის აღებამდე“ [1].

მოსკოვის ქართველთა კოლონიის ისტორია მისი საქმიანობის მიხედვით შეიძლება ოთხ პერიოდად გაიყოს. პირველი პერიოდი იწყება 1699 წლიდან, როდესაც არჩილი საბოლოოდ დასახლდა მოსკოვში, და გრძელდება 1725 წლამდე. ამ პერიოდისათვის კოლონია მცირერიცხოვანია, იგრძნობა კულტურულ მოღვაწეთა სიმცირე და არსებითად კოლონიის წევრთა საქმიანობა მთარგმნელობითი მუშაობით იფარგლება. კულტურულ წამოწყებას სათავეში უდგას არჩილი.

ვახტანგ მეექვსისა და მის ამალაში შემავალი პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეების დიდი ჯგუფის ჩასვლით რუსეთში (1725 წ.) იწყება მეორე პერიოდი, რომელიც ამ საუკუნის ორმოციან წლებამდე გრძელდება.

ამ დროისათვის კოლონია უკვე აღარ წარმოადგენს ემიგრანტების ოფიციალურ პოლიტიკურ დაჯგუფებას და კოლონიის წევრთა ერთი ნაწილი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეშია გაფანტული (უმეტესად უკრაინაში).

ეს პერიოდი ყველაზე უფრო ნაყოფიერია ქართული კოლონიის საქმიანობის მთელ მანძილზე. წარმოებს ინტენსიური პოლიტიკური და ლიტერატურული საქმიანობა, იქმნება ორიგინალური ნაწარმოებები, ითარგმნება რუსული წიგნები და წარმოებს დასავლეთ ევროპის ლიტერატურულ და მეცნიერულ ნაშრომთა თარგმნა რუსული თარგმანების მეშვეობით.

პოლიტიკურსა და კულტურულ საქმიანობას ამჯერად სათავეში უდგას ვახტანგი, ქართველთა კოლონიას თანდათანობით ემატება ხალხი საქართველოდან [2].

---

[1] კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, გვ. 463, 1952.

[2] იხ. დ. ბრეგაძე. ქართველი პოეტები რუსეთში, ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. XI, 1952—1953 წ., გვ. 287—288.

მესამე პერიოდი იწყება ვახტანგ მეფის გარდაცვალებიდან და გრძელდება 1801 წლამდე. ამ პერიოდში მოსკოვში ლიტერატურულ საქმიანობას ეწევიან ის პირები, რომლებიც ძველთაგან იქ დამკვიდრდნენ, და ის ქართველებიც, რომლებიც შემდეგ საქართველოდან ჩავიდნენ. მათთან ერთად იღვწიან რუსეთში დაბადებული ქართველებიც.

მეოთხე პერიოდი რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ იწყება და გრძელდება XIX საუკუნის დასასრულამდე. კოლონიის ამდროინდელ საქმიანობაზე ნ. ბერძენიშვილი წერს: „Грузинская колония в Москве и после этого (რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ. — დ. ბ.) долгое время существовала как очаг грузинской культуры и с успехом продолжала свою деятельность. Благодаря этой колонии русское просвещенное общество знакомилось с прошлым и настоящим Грузии. Образованные деятели колонии и в дальнейшем продолжали служить отечественной культуре“ [1].

კოლონიის წევრთა მოღვაწეობის ერთ-ერთ დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მათ ერთდაგვარი წვლილის როლი შეასრულეს ორი ქვეყნის კულტურათა შორის მჭიდრო კავშირის დამყარებაში. რუსული და დასავლეთ ევროპული კულტურის ნიმუშებს ქართველთათვის ხელმისაწვდომს ხდიდა იქ მყოფ მთარგმნელთა საქმიანობა. გადმოთარგმნილ ძეგლებს მოსკოველი ქართველები საქართველოში გზავნიდნენ. მაგალითად, საქართველოში გზავნის მის მიერ გაწყობილ წიგნებს სულხან-საბა ორბელიანის ძმა, ფრიად განათლებული პირი ნიკოლოზ ორბელიანი: „მე ორბელის შვილმან ქართველთა, იმერელთა და კახთ მეფეთ დედის ძმისწულმან და საქართველოს მოსამართლეთ უხუცის ძემან მროველ ეფისკოპოზმან ნიკოლოზ აღვაწერინე მარხვანი ესე და შევსწირე ქართლში რუისის ღვთაებასა“ [2]. ასევე სხვებიც გზავნიდნენ საქართველოში თავის ნაშრომებს სხვადასხვა დარგებიდან. ამ ნაშრომებში ჩანს ქართველ მოღვაწეთა ინტერესი რუსეთის წეს-ადათებისადმი. ერთი ასეთი მაგალითთაგანია რუსული „წესის და რიგის“ გადმოღებით სამღვდელთმსახურო მარხვანის გაწყობა მღვდელი გიორგი ეპიტაშვილის ხელ [3].

[1] Н. Бердзенишвили, Путеводитель к выставке „Грузинская колония в Москве“, მიმომხილველი, III, გვ. 285.

[2] М. Джанашвили, Описание рукописей церк. музея, III, стр. 71-72.

[3] М. Джанашвили, Описание, III, стр. 71.

რუსული მეცნიერების მონაპოვრებისა და პოლიტიკური აზროვნებისადმიც არ დარჩენილან ქართველები გულგრილად: ისინი დიდის ინტერესით სწავლობდნენ რუსული მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევებს, თვალს ადევნებდნენ რუსული პოლიტიკური აზროვნების განვითარებას და ყოველივე ამას უზიარებდნენ ქართულ ენაზე თავიანთ თანამემამულეებს [1].

ვახტანგ VI-ის ამალის ერთ-ერთ წევრს გაბრიელ გელოვანს, რომელიც იმერეთში შეერთებია ამალას, როგორც ბაგრატ მეფის ასულის ნინოს მხლებელი, რუსეთში კარგი ეანათლება მიუღია, მთარგმნელობითი საქმიანობისათვის მოუკიდია ხელი და რუსულიდან უთარგმნია: „ღეოღრაფია“, ანუ მოკლედ ქუჸყნის სიმრგრგულისათვის აღწერა ლათინთა ენისაგან“ [2] ასეთი შემთხვევები ხშირია.

მოსკოვის ქართველთა კოლონიის საქმიანობის სფერო კიდევ უფრო გააფართოვეს სხვადასხვა დროს იქ საქართველოდან ჩასულმა ქართველებმა, რომელთა შორის მნიშვნელოვანი იყო მწეოალი ვახტანგ ორბელიანი. ამჯერად ჩვენ ამ პირის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ძირითადი მოტივების დადგენა გვაინტერესებს.

ვახტანგ ორბელიანი

ვახტანგ ორბელიანი საქართველოს ისტორიაში კარგად ცნობილ ორბელიანთა ჩამომავალია. იგი მდივანბეგ ვახტანგ ორბელიანის დიდი ოჯახის წევრია და სულხან-საბას მკვიდრი ძმის, ვახუშტის, შვილია. ვახუშტის შვილად (თუმც ერთდაგვარი დაეჭვებით) მიიჩნია ვახტანგი ვ. დონდუამაც [3].

ვახტანგი, რომ ნამდვილად ვახუშტი ორბელიანის შვილია, ეს ჩანს საქართველოს მუზეუმის Sd ფონდის სიგელებიდან, რომელთა ნაწილი ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა თავის „საქართველოს სიძველენის“ II ტომში. სიგელში Sd 700 ვკითხულობთ: „...ესე ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგართვი მე მღვდელმან ფილიპემ თქუჱნ დიდის ორბელისშვილის ბატონის ვახუშტის შვილს ბატონს

[1] იხ. Н. Бердзенишвили, Путеводитель, მიმომხილველი, III, გვ. 284.

[2] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, A 1007, იხ. ივერია, 5—6, 1879 წ. მ. ჯანაშვილი, Описание III.

[3] იხ. ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712—1745), მიმომხილველი, III, გვ. 51, 1953 წ.

ვახტანგს და შვილსა თქვენსა ერასტის და სხუათა შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა"...[1] მეორე სიგელში. SI 708 ვკითხულობთ: „...ნასყიდობის წიგნი, ფიცი. პირი მოგეცით ჩვენ, გურიაელისშვილმა, ბატონმა ალექსანდრემ, მეუღლემა ჩვენმა ქ|ალ|ვთრისშვილის ასულმა, ბატონმა მახიამა, მომავალმა სახლისმა ჩვენისამა ყოველთავე თქვენ ბატონის ორბელისშვილის ვახუშტის შვილს, ბატონს ვახტანგს"...[2].

ვახტანგის მამა ვახუშტი ვახტანგის-ძე ორბელიანი სამეფო კართან ფრიად დაახლოებული, სამხედრო საქმეებში გამოცდილი და დახელოვნებული პირი ყოფილა. ამის გამო, როდესაც გიორგი XI საქართველოდან დამხმარე ჯარი გამოუთხოვია, იგი ქართლიდან სპარსეთში წარუგზავნიათ და ათასამდე ქართველი მებრძოლი გაუყოლებიათ. ამის თაობაზე სეხნია ჩხეიძე წერს: „გამოხდა ხანი მცირედი და მოუვიდა ქირმანიდამ მეფის გიორგის აბბავი ძმასა და დაებარებინა ქართველთ ჯარი, შეყარა ქართლის დარბაისლის შვილები და უთავა ყაფლანის-შვილი ვახუშტი, გაგზავნა ჯარი ათასამდე ენკენისთვის ი"...[3].

ექვთ. თაყაიშვილს ვახუშტი ორბელიანი გიორგი XI-ის მხლებელი ჰგონია: „ვახუშტი ორბელიანი მეფე გიორგი XI-ს გაყვა სპარსეთში"...[4] მაგრამ ეს რომ სინამდვილეს არ შეეფერება, ამას ს. ჩხეიძის ცნობასთან ერთად ადასტურებს თვით გიორგი XI-ს სამძიმრის წერილიც, რომელიც მას გამოუგზავნია სულხან-საბა ორბელიანისათვის მისი ძმის ვახუშტის გარდაცვალების გამო. აქ ვკითხულობთ: ...„თვალის სინათლე თქვენი და დიდათ ხურგად იმედი ჩემი, სასურველი და სიქადული ძმა თქვენი, წინაშე ჩემსა წარმოგზავნილი, ამანათი და შემოვედრებული, და აწ სუდარითა კელითა და ფერკითა შეკრული წარმომიცლენია"...[5].

ვახუშტი გარდაცვლილა მოულოდნელად, რაიმე ხანგრძლივი ავადმყოფობის გარეშე. ამის შესახებ აცნობებს გიორგი მდივანბეგი საბა და ერასტი ორბელიანებს: ...„ბატონს ასე ეწყინა, რომე თავისი ბაგრატ დღეს მოკვდომოდეს, რომ მოვახსენეთ, არ დაგვიჯერა: ჩემი ვახუშტი ახლა ვნახეო, ეს რა დაგემართაო. ეგებ გაცხელებსო

[1] ე. თაყაიშვილი, საკ. სიძველენი, II, 298.
[2] იქვე, 307.
[3] სეხ ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, ნაწ. II, გვ. 320.
[4] ექვთ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, გვ. 209.
[5] იქვე, გვ. 220.

და ცხელებით მეუბნებოდეო, მერმე მოვახსენე: საყვარელი რომ კაცს არ ემე[illegible]ებოდეს მეთქი, მისას არას დაიჯერებს მეთქი. მერმე წაიშინა თავსა და მრავალი იცა"...[1].

უნდა გარდაცვლილიყო ვახუშტი 1707 წელს, რადგანაც 1706 წლის ნასყიდობის წიგნში იგი ცოცხლად იხსენიება, სოლო 1707 წელს შედგენილია სია სააღაპოდ გამოსაღებისა ვახუშტი ორბელიანისათვის[2].

სხვადასხვა საბუთებიდან ირკვევა, რომ ორბელიანთა სიყვარული ლიტერატურული საქმიანობისადმი ვახუშტისაც თანდაყოლილი ჰქონია. როგორც სათანადო საბუთები მიუთითებენ, ვახუშტი ორბელიანთა ტრადიციულად კულტურული გვარის განათლებული წარმომადგენელი ყოფილა და როგორც ჰგავს იმდენად ავტორიტეტულად მიაჩდათ მისი თვალსაზრისი კულტურის საკითხებში, რომ ისეთ მეცნიერსაც კი, როგორიც საბა იყო, მის მიერ გაწყობილი ქართული განმარტებითი ლექსიკონი დამთავრების შემდეგ ვახუშტისათვის გაუგზავნია სპარსეთში გასაცნობად და ალბათ საკუთარი აზრის გამოსათქმელად. ლექსიკონს ადრესატისათვის ვერ ჩაუსწრია, გიორგი XI ამის გამო გულნაკლული აცნობებს სულხან-საბას: ....ლექსიკონი გამოგეგზავნა და ნეტამც იმას მოსწრებოდა ვისთვისაც გამოგეგზავნა! მე ის მიამებოდა!.."[3].

ვახუშტის ცხედარი ქართველებს საქართველოში წამოუსვენებიათ და დიდის პატივით დაუკრძალავთ საგვარეულო სამარხში.

ირანში წასულ ვახუშტის საქართველოში დარჩენია სამი შვილი: ერთი ქალი და ორი ვაჟი. ქალს ბანგუა რქმევია, ვაჟებს ელიზბარი და ვახტანგი. სიაში, რომელიც შედგენილია 1711 წელს და რომელშიც აღწერილია, თუ ვის დაურიგდა ვახუშტი ორბელიანის ქონება, ვკითხულობთ:

..."ყვითელი სუსი ელიზბარსა და ვახტანგს პერანგებად დაუკერეთ და ბანგუასა".

..."თალხი სუსი კიდევ სამთავ და-ძმათ — ახალუხებად"...

..."სამი საბანი ყმაწვილებისათვის შეუკერავთ"...[4].

ირანში ვახუშტის წასვლის შემდეგ ბავშვები აღსაზრდელად ბიძას — მდივანბეგ ერასტის აუყვანია. ამას ჩვენ ვგებულობთ ერას-

---

[1] ე ქ ვ ტ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, გვ. 218.
[2] იქვე, გვ. 209.
[3] იქვე, გვ 223.
[4] იქვე, გვ. 286—287.

ტის მიერ ელიზბარისა და ვახტანგისადმი მიცემულ ანდერძის წიგნიდან [1]).

„მე, მამა თქუენი, მდივანბეგი ერასტი მოგახსენებ ჩემო დამტირებელნო შვილებო, ელისბარ და ვახტანგ, ასე რომ ჩემი ძმა ვახუშტი რომ მეფეს გიორგისთან წავიდა, თქვენ ერთი ოთხის წლის იყავით, ერთი სამის წლის ამიყვანიხართ. თქუენვე იცით, დედა თქუენს როგორ დაუზრდიხართ. ახლა ჩემის ცოდვით ჩემი ძმა იქ მოკუდა ბატონს ჩემთან. თუ რამ მეფეს გიორგის წყალობა ეშოვნა, სულ აქ მოგიგიდა, ზოგი იმის სულისათვის დავხარჯე, ზოგი თქუენ მოგახმარე, ზოგი თქუენს დას გავატანე; [2] მეც დავხარჯე, რადგან მე მამა ვყავ, თქუენ შვილები. ჩემი — თქუენთვის.მინდოდა, თქვენი ჩემი იყო. ამისთვის რა გინდა — რა დავხარჯე. რადგან სოფელმა ასე მოშიკდინა, შენც მამა შენსავით ბატონ შენს გაყევ. როგორც მინდოდა ის არ მოხდა. რადგან პირნახული მამა და დედა ვიყავით, ჩვენც, რაც ჩვენი ნასყიდი იყო სატრედოს გარდა. თქუენ მოგეცით ორთავ ცოლმა და ქმარმა. ღ[მერთ]ი ხომ იცის, რაც გვიყიდია, უფროს ერთი სულ დედის შენის ხითვით, ზოგი იმის კელსაქმრისაგან გვიყიდია, არცა რა თქუენის სახლისა ურევია, შიგაც თქუენს შეტი არავინ ჩამიწერია, არც ბიძა თქუენებს კელი აქუს ამ ჩემს ნასყიდში. ეს ჩემი ნასყიდობა ახალშენი როცა შიყიდია არც გიროთ გაქუს, უკან დაღეთს თათრისშვილის მამულა,

---

[1] რადგანაც ერასტი ამ სიგელებში თავის თავს მამად ასახელებს და ელიზბარს და ვახტანგს შვილებს უწოდებს, ე. თაყაიშვილი ამ სიგელს ასე ასათაურებს: „წიგნი მდივანბეგ ერასტისა თავის შვილების ელიზბარ და ვახტანგისადმი" მიცემული... (საქ. სიძვ. II, გვ. 216).

ზოგიერთ სიგელშიაც ვახტანგი და ელიზბარი ერასტი ორბელიანის შვილებადაა გამოცხადებული. Sd ფონდის № 695 სიგელში წერია: „...ესე ნასყიდობის წიგნი, პირი და ფიცი მოგეც ჩე, თაყაშვილმან დემეტრემ თქუენ, ორბელიანს და საქართველოს მსახურს, მდივანბეგს, ბატონს ერასტის, შვილთა თქუენთა ელიზბარს და ვახტანგს"... იხ. საქართველოს სიძველენი, II, გვ. 341.

ერასტი რომ ბიძაა და არა მამა, ეს მეფე დავითის [იმამყულიხანის] და ქაიხოსროს მიერ 1710 წელს გაცემული სიგელიდანაც მტკიცდება: „...ესე ჟამთა ვახანთა გასათ ვებული მტკიცე და უცვალებელი წყალობაი წიგნი და სიგელი შეგიწყალე და გიბოძე თქვენ ორბელისშვილს მდივანბეგს ბატონს ერასტის, ძმისწულსა შენსა ელისბარს და ვახტანგს და ძმასა შენსა ყაფლანს, ზურაბს და დიმიტრის"... საქართველოს მუზეუმის სიგელთა პირები, H 2511, I სიგელი, გვ. 27.

[2] ვახტანგის ეს და როგორც გავს პაპუნა ციციშვილისათვის უნდა მიეთბარებიათ. ლევან ბატონიშვილის მიერ ერასტი ორბელიანისადმი გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „კურთხეულმა ვახუშტიმ თავისი ქალი პაპუნა ციციშვილს მისცა"... ეკვთ. თაყაიშვილი, საქ. სიძველენი, II, გვ. 293.

ქალაქის სასახლე, მამის ჩემის სასახლეს უკან, დიდის აივნიდამ მოკიდებული, იმავ მამის ჩემის დევახანამდის, სამძღვარი და ძველი კედელი შორს ეტყობა, ესეები ყუელა თქუენ ორის ძმისათჳს მოგვიცემია მეც და დედა თქუენსაც. მანამდის ცოცხალი დედა თქუენი იყოს, მორჩილებით უნდა მსახუროთ. თქვენვე იცით, როგორ დაუზრდიხართ, ან რაც ჩემს ანდერძში სწერია, ის არ მოუშალოთ; ...რახან ეგ დედა თქვენიც ჩემსაჳთ მიიცვალოს, შვილებმა დამარხეთ. ეს ჩემი ნასყიდი თქუენ გჭონდესთ. სხვა სწორეთ მოიხმარეთ"...[1] ერასტის ანდერძის წიგნს მისი მეუღლე ანახანუმი ადასტურებს: „მე დედა შენს ანახანუმს ეს წიგნი მომიცია მამა შენ [ი]ს[თვის]"... ანდერძს ადასტურებს ერასტისა და ანახანუმის შვილი მარიამი. პირველი გვერდის აშიაზე სხვა ხელით მიწერილია: „მე მარიამ ამისი მოწმე" (ვაო), რომ გვერდს გჯდომივარ, რომ ჩემა დედ-მამათ ეს ასე გააოიგეს"...[2]

ბავშვებს დედა ადრე გარდაცვლიათ და მათთვის დედობა ანახანუმს გაუწევია. რაკი მეურვეობა ერასტის უკისრნია, მას თავისი შეხედულებისაებრ გამოუყენებია ვახუშტის დანატოვარი ქონება. ვახუშტი ორბელიანის დანაშთომი ქონების განაწილების სიაში ვკითხულობთ: „სამი ადლი ხავერდი — მდივანბეგს დაუხარჯავს"...[3]

...„ორი ბაბთი და სხვა საბნის მონარჩომი თეთრი მდივანბეგს დაუხარჯავს"[4].

...„ვერცხლის ლეკურის იარაღი მდივანბეგს დაუხარჯავს"...[5]

...„სურმა ბავთი ერთი — დედოფალს მივართვით და ერთი ჩემმა რძალმა ანახანუმ (ერასტის მეუღლე) გაცვითა"...[6]

ალბათ ამაზე წერს თავის სიგელში ერასტი: „ზოგი მეც დავხარჯეო"...

როგორც ერასტის ანდერძის წიგნიდან ჩანს, ელიზბარსა და ვახტანგს მამის ქონების გარდა მემკვიდრეობით მიუღიათ ერასტი ორბელიანის ქონებაც.

ვახუშტის ირანში გამგზავრებისას (1703 წელს 10 სექტემბერს)[7] ვახტანგი 3 წლის ყოფილა. გამოდის, რომ ვახტანგ ვახუშტის-ძე,

---

[1] ე კ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, II, გვ. 216—217.
[2] იქვე. გვ. 217.
[3] იქვე, გვ. 287.
[4] იქვე.
[5] იქვე, გვ. 288.
[6] იქვე, გვ. 286.
[7] ს ე ხ ნ ი ა ჩ ხ ე ი ძ ე, საქართველოს ცხოვრება, გვ. 320.

ორბელიანი დაბადებულა 1700 წელს. მისი ძმა ელიზბარი კი 1699 წელს. ძმები ბიძების ზედამხედველობით იზრდებოდნენ და, ფაქტია, შესაფერისს სწავლა-განათლებასაც მიიღებდნენ, მით უმეტეს, რომ მათი აღზრდის ხანა დაემთხვა ვახტანგ VI-ის ნაყოფიერ კულტურულ მოღვაწეობას ქართლში.

შემდეგში ვახტანგის უფროსი ძმა ელიზბარი სახლთუხუცესი გამხდარა. ვახტანგი დამოყვრებია ცნობილ ისტორიკოსსა და ვახტანგ VI-ის მოლარეთუხუცეს სეხნია ჩხეიძეს — ცოლად შეურთავს მისი ასული ანახანუმი. ანახანუმი ვახტანგის ცოლად იხსენებება SdI ფონდის № 708 და H 2511 № 11 სიგელებში. მეორე სიგელი შედგენილია 1729 წლის 21 თებერვალს: ...„ესე ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე, ზაზუნასშვილმა ზაალ თქვენ, ჩხეიძის მოლარეთ-ხუცის სეხნიას ასულს, ბატონს ანახანუმს და თქვენს მეუღლეს, ორბელიანს ვახუშტის შვილს ბატონ ვახტანგს, და შვილს თქვენსა ერასტისა,[1] ასე და ამა პირსა ზედა, ოდეს ოსმალონი მოვიდნენ და საქართველო დაიჭირეს, მას ჟამსა დიდათ დამეჭირა და ვალს და შეჭირვებაში ჩავარდი. სხვისგან ღონე ვერსიდ მოვიეც, მოველ ჩემის ნებაწადილითა და მოგყიდე ჩემი სამკვიდრო და ბარათში გამოტანილი მამული“[2].

როდის უნდა დაქორწინებულიყო ვახტანგ ორბელიანი სეხნია ჩხეიძის ქალზე?

ერთ სიგელში, რომელიც შედგენილია 1725 წლის 20 თიბათვეს, ვკითხულობთ: ...„ესე ...ნასყიდობის წიგნი მოგართვი მე იარალის შვილის ფარემეზიშვილმა თეიმურაზა და გიორგიმა თქვენ, ორბელისშვილს ელისბარს და ვახტანგს, შვილსა შენსა ერასტისა, ასე რომე დამეჭირა და მოგყიდე იჭრეშიას ჩემი სამკვიდრო მამა-პაპათ ნაქონი, უცილებელი, ბარათში გამოყოლილი დონდარასშვილის მამული ზურაბასი“[3].

აქედან ირკვევა, რომ ვახტანგს 1725 წელს უკვე ჰყავს ერთი შვილი. ამგვარად, იგი 1723 წელს უნდა დაქორწინებულიყო, თუ უფრო ადრე არა. ეს ქორწინება ვახტანგ VI-ის ქართლიდან გამგზავრებამდე უნდა მომხდარიყო.

დღემდე ვახტანგ ორბელიანი ვახტანგ VI-ის მხლებელად იყო მიჩნეული, „ანთოლოგიაში“ ვკითხულობთ: „ვახტანგ ორბელიანი—

[1] როგორც ჩანს, ვახტანგს მამობილის, ერასტის, პატივისცემით თავისი შვილისთვის ერასტი დაურქმევია.

[2] ე. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, გვ. 350.

[3] იქვე, გვ. 330.

ვახტანგ VI-ის მხლებელთაგანი უნდა იყოს, როგორც შესავლიდან ჩანს „პეტერჰოფი" 1737 წელს დაუწერია, ცხადია, რუსეთში" [1].

ასეთი მოსაზრება იმ დროს მართლაც შეიძლებოდა შექმნილიყო, რადგანაც ვახტანგ VI-ს ბევრი ორბელიანი გაჰყვა თან. ცნობებს ამის შესახებ ჩვენ „ვახტანგიანის" ავტორი გვაწვდის; ვახტანგის გამგზავრების წინო:

„შეუთვალეს ერისთვებსა, მუხრანთ მპყრობს და ამილახორს,
მეფის დედის ნათესავებს, ორბელიანთ ვინც ოჯახობს,
თქვენი ხმალი თქვენ მტერზედან ალმასობს და ბასრით მახობს
და განეშზადეთ ჩრდილოვეთსა, თვალმან თქვენმან მალე მნახოს" [2].

ორბელიანებიც მომზადებულან და თან გაჰყოლიან ვახტანგს:

...„შვიდი ძმა და სახლის კაცნი, ორბელიანთ თესლი გვარი,
საღმრთონი და საერონი, ჭკვიანი და მწვე სახმარი" [3].

ეს შვიდი ორბელიანი, როგორც ვახტანგ VI აღნიშნავს, ერთ სიგელში (Sd № 710) იყვნენ ვახტანგ ორბელიანის ბიძები სულხან-საბა, თბილელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ, დედოფლის სახლთუხუცესი დიმიტრი — ცოლშვილით, ზაალ — ყოფილი ზოსიმე და ვახტანგის ბიძაშვილი ბენედიქტე [4]. ორბელიანებმა დიდი სამსახური გაუწიეს მეფეს ამ მძიმე მგზავრობის დროსაც [5]. მაგრამ ორბელიანთა ოჯახის რამდენიმე წევრი საქართველოში დარჩენილა, მათ შორის ვახტანგ ორბელიანიც. როგორც ირკვევა, ელიზბარისა და ვახტანგ ორბელიანების მატერიალური მდგომარეობა ვახტანგ VI-ის საქართველოდან წასვლისა და ქართლში ოსმალური წესწყობილების შემოღების შემდეგ მაინცადამაინც დიდად არ შერყეულა. ელიზბარი და ვახტანგი მრავალ მამულს ყიდულობენ. მაგალითისათვის დავასახელებთ რამდენიმე შემთხვევას:

I. ნასყიდობის წიგნი. პიმცემი ფილიპე მღვდელი, მიმღებნი ვახტანგ და ერასტი (შვილი) ორბელიანები. (1728 წ.) [6].

---

[1] ალ. ბარამიძე. ანთოლოგია, II, გვ. 302.

[2] „ვახტანგიანი", ლიტერატურული ძიებანი, IV, გვ. 191.

[3] იქვე, გვ. 192.

[4] ე კ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, II. გვ. 357.

[5] „ვახტანგიანი", ლიტ. ძიებანი, IV, გვ. 195, გ. ლეონიძე, „ბოლო ფურცლები სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიისა", ლიტერატურული გაზეთი, № 4. 1955 წ.

[6] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, H 2511. იხ. აღწერილობა, VI, გვ. 7.

II. ნასყიდობის წიგნი — მიმცემი ზაალ ზაზუნაშვილი, მიმღებნი: ჩხეიძის ასული ანახანუმი, მისი მეუღლე ვახტანგი და შვილი ერასტი (1729 წ.)[1].

III. ნასყიდობის წიგნი, მიმცემი გურიალისშვილი ალექსანდრე, მიმღებნი: ვახტანგი, მეუღლე მისი ჩხეიძის ასული ანახანუმი. (1730 წ.)[2].

IV. ნასყიდობის წიგნი, მიმცემი ქაიხოსრო ორბელიანი, მიმღებნი: ელიზბარ და ვახტანგ მდივანბეგის შვილები. (1730 წ.)[3].

V. ნასყიდობის წიგნი — მიმცემნი: ზაზა, ნიკოლოზ, დავით, ძმისწული ბარათა და გიორგის შვილები, მიმღებნი: სახლთუხუცესი ელისბარი და მისი ძმა ბატონი ვახტანგი. (1732)[4].

ბევრი ასეთი მაგალითის მოტანა შეიძლება.

კარგი ურთიერთობა ჰქონია ელიზბარსა და ვახტანგს კახეთის მეფე კონსტანტინესთან, რომელიც ვახტანგ VI-ის ქართლიდან წასვლის შემდეგ უნერგიულად ცდილობდა ქართლის ხელში ჩაგდებას. ამ მიზნის განხორციელებისათვის კონსტანტინე ალბათ ქართლში თავის მომხრეთა გამრავლებას ცდილობდა და ორბელიანთა გავლენიანი გვარის წარმომადგენლების მიმართ მოწყალებას არ იშურებდა, თუმცა ეს მოწყალება იმჯერად არარეალური იყო. მაგრამ ასეთ მოწყალებასაც ორბელიანებთან კეთილი განწყობილება მაინც უნდა განმტკიცებოდა. აი, როგორი დაბეჭდებით აღსავსე სიგელს აძლევს კონსტანტინე ელიზბარსა და ვახტანგს: „ნებითა და შეწევნითა ღ-თისათა ჩვენ, მეფემა, პატრონმა მაჰმად-ყულიხან, თანამეცხედრემა ჩვენმა, დედოფალმან, პატრონმა ფერიჯან ბეგუმა, პირმშომა და სასურველმა ძემა ჩვენმან. პატრონმან ბაგრატ, ძმამან, ჩვენმა, პატრონმა თეიმურაზ, ძმისწულმა ჩემმან, პატრონმან მაჰმად-მირზამა და ალი მირზამ და ერეკლემ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა და ჩვენის სიკეთის მდომს ყაფლანიშვილს ელიზბარს და ძმასა შენსა ვახტანგს და ყოველთა მომავალთა სახლისა თქვენისა, ასე რომ წყალობას გვიაჯენით და ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ეს წყალობის წიგნი გიბოძეთ: თუ ღმერთმან და

---

[1] ხელნაწერთა აღწერილობა, IV, გვ 8. აღწერილობაში შეცდომით ერასტი მიმღებთა შორის არაა დასახელებული.

[2] იქვე, გვ. 7. აღწერილობაში შეცდომით ვახუშტი ორბელიანიც სიგელის მიმღებადაა გამოცხადებული.

[3] იქვე.

[4] იქვე. აღწერილობაში შეცდომით სიგელის მიმცემად ელიზბარ და ვახტანგ ორბელიანები არიან გამოცხადებული და მიძღებად — ზახუნაშვილი.

კელმწიფემ ჩვენის სამკვიდროს მამულის საქართველოს ბატონობის წყალობა გვიყოს, შენ საბარათიანოს სარდრობის და შენის მამულის უფროსობა და შულავერის მოურაობა წყალობა გიყოთ და არც შენი სახლის კაცი და განაყოფი შენსა ვირჩიო და მწყალობელიც ვიყენეთ. ამისათ გასათავებლად და თავდებათ და მოწმად მოგვიცია ჯერ ღმერთი და მერმე ჩვენი ფეიღამბარი, რომ ეს ასე დაგიმტკიცოთ და არც მტრის პირით შაგიბეზღოთ, და თუ შენ ჩვენზე ერთგულობა მოინდომო, არაფერი შენზე არა ვიტყუო რა. კიდევ ღმერთი და ფეიღამბარი თავდებათ მოგვიცია“ [1].

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალთა ბატონობისას ქართლში მოსახლეობას ძალზე ავიწროებდნენ, ორბელიანთა გვარის ამ წარმომადგენლებისათვის (ელიზბარი და ვახტანგი) ოსმალო ბეგებსაც ანგარიში გაუწევიათ და ზოგჯერ მათი ინტერესების დაცვაც უკისრნიათ. ჩვენ ხელთ არის ოსმალო მოხელის უსუფ ბეგის მიერ გაცემული ორი ბრძანება. ერთი ეხება ვახტანგისათვის ორი კომლი გლეხის ბოძებას და მეორე ვახტანგის მიერ შესყიდულ მამულზე მოცილე ოსმან ფაშას ჩამოცილებას.

პირველი: „ბედნიერის ვეზირის ქეჰა უსუფ ბეგ გიბრძანებ, მერმე ცხნარი და საკაცე ყაფლანის შვილის ვახტანგის ნასყიდი ყოფილა და ამ სოფლებში ერთი ორი კომლი კაცი სხვისა რევებულა, ჩვენს სამართალში ერთს სოფელში ორი ბატონი არ იქნებიის. სულ ის სოფლები კელ შეუალად ვახტანგისათვის გვიბოძებია ამის მეტს კაცს კელი ნუ აქვს და მირიც ამან აძლიოს რაც ეწეროს იმ სოფლებს“ [2].

მეორე: ბედნიერის ვეზირის ქეჰა უსუ[ფ]ბეგ გიბრძანებ თაყაშვილო აბდულავ, მერმე ვახტანგ ყაფლანის შვილისთვის ცხნარს ზამჭელი მიგიყიდნია და იმ შენს მისყიდულს მამულს იენგიჩარი ოსმან ბაშა ეცილება სადმე რომე აბდულას ვალი მართებსო. იმ შენს მოვალეს ამასთან რა ხელი აქვს. შენ შენს მოვალეს პასუხი გაეც. ამას იმ მამულისა ბედნიერის ვეზირის ბუირული აქვს და ჰყიდის უჯათი. ვინ რასმე ეცილება. ოსმა ბაშავ, შენ მაგ სოფელს ჩამოეხსენ, თვარემ პასუხს ვერ მოგვცემ. შენ იცი და აბდულამ, იმას ელაპარაკე“ [3].

ბრძანებები შედგენილია 1730 წელს.

---

[1] ე ქ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, II, გვ. 349—350.

[2] ოსმალებს ურჩევნიათ ეოთ სოფელში ერთ პირთან ჰქონდეთ საქმე და ამიტომაც აძლევენ ვახტანგს მთელ სოფელს.

[3] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, H 2511, იხ აღწერილობა, VI, გვ. 8.

ოსმალო მოხელეები ერთ-ერთ სიგელში ელიზბარსა და ვახტანგს პატივცემულ პირებად იხსენიებენ და სოფლებს უკანგორსა და გორინჯუკს აძლევენ:

„ვეზირი ისაჰყ ფაშა ვიკადრებ ჩვენ მაგიერად ჩვენგან პატივცემულს ყაფლანის შვილს ელიზბარს და ვახტანგს ასე უანბეთ, მერმე უკანგორი და გორინჯუკი თქუჱნთვის წყალობა გვიქმნია იმ სოფლებთან ნურც თათარს და ნურც ქართველს კელი ნუ აქვს, თქვენ დაიჭირეთ. იცოდენ, თუ ვინმე შემოგეცილათ პასუხს ვერ მოგვცემენ. გიბრძანებ, უკანგორის და გორინჯუკის მამასახლისო და გლეხებნო თქუჱნი თავი ამ ყაფლანისშვილის ელიზბარისა და ვახტანგისათვის გვიბოძებია და ამათ მიუდეგით და მსახურეთ რაგვარადაც ბატონყმობის რიგი და წესი იყოს, სხუას არას კაცს თქვენთან კელი არა აქვსთ ამათ მეტსა. დაიწერა ქრისტის შობის ია [11], ქ^კს უიჱ" [1730 წ.][1].

როგორც ზევით მოტანილ სიგელებიდან ჩანს, ოსმალებიც ცდილობენ თავიანთი ერთგულთა დასი გაამრავლონ და მომხრეებს დიდგვარიან ფეოდალთა შორის ეძებენ.

მაგრამ კახთ მეფის კონსტანტინესა და ოსმალთა ამ ორპოფულ მოწყალებას ვახტანგ ორბელიანი სამშობლო ქვეყნის მოღალატედ ვერ გადაუქცევია, იგი კვლავ ვახტანგ VI-ის მოთაყვანეთა ჯგუფში დარჩენილა და თვალი რუსეთისაკენ სჭერია, მიმოწერაც ჰქონია ვახტანგთან. ამას ადასტურებს ვახტანგ VI-ის მიერ გაცემული სიგელი, რომელშიც საერთოდ ორბელიანთა და კერძოდ ელიზბარისა და ვახტანგის დამსახურებაზეა ლაპარაკი:

„ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ, ღვთივ ამაღლებულ-აღმატებულმან და ღვთივ ცხებით ზეცით გვირგვინოსანმან, იესიან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოიანმან და ყოვლისა საქართველოსა თვით მპყრობელმან მეფეთ მეფემან, პატრონმან ვახტანგ და თანა-მემცხედრემან ჩვენმან, ჩერქეზ ბატონის ასულმან, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან რუსუდან, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, მეფემ ბაქარ და გიორგიმ, ესე ამიერ უკუნისამდე ხანთა და ჟამთა გასათავებელი და საბოლოოდ გამოსადეგი წყალობისა და მამულის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუჱნ ჩვენთა დიდათ ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა ორბელის-შვილს, სახლთხუცეს ელიზბარსა და ძმასა შენსა ვახტანგს, ასე რომე ძველთაგანაც დიდათ გარჯილნი და ნამსახურნი იყვნენ თქუჱნი პაპანი

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი H2511, გვ. 8.

ჩვენს პაპა-მამა-ბიძაზედა და ახლა კიდევ უფროსად განგვიახლეთ თქუენი სამსახური. ასე რომე ბატონი ბიძა ჩვენი მეფე გიორგი ყანდაარს ყეენის ბრძანებით წაბრძანდა და აქედამ მამაშენი ორბელის შვილი ვახუშტი თავისის ერთგულობისა და ჩვენის სახლის გაძლიერებისათვის მოინდომა მეფესთან წასვლა და მრავალნი კარგნი დიდებულნი და კაი მოლაშქრენი წაყენენ თანა და ჩავიდა ყანდარს და იახლა ბატონსა. მის წინ სამსახურები ქმნა და მასთანავე მიიცვალა ყანდაარსა. მერმე ურუმთ ჯარი ჩამოვიდა ქართლში და ჩვენ ალარ დაგვინდვეს და საქართველოში ველარსად დავდექით, წამოვედით რუსეთის კელმწიფესთანა და თან გვიახლა ბიძაშენი, მეფის გიორგის გაზრდილი, სულხან — ყოფილი საბა, მისი ძმა, ბიძაშენი თფილელი მიტროპოლიტი ნიკოლოზ და ბიძაშენი, დედოფლის სახლთ უხუცესი, დიმიტრი ცოლით და შვილით. ბიძაშენი, ზაალ — ყოფილი ზოსიმე და შენი ბიძაშვილი ბენეტიკტე და მრავალი სარჯელი და სამსახური გამოიარეთ ჩვენის ერთგულობისათვის. საბა რუსეთს ჩვენთან მიიცვალა. ამ დიდის სამსახურისათვის ჩვენგან ეს ცოტა რამ წყალობა ითხოვე და ბატონ ყმურის სიყვარულით წყალობა გიყავით: თუ ღ~თ ჩვენს საბატონოში ჩვენ და ჩვენ შვილს ვისმე წყალობა გვიყო და მივაწიეთ იქ ქართლში, შენის თეთრის გირაოდ სომხითს მელიქისაგან გირაოდ ნახევარი სოფელი წოფისი შენ გეჭირა და მოცემული წიგნითა გქონდა. ახლა ჩვენ ეს წყალობა გიყავით. ის შენის თეთრის გირაო სოფელი, რაც შენს თამასუქში სწერია, ისი და იმას გარდა ის სოფელი სომხითის მელიქისა წოფა კელშეუცვალად თქუენთვის გვიბოძებია; მისის მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, სახნავითა, უხნავითა, ვენახითა, ყათიბითა, უთიბითა და ყოვლის მისის სამართლიანის ნაქონის სამძღვრითა. გქონდეს და გიბედნიეროსთ ღ~თ ჩვენსა ერთგულებასა და სამსახურსა შიგან. აწე გიბრძანებთ, კარისა ჩვენისა გამრიგენო ბრძანება ესე ჩვენი, რომელიცა ამა ჩვენთაგან ნაწყალობელსა ფარმანსა შიგან ეწეროს, თქუენცა ასე დაამტკიცეთ. დაიწერა ბრძანება ესე კელითა კარისა ჩვენისა მდივან-წიგნობრის კავკასიძის მელქისადაგისათა ჩღლ 1 წელი". [1730 წ.][1].

ეს სიგელი ხათლად ადასტურებს ვახტანგ VI-ის კეთილგანწყობილებას საქართველოში დარჩენილი თავისი ერთგული თანამშრომლისადმი.

საბოლოოდ ვახტანგ ორბელიანსაც გადაუწყვეტია რუსეთისაკენ

[1] საქართველოს მუზეუმის Sd № 710. იხ. საქართველოს სიძველენი, II, გვ. 357

გამგზავრება. დღემდე არ ყოფილა გამორკვეული. როდის უნდა დასდგომოდა ვახტანგ ორბელიანი ვახტანგ VI-ის ნაკვალევს.

როგორც სიგელებიდან ჩანს, ვახტანგი 1729—30—31—32—34 წლებში საქართველოშია. რუსეთში ის უნდა ჩასულიყო 1735 წელს. ამის დამადასტურებლად შეიძლება დასახელებულ იქნას აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი Ros 335, რომელიც წარმოადგენს გრაფ სიმონ ანდრიას-ძე სალტიკოვთან მიმოწერასა და ვახტანგის ამალის სიას. ხელნაწერიდან ჩანს, რომ კოლონიას სხვადასხვა წელს საქართველოდან თანდათან ემატებოდა ხალხი. მაგ., 1734 წელს ჩასულა იქ პოეტი დიმიტრი სააკაძე [1], 1737 წელს — სასულიერო პირები და სხვა მრავალი. სიაში გვხვდება ჩვენი საძიებელი პირი, ვახტანგ ვახუშტის-ძე ორბელიანი. „Князь Вахтанг Орбелианов, при нем дворянин Анофрии Матвеев, служителей двое"... ღებულობენ ფულად 110 მანეთს, 12 მეოთხედ ჭვავს, 10 მეოთხედ შვრიას, 180 ფუთ თივას და 2 საჟენ შეშას. ჩასულან მოსკოვში 1735 წელს. გრაფაში — Прибыли вновь წერია 4 და გრაფაში Годы — 1735 წ. [2].

ჩანაწერიდან ჩანს, რომ ვახტანგი რუსეთში მარტო ჩასულა, ცოლ-შვილი საქართველოში დაუტოვებია. ჯერ-ჯერობით არ მოხერხდა გამორკვევა, რა მიზნით უნდა ჩასულიყო ვახტანგ ორბელიანი რუსეთში. რაკი ცოლ-შვილი საქართველოში დატოვა, მას იქ ხანგრძლივად დარჩენა განზრახული არ ჰქონია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვახტანგ ორბელიანის ჩასვლის მიზეზი პოლიტიკური იყო და ალბათ ამიტომაც მოხვდა იგი პეტერბურგში. ამის შესახებ თავისი „პეტერგოფის აღწერის" შესავალში იგი წერს: „მე, ვახტანგ ორბელიანი, წელსა ჩღლვ (1735) თვესა აგვისტოსა ვ (6), მეფეთ მეფობასა დიდისა რუსეთსა მპყრობელისა იმფრატრისა ანნა იოანეს ასულისასა უმეცრობათა ჩემთაგან მრავალ განსაცდელ შემთხვეული ვიმყოფებოდი სამეუფოსა ქალაქსა პეტრებრუხს" [3].

პეტერბურგში ვახტანგ ორბელიანის გარდა სხვა ქართველებიც არიან, რადგანაც ცენტრალური ხელისუფლება აქ იმყოფება და ხელისუფლებასთან ახლო კავშირია საჭირო [4]. აქვე არიან რუ-

[1] დ. ბრეგაძე, ქართველი პოეტები რუსეთში, ალ. წულუკიძის სახელობის ჭუთაისის პედინსტიტუტის შრომები, XI, გვ. 288.

[2] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი Ros. 335, გვ. 97—98.

[3] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 2770, გვ. 46, ცისკარი. 1857 წ. № 9.

[4] იხ. ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712—1745), მიმომხილველი, III, გვ. 50, 1953 წ.

სეთის სამეფო კართან ფრიად დაახლოებული ქართველი მეფისწულები. ერთგან ვახტანგ ორბელიანი წერს: „...რ[ა]სა ჟამსა წარვიდა თჳთ დიდი იგი კელმწიფე ადგილსა საზაფხულოსა, სადა აღეგო დიდსა მეფეს პეტრეს მეფეთ მეფესა და მუნ წარვიდოდიან ქართველთა მეფისა ძენი და მათნი თავადნი და რა მუნით ავიდოდიან მიამბობდინ უცხოობასა მის ადგილთა და შენობათასა და მაიძულებდენ ნახვას მას ადგილისასა და მეცა აებაძდი ამხანაკებთა ჩემთა და მოვინებე წარსულა“ [1].

აქედან ისიც ჩანს, რომ ვახტანგი პეტერბურგში რაღაც საქმეებითაა დატვირთული და თავისუფლად სიარულის დრო არა აქვს, მაგრამ როდესაც ძალიან დაუინტერესებიათ პეტერგოფით, მაშინ მასაც გადაუწყვეტია ენახა ეს მშვენიერი ადგილი, „აებაძდი ამხანაკებთა ჩემთა“-ო, წერს იგი. რუსეთში ვახტანგი დიდხანს არ დარჩენილა და უკან გამომგზავრებულა. რუსეთიდან უკან გამობრუნებაც ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა. Rgs. 335-ში ამის შესახებ ვკითხულობთ: „Отъехали в Грузию“ და მითითებულია წამოსულთა რიცხვი. მაგ. 1734 წელს საქართველოში წამოსულა 12 კაცი. სენნია ჩხეიძის საქართველოს ცხოვრებაშიაც ვხვდებით ცნობებს რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებულთა შესახებ. მაგ. „...ამავ ჭორონიკონს უკვ (1738) მოვიდა ქსნის ერისთავი რუსეთიდან თავის მამულში“ [2]. ასევე დაბრუნებულა ვახტანგიც, მაგრამ როდის? ყოველ შემთხვევაში 1738 წელს იგი საქართველოშია და კახეთის მეფის თეიმურაზისაგან ღებულობს წერილს, რომლითაც თეიმურაზი ვახტანგს ერეკლესათვის ცოლად სთხოვს ასულს ქეთევანს:

„ჩვენგან მათ საკადრისად დღე ყოველ დიდებით სახსოვრათ და მათ შესატყვისათ კეთილად არაოდეს დასავიწყართ, ყაფლანის შვილებს, ბატონს ელისბარს და ბატონს ვახტანგს, მრავალი მაგათის ყოვლის სამღთო, სადიდკაცოს, ზნე სრულებით უნაკლულოს კაის თავის მოკითხვა და კარგად ყოფის სიხარული მოახსენეთ! მერმე თქვენი ოჯახი კელმწიფეთ მემძახლენნი ყოფილან, და ჩვენც თქვენი მოყვრობა მოვინდომეთ: ერეკლესათვის თქვენი ქალი მოგვეცით და მოყვრობა და ერთობა კიდევ უფრო გავაახლოთ. სარდალსა და ამილახვარსაც წიგნები მოვსწერეთ, და სხვას ჩვენს სიტყვას[ე] ეს ჩვენი მორდალი პაატა მოგახსენებთ, ბატონო“ [3].

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 2770, გვ. 46—47, ცისკარი, 1857, № 9.

[2] სენნია ჩხეიძე, საქართველოს ცხოვრება, გვ. 342.

[3] ეკვთ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, II, გვ. 395—396.

ჩანს, ვახტანგი ამ წინადადებაზე დათანხმებულა და, როგორც გავს, ქორწინებაც შემდგარა 1738 წელს[1].

თუ ე. თაყაიშვილის მიერ გამოცემული ერთი საბუთის (№ 348) თარიღს სწორად მივიჩნევთ, ვახტანგი 1737 წლისათვის საქართველოში ჩანს. მაგრამ ამ საბუთის თარიღის (ქ'კი უკე) სისწორეში თვით თაყაიშვილს ეპარება ეჭვი და სქოლიოში წერს: „შეიძლება აქ ქორონიკონი უკე იყოს, ვინაიდგან დედანში აქ გამოდის ასოები „უკჰე". უკანასკნელი ასო შესაძლოა უბრალო ხაზის მაგიერ იყოს"[2].

ამ საბუთიდან, რომელიც 1740 წლით უნდა დათარიღდეს, ჩვენ ვგებულობთ, რომ ვახტანგს რუსეთში მყოფ ქართველებთან მიმოწერა და კავშირი არ შეუწყვეტია. რუსეთიდან იგი ვილაც ხაზოასაგან ფასიან ამანათებსაც ღებულობს. ერთ საბუთში ვკითხულობთ: „მამებარა მე, სარიდანს ყაფლანისშვილი ბატონის ვახტანგისაგან, მოსკოვიდამ რომ ამანათი გამოეგზავნა ხაზოასა, ერთი შალი თუთხმეტი ადლი, ქათანი ერთი, ტანი ჩითი"...[3]

ამგვარად, როგორც მოტანილი საბუთებიდან ირკვევა, ვახტანგი ორბელიანი რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებულა 1738 წელს და აქვე დარჩენილა საბოლოოდ.

კარგად გამოუყენებია ვახტანგს რუსეთში გატარებული დრო. დაახლოებია მოსკოვის ქართული კოლონიის წევრებს, ჩაბმულა მეცნიერულ და ლიტერატურულ საქმიანობაში, საჭიროების გამო ჩასულა პეტერბურგში, აქაც წარჩინებულ ქართველთა და მეცნი-

---

[1] ვახტანგის ქალისათვის ეს ქორწინება იღბლიანი არ გამოჰდგარა. ერეკლეს ქეთევანი ადუდევნია რამდენიმე წლის შეძდეგ. პ. იოსელიანი წერს: ...„დედა მისი (გიორგი XIII-ის) იყო ანნა, ასული თავადის ხაალ აბაშიძისა, რომელიცა შეირთო მეფემან იოანემ 745 წელსა, შემდგ განდევნისა პირველისა ცოლისა ქეთევან, ვახტანგ ყაფლანიშვილისა ასულისა". პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 2, 1936 წ.

ვახტანგის ქალის განდევნის მიზეზი პოლიტიკური მოსაზრება უნდა ყოფილიყო. ქეთევანი სხვა ოფიციალურ საბუთებშიაც აო იხსენიება ერეკლეს ცოლად, მხოლოდ მისი საფლავის ქვაზე ასეთი წარწერა ყოფილა: „...კახთ მეფის ერეკლეს თანა-მეცხედრედ დედოფალი ქეთევან, მკვებარე ვიქმენ ღეფეთა სამარხოსა ამას შინა, რათა საცნაურად იხილვებოდეს ტაძრობაც ესე, დ. მრავალთა მიერ შენდობა წარპოითხოობოდეს. ქორონიკონსა ულჱ". (1750) პლატონ იოსელიანი იქვე დაუთავს: „...იჯყვიან მისთვის, მონოზონად გარდაცვალებასა, სახლისა მისისა წევრნი".

პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, გვ. 2.

[2] ე კ ვ თ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სიძველენი, II, გვ. 390

[3] იქვე.

ერთა წრეში მოხვედრილა[1], უნახავს პეტერგოფი და შეუქმნია მისი მხატვრული აღწერა, რომელშიც იშვიათი ოსტატობით დაუხატავს პეტრეს დიდი ღვაწლი რუსეთის წინაშე. ახლო მეგობრული ურთიერთობა დაუმყარებია რუს წარჩინებულ პირებთან. ერთი სიტყვით, თავისი საქმიანობით ხელი შეუწყვია რუს და ქართველ ხალხს შორის ტრადიციული მეგობრობის განმტკიცებისათვის.

მისი „პეტერგოფი“ აღწერილობითი ჟანრის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოებია. ავტორი დაწვრილებით აღწერს მის გამგზავრებას პეტერგოფისაკენ: „...დავჯე ნავთ და შევედ მდინარედ ნევად სახელდებულსა და წარვემართე სადა იყო სახლი იგი და მის ნევა მდინარით შევედ კიდესა ზღვისა უკიანისასა და მივმართეთ დასავლისა კერძო და ვლეთ დარი ჰამო ჰაერ კეთილად, ქარნელიად უღელვობითა და რა ვლეთ ვერსი რაოდენიმე გვითხრეს მენავეთა: აჰა, შენობანი, რ[ა]ლისა გნებავსთ ხილვანიო და ვიხილეთ. შორით მოჩანდა სპეტაკოვნად რამე შენებულებანი და მათვე გვითხრეს მას ტევრსა, რ[ა]ლსა შ[ო]ა მოჩანან დარად ცეცხლთა კომლისა, იგი წყალნი არიან ზე აღმომდინარენიო“...[2] ამ შადრევნებს განცვიფრებაში მოუყვანია ვახტანგი, მოსწონებია გარემო და „ნავთ საყუდელნი გარე მოზღუდულნი ზღვანი“ და აღუთოვნებულ მწერალს თავისი მუზისათვის მიუმართავს: „...ვითხოვე შეწევნა ენათა მეტყველებისა ჩემისა და ვეედრე მეცა მათქმიე, რაცა ვიხილო აქა საკვირველებანი და უცხონი მეთქი“...[3] და შესდგომია აღწერას.

მხატვრული შედარებების გამოყენებით აღწერს მწერალი ნავთსადგურს: „...მივეწიენით პირისპირ სრასა სამეფოსასა, რ[ა]ლი აღეგოთ ნავი, საყუდლად ღელვა გვემულთათვის. მუნ დგრობენ უთვალავნი ნაჲნი და საომარნი კატაოღანი დიდნი და წვლილნი, სხვადასხვა სამგზავრო სასეირო ნავნი, რ[ა]ლ ამათთა მათთა სიმრავლენი დიდნი ტევრნი გეგონებოდეს. მათზე დანაკიდთა ალამთა მრავალფეროვანს ყვავილოვანსა მთა-ბორცვსა დაამგზავსებდი“...[4] პეტერგოფის მშვენიერ გარემოს მწერალი სამოთხეს ადარებს, აღტაცებულია მისი სილამაზით, რაც გავიგე და მივხვდი, აღვწერეო და რასაც არა „დავუტევე, მაგრამ ნაათალიცა ვერ შევიგენო“ — გვაცნობებს იგი. მწერალი მოუხიბლავს სამსონის და ლომის შერკინების გამომხატველ ქანდაკებას.

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 2770, გვ. 48.
[2] იქვე, გვ. 47—48.
[3] იქვე, გვ. 49.
[4] იქვე, გვ. 49—50.

სახლები მწვანეში ყოფილან ჩაფლული, რიგში ჩარიგებული დეკორატიული ხეები კიდევ უფრო ალამაზებდნენ თურმე მიდამოს. ათასნაირი ჩუქურთმებით შემკული სახლების მშვენიერება მწერალს ათქმევინებს: „...და მის სახლისა შენებულობასა ნუღარ მათქმევ, უნდა თუ გონება გაქვს, ეს უნდა იცოდე. კარგი უცხო რამ იქმნების და თუ სხვა მნახავთა შეხვდე, სხვას მოგახსენებენ“...[1]

მშვენიერად გამოკვეთილი აუზები საკვირველი იყო თურმე თვეზით: „მას აუზსა შინა თევზნი ისხდენ სხვადასხვანი უცხო უცხონი და მოვიდის კაცნი და დაუკრის ხარნი და მის ხარის დაკვრასა ზედა გამოსხდინ თევზნი ყოველნი და რა წარვიდის კაცი იგი, იგინიკა წარვიდენ“...[2]

მწერალი განუცვიფრებია მოძრავ სკამს, ათასგვარ ხმატკბილ საკრაველს, გასართობებს და სხვა საოცარ ნაკეთობებს.

მიუხედავად იმისა, რომ პეტერგოფი ცივ ადგილზეა გაშენებული „ინდოურთა კეხილთა დაუკლებლობას“ აღუფრთოვანებია მწერალი. ზამთარ-ზაფხულ მწვანე ნარგავებსა და აყვავებულ ხეხილს საქართველოდან, როგორც თვითონ ამბობს, „ხის ქვეყნიდან“ ჩასული კაციც კი განცვიფრებაში მოუყვანია. მხატვრული გატაცებით აღწერს იგი ამ სურათს: „მრავალნი მეწამულნი ვაშლნი მწვანე ფარდასა შინა გამოკრთიან, რ[ა]ლი თუ გვანდის სიყვარულისა ღაწვისა ფერთა და ძუძუთა პაწაწაობით მკრთომლობასა მოგახსენებენ“[3]. და თანვე დაურთავს „...თუმცა დავითის ქნარი მომეცეს და სოლომონის სიბრძნე მოვიპოვო, ქება-ქებათა მას ქნარსა ზედა დავმღერო, მაშინაც ნაათალს ვერ ვიტყვი, რ[ა]ლსა ახლა მნებავს წარმოთხრობანი“[4]. სასიამოვნო ადგილებს, „რ[ა]ლსა ფრანგულის ენითა მოპლეზირსა უხმობენ, რ[ა]ლი გამოითარგმნების საშვებელი ჩემიო“[5] რაღაც მიზეზის გამო დასევდილი მწერლის გულისათვისაც სიამოვნება უგრძნობინებიათ: „კინალამ ამის მწვერვალსაცა გულში სიამოვნება შევიდა“[6].

მწერალი ძლიერი განცდით აღწერს სასახლის მორთულობას, კედლების მოხატულობას, სადაც ჩინური ხელოვნების ნიმუშებიც არ აკლდა. სახლის მახლობლად გაშენებული ბაღის სილამაზეს და

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 2770, გვ. 6'.
[2] იქვე, გვ. 61—62.
[3] იქვე. გვ. 63.
[4] იქვე, გვ. 70.
[5] იქვე.
[6] იქვე, გვ. 72.

ყვავილთა სურნელება: „კაცთაგან ჰკუასა ესრედ მოსტაცებდა ვითა შავარდენი კაკაბსა... მათნი ვარდნი და მწვანენი ხავერდის უმბილესად. კაცთა სულისა შემრჩენელნი და მისი საროდ სახალისონი ადგილნი, გულისა გამაცხობელნი მათ შინა მდგარნი მოელვარენი ყვავილნი საყნოსელთა საშვებელნი ცისა ცვართა ღაჟღაჟობით ნაზირიფად ფაქიზობითა მუშკი ამბარისა სურნელობისა მბერენი“ [1].

მწერალი „ზემორე სარათა საწადოსა ბაღთა“ სილამაზეს დაუტყვევებია. ამ ბაღის შადრევანთა ჩქერას დაუპყრია ვახტანგ ორბელიანის თვალი და გული. განსაკუთრებით მოსწონებია მას ქანდაკებებიდან აღმომდინარე შადრევანები და ამ სურათს იგი სიზუსტით აღწერს.

ამ შესანიშნავ ბაღებში დროს ატარებენ „მრავალნი წარჩინებულნი თავადნი“ მოხუცებიცა და ახალგაზრდებიც. მშვენიერნი ქალ-ყმანი თავიანთ გულის ნადებს აქ უმჟღავნებენ ერთმანეთს. მწერალი ასე აღწერს ახალგაზრდათა ტრფიალებასა და ლხინს:

„...რომელნიმე ვარდისა შესაგვანისა ტუჩებითა გულისა მონაცემთაებრ ალერსობდიან, ზოგნი ლალისა ძოგზავსისა ბაგე პირთა შვენიერად სიცილითა მღიმარობდიან. სხვანი ლხინობდიან და ნადიმობდიან სხვადასხვა სასმელებსა მრავალ-გვარის ჭიქა ფარჩებით სმოდიან... ზოგნი ტრფიალობდიან და ვარდსა საყვარელსა მიჯნურსა ბულბულსა საყვარელსა სიყვარულსა ასწავლიდიან...“ [2].

აქვე იმართებოდა თურმე ნადირობა სხვადასხვა ფრინველებზე. ერთი სიტყვით, ვახტანგ ორბელიანი ამ ადგილებს ამქვეყნიერ სამოთხეს ადარებს და იქვე ხაზს უსვამს იმასაც, რომ ეს ლხინი დროსტარება და შექცევა საქმიანობის დამთავრების შემდეგ იმართებოდა, რომ აქ მყოფ პირებს ეს ლხინი და დროსტარება თავის მოვალეობას ხელმწიფისა და ქვეყნის წინაშე არ ავიწყებდა.

დასახელებული ნაწარმოების გადათვალიერებაც კი დაარწმუნებდა მკითხველს, რომ ვახტანგ ორბელიანი საკმაოდ განათლებული კაცია. იგი შესანიშნავად ახერხებს აღწეროს უცნაურობანი, რომლებიც მან ნახა პეტერგოფში და ახსნას კიდეც, თუ როგორაა მოწყობილი ისინი. გაუგებელი და აუხსნელი მას არც ერთი ფაქტი არ რჩება. ნაწარმოებიდან ჩანს აგრეთვე, რომ ვახტანგი ახლოს იცნობს ქართული ლიტერატურის ნიმუშებს და შედარებისათვის

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 2770, გვ. 75—76.

[2] იქვე, გვ 85—86.

იყენებს კიდეც ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა პერსონაჟებს. აი ეს ადგილი: „...ხევნაროზასა ჭოჭრისა სიმშვენიერე იესობისა მოეპარა და ნაფუნჭარსა ნარდიოხსა ზილიხანისა ცალუკავ მოწყაკნი მოეტაცნა, მშვენიერად ნაზებულთა ნაძვებთა სიწლო სიმოჭლენი მაჯუნისა ესესხებინა და ყარაფლისა მეწამულობა ლეილისა ბაგეთაგან ევასხებინა. ფერ მახთილსა ნარგისობასა ტარიელის კელობისა ფეროვნება დაესწავლა და ვარდებთა მელვაროზასა ნესტანჯარისა ღაწვისა შეგირდობა მიეთვალა. არლავანსა სისხლთა მღჩელობა ხოსროვისა მიეტაცნა და კუკურსა ზამპახსა შირინის ცხვირთა სოთობა მოეშვა. ალვისა უსულობა ავთანდილისა მოეყიდა და ყაყაჩოსა ძოწეულობა არაბელისა თინათინისა მოევაჭრა. ხაშხაში დარეჯანის ძისა უძველესა ლახტსა დარბოდა, სუმბული ხორეშნისა წინა მოსაემოცხებოდა. სოსანი ომანისა ტანსა ეჯუფთებოდა და მიხაკი გულანდაღისა ტუჩსა გვაროზდა"...[1].

დასასრულს მწერალი რუსთაველს იგონებს და აღსაწერი ამბის სიდიადის გადმოსაცემად მისი პოეტური ხელოვნება მიაჩნია აუცილებლად, თუმც „მაშინც ნაათალს ვერ ვიტყვი"-ო.

ნაწარმოებიდან ვგებულობთ, რომ მწერალი საქართველოს მაშინდელი მდგომარეობით გულდასევდილია. პეტერგოფის უცხო სანახავებმა იგი თითქოს გაახალისეს, მაგრამ სამშობლო ქვეყნის მდგომარეობა მაინც ვერ დაავიწყეს და ამიტომაცაა, რომ აცხადებს ნაწარმოების დასასრულს: „...მე დია მჭმუნვარე გაკვირვებითა უსინჯდევდი და უყურებდი" მათ მხიარულებასო.

„პეტერგოფის აღწერა" დაწერილია სადა ქართული ენით, ავტორი მხატვრული ხერხების მოხდენილი გამოყენებით ახერხებს მკითხველის დაპყრობას. ნაწარმოებს ახასიათებს აღწერილობითი ძეგლის სიზუსტე, რომელიც ნათლად იგრძნობა თითოეული უცხო მოვლენის აღწერისას. ვ. ორბელიანისაგან პეტერგოფის მშვენიერებათა ასეთი სიყვარულით აღწერა გარკვეულად უწყობდა ხელს რუსი და ქართველი ხალხის დაახლოების საქმეს. მწერალი შიგა და შიგ თავის მდგომარეობასა და განწყობილებასაც გვაცნობს.

„პეტერგოფის აღწერის" ორი ხელნაწერი დაცულია ამჟამად აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერების განყოფილებაში (S 2770 და H 610), ერთი — ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (№ 271). მაგრამ არცერთი მათგანი ავტოგრაფი არ არის. 1857 წლის სექტემბრის თვის „ცის-

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, S 2770, გვ. 80—81.

კრის“ მე-9 ნომერში გამოქვეყნებულია „პეტერგოფის აღწერა“ და შენიშვნაში ვკითხულობთ: „თავადს ივანე ბარათოვსა ჰქონდა ამისი ნამდვილი და ის ნამდვილი ივანეს მამას ზაალს საიდგანღაც გადაეწერა და მე იმ ზაალის გადაწერილიდგან ეს გადმოვაღებინე. წელსა 1841-სა თ. ალექსანდრე ჯ. ორბელიანი“ [1].

როგორც ამ მინაწერიდან ჩანს, ეს „ნამდვილი“ ავტოგრაფი არაა, რადგანაც ივანეს მამას ზაალს „საიდღანაც გადმოუწერია“. გადაწერილიდან გადმოღება მომხდარა 1841 წელს.

„პეტერგოფის აღწერის“ ნაწილი გამოქვეყნებულია „ანთოლოგიაში“ შემდეგი შენიშვნით: „ვახტანგ ორბელიანის „პეტერჰოფის“ ნაწყვეტი ამოღებულია წ. კ. უნიკუმ ნუსხიდან № 2770. იბეჭდება პირველად“ [2]. როგორც გავს, მაშინ ცნობილი არ ყოფილა „აღწერის“ „ცისკარში“ გამოქვეყნების ფაქტი.

როდის უნდა დაწერილიყო ნაწარმოები? ეს საკითხი შეიძლება არც დასმულიყო, რომ ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება არ იყოს გამოთქმული: მაგალითად, „ანთოლოგიაში“ ვკითხულობთ: ...„როგორც შესავლიდან ჩანს „პეტერჰოფი“ (ვ. ორბელიანს) 1737 წელს დაუწერია, ცხადია, რუსეთში“ [3].

ვ. დონდუას „პეტერგოფის აღწერა“ 1733 წელს შექმნილად მიაჩნია. ეს მოსაზრება მომდინარეობს ჟურ. „ცისკრიდან“, რადგანაც იქ ნაწარმოების დაწერის თარიღად 1838 წელია გამოცხადებული.

ნამდვილად ნაწარმოების შექმნა ვერ გადმოცილდება 1736 წელს, რადგანაც ხელნაწერ S 2770-ის შესავალში პირდაპირ სწერია, რომ ვახტანგი პეტერბურგში იყო 1736 წლის აგვისტოში და მას გარკვეულად შეეძლო ამავე წელს დაეწერა ეს, არც თუ ისე დიდი ნაწარმოები. ხელნაწერის შესავალში წარმოდგენილ ამ საბუთის გარდა სხვა რაიმე საბუთი ჯერჯერობით მიკვლეული არაა.

ვახტანგ ორბელიანს კალამი პოეზიაშიც უცდია და რამდენიმე ანბანთქება შეუქმნია ოცმარცვლოვანი შაირის საზომით. საქართველოს მუზეუმის H კოლექციის № 153 ხელნაწერში მოთავსებულია ვახტანგის ერთი ასეთი ანბანთქება:

„ალალებს ბაგებს, გულთ დასამდაგეს, ელვარებს ვფუცავ
ზე ცეთერულად,

[1] „ცისკარი“, № 9, გვ. 27, 1857 წ.
[2] ანთოლოგია, II, 1928 წ.
[3] ანთოლოგია, II, გვ. 302.

თვალთ ინდნი კაზმავს, ლაშს მინა ნაზავს, ოდენ პირით
ჟღერს, რიტორებულად.
სუმბულთ ტევანსა, უზამს ფშვევასა, ქონან ღაწვ ყელი
შემკულ ჩენულად
და ცვარობს ძოწს წყალნი, ჰვირობენ ხალნი, კომობს
ჯავარით ჰა ჰცნებულად“ [1]

ამ სტროფიდან ჩანს, რომ ვახტანგი ანბანთქების კარგი ოსტატია. პოეტი ახერხებს დაიცვას წესი ანბანთქებისა და შინაარსეული მხარეც. მხატვრული თქმისა და ანბანთქების წესის შესანიშნავ შეხამებად წარმოგვიდგება ჩვენ რამოდენიმე ადგილი ამ ანბანთქებიდან. მაგალითად: „ალალებს ბაგეს გულთ დასამდაგეს“ ანდა „თვალთ ინდნი კაზმავს“.

ვახტანგი თანამედროვეთა მიერაც ანბანთქების ოსტატად ყოფილა მიჩნეული. ერთ მის ანბანთქებას, რომელიც იმერეთის მეფის სოლომონის დედის შესახებაა თქმული, ასეთი შენიშვნა აქვს:

„ეს ანბანთქება ყაფლანიშვილის ვახტანგის ნათქვამია იმერელ მეფის დიდის სოლომონის დედის დედოფლის თამარის ქებად. მსმენელთა გასინჯეთ გვარი ლექსისა — ვითარ ჰაზრი და ლექსი გაწყობილია“ [2] ბიმართვა „მსმენელთა გასინჯეთო“ — ხაზს უსვამს ამ ანბანთქების ღირსებას.

როგორც ირკვევა, ვ. ორბელიანი პოეტურ საქმიანობასთან ერთად მეცნიერულ საქმიანობასაც ეწეოდა. მას შეუდგენია კვინკლოსით სარგებლობის წესი. ეს კვინკლოსი ვახტანგ VI-ეს გაუწყვია და თან ანდერძი დაურთავს:

„პირველ ასურს ბრძნთაგან ფარვით ეს კვინკლოსთა საუბარი,
ვახტანგ მოსკოვს ცხადად ვწერე სათანადო საუბარი“ [3].

კვინკლოსს თან ახლავს გადამწერის ოსე გაბაშვილის ანდერძი ლექსად:

„გონებით რჩეულ მეკელოვნესა ძესა,
გიტყვი უუთქვსა სათქოდ საწყურად ზესა,

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი H 153, გვ. 210.

[2] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი A 1164, გვ. 51r-v. იხ. საქართველოს მუზეუმის A კოლექციის აღწერილობა, IV, გვ. 223, შედგენილი ქრ. შარაშიძის მიერ.

[3] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი Q 225, გვ. 85v. ამ ხელნაწერის აღწერილობით სარგებლობის საშუალება მომცა დოც. ელ. მეტრეველმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

უუცნაურსა ზესთ გონებათა მზესა,
მაგრამ მაცურჩვად სურვისა წინა გთქვესა
იოსებ ვითხოვ შეწევნსა ჰრ... ულედსა" [1].

ამ ხელნაწერის 22v-ზე მოთავსებულია კვინკლოსით სარგებლობის წესი, შედგენილი ვახტანგ ორბელიანის მიერ: „უკუეთუ წელთა სამარადისო დღესასწაული გენებოს, თუცა რომელ წელს რომელსა დღესა მომავალ არიან, დასჭვრიტე იმ წლის ხუთასეულისა ქრონიკონს და იძიე მის შრესა შინა საძიებელი მზის მოქცევისანი და წარმოვედ ზემორე ხელთასა საუწყებელსა თანა და მოიპოე ცხრილი, რომელი შემზადებულ არს... და რა პოვო, შენდობა წარმოთქვი ამაზე მშრომლის ვახტანგ ორბელიანისათვის" [2].

იმედია, შემდგომი კვლევა-ძიება ამ მიმართულებით ვახტანგ ორბელიანის მეცნიერული ხასიათის საქმიანობას კიდევ უფრო ნათელს მოჰფენს [3].

მიკვლეული მასალებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ვ. ორბელიანი არის კარგი მწერალი, მრავალმხრივ განვითარებული პირი, სამშობლოს პატრიოტი, ვახტანგ VI-ის ახლო თანამშრომელი და რუსეთ-საქართველოს დაახლოებისათვის თავდადებული მებრძოლი.

(შემოვიდა რედაქციაში 11. IV. 1955).

Д. Д. БРЕГАДЗЕ

ГРУЗИНСКИЕ ПОЭТЫ И ПИСАТЕЛИ В РОССИИ (XVIII в)

Резюме

Сближение Грузии с Россией давало возможность грузинам, в случае поражения в борьбе с турецко-персидскими полчищами и оставления своей родной земли, искать убежище в России.

Прибывшие в Москву грузины создали там колонию, главарем которой представляется Арчил.

[1] საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი, Q 225, გვ. გვ, 17.

[2] იქვე, გვ. 22v.

[3] ვ. ორბელიანის ნაწერების სრული კრებული ჩვენ მიერ გამზადებულია გამოსაცემად.

Члены этой колонии заняты интенсивной политической и литературной деятельностью, создают оригинальные произведения, переводят русские книги и знакомятся с западно-европейскими литературными образцами посредством русских переводов.

Московская колония грузин постоянно усиливается вновь прибывающими из Грузии. Среди прибывших нужно отметить писателя Вахтанга Орбелиани.

Вахтанг Орбелиани, родившийся в 1700 году, племянник Сулхана Саба Орбелиани (сын его брата Вахушти), был в близких отношениях с культурными центрами Картли и особенно с Вахтангом VI.

До последнего времени Вахтанга Орбелиани считали членом свиты Вахтанга VI, но как выясняется из документов, он приехал в Россию в 1735 году, где он пробыл два года, а затем возвратился на родину.

Вахтанг, посетивший Петергоф, дал его художественное описание, в котором изобразил это прекрасное место, а также заслуги Петра I перед Россией.

Перу же Вахтанга принадлежат несколько „Анбанткеба" („Восхваление азбуки"), рассмотрение которых убеждает читателя в поэтических возможностях автора.

Одновременно с поэтическим творчеством, Вахтанг вёл и научную деятельность. Им составлены правила пользования квинклосом.

Изученный материал дает возможность сделать вывод, что Вахтанг Орбелиани является многосторонне развитым лицом, незаурядным писателем, патриотом родины и самоотверженным борцом за сближение Грузии с Россией.

ა.ლ. ფულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

К. А. КИЛАСОНИЯ

К ВОПРОСУ ОБ ОБЩЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНОЙ БОРЬБЕ 60-х ГОДОВ XIX В.

(Борьба вокруг творчества А. И. Полежаева)

60-ые годы 19 века условно ограничиваются хронологическими рамками с 1855 года по 1865 год. Это время поражения Крымской компании, раскрывшего всю гнилостность политической системы Николая 1-го, время его смерти, после которой ожили надежды на какое-то лучшее будущее.

В 60-х годах усиливается литературная борьба, в которой отражается борьба общественная. Революционные демократы высоко поднимают знамя искусства, как орудия общественной борьбы, консерваторы и либералы, в противоположность им, усиливают свою эстетическую критику. Консервативная и либеральная критика, соединившиеся воедино против революционных демократов и видя в Белинском предтечу революционных разночинцев, находит каждый удобный случай, чтобы развенчать великого критика.

Оценка литературного наследства Полежаева в 60-х годах тоже отражает эту борьбу.

В 1857 году выходит сборник стихотворений Полежаева, со вступительной статьей Белинского[1].

Известно, что Белинский не знал всей правды о Полежаеве. Стихотворения поэта искажались цензурой, в них вытравлялось малейшее проявление политического протеста. Этим объясняется, что Белинский, оценивая наследство Полежаева с точки зрения „содержания", „мысли", нашел мало содержания в его произведениях. Однако великий критик находил в наследстве Полежаева

[1] Изд. Солдатникова и Щепкина, М., 1857 г.

большую потенциальную силу „развиться в поэзию содержания". Это подчеркивается и сближением Полежаева с Веневитиновым, „поэтом мысли".

Вместе с этим Белинский подчеркивал „в натуре Полежаева много человеческих элементов", „большую способность" писать в народном стиле, прекрасное стихосложение и т. п.

В связи с этим в „Московских ведомостях" печатаются две краткие заметки.

Первая из них, без подписи автора, ставила целью напомнить о Полежаеве. Доказательством этого служит то, что не только прославляется талант Полежаева и отзыв о нем Белинского, но приводится целиком ряд его стихотворений[1].

Вторая — принадлежит Лонгинову. Он раскрывает сущность таланта Полежаева тем, что утверждает слабость его официальных стихов, написанных по заказу и силу тех его стихотворений, которые по своему содержанию не могли быть напечатаны и распространялись в рукописи[2].

Издание Полежаева и появление его имени на страницах „Московских ведомостей" послужило поводом „Северной пчеле" для открытия похода против Белинского.

Была напечатана статья К. П. Она свидетельствует о бессильном возмущении автора Белинским, которое выливается в гнусной клевете на великого критика. К. П. пишет, что Белинский необразованный человек, беспринципный, плохой критик, даже „нравственный урод", а его статьи — „многоглагольные рассуждения". Статья о Полежаеве „Это длинное рассуждение, наполненное всяческими отступлениями — о Шиллере, о китайских поэтах, о пустозвонстве, словом о Байроне и о предметах разных, все для того, чтобы в заключение своего разглагольствования сказать, что „Из всех поэтов явившихся в первое время Пушкина... выше всех других Полежаев и Веневитинов". Критик „Северной пчелы" заявляет, что говорить это значить „сморозить нелепость" и недоволен тем, что „желая похвалить Полежаева и Веневитинова он (Белинский—К. К.) приносит им в жертву всех современных поэтов".

---

[1] „Московские ведомости", 1857 г., № 90.
[2] „Московские ведомости", 1857 г., № 94.

По мнению самого критика, Веневитинов, умерший 22-х лет, написал лишь несколько стихотворений и „трудно назвать его даже поэтом", а Полежаев не написал „ни одного изящного стихотворения, хотя писал много".

Политические позиции автора, уже ясные из его нападений на Белинского, особенно выявляют свою реакционность в следующих словах: „Полежаев больше замечателен своей несчастной жизнью, нежели сочинениями и может служить примером нравственного падения, а отнюдь не авторского дарования".

Автор статьи не затрудняет себя попыткой подтвердить свои выводы против Белинского и против самого Полежаева непосредственным анализом поэтического наследства, так строго осужденного им поэта. Наоборот, он отказывается рассмотреть произведения Полежаева именно потому, что почитает „это трудом бесплодным. Кому угодно узнать как пишут стихи без истинного дарования, как пишут стихи все молодые люди в некоторые годы жизни, те могут заглянуть в „Стихотворения Полежаева" [1].

Вот так явно реакционно выступила „Северная пчела".

В том же 1857 году в „Библиотеке для чтения" появилась статья А. П. Дружинина. Его отношение к полежаеву характерно для сторонника „чистого искусства".

Дружинин также осуждает Полежаева и полемизирует с Белинским как критик „Северной пчелы", но делает это с большим тактом и осторожностью.

В начале своей статьи Дружинин выражает радость по поводу нового издания Полежаева, но сразу же определяет пределы этой радости, говоря, что Полежаев не принадлежит к поэтам „высокого разбора", русские читатели „позабыли его навсегда и окончательно" и что его книга — книга для „немногих", а именно: „...для людей привязанных к истории своей словесности, для внимательных наблюдателей, которым дорога личность всякого русского писателя..."

Таким образом, он стремится затушевать значение Полежаева в истории развития революционной мысли. Далее восхваляя статью Белинского, Дружинин выдвигает прямо противоположные Белинскому положения. Он отрицает оригинальность поэзии

[1] „Северная пчела", 1857 г., № 180.

Полежаева, самостоятельность его мысли. „...Не взирая на силу чувства, неотъемлемую собственность Полежаева, его поэтические отклики на жизнь не имеют в себе ничего самостоятельно-поэтического".

Перечисляя лучшие произведения Полежаева: „Божий суд", „Валтарас", „Цыганка", „Песнь пленного ирокезца", „Грешница", „Баю-баюшки-баю" и др., Дружинин пишет, что „их могли бы написать многие из поэтов пушкинской плеяды, на них не лежит того индивидуального клейма, которое разом ставить перед нами поэта...".

Этими словами Дружинин искажает политическое лицо Полежаева. Он признает в нем сходства, связь с поэтами эпохи декабризма, но называет их поэтами „пушкинской плеяды" и этим, правда, распространенным в то время термином стирает грань между взглядами и различными направлениями этой плеяды; и следовательно, подчеркивает сходство художественных приемов, а не политических, протестантских мотивов.

Критик не только не подчеркивает свежесть, новаторство идей Полежаева, но стремиться затемнить эти свойства его поэзии упором на форму, при этом подчеркивает в ней рутину. По его мнению, только поэтическая рутина, безвкусица, неопределенность и непоследовательность являются спецификой Полежаевской поэзии. „Остальные пьесы, — пишет он, — могут быть признаны полежаевскими лишь потому, что редкий поэт мог угнаться за Полежаевым как в безвкусии, так и в неопределенности иногда следующих за изящной и почти поэтической речью".

Так, отрицая все, признанные Белинским достоинства Полежаева, Дружинин приходит к своему основному выводу, что Белинский не прав, считая Полежаева виновником в гибели своего таланта; критик вовсе не пытается найти причины трагедии Полежаева в окружающею его среде, а просто отрицает наличие таланта у Полежаева. „Чтобы погубить в себе талант, нужно иметь то, что зовется талантом, хотя бы не в обширном смысле этого слова необходимо владеть дарованием самостоятельным, определенным, дающимся анализу. Таким дарованием Полежаев не был богат до самых последних годов своей жизни...

Художник в болезни или горячке может испортить лучшую свою картину, изорвать и зачернить ее совершенно, но когда

в его комнате нет никакой картины, когда перед его глазами лишь чистый холст с двумя, тремя маленькими рисуночками на полях, ему невозможно быть собственным своим Геростратом".

Мало того, Дружинин идет еще дальше, утверждает, что обстоятельства не только не погубили его талант, а наоборот, до Кавказа муза не „глядела" на поэта и что „крушение его частной жизни... развило в нем некоторые поэтические стороны, которым без того бы никогда не проявиться".

В этих словах проявляется желание затушевать жестокость режима Николая I-го, погубившего поэта.

Далее Дружинин только добивает поэта утверждая, что другие, благоприятные условия не могли бы стать „благоприятными для музы Полежаева", т. е. утверждает, что несчастье разбудило его музу, и она заглохла бы „вслед за устранением страданий".

Однако, разбирая отдельные произведения Полежаева, критик вынужден признать „взмах настоящего художника", достоинства, заставляющие „предчувствовать музу другого поэта" (т. е. Лермонтова), но он всеже до конца остается неумолимим, заявляя даже, что „Полежаев не владел музыкой стиха, хотя писал гладко и сильно" [1].

Так критик Северной пчелы" и Дружинин осудили Полежаева и вместе с ним Белинского, нашедшего в поэте талант, силу, содержание.

Хотя статья Дружинина написана в благодушном тоне, разбросаны восторженные отзывы о Белинском и мотивы сочувствя к „несчастному" поэту, но по существу, Дружинин и критик „Северной пчелы" стоят на совершенно одинаковых идейно-эстетических позициях. Полежаев для них равно ничтожен, он повод для выступления против Белинского и против эстетики революционных демократов в ее целом. Разница между ними только в форме выражения своих явно реакционных воззрений.

Тут же мы должны сказать несколько слов и о высказываниях Ап. Григорьева.

Ап. Григорьев „почвенник", сторонник „органической кри-

[1] Цитируемую статью А. П. Дружинина см. „Библиотека для чтения", 1857 г., том 146, отд. IV.

тики", близко стоявший к славянофильским кругам, стремился в своих критических статьях раскрыть самобытные, народные (в смысле национальные) черты русской литературы.

Человек тонкого художественного чутья, он не сумел подняться до высоты критики Белинского из-за ограниченности своего политического мировосприятия и критика его изобилует целым рядом неправильных взглядов и положений.

Защищая взгляд, что русская литература в своей основе является литературой смиренной, всепрощающей, он утверждал, что дух революции не свойственен ей. Смиренного русского героя он противопоставлял „демоническим", „байроническим" натурам, в которых видел воплощение мирового зла.

Характерно, что в Полежаеве он увидел байронического поэта, что на языке Ап. Григорьева означала протестующего. „Байронизм... пожирал страстные натуры, слепо и искренно ему отдавшиеся и искавшие в нем оправдания своих безобразий, и такое влияние ни на ком не отразилось так трагически, как на нашем безвременно и бесплодно погибшем даровитом Полежаеве..." [1]

Далее, критик осуждает Полежаева за байронизм—„зло страшное, когда оно оказывает свое влияние на натуры, подобные натуре Полежаева" [2]. Следовательно, за революционность, за протестантство.

Однако, нам важно не осуждение революционности Аполлоном Григорьевым, а то, что революционность Полежаева настолько ярко проявилась в его поэзии, что не могла не быть замечена критиком.

Осуждая Полежаева с точки зрения его революционности, Ап. Григорьев признает его большой поэтический талант и считает его „одним из самых, если не самым ярким представителем русского романтизма" [3].

В цепи развития русского романтизма он последовательно называет имена Полежаева, Лермонтова и Огарева и видит в Полежаеве предшественника Лермонтова.

---

[1] Сочинения Ап. Григорьева (изд. Страхова) СПБ, 1876 г., т. I, стр. 151.
[2] Там же, стр. 151—152.
[3] Там же, стр. 295.

Ап. Григорьев, несмотря на ряд интересных замечаний, в основном, занимает те же антиреволюционные позиции, что критик „Северной пчелы" и А. П. Дружинин.

Революционные демократы не могли не обратить внимание на эти выступления, не могли не увидеть куда было направлено острье этих работ, наконец, не могли не ответить. . и в „Современнике" печатается статья Добролюбова [1].

Эта статья преследовала цель защитить Полежаева от нападок справа и выявить всю значимость поэта.

Осуществить эту задачу было трудно в цензурных условиях эпохи и Добролюбову приходилось тщательно прикрывать свои мысли. Так, например, критику приходится называть „заблуждениями", революционные убеждения поэта, перед которыми он сам преклонялся. — „. заблуждение, — пишет он, — еще не порок, односторонее развитие не преступление. Оно всегда есть прямое, неизбежное следствие тех обстоятельств, среди которых суждено человеку жить и развиваться" [2]. Так Добролюбов находит способ выявить свою мысль, что протест Полежаева был порожден условиями эпохи.

„Полежаев, по словам критика, принадлежит к числу натур деятельных, для которых лучше падение в борьбе, нежели страдательное отречение от всякой личности и самостоятельности" [3].

Затем, Добролюбов показывает, что такого человека угнетали, замучили, загнали, а

„Порабощение,
Как зло за зло,
Всегда влекло
Ожесточение"

и Полежаев ожесточился против людей и судьбы [4].

Таким образом, Добролюбов поднимает свой голос в защиту Полежаева. Он не только утверждает, в отличие от Дружинина, что Полежаев имел талант, но только подчеркивает, что многие из его стихов отличаются „открытым выражением энергии и

[1] „Современник", 1857 г., т. 69, № 9, стр. 1—7.
[2] Там же, стр. 2.
[3] Там же, стр. 3.
[4] Там же, стр. 4.

силы смелого бойца"... но решительно указывает, что Полежаева погубили те условия, в которых искусственно втиснул Николай I молодого поэта. „При другой жизненной обстановке не погиб бы этот энергический талант жертвой неравной и бесплодной борьбы. Не звуки проклятий и злобы, а роскошные звуки чистых, спокойных стремлений мог бы он завещать миру, потому что кроме чрезвычайной силы, талант Полежаева отличается еще необыкновенной страстностью и стремительностью" [1].

Чернышевский упоминает имя Полежаева, говоря о страшной действительности царской России, где легче было умереть, чем жить. „Не вспомнить ли еще Полежаева, который, по всему видно, был не хуже других, но

не расцвел, и отцвел
в утре пасмурных дней" [2].

Так революционные демократы раскрывали социально-политические причины гибели талантливого поэта, стремились осветить революционное содержание его поэзии, хотя и были ограничены цензурой, не имели возможности высказаться до конца.

Оценка Полежаева прогрессивной критикой наиболее ясно дана Огоревым, печатавшим свою работу вне условий царской цензуры. „...(Полежаев — К. К.) спасаясь от утраты всякой надежды в уродливость буйства бесконечного, безобразного, исчез не развившись, а все же оставив резкий, жгучий след; погиб с тем воплем отчаяния, с которым мог погибнуть только человек, чувствовавший, что 14 Декабря всякая русская свобода рухнула навеки и что помимо необузданного самозабвения в вечной оргии, — которая доканала бы тщетно живое тело чем скорей, тем лучше — ничего не остается на свете.

Полежаев заканчивает в поэзии первую неудавшуюся битву свободы с самовластьем" [3].

Итак, Огарев явно указывает, что Полежаев является жертвою времени и подчеркивает, что его поэзия — отзвук декабристского движения.

---

[1] „Современник", 1857 г. № 69, № 9, стр. 7.

[2] Чернышевский, „Избр. статьи", М.-Л. 1951 г., стр. 355.

[3] Н. П. Огорев, „Избранные социально-политические и философские произведения", 1952, т. I, стр. 447.

Следовательно, мы видим, что и консервативная и прогрессивная критика 60-х годов видела революционную сущность творчества Полежаева. В то время, как первая осуждала его за это и стремилась затушевать значимость его поэзии, революционные демократы выявляли подлинное лицо поэта, его место в цепи развития русской революционной поэзии. В разноречивости мнений о Полежаеве в 60-х годах отражалась не только литературная борьба эпохи, но и борьба социальная.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

შ. აგრამიძე

ვერნერ ზომბარტი შუა საუკუნეების ქალაქის წარმოშობის საკითხის შესახებ*

შუა საუკუნეების ქალაქი ფეოდალური ქალაქია. ფეოდალური ქალაქის წარმოშობის შესახებ მრავალი თეორია შეიქმნა. მაგრამ ბურჟუაზიული მეცნიერების თეორიებმა ვერ გადაჭრეს აღნიშნული პრობლემა, რადგან ეს თეორიები ზერელე, ზედაპირულია და დაყრდნობილია შემთხვევით ნიშნებზე და, რაც მთავარია. სრულიად არ აქცევენ ყურადღებას საწარმოო ძალთა განვითარებას და მისგან გამომდინარე შრომის საზოგადოებრივი განაწილების საკითხს ქალაქის წარმოშობის პრობლემის გადაჭრისას. ამის დასადასტურებლად შეიძლება გავარჩიოთ ზოგიერთი მათგანი.

არნოლდი აღიარებს, რომ შუა საუკუნეების საქალაქო თემმა და მისმა ორგანომ, საბჭომ, მიიღეს ადმინისტრაციული და სასამართლო უფლება საბოლოოდ მეფისაგან გრაფისა და ეპისკოპოსის მეშვეობით. მეფე აღიარებულია საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების წყაროდ. შუა საუკუნეების საქალაქო წყობილება მიჩნეულია ფრანკთა მონარქიის სახელმწიფო წყობილებასთან მჭიდროდ დაკავშირებულად.

სამამულო თეორიის წინააღმდეგ სათემო (სამარკო) თეორიის თვალსაზრისზე დაყრდნობით გაილაშქრა გეორგ ბელოვმა. ბელოვი აღიარებს, რომ გლეხური თემის ფარგლებში ვხვდებით ერთს ან რამდენიმე საბატონო კომლს და მათ გვერდით თავისუფალ გლეხთა ჯგუფსო. უკანასკნელნი (თავისუფალი გლეხები) მიწის ნაკვეთის თავისუფალი განმკარგულებელნი არიანო. მისი აზრით, სასოფლო თემი არ შეიძლება სამამულო კავშირის ფარგლებში იქნეს შეყვანილი. ქალაქი წარმოიშვა არა სამამულო კავშირიდან,

* წაკითხულია მოხსენებად ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის XVIII სამეცნიერო სესიაზე 1954 წელს, 24 მარტს.

არა საბატონო ყმა გლეხ მეკომურთა კავშირიდან, არამედ თავისუფალი სასოფლო თემიდან. გ. ბელოვი აღიარებს, რომ გერმანული საქალაქო თემი (Stadtgemeinde) წარმოშობილია სასოფლო თემისაგანო (Landgemeinde)[1].

ბელოვის კონცეფცია იმის შესახებ, რომ ყმა გლეხების გვერდით ადრეულ შუა საუკუნეებში არსებობდა თავისუფალი თემები, რომ სენიორის ხელისუფლების ქვეშ თემის წევრებს შენარჩუნებული ჰქონდათ თავისუფლება, არ არის მართებული და შუა საუკუნეების საზოგადოებრივი წყობილების იდეალიზაციას წარმოადგენს.

ანრი პირენის შეხედულება, რომ ვაჭართა დასახლებამ მისცა დასაბამი ქალაქს, საბაზრო და საბურგო თეორიის დაკავშირების ცდას წარმოადგენს.

ალფონს დოპში ადრეული შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებლად თვლის ფულადი მეურნეობის არსებობას და ფიქრობს, რომ ძველი რომაული ქალაქები განაგრძობდნენ არსებობას. აგრეთვე, იგი აღიარებს, რომ ტაციტის დროს ძველ გერმანელებს ჰქონდათ ქალაქები (oppida).

ა. ნამორაძე მართებულად აღნიშნავს, რომ „დოპში თავის მთავარ დებულებაშივე ცდება, როდესაც იგი უკვე განვითარებულ ფულად მეურნეობას ჰპოვებს ნაადრევ საშუალო საუკუნეებში და ფეოდალური ქალაქების გენეზისს რომის იმპერიის ეპოქაში ეძებს, როგორც ეს უკვე საკმაოდ გამორკვეულია, ხსენებული ქალაქების მომეტებული ნაწილი იმაზე გაცილებით გვიან წარმოიშვა, ვიდრე ეს თვით დოპშსა აქვს ნავარაუდევი. მეორეს მხრივ, როგორც ეს სათანადო წყაროებიდან ირკვევა, გერმანელი ტომები ჯერ არ გასცილებულიყვნენ ნატურალური მეურნეობის ფორმებს, არ ჰქონდათ განვითარებული საქალაქო წყობილება და არც სახლდებოდნენ ქალაქებში იმ დროს, როდესაც ისინი რომის იმპერიის ტერიტორიაზე შეიჭრენ"[2].

შუა საუკუნეების ქალაქის წარმოშობის საკითხის გადაჭრა სცადა გერმანელმა ბურჟუაზიულმა ეკონომისტმა ვერნერ ზომბარტმა (1863—1941 წ. წ.) ნაშრომში „თანამედროვე კაპიტალიზმი"[3]. აღ-

---

[1] Г. Б е л о в, Городской строй и городская жизнь средневековой Германии, Москва, 1912.

[2] ა. ნ ა მ ო რ ა ძ ე, დასავლეთ ევროპის ისტორია, ტფილისი, 1936, გვ. 22, 37—39.

[3] В е р н е р З о м б а р т, Современный капитализм, том первый, Москва, Ленинград, 1931.

ნიშნული ნაშრომი მიმართულია მარქსიზმის წინააღმდეგ. ვ. ლენინი მიუთითებს, რომ თავისი მოღვაწეობის დასაწყისში ზომბარტი ტიპიური წარმომადგენელი იყო „მარქსისტულად ოდნავ შეფერადებული სოციალ-ლიბერალიზმისა“ [1]. შემდეგში იგი (ზომბარტი) ნიღაბახდილად ებრძოდა მუშათა კლასს, ილაშქრებდა მარქსიზმის წინააღმდეგ და გერმანიის იმპერიალიზმს იცავდა.

ვ. ზომბარტი წინაკაპიტალისტური მეურნეობის საკითხების გარჩევასთან დაკავშირებით შეეხო შუა საუკუნეების ქალაქის წარმოშობის საკითხს და შეეცადა ქალაქის წარმოშობა მიწის რენტის მომხმარებელი მსხვილი მიწათმფლობელების დასახლებით აეხსნა. ქალაქის დაარსებას იგი უკავშირებს განაწილებას და არა წარმოებით საქმიანობას. იგი საესებით უგულებელყოფს იმ გარემოებას, რომ ქალაქი შრომის საზოგადოებრივი განაწილების შედეგად წარმოიშვა. „შრომის პირველი დიდი საზოგადოებრივი დანაწილება ქალაქის და სოფლის გათიშვაა“, [2] — ამბობს ენგელსი.

ქალაქის აღმოცენებისა და არსის გარკვევა უნდა წარმოებდეს, ვერნერ ზომბარტის აზრით, იმისდა მიხედვით, თუ როგორ „ქალაქზეა“ საუბარი. შეიძლება აღიწეროს, რატომ, როდის და რისთვის მიიღო ამა თუ იმ დასახლებულმა ადგილმა საქალაქო უფლება ან საკუთარი საქალაქო საბჭო, აიგო გალავანი, დაწესდა ბაზარი, დაარსდა უნივერსიტეტი. მაგრამ იგი არ იზიარებს იმ შეხედულებას, რომ საქალაქო ცხოვრების აღნიშნული მხარეების შესწავლის საშუალებით შეიძლებოდეს ფეოდალური ქალაქის წარმოშობის საკითხის გარკვევა. იგი არკვევს ფეოდალური ქალაქის წარმოშობის საკითხს თითქოს ეკონომიური გაგებით. მისი აზრით, ფეოდალური ქალაქის დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მისი მრავალრიცხოვანი მოსახლეობა სხვისი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით იკვებება. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, მას გასარკვევად მიაჩნია მიწათმოქმედებისათვის ის უცხო ხალხი, რომლებმაც შექმნეს ქალაქი. საიდან მოვიდნენ ისინი და რამ აიძულა ქალაქში დასახლებულიყვნენ. აგრეთვე, მას გასარკვევად მიაჩნია ცხოვრების ბუნებრივ წესს მოკლებული ასეთი თავისებური მოსახლეობის შექმნის ეკონომიური შესაძლებლობა.

ქალაქის დამაარსებელთა შორის აღნიშნავს ადამიანთა ორ განსხვავებულ კატეგორიას. იმ პირებს, რომელნიც თავისი სიძლიერით,

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 18, გვ. 66.

[2] ფ. ენგელსი, ანტიდიურინგი, 1952, გვ. 347.

სიმდიდრით ან მოღვაწეობით იზიდავენ მათ შესანახად საჭირო პროდუქტებს, იგი თვლის ქალაქის ნამდვილ დამაარსებლებად, ქალაქის შექმნის სუბიექტებად, ქალაქის აქტიურ ან პირველ შემქმნელებად. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან მეფე, გადასახადებს რომ კრებს, მიწათმფლობელი, რომელსაც ღალას უხდიან, ვაჭარი, რომელიც უცხოელებთან ვაჭრობაში მოგებას ღებულობს, ხელოსანი და მრეწველი უცხოეთში რომ საწრეწველო ნაწარმს ყიდიან. მაგრამ ისინი ცხოვრების საშუალებას აძლევენ ქალაქის სხვა მცხოვრებლებს, რადგან, ზომბარტის აზრით, მათ არ ძალუძთ საკუთარი ძალებით მიიღონ არსებობისათვის საჭირო საშუალებანი, ე. ი. მიწათმოქმედების პროდუქტები, რასაც ისინი ღებულობენ ქალაქის პირველი შემქმნელებისაგან.

უკანასკნელთ ვ. ზომბარტი უწოდებს ქალაქის შემავსებელთ (Städtefüller), ქალაქის შექმნის ობიექტებს, პასიურ, დამოკიდებულ, მეორად და ა. შ. ქალაქის შემქმნელებს. ქალაქის მეორად შემქმნელებად ითვლებიან ისინი, ვინც საარსებო საშუალებებს მიიღებენ უშუალოდ ქალაქის პირველად შემქმნელისაგან. თუ ქალაქის მეორადი შემქმნელისაგან სარფას ღებულობს მესამე მოქალაქე, მაშინ უკანასკნელი იქნება ქალაქის მესამე შემქმნელი.

ქალაქის პირველი შემქმნელია მეფე, რომელიც გადასახადებს ღებულობს. ყველა დანარჩენი კი ქალაქის დამოკიდებული (abgeleitete) შემქმნელები არიანო, — ამბობს ვ. ზომბარტი. მისი აზრით, ყველა მრეწველი, ლიბერალურ პრიფესიათა თითოეული მოსაქმე, რომელიც აკმაყოფილებს თვით მოქალაქეთა მოთხოვნილებებს, არიან არა ქალაქის დამაარსებელნი, არამედ — ქალაქის შემავსებელნი. ქალაქის მოსახლეობის ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავების გარკვევა და გაგება მიაჩნია მას წინაპირობად ქალაქის წარმოშობის გასაგებად[1].

* * *

ქალაქი წარმოადგენს ისტორიულ მოვლენას და მიიღებს განსაკუთრებით სპეციფიკურ სახეს მოცემული ეპოქის გარემოებათა თავისებური შერწყმით. ისტორიკოსის ამოცანად ვ. ზომბარტს მიაჩნია მოცემულ ეპოქათა გარემოების შერწყმა, რისთვისაც იგი საჭიროდ თვლის, გამოაელინოს განსაკუთრებული მიზეზები, რომელ-

[1] ვ. ზ ო მ ბ ა რ ტ ი, დასახელებული შრომა, გვ. 136—139.

თა გამო ადამიანთა მასები მიწას მოწყდნენ, გამოარკვიოს განსაკუთრებული მოტივები, რომლებმაც აიძულა ადამიანები დაეარსებიათ ერთობლივად საქალაქო დასახლება; გამოარკვიოს განსაკუთრებული პირობები ქალაქების შექმნისა, დაასურათოს და ახსნას ქალაქის პირველადი და მეორადი დამაარსებელნი.

საერთო წესი აღიარებდა, რომ შუა საუკუნეების ქალაქები წარმოიქმნენ სოფლებიდან გარდაქმნის ხანგრძლივი პროცესის მეშვეობით, რომელიც საუკუნეები გრძელდებოდა. ამათგან, ზომბარტის აზრით, არ წარმოადგენენ გამონაკლისს „განზრახ დაარსებული ქალაქები", ე. წ. Gründungsstädte, რომელთაც აარსებდნენ ფეოდალური მთავრები ან მსხვილი მემამულენი.

კეიტგენი ნაშრომში „გილდიები და ამქრები" აღიარებდა, რომ ეს ქალაქები წარმოადგენდნენ „ხელოვნურად შექმნილ ვაჭრებისა და ხელოსნების დასახლებას". რიტშელი ნაშრომში „ბაზარი და ქალაქი" გამოთქვამს აზრს, რომ იარმარკტი და საიარმარკტო პრივილეგია ქმნიან ქალაქს: „საიარმარკტო უფლება, რომელიც ვაჭრებს ნებას რთავდა ევაჭრათ მხოლოდ კვირის განსაზღვრულ დღეს, როგორც ჩანს, ვერ უწყობდა ხელს სავაჭრო მოსახლეობის მნიშვნელოვან წარმატებას, როგორც ისეთი საიარმარკტო უფლება, რომელსაც არ ჰქონდა შემოღებული ასეთი შეზღუდვა".

ამ მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ ვ. ზომბარტი შენიშნავს, რომ ეს წარმოადგენს ძველ პრუსიულ პრინციპს, რომ ცხოვრებას ქმნის განკარგულებაო. მისი აზრით, ასეთი მოსაზრებით გამსჭვალულ ადამიანებს ავიწყდებათ, რომ ვაჭრისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა არა პრივილეგიები, არამედ მყიდველიო. ამ საფუძველზე აღმოცენებულად მიაჩნია დაუდასტურებელი რწმენა, რომ შუა საუკუნეებში უკაცრიელი მიწები დაფარული იყო ქალაქების ქსელით ეკონომიური გაგებით. ასეთი ქალაქები აღწერილია, როგორც ვაჭრებისა და ხელოსნების დასახლება, გერმანიის „განზრახ დაარსებული" ქალაქები და საფრანგეთის „ახალი ქალაქები".

ვ. ზომბარტი აღიარებს, რომ მას გაუგებრად მიაჩნია გასაოცარი დასკვნა, რომ XI და XII სს. „აარსებდნენ" ქალაქებს ეკონომიური გაგებით, დოკუმენტალური მონაცემები თითქოს ამას ეწინააღმდეგებიან. მისი აზრით, წყაროები ეჭვმიუტანლად მოწმობენ, რომ მაშინ წარმოებდა „სოფლების" დაარსებაო. შესაძლებელია, ამ სოფელში კიდეც ყოფილიყო თითო ან ორ-ორი ვაჭარი ან ხელოსანი. ასეთი მოსაზრების გავრცელება მას შესაძლებლად

მიაჩნია „იარმარკტული დასახლების“ მიმართ, რომელიც აღმოცენდა არსებული ქალაქის გარეუბანშიო.

ახალი ქალაქის დამაარსებელ კოლონისტებს ეძლეოდა ვრცელი, მეტ წილად ძლიერ ვრცელი ნაკვეთი საყანე მიწისა, სათემო საძოვრებით და სათემო ტყით. „განზრახ“ დაარსებულ ქალაქებში სახლდებოდნენ სხვა მცხოვრებლებთან ერთად მრავალრიცხოვანი გლეხებიო. ასეთი ქალაქები სასოფლო ტიპის დასახლებას რომ წარმოადგენდა, ზომბარტის აზრით, დასტურდება იმ გარემოებით, რომ აღმოსავლეთ გერმანიაში დაარსებულ ჩვენთვის ცნობილი 300 დასახლებული პუნქტიდან ძხოლოდ 30 აღემატება პატარა (მცირე) სამიწათმოქმედო ქალაქს.

შუა საუკუნეების ქალაქების გენეზისის სწორად გასაგებად საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ აღნიშნული ქალაქების უმრავლესობა წარმოადგენს თავისი არსებობის პირველ საუკუნეებში თითქმის მხოლოდ მომხმარებელ ქალაქებს. მომხმარებელ ქალაქს ზომბარტი უწოდებს ისეთ ქალაქს, რომელიც საკუთარი პროდუქტებით არ ანაზღაურებს თავის არსებობის საშუალებებს, რადგან უკანასკნელს ღებულობს გარედან. საარსებო საშუალებებს ასეთი ქალაქი ღებულობს რაიმე უფლებრივი ტიტულის ძალით. ამიტომ მისთვის არ არის აუცილებელი მის ნაცვლად რაიმე ექვივალენტი მისცეს [1].

ამ საშუალებებს ღებულობს იმ პირთა გარკვეული რაოდენობა, რომელნიც ამ ქალაქის დამაარსებლად ითვლებიან. სამომხმარებლო ქალაქის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი დამაარსებელნი არიან მომხმარებელნი, ქალაქის „შემავსებელნი“, მუშაობენ ამ მომხმარებლებზე და ამით ღებულობენ ნაწილს მათი მოხმარებითი ფონდიდან. ზომბარტი აღიარებს, რომ ქალაქის თავდაპირველი შემქმნელი არის მომხმარებელი, დამოკიდებული მეორე (მესამე და ა. შ.) შემქმნელი — ქალაქის მწარმოებელი. ამგვარად, დამოუკიდებელი ელემენტები, ცხოვრების საკუთარ საარსებო საშუალებათა მქონენი, არიან მომხმარებელნი, მწარმოებელნი არიან დამოკიდებულნი მათგან და საარსებო საშუალებებს ღებულობენ მხოლოდ იმ ნაწილის გამო, რომელსაც მათ აწვდის მომხმარებელთა კლასი თავისი სამომხმარებლო ფონდიდან.

ამიტომ სამომხმარებლო ქალაქების აღმოცენებისათვის საჭიროა, რომ გარკვეულ ადგილზე შეიქმნეს სამომხმარებლო ფონდი. შუა საუკუნეებში აღმოცენებული მნიშვნელოვანი ქალაქების პირ-

[1] ვ. ზ ო მ ბ ა რ ტ ი, დასახელებული შრომა, გვ. 149.

ველი ჯგუფი წარმოადგენდა, ვ. ზომბარტის აზრით, საერო ან სასულიერო მთავრების რეზიდენციებს. მიწათმფლობელი აარსებდა ქალაქს; იგი გადაიქცეოდა მნიშვნელოვან მფლობელ მთავრად და თავის შემოსავალს, მიღებულს მიწის რენტიდან, ავსებდა გადასახადებიდან შემოსავლით. რადგან ეს პროცესი ხანგრძლივი იყო, ამიტომ ქალაქის შექმნა წარმოებდა ნელა და თანდათანობით.

„ასეთი ქალაქები, — ამბობს ვ. ზომბარტი, — წარმოადგენენ მაშასადამე ეპისკოპოსების, არქიეპისკოპოსების, გრაფების, მარკგრაფების, ჰერცოგების, მეფეების რეზიდენციებსო“[1]. ხშირად ერთი და იგივე ქალაქი შეიქმნებოდა სასულიერო და საერო მთავრის რეზიდენციადო და ამის გამო თავის განვითარების ორმაგ დასაყრდენს პოულობდაო. მას მოჰყავს კიდეც მაგალითები, ზედა იტალიის საეპისკოპოსო ქალაქებში ცხოვრობდნენ აგრეთვე ლანგობარდების ჰერცოგები, შემდგომ ფრანკთა გრაფებიო. კაროლინგთა ეპოქის გერმანული „civitates“ საოლქო გრაფისა და საგრაფო სასამართლოების ადგილსამყოფელს წარმოადგენდაო.

ხშირად, განსაკუთრებით ძველი კულტურის ოლქებში, შუა საუკუნეების რეზიდენციები მდებარეობდა რომაელების მიერ დაარსებულ ქალაქებში. ზოგიერთი კიდეც ფიქრობდა, რადგან ისინი იყვნენ „საქალაქო ცხოვრების ცენტრები“ რომის ეპოქაში, ისინი კვლავ შეიქმნენ ასეთებად შუა საუკუნეებში. ზომბარტს ეს შეხედულება მიაჩნია არამართებულად. იგი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ რომაულმა ქალაქებმა დიდი ხნით ადრე დაკარგეს მნიშვნელობა საქალაქო ცენტრებისა და დასძენს, რომ „რომაულსა და შუა საუკუნეების ქალაქს შორის არავითარი შინაგანი კავშირი არ არსებობსო“[2].

შუა საუკუნეებში მთავრის რეზიდენციას რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქების განვითარებისათვის, ზომბარტი ამის დასადასტურებლად ორ გარემოებაზე მიუთითებს, განვითარებული ქალაქები დიდ ზიანს განიცდიან, თუ ეპისკოპოსის რეზიდენცია გადააქვთ სხვა ქალაქში. მეორე შესანიშნავ ფაქტად არის აღიარებული ის, რომ ქალაქის სიდიდე და დოვლათი ხშირად პირდაპირ მიმართებაშია მასში მცხოვრებ მთავრების სიძლიერისა და სამფლობელოების სიდიდესთან. შუა საუკუნეების ქალაქები მით უფრო დიდია, რამდენად დიდი და მდიდარია ის ოლქი, რომლის დედაქალაქს იგი წარმოადგენს.

---

[1] ვ. ზომბარტი, დასახელებული შრომა, გვ. 150.

[2] იქვე, გვ. 152.

შუა საუკუნეების ქალაქში მსხვილ მომხმარებელ მთავრებთან ერთად იმყოფება მრავალი საშუალო და წვრილი რენტის მიმღები. ისინი ქმნიან, ზომბარტის აზრით, მნიშვნელოვან სამომხმარებლო ფონდს. მას მხედველობაში აქვს ის ეკლესიები და მონასტრები, რომელნიც მნიშვნელოვან შემოსავალს ღებულობენ. აგრეთვე, მდიდარი სასულიერო ორდენები იზიდავენ სახმარად გათვალისწინებულ სარენტო შემოსავალს. ამათ ზომბარტი უმატებს საერო რანტიეს. მას ქალაქის პირველ შემქმნელთა კატეგორიაში შეჰყავს მრავალი ქალაქისათვის მნიშვნელობის მქონე მოსწავლეები და სტუდენტები, რომელნიც სახსრებს, „ვექსილებს", ღებულობენ უცხოეთიდანო[1].

შუა საუკუნეების ქალაქში ცხოვრობდა მრავალი საერო „მიწათმფლობელი". ისინი ქალაქების შემქმნელი იყვნენ, რადგან ღებულობდნენ რენტას. ამასთან დაკავშირებით ზომბარტი ორ გარემოებას აღნიშნავს. ქალაქი იმდენად დიდი და მდიდარი იქნებოდა, რამდენად მეტი რაოდენობის მიწის რენტა იყო იქ მოხმარებული. ქალაქში მოხმარებული მიწის რენტის ოდენობა დამოკიდებული იყო, ერთი მხრივ, ქალაქის მიმზიდველი გავლენისაგან მსხვილ მიწათმფლობელებზე, მეორე მხრივ, იმ ოლქების ნაყოფიერებისაგან, რომელნიც ქალაქში დასახლებული მიწათმფლობელის განკარგულებაში იმყოფებოდა.

სოფლის მიწათმფლობელთა მოულოდნელად დაგროვებას ცალკეულ პუნქტებში ადგილი ჰქონდა X—XI ს.ს. ამ დროს მიწის რენტის მქონებელი მიწათმფლობელები დასახლდნენ გამაგრებულ ადგილებში, როგორც სამხედრო გარნიზონი. სწრაფად მზარდი საქალაქო დასახლებანი კიდეც ცდილობდნენ მათ მიზიდვას თავდაცვის ორგანიზაციის მიზნით. ზომბარტის აზრით, ეს დასახლებანი ქალაქის შექმნის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდნენ, რადგან მათი დახმარებით ქალაქის მრავალრიცხოვანი მოსახლეობისათვის სწრაფად გაფართოვდა გამოსაკვებად საჭირო ფართობი. ამიტომ მას (ზომბარტს) შესაძლებლად მიაჩნია აღიაროს, რომ შუა საუკუნეების ქალაქი, როგორც ეკონომიური ცენტრი, პირველ ხანებში არაიშვიათად გამაგრებულ, უფრო სწორად, საგარნიზონო ქალაქს წარმოადგენდა, რადგან მის მოსახლეობას კვებავდა არა გალავანი და არა სიმაგრე, არამედ შეიარაღებული პირები, რომელთაც ეჭირათ ციხე-სიმაგრე და იზიდავდნენ სახმარ

[1] ვ. ზ ო მ ბ ა რ ტ ი, დასახელებული შრომა, გვ. 155.

ფონდებს. რადგან სიმაგრის გარნიზონი შედგებოდა მიწის რენტის მფლობელ პირთაგან, მათი სამფლობელოებიდან რენტა ქალაქში იყო მოზიდული და იქ მიღებული საშუალებანი კიდეც მოიხმარებოდა.

„ძნელად შეიძლება წარმოვიდგინოთ ქალაქი, სადაც მოსახლეობის ნაწილი არ მიმართავდეს თავის და სხვის გამოკვებას სამრეწველო და კომერციული საქმიანობით, ესე იგი არ ღებულობდეს საარსებო საშუალებებს თავისი პროდუქტების გაცვლით გარე სამყაროს პროდუქტებზეო“ [1], აღიარებს ზომბარტი. ამგვარად, მისი აზრით, ქალაქის მოსახლეობა ზოგ შემთხვევაში გარე სამყაროსთან გაცვლითაც შეიძლება წარმოიქმნას. ისეთი ქალაქი, რომლის მოსახლეობა მახლობელ სასოფლო მოსახლეობასთან საქონლის გაცვლით არსებობს, მას სასოფლო ქალაქად, საბაზრო ადგილად მიაჩნია. ასეთი ქალაქები მცირე სასოფლო ქალაქებს წარმოადგენენო. დიდ ქალაქებშიაც საქონლის პროვინციაში გასაღებას არ შეიძლებოდა, რომ დიდი ოდენობისათვის მიეღწია, რადგან მაშინ ფართოდ იყო გავრცელებული მოხმარებითი მეურნეობა და სოფლის მოსახლეობის კულტურული დონე დაბალი იყო. ამის გარდა, გლეხების მიერ გაყიდულ პროდუქტებში აღებული ფული სხვადასხვა გადასახადის სახით მიწათმფლობელთა ხელში გადადიოდა. უკანასკნელნი საქონელს ქალაქის ხელოსნებთან და ვაჭრებთან ყიდულობდნენ.

აგრეთვე, იგი აღიარებს, რომ შუა საუკუნეების მრავალი ქალაქისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო ვაჭრობასო. მაგრამ მისი მნიშვნელობა ქალაქის წარმოქმნისათვის არ უნდა გადავაჭარბოთო. სავაჭრო ქალაქი ეკონომიური გაგებით საარსებო საშუალებებს ღებულობს მცირე თანხებით მყიდველების ფართო ფენიდანო, რის გამოც ფერხდება ქალაქის განვითარებაო [2].

თუ ქალაქში საექსპოროტო მრეწველობის განვითარება შესამჩნევია, მაშინ იქმნება სამრეწველო ქალაქის ტიპი. ზოგიერთი ქალაქი ცნობილი იყო მარილის მოპოვებით, მეორენი—ვერცხლის, მესამე—ღვინის, მეოთხე — ქაშაყის ჭერით. მაგრამ, ზომბარტის აზრით, ასეთ შემთხვევაში დიდი ქალაქი არ წარმოიქმნება. მას მოჰყავს საქსონიის ქალაქის ფრაიბურგის მაგალითი, სადაც ვერცხლის მოპოვება წარმოებდა და მოსახლეობის რიცხვი 4500—5000 არ აღემატებოდა.

---

[1] ვ. ზომბარტი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 163.

[2] იქვე.

ამგვარად, — ასკვნის ზომბარტი, — სამრეწველო კომერციული საქმიანობით, საერთაშორისო ვაჭრობითა და საექსპორტო მრეწველობით შუა საუკუნეებში დიდი ქალაქი არ შეიქმნებოდაო.

„მიწის რენტის დაგროვების გარდა, არსებობს მხოლოდ ერთი ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს შუა საუკუნეების ქალაქის განვითარებაში. ეს არის ფულით ვაჭრობა, საბანკო საქმე, ანუ მევახშეობა“ [1].

ადგილობრივი ხელისუფლება ქალაქის წარმოქმნის პროცესში დიდ ყურადღებას აქცევდა მევახშეობას. ზომბარტის აზრით, მიწათმფლობელთა შემოსავლის დიდი მნიშვნელობა ქალაქისათვის ნათელი ხდება შუა საუკუნეების დიდი ქალაქების ეკონომიურ თავისებურებათა გამოკვეთის დროს. „...წმინდა სამრეწველო ქალაქები (ფრაიბურგის მსგავსად) რჩებიან მცირე ქალაქებად. ხოლო თითოეულ ქალაქში, ათი ათასს მცხოვრებზე მეტს რომ მოითვლის, მდიდარ მომხმარებელთა დიდი რაოდენობა ცხოვრობს. რომელ ქალაქსაც არ უნდა მივმართოთ — ვენეციას, ფლორენციას, გენუას, მილანს, ბაზელს, სტრასბურგს, ნიურენბერგს, აუგსბურგს, ლიუბეკს, ჰამბურგს, ბრიუგეს, გენტს, იპრს, ლიუტიხს, პარიზს, ლონდონს, ვენას, პრაგას — ყველგან ვპოულობთ ერთს ან რამდენიმე მჭლობელ მთავარს, მეფეს, მარკგრაფს, ჰერცოგს, არქიეპისკოპოსს და ა. შ., მრავალ სასულიერო დაწესებულებას და საერო მიწათმფლობელების ფრიად დიდ რიცხვს“ [2].

ქალაქის შემავსებელთ (ადამიანებს) ვ. ზომბარტი ყოფს ორ ჯგუფად: ვინც საარსებო საშუალებას ღებულობს უშუალოდ და შუალობით (unmittelbare und mittelbare Brotnehmer). უშუალოდ საარსებო საშუალებებს ღებულობენ ისინი, ვინც ქალაქის შემქმნელებთან იმყოფებიან სამსახურში და ღებულობენ გასამრჯელოს თავიანთი საქმიანობისათვის. მეორე კატეგორიას შეადგენენ დამოუკიდებელი ხელოსნები და ვაჭრები, რომელნიც ამზადებენ სამრეწველო პროდუქტებს ან შემოაქვთ საქონელი უცხოეთიდან.

ქალაქის შემავსებელ პირებს მიეკუთვნებიან, ზომბარტის აზრით, სამღვდელოება, მხედრობა, მოხელეები, ხელოსნები, ვაჭრები და მოწყალების მიმღები პირები.

შუა საუკუნეების ქალაქში მრავლად იყო წარმოდგენილი სამღვდელოება. ზომბარტის აზრით, ამას ადასტურებს თითოეული ქა-

---

[1] ვ. ზ ო მ ბ ა რ ტ ი, დასახელებული შრომა, გვ. 164.

[2] იქვე.

ლაქია აღწერილობა. მას მოჰყავს მატიანის ცნობები, რომ არქიეპისკოპოსმა უნვანმა აღადგინა ქალაქი ჰამბურგი, შემოიკრიბა დაქსაქსული სამღვდელოება და მიიზიდა ქალაქში მრავალი მოქალაქე და ბერიო. ქალაქებში მონასტრებისა და ეკლესიების დიდი რაოდენობა დაარსებული იყო შუა საუკუნეებშიო. შუა საუკუნეების ქალაქში ვხვდებით ბატონ პრიორებს, კანონიკებს, მთავარ სამღვდელოებას: საკათედრო ტაძრის კაპიტულს, პრობსტებსა და საქალაქო სამონასტრო თემების დეკანებს, მნიშვნელოვანი მონასტრების აბატებს. ამათ გარდა, ვხვდებით დიდი რაოდენობით მდაბიო სამღვდელოებას, მაო მსახურებს და ყველა იმ პირს, რომელიც კაპიტულს არ ეკუთვნის, მაგრამ ასრულებს სხვადასხვა საეკლესიო ფუნქციას. ზომბარტი დაასკვნის, რომ სამღვდელოება შეადგენდა შუა საუკუნეების ქალაქის არამცირე ნაწილს.

მხედრებისა და მოხელეების რაოდენობის შესახებ, რომელნიც ქალაქის შემქმნელთა მეორე კატეგორიას მიეკუთვნებიან, მცირე ცნობები გვაქვსო, ამბობს ზომბარტი. დიდი ქალაქების შესახებ დამეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იქ „ფარის“ მატარებელთა რიცხვი არ იყო მცირე. ცნობილია, რომ „ბურგრაფებს“ ხშირად მრავალრიცხოვანი რაზმები ჰყავდათ თავიანთ განკარგულებაში.

მოხელეები უმთავრესად მემამულის მოსამსახურეებისაგან, მინისტერიალებისაგან, შედგებოდნენ. ზომბარტი არ ეთანხმება ბელოვს და მიუთითებს, რომ მას (ბელოვს) სურს მათი (მოხელეების) მოქალაქეთა რიცხვიდან სრულიად გამორიცხვაო. სამამულო უფლების თეორეტიკოსებთან კამათის დროს ბელოვმა განაცხადა, რომ ქალაქების დიდ უმრავლესობაში ერთი მინისტერიალის პოვნაც კი გაჭირდებაო. საერო და სასულიერო მთავრების მოხელეები ცხოვრობდნენ მთავრების რეზიდენციებში. ზომბარტს მოჰყავს მაგალითი, რომ წყაროების დადასტურებით კელნში ეპისკოპოსის ამალაში 25 კაცი ირიცხებოდაო. იგი დაასკვნის, რომ შუა საუკუნეების ქალაქებში სამეფო კარისა და „სახელმწიფო მოხელეების“ მნიშვნელოვანი შტატი ირიცხებოდა.

შუა საუკუნეების ხელოსანთა შორის თავდაპირველად ქალაქის პირველი დამაარსებელნი იყვნენო. ამას ზომბარტი მით ადასტურებს, რომ ხელოსნები მომსახურებას უწევენ ქალაქში მცხოვრებ გლეხებს, მსგავსად იმისა, როგორც წინათ ემსახურებოდნენ სოფელში მცხოვრებ გლეხებს. მაგრამ იქვე დასძენს, შუა საუკუნეების ქალაქების საერთო ხასიათის გამო დასტურდება, რომ ეს კატეგორია შეადგენდა ქალაქის ხელოსანთა უმნიშვნელო ნაწილსო,

განსაკუთრებით საქალაქო განვითარების პირველ საუკუნეშიო და ამიტომ მისი მნიშვნელობა მცირედი იყო. ხელოსნების დიდი რაოდენობა, მისი აზრით, ჯგუფდებოდა ქალაქში მცხოვრებ მიწათმფლობელთა ირგვლივ. მიწათმფლობელნი აძლევდნენ ხელოსნებს შეკვეთას და ამით უკანასკნელთ პირობებს უქმნიდნენ ეცხოვრათ თავისუფალ მოქალაქეთა მდგომარეობაში. განსაკუთრებით მკვეთრად გამოვლინდა ეს ფაქტი იქ, სადაც მიწათმფლობელის სახით გვევლინება ქალაქის დამაარსებელი მონასტერიო[1].

ზომბარტის მოსაზრებას, რომ ხელოსნები ქალაქის დამაარსებელთა მეორე კატეგორიას მივაკუთნოთ, ვერ გავიზიარებთ. შუა საუკუნეების ქალაქის დამაარსებელნი ხელოსნები არიან. ხელოსნების საქმიანობის გამოყოფამ მიწათმოქმედებიდან გამოიწვია შუა საუკუნეების, ანუ ფეოდალური ქალაქის დაარსება. თვით ქალაქის წარმოქმნა უნდა მივაკუთვნოთ X—XI სს. ზომბარტს ეს მოსაზრება გასაოცრად მიაჩნია. მისი აზრით, XI—XII სს. აარსებდნენ სოფლებს, რასაც ვერ გავიზიაოებთ და უმართებულოდ უნდა ჩავთვალოთ.

* * *

განსაკუთრებით სისრულით განიხილავს ვ. ზომბარტი ვაჭრების საკითხს და აღნიშნავს, რომ „ვაჭრების, „negotiatores", კავშირი მიწათმფლობელ კლასებთან უფრო ნათლად ჩანს, ვიდრე ხელოსნების კავშირი ამ კლასთანო (მიწათმფლობელებთან)". ამასთან ერთად იგი ეკამათება სამეცნიერო წრეებში (იგულისხმება ბურჟუაზიული იდეოლოგიის მატარებელ ისტორიკოსებში) „გაბატონებულ" შეხედულებას. ამ შეხედულებათა მიხედვით, შუა საუკუნეების ქალაქის ნამდვილი „დამაარსებელნი" არიან ვაჭრები და თვით ქალაქები წარმოშენენ „საბაზრო" დასახლებათაგანო. ზომბარტი საბაზრო თეორიის წარმომადგენლებს კიდეც ეკამათება[2].

---

[1] ვ. ზ ო მ ბ ა რ ტ ი, დასახელებული შრომა, გვ. 170—173.

[2] საბაზრო თეორია ეკუთვნის რუდოლფ ზომს, რომელიც მან განავითარა ნაშრომში „Die Enststehung des deutschen Städtwesens" (1890). იგი აღიარებს, რომ საქალაქო უფლება (Stadtrecht) წარმოიქმნა საბაზრო უფლებიდან (Marktrecht). ზომის კონცეფცია იდეალისტურია და ქალაქების ისტორიის იურიდიული თვალსაზრისით გადაჭრას ცდილობს.

აღნიშნული საკითხი ვერც ანრი პირენმა გადაჭრა. ნაშრომში „Средневековые города и возрождение торговли" (1922) მან განავითარა ქალაქის სავაჭრო დასახლებიდან წარმოშობის თეორია.

საბაზრო უფლების თეორიის წარმომადგენლები ქალაქების წარმოშობის მიზეზად სთვლიან თითქოს საესებით რეალურ მოვლენას. ისინი აღიარებენ, რომ შუა საუკუნეების ქალაქები წარმოიშვნენ საბაზრო დასახლებათაგანო. შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს თეორია გვაძლევს ეკონომიურსა და, მაშასადამე, ფრიად რეალისტურ ახსნას. ბელოვი აღიარებს, რომ „საისტორიო-სამეურნეო" თვალსაზრისით, საბაზრო თეორიის კონცეფცია მართებული არისო, რადგან მას ხელთველობაში აქვს საქალაქო ცხოვრების აღმოცენებაო. მ გრამ იგი ამ თეორიას საკამათოდ ხდის საქალაქო კონსტიტუციის განვითარების თვალსაზრისით.

ვ. ზომბარტი აღიარებს, რომ საბაზრო უფლების თეორია „სამეურნეო ისტორიის" თვალსაზრისით არ აღწს მართებულიო. მიზეზობრივი კავშირი იმის საწინააღმდეგოა, რასაც საბაზრო უფლების თეორეტიკოსები ამტკიცებენო. ქალაქები იმიტომ კი არ აღმოცენდნენ, რომ ამა თუ იმ ქალაქში ბაზარი ეწყობოდა ან მას საბაზრო პრივილეგია მიეცა, არამედ ამა თუ იმ ადგილას ბაზარი იმიტომ ეწყობოდა, რომ იქ აღმოცენდნენ ან აღმოცენდებიან ქალაქები. იარმარკტები ქალაქის გენეზისის შესახებ არაფერს არ გვეუბნებიანო [1].

ვ. ზომბარტი აღიარებს, რომ ამ თეორიაში დაფარულია მართებული აზრი, ხოლო ის ფორმა, რომელშიც გამოხატულია ეს თეორია, თავდაყირა აყენებს რეალურ ურთიერთობათო.

ვ. ზომბარტს არ მიაჩნია მნიშვნელოვნად, თუ როგორ ეწყობოდა ბაზრობა ერთხელ წელიწადში, ერთხელ თვეში ან ერთხელ კვირაში. რადგან განსაზღვრულ პუნქტში ეწყობოდა ბაზრობა და იქ პერიოდულად მიდიოდნენ ყიდვა-გაყიდვის მიზნით, ეს ფაქტი არავის არ აიძულებდა დასახლებულიყო იქ. პერიოდული ბაზრობა, მისი აზრით, პირიქით, წარმოადგენდა დაბრკოლებას ისეთი დასახლების წარმოქმნისათვის, როგორიც იყო ქალაქი. მას შესაძლებლად მიაჩნია მისი მტკიცება, რომ ქალაქი იქ აღმოცენდა, სადაც ბაზრობა არ ეწყობოდა, რომ საბაზრო ვაჭრობა მოცემულ ადგილზე შეწყდა იმიტომ, რომ ვაჭრები ბინადარნი შეიქმნენ უფრო მეტად, ვიდრე წინათ, და თავის სავაჭრო მოგებას ხარჯავდნენ ერთსა და იმავე პუნქტში.

სამიმოსვლო ვაჭრობა (დამტარებელი ვაჭრობა) VIII—IX სს. აღწევს საკმაო განვითარებას და იგი მალე გადადის საბაზრო

[1] ვ. ზომბარტი, დასაბეჭდებული ბროშა, გვ. 142, 173—174.

ვაჭრობაში. საბაზრო პუნქტებში ხვდებოდნენ ვაჭრები, რომელნიც მგზავრობდნენ ცალ-ცალკე ან ქარავნებით.

ქალაქების ისტორიის განმსაზღვრელი, გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგმულ იქნა მხოლოდ იმ მომენტში, როდესაც იარმარკტების (ბაზრობათა) მონაწილე ვაჭრებმა ერთ მშვენიერ დღეს უარი თქვეს შემდგომ მგზავრობაზე, გადაწყვიტეს გაეყიდათ თავიანთი საქონელი ერთსა და იმავე ფარდულებში, მოეყვანათ თავიანთი ცოლ-შვილი და ფარდულთან აეგოთ სახლი. ამგვარად, აღნიშნავს ვ. ზომბარტი, ფარდული (statio) გარდაიქმნა ეზოდ (mansio)[1]. მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენდა ის, რომ სოფლად მცხოვრები ვაჭრები გადასახლდნენ საბაზრო ადგილზე, რომელიც მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი შეიქნა. ცალკეულ შემთხვევებში „საბაზრო პრივილეგიებს" შეიძლებოდა ჰქონოდა რაიმე მნიშვნელობა, მაგრამ მარტო პრივილეგია მათ კლიენტებს ვერ მოუპოვებდაო. IX ს. ვაჭარს მხოლოდ კლიენტები აინტერესებდა. მისთვის მთავარი იყო ჰყოლოდა მყიდველები, მაშინ, პრივილეგიაც რომ არ ჰქონოდა, არა უშავდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მეფის მშვენიერი სიგელი უსარგებლო იქნებოდა.

„ვაჭრების გადასვლა ბინადარ ცხოვრების წესზე და საბაზრო დასახლებათა წარმოშობა შესაძლებელი შეიქნა მაშინ, როდესაც მომხმარებელთა შეჯგუფებამ ერთ ადგილზე მიაღწია, შესაბამის ხარისხამდე". ასეთი თეორიული ფორმულა შეიძლება მივიღოთო, აღიარებს ვ. ზომბარტი.

შუა საუკუნეებში ეს ხარისხი მიღწეული იყო მაშინ, როდესაც ერთ ადგილზე შემოიკრიბა მოხმარების საკმაო დიდი ფონდი, რომელიც იქმნებოდა გადასახადებისა და რენტის ფონდის ანგარიშიდანო. იმავე აზრს ზომბარტი შემდეგნაირად გამოთქვამს, თუ ვაჭრები განსაზღვრულ ადგილას ქმნიან საბაზრო დასახლებას და ხელს უწყობენ უკანასკნელის ქალაქად გადაქცევას, ამას ისინი იმიტომ სჩადიან, რომ ამ ადგილზე ცხოვრობენ მიწათმფლობელნი, რომელნიც წინეთ ცხოვრებდნენ ათ სხვადასხვა ადგილასო. ამგვარად აღმოცენდა „ვაჭართა ქალაქიო". ვაჭართა დასახლება მოეწყო მთავრის რეზიდენციის ჰიშკრის წინ და მოთავსდა იქ, სადაც წინათ იყო ბაზარი[2].

ვ. ზომბარტი ამ დასახლების ასეთ სურათს გვაწვდის: რამ-

[1] ვ. ზომბარტი, დასახელებული შრომა, გვ. 176.
[2] იქვე, გვ. 178—179.

დენიმე დუქნის უკან სახლები იდგა, სადაც ვაჭრების ოჯახები ცხოვრობდნენ, მათ გვერდით — რამდენიმე სახადილო და სახელოსნო, მათი მეპატრონენი ღარიბი მედუქნეები იყვნენ, რომელთა არსებობა დამოკიდებული იყო იმ ამაყი ბატონებისაგან, რომელნიც მდინარის გაღმა, თავის კურიებსა და ციხე-კოშკებში ცხოვრობდნენ. ვ. ზომბარტს მოჰყავს ფლახის აღწერა XI ს. ნარბონის ვითარებიდან: „ვაჭრები, ზარაფები, გადამხურდავებელნი, მებანკეები, არმატორები ცხოვრობდნენ ბურგში პორტის მახლობლად, ეგვერის ჭიშკრის ირგვლივ მდებარე სახლებში, რომლებიც, შუა საუკუნეების ჩვეულების მიხედვით, აგებულია ხიდზე, ბურგს რომ მეორე ნაპირთან აერთებს. აშკარაა, რომ მათ არაფერი არ ძალუძთ იმ სიმაგრის მიმართ, რომელიც მათზე ბატონობს, და არავითარი უფლება არა აქვთ, გარდა იმისა, რასაც მათ სენიორი აძლევს ან რასაც ისინი ფულით შეიძენენო“ [1].

ამის შემდეგ ციხე-კოშკის მცხოვრებთა ინტერესისა და საჭიროებას გამო ვაჭრებმა, ე. ი. უფრო ძვირფასი ნივთებით მოვაჭრეებმა, დაიწყეს დასახლება ჭიშკრის წინ ხიდთან; იქვე აგებენ სახლებს სასადილოებისა და სასტუმროების მფლობელნი, რომ იმ პირთა ვის, რომელთაც იქ საქმეები ჰქონდათ, მიეწოდებინათ საზრდო და სადგომი და აგრეთვე იმათთვისაც, ვისაც არ შეეძლო ეცხოვრა ციხე-კოშკში. გავრცელდა გამოთქმა „წავიდეთ ხიდთანო“. იქ იმდენი შენობა აიგო, რომ მალე აღმოცენდა დიდი ქალაქი ციხე-კოშკის მცხოვრებთა ინტერესისა და საჭიროებისათვის და მან სახელი მიიღო ხიდისაგან, რომელსაც ადგილობრივ ენაზე „ბრიუგე“ ეწოდებოდა.

ვ. ზომბარტი არ ეთანხმება პირენს და აღიარებს, რომ პირენის ცნობილი გამოთქმა, რომელშიც დაჯამებულია მისი შეხედულება შუა საუკუნეების ქალაქზე, უნდა იქნეს გარდაქმნილი საწინააღმდეგოდ, თუ გვსურს ფაქტებს შევუთანხმოთო. ა. პირენი აღიარებს: „ქალაქები ვაჭრების შექმნილია; ისინი მხოლოდ ვაჭრობის გამო არსებობენო“. ზომბარტს მართებულად მიაჩნია შემდეგი ფორმულირება: „შუა საუკუნეების ქალაქები, ეკონომიური გაგებით, შექმნილი არიან რენტისა და გადასახადების მიმღებთა მიერ. ვაჭრები ამ უკანასკნელთა გამო არსებობენო“ [2].

[1] შუა საუკუნეების ქალაქის ისტორიის შესახებ მასალა აქვს შეშონაბული წმ. ბერტინის მონასტრის ქრონიკას, რომელიც ი. ლონგს შეუდგენია. ამ მასალით სარგებლობს ვ. ზომბარტი.

[2] ვ. ზომბარტი, დასაბეჭდებული შრომა, გვ. 179—180.

აგრეთვე, შუა საუკუნეების ქალაქში მრავალი პირია, რომელნიც სამოწყალოს ღებულობენ. მაშინ მონასტრების ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა ღარიბთა და სნეულთათვის დახმარების გაწევა. უფრო გვიან მდიდრები ჰემანური ან სარწმუნოებრივი მოსაზრებებით აწყობდნენ ღარიბთა თავშესაფარებსო.

ქალაქის შესაქმნელად საჭირო იყო ქალაქის შექმნას ობიექტი. ამიტომ ვ. ზომბარტს საჭიროდ მიაჩნია, გამოარკვიოს საკითხი იმ მოტივების შესახებ, რომელთა გამო ქალაქის კედლებთან დასახლდნენ ქალაქის შემავსებელი პირები.

ქალაქის აღმოცენების ადგილას მისი მოსახლეობის ნაწილი უკვე ცხოვრობდა, როგორც საერო ან სასულიერო მემამულეთა მსახურები, მემამულისათვის მომუშავე ხელოსნები, რომელნიც შემდგომ დამოუკიდებელ ხელოსნებად გადაიქცნენ. მათ ვ. ზომბარტი შთამომავლობითურთ სთელის ქალაქის შემავსებელთა ძირითად კადრებად. შემდეგ მათ დაემატნენ მეხეტიალე ხელოსნები. ქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მას მიაჩნია სოფლიდან გადმოსახლებულად. სოფლიდან გადმოსახლებას რომ მასობრივი ხასიათი მიეღო, საჭირო იყო ორი პირობა: სოფელს გაედევნა თავისი მცხოვრებნი, ქალაქს კი მიეღო. ქალაქის შინაგანი ცხოვრება რომ მტკიცდებოდა, სოფლის მცხოვრებთა დგომარეობა ძნელდებოდაო.

ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპაში, გარდა შინა ომებისა, IX—X სს. ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ტომების შეჯრა-თავდასხმებს, რომელნიც ადგილობრივ მოსახლეობას ძარცვავდნენ. სოფელში ცხოვრება არ იყო უშიშარი და ამით აიხსნება ქალაქების ირგვლივ კედლების აგებაო.

საბატონო ბეგარის სიმძიმე გლეხებს აიძულებდა თავშესაფარი ქალაქებში ეძებნათო. მემამულეები XII ს. დამოუკიდებელ გლეხებს ნაკვეთებს ართმევდნენ, უკანასკნელნი კარგავდნენ მიწით თავის გამოკვების საშუალებას. აგრეთვე XI—XII სს. ადგილი ჰქონდა მოსახლეობის სწრაფ ზრდას. ამიტომ მიწას მოსახლეობის დიდი რაოდენობა ტოვებდა და მიემართებოდა ახლად დასასახლებელ ოლქებში ან ქალაქს ავსებდა.

მიწას მოცილებული პირები ქალაქს აფარებდნენ თავს. ქალაქი მათ იზიდავდა ოჯახისა და საკუთარი თავის მიწის გარეშე გამოკვების შესაძლებლობითა და უშიშროებით. ისინი ქალაქში თავისუფალ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ცნობილია, რომ საქალაქო უფლების ძირითადი პრინციპი აღიარებდა, ქალაქის ჰაე-

რი ადამიანს თავისუფლად ხდისო. თავისუფლება, სამუშაოს შოვნის იმედი და უშიშარი არსებობა იზიდავდა ქალაქში მოსახლეობას.

„ქალაქებში განვითარდა ახალი, თავისებური სამეურნეო ცხოვრება, რომელსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის კულტურის შემდგომი განვითარებისათვის", — აღნიშნავს ზომბარტი და დასძენს, რომ იგი შექმნა ორმა ძალამ: წვრილ ხელოსანთა და ქალაქის ინტერესებმაო [1].

შუა საუკუნეებში გაბატონებული იყო ფეოდალიზმი. ძირითად საქმიანობას მიწათმოქმედება წარმოადგენდა. მიწათმფლობელები ცხოვრობდნენ თავიანთ მამულებში და ნატურალური მეურნეობის პირობებში ითვისებდნენ გლეხის შრომის პროდუქტს და თვით მის შრომას.

„ფეოდალიზმის სრულ განვითარებასთან ერთად ჩნდება აგრეთვე დაპირისპირება ქალაქის მიმართ. იერარქიული სტრუქტურა მიწათმფლობელობისა და მასთან დაკავშირებული შეიარაღებული რაზმები აძლევდნენ თავადაზნაურობას ყმებზე ბატონობის უფლებას. ეს ფეოდალური წყობილება, ისევე როგორც ანტიკური თემური საკუთრება, იყო ასოციაცია, მიმართული დამონებული მწარმოებელი კლასის წინააღმდეგ; მხოლოდ ასოციაციის ფორმა და დამოკიდებულება უშუალო მწარმოებლისადმი სხვადასხვაგვარი იყო, ვინაიდან წარმოების სხვადასხვა პირობები არსებობდა" [2].

ქალაქები ხელოსნობისა და ვაჭრობის ცენტრებს წარმოადგენდა. ხელოსნები გაერთიანებული იყვნენ ამქრებში.

„მიწათმფლობელობის ამ ფეოდალურ სტრუქტურას შეესაბამებოდა ქალაქად კოოპერაციული საკუთრება, ხელოსნების ფეოდალური ორგანიზაცია" [3].

ქალაქს განასხვავებდა ხელოსნობა, რამაც მას დასაბამი მისცა. ქალაქი წარმოიშვა ხელოსნობის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან გამოყოფის შედეგად. ქალაქში განვითარდა გაცვლა, ე. ი. ვაჭრობა. სასაქონლო წარმოება არსებობდა ფეოდალიზმის დროს და მომსახურებას უწევდა მას [4].

---

[1] ვ. ზომბარტი, დასახელებული შრომა. გვ. 180—183.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგიიდან", 1948, გვ. 21—22.

[3] ვ. ზომბარტი, დასახელებული შრომა, გვ. 22.

[4] ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სარ კავშირში, 1952, გვ. 17.

ქალაქში „ხელოსანთა სტაბილურმა რიცხვმა მზარდი მოსახლეობის პირობებში განავითარა ქარგალთა და შეგირდთა სისტემა, რომელმაც ქალაქში ისეთივე იერარქია შექმნა, როგორც სოფლად არსებობდა“ [1].

ფეოდალური ქალაქი და სოფელი ურთიერთისაგან მკვეთრად განსხვავდებიან. მეფის, გრაფის, ჰერცოგის და, საერთოდ, მსხვილი მიწათმფლობელების რეზიდენცია თავდაპირველად სოფელია ან გამაგრებული ადგილი, რომელიც მხოლოდ იმის გამო, რომ სამამულო ცენტრია და იქ დასახლებულია მსხვილი მიწათმფლობელი, არ წარმოადგენს ქალაქს. ამიტომ დასავლეთ ევროპაში IX—XI სს-მდე ვერც ვპოულობთ ქალაქს. ხოლო შრომის საზოგადოებრივი განაწილებისა და გაცვლის განვითარების შედეგად გამოცოცხლდნენ ძველი ქალაქები და აღმოცენდნენ ახალი ქალაქები. ადრეულ შუა საუკუნეების პერიოდში ქალაქები და ხელოსნობა სუსტად ვითარდებიან.

ქალაქის აღმოცენებისათვის შრომის საზოგადოებრივი განაწილების მნიშვნელობის შესახებ კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ „ყოველი განვითარებული და საქონელ-გაცვლის მეშვეობით განხორციელებული შრომის დანაწილების საფუძველია ქალაქის გამოყოფა სოფლისაგან. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების მთელი ეკონომიური ისტორია ამ დაპირისპირებულობის მოძრაობაში მიმდინარეობს“ [2].

შუა საუკუნეების ქალაქი ფეოდალური რენტის მომხმარებელთ კი არ შეუქმნიათ, როგორც ამას ვეონერ ზომბარტი აღიარებს, არამედ მას დასაბამი მისცა პირველმა სამრეწველო მოსახლეობამ. მეფის, გრაფის, ჰერცოგის რეზიდენცია იქ ხელოსნების დასახლების გამო ქალაქად გარდაიქმნა. ამის შემდეგ გარდა ძირითადი მოსახლეობისა, ხელოსნებისა და ვაჭრებისა, ქალაქში სახლდებიან ფეოდალური საზოგადოების სხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლები. კერძოდ, სამღვდელოება და მემამულე აზნაურები.

ფ. პოლიანსკი მართებულად აღნიშნავს, რომ „ზომბარტის ცდა—განიხილოს შუა საუკუნეების ქალაქები, როგორც ფეოდალური რენტის მოხმარების ცენტრები. არ არის დამაჯერებელი და არსე-

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგიიდან“, 1948, გვ. 22.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტომი პირველი, 1954, გვ. 447—448.

ბითად სამამულო თეორიის ძველი კონცეპციის განახლებას წარმოადგენს. ზომბარტი არ ითვალისწინებდა ქალაქების სპეციფიკურ როლს შუა საუკუნეების ეკონომიურ ცხოვრებაში და ივიწყებდა იმას, რომ არისტოკრატიის მამული ან თვით მეფის რეზიდენცია, გახდებოდა რა ხელოსნურ დაბად, გადაიქცეოდა ქალაქად"[1].

(შემოვიდა რედაქციაში 14. V. 1955).

Ш. В. АБРАМИДЗЕ

ВЕРНЕР ЗОМБАРТ К ВОПРОСУ О ВОЗНИКНОВЕНИИ СРЕДНЕВЕКОВОГО ГОРОДА

Резюме

Немецкий экономист Вернер Зомбарт (1863—1941 гг.) в работе „Современный капитализм"[2] попытался разрешить проблему возникновения средневекового города. Зомбарт принадлежал к школе вульгарных буржуазных экономистов и названный труд направлен против марксизма. В. И. Ленин указывает, что в начале своей деятельности Зомбарт был одним из типичных представителей „слегка подкрашенного в марксисткий цвет социал-либерализма"[3]. В дальнейшем Зомбарт вел борьбу против рабочего класса и марксизма и выступал в роли идеолога немецкого империализма.

Зомбарт, исследуя вопросы развития докапиталистического хозяйства, создал своеобразную теорию возникновения средневекового города. Он считал средневековые города потребительскими городами, а основателями этих городов крупных земле-

[1] Ф. Я. Полянский, Экономическая история зарубежных стран. Эпоха феодализма, 1955, стр. 272.

[2] Вернер Зомбарт (Werner Sombart), Современный капитализм, том первый. Введение, докапиталистическое хозяйство, исторические основы современного капитализма, первый полутом, Москва-Ленинград, 1931. (Der Moderne Kapitalismus, erster Band. Einleitung, die vorkapitalistische Wirtschaft, Die historischen grundlagen nes modernen Kapitalismus, erster Halband).

[3] В. И. Ленин, Сочинения, 4 изд., т. 18, стр. 51.

владельцев (епископов и архиепископов, графов, маркграфов, герцогов, королей) потреблявших ренту.

„Тот, кто хочет правильно понять генезис средневековых городов должен прежде всего уяснить себе, что большинство этих городов — и в том числе все наиболее значительные из них — в течение первых столетии своего существования были почти исключительно потребительскими городами", пишет Зомбарт и далее отмечает, что средства существования такой город получал из какого либо правового титула и что его основатели являются потребителями, которых он считает первоначальными, первычными создателями города, т. е. субъектами городообразования. Производители, по мнению Зомбарта, являются зависимыми, вторичными (третьичными и т. д.) создателями города Зомбарт предполагает, что „большая часть ремесленников группировалась вокруг проживающих в городе землевладельцев". Взгляды некоторых ученых о том, что основателями средневековых городов были купцы, считает ошибочными[1].

Ремеслу и торговле отводится второстепенная роль. Население городов он делит на две категории. „Вторая категория — это независимые ремесленики и торговцы, поставляющие продукты или привозящие товары из-за границы". К первой категории населения города он относит всех тех лиц, которые состоят на службе у основателей города и получают плату за свои услуги. Эти две категории людей, заполняющих город, является объектами городообразования[2].

В городах, по мнению Зомбарта, впоследствии развивается своеобразная хозяйственная жизнь.

Потребление феодала не могло способствовать возникновению города. Потребительское хозяйство крупного землевладельца ограничивалось феодальным поместьем и не создавало экономиче-

---

[1] Вернер Зомбарт, Современный капитализм, т. I, стр. стр. 149, 171, 173.

[2] Там же, стр. 165.

Хотя Зомбарт и упоминает, что „среди ремесленников средневековых городов с самого же начала были первичные создатели городов", но там же указывает, „что „эта категория составляла небольшую часть городских ремесленников ...и поэтому значение её для городов было невелико" (стр. 170).

ских предпосылок для превращения усадьбы в город „Ясно неубедительной является и попытка Зомбарта, — пишет Полянский, — рассматривать средневековые города как центры потребления феодальной ренты, адресующаяся фактически к стародавной концепции вотчинной теории“ [1].

Следовательно, Зомбарт не мог разрешить проблему возникновения средневекового города, формировавшегося в процессе отделения ремесла от сельского хозяйства.

[1] Ф. Я. Полянский, Экономическая история зарубежных стран. Эпоха феодализма, 1954, стр. 272.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

ლ. სანიკიძე

პონტოს სამეფოს როლის შესახებ რომის საიმპერატორო ხელისუფლების ჩამოყალიბების საქმეში *

ალექსანდრე მაკედონელის მონარქიის ნანგრევებზე ჩამოყალიბებულ ჰელინისტურ სახელმწიფოთა შორის ყველაზე უფრო ძლიერად თავს გრძნობდა სელევკიდების სირიის სამეფო. მისი ძალაუფლება ხმელთაშუა ზღვიდან ინდოეთამდე ვრცელდებოდა. III საუკუნის დასაწყისშივე (ძვ. წ.), დაიწყო ამ უზარმაზარი მონარქიის დაშლა და მის ტერიტორიაზე სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნა.

დაახლოებით ამავე პერიოდში, 296 წ. ძვ. წ. სელევკიდების ულელს თავი დააღწია და დამოუკიდებლობა გამოაცხადა პონტოს სამეფომ.

გეოგრაფიულად პონტო მოიცავდა ოლქებს მდ. აპსარიდან (ჭოროხი) მდ. პართენიონამდე, მცირე აზიის მაღლობების ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს და ევფრატის ზემო დინების მიდამოებს. ანტიკურ წყაროთა ერთხმივი დამოწმებით ამ ტერიტორიაზე ადრიდანვე ხალიბები, ტიბარენები, კოლხები, მოსინიკები, მაკრონები, დრილები, ტაოხები და სხვა ქართველური ტომები ცხოვრობდნენ. პონტოს ზღვის სანაპიროებზე ბერძნული კოლონიები, ამასტრისი, სინოპი, ამისოსი, თემისკირა, პოლემონია, კოტიორა, ტრაპეზუნტი და სხვ. ჰყვაოდნენ. მათ თავისი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობით არ ჩამორჩებოდნენ ქვეყნის შიგნით მდებარე ქალაქები: გაზელიონი, ფასემონი (შეად. ფასისი!), ამასია, ცელა, გაზიურა, კომანა, ქაბიირა და სხვ.

* წაკითხულია მოხსენებად ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა XVIII სამეცნიერო სესიაზე 1954 წ. 24 მარტს (დაბეჭდილია თეზისები). იბეჭდება შემოკლებით.

III—II სს. ძვ. წ. პონტოს სამეფო თანდათან ძლიერდება, ამას ხელი შეუწყო მაშინდელ წინა აზიაში არსებულმა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ფაქტორებმა. ის ტერიტორია, სადაც პონტოს სამეფო შეიქმნა, ძველთაგანვე დიდ სავაჭრო გზაჯვარედინს წარმოადგენდა. აქ გაიყვლიდნენ სავაჭრო გზები ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებიდან შორეული აღმოსავლეთისაკენ და ყირიმიდან მცირე და წინა აზიის ქვეყნებისაკენ. პონტოს ეკონომიური მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც ინდოეთისაკენ მიმავალი სამხრეთული გზები პართიის სამეფომ გადაჭრა. პონტოს გაძლიერებას ხელს უწყობდა მაშინდელ აზიაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობაც. სელევკიდების სახელმწიფო ინგრეოდა, ხოლო მის შემდეგ წინა აზიაში არც ერთ პოლიტიკურ შენაერთს არ შეეძლო წინ გადასდგომოდა პონტოს სამეფოს წინსვლასა და გაძლიერებას. პონტოს სახელმწიფოს მმართველი მითრიდატიდების დინასტია თვითონ ცდილობდა ფართო საექსპანსიო ზრახვების განხორციელებას მეზობელი ქვეყნების მიმართ და სურდა თავისი სამეფო გადაექცია აქემენიდების, მაკედონელების თუ სელევკიდების უზარმაზარ მონარქიათა ძლიერ შემცვლელად. თითქმის ყველა პირობა იყო შექმნილი ამ გეგმის განსახორციელებლად.

მაგრამ ამ დროს აღმოსავლეთში ახალი მძლავრი მსოფლიო დამპყრობელი გამოჩნდა, რომელსაც ფრთები უნდა შეეკვეცა ყველასათვის, ვინც შეეცდებოდა მასთან მეტოქეობას აღმოსავლეთის დაპყრობის საქმეში. ეს იყო რომი.

რომის სახელმწიფომ II ს. ძვ. წ. დასაწყისისათვის მთლიანად დაიმორჩილა და თავისი ძალაუფლების ქვეშ მოაქცია მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი და მისი მოსაზღვრე ქვეყნები. შემდეგ რომაელები აზიის სანაპიროებს მოადგნენ. 190 წ. ძვ. წ. მაგნესიასთან მათ სასტიკად დაამარცხეს სირიის მეფე ანტიოქე III და ამის შემდეგ იარაღის ძალით, თუ გაქნილი დიპლომატიის მეშვეობით, შეუდგნენ აზიის წვრილ-წვრილი სამეფოების დამორჩილებას. ვერავინ ბედავდა წინ გადასდგომოდა რომაელთა წინსვლას აღმოსავლეთში.

და აი, პირველი, რომელმაც რომის თავზარდამცემი ავტორიტეტის წინააღმდეგ იარაღი აღმართა და უცხოელთა ექსპანსიისაგან თავისი თავისა და საერთოდ აზიის გადარჩენა სცადა, სწორედ პონტოს სამეფო იყო.

ამ შეჯახების პირველ ეტაპს ე. წ. „ფარნაკის ომი“ (182—179 წწ. ძვ. წ.) წარმოადგენდა. მაგრამ ამ ომში პონტო რომის

წინააღმდეგ უშუალოდ იარაღით ხელში (manu militari) არ გამოსულა, არამედ ის ებრძოდა რომის „მფარველობის" ქვეშ მყოფ ქვეყნებს (პერგამოსი, კაპადოკია, პაფლაგონია, გალატია). ამ ომში ფარნაკ პონტოელი დამარცხდა იმის წყალობით, რომ მის მოწინააღმდეგეებს რომაელები დაეხმარნენ. ცხადი გახდა, რომ აზიაში გაძლიერება და გაბატონება რომთან ომის გარეშე შეუძლებელი იყო.

ეს კიდევ უფრო ცხადი შეიქნა პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორისათვის (120—63 ძვ. წ). რომელმაც თავისი ხანგრძლივი მმართველობის წლები ძირითადად რომაელებთან ომებს შეალია.

ჯერ მითრიდატემ თავისი მბრძანებლობის ქვეშ თითქმის მთელი შავი ზღვის აუზი და მისი მოსაზღვრე რაიონები გააერთიანა, სომხეთის ძლიერ სამეფოსთან კავშირი დაამყარა და მცირე აზიის ქვეყნების დამორჩილებას შეუდგა. სწორედ აქ შეეჯახნენ ერთმანეთს პონტო და რომი.

ბრძოლა გაჩაღდა 88 წელს ძვ. წ. მომდევნო წლისათვის პონტოელების მიერ მთელი მცირე აზია, ეგეოსის არქიპელაგი და საბერძნეთის უმეტესი ნაწილი მთლიანად იქნა გაწმენდილი რომაელებისაგან. ახლა თვით იტალიას ემუქრებოდა პონტოელთა თავდასხმის საფრთხე.

ამ დროს იტალიაში სამოქალაქო ომები მძვინვარებდნენ; მონათა ამბოხებები და პროვინციათა აჯანყებები ერთმანეთს სცვლიდნენ. რომში პარტიათა ბრძოლა კიდევ უფრო გაამწვავა მითრიდატეს წინააღმდეგ ბრძოლაში მთავარსარდლის არჩევის საკითხმა. ამასთან დაკავშირებით რომში ნამდვილი ომი გაჩაღდა[1]. ერთიმეორეს ებრძოდა ორი სოციალური ძალა, ორი პარტია — ოპტიმატები (optimates — იგივე კონსერვატორები, პატრიციუსები, სენატორები, რომაული რესპუბლიკის კონსტიტუციის დამცველები) და პოპულარები (populares — პლებეურ-დემოკრატიული მასები, ყველა, ვინც უკმაყოფილო იყო რომის რესპუბლიკური წყობილების უსუსურობით; მათთან უმეტეს წილად ეკონომიურად ძლიერი მხედართა წოდება, რომელიც მომხრე იყო ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნისა). ამ ბრძოლაში აღმოსავლეთის მთავარსარდლობა სენატის კანდიდატმა, ლუციუს კორნელიუს სულამ მოიპოვა.

ძლიერი არმიით საბერძნეთში ჩამოსული სულა დარწმუნებული იყო, რომ „ელვისებური" შეტევებით სწრაფად დაამარცხებდა პონ-

[1] Appianus, Bell. civ. I, 60.

ტოელებს და სწრაფადვე მიბრუნდებოდა რომში თავის პოლიტიკურ მტრებთან ხელახალი ანგარიშსწორებისათვის. მაგრამ მისი იმედები გაცრუვდა. საბერძნეთსა და მცირე აზიაში ეს „ელვისებური“ ომი თითქმის სამ წელს (86—83) გაჭიანურდა. მან არაერთჯერ დაამარცხა მითრიდატე, მაგრამ სრული გამარჯვების მოპოვება ჯერ კიდევ შორს იყო. ის იძულებული შეიქნა პონტოს მეფესთან კომპრომისული ზავი დაედო და დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო რომში, საიდანაც მას ძლიერი მტრის წინააღმდეგ აუცილებელი დახმარების მაგივრად კონსერვატიულ-რესპუბლიკური ხელისუფლების სრული დაბნეულობისა და უსუსურობის ამბები მოსდიოდა.

სულა რომში დაბრუნდა, ხოლო მის მიერ პონტოელებთან შუაზე გაწყვეტილი ომის დამთავრება მისმა ლეგატმა ლუციუს მურენამ სცადა, მაგრამ სასტიკად დამარცხდა (83—81).

74 წელს ძვ. წ. რომი და პონტო უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის შეხვდნენ ერთმანეთს. აღმოსავლეთის ომში მთავარსარდლობა კვლავ კონსერვატულ-რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელმა, ლუციუს ლიცინიუს ლუკულუსმა ჰიიღო. ლუკულუსმა სასტიკი ბრძოლების შემდეგ დაამარცხა მითრიდატე ევპატორი და შემდეგ მისი მოკავშირის, სომხეთის მეფის ტიგრან II-ის წინააღმდეგ გაეშურა.

ლუკულუსიც, ისევე როგორც სულა, პონტოსა და სომხეთის დამორჩილებას „ელვისებური“ ომით აპირებდა. მას პირველ ხანებში ბრწყინვალე წარმატებები ჰქონდა. მაგრამ როგორც კი მითრიდატემ და ტიგრანმა სიტყვიერი კავშირი რეალურ საქმედ აქციეს და რომაელებს გაერთიანებული ძალებით დახვდნენ, აღმოსავლეთში ომები მეტისმეტად გაჭიანურდა. ლუკულუსი უკვე მეშვიდე წელი იბრძოდა აღმოსავლეთში. თითქმის ყველა გენერალური ბრძოლა მოგებული ჰქონდა, მაგრამ სრული გამარჯვების მოპოვების ნაცვლად იძულებული ხდებოდა ზედიზედ დაეტოვებინა ის ტერიტორიები, რომლებიც მან ადრე მითრიდატესა და ტიგრანს წაართვა. 67 წელს გაბინიუსის კანონით (lex Gabinia) აღმოსავლეთის მძიმე მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ლუკულუსს ჩამოერთვა ბითინია-პონტოს გამგებლობა, აღმოსავლეთის უმაღლესი მთავარსარდლობა და გადაეცა ის კონსულ მარკუს აცილიუს გლაბრიონს[1]. ბითინიაში ჩამოსული გლაბრიონი

[1] Sallustius, Hist. fragm., V, 13; Plutarchus, Pompeius, 30; Appianus, Mithridatica, 90; Cassius Dio, XXXVI, 17.

მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ დაგზავნა ედიქტები, რომელთა მიხედვით ლუკულუსის სამსახურისაგან ათავისუფლებდა ყველა მის მეომარს. ეს მოწოდება საკმარისი გახდა, რომ არმიის უდიდეს ნაწილს ლუკულუსის ბანაკი მიეტოვებინა. უფლებებაყრილი ლუკულუსი მცირეთა თანხლებით უმწეო მდგომარეობაში რჩებოდა მოიერიშე პონტოელებისა და სომხების წინაშე. თვითონ გლაბრიონი ვერ ბედავდა შებმოდა ძლიერი მტრების წინააღმდეგ ბრძოლის უღელს, რომლის გაწევაც მასზე უფრო ნიჭიერ და ქედღონიერ ლუკულუსს უჭირდა. გლაბრიონი მართლაც არ იყო მომზადებული ასეთი საშიში ომის ხელმძღვანელობისათვის[1], ხოლო აზიის მაშინდელი მდგომარეობა ოდნავ დაყოვნებასაც არ ითმენდა. პონტოელები და სომხები წარმატებით მიერეკებოდნენ რომაელებს ხმელთაშუა ზღვისაკენ. რა თქმა უნდა, ნიჭიერი და მამაცი ლუკულუსის შეცვლა უნიჭო და მხდალი გლაბრიონით საქმეს ვერ უშველიდა.

თითქმის 25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაკ რომი და პონტო სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეებნენ ერთიმეორეს და გადამწყვეტი შედეგი მაინც არ ჩანდა. რომის ისტორიას არ ახსოვდა ასეთი ხანგრძლივი, მძიმე და მასთან უნაყოფო ომები, არც ერთ სერიოზულ მოწინააღმდეგესთან. რომაელთა ომები აღმოსავლეთში „სიზიფეს შრომას“ მოგვაგონებს: წარმატებით უახლოვდებოდნენ ისინი პონტოსა და საერთოდ აზიის დამორჩილების მიზანს, მაგრამ უმალვე ხელიდან უსხლტებოდათ სასურველი მიზანი და ყოველივე ისევ თავიდან დასაწყები ხდებოდა.

მაშ, რა იყო მიზეზი რომაელთა ამ უსასრულო „სიზიფეს შრომისა“ აღმოსავლეთში? რა იყო მიზეზი იმისა, რომ ჰანიბალის მსგავსად. წლების განმავლობაში ბრწყინვალე გამარჯვებებით ძლევამოსილი ლუკულუსი ჰანიბალის მსგავსადვე გამარჯვების ნაყოფს ვერ სწყვეტდა და სრული გამარჯვების ნაცვლად სრული დამარცხების პერსპექტივის წინაშე დადგა?

ლუკულუსს აზიაში ჩამოსვლისას ხუთი ლეგიონი და ცხენოსანთა მცირე რაზმები ჰყავდა; სულ 30.000 ქვეითი მეომარი და 2.500 ცხენოსანი[2]. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მას მთელი შვიდი წლის მანძილზე რომიდან დამხმარე ძალის სახით არც ერთი მეომარი არ მიუღია. რომის რესპუბლიკური კონსტიტუციის ძალით მას უფლებაც კი არ ჰქონდა ერთ წელზე მეტ

[1] Cicero, De imperio Gnei Pompei, 2.
[2] Plutarchus, Lucullus, 7—8; Appianus, Mithridatica, 72.

ხანს ყოფილიყო აზიური პროვინციების მმართველი და მაშასადამე, თუ ამ ერთ წელში ვერ დაამთავრებდა პონტოსა და სომხეთის დაპყრობას, უმაღლეს მთავარსარდლობაზეც უნდა აელო ხელი. მაგრამ ლუკულუსი შეიდი წლის განმავლობაში რომის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად განაგრძობდა დაუსრულებელ ომებს და ინარჩუნებდა აზიის პროვინციებზე უმაღლეს იმპერიუმს. ასეთ თვითნებურ მოქმედებას რომაელი რესპუბლიკელები „ტირანობას“ ეძახდნენ და დაუზოგავად ებრძოდნენ მას.

ლუკულუსი თვითონ კონსერვატორ-რესპუბლიკელთა პარტიის, სენატის რჩეული იყო, მაგრამ სენატი რესპუბლიკურ კონსტიტუციას ვერც თვითონ დაარღვევდა და მის უგულებელყოფას ვერც ლუკულუსს მოუწონებდა.

ამით მშვენივრად სარგებლობდნენ ლუკულუსის პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, განსაკუთრებით მდიდარი ფინანსისტი-მხედრები, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ლუკულუსის მიერ აზიაში გატარებული ეკონომიური ღონისძიებებით, და გაიძახოდნენ, რომ ლუკულუსის უმაღლეს რწმუნებებს აღმოსავლეთში ვადა აქვს გასული; ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა იქნას ის გამოწვეული აზიიდანო. რა თქმა უნდა, ეს მათ ესაჭიროებოდათ მათთვის საძულველი ლუკულუსის დამხობისათვის, და არ უნდა იქნას გაგებული ისე, რომ თითქოს მხედრებს რომის რესპუბლიკური კონსტიტუციის დარღვევაზე სტკიოდათ გული. პირიქით, მდიდარი მხედართა წოდება (ordo equester), ვაჭრები, პლებეურ-დემოკრატიული მასები და, საერთოდ, პოპულართა პარტია მოითხოვდნენ აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარებას, ახალი ქვეყნების დაპყრობას, ეკონომიური ძარცვა-გლეჯის სარბიელისა და მონათა რეზერვების მოპოვების ასპარეზთა გაფართოებას. ხოლო ასეთი პოლიტიკის თანმიმდევრული და სისტემატური გატარება შეეძლო მტკიცედ ცენტრალიზებულ უმაღლეს ხელისუფლებას და არა რომის ქალაქ-სახელმწიფოს ვიწრო, შეზღუდულ, კონსერვატულ-რესპუბლიკურ ხელისუფლებას.

საქმეც სწორედ ამაში იყო. აშკარა გახდა, რომ რომის პოლისის თარგზე მოჭრილი პატარა არისტოკრატიულ-მონათმფლობელური რესპუბლიკა თავს ვერართმევდა აღმოსავლეთის ძლიერი ქვეყნების დამორჩილებისა და შემომტკიცების საქმეს. რომის

კონსერვატიული პარტია, სენატი, თავისი კონსტიტუციონალური შეზღუდულობითა და პასიურობით ვერ ახერხებენ შორეული ქვეყნების მტკიცედ შემოერთებას. რაც უფრო შორს მიიწევდა რომაული ექსპანსიის საზღვრები, მით უფრო ფესუსური ხდებოდა ოლიგარქიული სენატი. სენატის საგარეო პოლიტიკის ყველაზე სუსტი ადგილი შორეული პროვინციების მმართველობის საკითხი იყო. მაგალითად, უფრო სუსტი იყო რომის რესპუბლიკის ბატონობა ესპანეთში, სადაც მუდმივი გერილიების ცეცხლი ენთო, ვიდრე აფრიკაში, სოლო აფრიკის მმართველობა თავის მხრივ უფრო ძნელი იყო, ვიდრე, ვსთქვათ, იტალიური ოლქებისა. ფაქტები მოწმობდნენ, რომ სრულიად უძლური ჩანდა სენატი აღმოსავლეთის ქვეყნების დამორჩილების საქმეში, სადაც რომაელთა წინააღმდეგ განუწყვეტელ აჯანყებათა კერას პონტოს სამეფო წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ აზიური სახელმწიფოები უმეტეს წილად ერთიმეორის ქიშპსა და ომებს უნდებოდნენ და რომაელთა წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით არ გამოდიოდნენ, რომაელთა კონსერვატორების ბირთვი აზიური ქვეყნების საბოლოოდ დაპყრობისათვის მაინც არ იყო მოწოდებული. რომის რესპუბლიკური კონსტიტუციის ინსიგნიებით აღჭურვილ სარდლებს არ შეეძლოთ აღმოსავლეთის სრული დამორჩილება. სენატს, თავისი კარჩაკეტილობისა და კონსტიტუციური სიიოროვის გამო არ შეეძლო მიეცა თავისი „პრინცეპსებისათვის“ ის კოლოსალური ძალები და განუსაზღვრელი უფლებები, რომელთაც აღმოსავლეთში მძიმე ლაშქრობები მოითხოვდნენ. ამ ძნელ ამოცანებს ვერ გადასჭრიდა რომის რესპუბლიკური კონსტიტუციით გათვალისწინებული ვერც ექვსთვიანი დიქტატორი, ვერც ერთწლიანი კონსული ან ამდენივე ხნით არჩეული სხვა მაგისტრატი. ცხადი შეიქნა, რომ აღმოსავლეთის ძლიერი ქვეყნების დამორჩილებისათვის საჭიროა საგანგებო პირობების შექმნა. აუცილებელი ხდებოდა ექსტრაორდინალური უფლებებით აღჭურვილი მაგისტრატის დანიშვნა, რომლის იმპერიუმიც რომის რესპუბლიკის არტახებში არ ჩაეტეოდა.

ცნობილი იყო, რომ ხშირად სარდლები თვითნებურად აგრძელებდნენ თავიანთ რწმუნებათა ვადებს (მაგ., სციპიონები, მარიუსი, სულა), რაშიდაც კონსერვატორები მუდამ „ტირანიის“ საფრთხეს ხედავდნენ. მაგრამ ლუკულუსამდე არც ერთ რომაელ სარ-

დალს არ გაუგრძელებია თავისი „ტირანია“ ორ-სამ წელზე მეტ ხანს, რადგანაც ეს დრო სრულიად საკმარისი ყოფილა მტრის დასამარცხებლად და რომისათვის საკეთილო მდგომარეობის დასამყარებლად. მაგრამ აზიაში, პონტოს წინააღმდეგ ბრძოლაში, ასეთი ხანმოკლე „ტირანობა“ ლელოს ვერ გაიტანდა. ეს მშვენივრად დაადასტურა ლუკულუსის მაგალითმა. ენერგიულმა სარდალმა თავისი სიჯიუტითა და რომაული კონსტიტუციისადმი თვითნებობით ყველა მანამდელ სარდალს გადააჭარბა. მაგრამ გავიდა შვიდი წელი!.. და მაინც მისი ძალით მიკუთვნებული იმპერიუმი სრულიად უნაყოფოდ უფსკრულში ჩაიღუპა. ახლა ყველასათვის ნათელი იყო, რომ რომაული კონსტიტუცია უნდა დარღვეულიყო და აღმოსავლეთში საქმეების მოწესრიგება გადასცემოდა ოფიციალურად (ex officio) ხანგრძლივად საგანგებო უფლებებით აღჭურვილ მაგისტრატს.

მაგრამ კონსერვატიული კონსტიტუციის დარღვევას თვითონ კონსერვატორები არ მოისურვებდნენ. ამიტომ საჭირო იყო სახელმწიფოს უფრო ცენტრალიზებული სისტემისათვის და აქტიური საგარეო პოლიტიკისათვის მებრძოლი სახალხო პარტიების დაწოლა. ეს საქმე ძნელად გასარღვევ ფრონტს უკვე აღარ წარმოადგენდა, რომაულ-რესპუბლიკური კონსტიტუცია უკვე დიდი ხანია ხშირად ირღვეოდა და სენატიც აღარ იყო ის ძლიერი „მეუფეთა საბჭო“, რომელიც ერთ დროს (270 წ. ძვ. წ.) უნახავს მეფე პიროსის ელჩს, კინეასს. ამ დროს გაძლიერებულ სახალხო ძალებს შეეძლოთ ეკარნახებინათ სენატისათვის ის კანონები, რომლებიც კონსერვატულ კონსტიტუციას დაარღვევდა და ამით არისტოკრატიულ ოლიგარქიასაც დააზიანებდა.

რაკი ეს ინიციატივა პოპულარებს ეკუთვნოდა, ეს საგანგებო მაგისტრატიც მათი პროგრამისათვის მებრძოლი უნდა ყოფილიყო. ასეთ კანდიდატად ითვლებოდა გნეიუს პომპეიუსი, რომელიც იმჟამად თავის თავს სახალხო პარტიების ლიდერად და მსახურად თვლიდა.

პომპეიუსის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა მას შემდეგ, რაც მან საგანგებო მაგისტრატურის მინიჭების მეოხებით დაამარცხა ხმელთაშუა ზღვაზე მოთარეშე მეკობრეები. ეს საგანგებო უფლებები, რომლებიც მთლიანად ეწინააღმდეგებოდნენ რომის რესპუბლიკურ კონსტიტუციას, პომპეიუსს მინიჭებული ჰქონდა 67 წელს ძვ. წ. ე. წ. გა-

გაბინიუსის კანონით (lex Gabinia). ეს კანონი პომპეიუსს ანიჭებდა შემდეგ უფლებებს: დიქტატურა სამი წლის ვადით; დიქტატორის განკარგულების ქვეშ უზარმაზარი არმია, 200 გემისაგან შემდგარი ფლოტი, 15 ლეგატი, 6.000 ტალანტი (= დაახლ. 9.000.000 მან.); ჰქონდა ჯარისკაცების და ფულის შეკრების უფლება ყველა პროვინციაში ზღვის სანაპიროდან 400 სტადიუმის მანძილზე[1]. ამაოდ ცდილობდნენ კონსერვატორები, არ დაეშვათ ასეთი კანონპროექტი. პომპეიუსმა შეკრიბა 120.000 მეომარი, 4.000 ცხენოსანი, 270 გემი (ნაცვლად 200-სა) და 25 ლეგატი (ნაცვლად 15-სა) და ორმოცდარვა დღეში გასწმინდა ხმელთაშუა ზღვა მეკობრეებისაგან.

მეკობრეთა დამარცხებამ, რაც შედარებით ადვილად და სწრაფად მოხერხდა საგანგებო მაგისტრატურის შექმნის წყალობით, კიდევ უფრო გაამხნევა და დააარწმუნა თავის ძალაში პოპულარების პარტია. სინამდვილე და ფაქტები ამართლებდნენ კონსერვატიული კონსტიტუციის დრომოჭმულობას. განმტკიცდა აზრი იმის შესახებ, რომ აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოება და უზარმაზარი, ძალით შეკრებილი სახელმწიფოს მართვა შეიძლებოდა არა პოლისის ვიწრო, რომაულ-ოლიგარქიული კონსტიტუციით, არამედ მტკიცედ ცენტრალიზებული პოლიტიკური ზედნაშენით.

პოპულარებმა ასეთი სიტუაციით ისარგებლეს და, აღმოსავლეთის მუდმივად გართულებული მდგომარეობის სალიკვიდაციოდ, ახალი კანონ-პროექტით რესპუბლიკურ კონსტიტუციას ახალი მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცეს. 66 წლის დამდეგისათვის ძვ. წ. სახალხო ტრიბუნმა გაიუს მანილიუსმა წამოაყენა კანონპროექტი, რომლის ძალითაც რამდენიმე მაგისტრატს შორის განაწილებული აზიის საქმეები თავმოყრილი უნდა ყოფილიყო ერთი კაცის ხელში. უნდა ჩამორთმეოდათ მარცხეს რექსს კილიკია, გლაბრიონს — ბითინიისა და პონტოს მმართველობა (თუმცა ფაქტიურად პონტო ამ დროს ისევ მითრიდატეს ეპყრა ხელთ) და ლუკულუსს — აღმოსავლეთის მთავარსარდლობა (თუმცა ოფიციალურად მთავარსარდლობა გლაბრიონს ეკუთვნოდა, მაგრამ ის ვერ ბედავდა მის გამოყენებას). ყველა ეს

[1] Plutarchus, Pompeius, 25; Appianus, Mithridatica, 94; Velleius Paterculus, II, 31; Cassius Dio, XXXVI, 21.

უფლებები, — მთელი აზიური პროვინციების მართვა-გამგეობა და პონტო-სომხეთის წინააღმდეგ უმაღლესი მთავარსარდლობა — უნდა გადასცემოდა პროკონსულს, რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით განაგებდა ზღვებს და მის სანაპიროებს, ე. ი. ეს ახალი უფლებანი ემატებოდა იმ უფლებებს, რომლებიც გათვალისწინებული იყო გაბინიუსის კანონით. ამასთანავე ამ ახალ, რომის ისტორიისათვის მანამდე უჩვეულო მაგისტრატს უფლება ენიჭებოდა დამოუკიდებლად ეწარმოებინა ომი და ჩამოეგდო ზავი; ასევე სენატის დაუკითხავად ეცნო რომის მეგობრებად ან მტრებად ისინი, ვისაც თვითონ მოისურვებდა; თავის ნებაზე გამოეყენებინა ყველა არმიები და ყოველგვარი საბრძოლო რესურსები, რომლებიც კი იმყოფებოდნენ მხოლოდ ცენტრალური იტალიის გარეთ მთელს რომის სახელმწიფოში[1].

ასეთი იყო მანილიუსის კანონი. კონსერვატორები აშკარად ხედავდნენ კანონის „ტირანულ" შინაარსს, მაგრამ მისი დამტკიცების წინააღმდეგ მხოლოდ თითო-ოროლა თანმიმდევარმა არისტოკრატმა (ქვინტუს კატულუსი, ჰორტენზიუსი) სცადა ხმის ამაღლება; მაგრამ ამას რესპუბლიკური კონსტიტუციის სასარგებლოდ არავითარი შედეგი არ გაჰყოლია. მანილიუსის კანონპროექტის დასაცავად გამოვიდა ცნობილი ორატორი მარკუს ტულიუს ციცერონი (pro lege Manilia ანუ de imperio Gnei Pompei). მან ნათლად დაუსურათა რომაელ „ქვირიტებს" აზიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა და, სხვათა შორის, ლუკულუსის მარცხის მიზეზად ისიც მოიხსენია, რომ რომაელებმა შეზღუდეს მისი უფლებები, გააუქმეს მისი იმპერიუმი[2]. ამით ორატორს სურდა დაესაბუთებინა აღმოსავლეთის საქმეთათვის საგანგებო იმპერიუმის აუცილებლობა, რასაც დასაბუთება ნაკლებად ესაჭიროებოდა.

მანილიუსის კანონი დამტკიცდა. ეს კანონი, რომელიც რომის რესპუბლიკური კონსტიტუციის პირდაპირ უარყოფას წარმოადგენდა, ოპტიმატებსა და პოპულარებს შორის არსებული ხანგრძლივი პოლიტიკური ბრძოლების უკანასკნელი აკორდი იყო.

[1] მანილიუსის კანონის შესახებ: Cicero, Pro lege Manilia ანუ De imperio Gnei Pompei; Plutarchus. Pompeius, 30; Appianus. Mithridatica, 97; Cassius Dio, XXXVI, 40—41.

[2] De imperio Gnei Pompei, 9.

პოპულარებმა, რომლებიც ერთპიროვნული, ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნისაკენ მიიღტვოდნენ, გამარჯვება მოიპოვეს.

რესპუბლიკური კონსტიტუცია მანილიუსის კანონის შემდეგ თითქმის სრულ დავიწყებას მიეცა. ამიერიდან რომის სახელმწიფოს განაგებენ „პრინცეპსები", „დიქტატორები", „იმპერატორები". მართალია, რესპუბლიკური ტრადიცია, მათ ჯერ კიდევ გასაქანს არ აძლევთ, რომ რესპუბლიკა ხელაღებით დამხობილად გამოაცხადონ, — უფრო მეტიც: რესპუბლიკის ოფიციალურად გაუქმება ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე, ე. წ. დომინატის დასაწყისამდე არ მოხერხდა, — მაგრამ რესპუბლიკა მხოლოდ „არის და არ განაგებს". სახელმწიფოს ფაქტიური გამგებლები ექსტრაორდინალური უფლებებით აღჭურვილი მაგისტრატები არიან.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მანილიუსის კანონი, რომელიც რომის მონათმფლობელური რესპუბლიკური წყობილების დაცემისა და საიმპერატორო ძალაუფლების de facto-დან de jure-დ აღიარების საფუძვლად იქცა, შედეგი იყო აზიის და, პირველ რიგში, პონტოს მუდმივად გართულებული მდგომარეობისა. თუ რომს სურდა პონტოსა და საერთოდ აზიური პროვინციების სრული დამორჩილება, ხელი უნდა აეღო ოლიგარქიულ პოლიტეიაზე და მის ნაცვლად უმაღლესი იმპერიუმებისა და განუსაზღვრელი დიქტატურების მეოხებით ნთელი ძალების მობილიზაცია მოეხდინა აზიის ქვეყნებთან საომრად.

მართლაც, მანილიუსის კანონმა თავისი თავი გაამართლა. რაც ვერ შეძლეს ჰკვიანმა და ენერგიულმა, მაგრამ რესპუბლიკური კონსტიტუციით შეზღუდულმა სარდლებმა სულამ და ლუკულუსმა 25 წლის მანძილზე, ის შეძლო ნაკლებ ნიჭიერმა, მაგრამ იმპერატორის უმაღლესი, განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილმა პომპეიუსმა 2—3 წლის განმავლობაში. მან კოლოსალური ძალებისა და სრული დამოუკიდებლობის გამოყენებით პონტო და მისი მეზობელი ქვეყნები საბოლოოდ დაუმორჩილა რომის მბრძანებლობას.

ამიერიდან აღმოსავლეთში სერიოზულ საქმეების მოსაგვარებლად აღარ გამოჩენილა არც ერთი კონსული, პრეტორი ან რესპუბლიკური კონსტიტუციით უფლებამოსილი რომელიმე მაგისტრატი. მხოლოდ და მხოლოდ დიქტატორები და იმპერატორები გამოჩნდებოდნენ ხოლმე თავიანთი უზარმაზარი არმიებით აღმოსავლეთის ჰორიზონტზე.

Л. Д. САНИКИДЗЕ

О РОЛИ ПОНТИЙСКОГО ЦАРСТВА В СОЗДАНИИ РИМСКОЙ ИМПЕРАТОРСКОЙ ВЛАСТИ

Резюме

В I в. до н. э. на Востоке в борьбе против римской экспансии самым сильнейшим государством являлся Понт. Рим в течение четырехдесятилетних кровопролитных боев не смог окончательно подчинить Понтийское государство. Высшие римские магистраты-полководцы, облеченные ограниченными правами узкой консервативно-республиканской конституции, не могли покончить с сопротивлением азиатских стран и, в первую очередь, Понтийского царства. Наконец стало ясно, что, если Рим хотел полностью покорить Понт и прилегающие к нему азиатские провинции, он должен был отказаться от олигархической республиканской конституции и взамен её, при помощи высшего империума и неограниченной диктатуры, мобилизовать все силы для борьбы с азиатскими странами и, прежде всего, с Понтом. Результатом этой ситуации был т. н. закон Манилия 66 г. до н. э., который одному магистрату (Помпей) официально давал до тех пор неслыханные, неограниченные, настоящие императорские права. Такими монархо-диктаторскими правами новый магистрат, фактический и официальный император, используя колосальные силы государства, за 2—3 года окончательно покорил Риму Понт и соседние с ним страны. Отныне римским государством управляют „принцессы", „диктаторы", „императоры".

Таким образом, Понтийское государство своим сильным сопротивлением на Востоке ускорило официальное создание Римской императорской власти.

ა. ფულუქიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

ა. გოგუაძე

ლიბერალურ ხალხოსანთა ქუთაისის ჯგუფი

1881—1883 წლებში ქუთაისში გამოდიოდა გაზეთი „შრომა“, რომლის გარშემო შემოიკრიბა ქართველი ხალხოსანი ახალგაზრდობის ერთი ჯგუფი. ამ ორგანოს თანამშრომელთაგან აღსანიშნავია ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები: დიმიტრი დადიანი, დიმიტრი ნაზარაშვილი, ბოსლეველი (ესტატე მჭედლიძე), კეზელი (დავით სოსლანი), სეველი (დავით ბაქრაძე), უმწიფარიძე (გრ. ვოლსკი). ამ ორგანოს საქმიანობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდნენ, აგრეთვე, აკაკი წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე.

„შრომას“ რედაქტორობდა დიმიტრი დადიანი. იგი ქუთაისის „საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის“ მმართველად ყოფილა ოთხმოციან წლებში. როგორც პუბლიცისტი და მოაზროვნე, დადიანი საკმაოდ ცნობილი პიროვნება ჩანს. ჯერ კიდევ „შრომის“ დაარსებამდე იგი თანამშრომლობდა „დროებაში“ და ფრიად საყურადღებო საკითხებს აყენებდა გადასაწყვეტად საზოგადოების წინაშე. 1875—1876 წლების „დროების“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ თავის სტატიებში — „მუდამ ცალ-ცალკე. თუ ერთად?, „ერთი შენიშვნა“, „ხმა სიმართლისა“, „კიდევ ჩვენს მეცნიერებაზე“ და სხვა — დადიანი აყენებს საქართველოს მხარეთა პოლიტიკური გაერთიანების, საზოგადოებრივი აზრის გაღვივებაში ლიტერატურის მნიშვნელობისა და ქართველი კადრების აღზრდის საჭიროების საკითხებს.

საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას დ. დადიანი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. მისი აზრით, საქართველოს დაკნინებისა და ყველა განცდილი უბედურების მიზეზი იყო საქართველოს მხარეთა პოლიტიკური განცალკევება. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს იმას, რომ რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოს გარეშე მტრები აღარ აწუხებენ, და მოითხოვს ქართველი ხალხის ერთ ოჯახად გაერთიანებას.

ლიბერალურ-ხალხოსნური მოძრაობის ისტორიაში დ. დადიანი ასე თუ ისე პროგრესული პიროვნება ჩანს. მან იკისრა მთავრობის წინაშე გაზეთ „შრომის“ გამოცემისათვის პასუხისმგებლობა. როგორც ჩანს, გაზეთის გამოცემის საინიციატივო ჯგუფს დ. დადიანის რედაქტორად მოწვევა იმიტომაც აინტერესებდა, რომ მას, როგორც დიდგვაროშვილს და საქმის კაცს, მთავრობა ენდობოდა და გაზეთის გამოცემის ნებართვის მიღება ადვილდებოდა. ამას ადასტურებს მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოში ქუთაისის გუბერნატორის მიერ წარდგენილი დახასიათებაც: „На телеграмму вашего превосходительства имею честь сообщит, что кн. Димитрий Дадиани, насколько мне лично извесетен и по отзывам о нем безпристрастных и благонадежных туземцев, политически благонадежен“ [1].

მეორე გარემოება, რასაც დიმიტრი დადიანის რედაქტორად მოწვევისათვის ხელი უნდა შეეწყო, მისი ქონებრივი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო. გაზეთის გამოცემას სახსრები სჭირდებოდა და შეძლებული რედაქტორის შერჩევას ქუთაისელი ხალხოსნების ფინანსური ხელმოკლეობის გამო მნიშვნელობა ჰქონდა.

გაზეთ „შრომის“ რედაქტორ-გამომცემლად დასაწყისიდანვე მუშაობდა ექიმი დიმიტრი ნაზარაშვილი. იგი ფრიად საინტერესო პიროვნებაა. არა მარტო როგორც გაზეთის რედაქტორ-გამომცემელი, არამედ როგორც ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე. ნაზარაშვილი შეიძლება მივიჩნიოთ მე-19 საუკუნის ერთერთ ნახევრის საქართველოს მოწინავე ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლად. იგი მრავალი მეცნიერულ-პოპულარული მონოგრაფიის ავტორია. მის კალამს ეკუთვნის „წყალტუბოს მინერალური წყლები და მათი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა“, სარწყავი არხები და მათი გავლენა მალარიის გავრცელებაზე“, „ერობა კავკასიაში“ და სხვა. ნაზარაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ უხვ მასალებს შეიცავს მისი პირადი არქივი, რომელიც ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმშია დაცული. ამ ადამიანის მოღვაწეობა ღირსეულად დააფასა საბჭოთა საზოგადოებამ და 1923 წელს მას 45 წლის მოღვაწეობის იუბილე გადაუხადეს. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის მასალებიდან ჩანს, რომ თვითმპყრობელური მთავრობის ადგილობრივი მმართველობა

---

[1] ცსსა საქ. სსრ. ფ. $^{6}/_{12}$, 1881 წ., საქმე 6107, ფ. 22—24.

ნაზარაშვილს უყურებდა როგორც არაკეთილსაიმედო პიროვნებას [1].

ნაზარაშვილი, ფსევდონიმებით: „N", „ლომკირი", „Наблюдатель" თანამშრომლობდა „Новое обозрение"-ში, „Возрождение"-ში, „მუშაში", „ერში", „ეროვნულ დემოკრატში", „მწყემსში", და სხვა. მის მიერ წამოყენებული საკითხები ეხება საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობას, სამედიცინო საქმეებს და სხვა.

ნაზარაშვილის პუბლიცისტური ხასიათის წერილების გარჩევისას დასტურდება, რომ ავტორი დაინტერესებულია ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებით, მოითხოვს სოფლისა და ქალაქის კეთილმოწყობას ხალხის სასარგებლოდ.

გაზ. „შრომის" თანამშრომელთა შორის აღსანიშნავია ბოსლეველი, რომელიც სამწერლო ასპარეზზე 1880 წელს გამოვიდა. მისმა „კრიტიკულმა მიმოხილვებმა", რომლებსაც გაზეთ „შრომაში", „დროებაში" და „ივერიაში" ათავსებდა, მას ნიჭიერი და პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა პუბლიცისტის სახელი მოუხვეჭა.

ბოსლეველის მიერ „შრომაში" გამოქვეყნებული კრიტიკული მიმოხილვებიდან ჩანს, რომ იგი გაცნობიერი ყოფილა მარქსიზმის მოძღვრებას. მან სასტიკად გაილაშქრა გ. მაიაშვილის ეკონომიური შეხედულებების წინააღმდეგ. ბოსლეველი თავის ფელეტონებში, მარქსისა და სხვა ავტორიტეტების შრომებზე დაყრდნობით ამტკიცებდა გ. მაიაშვილის დებულების სიყალბეს და იცავდა პოლიტიკური ბრძოლის საჭიროებასაც, ეკონომიური ხასიათის მოთხოვნებთან ერთად. ბოსლეველისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, ეროვნული მოტივები, რისთვისაც სიცოცხლესაც არ ზოგავს. იგი ქართველ ინტელიგენციას და დემოკრატიას მოუწოდებს ამ მიმართულებით გაბედული ნაბიჯის გადადგმისაკენ. ესტატე ბოსლეველი ამავე დროს სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასაც ეწევა. მას ეკუთვნის აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძისა და კრილოვის თხზულებათა კრიტიკული გარჩევა. „შრომაში" ხშირად ვხვდებით ე. ბოსლეველის კრიტიკული ხასიათის წერილებს, რომლებიც მიმართულია „ივერიისა" და იმედის" ზოგიერთი შეხედულების წინააღმდეგ.

„არაგველის" ფსევდონიმით „შრომაში" თანამშრომლობდა დავით კეზელი (სოსლანი). 70-იან წლებში იგი შეურიგებელი მოწი-

[1] იხ. ცსსა. საქ. სსრ. ფ. 1/12, 1881 წ., საქმე № 6107, ფ. 22—24.

ნააღმდეგე იყო თვითმპყრობელური მთავრობის პოლიტიკისა, მაგრამ 80-იან წლებში ლიბერალურ-ხალხოსნურ პოზიციებზე დგება.

გაზეთ „შრომის“ ხალხოსან თანამშრომელთა ჯგუფიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, სეველი (დავით ბაქრაძე).

როგორც კირილე ლორთქიფანიძის არქივში დაცული მასალებიდან ჩანს, დავითი „შრომის“ რედაქციაში შედიოდა. იგი აღნიშნული ორგანოს გამოცემის ტექნიკურ-ორგანიზაციულ საქმეებში მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა. დავით ბაქრაძე საინტერესო პიროვნება ჩანს, როგორც მოაზროვნე და პუბლიცისტი. იგი ხალხოსანთა ჯგუფის იმ ნაწილს ეკუთვნის, რომელიც თავგამოდებით იცავს მიწის მეურნეობის უპირატესობას სხვა დარგებთან შედარებით. სიმძიმის ცენტრის გადატანა სოფლის მეურნეობაზე მისი ხალხოსნური აზროვნებისათვის დამახასიათებლად უნდა ჩაითვალოს. დ. ბაქრაძე ამავე დროს ეროვნული საკითხებითაც არის დაინტერესებული.

გრიგოლ ვოლსკიც, როცა იგი მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა, თანამშრომლობდა ქუთაისის გაზეთ „შრომაში“ გრიგოლ უმწიფარიძის ფსევდონიმით. იგი ყურადღებას იქცევს, როგორც უანგარო საზოგადო მოღვაწე და ნიჭიერი პოეტი. მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ბათუმის პერიოდია განსაკუთრებით საინტერესო. როგორც ქალაქის თავმა და საზოგადოებრივი საქმეებით დაინტერესებულმა პირმა დიდი ამაგი დასდო ბათუმის მშრომელი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს. მთელ თავის ენერგიას ახმარდა ქალაქის კეთილმოწყობასა და გამშვენიერებას.

გაზეთ „შრომის“ ლიბერალ-ხალხოსანი პუბლიცისტების ზოგად დახასიათებასთან დაკავშირებით, იბადება კითხვა: რა ჰქონდათ საერთო ქუთაისის ლიბერალ-ხალხოსანთა „შრომის“ ჯგუფთან აკაკი წერეთელსა და კირილე ლორთქიფანიძეს? მათ ამ ჯგუფთან აკავშირებს საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობის საკითხი, საქართველოს სოციალური ურთიერთობა და 80-იანი წლების რეაქციის შედეგად მათი მიდრეკილება კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებისაკენ.

გაზეთ „შრომაში“ აღძრული და გაშუქებული საკითხები ქართველი ხალხის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მრავალ მხარეს მოიცავს. მასში ასახულია როგორც ქუთაისისა და დასავლეთ საქართველოს ყოფაცხოვრება, ისე საქართველოს სხვა კუთხეების მდგომარეობა. გაზეთი ხშირად ათავსებს მასალებს რუსეთისა და დასავლეთ ევროპის პოლიტიკური ვითარების შესახებ.

გაზეთ „შრომის“ შინაარსობლივი მხარეების გაცნობის შემდეგ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ მისი თანამშრომლები ლიბერალურ-ხალხოსნურ პოზიციებზე დგანან.

ძირითადი საკითხი, რომელზედაც გამახვილებულია „შრომის“ ლიბერალური ხალხოსნების ყურადღება, საგლეხო რეფორმის შედეგებისა და ქართველი გლეხების მდგომარეობის აღწერაა. მათ მიწის მეურნეობა მიაჩნიათ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესების მთავარ საშუალებად: „ჩვენი ხალხის ყოველი ცხოვრების სახსარი დაფუძნებულია მიწის მეურნეობაზე, ამიტომაც ყოველი საშუალება უნდა მივიღოთ, რომ ამ მეურნეობას არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ ექნეს და საზოგადოდ იმნაირი სწორი გზით იქნეს წაყვანილი, რომ ამ მეურნეობის საშუალებით ხალხმა ცხოვრების სხვადასხვა იარაღი შეიძინოს და თავისი მდგომარეობა თანდათან გაიუმჯობესოს“ [1].

გაზეთ „შრომის“ პუბლიცისტები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბატონყმობის ნაშთებთან ბრძოლის საკითხს. მათი აზრით, საზოგადოების განვითარება მხოლოდ მიწასა და თავისუფალ შრომაზე არის დამოკიდებული. აგროტექნიკური წესებით მიწის დამუშავებას შეუძლია ასწიოს შრომის ნაყოფიერება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ერის განვითარების საქმეებშიო. „შრომის“ პუბლიცისტები მოითხოვენ ბატონ-ყმობის ნაშთების გაუქმებასა და გლეხობისათვის მიწების გადაცემას. გაზეთი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მიწის ნაკვეთების დამკვიდრების წესის გამარტივებას. მწვავედ არის დასმული საკითხი დროებითვალდებული გლეხების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების შესახებ, მათთვის მიწის გადაცემით. მაგრამ, მათი აზრით, გლეხობისთვის მიწის გადაცემა უნდა მომხდარიყო გლეხსა და ნაბატონებს შორის შეგობრული ურთიერთობის საფუძველზე.

თუ რა ზომით და რა მიმართებით სურდათ ქუთაისელ ლიბერალურ ხალხოსნებს გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესება, ეს ნათლად ჩანს პუბლიცისტ დავით ბაქრაძის მსჯელობიდან. როგორც თ. ხუსკივაძის შრომიდან ირკვევა, დავით ბაქრაძე წევრი იყო სასოფლო-სამეურნეო საქმეების გამომრკვევი კომიტეტისა, რომელშიც მას შეუტანია წინადადება ჩვენში საყოველთაო სასოფლო გამგეობის შემოღებაზე. მაგრამ, თ. ხუსკივაძის ცნობით, „ამის წინააღმდეგი გახდნენ ერთობით ჩვენებურები. პროტესტან-

[1] „შრომა“. 1882 წ., № 6.

ტებმა ორი დაბრკოლება წარმოადგინეს წინ: ერთი, რომ ჩვენ გლეხკაცებთან გავსწორდებითო და, რადგან ისინი ჩვენზედ მეტნი არიან, ჩვენ მათში დავდნებით, როგორც მარილი წყალშიო, და, მეორე, ჩვენთან მტრად არიან ისინი გადაკიდებული და ყოველ საქმეში ჩაგვრას დაგვიწყებენო. ამაზედ დ. ბაქრაძემ მიუგო შემდეგი: შემცდარი აზრი არის, ვითომც ჩვენ გლეხებთან გავსწორდებით რაიმე პირადის ან წოდებრივის ხარისხის მოკლებითა; ამის ნებას არ გვაძლევს თვით კანონი და სახელმწიფო მმართველობის პრინციპიალური მიმართულებაო, ჩვენ კი არ გვინდა დავკარგოთ ჩვენი ღირსება, იმას ვეძებთ, რომ გლეხებს მიუმატოთ მცირეოდენი რაიმე უფლება და გამოვიყვანოთ ის დღევანდელის დაჩაგრულის მდგომარეობიდან; ის ავამაღლოთ და არა ჩვენ დავდაბლდეთ... ერთმანეთთან დაახლოებამ, ერთი საზოგადო ტვირთის ზიდვამ და უღლის წევამ აუცილებლად უნდა მოსპოს ჩვენში შური და მტრობა და არა გააძლიეროს და ააღორძინოსო" [1].

იმის მაგივრად, რომ გამოემჟღავნებინათ ანტაგონიზმი წარმოებითს ურთიერთობაში, ანალიზი მოეცათ საზოგადოებრივ სოციალურ ფენათა წარმოშობისა, ეხილებინათ ამ ჯგუფებს შორის შეურიგებელი წინააღმდეგობა, დახმარებოდნენ დაჩაგრულთ მათს ბრძოლაში მჩაგვრელების წინააღმდეგ, „შრომის" პუბლიცისტები ოცნებობდნენ მათს შერიგებასა და გაერთიანებაზე.

საზოგადოებრივი აზროვნების კანონზომიერი განვითარების გზიდან ამცდარი სწორედ ასეთი ხალხოსნები ჰყავდა ვ. ი. ლენინს მხედველობაში, როდესაც ამბობდა: „მათ არ ესმით ჩვენებურ წარმოებით ურთიერთობათა ანტაგონისტურობა („გლეხობაში" ისევე, როგორც სხვა წოდებებში) და იმის მაგივრად, რომ პირდაპირ მიემხრონ იმათ, ვინც იჩაგრება ამ ანტაგონიზმის გამო და შეეცადონ დაეხმარონ მას, რომ აღსდგეს საბრძოლველად, — ისინი ოცნებობენ ბრძოლის შეწყვეტაზე ისეთი ღონისძიებებით, რომელნიც ითვალისწინებენ ყველას შერიგებას და გაერთიანებას" [2].

გაბეთ „შრომის" ლიბერალური ხალხოსნები თავს სოციალისტებად სთვლიდნენ, მაგრამ სინამდვილეში, გლეხობისათვის მიწის საკუთრებაში გადაცემით აკეთებდნენ არა სოციალიზმის, არამედ — კულაკის საქმეს, მათი ამგვარი მსჯელობა კულაკური მეურნეობის განვითარებას უწყობდა ხელს.

[1] თ. ხუსკივაძე, „დავით ნიკოლოზის-ძე ბაქრაძე", კუთაისი, 1905 წ. გვ. 25—26.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. I, გამოცემა მეოთხე, გვ. 276.

„შრომის“ თანამშრომლები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ კაპიტალიზმის განვითარებისა და პროლეტარიატის ჩამოყალიბების საკითხს. მათ, სხვა ხალხოსნების მსგავსად, ვერ შეძლეს კაპიტალიზმის განვითარების პროგრესული მნიშვნელობისა და ახალი რევოლუციური ძალის — პროლეტარიატის შეფასება. ამ ორგანოს თანამშრომლები ხედავდნენ კაპიტალიზმის მხოლოდ უარყოფით მხარეებს. კაპიტალიზმის განვითარების ისტორიული აუცილებლობის უარყოფა და მტკიცება, რომ იგი ჩვენში ვერ განვითარდება, დამახასიათებელია გაზეთ „შრომის“ ლიბერალური ხალხოსნებისათვის.

პროგრესული მოვლენის — კაპიტალიზმის განვითარების არასწორად შეფასება, რევოლუციური ძალის — პროლეტარიატის როლისა და მნიშვნელობის უგულებელყოფა „შრომის“ პუბლიცისტებს რეაქციული აზროვნების ბეჭედს ასვამს.

მიუხედავად იმისა, რომ ლიბერალური ხალხოსნები ვერ აწარმოებდნენ რადიკალურ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მეფის მთავრობის პიუროკრატიული აპარატის კრიტიკას გაზეთში მაინც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი.

გაზეთ „შრომის“ პუბლიცისტები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ საქართველოს იმდროინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გამო და გლეხობის ინტერესების დაცვასთან ერთად მოითხოვდნენ საქართველოს აღორძინებას. ქვეყნის ნაციონალური აღორძინება, მათი აზრით, შესაძლებელია საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და წოდებათა თანამშრომლობის გზით. ამ საკითხის დაყენებისას „შრომის“ ლიბერალური ხალხოსნები ენათესავებიან ილია ჭავჭავაძესა და მის ჯგუფს.

გამოქვეყნებული მასალებისა და იმ კორესპონდენციების ანალიზის საფუძველზე, რომლებიც ამოღებულ იქნა ცენზურის მიერ, შეიძლება დავასკვნათ, რომ გაზეთ „შრომის“ პუბლიცისტები ცარიზმის ულღის ქვეშ მყოფ დიდ რუს ხალხს პროგრესულ ძალად სთვლიდნენ, ხოლო რუსეთთან საქართველოს შეერთებას დადებითს შეფასებას აძლევდნენ; მათ ესმოდათ, რომ რუსეთთან შეერთების შედეგად ქართველი ხალხი დაუახლოვდა რუსეთის კულტურას, დიდ რუს ხალხს. მაგრამ ის გარემოება, რომ რუსეთთან შეერთებამ ხელი შეუწყო საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას, მათთვის შეუმჩნეველი და გაუგებარი დარჩა.

გაზეთი მნიშვნელოვან ადგილს უთმობს რუსეთის გაზეთების

იმ კორესპონდენციებს, რომლებიც რუსეთისა და საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობის საკითხებს აშუქებენ, ნათგან შეიძლება დამახასიათებლად მივიჩნიოთ „განათლებული რუსის აზრი“ [1], რომელიც გაზეთ „შრომაში“ დაიბეჭდა ქართულ ენაზე. აღნიშნულ კორესპონდენციაში რუსი ავტორი ქართველი ხალხის ინტერესების დამცველად წარმოგვიდგება.

სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის საკითხების გვერდით, გაზეთი „შრომა“ მნიშვნელოვან ადგილს უთმობს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა საკითხებს. გაზეთ „შრომის“ თანამშრომლები გმობენ მებრძოლ რევოლუციურ ხაზს და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას ფიქრობენ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებათა გატარებით.

გაზეთ „შრომის“ პუბლიცისტებს მართლმადიდებლური ეკლესია საქართველოსათვის კვლავაც საჭირო დაწესებულებად მიიჩნიათ. ეკლესიის არსებობა მათ მიერ საზოგადოებისათვის დრომოჭმულ მოვლენად არ არის აღიარებული, პირიქით, ამ ორგანიზაციის გაჯანსაღების მიზნით მთელ რიგ ღონისძიებებს სახავენ და აზრადაც არ მოსდით, თუ რატომ უპირისპირდებიან საზოგადოებრივ ცხოვრებას საეკლესიო ორგანიზაცია და მისი მსახურნი. მათთვის უცნობი ჩანს ის პირობები, რომლებმაც ქრისტიანული ეკლესია წარმოშვა. მათ არ ესმით, რომ იგი საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე დადებითი მოვლენა იყო, ოთხმოციანი წლებისათვის კი ქრისტიანობა ქართული საზოგადოებისათვის განვლილ საფეხურს წარმოადგენდა და მას, როგორც სოციალურ ორგანი-

---

[1] „ჩვენ, რუსებმა, მეგობრულად მივიღეთ ქართველები ჩვენის ერის მფარველობის ქვეშ და არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ არა ვართ დამფლობელი და მძლეველი მათი, რომ ჩვენ ვართ ძმები, მათთან თანასწოროის ფუძლების მქონენი და არა მრისხანე მბრძანებელი მათი. ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართველები მხოლოდ იმისათვის შეძოგვიერთდნენ, რომ თავისი არსებობა დაეცვათ და არ გამქრალიყვნენ ისინი უცხო ხალხისაგან შთანთქმულნი მათის უცხო სარწმუნოებისა და ჩვეულებათა ზედმოქმედებით. ამისათვის ყოველივე ქართველური, მათგან ისტორიულის ცხოვრებით შენაძენი, ყოველივე მათის ერის თვისება იმდენის პატივისცემისა და იმდენის მფარველობის ღირსნი არიან, როგორც საკუთრად ყოველივე ჩვენი რუსული. ორი ძმის ერთმანეთთან კავშირი ის არის, როცა ისინი ეთმანეთს მეგობრულად შემწეობას აძლევენ, უყვართ ერთმანეთი და არა ის, როცა ერთი მათგანი თავის პიროვნებას მეორის მსხვეპლად სდებს. ყოველივე ხალხის თვისება თანასწორათ ბუნებითია და კანონიერი, ისე როგორც ყოველივე ეხა, ყოველივე ჩვეულება“.. „შრომა“, 1881 წ., № 14.

ზაციას, იმ როლის შესრულება აღარ შეეძლო ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, რაც ოდესღაც შეასრულა.

ამრიგად, ლიბერალურ ხალხოსანთა ქუთაისის ჯგუფის, ისევე როგორც საერთოდ 80-იანი წლების ლიბერალური ხალხოსნების პროგრამაში რეაქციულ შეხედულებებთან ერთად შეიმჩნევა ამ პროგრამის პროგრესული მხარეებიც.

ეხება რა რუსი ლიბერალური ხალხოსნების პროგრამის ორ მხარეს, ვ. ი. ლენინი წერს: „ნაროდნიკული პროგრამის უარყოფა მთლიანად, განურჩევლად, აბსოლუტურად უმართებულო იქნებოდა. ამ პროგრამაში მკაცრად უნდა გავარჩიოთ მისი რეაქციული და პროგრესული მხარეები“ [1].

(შემოვიდა რედაქციაში 10. IX. 1954).

A. B. ГОГУАДЗЕ

ГРУППА КУТАИССКИХ ЛИБЕРАЛОВ-НАРОДНИКОВ

Резюме

В начале 80-х годов XIX века часть грузинских либералов-народников группируется вокруг газеты „Шрома“.

В газете „Шрома“ поднимаются вопросы об улучшении условий жизни временнообязанных крестьян, о передаче им земли с таким расчетом, чтобы между бывшими крепостниками и крестьянами были установлены дружественные отношения.

Газета „Шрома“ не уделяла достаточного внимания вопросам развития капитализма и формирования рабочего класса.

Народники, сгруппировавшиеся вокруг газеты „Шрома“, не выступали против самодержавного строя, а лишь критиковали его деятельность.

Сотрудники газеты „Шрома“ отказываются от революционной борьбы и стремятся улучшить жизнь народа культурно-просветительными мероприятиями.

[1] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. I, გამოცემა მეოთხე, გვ. 611.

Наряду с реакционными сторонами программы газеты „Шрома“ необходимо отметить также и прогрессивные ее стороны: положительная оценка союза с передовой культурой России, требование политического объединения Грузии и возрождения грузинской национальной культуры, забота об агротехнической реконструкции сельского хозяйства, признание необходимости учреждения сельских товариществ и банков и др.

ალ. წუ ლუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

ლ. სვანაძე

საისტორიო წყაროები და ლიტერატურა ლეველერთა მოძრაობის შესახებ XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიულ რევოლუციაში

XVII საუკუნის შუა წლებში ინგლისი გაეხვია სამოქალაქო ომის ქარცეცხლში. ეს სამოქალაქო ომი გადაიქცა წყალგამყოფად ფეოდალურსა და კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ფორმაციებს შორის. ეს იყო ევროპული მასშტაბის პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელმაც ყოველმხრივი განვითარების საშუალება მისცა წარმოების კაპიტალისტურ წესს ინგლისში. ხსენებული „დიდი აჯანყება" ხასიათდება გაფთრებული კლასობრივი ბრძოლით, რომლის საერთო ასპექტში ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა ლეველერთა რადიკალურ-რევოლუციურმა წვრილბურჟუაზიულმა პარტიამ.

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს სოციალური საკითხები პირველად ლეველერებმა წამოსწიეს წინ. ამასთანავე, ლეველერებმა სახელი გაითქვეს, როგორც აშკარა რესპუბლიკელებმა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული კონსტიტუციის მოპოვებისათვის თავგამოდებულმა მებრძოლებმა. ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის თითქმის ყველა მოწინავე იდეა: საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლება, ერთპალატიანი რესპუბლიკური წყობილება, ხალხო სუვერენიტეტი, სახალხო რეფერენდუმი, საზოგადოებრივი ხელშეკრულება და სხვ. ძირითადად ლეველერების პარტიული პროგრამიდან გამომდინარეობდა.

* * *

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის დროინდელ ისტორიკოსთა ნაწარმოებთაგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ედუარდ ჰაიდის, იგივე ლორდ კლარენდონის ნაშრომი — „დიდი აჯანყებისა და სამოქალაქო ომების ისტო-

რია ინგლისში“ [1], რომელმაც ერთგვარი ბიბლიის როლი ითამაშა პოლიტიკური შეხედულებებით კონსერვატიულ და თვით რევოლუციისადმი მტრულად განწყობილ ისტორიკოსთა მთელი პლეადის მოღვაწეობაში. კლარენდონი, პროფესიით იურისტი, რევოლუციის წინ ზომიერი ოპოზიციის ბანაკს ეკუთვნოდა, მაგრამ შემდეგ მეფეს მიემხრო და უკიდურესი მონარქისტი გახდა.

კლარენდონის ნაშრომი შედგება ექვსი ტომისაგან, რომლებიც, თავისი მხრივ, თექვსმეტ წიგნს მოიცავენ. პირველი ტომის წერა ავტორს დაუწყია 1646 წ., ჯერსეის კუნძულზე, სადაც ის ემიგრაციაში იმყოფებოდა. მოსალოდნელი იყო, რომ კლარენდონი მდიდარ მასალას მოგვაწვდიდა ლეველერთა შესახებ, რადგან ის შეურიგებელ ოპოზიციაში უდგა ინდეპენდენტებს, რომ როიალისტი ისტორიკოსი მიზანშეწონილად ჩათვლიდა დეტალურად აღეწერა ლეველერთა, როგორც გრანდების მოწინააღმდეგეთა მოღვაწეობა. მაგრამ ავტორმა ან ვერ იგრძნო ეს ან, უფრო სწორად, განზრახ გვერდი აუარა ამ საკითხს, იდგა რა თავისებურ „უმცირესი ბოროტების“ პოზიციაზე. კლარენდონი თითქმის არაფერს არ ამბობს პატნის კონფერენციაზე, ლეველერთა 1649 წ. მაისის აჯანყებაზე და სხვ.

კლარენდონის შეხედულებები რევოლუციაზე უკიდურესად რეაქციული და კონსერვატიულია. კლასთა ბრძოლის ფაქტის შეუმჩნევლობას რომ თავი დავანებოთ, მისი აზრით, რევოლუციის, ანუ როგორც ის მას უწოდებს, „დიდი აჯანყების“ წარმოშობის მიზეზი ერთ მუჭა ჭკუაშექანებულთა ინტრიგაში მდგომარეობდა, რაც თითქოსდა ეპიდემიასავით გადაედო მთელს საზოგადოებას და ათეიზმით დამთავრდა. კონსტიტუციური დისონანსი პარლამენტს შეუტანია მშვიდობიან ინგლისის საზოგადოებაში და არა მეფეს. ფაქტის თუ მოვლენის კონსტატირებას კლარენდონი უმთავრესად სწორად ახდენს, მაგრამ მისი ანალიზისას და რეზიუმირებისას წმინდა წყლის სუბიექტივისტია. გამომდინარე თავისი კონსერვატიული პოლიტიკური შეხედულებებიდან, ის უმთავრესად მცდარ დასკვნებს აკეთებს, მაგალითად, ლეველერებს ხშირად ურევს გრანდებში და ა. შ.

ლეველერთა შესახებ კლარენდონი მსჯელობს თავისი ნაშრომის IV და V ტომებში. ავტორი სწორად აფასებს აგიტატორთა და

[1] Clarendon, The History of the Great Rebellion and Civil Wars in England (Begun in the year 1641). Oxford, 1888.

ოფიცერთა საბჭოების ორგანიზაციისა და ურთიერთმიმართების საკითხს. ფაქტობრივი ნონაცემები ლეველერთა შესახებ ნაწილობრივ სწორია, მაგრამ თვით ლეველერებს როიალისტი ავტორი ფანატიკოსებად და ათეისტებად აცხადებს, რომლებიც, მისი აზრით, უსამართლოდ იბრძოდნენ მეფისა და პარლამენტის კანონიერი ხელისუფლების წინააღმდეგ[1]. ჩვენის აზრით, ლეველერთადმი მათი პარტიული სახელწოდების მიკუთვნებაში გარკვეული წვლილი შეიტანა კლარენდონის შეფასებამ. მისი შეხედულებით, ლეველერები აპირებდნენ წოდებებისა და საკუთრების საკითხში ყველას გათანაბრებას და თანასწორობის დამყარებას მთელს სამეფოში[2]. კლარენდონი ვერ ურიგდებოდა იმ გარემოებას, რომ ლეველერები მოითხოვდნენ მეფის, როგორც სისხლისმსვრელი ადამიანის, დასჯასა და ლორდთა ტირანული პალატის გაუქმებას.

როგორც ვხედავთ, ლეველერები, მონარქისტ კლარენდონის დახასიათებით, იყვნენ ათეისტები, ფანატიკოსები და მეამბოხენი, რომლებიც იბრძოდნენ კანონიერი სამეფო ხელისუფლებისა და ფეოდალური არისტოკრატიის წინააღმდეგ.

არანაკლები გავლენა მოახდინა შთამომავლობაზე ბაილსტრად უაიტლოკის ოთხტომიანმა ნაშრომმა — „მოგონებები“[3]. ისევე როგორც კლარენდონი, უაიტლოკიც იურისტი, კერძოდ, ადვოკატი იყო. მან სახელი გაითქვა ინგლისში 1637 წელს ჰემპდენის ცნობილი საქმის გამო, ჰემპდენისა, რომელმაც უარი განაცხადა ეხადა „სახომალდო გადასახადი“. პოლიტიკური რჩმენით უაიტლოკი რევოლუციამდე ზომიერი ოპოზიციის ბანაკს ეკუთვნოდა, ხოლო რევოლუციის პროცესში და მის შემდეგ კი ლიბერალურ რესპუბლიკელებს მიემხრო.

უაიტლოკის „მოგონებები“ თავდაპირველად 1632 წ. გამოსულა, მეორედ — 1732 წ., ხოლო მესამედ — 1853 წ. ავტორი თავის ნაშრომს ესკიზის სახეს აძლევს: ძუნწად იხსენიებს ამა თუ იმ ფაქტს, მაგრამ თითქმის არაფითარ განზოგადოებას არ ახდენს. ძნელი გასარკვევია ქრონოლოგიური თარიღები. ხშირად გაურკვეველია, თუ რა როდის ხდება. ამ ნაკლოვანებების მიუხედავად, ნაშრომი ძალზე მდიდარია რევოლუციის დროინდელი ფაქტობრივი მასალებით.

---

[1] Ibid., v, IV, p. 241.

[2] Ibid., p. 261.

[3] Whitelock, Memorials of the English Affairs from the Beginning of the Reign of Charles The First to the Happy Restoration of King Charles The Second, Oxford, 1853.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ უაიტლოკი თავის თანამედროვეთა შორის ყველაზე ობიექტურად აფასებდა პარტიული ბრძოლის საკითხს, თუმცა მას საფუძვლად არ უდებდა კლასობრივ ბრძოლას. ლეველერთა შესახებ ავტორი ხშირად ლაპარაკობს. მათდამი ანტიპათიური განწყობილების მიუხედავად, უაიტლოკს არსად არ უცდია სინამდვილის დამახინჯება: ფაქტი ყოველთვის სწორად მოაქვს. ლეველერები მასთან არ გამოიყურებიან ფანატიკოსებად და მეამბოხეებად. პირიქით, რევოლუციური ბრძოლის აღმავლობასთან ერთად, უაიტლოკი თუმცა დროებით, მაგრამ მაინც ერთგვარი სიმპათიითაც კი გაიმსჭვალა ლეველერთა მიმართ. მაგალითად, ის დადებითად ახასიათებს ლეველერთა 1648 წლის 11 სექტემბრის პეტიციას, აღნიშნავს რა, რომ ის შეიცავდა ზოგიერთ სასურველ მუხლებსო[1]. ავტორი შედარებით ძუნწად იხსენიებს პატნის კონფერენციის ამბებს, მაგრამ სამაგიეროდ ვრცლად მსჯელობს ლეველერთა 1649 წ. მაისის აჯანყების შესახებ. პრინციპში უაიტლოკი ლეველერებისადმი მტრულ პოზიციას იჭერს.

პარლამენტის არმიისა და, კერძოდ, ლეველერთა დემოკრატიული საქმიანობის გარკვევის საქმეში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ე. წ. „კლარკის ქაღალდებმა“, ანუ „კლარკის არქივმა“[2]. ასე ეწოდება წიგნს მისი ავტორის გვარისადა მიხედვით. უილიამ კლარკი იყო არმიის საბჭოს მდივანი 1647-49 წწ., ხოლო შემდეგ — გენერალ მონკის პირადი მდივანი თვით რესტავრაციამდე.

„კლარკის ქაღალდებში“ შემავალი მასალები დაცული ყოფილა უორცესტერ კოლეჯში, ოქსფორდში. ეს მასალები ხსენებული კოლეჯისათვის უანდერძებია ავტორის შვილს, ჯორჯ კლარკს. ათეული წლების განმავლობაში ამ მასალებს მზის სინათლე არ უნახავს. მხოლოდ XIX საუკუნის 90-იან წლებში კოლეჯის ბიბლიოთეკარს, ვინმე პ. ა. პოტინგერს, მიუქცევინებია ცნობილი ბურჟუაზიული ისტორიკოსის ს. ჰ. ფერსის ყურადღება მათზე, რომელსაც ცალკე წიგნებად გამოუცია ისინი და დაუწერია შესავალი.

„კლარკის ქაღალდების“ შემწეობით ისტორიულ მეცნიერებას საშუალება მიეცა დეტალურად გაჰყოლოდა პარლამენტისა და არმიის ბრძოლის ისტორიას და ნათელი სურათი მიეცა მის შესახებ. „კლარკის ქაღალდები“, ფერსის სიტყვებით რომ ვთქვათ,

[1] Whitelock, ibid., v. II, p. 40.
[2] Clarke Papers, Westminster, v. I—IV, 1891—1894.

გვაცნობს „...არმიის ისტორიას იმ პერიოდში, როდესაც მისი პოლიტიკური მნიშვნელობა ძალზე დიდი იყო“ [1]. ნაშრომი მოიცავს ჯარისკაცთა და აგიტატორთა კორესპონდენციებს პარლამენტთან წამოჭრილი კონფლიქტის ახსნა-განმარტებითურთ, მათს წერილებს ფერფაქსისა, კრომველისა და პარლამენტისადმი. არმიაში მომხდარი ამბების აღწერას სამოქალაქო ომის ბოლო წლებში (1647—48), რესპუბლიკის პირველ პერიოდში (1649—50 წწ.) და ა. შ. ყველაზე ღირსშესანიშნავია ის გარემოება, რომ „კლარკის ქაღალდები“ გვაწვდის უმდიდრეს მასალებს პატნის კონფერენციისა, რედინგის დისკუსიისა და სხვათა შესახებ.

„კლარკის ქაღალდების“ ახალ ვარიაციასთან გვაქვს საქმე ა. ს. პ. ვუდჰაუზის წიგნის „პურიტანიზმი და თავისუფლება“ [2] გამოცემასთან დაკავშირებით. წიგნი ძირითადად წარმოადგენს „კლარკის ქაღალდების“ ადაპტირებულ ფორმას. პატნის კონფერენციის მასალების გარდა, ვუდჰაუზის ნაშრომში მოთხრობილია უაიტჰოლის დებატების შესახებ, რაც შემორჩენილია, თუ არ ვცდებით, უაილდმანის წყალობით, ისიც მხოლოდ რელიგიურ საკითხებზე. წიგნის მესამე განყოფილებაში გადმოცემულია პურიტანთა შეხედულებები ეპოქის სხვადასხვა მოვლენათა შესახებ. დასასრულს, წიგნი შეიცავს დიდმნიშვნელოვან დანართს, სადაც მოტანილია რევოლუციის ხანის სხვადასხვა დოკუმენტური მასალები, უმთავრესად „კლარკის ქაღალდებიდან“.

ვუდჰაუზის წიგნს წამძღვარებული აქვს ავტორისავე მიერ დაწერილი შესავალი, რომელშიც ის წარმოგვიდგება, როგორც გარდინერის შეხედულებათა „კეთილსინდისიერი“ გამგრძელებელი. ვუდჰაუზი, თავისი მასწავლებლის მსგავსად, გადამწყვეტ მნიშვნელობას რელიგიურ მომენტს ანიჭებს და ცდილობს წარმოგვიდგინოს ის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის კარდინალურ ბერკეტად. თვით წიგნის მეთოდოლოგიური კონსტრუქცია და ნაწილობრივ სათაურიც კი ასეთი კურსის გატარების შესახებ მიგვითითებს.

რევოლუციის თანამედროვეთა მემუარებიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, ლიუსი ჰეტჩინსონის წიგნი „მოგონებები პოლკოვნიკ ჰეტჩინსონის ცხოვრებიდან“ [3]. ავტორი

[1] Ibid., p. IX.

[2] Woodhouse, Puritanism and Liberty, L., 1938.

[3] Hutchinson, Lucy, Memoirs of the Life of Colonel Hutchinson, L., 1906. Edited from original manuscript by the Rev. J. Hutchinson.

მეუღლე იყო პარლამენტის არმიის პოლკოვნიკის, პარლამენტისა და შემდეგში სახელმწიფო საბჭოს წევრის ჯონ ჰეტჩინსონისა. ქმრის გარდაცვალების შემდეგ ლიუსის დაუწერია წიგნი მის შესახებ, მაგრამ ის მხოლოდ 1806 წ. გამოქვეყნდა.

ლიუსი ჰეტჩინსონის ხსენებული „მოგონებები" ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველში ფრაგმენტის სახით მოცემულია ავტორის ცხოვრების აღწერა, მეორეში — საკუთარი შვილებისადმი მისი წერილები, რომლებიც ეხებიან მის მეუღლეს — ჯონს; მესამეში — ჯონ ჰეტჩინსონის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხოლო მეოთხეში — ამ უკანასკნელის წერილთა ასლები. მიმართული სხვადასხვა პიროვნებებისადმი.

ლიუსი ჰეტჩინსონი თავის შეხედულებებს, შეიძლება ითქვას, მემარცხენე რესპუბლიკელის პოზიციებიდან აყალიბებს. ის საკმაოდ დემოკრატიულ მსოფლმხედველობას იზიარებს. ავტორის აზრით, ლეველერები იყვნენ პატიოსანი და კეთილი ადამიანები, რომლებიც შეუნელებლივ იბრძოდნენ იმისთვის, რომ პრივილეგიები თანაბრად ეხებოდეს ყველას — ლორდს თუ ულარიბესსო, ე. ი. კანონის წინაშე ყველა თანაბარი უნდა იყოსო. ლეველერებმა პირველმა გამოამჟღავნეს კრომველისა და მის თანამოაზრეთა პატივმოყვარეობა და კერძო ინტერესები. ამის გამო ეჭვი შეჰქონდათ მათში და არ უყვარდათ ისინიო. პოლკოვნიკ ჰეტჩინსონს, წერს ავტორი, ახლო ურთიერთობა ჰქონდა მრავალ ლეველერთანო[1].

მაგრამ მეორე მხრივ ლიუსი ჰეტჩინსონი ლეველერებს მიაწერს საკუთრებისა და წოდებების რეალურ გამთანაბრებლობას, თვლის რა მათ რელიგიური მისწრაფებებით აღგზნებულ ადამიანებად, ამით ნაწილობრივ უარყოფს მათს რევოლუციურ როლს. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ მისი ქმარი მხარს უჭერდა და მფარველობდა ლეველერებს მანამდე, სანამ ისინი მოქმედებდნენ პატიოსნების, ღვთისმოყვარეობისა და საზოგადოებრივი განწყობილების ფარგლებში[2], ე. ი. ვიდრე ლეველერები დაიწყებდნენ ბრძოლას ინდეპენდენტური ხელისუფლების წინააღმდეგ.

კლემენტ უოკერი პრესბიტერელთა ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო. მისი ნაშრომი „ინდეპენდენტობის ისტორია"[3] 1648 წელს გამოვიდა. უოკერი ინდეპენდენტთა დაუძი-

[1] Ibid., p. 256.
[2] Ibid., p. 256.
[3] Walker Clement, The History of Independency. (L), 1648.

ნებელი მტერია, მაგრამ კლარენდონისაგან განსხვავებით, მათთან ბრძოლის პროცესში ის გზადაგზა ცდილობდა ლეველერებთან საერთო ენის გამონახვას, თუმცა მათგან მკვეთრად განსხვავებული კლასობრივი ინტერესებიდან გამოდიოდა. ლეველერებთან თანამშრომლობის გზის გამონახვის ძიებისას უოკერი ბევრ საინტერესო და საყურადღებო ცნობას იძლევა მათ შესახებ.

დენზილ ჰოლისი პრესბიტერელთა ლიდერი იყო ხანგრძლივ პარლამენტში. ის ინდეპენდენტთა და, განსაკუთრებით, ლეველერთა შეურიგებელი მტერი იყო. თავის „მოგონებებში“[1] ბევრ საინტერესო ცნობას გვაწვდის ლეველერთა, მათ შორის, ჯონ უაილდმანის შესახებ.

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის თანამედროვე ისტორიკოსები: ჯონ როშუორსი და ედმუნდ ლედლოუ თავიანთ ნაშრომებში[2] ხშირად მოგვითხრობენ ლეველერთა შესახებ.

დოკუმენტური ხასიათის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია: კობეტის „ინგლისის პარლამენტის ისტორია“[3], გარდინერის „პურიტანული რევოლუციის კონსტიტუციური დოკუმენტები“[4], ფერსის და რაიტის „უმეფობის ხანის აქტები და დადგენილებები“[5] და საბჭოთა ავტორის, დმიტრევსკის „1640—1660 წ.წ. ინგლისის რევოლუციის კანონმდებლობა“[6].

კობეტის საერთო რედაქტორობით გამოცემული ნაშრომი 36 ტომისაგან შედგება და მოიცავს პერიოდს პარლამენტის დაარსების ადრეული წლებიდან 1803 წლამდე. ლეველერთა მოძრაობის პერიოდი მოცემულია მეორე და მესამე ტომებში, რომლებიც ეყრდნობიან ორივე პალატის პერიოდულ ჟურნალებს და აგრეთვე როშუორსის, უაიტლოკის, კლარენდონის და სხვა ავტორების მემუარებსა და კოლექციებს. მესამე ტომში 1649 წ. ამბებიდან ამო-

---

[1] Holles Denzil, Memoirs of Denzil Lord Holles,.. from the year 1641 to 1648. Ed. by J. Toland, L. 1699.

[2] Rushworth J. Historical Collections (1618—1648). L. 1721. Ludlow Ed. Memoirs. Ed. by Firth. 1894.

[3] Cobbett. Parliamentary History of England From The Earliest Period To The Year 1803. L. 1806—1820. (v. II, 1807. v. III, 1808).

[4] Gardiner. The Constitutional Documents of the Puritan Revolution. 1625—1660. Oxford. 1889.

[5] Firth and Rait. Acts and Ordinances of the Interregnum. v, I—III. L. 1911.

[6] Дмитревский Н. П. Законодательство Английской Революции 1640—1660 г.г. М.-Л. 1946.

კვეთილია ჩარლზ I დასჯის, ლორდთა პალატის გაუქმებისა და რესპუბლიკის გამოცხადების მასალები.

სამუელ გარდინერის წიგნი წარმოადგენს ბურჟუაზიული რევოლუციისა და მისი წინამდებარე ხანის (ჩარლზ I მეფობიდან მოყოლებული) ინგლისის ისტორიის ძირითად დოკუმენტურ მასალათა კოებულს. კობეტისაგან განსხვავებით, გარდინერი გვერდს არ უვლის მეფის დასჯის, ლორდთა პალატის გაუქმებისა და რესპუბლიკის გამოცხადების დოკუმენტების გამოქვეყნებას.

ფერსის და რაიტის ნაშრომი სწორედ იმ პერიოდის დოკუმენტების პუბლიკაციას ეხება, რომელსაც ინგლისის ოფიციალური წყაროები საპარლამენტო აქტების გამოცემის სახით დუმილით უვლიან გვერდს. ეს პერიოდია ე. წ. „უმეფობის ხანა". წინააღმდეგ სათაურისა, ნაშრომში მოცემულია, დოკუმენტები მოყოლებული 1642 წლიდან 1660 წლამდე. სულ 3 ტომია. მესამე ტომი შეიცავს მხოლოდ შესავალს, სარჩევს და დანართს.

დმიტრევსკის წიგნი უმთავრესად მოიცავს კობეტის, გარდინერის, ფერსის, კლარკის, კლარენდონის, უატლოკის, ჰეტჩინსონის და ლედლოუს კორესპონდენციებს. ავტორს დიდი შრომა გაუწევია იმისათვის, რომ ყველა ეს მასალა შეეკრიბა, დაელაგებინა და ისე წარედგინა მკითხველისათვის.

ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის ხანის რადიკალურ-დემოკრატიული მოძრაობის გასაცნობად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ძირითად პირველ წყაროს წარმოადგენს ლეველერთა და დიგერთა ბელადებისა და რევოლუციის დროის სხვა საზოგადოებრივ მოღვაწეთა პამფლეტები, უმთავრესად დაცულია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ-სტალინის ინსტიტუტის მოსკოვის წიგნსაცავში.

ლეველერთა პამფლეტების ახალი გამოცემის რიცხვს მიეკუთვნება ვულფის წიგნი „პურიტანული რევოლუციის ლეველერული მანიფესტები"[1], ჰოლერის „თავისუფლების ტრაქტატები პურიტანულ რევოლუციაში"[2] და იმავე ჰოლერისა და დევისის „1647—1653 წ.წ. ლეველერული ტრაქტატები"[3].

---

[1] Wolfe M. Leveller Manifestoes of the Puritan Revolution. N.-Y., 1944.

[2] Haller W. Tracts on Liberty in the Puritan Revolution. v. 1—3. N.-Y. 1933—1934.

[3] Haller W. and Davies G. The Leveller Tracts 1647—1653. N.-Y. 1944.

პროფ. სამოილოს სამართლიანი შენიშვნით, ხსენებული ავტორების წინასიტყვაობაში და შესავლებში გარკვევით მოჩანს ორი ტენდენცია, ერთი იმაში გამოიხატება, რომ ეს ავტორები ცდილობენ ინგლისის რევოლუციის უკიდურეს მემარცხენე მიმართულებათა ბელადები ინგლისისა და აშშ-ის „კონსტიტუციური წყობისა და თავისუფლების“ სულიერ მამებად წარმოგვიდგინონ; ხოლო მეორე იმაში, რომ რელიგიური მომენტის წინა პლანზე წამოყენებით ცდილობენ ამ დოკუმენტების პრეპარირებას და ყოველგვარი რევოლუციური ძალის დაკარგვინებას [1].

ვულფის წიგნი გამოვიდა 1944 წელს აშშ-ში. მასში წარმოდგენილია 19 დოკუმენტი, რომელთაგან 16 უშუალოდ ლეველერთა კალამა ეკუთვნის, ხოლო დანარჩენი სამი მათი გავლენით არის დაწერილი. ლეველერთა პამფლეტებს წამძღვარებული აქვს წინასიტყვაობა და ვრცელი (100 გვერდამდე) შესავალი, რომელშიც ნათლად მოჩანს ვულფის ტენდენციურობა. ავტორი გარდინერის პოზიციებიდან გამოდის.

ჰოლერის და დევისის ნაშრომი იმავე 1944 წელს არის გამოცემული ნიუ-იორკში. მასში მოცემულია ლეველერთა 17 პამფლეტი და პეტიცია. წიგნს ერთვის შესავალი (50 გვერდი) და დანართი. რაც შეეხება ჰოლერის ნაშრომს, ის შედარებით ადრეა გამოცემული. ამასთანავე მეორე და მესამე ტომები გამოცემულია 1933 წელს, ხოლო პირველი — 1934 წელს.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ავტორ“-გამომცემელთა ტენდენციურობას და ხსენებულ წიგნებს შევაფასებთ მათში წარმოდგენილი დოკუმენტების მეცნიერული ღირებულების მიხედვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათი გამოქვეყნება სერიოზული მიღწევაა. ავტორებს არა მარტო დაულაგებიათ და საჭიროების შემთხვევაში სტილისტურადაც გაუსწორებიათ პამფლეტები, არამედ ხშირი განმეორებების თავიდან ასაცილებლად ზოგირთი მათგანი შემოკლებული სახითაც არის დაბეჭდილი.

არსებობს, აგრეთვე ლილბერნის და უინსტენლის პამფლეტთა რუსული გამოცემები [2], რომელთაც წამძღვარებული აქვთ პროფ. ვ. ფ. სემიონოვისა და აკად. ვოლგინის საყურადღებო წინასიტყვაობები. ისინი შესაძლებლობას გვაძლევენ გავეცნოთ მოწინავე საბ-

[1] Вопросы истории, 1948, № 8, გვ. 244.

[2] Лильберн Джон, Памфлеты. М. 1937. Уинстенли Джерард, Избранные Памфлеты. М.-Л. 1950.

ჭოთა მეცნიერთა ზოგად შეხედულებებს ინგლისის რევოლუციის რადიკალურ-დემოკრატიულ პარტიათა და მათ ბელადთა მოღვაწეობის შესახებ.

ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა შორის, რომლებიც ინგლისის ისტორიისა და რევოლუციის საკითხებით იყვნენ დაინტერესებულნი, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რუსეთის ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა მ. კოვალევსკის, ნ. კარეევის, ა. სავინის, პ. ვინოგრადოვის და სხვ. ღვაწლი. ეს იმიტომ, რომ, დას. ევროპისა და ამერიკის ბურჟუაზიულ ისტორიკოსთაგან განსხვავებით, ისინი შედარებით ობიექტურად ხსნიან ისტორიულ მოვლენებსა და პროცესებს. მათი შეხედულებები გაცილებით მოწინავეა, ვიდრე დასავლეთის ისტორიკოსებისა. მათგან განსხვავებით რუსმა ბურჟუაზიულმა ისტორიკოსებმა ყურადღება გაამახვილეს სოციალურ საკითხებზე და მათ წინააღმდეგობრივ მხარეებზე, ქალაქისა და სოფლის ქვედაფენების როლზე რევოლუციაში, ფეოდალური სისტემის დაღმობაზე და ა. შ. ისინი კარგად გრძნობდნენ, რომ ინგლისის რევოლუციის გამარჯვებით ახალი ერა დაიწყო.

მაქსიმ კოვალევსკი გასული საუკუნის 80-იან წლებში მოსკოვის უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს, საიდანაც ის გააძევეს ლიბერალიზმისათვის. კოვალევსკი გაემგზავრა საზღვარგარეთ და პედაგოგიურ-მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა ლონდონის, პარიზის, ბრიუსელის და სხვ. უნივერსიტეტებში. საზღვარგარეთ ის გაეცნო და დაუახლოვდა კარლ მარქსს, განიცადა მისი გავლენა, მაგრამ მასთან „მეცნიერების ხაზით მეგობრობის“ მიუხედავად, კოვალევსკი მარქსიზმისაგან ბევრად შორს იდგა.

მ. კოვალევსკის ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „პირდაპირი ხალხმმართველობიდან წარმომადგენლობისაკენ და პატრიარქალური მონარქიიდან პარლამენტარიზმისაკენ“[1], „ინგლისის საზოგადოებრივი წყობილება შუა საუკუნეების დასასრულს“[2] და „ინგლისის რადიკალიზმის მამამთავრები“[3].

პირველი ნაშრომი ორი ტომისაგან შედგება. პირველი ტომი

[1] Ковалевский М., М. От прямого народоправства к представительному и от патриархальной монархии к парламентаризму. М. 1906.

[2] მისივე, Общественный строй Англии в конце средних веков. М. 1880.

[3] მისივე, Родоначальники Английского Радикализма, Русская мысль Январь-Февраль, 1892 г., I, стр. 1—18.

მოიცავს პერიოდს ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული კამპანელამდე, ხოლო მეორე — კამპანელას შემდეგი ხანიდან სპინოზას ჩათვლით. ავტორმა ყურადღება მიაქცია ინგლისის რევოლუციის სოციალურ საკითხებსაც.

მ. კოვალევსკი ლეველერებს დიდ შეფასებას აძლევს, თვლის რა მათ ინგლისის რადიკალიზმის დამაარსებლებად. ავტორი მოკლედ, მაგრამ დამაჯერებლად აღწერს ლეველერთა საქმიანობას, გადმოგვცემს მათი ზოგიერთი პამფლეტის შინაარსს, მსჯელობს პატნის კონფერენციაზე და სხვ. მაგრამ ლეველერთა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიზმით დატყვევებული კოვალევსკი ვერ ხედავს, რომ სინამდვილეში ლეველერები რეალურად არ ასახავდნენ ღარიბთა სოციალურ ინტერესებს და რომ დიგერთა იდეოლოგიის საფუძველი იყო გლეხური აზროვნება, ყველა დოვლათის თანასწორად განაწილების პრიმიტიულ-გლეხური „კომუნიზმის“ იდეოლოგია. საერთოდ კი კოვალევსკის დასახელებული ნაშრომები ბევრ საყურადღებო ცნობებს შეიცავენ ლეველერთა შესახებ.

ა. ნ. სავინის ნაშრომებს დიდი მეცნიერული ღირებულება აქვთ. ავტორი თანაბრად იყო დაინტერესებული ინგლისის ისტორიის როგორც ეკონომიური, ასევე პოლიტიკური საკითხებით. განსაკუთრებით საყურადღებოა აღნიშნული ავტორის შემდეგი წიგნები: „ტიუდორთა ეპოქის ინგლისის სოფელი“[1], „სეკულარიზაცია ინგლისში“[2] და „ლექციები ინგლისის რევოლუციის ისტორიიდან“[3].

განსაკუთრებით საინტერესოა უკანასკნელი ძათგანი, რომელიც გამოვიდა ავტორის სიკვდილის შემდეგ, ჯერ 1924 წ., შემდეგ კი 1937 წ. არც თუ ისე დიდი ზომის ფარგლებში ის ძალზე მდიდარია ფაქტობრივი მასალებით. შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ სავინი, კოვალევსკისთან ერთად, ბევრად წინ წავიდა უცხო ქვეყნების ბურჟუაზიულ ისტორიკოსებთან შედარებით. მაგრამ, მეორე მხრივ, სავინი გაუბედავია და ხანდახან მცდარ გზას ადგება დასკვნების გამოტანისას. ის შესაფერ ყურადღებას არ უთმობს სოციალურ საკითხებს და უპირატესობას ანიჭებს რელიგიურ და პოლიტიკურ მომენტებს. სხვათა შორის, სავინი წმინდა ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს იჩენს, როდესაც აცხადებს, რომ ელისაბედ

[1] Савин А. Н., Английская Деревня в эпоху Тюдоров. М. 1903.
[2] მისივე, Английская Секуляризация. М. 1907.
[3] მისივე, Лекции по Историй Английской Революции. М. 1937.

დედოფალი და პირველი სტიუარტები ღარიბთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობდნენ თავიანთი სოციალური კანონმდებლობითო[1]. ავტორი ძირითადად სწორ შეფასებას აძლევს ლეველერებს და იძლევა მრავალ საჭირო ცნობას მათ შესახებ. დასასრულ ისიც უნდა ითქვას, რომ ხსენებული ორივე რუსი ავტორი დიდ მსგავსებას პოულობს ლეველერთა პამფლეტებსა და აშშ-ისა და საფრანგეთის საკონსტიტუციო დოკუმენტებსა და დეკლარაციებს შორის.

რუს ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა დანარჩენ ნაშრომთაგან აღსანიშნავია ნ. კარეევის „XVII საუკუნის ინგლისის ორი რევოლუცია“[2], ვინოგრადოვის „შუა საუკუნეების მამული ინგლისში“[3] და გრანატის „ინგლისის გლეხობის გაღატაკების საკითხისათვის“[4], რომელთაგან ეს უკანასკნელი ავტორი აშკარად მავნე და რეაქციულ ორიენტაციას იზიარებს, ამტკიცებს რა, წინააღმდეგ მარქსისა, რომ, თითქოსდა, ინგლისის გლეხობის ექსპროპრიაციის პროცესს ძალდატანებითი ხასიათი არ ჰქონდაო.

ინგლისის არისტოკრატიულ-ბურჟუაზიულ ისტორიკოსთაგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სამუელ როუსონ გარდინერი, რომელმაც თითქმის მთელი თავისი ცხოვრება რევოლუციის ეპოქის ისტორიის შესწავლას შესწირა. მან 20-ზე მეტი წიგნი მიუძღვნა ინგლისის ბურჟუაზიულ რევოლუციას, რაც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის თავგამოდებული შრომის ნაყოფია. მისი „ინგლისის ისტორია ჯემს I გამეფებიდან სამოქალაქო ომის დასაწყისამდე“[6] 10 ტომისაგან შედგება, ხოლო „დიდი სამოქალაქო ომის ისტორია“[6] და „რესპუბლიკისა და პროტექტორატის ისტორია“[7] — ოთხ-ოთხი ტომისაგან.

გარდინერმა სისტემაში მოიყვანა რევოლუციის დროინდელი

[1] Савин А. Н. Лекции по истории Английской Революции. М. 1937 გვ. 105.

[2] Кареев Н. Две Английские Революции XVII века. Петроград, 1924.

[3] Виноградов П. Г. Средневековое поместье в Англии. СПБ. 1911.

[4] Гранат И. К вопросу об обезземелении крестьянства в Англии. М. 1908.

[5] Gardiner, S. R. History of England from the Accession of James I to the Outbreak of the Civil War. L., 1883—1884.

[6] მისივე, History of the Great Civil War. L., 1886—1891.

[7] მისივე, History of the Commonwealth and Protectorate. L., 1894—1901.

მასალები და მოგვცა თვით რევოლუციის პერიოდის ერთიანი სურათი. საკმარისია აღინიშნოს, რომ მომდევნო პერიოდის ყველა ბურჟუაზიული ისტორიკოსი, როცა ინგლისის რევოლუციის შესახებ მსჯელობს, თავის საფუძვლად გარდინერს მიიჩნევს. მან კარლეილის მსგავსად „აღადგინა“ რევოლუცია ინგლისის ბურჟუაზიის თვალში, რომელმაც დავიწყებას მისცა იგი და პირი იბრუნა მისგან.

ამოსავალი პუნქტი გარდინერისათვის არის რელიგია, კერძოდ, პურიტანიზმი, რომელსაც ემორჩილება პოლიტიკაც. ავტორი უარყოფს კლასობრივ ბრძოლას ინგლისის რევოლუციაში. ლეველერთა და დიგერთა შესახებ ბევრ და საინტერესო ფაქტობრივ მასალას იძლევა, მაგრამ საერთოდ რადიკალურ-რევოლუციურ მოძრაობას ლეველერ-ფანატიკოსთა და აგიტატორთა პოლიტიკურ ინტრიგად თვლის. გამომდინარე ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებიდან, გარდინერი თითქოსდა ვერ ამჩნევს სოციალური უთანასწორობით გამოწვეულ კლასობრივ ბრძოლას და, წინააღმდეგ მარქსიზმის კლასიკოსთა მეცნიერული დასაბუთებისა, უარყოფს ხალხის მასების რევოლუციურ და განმსაზღვრელ როლს ინგლისის რევოლუციაში. გარდინერს არ ესმის, რომ ჩარლზ I მხოლოდ ხალხის მასების გადამწყვეტი ჩარევის წყალობით მოხვდა ეშაფოტზე. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, რელიგიური მომენტის ასეთი აპოთეოზი და ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციისათვის პურიტანული რევოლუციის სახელის მიკუთვნება იმ მიზანს ისახავს გარდინერთან, რომ კლასთა ბრძოლა საერთოდ უარყოფილ იქნეს, ხოლო ხალხთა მასებისა და რადიკალურ-დემოკრატიული პარტიების რევოლუციური როლი კი მინიმუმამდე დავიდეს. ყოველივე ეს გულს მოაბრუნებინებდა ინგლისის ბურჟუაზიას ღირსშესანიშნავ, მაგრამ მანამდე დავიწყებულ რევოლუციაზე, ხოლო კრომველს კოლონიური იმპერიის ნაციონალურ გმირად გახდიდა.

უილიამ გოდვინი და თომას კარლეილი გარდინერამდე მოღვაწეობდნენ. გოდვინის „ინგლისის რესპუბლიკის ისტორია“[1] ოთხი ტომისაგან შედგება და გამოცემულია ლონდონში 1824—1828 წ.წ. ავტორი ბევრ საინტერესო მასალას იძლევა რევოლუციისა და ლეველერთა შესახებ, მაგრამ ამ უკანასკნელებს მცდარ შეფასებას აძლევს, თვლის რა, რომ ისინი უტაქტოდ მოქმედებდნენ და ვნებდნენ საზოგადოებრივი სიკეთის

[1] Godwin W. History of the Commonwealth of England. L., 1824—1828.

საქმეს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თვით რევოლუციას გოდვინი მხოლოდ „უმცირეს ბოროტებად“ მიიჩნევს.

ფილოსოფიაში სუბიექტური იდეალისტის, ისტორიაში კი რეაქციონერისა და უკიდურესი კონსერვატორის თომას კარლეილის ნაშრომი „ოლივერ კრომველის წერილები და სიტყვები“[1] ოთხი ტომისაგან შედგება. პირველი გამოცემის თარიღია 1845 წელი.

კარლეილმა პირველმა მოახდინა ინგლისის რევოლუციისა და კრომველის „რეაბილიტაცია“ მათ მიერ დაშინებული ინგლისის ბურჟუაზიის თვალში. კარლეილი გარდინერის პირდაპირი მასწავლებელი იყო. ლეველერთა შესახებ ის ზოგადი ხასიათის ცნობებს იძლევა და ამასთანავე მტრულად უყურებს მათ.

ამერიკელ უილბერ კორტეს ებოტის წიგნი „ოლივერ კრომველის ნაწერები და სიტყვები“[2] ჯერჯერობით წარმოდგენილია სამი ტომის სახით. გამოცემა დაიწყო 1937 წ. ნაშრომი ავსებს კარლეილის ხარვეზებს კრომველის ნამოღვაწარის პუბლიკაციის საქმეში.

ჩარლზ ჰარდინგ ფერსი გარდინერის მოწაფე და თანამედროვე იყო. ისტორიულ-პოლიტიკური მსოფლმხედველობით ის ძირითადად გარდინერის კონცეფციის ჩარჩოებში რჩება, მაგრამ მეცნიერული ღირებულების მიხედვით მისი ნაშრომები და ნარედაქტორები წიგნები მეტად საყურადღებოა.

ფერსმა გააგრძელა თავისი მასწავლებლისა და მეგობრის, გარდინერის, უკანასკნელი ნაშრომი და 1656 წლიდან 1658 წლამდე მიიყვანა. ფერსის რედაქტორობითა და მის მიერ დაწერილი შესავლებით არის გამოცემული „კლარკის ჟღალდები“ ლედლოუს „მოგონებები“, კარლეილის დასახელებული წიგნები და ა. შ. ფერსის კალამს ეკუთვნის: „პარალელი ინგლისისა და ამერიკის სამოქალაქო ომებს შორის“[3], „ლორდთა პალატა სამოქალაქო ომის დროს“[4], „კრომველის არმია“[5] და სხვ., რომლებიც მეტად საყურადღებო ცნობებს მოი-

[1] Corlyle Th. The Lettersand Speeches of Oliver Cromwell, L., 1904.

[2] Abbot W, C. The writings and speeches of Oliver Cromwell. Cambridge, Mass. 1937—1945.

[3] Firth Ch. H. The Parallel Between the English and American Civil Wars. Cambridge, 1910.

[4] მისივე, The House of the Lords During the Civil War. L. 1910.

[5] მისივე, The Cromwell's Army. B. 1921.

ცაევენ რევოლუციისა და, კერძოდ ლეველერთა პარტიის საქმიანობის შესახებ.

ძალზე საინტერესოა ე შ ლ ი ს მონოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები „ჯონ უაილდმანი"[1], რომელიც გამოვიდა ლონდონში 1947 წ. ავტორი არსებული დოკუმენტების საფუძველზე ძირითადში დამაჯერებლად აღწერს უაილდმანისა და, საერთოდ, ლეველერთა მოღვაწეობას, მაგრამ, როგორც ჩანს, მთლიანად არ თანაუგრძობს მათ. წიგნი მოიცავს ძვირფას მასალებს ლეველერთა შესახებ.

ინგლისის ბურჟუაზიულ ისტორიკოსთაგან დიდი მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე შემდეგ ნაშრომებს: გ. ჰ. კ ლ ა რ კ ი ს — „XVII საუკუნეს"[2], გ. პ. გ უ ჩ ი ს — „XVII საუკუნის ინგლისის დემოკრატიულ იდეათა ისტორიას"[3], ტ ა ნ ე რ ი ს — „XVII საუკუნის კონსტიტუციური კონფლიქტები ინგლისში. 1603—1689"[4] და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა გ. პ. გუჩის წიგნი, რომელშიც ავტორი შედარებით მოწინავე შეხედულებებს ავითარებს ლეველერებზე და დიგერებზე.

ლეველერთა და კიდევ უფრო მეტად დიგერთა მოღვაწეობის საკითხებს აშუქებენ თავიანთი ნაშრომებში ლ. ჰ. ბერენსი და დ. უ. პეტეგორსკი. ბერენსის ნაშრომი[5] უშუალოდ დიგერთა საკითხს ეხება. პ ე ტ ე გ ო რ ს კ ი ს წიგნი — „დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი ს მ ე მ ა რ ც ხ ე ნ ე ფ რ თ ა ი ნ გ ლ ი ს ი ს ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო ო მ შ ი"[6] — წარმოადგენს ლონდონის უნივერსიტეტში ავტორის მიერ დაცულ სადოქტორო დისერტაციას. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ პირველ თავში, რომელსაც ავტორი უწოდებს „სამოქალაქო ომის ჩრდილოეან მხარეს" ლაპარაკია ეკონომიკის საკითხებზე. ეჭვს გარეშეა, ავტორი იცნობს მარქსის „კაპიტალს", მაგრამ არსად არ იხსენიებს მას. პეტეგორსკი მრავალ მნიშვნელოვან ცნობას იძლევა ლეველერთა და დიგერთა შესახებ, მაგრამ უდაოდ მცდარი დას-

[1] A s h l e y M. John Wildman. L. 1947.

[2] C l a r k e G. H. The seventeenth century. Oxf. 1950.

[3] G o o c h G. P. The History of English Democratic Ideas in the Seventeenth Century. Cambridge. 1927.

[4] T a n n e r J, R. English Constitutional Conflicts of the Seventeenth Century. 1603—1689. Cambridge. 1928.

[5] B e r e n s L. H. Social Reformer of the days of the Commonwealth. L. 1905.

[6] P e t e g o r s k y D. W. Left-Wing Democracy in the English Civil War. L. 1940.

კვნები გამოჰყავს. უინსტენლის ის წარმოგვიდგენს ბეშმარიტად პროლეტარული მოძღვრების იდეოლოგად.

ამერიკელ ისტორიკოსთა შორის ხაზგასმით უნდა აღინიშნოს თეოდორ კალვინ პიზის წიგნი „ლეველერთა მოძრაობა“[1]. როგორც შესავლიდან ჩანს, ავტორს შრომის წერა დაუწყია 1908—09 წ.წ. დიდი ნაწილი დაწერილია ბრიტანეთის მუზეუმში შეგროვილი მასალების საფუძველზე. ნაშრომის დამთავრების შემდეგ პიზს ის წარუდგენია სადოქტორო დისერტაციად და ჭარმატებით დაუცავს 1914 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტში.

თ. კ. პიზის წიგნი შეიცავს შესავალს, 11 თავს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას. პირველ თავში ლაპარაკია პარლამენტის უზენაესობის დოქტრინაზე 1640—1645 წ.წ. მეორე თავი ეხება მხოლოდ რელიგიურ საკითხებს. შემდეგ ორ თავში მოცემულია აბსოლუტიზმის თვითმპყრობელი ხელისუფლების კრიტიკა ოპოზიციისა და, კერძოდ, მისი რადიკალური ფრაქციის მხრივ. მომდევნო შვიდი თავი ლეველერთა მოძრაობის საკითხებს შეეხება.

დასახელებულ წიგნს დიდი მნიშვნელობა აქვს ლეველერთა ისტორიის შესწავლისას. ავტორი მრავალ საყურადღებო მასალას გვაწვდის ლეველერთა შესახებ, მაგრამ პიზის წიგნი, მთლიანად აღებული, მრავალ ხარვეზსა და ნაკლოვანებებს შეიცავს. იზიარებს რა თავისი ინგლისელი კოლეგების კონცეპციას, პიზი დიდ როლს აკუთვნებს რელიგიურ მომენტს, რომლის წინა პლანზე წამოწევით ფაქტიურად ცდილობს ლეველერთა რევოლუციური როლის დამცირებას. პიზი შეგნებულად უარყოფს კლასობრივ ბრძოლას და მის მაგიერ ყურადღებას აქცევს მხოლოდ რელიგიურსა და პოლიტიკურ ბრძოლას. წიგნში არ ჩანს მასა, ხალხი და მისი რევოლუციური მნიშვნელობა. ხალხის ადგილს იჭერს ესა თუ ის პიროვნება. ავტორი ხშირად ბევრს ლაპარაკობს შედარებით მეორეხარისხოვან ამბებზე, ძირითადს კი უმნიშვნელო კორესპონდენციით გვაცნობს. მაგალითად, წიგნში ბევრია ნათქვამი ლილბერნის გასამართლების პროცესზე 1649 წ., ხოლო მაისის აჯანყებაზე და პატნის კონფერენციაზე კი — ძალიან ცოტა. ყოველივე ამის გარდა, ავტორი ცდილობს ლეველერთა ნამდვილად რევოლუციურ-დემოკრატიული მოღვაწეები თანამედროვე ამერიკული „დემოკრატიის“ სულიერ მამებად წარმოგვიდგინოს.

ფრანგ ბურჟუაზიულ ისტორიკოსთაგან საყურადღებოა ლიბე-

[1] Pease L. C. The Leveller Movement. Wash.—L.-Oxf. 1916.

რალური ისტორიკოსის ფრანსუა გიზოს ნაშრომი „ინგლისის რევოლუციის ისტორია“[1]. გიზო საერთოდ ცნობილია, როგორც კლასთა ბრძოლის ერთ-ერთი „აღმომჩენელი“ და შემომტანი ისტორიულ მეცნიერებაში, მაგრამ კლასობრივ ბრძოლას ის უშვებს მხოლოდ ფეოდალურ არისტოკრატიასა და „მესამე წოდებას“ შორის და ამის იქეთ აღარ მიდის. მიუხედავად ამისა, გიზოსათვის ამოსავალი პუნქტი არის რელიგია, კერძოდ, პროტესტანტული ექსტაზი, რაც წითელ ხაზად გასდევს მთელს მის ნაშრომებს. ლეველერები და დიგერები გიზოს წარმოდგენილი ჰყავს „ფანატიკურ მეოცნებეებად“, რომელთაც სურდათ თავისუფლების მოპოვება და თანასწორობა საკუთრებისა და საყოველთაო არჩევნების საქმეში.

გერმანელ ბურჟუაზიულ ისტორიკოსთაგან დავასახელებთ რანკეს, შტერნს და ვაინგარტენს. ორი უკანასკნელი ავტორის ნაშრომი ნაკლებ მეცნიერულ ღირებულებას შეიცავს ჩვენთვის. ლეოპოლდ ფონ რანკე გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსია. რომელმაც მრავალტომიანი ნაშრომი უძღვნა „ინგლისის ისტორიის“[2] სახით ინგლისელ ერს. პოლიტიკური შეხედულებებით ავტორი რეაქციონერი და წმინდა წყლის იდეალისტია. მისთვის განმსაზღვრელია რელიგიურო-პოლიტიკური მომენტები. რანკე არ ცნობს კლასობრივ ბრძოლას. ის თავისი ისტორიის ერთ-ერთ ტომში მთელ თავს უთმობს ლეველერებს, მაგრამ უმთავრესად ზოგადი ხასიათის მსჯელობით კმაყოფილდება. რანკე ყოველმხრივ ცდილობს ლეველერია რევოლუციური როლის დამცირებას და, საერთოდ, კონსერვატიულად უყურებს მათ.

აქვე უნდა აღინიშნოს თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტებისა და ოპორტუნისტთა ყოფილი იდეოლოგის, რევიზიონისტ ედუარდ ბერნშტაინის წიგნი — „სოციალიზმი და დემოკრატია ინგლისის დიდ რევოლუციაში“[3]. ბერნშტაინმა მარქსიზმის კლასიკოსთაგან ისესხა, პირდაპირ ვიტყოდით, მოიპარა აზრი ხალხის მასების რევოლუციური როლისა და რევოლუციის კლასობრივი ხასიათის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მარქსიზმის თავგამოდებულ „კრიტიკას“ ეწეოდა. მაგრამ

[1] Гизо Ф., История Английской Революции. С-П.Б., 1859—1868.

[2] Ranke L., Englische Geschichte. Zweite Aufgabe. Dritter Band. L. 1872.

[3] Бернштейн Э., Социализм в великой английской революции. Л. 1924.

ხსენებულმა პლაგიაციამაც კი ვერ უშველა ბერნშტაინს, რადგან ის საერთოდ ინგლისის რევოლუციის ანამორფოზულ შეფასებას იძლევა. ავტორი ცდილობდა, რომ დიგერები მეცნიერულ სოციალიზმთან გაეიგივებინა. იგრძნობა ერთგვარი გატაცება რელიგიური მომენტითაც.

ძირფესვიანი გადატრიალება ინგლისის რევოლუციის საკითხების შესწავლაში, ისევე როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა ყოველ სფეროში, მარქსიზმის კლასიკოსებმა მოახდინეს. კ. მარქსმა, ფ. ენგელსმა, ვ. ი. ლენინმა და ი. ვ. სტალინმა მეცნიერულად ახსნეს ინგლისის რევოლუციის კლასობრივი და, ამასთანავე, კონსერვატიული ხასიათი, მიგვითითეს სოციალური ბრძოლის განმსაზღვრელი ბუნების შესახებ რევოლუციაში, ხალხის მასების უდიდეს, გადამწყვეტ და რევოლუციურ როლზე, რევოლუციის საერთო ევროპულ ხასიათზე, კრომველის რობესპიერობაზე და ნაპოლეონობაზე, ლეველერთა და დიგერთა უდიდეს რევოლუციურ-დემოკრატიული როლის შესახებ, ლეველერთა კლასობრივ შეზღუდულობაზე, დიგერთა პრიმიტიულ-გლეხური გამთანაბრებლური აზროვნების შესახებ და სხვ. ამიტომაა, რომ მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომები ფასდაუდებელ მეცნიერულ ღირებულებას შეიცავენ და საბჭოთა ისტორიკოსთათვის, ისევე როგორც უცხოეთის პროგრესული ისტორიკოსებისათვის, გზის მაჩვენებელ ვარსკვლავებს წარმოადგენენ.

დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს საბჭოთა ისტორიკოსებმა ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის საკითხების შესწავლაში. ხანგრძლივი და დაუღალავი შრომის შედეგად დიდი მეცნიერული ღირებულების მქონე წიგნები დაწერეს ა. ე. კუდრიავცევმა, ვ. პ. ვოლგინმა, ვ. ფ. სემიონოვმა, ა. ს. სამოილომ, პ. პ. შეგოლევმა, ვ. სტალინმ და სხვ. საბჭოთა ისტორიკოსებმა კონკრეტულად გააშუქეს ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის საკითხები და მათი ამომწურავი დახასიათება მოგვცეს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებზე დაყრდნობით.

ლეველერთა საკითხით საბჭოთა კავშირში თავდაპირველად ი. ლ. პოპოვ-ლენსკი დაინტერესდა, რომელმაც 1928 წ. გამოსცა წიგნი „ლილბერნი და ლეველერები"[1]. ავტორი ბევრ საინტერესო მასალას გვაწვდის ლეველერთა შესახებ, მაგრამ დასკვნებში მოისუსტებს. დიდი წვლილი შეიტანა ლეველერთა

[1] Попов-Ленский И. Л., Лильберн и Левеллеры, М.-Л., 1928.

ისტორიის გაშუქებაში თავისი ნაშრომებით და ცალკეული სტატიებით გამოჩენილმა საბჭოთა მეცნიერმა პროფ. ვ. ფ. სემიონოვმა[1].

მეორე მსოფლიო ომისა და მის შემდეგდროინდელ პერიოდში ინგლისის ბურჟუაზიის რევოლუციის დემოკრატიულ მოძრაობათა ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ახალგაზრდა საბჭოთა მკვლევარებმა: გ. რ. ლევინმა, ი. ა. ლევიცკიმ და ი. მ. საპრიკინმა. გ. რ. ლევინმა გამოაქვეყნა მრავალი სტატია რევოლუციური ახალი მოდელის არმიის, პატნის კონფერენციის, ლეველერთა პამფლეტებისა და 1649 წ. მაისის აჯანყების შესახებ[2]. ამ უკანასკნელი საკითხის ირგვლივ საყურადღებო სტატია გამოაქვეყნა ი. ა. ლევიცკიმაც[3]. ი. მ. საპრიკინის სადისერტაციო ნაშრომი[4] ჯერ ჰარინგტონის მსოფლმხედველობას შეეხება, მაგრამ ავტორი გზადაგზა აშუქებს ლეველერთა პოლიტიკურ და აგრარულ შეხედულებებს და ამ უკანასკნელს ცალკე სტატიაც კი მიუძღვნა[5]. ყველა ესენი გამოქვეყნებულია მოსკოვისა და ლენინგრადის უნივერსიტეტებისა და პედაგოგიურ ინსტიტუტთა შრომებში.

გასულ წელს სსრკ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა აკად. კოსმინსკისა და დოც. ლევიცკის საერთო რედაქტორობით გამოსცა ორტომიანი კოლექტიური ნაშრომი ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის შესახებ[6].

---

[1] Семенов В. Ф., Великая Английская Революция [В книге: Пакуль-Семенов, Ранные Буржуазные Революции], М., 1931. მისივე, Левеллеры в Английской Революции XVII в. ж. „Борьба классов". 1936, № 1. წინააღმდეგობები ლილბერნის, ჰილის და ჰოლორენშოუს წეგნებზე და სხვ.

[2] Левин Г. Р., Путнейская конференция; Памфлеты Лильберна, Овертона и Уолвина; Вопрос о всеобщем избирательном праве на Путнейской конференции, Левеллеры и солдатское движение в апреле-мае 1649 г. და სხვ.

[3] Левицкий Я. А., Индепендентская республика и майское восстание левеллеров, 1950.

[4] Сапрыкин Ю. М., Происхождение политических взглядов Джемса Гаррингтона, М., 1949.

[5] მისივე, К вопросу об отношении левеллеров к борьбе классов за землю. 1951.

[6] Английская Буржуазная Революция XVII века. Под редакцией акад. Е. А. Косминского и канд. ист. наук Я. А. Левицкого. т. I—II. М. 1954.

პირველ ტომში დაწვრილებით არის აღწერილი ლეველერთა საქმიანობა სამოქალაქო ომისა და რესპუბლიკის პირველ წლებში. განხილულია ლეველერთა მთელი რიგი პამფლეტები და მოწოდებები. ნაშრომში შეფასებულია ლეველერთა მსოფლმხედველობა, მოცემულია მათი იდეოლოგიის სუსტი მხარეების ანალიზი, მოხსენებულია ლეველერთა პარტიის დამარცხების ზოგიერთი მიზეზი და ა. შ. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ლეველერთა მოძრაობის სხვადასხვა მხარეებზე ავტორები კიდევ უფრო ვრცლად უნდა შეჩერებულიყვნენ. მაგალითად, რ. ოვერტონის ცნობილი პამფლეტი „მოწოდება" მხოლოდ გაკვრით არის მოხსენიებული.

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დიდი გავლენა მოახდინა უცხოეთის პროგრესულ ადამიანებზე. არც თუ ის დიდი ხნის წინათ ინგლისში შეიქმნა ისტორიკ-მარქსისტთა წრე, რომლის წევრები ისტორიული კვლევის მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობენ. მათ რიცხვს ეკუთვნიან: პროფესორი ჰილტონი, ჰილი, მორტონი, ჰოლორენშოუ, მარგარიტ ჯეიმსი[1] და სხვ.

ჰენრი ჰოლორენშოუმ 1939 წ. დაწერა წიგნი „ლეველერები და ინგლისის რევოლუცია"[2], რომელიც 1947 წ. რუსულად ითარგმნა. ნაშრომის მცირე მოცულობის მიუხედავად, ავტორი ბევრ საყურადღებო ცნობას გვაწვდის ლეველერთა და დიგერთა შესახებ. ჰოლორენშოუს ძირითადად მართებულად ესმის კლასთა ბრძოლა, მშრომელი ხალხის როლი, ლეველერთა და დიგერთა რევოლუციურობა და სხვა კარდინალური საკითხები ინგლისის რევოლუციისა, მაგრამ მას მთელი რიგი ნაკლოვანებებიც ახასიათებს. ჩვენი შეხედულებით, წიგნში წარმოდგენილი მასალა არ არის სისტემაში მოყვანილი. ნაშრომი მხოლოდ ლეველერ-დიგერთა პამფლეტების ერთგვარად მიმოხილვით ხასიათს ღებულობს. ავტორი გადაჭარბებულ შეფასებას აძლევს ჯერარდ უინსტენლის მოძღვრებას. უდაოდ უხეშ, ანტიმეცნიერულ აზრებთან გვაქვს საქმე, როდესაც ჰოლორენშოუ საბჭოთა კონსტიტუციას აიგივებს დიგერთა პამფლეტებთან, ხოლო მათ აგრარულ პროგრამას — სოციალისტურ სოფლის მეურნეობასთან. ავტორი ვერ ამჩნევს, აგრეთვე, ლეველერთა პარტიის 1645 წ. ჩასახვის პროცესს.

[1] მ. ჯეიმსი ტრაგიკულად დაიღუპა II მსოფლიო ომის დროს. — ლ. ს.

[2] Holorenshaw H., The Levellers and the English Revolution. L. 1939. [რუს.: Холореншоу Г., Левеллеры и Английская Революция. М. 1947].

ქრისტეფორ ჰილის წიგნი „ინგლისის რევოლუცია“[1] — 1941 წ. გამოვიდა. რუსულად ექვსი წლის შემდეგ ითარგმნა. ჰილის ნარკვევის გარდა, ნაშრომში მოცემულია მარგარიტ ჯეიმსის სტატია ჯ. ჰარინგტონზე და ეჯელ რიკვორდისა — ჯონ მილტონზე. წიგნის მცირე ფორმატის მიუხედავად, პროგრესიულმა ინგლისელმა ისტორიკოსებმა მრავალი საინტერესო აზრი გამოთქვეს მარქსისტულ-ლენინურ თეორიაზე დაყრდნობით, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მ. ჯეიმსი უცილობლად აჭარბებს ჰარინგტონის „ისტორიული მატერიალიზმის“ როლს, ხოლო ე. რიკვორდი არ აღნიშნავს ჯ. მილტონის არაჯანსაღ დამოკიდებულებას მშრომელი ხალხის მიმართ. ქ. ჰილი მოკლედ, მაგრამ სხარტად გადმოგვცემს რევოლუციის ძირითად მომენტებს. აღნიშნულის გარდა, ჰილს მრავალი სტატია და ნარკვევი აქვს გამოქვეყნებული ინგლისის რევოლუციის ისტორიიდან.

ა. ლ. მორტონის „ინგლისის ისტორია“[2], რომელიც პირველად 1938 წ. გამოვიდა, მნიშვნელოვანი ნაბიჯია წინ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ისტორიკოსთა ნაშრომებთან შედარებით. ავტორი სცილდება ბურჟუაზიული ისტორიზმის შაბლონურ ზღუდეს და ცდილობს მარქსისტულ-ლენინურ პოზიციაზე დადგეს. მორტონი ნაწილობრივ ახორციელებს ამ ამოცანას, მაგრამ მეორე ფეხით ჯერ კიდევ ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ჭაობში დგას, ლეველერთა მოძრაობას ძირითადად სწორად აფასებს, აღიარებს რა მის წვრილბურჟუაზიულ შეზღუდულობას.

(შემოვიდა რედაქციაში 15. V. 1955)

[1] Hill C., The English Revolution. L. 1941 [რუს.: Хилл К., Английская Революция. М. 1947].

[2] Morton A. L., A People's History of England. L. 1948 [რუს.: Мортон А. Л., История Англии. М., 1950].

Л. Н. СВАНАДЗЕ

ИСТОЧНИКИ И ЛИТЕРАТУРА О ДВИЖЕНИИ ЛЕВЕЛЛЕРОВ В АНГЛИЙСКОЙ БУРЖУАЗНОЙ РЕВОЛЮЦИИ XVII ВЕКА

Р е ю м е

В работе дается обзор источников и литературы, относящихся к движению радикально-революционной партии левеллеров. Перечислены источники и отдельные труды русских, английских, американских, французских и немецких авторов.

Из современников „великого мятежа" упомянуты труды Кларендона, Уайтлока, Рошуорса, Ледлоу, т. н. „Архив Кларка" и др. Из трудов буржуазных историков рассмотрены работы Ковалевского, Савина, Кареева, Пиза, Гардинера, Ферса, Ранке и т. д.

В работе особо подчеркивается роль классиков марксизма-ленинизма, гениально разрешивших проблемы английской буржуазной революции. На передний план выдвинуто большое достижение советской исторической науки в деле разработки актуальных вопросов английской буржуазной революции и изучения истории этой революции. Помимо этого, в работе упомянуты труды прогрессивных английских историков, стоящих на позициях марксизма-ленинизма.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

ვ. ჩხეიძე

3. ს უ ლ ა ვ ა

დიდსიმკვრივიან გაზებში რეზონანსული სპექტრული ხაზების სიგანეები

დიდსიმკვრივიან გაზებში მარტივ რეზონანსურ სპექტრულ ხაზთა სიგანეების გამოთვლა მოცემული არის ა. ვლასოვისა და ვ. ფურსოვის მიერ [1, 2]. ჩვენ განვიხილავთ აღნიშნული თეორიის მულტიპლეტური სპექტრული ხაზებისათვის განზოგადოებას.

განვიხილოთ ერთგვაროვანი გაზი, რომელიც შედგება $q+1$ ერთნაირი ატომებისაგან. ვგულისხმობთ, ამ გაზის სიმკვრივე იმდენად დიდია, რომ ქმედების ოპტიკური სფეროს შიგნით ერთდროულად მოლეკულების იმდენად დიდი რიცხვი იმყოფება, რომ შეუძლებელია ვისარგებლოთ წყვილ დაჯახებისა და სხვა გაზოკინეტიკური ცნებებით. ვთქვათ, საწყის მომენტში $t=0$ აგზნებულია ერთი ატომი და ის იმყოფება $m^2\,Pj'$ მდგომარეობაში, აღვნიშნოთ ის 0-ით მაშინ ტალღური ფუნქციის ამპლიტუტა $t=0$ მომენტში იქნება $Um1j'w'$ (0). დანარჩენი ატომები არააგზნებული კი იმყოფება $n^2\,S_{1/2}$ მდგომარეობაში. დავნომროთ ისინი 1-დან q-მდე. ატომთა შორის არსებული კავშირის გამო ადგილი ექნება ენერგიის გადასვლას აგზნებულიდან აუგზნებელ ატომებში, რაც ამცირებს აგზნებული მდგომარეობის სიცოცხლის ხანგრძლიობას და შედეგად გვაძლევს შესაფერისი დონის გაგანიერებას.

ჩვენ ვგულისხმობთ:

1. ატომთა შორის ურთიერთქმედების ენერგია დიპოლური ხასიათისაა.

2. ყველა ატომი უძრავ მდგომარეობაშია, ე. ი. დიპოლური ურთიერთქმედების ენერგია დროისაგან არაა დამოკიდებული. ეს დაშვება მით უფრო სამართლიანი იქნება, რაც უფრო დიდია გაზის სიმკვრივე.

3. კოორდინატთა სისტემა X_1, X_2, X_3 შერჩეულია ისე, რომ სათავეში იმყოფება აგზნებული ატომი (0-ოვანი ატომი). ამ შემთხვევაში დიპოლური ურთიერთქმედების ენერგიას ექნება სახე:

$$V=\sum_{s=1}^{q}\frac{e^2}{R_s^3}\left\{\sum_{i=1}^{3}x_{i0}x_{is}-3\sum_{i=1}^{3}\sum_{i'=1}^{3}x_{i0}x_{i's}\cos\alpha_{is}\cos\alpha_{i's}\right\}+$$
$$+\sum_{s\neq s'}\sum V(s,s'), \qquad (1)$$

სადაც x_{i0} და x_{is} კოორდინატებია, საწყის მომენტში, შესაბამისად აგზნებულ (0-ოვან) და აუგზნებელ (s) ატომთა ელექტრონების, R_s s-ურ ატომის ელექტრონის რადიუს ვექტორია სათავის მიმართ, α_{1s}, α_{2s}, α_{3s} კი $\vec{R}_s$-რადიუს ვექტორის მიერ X_1, X_2, X_3 ღერძებთან შექმნილი კუთხეებია.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ გამოსხივებით გამოწვეულ მილევას, მაშინ ამოსახსნელ განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$\left\{H_0+\sum_{s=1}^{q}H_s+V-ih\frac{\partial}{\partial t}\right\}U=0, \qquad (2)^*$$

რომლის ამოხსნაც შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ:

$$U(0,s;t)=\sum_{w',\mu'=-j'}^{+j'}\sum_{\mu,w=-1/2}^{+1/2}\left\{A_{w'w}U_{m1j'w'}(0)\prod_{s=1}^{q}U_{no^1/_2w}(s)+\right.$$
$$\left.+\sum_{k=1}^{q}B^{\mu\mu'}_{(k)}U_{m1j'\mu'}(0)\prod U_{no^1/_2\mu}(s)\right\} \qquad (3)$$

აქედან $A_{w'w}$ და $B^{\mu\mu'}$ კოეფიციენტებისათვის მივიღებთ შემდეგ განტოლებებს:

$$\dot{A}_{w'w}=\frac{1}{ih}\sum_{k=1}^{q}\sum_{\mu=-1/2}^{1/2}\sum_{\mu'=-j'}^{j'}V\begin{matrix}m1j'w';\ n_k\,o_k\,1/2\,w_k\\ no^1/_2\mu;\ m_k\,l_k\,j'_k\,\mu'_k\end{matrix}B^{\mu\mu'}_{(k)}$$

$$\dot{B}^{\mu\mu'}_{(k)}=\frac{1}{ih}\sum_{w'=-j'}^{j'}\sum_{w=-1/2}^{1/2}\left\{V\begin{matrix}no^1/_2\mu;\ m_k\ l_k\ j'_k\ \mu'_k\\ m1\,j'w',\ n_k\ o_k\ 1/2\,w_k\end{matrix}A_{w'w}+\right.$$
$$\left.+\sum_{k'}V\begin{matrix}n_k\ o_k\ 1/2k\ \mu_k;\ m_{k'}\,l_{k'}\,j_{k'}\,\mu_{k'}\\ m_k\ l_k\ j'_k\ w'_k;\ n_{k'}\,o_{k'}\,1/2k'\,w_k\end{matrix}B(k')\right\}. \qquad (4)$$

---

* აქ და შემდეგ h-ით აღნიშნულია პლანკის მუდმივი გაყოფილი 2π-ზე.

აქ მატრიცული ელემენტი

$$V\begin{matrix} no\ {}^1/_2\,\mu;\ m_k\ l_k\ j_k'\ \mu'_k \\ mlj'w';\ n_k\ o_k\ {}^1/_2\,w_k \end{matrix} = V\left(\begin{matrix}\mu\mu'_k;\ w'w_k\end{matrix}\right) \qquad (5)$$

განსაზღვრავს აგზნების ენერგიის გადასვლის პროცესს, და

$$V\begin{matrix} n_k\ o_k\ {}^1/_{2k}\ \mu_k;\ m_k'\ l_k'\ j'_k\ \mu'_k \\ m_k\ l_k\ j'_k\ w'_k;\ n_k\ o_k\ {}^1/_{2k} w_k \end{matrix} = V\ (\mu_k\ w'_k;\ \mu_k\ w_k\ )$$

კი — ამ ენერგიის შემდეგ გადანაწილებას დასაწყისში აუგზნებელ ატომთა შორის, რომელიც შეიძლება უგულებელვყოთ ნულოვან ატომიდან დანარჩენებში აგზნების ენერგიის სრული გადასვლის შეფასებისას და მაშინ მივიღებთ (4) განტოლებებიდან:

$$\dot{A}_{w'w} = \frac{1}{ih} \sum_{k=1}^{q} \sum_{\mu=-1/2}^{1/2} \sum_{\mu'=-j'}^{j} V\begin{matrix} m\,1\,j'w';\ n_k\ 0_k\ {}^1/_{2k}\ w_k \\ n\,0\,{}^1/_2\,\mu;\ m_k\ 1_k\ j_k\ w'_k \end{matrix} B^{\mu\mu'}_{(k)},$$

$$\dot{B}^{\mu\mu'}_{(k)} = \frac{1}{ih} \sum_{w'=-j'}^{j'} \sum_{w=-1/2}^{1/2} V\ (\mu,\ \mu'_k\ ;\ w'w_k\ )\ A_{w'w} \qquad (6)$$

ვთქვათ t=0 მომენტში აგზნებული ატომი იმყოფება $Um1j'p'$ (0) მდგომარეობაში, დანარჩენები კი $Uno^1/_2p$ (k) მდგომარეობაში, ე. ი. ამ მომენტისათვის სისტემის მდგომარეობა ხასიათდება ფუნქციით

$$Um1j'p'(0)\ Uno^1/_2p(1)\ Uno^1/_2p(2)\ldots Uno^1/_2p(q),$$

რაც იმას ნიშნავს, რომ t=0 მომენტისათვის

$$A^{p'p}_{w'w} = \delta_{w'p'}\,\delta_{wp} \text{ და } B^{\mu\mu'}_{(k)} = 0 \qquad (7)$$

$$(\mu' = -j', \ldots +j';\ \mu = -{}^1/_2,\ {}^1/_2 \text{ და } k = 1, 2, \ldots q)$$

ამიტომ აღნიშნულ მომენტისათვის (6)-დან გვექნება:

$$\dot{A} = \frac{1}{ih} \sum_k \sum_\mu \sum_{\mu'} V\begin{matrix} m1j'p';\ n_k\ 0_k\ {}^1/_{2k}\ p_k \\ n0{}^1/_2\,\mu;\ m_k\ 1_k\ j'_k\ \mu'_k \end{matrix} B^{\mu\mu'}_{(k)},$$

$$\dot{B}^{\mu\mu'}_{(k)} = \frac{1}{ih} V\begin{matrix} n\,0\,{}^1/_2\,\mu;\ m_\kappa\ 1_\kappa\ j_\kappa\ \mu'_\kappa \\ m\,1\,j'\,p';\ n_\kappa\ 0_\kappa\ {}^1/_{2\kappa}\ p_\kappa \end{matrix} A \qquad (8)$$

აქაც როგორც ზევით, როცა $w \neq p$ და $w \neq p'$, უგულებელვყოთ

$$V\begin{matrix} n\,0\,{}^1/_2\,\mu;\ m_\kappa\ 1_\kappa\ j_\kappa\ \mu'_\kappa \\ m\,1\,j'\,w';\ n_\kappa\ 0_\kappa\ {}^1/_{2\kappa}\ w_\kappa \end{matrix}$$

მატრიცულ ელემენტებს.

ჩვენი დაშვებით, ურთიერთქმედების ენერგია არ არის დროისაგან დამოკიდებული, ამიტომ (8)-ში თუ გავადიფერენციალებთ პირველ განტოლებას დროით და მასში შევიტანთ $\dot{B}^{\mu\mu'}_{(k)}$ მნიშვნელობას (8)-ს მეორე განტოლებიდან მაშინ მივიღებთ:

$$\ddot{A} + \alpha^2 A = 0. \tag{9}$$

აქ α^2-ით აღნიშნული გვაქვს:

$$\alpha^2 = \frac{1}{h^2} \sum_{k} \sum_{\mu} \sum_{\mu'} \left| V(p'p_k;\ \mu\mu'_k) \right|^2 \tag{10}$$

ასეთი იქნებოდა α^2 მნიშვნელობა ერთი მოცემულ გამოსავალი მდგომარეობისათვის, მაგრამ გამოსავალი მდგომარეობა, როგორც ცნობილია, გადაგვარებულია, ამიტომ ისე როგორც მცირე სიმკვრივიან გაზების შემთხვევაში უნდა მოვახდინოთ გასაშუალოება ყველა შესაძლო გამოსავალი მდგომარეობის მიხედვით [3], რაც მოგვცემს:

$$\overline{\alpha^2} = \frac{1}{(2j'+1)\ (2j+1)} \sum_{p'=-j'}^{+j'} \sum_{p=-j}^{+j} \alpha^2 (p'p) =$$

$$= \frac{1}{(2j'+1)\ (2j+1)} \sum_{p'=-3/2}^{3/2} \sum_{p_k=-1/2}^{1/2} \sum_{k=1}^{q} \sum_{\mu'=-1/2}^{+1/2} \sum_{\mu'_k=-3/2}^{+3/2} \left| V(p',\ p_k\ ;\ \mu,\ \mu'_k) \right|^2, \tag{11}$$

სადაც

$$V(p'\,p_k;\ \mu\mu'_k) = V \begin{matrix} m^1_2 j'p';\ n_k O_k {}^1/_2 p_k \\ n O^1/_2 \mu;\ m_k 1_k j'_k \mu'_k \end{matrix} \tag{12}$$

ამ მნიშვნელობით ჩვენ ვისარგებლებთ აგზნებული მდგომარეობის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შესაფასებლად.

თუ შემოვიღებთ აღნიშვნას:

$$\beta^2 = \frac{R^6_k}{(2j'+1)\ (2j+1)} \sum_{p'=-3/2}^{3/2} \sum_{p=-1/2}^{1/2} \sum_{\mu'=-3/2}^{3/2} \sum_{\mu=-1/2}^{1/2} |V(p'p_k\,;\,\mu\mu'_k)|^2 \tag{13}$$

მაშინ (11) შეიძლება გადავწეროთ შემდეგი სახით:

$$\overline{\alpha^2} = \sum_{k=1}^{q} \frac{\beta^2}{R_k{}^6}, \tag{11¹}$$

ზემოაღნიშნული გასაშუალოების შემდეგ (9)-ში α^2 უნდა შევცვალოთ $\overline{\alpha^2}$ მაშინ გვექნება:

$$\ddot{A} + \overline{\alpha^2} A = 0. \qquad (9^1)$$

რომლის ამოხსნაც, რომელიც საწყის პირობებს დააკმაყოფილებს იქნება:

$$A = \cos \sqrt{\overline{\alpha^2}}\, t. \qquad (14)$$

ცხადია, როცა $A \to 0$, მაშინ აგზნების მთელი ენერგია გადადის ნულოვან (ე. ი. აგზნებულ) ატომიდან დანარჩენებში, ამიტომ $A=0$ პირობიდან ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ აგზნების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა τ, სახელდობრ:

$$\tau = \frac{\pi}{2\sqrt{\overline{\alpha^2}}} \quad \text{ანუ} \quad \frac{1}{\tau} = \frac{2\sqrt{\overline{\alpha^2}}}{\pi}. \qquad (15)$$

ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ: $A=0$, როცა $t \geqslant \tau$ და $t<0$ და $A=1$, როცა $0 \leqslant t < \tau$. (16)

ამიტომ თუ A-ს წარმოვიდგენთ ფურიეს ინტეგრალით,

$$A = \int_{-\infty}^{\infty} g(\omega) e^{i\omega t} d\omega,$$

მაშინ ჩვენი მიახლოებით ფურიეს კოეფიციენტისათვის გვექნება:

$$g(\omega) = \frac{1}{2\pi} \int_0^{\infty} A e^{-i\omega t} dt = \frac{1}{2\pi} \int_0^{\tau} e^{-i\omega t} dt = \frac{1}{2\pi} \frac{1 - e^{-i\omega t}}{i\omega} \qquad (17)$$

აქედან ენერგიის განაწილება, რომელიც ერთ რომელიმე τ შეესაბამება იქნება

$$J_\tau(\omega) = c \left| g(\omega) \right|^2 = \frac{c}{2\pi^2} \frac{(1 - \cos\omega t)}{\omega^2} \qquad (18)$$

იმისათვის, რომ მივიღოთ $J(\omega)$—ინტენსივობის მნიშვნელობა, რომელიც ცდით დაიკვირვება, საჭიროა (18) გავასაშუალოთ τ ყველა შესაძლო მნიშვნელობათა მიხედვით (0-დან ∞-მდე) და მივიღებთ:

$$J(\omega)=\overline{J_\tau(\omega)}=c\overline{\left|g(\omega)\right|^2}=c\int_0^\tau |g(\omega)|^2 w(\tau)\,d\tau \tag{19}$$

სადაც $w(\tau)\,d\tau$ არის ალბათობა იმისა, რომ τ აქვს მნიშვნელობა τ და $\tau+d\tau$ შორის, თუ შემოვიღებთ ახალ ცვლადს

$$\nu=\frac{\pi^2}{4\tau^2}=\overline{\alpha^2}, \tag{20}$$

მაშინ გვექნება:

$$W(\tau)\,d\tau=-\frac{\pi w\left(\frac{\pi}{2\sqrt{\nu}}\right)}{4\nu^{3/2}}\,d\nu=-J'(\nu)\,d\nu. \tag{21}$$

აქ $J'(\nu)$ ვლასოვის—ფურსოვისა [1] და მარგენაუს [4] მიხედვით წარმოადგენს პირსონის განაწილების ფუნქციას და ჩვენ შემთხვევაში ექნება შემდეგი სახე:

$$J'(\nu)=\frac{\pi^{1/2}}{2}\varkappa\nu^{-3/2}e^{-\frac{\pi^2\varkappa^2}{4\nu}}, \tag{22}$$

სადაც N ატომთა რიცხვია 1 სმ^3 და $\varkappa$-ით აღნიშნულია

$$\varkappa=\frac{4}{3}N\sqrt{\pi}\beta \tag{23}$$

β—კი მოცემულია (13) ფორმულით

(21) და (22) ფორმულებიდან $w(\tau)$ ალბათობისათვის გვექნება:

$$W(\tau)=\frac{2\varkappa}{\pi^{1/2}}e^{-\varkappa^2\tau^2}, \tag{24}$$

ე. ი. აგზნებული მდგომარეობის τ-თი განაწილება იძლევა გაუსის ცდომილებათა მრუდს. (17), (19) და (24) ფორმულებიდან ინტესივობის განაწილებისათვის მივიღებთ:


$$J(\omega) = J(z) = \frac{1-e^{-z^2}}{z^2} \cdot \frac{1}{D}, \qquad (25)$$

სადაც აღნიშნულია:

$$z = \frac{\omega}{2\varkappa} \qquad \frac{1}{D} = \frac{c}{8\pi^{\frac{3}{2}}\varkappa^2}. \qquad (26)$$

(25) ფუნქცია $(-\infty, +\infty)$ შუალედში განუწყვეტელია, ორდინატთა ღერძის მიმართ სიმეტრულია და $z=0$ წერტილში აქვს მაქსიმუმი, სახელდობრ:

$$J_{max} = J(z=0) = \frac{1}{D}. \qquad (27)$$



თუ ავაგებთ (25)-ის გრაფიკს ადვილად გამოვარკვევთ, რომ

$$z_0 = 1{,}265 \qquad (28)$$

წერტილზე $J(z)$ ფუნქციის მნიშვნელობა J_{max}-დან ეცემა $^1/_2 J_{max}$-მდე.

ეხლა თუ ვისარგებლებთ სპექტრულ ხაზების სიგანეთა გამოსათვლელად, ფორმულით [3]

$$J(\omega_0 + \delta) = \frac{1}{2} J(\omega_0), \qquad (29)$$

აქ ω_0—წერტილია, სადაც ინტენსივობას აქვს მაქსიმუმი და δ კი სპექტრულ ხაზთა სიგანე, მაშინ (25), (26), (27), (28) და (29) ფორმულებიდან ადვილად მივიღებთ:

$$\delta = 2z_0\varkappa = 2{,}530 z_0. \qquad (30)$$

(30)-ში თუ შევიტანთ $\overline{\varkappa}$ მნიშვნელობას (23)-დან, საბოლოოდ მი-

ვიღებთ დიდსიმკვრივიან გაზებში რეზონანსური სპექტრული ხაზების სიგანისათვის

$$\delta = \frac{10,12}{3}\,\pi^{1/2}\,\beta N, \tag{30^1}$$

სადაც β გამოითვლება (13) ფორმულით.
გამოთვლა მოგვცემს:

1) თუ განვიხილავთ $P_{1/2} \to S_{1/2}$ გადასვლას—

$$\left|\beta\left(P_{1/2}\right)\right|^2 = \frac{2e^4}{m^2\omega^2_{nm}}\, f_1^2, \tag{31}$$

სადაც ω_{nm} ციკლიური სიხშირეა და $f_1 = f_n{}^1/_2$; $_m{}^1/_2$ ოსცილიატორის ძალა აღნიშნული გადასვლისათვის.

(30^1) და (31) ფორმულებიდან განხილული გადასვლისათვის გვექნება:

$$\delta\left(P_{1/2}\right) = \frac{10,12}{3}\sqrt{2\pi}\,\frac{e^2 f_1}{m\omega_{nm}}\,N = 8,47\,\frac{e^2}{m\omega_{nm}}\,Nf_1 \tag{32}$$

2) თუ განვიხილავთ $^2P_{3/2} \to {}^2S_{1/2}$ გადასვლას, მაშინ

$$\left|\beta\left(P_{3/2}\right)\right|^2 = \frac{e^4}{m^2\omega^2_{nm}}\, f_2^2, \tag{31^1}$$

სადაც $f_2 = f_n{}^1/_2$; $_m{}^3/_2$ ოსციალატორის ძალა $^2P_{3/2} \to {}^2S_{1/2}$ გადასვლისათვის: ამგვარად (30^1) და (31^1) ფორმულიდან $^2P_{3/2} \to {}^2S_{1/2}$ გადასვლისათვის გვექნება:

$$\delta\left(P_{3/2}\right) = \frac{10,12}{3}\,\pi^{1/2}\,\frac{e^2}{m\omega_{nm}}\,Nf_2 = 6,63\,\frac{e^2}{m\omega_{nm}}\,Nf_2. \tag{33}$$

(32) და (33^1) ფორმულებიდან ცხადია, რომ დიდსიმკვრივიან გაზებში მულტიპლეტის სხვადასხვა წევრთა გაგანიერება სხვადასხვა არის და მათი შეფარდება, ისე როგორც მცირე სიმკვრივიან გაზების შემთხვევაში [3], გვაძლევს:

$$\delta\left(P_{3/2}\right) : \delta\left(P_{1/2}\right) = \sqrt{2} : 1 = 1,4 \tag{34}$$

(შემოვიდა რედაქციაში 4. IX. 1954 წ.)

В. А. СУЛАВА

РЕЗОНАНСНОЕ УШИРЕНИЕ СПЕКТРАЛЬНЫХ ЛИНИЙ ПРИ БОЛЬШИХ ПЛОТНОСТЯХ ГАЗА

Резюме

В работе проведено вычисление уширения резонансных спектральных линий при больших плотностях, когда уже нельзя пользоватся обычными газо-кинетическими представлениями. Это вычисление проведено на основе обобщения метода А. А. Власова и В, С. Фурсова [1] для случая мультиплетных спектральных линий. При расчете аналогичного случая малых плотностей [3], вероятность переходов усредняется лишь по начальным состояниям, а по всему конечным состояниям суммируется и при этом учитывается спин электрона. В результате расчета при больших плотностях для ширины мультиплетных спектральных линий получаются формулы: (30¹), (32), (33) и (34), где δ ($P^1/_2$), $f_1=fn^1/_2$; $m^1/_2$ и δ ($P^3/_2$), $f_2=fn^1/_2$ $m^3/_2$ есть ширина и сила осциллятора линий соответственно для $^2P^1/_2 \rightarrow {}^2S^1/_2$ и $^2P^3/_2 \rightarrow {}^2S^1/_2$ переходов, ω_{nn} — циклическая частота осциллятора, e и m заряд и масса электрона, N — плотность газа.

ლიტერატურა

1. А. А. Власов и В. С. Фурсов — Ширина спектральных линий при больших плотностях однородного газа, Ж. Э. Т. Ф. 9, 783 [1939].

2. ვ. ა. სულავა, სპექტრული ხაზების სიგანეთა შესახებ დიდსიმკვრივიან ერთგვაროვან გაზებში, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედინსტიტუტის შრომები, ტ. XII, გვ. 247, 1954.

3. В. А. Сулава, Ширина мультиплетных спектральных линий в однородном газе при малых плотностях, Труды Кутаисского Госпединститута, т. XII, 237 (1954).

4. H. Margenau — Phys. Rev. 48, 755, 1935.

ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

მ. გოგეჭიშვილი

მექანიკის ზოგიერთი ცნებისა და კანონის მატერიალისტური გაგებისათვის

ბურჟუაზიული რეაქციონერი ფიზიკოსები თანამედროვე ფიზიკის პრინციპულ საკითხებს ამახინჯებენ იდეალისტური ფილოსოფიით. ამით ისინი, საერთოდ, ბრძოლას უცხადებენ მატერიალიზმს, კერძოდ, ბუნების მოვლენების მატერიალისტურ გაგებას. ბურჟუაზიული მეცნიერებანი დღითიდღე უფრო რეაქციონური ხდებიან და სუბიექტური იდეალიზმის მსოფლმხედველობის საფუძველზე უარყოფენ ბუნების მოვლენებისა და მათში არსებულ კანონზომიერებათა ამსახველი მეცნიერული კანონების ობიექტურ ხასიათს. ისინი ყველაფერს მიაწერენ პიროვნებასა და მის შეგრძნებებს, ყველაფერი დაჰყავთ შეგრძნებათა კომპლექსამდე.

ფიზიკაში რეაქციონური მიდრეკილებები არ შემოიფარგლება ფიზიკის რომელიმე ერთი დარგით. შეიძლება ითქვას, რომ ბურჟუაზიული მეცნიერები ცდილობენ იდეალიზმით დაანაგვიანონ ყველა მეცნიერება, ფიზიკის ყველა დარგი. ფიზიკის ისეთ საკითხებშიც, როგორიც არის კლასიკური ფიზიკის კანონები და ცნებები, ბურჟუაზიულ მეცნიერებს შეაქვთ მთელი რიგი იდეოლოგიური დამახინჯებანი. ამიტომ საბჭოთა ფიზიკოსების მოვალეობაა ბრძოლა გამოუცხადონ მავნე, მახისტურ შეხედულებათა დანერგვას კლასიკური ფიზიკის პრინციპულ საკითხებში.

ცნობილია, რომ ფიზიკის დარგებიდან ყველაზე ადრე განვითარდა მექანიკა. მექანიკის პრინციპები მოცემული იყო ნიუტონის მიერ. მათ შემდგომი განვითარება განიცადეს ლაგრანჟის, ჰამილტონის, ოსტროგრადსკისა და იაკობის მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებსა და განტოლებებში. ფიზიკის ამ ნაწილმა ამის შემდეგაც განიცადა ცვლილებანი, მაგრამ მექანიკის სახელმძღვანელოებსა და წიგნებში მთელი რიგი ცნებებისა და კანონების ისეთივე ინტერპრეტაცია გვხვდება, როგორც ეს ნიუტონისა და სხვების მიერ იყო მოცე-

მული. მაშინ, როდესაც ფიზიკის სხვა დარგები არ იყო განვითარებული, უცნობი და შეუსწავლელი იყო მატერიის მოძრაობის უფრო რთული ფორმები, არ იყო ცნობილი ენერგიის მარადისობისა და გარდაქმნის კანონის ის შინაარსი, რომელიც შემდეგში ენგელსმა მოგვცა და რომელიც მას დღეს აქვს. ამიტომ მექანიკური მოვლენები განიხილებოდა სხვა მოვლენებისაგან მოწყვეტით, რის გამო მექანიკის ზოგიერთი ძირითადი ცნებისა და კანონის გაგებაში შეიჭრა მექანიციზმი.

მექანიკა ფიზიკის ის ნაწილია, რომლითაც იწყება ფიზიკის კურსის შესწავლა, ამიტომ განსაკუთრებით უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება მექანიკის ცნებებისა და კანონების სწორი ინტერპრეტაციისადმი.

პირველი ძირითადი ცნებები, რომლებიც გვხვდება მექანიკის კურსის შესწავლის დროს, ესენია: მატერია, მოძრაობა, დრო და სივრცე.

მატერია, როგორც გვასწავლის ვ. ი. ლენინი, არის ობიექტური რეალობა, რომელიც არსებობს ჩვენი შემეცნებისაგან დამოუკიდებლად და უნარი აქვს ჩვენს გრძნობის ორგანოებზე ზემოქმედებისა, ე. ი. ის შემეცნებადია.

მატერია არსებობდა და იარსებებს მუდამ. ის არც გაჩენილა და არც შეიძლება მოისპოს, იგი ერთი სახიდან გადადის მეორე სახეში, განიცდის განუწყვეტელ ცვლილებას, გარდაქმნასა და განვითარებას. მატერიის გარდაქმნა, მასში მიმდინარე ცვლილებები ხდება მის შინაგან ბუნებრივ კანონზომიერებათა გზით. მატერიის გარდაქმნა, განვითარება, განუწყვეტელი მოძრაობის მდგომარეობაში ყოფნა მისი განუყრელი თვისებებია. შეუძლებელია მატერიის წარმოდგენა მოძრაობის, განვითარების, გარდაქმნის გარეშე.

ფიზიკა შეისწავლის მატერიის მოძრაობისა და გარდაქმნის ზოგად კანონებს. მატერიის მოძრაობის სხვადასხვა ფორმებიდან ფიზიკაში პირველად განიხილება მოძრაობის მარტივი სახე, ე. წ. მექანიკური მოძრაობა.

დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით, მოძრაობა არ არის უბრალოდ გადატანა, ადგილის ცვლა სივრცეში, არამედ იგი ცვლილებაა საზოგადოდ. აი რას ამბობს ენგელსი მოძრაობის შესახებ: „მოძრაობა მარტო ადგილის გადანაცვლება როდია, ზემექანიკურ სფეროებში იგი თვისებრიობის ცვლილებაცაა... ყოველი მოძრაობა შეიცავს მექანიკურ მოძრაობას, მატერიის დიდი ან

წვრილი ნაწილების ადგილგადანაცვლებას... მაგრამ ეს მექანიკური მოძრაობა ვერ ამოსწურავს მოძრაობას საზოგადოდ“ [1].

ენგელსი მექანიკურ მოძრაობას განიხილავს მოძრაობის სხვა, უფრო რთულ, ფორმებთან კავშირში და არა მათგან მოწყვეტით. მექანიკური მოძრაობა განიხილება, როგორც მოძრაობის ერთი ფორმა, მარტივი ფორმა, რადგან ყველა უფრო რთული მოძრაობა შეიცავს მოძრაობის ამ ფორმას. მექანიკურ მოძრაობაში იგულისხმება მოძრაობა, რომლის დროს გარდაქმნა განისაზღვრება პროცესებით, რომლებშიც კინეტიკური ენერგია გადადის პოტენციალურში და, პირიქით, ისე, რომ ენერგიის სხვა ფორმა ამ გარდაქმნაში არ მონაწილეობს. მექანიკის კურსის სწავლების დროს, რა თქმა უნდა, შეუძლებელია მოძრაობის იმ რთული ფორმების შინაარსის გადაცემა და მათთან მექანიკური მოძრაობის დაკავშირება სრული სახით, მაგრამ მექანიკური მოძრაობის ერთი ფორმისა და მისი სხვა ფორმებთან კავშირის ჩვენება, თუნდაც მარტივ მოვლენებზე, მეტად სასარგებლოა და საჭიროა ამ საკითხის შინაარსის გასარკვევად.

მატერიის მოძრაობა და მოძრაობის კანონების შესწავლა შეუძლებელია მოძრავი მატერიის სივრცისა და დროისაგან მოწყვეტით. მატერიის მოძრაობის ობიექტურობის აღიარება, მოძრაობის კანონების ობიექტური ხასიათი მოითხოვს ობიექტურად არსებულ სივრცესა და დროს. აი რას ამბობს ვ. ი. ლენინი სივრცისა და დროის ობიექტური ხასიათის შესახებ: „სამყაროში არაფერია გარდა მოძრავი მატერიისა, მოძრავ მატერიას კი მხოლოდ სივრცესა და დროში შეუძლია იმოძრაოს. ადამიანის წარმოდგენა სივრცესა და დროზე შეფარდებითია. ეს შეფარდებითი წარმოდგენები ვითარდებიან აბსოლუტური ჭეშმარიტების ხაზით, მიდიან, უახლოვდებიან ამ უკანასკნელს. ცვალებადობა ადამიანის წარმოდგენებში სივრცესა და დროზე ისევე ნაკლებ აბათილებს მათ ობიექტურ რეალობას, როგორც ცვალებადობა მეცნიერული ცოდნისა მატერიის აღნაგობის და მოძრაობის ფორმებზე არ აბათილებს გარეგანი ქვეყნიერების ობიექტურ რეალობას“ [2].

ენგელსი აკრიტიკებს რა დიურინგს, აღნიშნავს: „ყოველი არსის ძირითადი ფორმა დრო და სივრცეა და არსი დროის გარეშე ისეთივე დიდი უაზრობაა, როგორც არსი სივრცის გარეშე“ [3].

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1950, გვ. 260.
[2] ვ. ი. ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, 1934 წ., გვ. 169.
[3] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 63.

მატერიალისტური ფილოსოფიის თვალსაზრისით, დრო და სივრცე მატერიის არსებობის ფორმებია და არა ჩვენი გონების ნაყოფი, ადამიანის მიერ გამოგონებული ცნებანი, რომლებიც მხოლოდ გვეხმარებიან მოვლენების შესწავლის საქმეში. დროს და სივრცეს აქვთ ისეთივე რეალური ობიექტური არსებობის აღიარება, როგორიც მატერიას და მოძრაობას. შეუძლებელია მატერიის არსებობისა და მისი მოძრაობის წარმოდგენა რეალური სივრცისა და დროის გარეშე.

ფიზიკაში სივრცე და დრო შეიძლება განვმარტოთ შემდეგნაირად: სივრცე შეიძლება განისაზღვროს ერთდროულად მომხდარ მოვლენათა ერთობლიობით. ასეთი განმარტება სრულიად ბუნებრივი იქნება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მოძრავი სხეულის ფორმა განისაზღვრება მდებარეობათა ერთობლიობით, რომელშიც ერთდროულად იმყოფება ყველა მისი შემადგენელი ნაწილაკი, ე. ი. მოვლენათა ერთობლიობა იქნება ამ მატერიალურ წერტილთა ერთდროული არსებობა.

დრო განისაზღვრება სივრცის ერთსა და იმავე ადგილას თანმიმდევრობით მომხდარ მოვლენათა ერთობლიობით, მაგალითად, მატერიის ერთსა და იმავე ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია ათვლის მოცემულ სისტემასთან.

დროისა და სივრცის ასეთი განმარტებანი მტკიცედ აკავშირებენ მათ მატერიასთან და მის მოძრაობასთან. ყოველი მოვლენა ბუნებაში დაკავშირებულია მატერიასთან და მის ცვლილებასთან, ამიტომ დრო და სივრცეც სწორედ ორგანულად არიან დაკავშირებული მოძრავ მატერიასთან.

დროისა და სივრცის შესახებ ჩვენი წარმოდგენების განვითარებამ დაგვანახვა, რომ სივრცისა და დროის მატერიისაგან და მოძრაობისაგან მოწყვეტა შეუძლებელია. ფარდობითობის თეორია იძლევა სივრცისა და დროის ცნებათა შესახებ ჩვენი წარმოდგენების განვითარებას. ფართობითობის თეორიამ კონკრეტულად გვიჩვენა, რომ დრო და სივრცე მჭიდროდ არიან დაკავშირებული მატერიის არსებობისა და მოძრაობის მდგომარეობასთან.

ჩვენ სპეციალურად არ განვიხილავთ დროისა და სივრცის საკითხს კლასიკური ფიზიკისა და ფართობითობის თეორიის საფუძველზე, რადგან ეს კვლევის ცალკე საკითხს წარმოადგენს. ჩვენ დავკმაყოფილდებით იმ ცნობებით, რომლებიც ზევითაა მოყვანილი და მივუთითებთ, რომ მექანიკის კურსის შესწავლის დროს ხაზი

უნდა გაესვას დროისა და სივრცის მოძრავ მატერიასთან არსებულ ორგანულ კავშირსა და მათს ობიექტურ ხასიათს.

ზემოთ განხილული ცნებები ძირითადი ცნებებია არა მარტო ფიზიკისათვის, არამედ მეცნიერების ყველა დარგისათვის და მათი ზოგადი განსაზღვრა, ნამდვილი შინაარსი და ობიექტური ხასიათი მოცემულია მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის კლასიკურ ნაშრომებში. ამ ცნებათა გამოყენება და მათი შინაარსის განმარტება კერძო მეცნიერებაში უნდა ხდებოდეს დიალექტიკური მატერიალიზმიდან გამომდინარე ზოგად განმარტებათა საფუძველზე.

ახლა გადავიდეთ ისეთ ცნებათა განხილვაზე, რომლებიც ცოტად თუ ბევრად ატარებენ კერძო მეცნიერულ ხასიათს, ე. ი. ცნებებისა, რომლებიც შემოდიან ფიზიკაში, როგორც ძირითადი ცნებები და რომელთა შინაარსის განსაზღვრა ამ მეცნიერებას ეკუთვნის.

პირველ ასეთ ცნებას წარმოადგენს მასის ცნება. ფიზიკის კანონების შესწავლა მასის ცნების გარეშე ისევე შეუძლებელია, როგორც მატერიის ცნების გარეშე. მასის ცნებამ გარკვეული განვითარება განიცადა და მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზედაც კი ამ საკითხს სადავოდ ხდიან რეაქციული მეცნიერების წარმომადგენლები. მასის ცნების მთელი შინაარსის გადაცემა პირველ ეტაპზე, ე. ი. კლასიკური მექანიკის ფარგლებში, შეუძლებელია. მასის ცნებაში ნიუტონი გულისხმობდა მატერიას, სხეულში ნივთიერების რაოდენობას. აი რას ამბობს ნიუტონი თავის „საწყისებში“: „მატერიის რაოდენობა არის ის ზომა, რომელიც მისი მოცულობისა და სიმკვრივის პროპორცია ულია“. შემდეგ ნიუტონი განმარტავს: „მატერიის ეს რაოდენობა არის ის, რასაც მე ვგულისხმობ სახელწოდებაში „სხეული“ ან „მასა“ [1].

ცნობილია, რომ ნიუტონი იყო ატომისტი და სიმკვრივეში გულისხმობდა არა ერთეულოვან მოცულობის მასას, არამედ ნაწილაკთა რიცხვს ერთეულოვან მოცულობაში. ნიუტონისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ გაზის მოცულობის შეკუმშვით შემცირება არ იწვევდა მისი მასის ცვლილებას, ე. ი. სხეულის მასას განსაზღვრავს მასში შემავალ ნაწილაკთა რიცხვი, რომელთა მასები პროპორციულია მათი მოცულობისა.

მასის ცნების ნიუტონისეული განსაზღვრა არ ამოიწურება მარტო მისი რაოდენობრივი მხარის განსაზღვრით. მატერიას (ნივ-

[1] А. Н. Крылов, Собранне трудов, 1936, т. VII, გვ. 23.

თიერებას) აქვს სხვადასხვა თვისებები. ნიუტონმა იცოდა, რომ სხეულის წონა უშუალოდ არის დაკავშირებული სხეულში არსებულ მატერიის რაოდენობასთან, მაგრამ მატერიის თვისებები არც ამით შემოიფარგლება. ნიუტონმა დაადგინა მატერიის ინერციულობის თვისება, რომელსაც ის სიმძიმის ცნებაზე წინ აყენებს და განიხილავს, როგორც უფრო ზოგად თვისებას. იმავე „საწყისებში" ვკითხულობთ: „მატერიის თანშობილ განუყრელ ძალას წარმოადგენს თვისება წინააღმდეგობისა, რომლითაც ყოველი ცალკე აღებული სხეული, რამდენადაც ის თავისთავად დამოკიდებულია, ინარჩუნებს უძრაობის ან თანაბარი სწორხაზოვანი მოძრაობის მდგომარეობას. ეს ძალა, — ამბობს ნიუტონი, — ყოველთვის პროპორციულია მასისა".

ნიუტონის მიერ შემოტანილ ინერციის ცნებაში თავს იჩენს მეტაფიზიკური მსოფლმხედველობა. საქმე ის არის, რომ ნიუტონისათვის მასა არის მატერიის რაოდენობა, რომელიც პროპორციულია მოცულობისა და სიმკვრივის ნამრავლისა. მატერიის ეს რაოდენობა დამოუკიდებელია სხეულის მოძრაობის მდგომარეობისაგან. ის ერთსა და იმავე სხეულში უცვლელი რაოდენობითაა, მიუხედავად იმისა, სხეული მოძრაობს თუ არა, იცვლება მისი მოძრაობის სიჩქარე თუ არა. მაშასადამე, თუ ნიუტონისათვის მასა არის ინერციის ზომა, მაშინ სხეულის ინერცია დამოუკიდებელია მისი მოძრაობის მდგომარეობისაგან, ის ერთნაირია ყველა პირობებში, ყველა მდგომარეობაში, ეს არის მატერიალურ სხეულთა თანშობილი, განუყრელი და უცვლელი თვისება. მასის ნიუტონისებურმა ცნებამ განიცადა განვითარება ფიზიკის სხვა დარგების განვითარებასთან ერთად, მოძრაობის ახალი ფორმების შესწავლასთან ერთად, მაგრამ უნდა ითქვას, რომ მასის ცნებამ შეინარჩუნა ის დადებითი და რაციონალური არსი, რომელსაც შეიცავს ნიუტონის მიერ შემოტანილი განსაზღვრა.

მასის ცნება მჭიდროდ არის დაკავშირებული მატერიასთან და მის მოძრაობასთან, მოძრავი მატერიის განუყრელ ატრიბუტთან — ინერციულობასთან. ნიუტონის დროს ცნობილი იყო მატერიის ნივთიერი ფორმა და წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ მატერიის მეორე ძირითად ფორმაზე — ველზე. ამიტომ მასის ცნებას უკავშირებდნენ მატერიის (ნივთიერების) რაოდენობას. მაშასადამე, მათი აზრით, მასა დამახასიათებელია მხოლოდ ნივთიერი სხეულისათვის. ფიზიკის განვითარებამ გვიჩვენა, რომ ეს ასე არ არის. ინერციულობა — ინერციის თვისება — მჟღავნდება არა მარტო ნივ-

თიერი სხეულების მექანიკური მოძრაობის შემთხვევაში ან მოძრაობის ერთ რომელიმე ფორმაში, არამედ მოძრაობის ყველა ფორმაში. მასის შინაარსის გარკვევის საქმეში განსაკუთრებული როლი ითამაშა ლებედევის მიერ წარმოებული ცდების საფუძველზე სინათლის წნევის სიდიდის გაზომვამ. ამის შედეგად გამოირკვა, რომ მასა მჭიდრო კავშირში იმყოფება ენერგიასთან, რომ მასა დამახასიათებელია მატერიის ისეთი ფორმისათვის, როგორიც არის ველი. მასა და ენერგია სხვადასხვა ცნებებია და მატერიის სხვადასხვა თვისებებისა და რაოდენობრივი სიდიდის გამოსახატავად არიან შემოღებული.

მასის ცნება მჭიდროდ არის დაკავშირებული მექანიკის ძირითად კანონებთან და ამ კანონების შინაარსთან. მასის ცნება, როგორც ინერციის ზომა, სწორედ ამ კანონების შემოტანის საფუძველზე განვითარდა. მასის ცნება მოცემულია ნიუტონის პირველ და მეორე კანონში. ნიუტონის მეორე კანონის თანახმად, ძალა იზომება მასისა და აჩქარების ნამრავლით. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ფიზიკოსი მასას განსაზღვრავს უბრალოდ, როგორც პროპორციულობის კოეფიციენტს ძალასა და აჩქარებას შორის. მასა, როგორც, მაგალითად, ხაიკინი განსაზღვრავს, არის „ძალის შეფარდება აჩქარებასთან, რომელსაც სხეული ღებულობს ძალის მოქმედებით“ [1].

ასეთი განმარტება სრულიად უკარგავს ნამდვილ შინაარს მასის ცნებას და აგრეთვე თვით ნიუტონის მეორე კანონსაც. მასა, როგორც ერთი ძირითადი ცნება, განიმარტება სხვა ცნებების საშუალებით, რაც მას მთლიანად ართმევს დამოუკიდებელი ცნების ხასიათს. ცნებებს შორის არსებული თვისობრივი ან რაოდენობრივი კავშირი არ ნიშნავს იმას, რომ თვითეულ მათგანს არ ჰქონდეს დამოუკიდებელი არსებობა, როგორც მატერიის მოძრაობის ამა თუ იმ თვისებისა და რაოდენობრივი მხარის გამომხატველი სუბსტანციისა.

მატერიის იმ თვისებას, რომლითაც იგი ინარჩუნებს მოძრაობის არსებულ მდგომარეობას, უწოდებენ ინერციულობას. ეს თვისება არის მოძრავი მატერიის განუყოფელი ატრიბუტი და დამოკიდებულია მოძრაობის მდგომარეობაზე, მოძრაობის სიჩქარეზე. ინერციის კანონით, მოძრავ სხეულზე ძალა არ მოქმედებს, მაგრამ მათი ინერციულობა და, მაშასადამე, მასაც დამოკიდებულია

[1] С. Э. Хайкин, Механика, გვ. 64.

სიჩქარისაგან. ერთმა და იმავე სხეულმა სხვადასხვა ინერცია რომ მიიღოს, მასზე სხვადასხვა ძალით უნდა ვიმოქმედოთ, მაგრამ ეს მხოლოდ კავშირს ამყარებს ამ სიდიდეებს შორის და არ გვაძლევს საშუალებას ინერციულობა განვსაზღვროთ ძალის ცნებით. მასა არის სხეულის ინერციის ზომა, რომელიც განისაზღვრება სხეულის მოძრაობის მდგომარეობით. მასა არ არის სიჩქარისაგან დამოუკიდებელი სიდიდე. მასა იცვლება სიჩქარის ცვლასთან ერთად, ამის საილუსტრაციოდ ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მერკურის პერიჰელიუმის მოძრაობის მაგალითი და მისი ახსნა მასის სიჩქარის მიხედვით ცვალებადობის საფუძველზე. საკითხი მასის ენერგიასთან კავშირისა და სხვადასხვა სახის მასების არსებობის შესახებ კლასიკური მექანიკის კურსის გარეთ არის და ამიტომ ამ საკითხების შინაარსის შემდგომი გაღრმავება უნდა მოხდეს ფიზიკის შემდგომი ნაწილების შესწავლის დროს.

შემდეგი ძირითადი ცნება, რომელიც ხშირად წარმოადგენს მსჯელობის საგანს, არის ძალის ცნება. ძალის ცნებაც ისევე, როგორც მასისა და სხვა ცნებანი, მოცემული იყო ნიუტონის მიერ. ნიუტონს ძალის ცნებაში ესმის სხეულთა ურთიერთქმედების გამომხატველი მოძრაობის გამომწვევი მიზეზი, მატერიის მოძრაობისაგან დამოუკიდებლად არსებული, როგორც განსაკუთრებული საწყისი, რომელიც შეიძლება მიეწეროს სხეულებსა და ნაწილაკებს, მაგრამ რომელსაც ახასიათებს მატერიის თვისებებისაგან დამოუკიდებელი მოქმედება სიცარიელეში (მორსქმედება და სხვა). ძალის ცნების დამახინჯებას ვხედებით არა მარტო ბურჟუაზიულ იდეოლოგიის მქადაგებლებთან, არამედ საბჭოთა ფიზიკოსების მიერ დაწერილ სახელმძღვანელოებშიც.

მოძრავი მატერიის თვისებების შესასწავლად შემოგვაქვს სხვადასხვა ცნებები. ეს ცნებები შემოტანილია მოძრავი მატერიის რეალური თვისებების დასახასიათებლად და ამავე დროს აქვს რაოდენობრივი ხასიათი, რადგან მატერიის მოძრაობა, სხვადასხვა თვისებრიობის გარდა, ხასიათდება რაოდენობრიობითაც. ისეთი ცნებანი, როგორიცაა: მასა, ძალა, მუშაობა, ენერგია და სხვ. ხასიათდებიან ოდენობით და ყველა ისინი მოძრაობის მდგომარეობაზე არიან დამოკიდებულნი. რა თქმა უნდა, ისინი ფიზიკურ რეალობას წარმოადგენენ მხოლოდ იმიტომ, რომ გამოხატავენ მოძრავი მატერიის რეალურ თვისებებს, დამოუკიდებელს ჩვენი შემეცნებისაგან და გაზომვის ოპერაციებისაგან. რადგანაც ისინი რეალური სიდიდეებია, მათ ახასიათებთ გაზომვადობაც, მაგრამ ისინი იმიტომ კი

არ არიან რეალური სიდიდეები, რომ მათი გაზომვა შეიძლება სხვადასხვა ხერხით. კერძოდ, ძალა ახასიათებს სხეულთა ურთიერთქმედებას, რომელიც იზომება მოძრაობის რაოდენობის ცვლილებით დროის ერთეულში. რადგან მატერიალურ სხეულებს აქვთ რეალური არსებობა და მათ შორის ყოველთვის ადგილი აქვს ურთიერთქმედებას, ძალა არის რეალური თვისება მოძრავი სხეულებისა. ძალაც სწორედ ამ რეალური თვისების დასახასიათებლად შემოდის და არა იმისათვის, რომ სხვადასხვა მეთოდით გავზომოთ.

ს. ე. ხაიკინი ძალის, როგორც „ფიზიკური რეალობის" საკითხში დგას ოპერაციონალისტურ პოზიციაზე. ხაიკინი წერს: „ყოველგვარი შეთანასწორება მხოლოდ მაშინ ღებულობს მტკიცების ხასიათს, როცა მასში შემავალი სიდიდეები შეიძლება გაზომილ იქნან ცალ-ცალკე (თითოეული ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად — მ. გ.), თუ ჩვენ არ გაგვაჩნია შეთანასწორებაში შემავალი სიდიდეების გაზომვის მეთოდი, მაშინ ეს შეთანასწორება უკეთეს შემთხვევაში შეიძლება განვიხილოთ, როგორც ამა თუ იმ სიდიდეთა გაზომვის მეთოდის განსაზღვრა და არა როგორც მტკიცება (კანონი — მ. გ.). ნიუტონის მეორე კანონს ჩვენ განვიხილავთ როგორც მტკიცებას, როგორც ფიზიკურ კანონს. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, ჩვენ დავადგინეთ ძალის გაზომვის მეთოდი ნიუტონის მეორე კანონისაგან დამოუკიდებლად" [1].

ხაიკინისათვის ძალის რეალობის კრიტერიუმი იმაში გამოიხატება, რომ მისი გაზომვა შესაძლებელია ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ორი სხვადასხვა ხერხით მაინც. ნიუტონის მეორე კანონი, მისი აზრით, მხოლოდ მაშინ ღებულობს კანონის სახეს, როცა არსებობს ძალის გაზომვის სხვა მეთოდი, გარდა შეთანასწორებისა, სადაც ძალა გამოიხატება მასისა და აჩქარების ნამრავლით. რომ ძალის გაზომვა არ შეიძლებოდეს მისი მოქმედებით გამოწვეული სხეულის დეფორმაციის სიდიდით, მაშინ შეთანასწორება $\vec{F} = \vec{ma}$ იქნებოდა არა მტკიცება — კანონი, არამედ განმარტება ძალისა, როგორც მასის აჩქარებაზე ნამრავლისა. აქ ხაიკინი უახლოვდება მახს, რომელიც თავის „მექანიკაში" წერს: „ის, რასაც ჩვენ მექანიკაში ძალას ვეძახით, არის არა ის, რაც პროცესში გამომჟღავნდება, არამედ ის არის, რისი გაზომვაც შეიძლება, მოძრაობის ფაქტიური პირობა, მასის სიჩქარეზე ნამრავლი" [2].

[1] С. Э. Хайкин, Механика, 1947.

[2] Э. Мах, Механика, 1909.

მაშასადამე, მახისათვის ძალა არ არის ფიზიკური რეალობა. ის უბრალოდ გამოსახვაა მასისა და აჩქარების ნამრავლისა. ამით ის მთლიანად ფიტავს ნიუტონის მეორე კანონს, აცლის მას ნამდვილ შინაარს. უფრო მეტიც, ძალას განიხილავენ არა როგორც მოძრავი მატერიის რეალური თვისების გამომხატველს, არამედ მატერიის გარეთ არსებულს, რომელიც მოძრაობას წარმოშობს არაფრისაგან. იდეალისტების აზრით, ძალა მოძრაობის მიზეზია, მაგრამ ეს მიზეზი მატერიაში კი არ არის, მისი თვისება კი არ არის, არამედ მის გარეთ არის.

ის, რაც მატერიის მოძრაობას წარმოშობს ან მოსპობს, რაც მოძრაობის მექანიკურ ფორმას გარდაქმნის თვისებრივად განსხვავებულ ფორმად; არ შეიძლება არსებობდეს მატერიის გარეთ. ეს მატერიის განუყრელი თვისებაა და ძალა სწორედ ამ თვისების გამოსასახავად არის შემოღებული ფიზიკაში. მატერიალური სხეულები, მატერიის შემადგენელი ნაწილაკები, იმყოფებიან რა განუწყვეტელ ურთიერთქმედებაში, ცვლიან ერთიმეორეს მდგომარეობას — მოძრაობის მდგომარეობას და სწორედ ამ ცვლილებაში მჟღავნდება ძალის არსებობა. ძალა იზომება დროის ერთეულში მოძრაობის რაოდენობის ცვლილებით.

დღეს კარგად არის ცნობილი, რომ დინამიკის ძირითადი კანონი, რომელიც გამოხატავს კავშირს ძალასა და მოძრაობის რაოდენობას შორის, იწერება ასეთი ფორმით:

$$\vec{F} = \frac{d}{dt}(m\vec{v})$$

სადაც m სხეულის მასაა, $\vec{v}$ სიჩქარეა. მასა საზოგადოდ სიჩქარის ფუნქციაა, ამიტომ

$$\vec{F} = \vec{v}\frac{dm}{dt} + m\frac{d\vec{v}}{dt},$$

მაშასადამე, ძალის მნიშვნელობა მარტო სიჩქარის ცვლილებით — აჩქარებით კი არ განისაზღვრება, არამედ მასის ცვლილებით, რასაც სიჩქარის ცვლილება იწვევს, ე. ი. ძალა დამოკიდებულია მოძრაობის მდგომარეობაზე. ძალის განხილვა მოძრაობის მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად მიგვიყვანს ძალის მახისტურ განმარტებამდე.

ვერ დავასახელებთ ძალის გამომჟღავნების ვერც ერთ ფორმას, სადაც თავს არ იჩენდეს ურთიერთქმედება, მატერიის რეალური

თვისება. ურთიერთქმედების ყველა ცნობილი სახე და ის კანონზომიერებანი, რომელთაც ეს ურთიერთქმედებაბანი ემორჩილებიან, მხოლოდ მოძრავი მატერიის რეალური თვისებებია. მოძრავი მატერიის მოძრაობის, გარდაქმნისა და განვითარების კანონების ასახვისათვის მეცნიერებაში შემოდის სხვადასხვა ცნებანი, რომელთაც მანამ აქვთ რეალური შინაარსი, სანამ მათ რეალურ პროცესების შესწავლას ვუკავშირებთ. ისინი კარგავენ ყოველგვარ რეალურ მნიშვნელობას, როცა ყველაფერს ჩვენი გონების ნაყოფად, შეგრძნებათა კომპლექსად ვაქცევთ. ასევეა ძალის ცნებაც. ის მხოლოდ მოძრავი მატერიის რეალურ თვისებას ახასიათებს და მეტს არაფერს.

ძალის ცნებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მუშაობის ცნებაც. ამ ცნებას ხშირად აცლიან ნამდვილ შინაარს და უკარგავენ დამოუკიდებელი ცნების ხასიათს, რადგან მუშაობას განმარტავენ, როგორც ძალისა და გადაადგილების გზის ნამრავლს. ენგელსი აკრიტიკებს მუშაობის ამ შეზღუდულ განმარტებას და ამბობს: „ყოველგვარი ფიზიკური მუშაობის ძირითად პირობას წარმოადგენს თვისობრივი ცვლილება, ფორმის გამოცვლა".

ყოველგვარი მუშაობის შესრულებას ადგილი აქვს მოძრაობის ერთი ფორმის მეორე ფორმაში გადასვლის დროს. მარტივი სახის, მექანიკური, მოძრაობის შემთხვევაში, მუშაობის ზომად უფრო ხშირად ძალისა და გზის ნამრავლი მიიღება. მაგრამ განა მარტო გადაადგილება ან მოძრაობაა საკმარისი იმისათვის, რომ მუშაობა სრულდებოდეს? პოტენციალურ ძალთა ველში სხეულების ჩაკეტილ მრუდზე მოძრაობის დროს მუშაობა არ სრულდება. ამ შემთხვევაში მოძრაობა აჩქარებულია, ე. ი. მოძრაობა ხდება ძალის მოქმედებით, მაგრამ კონსერვატული ძალების ველში წერტილის ორბიტზე ბრუნვის დროს შესრულებული მუშაობა ნულის ტოლია. ეს გამოწვეულია იმით, რომ სისტემის ენერგია მუდმივი რჩება. იგულისხმება, რომ გარეგანი მოქმედება არ ცვლის სისტემის სრულ ენერგიას. კინეტიკური ენერგია ჩაკეტილ წირზე მოძრაობის დროს გადადის პოტენციალურ (ურთიერთქმედების) ენერგიაში და, პირიქით, მაგრამ, როდესაც სხეული ბრუნდება საწყის მდგომარეობაში, მისი კინეტიკური და პოტენციალური ენერგიები ღებულობენ ზუსტად იმავე მნიშვნელობებს, რომლებიც ჰქონდათ საწყისში. ამ შემთხვევაში მექანიკური ენერგიის გარდაქმნა არ ხდება სხვა ფორმის ენერგიად და სრული ენერგია უცვლელია. თუ წრიულ მოძრაობას თან ახლავს მექანიკური ენერგიის გარდაქმნა სხვა სა-

ხის ენერგიად, მაგალითად, სითბურ ენერგიად, მაშინ მუშაობა შესრულდება. მაშასადამე. მუშაობა არ დაიყვანება უბრალოდ ძალის მოქმედებაზე და ამით გამოწვეულ გადაადგილებაზე. მუშაობის შესრულება არსებითად მოძრაობის ფორმის ცვლილებასთან, ენერგიის ერთი სახის მეორე სახეში გადასვლის პროცესთან არის დაკავშირებული.

მუშაობის ცნებას მოჰყვება ენერგიის ცნება. კინეტიკურ ენერგიას ანუ მოძრაობის ენერგიას პირველად „ცოცხალ ძალას“ უწოდებდნენ.

ჰელმჰოლცმა თავისი ნაშრომი 1854 წელს ასეთი სათაურით გამოაქვეყნა: „ძალის შენახვის შესახებ“. სიტყვა „ენერგია“ პირველად იუნგის მიერ იყო ნახმარი, მაგრამ მისი ნამდვილი შინაარსი გამომუშავდა თანდათანობით, ფიზიკის განვითარებასთან ერთად და მხოლოდ 1860 წელს კელვინმა უწოდა „ძალის შენახვის კანონს“ ენერგიის შენახვის კანონი, რომლის შემდეგ ტერმინი „ენერგია“ იხმარება თანამედროვე გაგებით, „ენერგიით“ შეიცვალა მოძველებული ტერმინი „ძალა“.

ახალი კანონის შინაარსი, რა თქმა უნდა, დიდი ხნის განმავლობაში არ იყო მისაწვდომი. მას განიხილავდნენ უბრალოდ, როგორც რაოდენობრივ კანონს. ენერგიის ცნებისა და ენერგიის შენახვის კანონს ნამდვილი შინაარსის გაგების საქმეში დიდი დამსახურება ძიუძლვის ენგელსს. ენგელსმა მატერიალისტური დიალექტიკის პოზიციებიდან ღრმა ფილოსოფიური ანალიზი გაუკეთა ენერგიის შენახვის კანონს და მან პირველმა უწოდა მას „ენერგიის მარადისობისა და გარდაქმნის კანონი“.

ისტორიულად ენერგიის ცნება ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ცნებებთან შედარებით ყველაზე გვიან იყო შემოტანილი ფიზიკაში, მისი შინაარსი და საყოველთაო აღიარება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის, როცა დადგენილ იქნა ენერგიის მარადისობისა და გარდაქმნის კანონი არა მარტო მექანიკური მოვლენებისათვის, არამედ სითბური მოვლენებისათვის და შემდეგში კი ელექტრული და მაგნიტური მოვლენებისათვისაც. ენერგიის ცნების შინაარსმა დიდი განვითარება განიცადა მეოცე საუკუნეში ახალი მოვლენების აღმოჩენასთან დაკავშირებით.

ზოგ შემთხვევაში ენერგიის ცნებას აიგივებენ მოძრაობის ცნებასთან. რა თქმა უნდა, ასეთი განმარტება ყოვლად მიუღებელია. მოძრაობას აქვს მრავალი ნიშანი, რომლებიც ენერგიას არ ახასიათებენ. მოძრაობის დამახასიათებელი ნიშნებია: სიჩქარე, აჩქა-

რება, ძალა, მომენტი, ტრაექტორია და სხვ., რომლებიც დამოუკიდებელ ცნებებს წარმოადგენენ და არ გამომდინარეობენ ენერგიის ცნებიდან.

ცნობილია, რომ მექანიკაში განიხილება ორი სახის ენერგია: კინეტიკური და პოტენციალური ენერგია. მექანისტი ფიზიკოსები ენერგიის ყოველ სახეს განიხილავენ. როგორც კინეტიკური ენერგიის ნაირსახეობას. ისინი ცდილობდნენ მექანიკის ზოგადი პრინციპების შექმნას. ასე მოიქცა ჰერცი, რომელმაც ააგო თავისი მექანიკა ძალის შეცვლილი ცნების საფუძველზე, მაგრამ მის მეთოდს არ მოუცია და არც შეეძლო მოეცა რაიმე ნაყოფიერი შედეგი.

ენერგიის ცნების ნამდვილი შინაარსის გარკვევას ფიზიკასა და, საზოგადოდ, ბუნებისმეტყველებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მატერიალისტური ფილოსოფიისათვის. ენერგიის ცნების დამახინჯებამ ოსტვალდი და მისი მიმდევრები მიიყვანა მატერიის უარყოფამდე. ენერგეტიკის მამამთავარი ოსტვალდი ყველაფრის საფუძვლად ენერგიას ასახელებდა. ერთადერთ სუბსტანციად სამყაროსათვის მას მხოლოდ ენერგია მიაჩნდა. ამით ის უარყოფდა მატერიის არსებობას და გარესამყაროს, როგორც ობიექტურ რეალობას. ოსტვალდის ენერგეტიზმს და მის დამცველებს გამანადგურებელი კრიტიკით უპასუხა ვ. ი. ლენინმა თავის ცნობილ წიგნში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. ლენინი წერს: „ენერგეტიკის ტერმინებში შეიძლება მატერიალიზმიც გამოითქვას და იდეალიზმიც (მჭიდნაკლების თანმიმდევრობით, რასაკვირველია), ისევე, როგორც ცდის ტერმინებში და სხვა. ენერგეტიკული ფიზიკა არის წყარო ახალი იდეალისტური ცნებისა მოძრაობა უმატერიოდ წარმოვიდგინოთ; ეს ცდა იმიტომ ხდება, რომ მატერიის ნაწილაკები, რომელიც დღემდე დაუნაწილებლად ითვლებოდა, დანაწილდა და აღმოჩენილი იქნა მატერიალურ მოძრაობის დღემდე უცნობი ფორმები“ [1].

ლენინმა გამოააშკარავა ოსტვალდის ენერგეტიზმის იდეალისტური ბუნება და ცხადყო მისი ცრუმეცნიერული ხასიათი.

მოძრაობის ყოველ ფორმას შეესაბამება ენერგია. რადგან ფიზიკაში განიხილება მატერიის მოძრაობის სხვადასხვა ფორმები, ამიტომ ჩვენ საქმე გვაქვს ენერგიის სხვადასხვა ფორმებთან. ყველა შემთხვევაში ენერგია ისევე, როგორც მასა, ძალა და სხვ. გამო-

[1] ვ. ი. ლენინი, მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი, 1934 წ., გვ. 271.

ხატავს მოძრავი მატერიის რეალურ-ობიექტურ თვისებას. ენერგია გამოხატავს მატერიის მოძრაობის ყველაზე უფრო ზოგად თვისებას, მოძრაობის სხვადასხვა ფორმების ერთმანეთში გადასვლის უნარს. ენერგია არის მოძრაობის ზომა.

ერთი ფორმის მოძრაობის მეორე ფორმაში გადასვლის დროს ენერგიის გარდაქმნა ერთი სახიდან მეორეში ისე ხდება, რომ ენერგიის სიდიდე ყოველთვის უცვლელი რჩება.

ენერგიის ცნების შინაარსში ჩაწვდომა შესაძლებელია მხოლოდ ენერგიის ყველა ცნობილი ფორმის, მათი ურთიერთგარდაქმნის კანონისა და გამოხატულებათა ფორმების თანდათანობითი შესწავლის გზით. შეუძლებელია ენერგიის ცნების ნამდვილი შინაარსის გააზრება ენერგიის ერთი ფორმის სხვა ფორმებისაგან მოწყვეტით, ვთქვათ, ენერგიის შინაარსის განსაზღვრა მხოლოდ კინეტიკური ენერგიის ცნების საფუძველზე.

მექანიკის შესწავლის დროს ვეცნობით კინეტიკური და პოტენციალური ენერგიის ურთიერთგარდაქმნის მაგალითებს და ვადგენთ ენერგიის მარადისობისა და გარდაქმნის კანონს მხოლოდ ვიწრო ჩარჩოებში. ამ კანონის საფუძველზე შეიძლება ვაჩვენოთ ამ ცნების შინაარსი, როგორც მატერიის მოძრაობის გამოხატულებისა და მოძრაობის ზომა.

მექანიკის სწავლების დროს აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ფიზიკური მოვლენების შესწავლის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცდას, რომ მექანიკის კანონები წარმოადგენენ ცდის შედეგების განზოგადებას. საჭიროა ცდა, პრაქტიკა განმარტებულ იქნეს როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმი და არა როგორც შეგრძნებათა კომპლექსი.

ცდა არის მოვლენა ლაბორატორიულ პირობებში; იგი წარმოადგენს იმის დემონსტრაციას, რაც ხდება შესასწავლ ობიექტში.

(შემოვიდა რედაქციაში 9. I. 1954).

М. С. ГОБЕДЖИШВИЛИ

К ВОПРОСУ МАТЕРИАЛИСТИЧЕСКОГО ТОЛКОВАНИЯ НЕКОТОРЫХ ПОНЯТИЙ И ЗАКОНОВ МЕХАНИКИ

Резюме

В некоторых учебниках механики и отдельных работах дается неправильное и, в ряде случаев, идеалистическое толкование понятий и законов классической механики.

Основной целью этой работы является: правильное толкование понятий механического движения, массы, силы, работы, энергии и законов Ньютона в объеме курса механики (классической).

Механическое движение есть форма движения, сопровождающая более сложные формы движения материи. Чисто механическому движению характерно превращение кинетической энергии в потенциальную и, наоборот, когда в процессе не проявляется другая форма энергии, например, движение в поле центральных сил.

Масса определяется как мера инерции и величина, зависящая от состояния движения.

Сила рассматривается как некоторая характеристика, сторона движущей материи, а не как причина движения, существующая независимо от движения материи, как особое начало, действующее независимо от материи. Сила возникает при взаимодействии материальных тел и измеряется изменением количества движения за единицу времени.

Аналогично истолковываются все остальные понятия и законы механики. Каждое понятие, которое вводится в физику характеризует определенную сторону движущей материи и в этом смысле представляет физическую реальность.

ა.წ. ფუნდუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

Н. А. ГАБАДАДЗЕ

ОПРЕДЕЛЕНИЕ ТЕНЗОРА КУММЕРА ПРЯМОЛИНЕЙНОЙ КОНГРУЭНЦИИ ПО ЕЕ ОПРЕДЕЛЯЕМОЙ ФУНКЦИИ

Важной характеристикой локального строения прямолинейной конгруэнции в 3-мерном неевклидовом пространстве является тензор Куммера. Этот тензор является аналогом тензора, по существу рассматриваемого для евклидова пространства Э. Куммером [1], результаты Куммера были записаны в тензорной форме советским математиком Я. С. Дубновым [2]. Для неевклидовых пространств аналогичный тензор рассматривался в тензорной форме И. А. Схоутеном и Д. Дж. Стройком [3] (стр. 42), М. С. Бродским [4], В. В. Вагнером [5] и Б. А. Розенфельдом [6] (стр. 302).

В настоящей работе вычислены компоненты тензора Куммера прямолинейных конгруэнций в 3-мерном неевклидовом пространстве Лобачевского $^1S_3$ и в псевдоевклидовом пространстве $^2S_3$, относительно абсолюта, при заданной определяющей функции $w=f(z)$, соответственно, комплексного или двойного переменного, и установлено необходимое и достаточное условие нормальности прямолинейных конгруэнций в этих пространствах.

Как известно, если луч прямолинейной конгруэнции в 3-мерном неевклидовом пространстве с абсолютом

$$\sum_{i,\,j} A_{ij}\, x^i\, x^j = 0, \tag{1}$$

задан своими двумя полярно сопряженными точками с координатами a^i и b^i (т. е. для этих точек $\sum_{i,\,j} A_{ij}\, a^i\, b^i = 0$) функ-

ций от двух вещественных параметров u^1 и u^2, то тензор Куммера для конгруэнции определяется выражением:

$$C_{pq}=\sum_{i,\ j} A_{ij}\ \frac{\partial a^i}{\partial u^p}\ \cdot\ \frac{\partial b^j}{\partial u^q}. \qquad (2)$$

В данном случае, если уравнения абсолютов пространств ${}^1S_3$ и ${}^2S_3$ имеют вид:

$$-x^{0^2}+x^{1^2}+x^{2^2}+x^{3^2}=0 \qquad (3)$$

и

$$-x^{0^2}+x^{1^2}-x^{2^2}+x^{3^2}=0, \qquad (4)$$

то компоненты тензора Куммера прямолинейных конгруэнций в этих пространствах имеют соответственный вид:

$$C_{pq}=-\frac{\partial a^0}{\partial u^p}\cdot\frac{\partial b^0}{\partial u^q}+\frac{\partial a^1}{\partial u^p}\cdot\frac{\partial b^1}{\partial u^q}+\frac{\partial a^2}{\partial u^p}\cdot\frac{\partial b^2}{\partial u^q}+\frac{\partial a^3}{\partial u^p}\cdot\frac{\partial b^3}{\partial u^q} \qquad (5)$$

и

$$C_{pq}=-\frac{\partial a^0}{\partial u^p}\cdot\frac{\partial b^0}{\partial u^q}+\frac{\partial a^1}{\partial u^p}\cdot\frac{\partial b^1}{\partial u^q}-\frac{\partial a^2}{\partial u^p}\cdot\frac{\partial b^2}{\partial u^q}+\frac{\partial a^3}{\partial u^p}\cdot\frac{\partial b^3}{\partial u^q}. \qquad (6)$$

В случае гиперболических прямых пространств ${}^1S_3$ и ${}^2S_3$ координаты

$$a^i=x^i+y^i \qquad b^i=x^i-y^i \qquad (7)$$

точек определяющих конгруэнцию, где x^i, y^i координаты концов прямых представляемых точками на плоскости комплексного или двойного переменного [7], имеют вид:

$$a^0=\frac{z\bar{z}+w\bar{w}}{2}+1,\quad a^1=\frac{x+u}{2},\quad a^2=\frac{y+v}{2},\quad a^3=\frac{z\bar{z}+w\bar{w}}{2}-1 \qquad (8)$$

$$b^0=\frac{z\bar{z}-w\bar{w}}{2},\quad b^1=\frac{x-u}{2},\quad b^2=\frac{u-v}{2},\quad b^3=\frac{z\bar{z}-w\bar{w}}{2}.$$

Так как в этом случае производные координаты a^0, b^0, a^3, b^3 по любым параметрам удовлетворяют условиям:

$$\frac{\partial a^0}{\partial u^p}=\frac{\partial a^3}{\partial u^p}, \qquad \frac{\partial b^0}{\partial u^q}=\frac{\partial b^3}{\partial u^q}; \tag{9}$$

поэтому выражение

$$-\frac{\partial a^0}{\partial u^p}\cdot\frac{\partial b^0}{\partial u^q}+\frac{\partial a^3}{\partial u^p}\cdot\frac{\partial b^3}{\partial u^q} \tag{10}$$

тождественно равно нулю, а формулы (5) и (6) могут быть переписаны в виде:

$$C_{pq}=\frac{\partial a^1}{\partial u^p}\cdot\frac{\partial b^1}{\partial u^q}+\frac{\partial a^2}{\partial u^p}\cdot\frac{\partial b^2}{\partial u^q} \tag{11}$$

$$C_{pq}=\frac{\partial a^1}{\partial u^p}\cdot\frac{\partial b^1}{\partial u^q}-\frac{\partial a^2}{\partial u^p}\cdot\frac{\partial b^2}{\partial u^q}. \tag{12}$$

Примем за параметры u^i конгруэнции координат x и y числа z, тогда

$$\left.\begin{aligned}&\frac{\partial a^1}{\partial x}=1+\frac{\partial u}{\partial x}, \quad \frac{\partial a^1}{\partial y}=\frac{\partial u}{\partial y}, \quad \frac{\partial a^2}{\partial x}=\frac{\partial v}{\partial x}, \quad \frac{\partial a^2}{\partial y}=1+\frac{\partial y}{\partial v},\\ &\frac{\partial b^1}{\partial x}=1-\frac{\partial u}{\partial x}, \quad \frac{\partial b^1}{\partial y}=-\frac{\partial u}{\partial y}, \quad \frac{\partial b^2}{\partial x}=-\frac{\partial v}{\partial x}, \quad \frac{\partial b^2}{\partial y}=1-\frac{\partial v}{\partial y}\end{aligned}\right\} \tag{13}$$

и компоненты тензора Куммера конгруэнции гиперболических прямых ${}^1S_3$ имеют вид:

$$C_{11}=\frac{\partial a^1}{\partial x}\cdot\frac{\partial b^1}{\partial x}+\frac{\partial a^2}{\partial x}\cdot\frac{\partial b^2}{\partial x}=\left(1+\frac{\partial u}{\partial x}\right)\left(1-\frac{\partial u}{\partial x}\right)-\left(\frac{\partial v}{\partial x}\right)^2=$$

$$=1-\left(\frac{\partial u}{\partial x}\right)^2-\left(\frac{\partial v}{\partial x}\right)^2,$$

$$C_{12}=\frac{\partial a^1}{\partial x}\cdot\frac{\partial b^1}{\partial y}+\frac{\partial a^2}{\partial x}\cdot\frac{\partial b^2}{\partial y}=\left(1+\frac{\partial u}{\partial x}\right)\left(-\frac{\partial v}{\partial y}\right)+\frac{\partial v}{\partial x}\left(1-\frac{\partial v}{\partial y}\right)=$$

$$=-\frac{\partial u}{\partial y}+\frac{\partial v}{\partial x}-\frac{\partial u}{\partial x}\cdot\frac{\partial u}{\partial y}-\frac{\partial v}{\partial x}\cdot\frac{\partial v}{\partial y},$$

$$C_{21}=\frac{\partial a^1}{\partial y}\cdot\frac{\partial b^1}{\partial x}+\frac{\partial a^2}{\partial y}\cdot\frac{\partial b^2}{\partial x}=\left(1-\frac{\partial u}{\partial x}\right)\frac{\partial u}{\partial y}+\left(1+\frac{\partial v}{\partial y}\right)\left(-\frac{\partial v}{\partial x}\right)=$$

$$=\frac{\partial u}{\partial y}-\frac{\partial v}{\partial x}-\frac{\partial u}{\partial x}\cdot\frac{\partial u}{\partial y}-\frac{\partial v}{\partial x}\cdot\frac{\partial v}{\partial y},$$

$$C_{22}=\frac{\partial a^1}{\partial y}\cdot\frac{\partial b^1}{\partial y}+\frac{\partial a^2}{\partial y}\cdot\frac{\partial b^2}{\partial y}=-\left(\frac{\partial u}{\partial y}\right)^2+\left(1+\frac{\partial v}{\partial y}\right)\left(1-\frac{\partial v}{\partial y}\right)=$$

$$=1-\left(\frac{\partial u}{\partial y}\right)^2-\left(\frac{\partial v}{\partial y}\right)^2; \qquad (14)$$

а компоненты тензора Куммера конгруэнции гиперболических прямых ${}^2S_3$ имеют вид:

$$C_{11}=\frac{\partial a^1}{\partial x}\cdot\frac{\partial b^1}{\partial x}-\frac{\partial a^2}{\partial x}\cdot\frac{\partial b^2}{\partial x}=\left(1+\frac{\partial u}{\partial x}\right)\left(1-\frac{\partial u}{\partial x}\right)+\left(\frac{\partial v}{\partial x}\right)^2=$$

$$=1-\left(\frac{\partial u}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial v}{\partial x}\right)^2,$$

$$C_{12}=\frac{\partial a^1}{\partial x}\cdot\frac{\partial b^1}{\partial y}-\frac{\partial a^2}{\partial x}\cdot\frac{\partial b^2}{\partial y}=\left(1+\frac{\partial u}{\partial x}\right)\left(-\frac{\partial u}{\partial y}\right)-\left(1-\frac{\partial v}{\partial y}\right)\frac{\partial v}{\partial x}=$$

$$=-\frac{\partial u}{\partial y}-\frac{\partial v}{\partial x}-\frac{\partial u}{\partial x}\cdot\frac{\partial u}{\partial y}+\frac{\partial v}{\partial x}\cdot\frac{\partial v}{\partial x},$$

$$C_{21}=\frac{\partial a^1}{\partial y}\cdot\frac{\partial b^1}{\partial y}-\frac{\partial a^2}{\partial y}\cdot\frac{\partial b^2}{\partial x}=\frac{\partial u}{\partial x}\left(1-\frac{\partial u}{\partial x}\right)-\left(1+\frac{\partial v}{\partial x}\right)\left(-\frac{\partial v}{\partial x}\right)=$$

$$=\frac{\partial u}{\partial y}+\frac{\partial \lambda}{\partial x}-\frac{\partial u}{\partial x}\cdot\frac{\partial u}{\partial y}+\frac{\partial \lambda}{\partial x}\cdot\frac{\partial \lambda}{\partial y},$$

$$C_{22}=\frac{\partial a^1}{\partial y}\cdot\frac{\partial b^1}{\partial y}-\frac{\partial a^2}{\partial y}\cdot\frac{\partial b^2}{\partial y}=-\left(\frac{\partial u}{\partial y}\right)^2-\left(1+\frac{\partial v}{\partial y}\right)\left(1-\frac{\partial v}{\partial y}\right)=-$$

$$=-1-\left(\frac{\partial u}{\partial y}\right)^2+\left(\frac{\partial v}{\partial y}\right)^2. \qquad (15)$$

Таким образом, мы получили, что:

Компоненты тензора Куммера конгруэнции гиперболических прямых пространств ${}^1S_3$ и ${}^2S_3$, определяемых функциями $w=f(z)$ комплексного или двойного переменного, могут быть записаны в виде:

для пространства ${}^1S_3$

$$C_{11}=1-\left(\frac{\partial u}{\partial x}\right)^2-\left(\frac{\partial v}{\partial x}\right)^2,\quad C_{12}=-\frac{\partial u}{\partial y}+\frac{\partial v}{ex}-\frac{\partial u}{\partial x}\cdot\frac{\partial u}{\partial y}+$$

$$+\frac{\partial v}{\partial x}\cdot\frac{\partial v}{\partial y}, \qquad (16)$$

$$C_{21}=\frac{\partial u}{\partial y}-\frac{\partial v}{\partial x}-\frac{\partial u}{\partial x}\cdot\frac{\partial u}{\partial x}-\frac{\partial v}{\partial x}\cdot\frac{\partial v}{\partial y},\quad C_{22}=1-\left(\frac{\partial u}{\partial y}\right)^2-\left(\frac{\partial u}{\partial y}\right)^2,$$

и для пространства ${}^2S_3$

$$C_{11}=1-\left(\frac{\partial u}{\partial x}\right)^2+\left(\frac{\partial v}{\partial y}\right)^2,\quad C_{12}=-\frac{\partial u}{\partial y}-\frac{\partial v}{\partial x}-\frac{\partial u}{\partial x}\cdot\frac{\partial u}{\partial y}+$$

$$+\frac{\partial v}{\partial x}\cdot\frac{\partial v}{\partial y}, \qquad (17)$$

$$C_{21}=\frac{\partial u}{\partial x}+\frac{\partial v}{\partial y}-\frac{\partial u}{\partial x}\cdot\frac{\partial u}{\partial y}+\frac{\partial v}{\partial x}\cdot\frac{\partial v}{\partial y},\quad C_{22}=-1-\left(\frac{\partial u}{\partial y}\right)^2+\left(\frac{\partial v}{\partial y}\right)^2.$$

Важную роль в теории прямолинейных конгруэнций трехмерных пространств играют нормальные конгруэнций, т. е. конгруэнции нормалей к поверхностям. Как известно (см. [8], стр. 97

или [5] стр. 303), необходимым и достаточным условием нормальности конгруэнции является симметричность их тензора Куммера, т. е.

$$C_{12} = C_{21}. \tag{18}$$

Из (16), (17) и (18) непосредственно следует, что необходимым и достаточным условием для того, чтобы конгруэнция гиперболических прямых ${}^1S_3$ и ${}^2S_3$, определяемая функцией $w = f(z)$ комплексного или двойного переменного, была нормальной конгруэнцией, является

для пространства ${}^1S_3$ (19)

$$\frac{\partial u}{\partial y} = \frac{\partial v}{\partial x},$$

и для пространства ${}^2S_3$ (20)

$$\frac{\partial u}{\partial y} = -\frac{\partial v}{\partial x}.$$

ЛИТЕРАТУРА

1. E. Kummer — Allgemeine Theorie der geradliniegen Strahlen-Systeme. Journ. f. reine u angew Math. Berlin, (1859), стр. 283.

2. Я. С. Дубнов — Die Differentialgeometrie der Strahlenkongruenzen in tensoriereller Darsstelung.
Труды семинара по век. и тенз. анализу при М. Г. У., Москва, 1933, стр. 223—300.

3. И. А. Схоутен и Д. Дж. Стройк — Введение в новые методы дифференциальной геометрии, т. II, М.-Л. 1948.

4. М. С. Бродский — Конгруэнции прямых эллиптического пространства, М. 1941.

5. В. В. Вагнер — Differential geometry of the family of R^k'S in R_n and of the family of totally S_{k-1}'S in S_{n-1} of positive Curvature.
Матем. Сборник 10 (52 : 3) 1942. стр. 165—209.

6. Б. А. Розенфельд — Дифференциальная геометрия семейств многомерных плоскостей, Известия АН СССР; серия матем., 11 (1947). стр. 283—308.

7. Н. А. Габададзе — О применении комплексных и гиперкомплексных чисел к теории прямолинейных конгруэнций. Сообщение АН Грузинской ССР, т. XV, № 10. 1954.

8. Б. А. Розенфельд — Неевклидова геометрия над комплексными и гиперкомплексными числами и их применение к вещественным геометриям. Сборник „125 лет неевклидовой геометрии Лобачевского". М.-Л. 1952, стр. 151—166.

ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

ლ. ჯ ე ლ ი ძ ე

ტყიბულის რაიონის ბენტონიტური თიხები

უკანასკნელი წლების განმავლობაში დიდი ყურადღება ექცევა ბუნებრივი ადსორბენტების, მათ შორის განსაკუთრებით ბენტონიტური თიხების ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლასა და გამოყენებას სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

საქართველოს სსრ მდიდარია ბენტონიტური თიხების ნაირნაირი საბადოებით, მაგრამ მათგან შედარებით დეტალურად შესწავლილია გუმბრის და ასკანის საბადოების თიხები (1, 2).

წყალტუბოს რაიონში ცნობილია ბენტონიტური თიხების საბადოები სოფ. ბანოჯაში (3), ცხუნკურში (ჯორმალალა), ბესიაურში (4), მელაურში, წყალტუბოსა და ჩუნეშში. ეს საბადოები მხოლოდ ნაწილობრივაა შესწავლილი. მათგან სორბციული აქტივობით გამოირჩევა ჩუნეშის ბენტონიტური თიხა (5).

ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა ტყიბულის რაიონის ახალი საბადოების ბენტონიტური თიხები სოფ. კურსებიდან, გურნიდან, ცუცხვათიდან და ჰყეპიდან.

კურსების ბენტონიტური თიხა გარეგნულად სხვადასხვა ფერის (უმთავრესად მოთეთრო და ნაცრისფერი) მკვრივ ქანს წარმოადგენს, ცხიმოვანი ზედაპირით. ჰაერზე მშრალი თიხა იბზარება და უსწორმასწორო ნატეხებად იმსხვრევა, წყალში კარგად იჯირჯვება, მცირე ხნით ინარჩუნებს პირვანდელ ფორმას, შემდეგ კი იშლება წვრილ ფხვნილად.

გურნის თიხა გარეგნულად ანალოგიურია კურსების თიხისა, ხოლო ცუცხვათის ბენტონიტური თიხისათვის დამახასიათებელია წყლის მოქმედებით სწრაფად დაშლა. ჰყეპის ბენტონიტური თიხა

კი, პირიქით, წყლის მოქმედებით ნელა იჯირჯვება და საკმაო ხანს ინარჩუნებს თავის პირვანდელ ფორმას.

გუმბრინის მსგავსად, აღნიშნული თიხები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნავთობის პროდუქტების გასაწმენდად. ამიტომ ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა ტყიბულის რაიონის ბენტონიტური თიხების გამაუფერულებელი უნარი, რომელსაც უკავშირებენ თიხების შემადგენლობაში მინერალ მონტმორილონიტის არსებობას. თითიხებში ამ მინერალის არსებობა შეიძლება შემოწმებულ იქნეს ბენზიდინით, რომელიც ლურჯ ან მომწვანო-მტრედისფერ შეფერვას იძლევა მასთან (6). შეფერვის ინტენსივობის მიხედვით მსჯელობენ ბენტონიტურ თიხაში მინერალ მონტმორილონიტის რაოდენობის შესახებ.

ჩვენ მიერ აღებული ნიმუშები ერთნაირ პირობებში იქნა შემოწმებული ბენზიდინის ხსნარით და ყველა მათგანი მეტ-ნაკლები ინტენსივობით იძლევა დამახასიათებელ შეფერვას. აღებული ნიმუშების სხვადასხვა თვისების შესწავლა ხდებოდა გუმბრინთან შედარებით. შეფერვის ინტენსივობის მიხედვით, გუმბრინის შემდეგ აღსანიშნავია კურსების ბენტონიტური თიხა. უფრო მკრთალ შეფერვას იძლევიან გურნის, ცუცხვათისა და ჭყეპის თიხები.

თიხების გაუფერულების უნარი ხშირად დაკავშირებულია წყალთან, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მათს შემადგენლობაში. წყალი სხვადასხვაგვარად არის დაკავშირებული თიხებთან. 110° C-ზე ბენტონიტური თიხა კარგავს ჰიგროსკოპულ წყალს, ხოლო 150—250° C ფარგლებში ხდება ე. წ. ადსორბციული წყლის გამოყოფა, რის გამოც გამაუფერულებელი ეფექტი მნიშვნელოვნად იზრდება (7).

ბენტონიტური თიხების დახასიათებისას მიმართავენ შეწოვა-გაჯირჯვების პროცესის შესწავლას. ცნობილია, რომ ბუნებრივად აქტიური თიხები სწრაფად იერთებენ წყალს და გაჯირჯვების პროცესი მალე მთავრდება, სხვა თიხებისათვის იგი გახანგრძლივებულია. ტყიბულის რაიონის ბენტონიტური თიხების შეწოვა-გაჯირჯვების განსაზღვრა წარმოებდა შუშის ჭურჭელში (8), რომელიც საშუალებას იძლეოდა დაგვედგინა თიხის გარკვეული წონაკის მიერ წყლის შეწოვა დროის ერთეულში. აღებული ნიმუშები შესწავლილ იქნა როგორც ჰაერზე, მშრალ მდგომარეობაში, ისე თერმული აქტივაციის შემდეგ.

შეწოვა-გაჯირჯვების საწყისი სტადია ჰაერზე მშრალი ნიმუშებისათვის მოცემულია 1-ლ ცხრილში.

ცხრილი 1

№ № რიგებში	თიხის დასახელება	გაჯირჯვების გარემო	გაჯირჯვების დრო წამებში	შთანთქმული სითხე მლ-ში	მოცულობითი %
1	გუმბრინი .	H_2O	20	0,6	600
2	კურსები . . .	„	25	0,6	600
3	გურნა	„	30	0,55	550
4	ცუცხვათი . .	„	25	0,6	600
5	ჰყეპი	„	30	0,45	450

როგორც ცდის შედეგებიდან ჩანს, შეწოვა-გაჯირჯვების პროცესი ჰაერზე მშრალი ნიმუშებისათვის ძირითადად 20—30 წამში მთავრდება, რაც ბუნებრივად აქტიური თიხებისათვის არის დამახასიათებელი.

იმავე ნიმუშების შეწოვა-გაჯირჯვების პროცესი შესწავლილ იქნა მათი თერმული აქტივაციის (250° C) შემდეგ. ცდის შედეგები მოცემულია მე-2 ცხრილში.


ცხრილი 2

№ № რიგებში	თიხის დასახელება	გაჯირჯვების გარემო	გაჯირჯვების დრო წამებში	შთანთქმული სითხე მლ-ში	მოცულობითი %
1	გუმბრინი . .	H_2O	15	0,8	800
2	კურსები . . .	„	18	0,7	700
3	გურნა	„	25	0,5	500
4	ცუცხვათი . .	„	20	0,6	600
5	ჰყეპი	„	25	0,5	500

როგორც ცდის მონაცემებიდან ჩანს, თიხების თერმული აქტივაციის შედეგად მნიშვნელოვნად ჩქარდება შეწოვა-გაჯირჯვების პროცესი, მასთან პირველ რიგში აღსანიშნავია გუმბრინის შემდეგ კურსების თიხის აქტივობა.

ბენტონიტური თიხების შესწავლისათვის, სხვა მეთოდებთან ერთად, გამოყენებულია თერმული ანალიზი (9), რომელიც საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ თიხებთან დაკავშირებული წყლის გამოყოფაზე, თიხოვანი მინერალების განსაზღვრაზე და სხვა (10, 11).

ტყიბულის რაიონის ბენტონიტური თიხების თერმომრუდეები, გუმბრინის გამოკლებით, მიღებულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნ. ს. კურნაკოვის სახელობის ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის თერმულ ლაბორატორიაში აკად. ნ. ს. კურნაკოვის სისტემის ფოტოსარეგისტრაციო პირომეტრით. №№ 1, 2, 3, 4 და 5 თერმომრუდეების დახასიათება მოცემულია მე-3 ტაბულაში.



სურ. 1

ცხრილი 3.

თერმოგრამების №№	ენდოთერმული შეჩერებები			ეგზოთერმული შეჩერებები
	I	II	III	
1	130°-ზე	650°-ზე	860°-ზე	975°-ზე
2	130°-ზე	540°-ზე	690°-ზე	925°-ზე
3	140°-ზე	565°-ზე	710°-ზე	900°-ზე
4	135°-ზე	545°-ზე	690°-ზე	925°-ზე
5	140°-ზე	570°-ზე	680°-ზე	925°-ზე

აღებული ბენტონიტური თიხების თერმომრუდეების (სურ. 1) მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს მონტმორილონიტურ თიხებთან. ამ აზრს ადასტურებს მესამე ენდოთერმული ეფექტის შემდეგ ეგზოთერმული ეფექტები ყველა ნიმუშისათვის.

ქვემოთ მოცემულია ტყიბულის რაიონის ბენტონიტური თიხების ქიმიური შემადგენლობა (ცხრილი 4).

ცხრილი 4.

შემადგენლობა %-ში	გუმბრინი № 1	კურსები № 2	გურნა № 3	ცუცხვათი № 4	ჭყეპი № 5
SiO_2	58,14	50,78	50,78	49,33	49,15
TiO_2	0,25	0,72	0,78	0,87	1,38
Al_2O_3	13,23	18,91	21,95	24,35	24,41
Fe_2O_3	2,58	4,32	4,35	3,61	3,88
FeO	0,28	—	—	—	—
MnO	კვალი	0,112	კვალი	კვალი	კვალი
MgO	2,24	2,79	2,67	2,18	2,97
CaO	2,44	1,52	2,09	1,89	2,89
Na_2O	1,73	0,27	0,34	0,39	0,29
K_2O	0,78	0,17	0,17	0,23	0,11
SO_3	0,35	1,43	0,98	0,75	1,11
H_2O-100					
H_2O+100	14,71	12,61	12,45	12,01	11,73
დ. გ. წ.	3,61	6,31	3,17	4,11	4,21
ჯამი	100,34	99,33	100,62	100,89	100,13
$\frac{SiO_2}{R_2O_3}$	6,66	4,16	3,45	3,12	3,11

ქიმიური შემადგენლობის მიხედვით, აღნიშნული ნიმუშები განსხვავდებიან გუმბრინისაგან SiO_2-ს ნაკლები შემცველობით, ხოლო Al_2O_3 და Fe_2O_3 რაოდენობა მათში გაცილებით მეტია, ვიდრე გუმბრინში. მაგრამ შეფარდება $SiO_2 : R_2O_3$ 3-ს აღემატება, რაც მონტმორილონიტური თიხებისთვის არის დამახასიათებელი. ამგვარად, როგორც ფერადი რეაქციები ბენზიდინთან, ისე ფერმული და ქიმიური ანალიზები მიუთითებენ გამოსაკვლევ ნიმუშებში უპირატესად მინერალ მონტმორილონიტის არსებობაზე. ცნობილია, რომ ბენტონიტური თიხები, რომლებიც უმთავრესად აღნიშნულ მინერალს შეიცავენ, კარგი ბუნებრივი ადსორბენტის უნარს ამჟღავნებენ. ტყიბულის რაიონის ბენტონიტური თიხებიც ამ ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ.

აღებული თიხების მათეთრებელი უნარი გუმბრინთან შედარებით შემოწმებულ იქნა ნავთობის პროდუქტების ხსნარებზე. გასაუფერულებლად აღებული იყო მანქანის ზეთისა და კონცენტრატის ხსნარები სუფთა ნავთში. გასაუფერულებელი ხსნარის 50 სმ³ ეუმატებდით 5 გრ. თიხას და 30 წუთის განმავლობაში ვანჯღრევდით ელექტროსარევით. გაუფერულება მოწმდებოდა დუბოსკას კალორიმეტრით, გადამუშავებული ხსნარის ფერის შედარებით აღებული ხსნარის ფერთან (12). ცდის შედეგები კონცენტრატისა და მანქანის ზეთის ხსნარისათვის ნავთში მოცემულია მე-5 ტაბულაში.

ტაბულა 5.

№№ რიგზე	თიხის დასახელება	თიხის წონა	გასაუფერულებელი ხსნარი	გაუფერულების ფაქტორი	
				მანქანის ზეთი	კონცენტრატი
1	გუმბრინი .	5 გრ.	50 სმ³	1,8	1,5
2	კურსები . .	„	„	1,5	1,3
3	გურნა . . .	„	„	1,4	1,2
4	ცუცხვათი .	„	„	1,5	1,1
5	ჭყეპი . . .	„	„	1,3	1,1

როგორც ცდის შედეგებიდან ჩანს, გუმბრინის შემდეგ, გაუფერულების ეფექტით აღსანიშნავია კურსების თიხა. მას მოსდევს გურნის, ცუცხვათის და ჭყეპის თიხები.

ტყიბულის რაიონის ბენტონიტური თიხების გაუფერულების ოპტიმალური ტემპერატურის დასადგენად ჩატარებულ იქნა კონცენტრატის ხსნარის გაუფერულება სხვადასხვა ტემპერატურაზე. ცდის შედეგები მოცემულია მე-6 ცხრილში.

ცხრილი 6.

№№ რიგზე	თიხის დასახელება	ტემპერატურა	დრო წუთობით	ტემპერატურა	დრო წუთობით	ტემპერატურა	დრო წუთობით	ტემპერატურა	დრო წუთობით
1	გუმბრინი	100°	1,6	150°	1,7	200°	1,9	250°	2,1
2	კურსები .	100°	1,5	150°	1,6	200°	1,8	250°	1,9
3	გურნა . .	100°	1,4	150°	1,5	200°	1,7	250°	1,6
4	ცუცხვათი	100°	1,3	150°	1,4	200°	1,6	250°	1,5
5	ჰყეპი . .	100°	1,3	150°	1,4	200°	1,6	250°	1,5

როგორც ცდის შედეგები გვიჩვენებს, აღებული ნიმუშების გაუფერულების ეფექტი მატულობს ტემპერატურის აწევით 250°-დე, შემდეგ კი, პირიქით, მცირდება, რაც თიხის ფორების თავისებური სტრუქტურით უნდა აიხსნას (13).

ტყიბულის რაიონის ბენტონიტური თიხების ზოგიერთი თვისების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მათი გამოყენება შესაძლებელია ნავთობისა და სხვა პროდუქტების გასაწმენდად. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია კურსების თიხა, რომელიც აქტივობით გუმბრინს უახლოვდება. ზედაპირული შემოწმებით ამ თიხების მარაგი მცირე არ უნდა იყოს, ყველა ისინი მდებარეობენ ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის ახლოს, ამიტომ მათი შემდგომი შესწავლა ფრიად საინტერესოა.

(შემოვიდა რედაქციაში 10. I. 1955)

Л. А. ЧЕЛИДЗЕ

БЕНТОНИТОВЫЕ ГЛИНЫ ТКИБУЛЬСКОГО РАЙОНА

Резюме

За последние годы большое внимание уделяется изучению природных сорбентов, особенности бентонитовых глин, которые по своими ценными и специфическими свойствами находят разнообразное применение во многих отраслях народного хозяйства.

На территории Грузинской ССР известны многочисленные месторождения бентонитовых глин, но из них сравнительно хорошо изучены только Гумбрийское и Асканское месторождения, глины которых с успехом применяются в разных отраслях народного хозяйства.

В Ткибульском районе выявлены новые месторождения бентонитовых глин в окрестностях сел. Курсеби, Гурна, Цуцхвати и Чкени.

Физико-химическое изучение некоторых свойств глин этих месторождений показывает, что они близко стоят к гумбрину и могут быть использованы как природные адсорбенты. Цветные реакции с бензидином, термический и химический анализы указывают, что они относятся к глинам монтмориллонитовой группы.

По отбеливающим свойствам бентонитовые глины Ткибульского района несколько уступают гумбрину. Оптимальная температура активности по испытанным растворам нефтепродуктов колеблется в пределах от 225°—250°. По внешним признакам глины этих месторождений должны иметь большое распространение. Все они расположены близ ветви железной дороги Кутаиси — Ткибули, поэтому их дальнейшее изучение представляет большой интерес.

ლიტერატურა

1. А. А. Твалчрелидзе, Краткий очерк месторождений отбельных глин Грузинской ССР, Бентонитовые глины Груз. ССР, вып. III, 1941.
2. А. А. Твалчрелидзе, Бентонитовые глины Грузинской ССР и ближайшие задачи их освоения, Бентонитовые глины Грузии и их применение в народном хозяйстве (сборник статей), 1953.

3. М. Л. Роква и А. А. Челидзе, Баноджская бентонитоподая глина, Труды Кутаисского Госпединститута им. А. Цулукидзе, т. IX, 1949.

4. М. Роква и А. Л. Челидзе, Некоторые новые месторождения бентонитовых глин, Труды Кутаисского Госпединститута им. А. Цулукидзе. т. X, 1950—51.

5. ლ. ჭელიძე, წყალტუბოს რაიონის ბენტონიტური თიხები, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები. ტ. XII, 1954.

6. Н. Е. Веденеева, Изменение спектров красителей при адсорбции на минералах глин, Ж. Ф. Х. т. XXI, в. 8, 1947.

7. Г. Г. Уразов, Физико-химическое исследование отбеливающих земель Западной Грузии, Сборник „Отбеливающие земли СССР", 1933.

8. Э. Г. Кистер, О набухании глин, Нефтяное хозяйство, № 12, 1947.

9. Н. С. Курнаков, Введение в физико-химический анализ, 1940.

10. Л. Г. Берг, А. В. Николаев, Е. Я. Роде, Термография, 1944.

11. Н. И. Горбунов, И. Г. Цюрупа, Е. А. Шурыгина, Рентгенограммы, термограммы и кривые обезвоживания минералов, встречающихся в почвах и глинах, Академия Наук СССР, 1952.

12. С. С. Филатов, Оценка отбеливающих глин и истинных бентонитов для производственных целей, Бентонитовые глины Груз. ССР. вып. III, 1941.

13. В. Т. Быков, Сорбционные свойства и структура природных сорбентов, Автореферат докторской диссертации, Академия Наук СССР, 1952.

ა.ლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

ი. ს ა ლ ი ნ ა ძ ე

ქუთაისის მიდამოების კვარცის ქვიშები და ქვიშაქვები

ქუთაისის მიდამოებში ქვედა ნეოკომური ნალექები იწყება კვარცის ქვიშებით, რომელთა სიმძლავრე საშუალოდ 10—20 მ ფარგლებში ცვალებადობს. ზოგჯერ ეს ქვიშები შეცემენტებულია და არკოზული ქვიშაქვის სახით არის წარმოდგენილი. კვარცის ქვიშები და ქვიშაქვები ტრანსგრესიულად განლაგებულია იურულ ნალექებზე, ხოლო ზევით თანდათანობით გადადის ქვედა ნეოკომურ კირქვებში. ასეთი გადასვლა კარგად ჩანს ქ. ქუთაისში, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, „გვირაბის წყაროსთან“ არსებულ კედლისებურ გაშიშვლებაში.

კვარცის მარცვალთა ზომა სხვადასხვაგვარია. წვრილი, 1—2 მმ დიამეტრის მქონე მარცვლიდან დაწყებული მსხვილ რიყის ქვებამდე. მასალა მეტწილად დამუშავებულია; წყების ზედა ჰორიზონტში კვარცის მარცვალთა სიდიდე თანდათანობით კლებულობს (0,5—0,3 მმ-დე) და შეცემენტება ხშირად ძლიერ სუსტია. შიგადაშიგ გამოერევა კონგლომერატები და სუსტად დამუშავებული გრანიტის ნატეხებიც. ცნობილია, რომ ჩრდილოეთისაკენ საერთოდ კლებულობს მარცვალთა ზომა, მცირდება აგრეთვე წყების სიმძლავრე და რაჭის სინკლინის ჩრდილო ფრთაზე ცარცული იწყება უშუალოდ ქვედა ნეოკომური დოლომიტოვანი კირქვებით და სრულებით არ არის კვარცის ქვიშები და ქვიშაქვები.

ქუთაისისა და მის ირგვლივ არსებულ რაიონებში გავრცელებული კვარცის ქვიშები და ქვიშაქვები წარმოშობილია ქვედა ნეოკომური ტრანსგრესიის დროს, სამხრეთით მდებარე კრისტალური მასივის გადარეცხვის ხარჯზე (1).

ქუთაისის მახლობლად ქვედა ნეოკომური ნალექების ჭრილი მრავალ ადგილზეა ცნობილი. მათ შორის აღსანიშნავია, მდ. წყალწითელას ხეობის, სოფ. კვახჭირის, სოფ. მოწამეთის, სოფ. ბანოჯისა და თვით ქ. ქუთაისის მიდამოებისა. ყველა ჭრილში ჩანს,

რომ ზედა ჰორიზონტში ქვიშაქვები თანდათანობით კარბონატული ხასიათისაა და შემდეგ მთლიანად იცვლება სქელშრეებრივი კირქვებით. უკანასკნელთა ქვედა ფენები შეიცავს კვარცის მარცვლებს, ეს არის ქვედა ნეოკომური ასაკის დოლომიტოვანი კირქვები (3).

კვარცის ქვიშები და ქვიშაქვები ქუთაისის მიდამოებში მრავალ ადგილზე შიშვლდება, მაგრამ მათ შორის მნიშვნელოვანი პუნქტებია მწვანეყვავილას, ბანოჯის, კვახჭირის და ჭოგნარის უბნები, ამიტომაც ქვემოთ მოცემულია ამ საბადოთა ჭანების მოკლე დახასიათება.

მწვანეყვავილას საბადო. მწვანეყვავილას კვარცის ქვიშებისა და ქვიშაქვების საბადო დაშორებულია ქ. ქუთაისის ცენტრიდან 1,5 კილომეტრით; იგი წყალსადენის ქუჩის მახლობლად გაშიშვლებულია მცირე ბორცვის სახით და ვიწრო ზოლად გრძელდება ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დაახლოებით 2 კმ მანძილზე, მისი სიმძლავრე მერყეობს 15—45 მეტრამდე. ჭანი რიგ უბნებში სუსტად შეცემენტებულია და გაჭუჭყიანებული რკინის ჟანგით. კვარცის მარცვალთა ზომა ცვალებადობს 0,5 მმ—5 სანტიმეტრამდე.

კვარცის ქვიშების ყველაზე მძლავრი (40—45 მ) გამოსავალი გაშიშვლებულია მწვანეყვავილას ხევის მარცხენა ფერდობზე. აქ ფერადი წყების ჭანებზე განლაგებულია:

1. ძლიერ გათიხებული კვარციანი ქვიშაქვები, რომლებიც 5 მეტრის შემდეგ თანდათანობით გადადიან უფრო ღია ფერის წვრილმარცვლოვან ქვიშაქვებში, უკანასკნელნი შეიცავენ კაკლისოდენა კვარცის დამუშავებული კენჭების ჩანართებს, სიმძლავრე 6 მ;

2. ზევით — ყვითელი ფერის კვარცის ქვიშები, სისქე — 8 მ;

3. შემდეგ ჰორიზონტში ჭანი უფრო შეცემენტებულია, ზოგ უბანში შესამჩნევია ყვითელი ფერის თიხის მცირე ზომის ლინზები, სიმძლავრე — 5 მ;

4. კვლავ კვარცის ქვიშები, რომლებშიც ძლიერ ხშირია 10 სანტ. დიამეტრის მქონე დამუშავებული კვარცის ქვები, სისქე — 20 მეტრამდე;

5. სულ ზემოთ განლაგებულია 6 მეტრის სიმძლავრის შედარებით უფრო თანაბარმარცვლოვანი კვარცის ქვიშების ფენა.

მიკროსკოპული შესწავლა გვიჩვენებს, რომ ჭანი მეტწილად კვარციან ქვიშაქვას (ნახ. 167) წარმოადგენს, რომელიც სუსტად შეცემენტებულია მაგნეტიტით მდიდარი იზოტროპული თიხოვანი მასით. ცემენტში მოყოლილი მარცვლები უმთავრესად კვარცის, მინდვრის შპატის და იშვიათად ფიქლებრივი ჭანის ნატეხებით არის წარმოდგენილი (სურ. 1).



სურ. 1. არკოზული ქვიშაქვა. მწვანეყვავილა.
ნიმ. 167. გადიდ. 83. ნიკ. II.

კვარცი ორგვარი ხასიათისაა: ერთი ნაპრალებიანი და კატაკლაზური, მეორე კი არაკატაკლაზური, ძირითადი მასის უბნებით. მარცვალთა ზომა მერყეობს 0,1—3 მმ ფარგლებში. ამავე ზომის მარცვლებს იძლევა მინდვრის შპატიც, რომელიც წარმოდგენილია როგორც კალიშპატით, ისე პლაგიოკლაზით. უკანასკნელი მჟავე რიგისაა, რამდენიმედ შეცვლილია და პელიტურ მასებს იძლევა; ქანის ნატეხები მტკნილად ქლორიტით და მადნეული მინერალით არის შეცვლილი, შესამჩნევი რაოდენობით გამოიყოფა მუსკოვიტი დაგრეხილი ფურცლების სახით; ჩანს აპატიტის რამდენიმე მარცვალი; უკანასკნელს მკაფიოდ განვითარებული წახნაგები ახასიათებს; ცემენტი არათანასწორად არის წარმოდგენილი; ზოგ ადგილზე შეცემენტებაა ბაზალურია, ზოგან კი — კონტაქტური.

ზედა ჰორიზონტების რიგ უბნებში ქანის მთავარი მასა ცემენტით არის წარმოდგენილი, რომელიც შედგება ქლორიტის, პელიტური ნივთიერების და მაგნეტიტის მარცვლებისაგან; ცემენტში მოქცეულია ძირითადად კვარცის მარცვლები, კვარციტული ქანის ნატეხები და იშვიათად მინდვრის შპატები.

ზოგ ნიმუშში მკაფიოდ ჩანს ქანის არკოზული ბუნება, რადგან

ჭარბი რაოდენობით არის კალიუმის მინდვრის შპატები და პლაგიოკლაზი კვარცთან ერთად.

ქანის შემადგენელი მინერალების პროცენტულ შეფარდებას გვიჩვენებს 1-ლი ცხრილი.

ცხრილი 1.

მინერალები	გაუმდიდრებელი ნიმუში	გამდიდრებული ნიმუში
კვარცი	55%	84%
პლაგიოკლაზი	9%	5,5%
კალიუმის შპატი	17%	5,0%
თიხიან-ქვიშაქვიანი სერიციტული ცემენტი	15,20%	7,74%
ლიმონიტი	3,3%	0,9%

ქანის ქიმიურ შემადგენლობას გვიჩვენებს მე-2 ცხრილი:

ცხრილი 2.

	I შრე	II შრე	III შრე	IV შრე	V შრე	VI შრე
SiO_2	79,78	82,50	87,70	83,42	85,15	84,52
Al_2O_3	15,40	12,36	12,28	11,74	9,51	10,58
Fe_2O_3	0,95	0,59	0,64	0,72	0,71	0,31
CaO	0,60	0,57	0,51	0,57	0,33	0,49

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, ქვიშებისა და ქვიშაქვების ქიმიური შედგენილობა ვერტიკალური მიმართულებით მკვეთრად იცვლება.

ქანი შედარებით ერთგვაროვანია მიმართების გასწვრივ, რაზედაც ქვემოთ მოცემული მე-3 ცხრილი მიგვითითებს:

ცხრილი 3[1].

ნიმ. №	სინესტე	SiO_2	Al_2O_3	Fe_2O_3
73	0,15%	80,45%	12,17%	0,61%
74	0,14%	82,15%	10,49%	0,84%
75	0,30%	84,03%	11,06%	0,37%
76	0,30%	80,92%	11,45%	0,65%
77	0,26%	76,64%	11,70%	0,68%

[1] საანალიზო ნიმუშები აღებულია მთავარი კარიერიდან.

იმავე ნიმუშების საცრით ანალიზის შედეგები მოტანილია მე-4 ცხრილში:

ცხრილი 4.

მარცვლების ზომა	ნიმუშების № №				
	73	74	75	76	77
> 1,5 მმ	30,75%	38,00%	44,36%	37,09%	48,92%
1,5-დან—1,00 მმ	18,36%	18,00%	18,00%	16,00%	14,45%
1,00 „ 0,75 მმ	13,09%	14,00%	12,00%	12,54%	10,16%
0,75 „ 0,3 მმ	31,09%	27,00%	23,75%	36,73%	20,18%
< 0,3 მმ	8,73%	3,00%	2,91%	7,64%	6,19%

იმავე ქანების მექანიკური გამდიდრების შემდეგ დადგენილია ძირითადი კომპონენტების ქიმიური შედგენილობა ფრაქციების მიხედვით (ცხრ. 5[1]).

ცხრილი 5.

ნიმ. №	ფრაქცია 1,5 მმ				ფრაქცია 1,5—0,75 მმ				ფრაქცია 0,75—0,3 მმ			
	სინესტე	SiO_2	Al_2O_3	Fe_2O_3	სინესტე	SiO_2	Al_2O_3	Fe_2O_3	სინესტე	SiO_2	Al_2O_3	Fe_2O_3
73	0,08	93,31	3,58	0,37	0,10	91,64	5,20	9,47	0,09	88,90	6,94	0,34
74	0,19	92,06	3,98	0,59	0,16	93,00	4,04	0,50	0,08	89,42	4,62	0,62
75	0,21	93,58	4,14	0,17	0,18	91,14	5,16	0,16	0,20	87,10	7,45	0,62
76	0,19	93,51	4,81	0,39	0,19	90,71	5,99	0,18	0,10	86,50	8,70	0,18
77	0,19	93,40	3,98	0,15	0,20	90,80	5,91	0,14	0,20	87,12	7,60	0,43

ცნობილია, რომ მინის წარმოებაში გამოსაყენებელი კვარცის ქვიშა უნდა შეიცავდეს SiO_2-ის მაქსიმალურ რაოდენობას (93—99,5%-მდე), ხოლო Fe_2O_3-ის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 0,5% ს (მწვანე საბოთლე მინისათვის Fe_2O_3-ის რაოდენობას არა

[1] ანალიზების შედეგები ამოღებულია საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს მასალებიდან.

აქვს მნიშვნელობა). გარდა ამ პირობებისა, მინის გამოსადნობი ქვიშა თანაბარმარცვლოვანი უნდა იყოს, მარცვალთა ზომა საშუალოდ 0,2—0,5 მმ უნდა უდრიდეს; უმჯობესია დაკუთხული კვარცის მარცვლები.

მწვანეყვავილას ქანი ვერ აკმაყოფილებს ამ მხრივ მოთხოვნილებას, როგორც ზემოაღნიშნული ქიმიური და მექანიკური ანალიზებიდან ჩანს, მასში SiO_2-ის რაოდენობაც კი არ არის საკმარისი; ჰოხსენებული ქვიშის სულ ზედა ფენის გამოყენება შეიძლება საბოთლე მინისათვის.

ბანოჯის საბადო. ბანოჯის საბადო მდებარეობს სოფ. ბანოჯის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ქუთაისიდან 7 კმ მანძილზე. იგი წარმოდგენილია 15—20 მ სიმძლავრის ფენის სახით, რომელიც დაქანებულია NNO; ∟ 20—30°. კვარცის ქვიშები და ქვიშაქვები ვრცელდება ქუთაის-წყალტუბოს ძველი გზატკეცილის გასწვრივ, 2—3 კმ მანძილზე. ქანი ქვედა ნაწილში შეცემენტებულია, ზოგჯერ ბრეჭჩიული აღნაგობისაა. ხშირ შემთხვევაში გაშუქყიანებულია რკინის ჟანგის მინარევებით, რის გამო იგი მოყვითალო-მოწითლო ფერისაა.

ქვიშის ქიმიურ შედგენილობას გვიჩვენებს მე-6 ცხრილი.

ცხრილი 6.

სინესტე	SiO_2	Al_2O_3	Fe_2O_3	CaO
0,35—0,95	77,0—91,21	2,52—11,55	0,63—1,75	0,30—1,65

ქანის შემადგენელი მარცვლების ზომა ცვალებადობს 1—15 მილიმეტრამდე.

ამრიგად, ბანოჯის კვარცის ქვიშების გამოყენება მინის წარმოებისათვის შესაძლებელია მხოლოდ გამდიდრების შემდეგ.

გარეგნული შეხედულებით ბანოჯის კვარცის ქვიშა ძირითადად მწვანეყვავილას ქანის მსგავსია. მიკროსკოპში ქვიშის მთავარი მასა კვარცითა და მინდვრის შპატით არის წარმოდგენილი. კვარცი დაკუთხული, ზოგჯერ ნახევრად დამრგვალებულია, ახასიათებს ძლიერი კატაკლაზი და დანაპრალება სხვადასხვა მიმართულებით. მარცვალთა ზომა დიდ ფარგლებში მერყეობს. მოზრდილი მარცვლებს დიამეტრი მეტწილად 3—5 მმ უდრის, მცირე ზომის მარცვლების კი — 0,1—0,2 მმ.

მინდვრის შპატი ორგვარი ხასიათისაა: კალციუმ-ნატრიუმიანი და კალიუმიანი. პირველი ალბიტ-ოლიგოკლაზის რიგისაა, მეორე კი მიკროკლინით არის წარმოდგენილი. ქანი სუსტად შეცემენტებულია, ცემენტი წარმოადგენს წვრილ-აგრეგატულ ქლორიტულ-პელიტურ მასას, რომელიც რკინის ჰიდრო-ჟანგს შეიცავს. უმნიშვნელო რაოდენობით აღინიშნება მუსკოვიტის მცირე ზომის ქერცლები.

ბანოჯის კვარცის ქვიშებისა და ქვიშაქვების გაგრძელებას წარმოადგენს ქუთაისში ბაგრატის ტაძრის ნანგრევების ახლოს გაშიშვლებული კვარციანი ქვიშაქვები. ეს უკანასკნელი ხარისხით ჩამორჩება ზემოაღნიშნულ ქანებს. ძლიერ შლამიანია და ამავე დროს უფრო შეცემენტებული. მიკროსკოპულად ძირითადად ბანოჯის ქვიშაქვების ანალოგიურია. ქანის ქიმიური შედგენილობა ცვალებადია; მკვეთრად იცვლება მთავარი კომპონენტების — SiO_2, Al_2O_3 და Fe_2O_3-ის შემცველობაც.

ჰოგნარისა და კვახჭირის კვარციანი ქვიშაქვები. ეს ქანები ზემოაღწერილი ქვიშაქვების ანალოგიურია, იმ განსხვავებით, რომ აქ ქანი უფრო შეცემენტებულია, ვიდრე წწვანეყვავილასა და ბანოჯის საბადოებში.

მიკროსკოპული შესწავლით გარკვევით ჩანს, რომ ჰოგნარის საბადოში ორგვარი ქანი გამოიყოფა: ერთი წვრილმარცვლოვან არკოზულ ქვიშაქვას წარმოადგენს, რომელიც მეტწილად შედგება ეფუზიური და კატაკლაზური კვარცისაგან. ქანში მონაწილეობს აგრეთვე მიკროკლინი და ალბიტ-ოლიგოკლაზი. მიკროსკოპულად ჰოგნარის ქვიშაქვები ბანოჯის ქვიშაქვების მსგავსია.

მეორე ნაწილი გაცილებით უფრო წვრილმარცვლოვანია და შედგენილობითაც განსხვავდება პირველისაგან. ქანის მთავარი შემადგენელი კომპონენტებია: დაკუთხული კვარცი, მეტწილად კატაკლაზური ხასიათისა, მიკროკლინი და იშვიათად პლაგიოკლაზი. კვარცი ბევრად ჭარბობს მინდვრის შპატს და მთელი ქანის 60%-ზე მეტს შეადგენს. ყურადღებას იპყრობს ცემენტის სიჭარბე და მისი ხასიათი, რომლის მთავარი მასა თიხოვან-სერიციტულია.

კვახჭირის ქანი როგორც მაკროსკოპულად, ისე მიკროსკოპულად ჰოგნარის ქანის მსგავსია.

აღწერილი ქანების გამოყენების საკითხი. ზემოაღწერილი კვარციანი ქვიშაქვები სუსტი შეცემენტების გამოსაშენ ქვად უვარგისია.

მინის წარმოებისათვის გაუმდიდრებლად ვარგისი კვარცის ქვიშები დასახელებულ საბადოებში არ მოიპოვება. ხოლო მექანიკური

გამდიდრების შემდეგ ამ დანიშნულებისათვის პირველ რიგში ვარგისია ბანოჯისა და მწვანეყვავილას ქვიშები.

მოხსენებულ საბადოთა კვარცის ქვიშების მექანიკური და ქიმიური თვისებები საშუალებას იძლევა, რათა ისინი გამოყენებულ იქნას სამშენებლო საქმეში დულაბის ერთ-ერთ მინარევად. იგი შეიძლება გამოდგეს აგრეთვე სილიკატური აგურის წარმოებაში და ინერტულ შემავსებად ამა თუ იმ მჭიდა ნივთიერებასთან ერთად.

იმისათვის, რომ სივრცე მაქსიმალურად აივსოს, სამშენებლო საქმეში გამოსაყენებელი ქვიშა არათანაბარმარცვლოვანი უნდა იყოს. ხოლო იმ მიზნით, რომ ნაგებობას საჭირო მექანიკური სიმტკიცე მიეცეს, ქვიშის მარცვლები დაკუთხული უნდა იყოს. ამ მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებს განსაკუთრებით ბანოჯისა და მწვანეყვავილას კვარცის ქვიშები.

უკანასკნელ ხანებში კვარცის ქვიშების გამოყენება იწყეს საგზაო საქმეში. პრაქტიკამ ცხადყო, რომ ეს ქანი კარგი მასალაა გზატკეცილების დასახურავად. ამ დანიშნულებისათვის უმჯობესია თიხით მდიდარი ქვიშა, რადგან თიხოვანი ნივთიერება ხელს უწყობს ქანის დატკეპნას.

აღსანიშნავია, რომ აღწერილი ქვიშებისათვის მოსახლეობას ადრევე მიუქცევია ყურადღება, მას „ალიზს" უწოდებენ და უძველესი დროიდან ხმარობენ მშენებლობაში, როგორც შემკვრელ მასალას, კირის ცომის მაგიერ. მაგრამ „ალიზის" ასე ბუნებრივ პირობებში გამოყენება არ არის მიზანშეწონილი.

საჭიროა, სათანადო ტექნოლოგიური პროცესების ჩატარებით, დამუშავდეს აღწერილი ქვიშების მშენებლობაში რაციონალურად გამოყენების წესები.

(შემოვიდა რედაქციაში 1. X. 1954).

И. А. САГИНАДЗЕ

КВАРЦЕВЫЕ ПЕСКИ И ПЕСЧАНИКИ В ОКРЕСТНОСТЯХ Г. КУТАИСИ

Резюме

В окрестностях города Кутаиси с нижненеокомскими отложениями связаны месторождения кварцевых песчаников и песков (Мцванеквавила, Баноджа, Квахчири, Чогнари и др.). Песчаники состоят, главным образом, из зерен кварца, полевых шпатов и реже, обломков сланцеватых пород.

Кварц представлен как катакластической гранитной разновидностью, так и явно эффузивными бипирамидальными зернами с включением основной массы. Цемент породы представлен богатой магнетитом изотропной массой.

Порода слабо сцементирована, вследствие чего ее нельзя использоват для строек.

Главными составными компонентами кварцевых песков являются угловатый катакластический кварц и полевой шпат. Полевой шпат представлен как кислым плагиоклазом ряда альбит-олигоклаза, так и микроклином.

Пески после обогащения можно использовать в производстве стекла (месторождения Баноджа и Мцванеквавила).

Необходимо проведение опытных работ для выяснения возможности использования этих песков в качестве инертного заполнителя, вяжущего материала и в производстве силикатного кирпича.

ლიტერატურა

1. А. И. Джанелидзе. Геологические наблюдения в Окрибе и в смежных частях Рачи и Лечхума. Изд. Груз. Фил. Акад. Наук СССР. 1940.

2. Ш. И. Надвлишвили, Ф. Ф. Фальк и А. М. Терьян; Кварцевые пески Западной Грузии, как сырье для стекольной промышленности. Тр. Груз. отд. ВИМС. Тбилиси. 1939.

3. ი. ა. სალიბაძე, ქუთაისის მიდამოების კირქვიანი დოლომიტები და დოლომიტოვანი კირქვები, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. XII, 1954.

ა.ლ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIV, 1955.
Труды Кутаисского Государственного Педагогического Института имени А. Цулукидзе, XIV, 1955.

გ რ. დ ე ვ დ ა რ ი ა ნ ი

ეპიროგენეტური მოძრაობა და მისი როლი დასავლეთ საქართველოს დეპრესიის რელიეფის ჩამოყალიბებაში

ჯერ კიდევ უძველეს დროში შენიშნა ადამიანმა ზღვის სანაპიროს გადაადგილება, რომ ხან ზღვა იპრებოდა ხმელეთზე, ხან კი, პირიქით, ხმელეთი იზრდებოდა ზღვის ხარჯზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოვლენა მიმდინარეობს ძალზე ნელი ტემპით ადამიანმა მაინც შეძლო მისი დადასტურება. ზღვის ნაპირების ცვალებადობის შესასწავლად სპეციალური მეცნიერული დაკვირვებები აწარმოეს გაცილებით გვიან. 1620 წელს ბოტნის უბის ნაპირზე ააგეს ნაესაყუდელი ტორნეო. დაახლოებით 100 წლის შემდეგ მან თავისი დანიშნულება დაჰკარგა ზღვის სიღრმის შემცირების გამო.

სკანდინავიის ნახევარკუნძულზე ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობის შესწავლას დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებენ. იქ ეს მოძრაობა და ზღვის სიღრმის ცვალებადობის მოვლენები ადგილობრივი მოსახლეობისათვისაც ცნობილია.

წინათ ზღვის უკუდახევას ხსნიდნენ წყლის რაოდენობის შემცირებით მსოფლიო ოკეანეში. ამ შემთხვევაში მსოფლიო ოკეანის წყლის რაოდენობის შემცირება ერთდროულად ყველგან უნდა იგრძნობოდეს, სინამდვილეში ასე არ ხდება, პირიქით, ზოგან იმავე პერიოდში დონე მაღლდება და ხმელეთის ნაწილი წყლით იფარება.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ, ერთი მხრივ, რავენა მდ. პოს შესართავთან, მეორე მხრივ, სანაპირო ქ. ნეაპოლის ახლოს. აქ, ფლეგრეის ველზე, პატარა ქალაქ პოცუოლში, ანტიკური დროის ცნობილი იუპიტერ-სერაფისის ტაძრის ნანგრევებზე არის დარჩენილი ზღვის სანაპიროს ვერტიკალური მოძრაობის დამადასტურებელი საბუთები. გამოირკვა, რომ მოძრაობას ჰქონდა რყევითი ხასიათი: XV საუკუნემდე სანაპირო განიცდიდა დაწევას,

რამაც გამოიწვია ნანგრევების ნაწილის ზღვით დაფარვა, შემდეგ უარყოფითი მოძრაობა დადებითით შეიცვალა და წყლით დაფარული ნანგრევების ნაწილი წყლისაგან გათავისუფლდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან დადებითი მოძრაობა ისევ უარყოფითით შეიცვალა, რაც დღემდე გრძელდება. ამჟამად ნეაპოლის სანაპიროს დაწევის სიდიდე უდრის წელიწადში 2 სანტიმეტრს (პელოუსოვი, 1955).

მსგავსი მოვლენები მიმდინარეობს სხვაგანაც. ვ. ბელოუსოვი (1954) აღნიშნავს, რომ ერთ ადგილზე ზღვის უკუდახევისა და სხვაგან მისი ხმელეთზე შეჭრის ერთდროულობა მაჩვენებელია იმის, რომ ამ მოვლენის მიზეზია ლითოსფეროს მოძრაობა: ხმელეთი სანაპიროზე იძირება.

ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ მსოფლიო ოკეანის დონის საერთო რყევაც, რაც გამოისახება ერთდროული, თანაბარი და საყოველთაო მოძრაობით — ან დაწევით ან აწევით; იგი ცნობილია ევსტატიკური რყევის სახელით.

საერთოდ, ევსტატიკური მოძრაობის მნიშვნელობა დიდი არ არის. ზოგ შემთხვევაში, მაგ. კლიმატური პირობების მკვეთრი შეცვლის გამო მისი მნიშვნელობა ძალზე მატულობს. მეოთხეული გაყინვარების ეპოქაში ყინვარების დნობით წყლის შემოსავალი ერთბაშად გაიზარდა. აღნიშნავენ, რომ ამით მსოფლიო ოკეანის დონე ამაღლდა 60—100 მეტრით.

ჩარლზ ლაიელის მიხედვით, ბუხი იყო პირველი გეოლოგი, რომელმაც პირადი დაკვირვებების შედეგად გამოთქვა აზრი სკანდინავიის ვერტიკალური მოძრაობის, საბელდობრ, აზევების შესახებ. განსაკუთრებით ფართოთ გავრცელდა ეს შეხედულება თვით ლაიელის გამოკვლევის გამოქვეყნების შემდეგ (1835).

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ზღვის სანაპირო ხაზის გადაადგილების შესახებ ავტორიტეტული აზრი გამოთქვა ზიუსმა. მან ოკეანის დონის რყევის ორი კატეგორიის მიზეზები აღნიშნა: ა) პერიოდული რყევა, რომელიც დამოკიდებულია მეტეოროლოგიურ უპირატესობებზე (ატმოსფერული წნევისა და ქარების ცვალებადობა), ნალექებზე, მდინარეებზე, ადგილობრივ ყინვარულ პირობებზე, მარილების შემცველობაზე, წყლის ტემპერატურაზე; ბ) ეპიზოდური რყევა, რომელსაც იწვევს თვით ფსკერის ფორმის შეცვლა ნაპირების დაწევის, ან ოკეანის ფსკერის აწევ-დაწევის შედეგად. მსოფლიო ოკეანის დონის ერთდროული ამოწევა ან დაწევა მან ევსტატიკუ-

რად მიიჩნია და ოკეანეთა ტევადობის ცვალებადობას დაუკავშირა.

ა. პენკის მიხედვით, უკანასკნელი გაყინვარების დროს ყინვარების დნობის შედეგად ოკეანეების დონე უნდა ამაღლებულიყო 100 მეტრით, ანუ 5—10 მეტრით 1000 წლის განმავლობაში. ს. დელის გამოანგარიშებით, თუ მეოთხეულ ყინვარებს წარმოვიდგენთ 914, 1097, 1219 და 1524 მ სიმძლავრისას, ამასთან შეფარდებით მათი არსებობის განმავლობაში ოკეანის დონე უნდა დაწეულიყო 38. 45, 50 და 63 მეტრით (ნიკოლაევი, 1949).

აღნიშნულ შეხედულებებს იზიარებენ სხვა მკვლევარებიც, სახელდობრ, დ. მუშკეტოვი, ლიჩკოვი, დე-გეერი, საურამო, ჰიორგელი, გუტენბერგი და სხვები.

აღნიშნავენ, რომ გლაციალურ-ევსტატიკური ფაქტორი რიცხობრივად გაცილებით ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ტექტონიკური. ოკეანის თანამედროვე დონის ცვლილებების რიცხობრივად განსაზღვრის ცდა მოახდინა გუტენბერგმა. მისი გამოანგარიშებით, უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ოკეანის დონემ 11 სანტიმეტრის სიჩქარით აწევა განიცადა ასი წლის განმავლობაში. გუტენბერგი უარყოფს დონის ამაღლების შესაძლებლობას ზღვებში ნალექების დაგროვებით. იგი ამბობს: „ყინვარებისა და პოლარული ყინულების დნობას, კონტინენტების გაგანიერებას, ოკეანეების ფსკერის ამოწევას დინებების შედეგად, რომლებიც მიწის ქერქის ქვეშ მიმდინარეობს, შეუძლიათ ხელი შეუწყონ ზღვის დონის ამაღლებას“ (ნიკოლაევი, 1948).

ვერტიკალური მოძრაობა სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვა ნიშნითა და განსხვავებული ამპლიტუდით მიმდინარეობს, რაც უმთავრესად მიწის ქერქის ტექტონიკური სტრუქტურის ცვალებადობით არის გამოწვეული. მკვლევარების მიერ ეს საკითხი განხილულია კონკრეტული შემთხვევების ანალიზის შედეგად. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა განვიხილოთ ისეთი შრომები, რომლებიც ეხებიან კავკასიას და მის ახლო მდებარე ტერიტორიებს.

ბ. ლიჩკოვმა ხმელეთის ეპიროგენეტურ მოძრაობას რამდენიმე სტატია უძღვნა (1927, 1934, 1944). მან ფრანგი გეომორფოლოგების (დეპერეს, ლა მოტის და სხ.) საწინააღმდეგოდ, რომლებიც მთავარ როლს ევსტატიკურ მოძრაობას ანიჭებდნენ, ხმელეთის ვერტიკალური რყევა იზოსტაზიური მოძრაობით ახსნა და ევროპისათვის ასეთი მოძრაობის შემდეგი ოთხი ზონა გამოყო: 1. სამხრეთი (ხმელთაშუა ზღვის), სადაც ბევრია ტერასები. 2. ჩრდილო;

ტერასები იქაც ბევრია, მაგრამ უფრო ახალგაზრდა. 3. შუა, სადაც ცოტაა ტერასები. ხმელეთის მოძრაობის ზონალურ ხასიათს იგი აკავშირებს მეოთხეული ყინვარების წნევასთან ჩრდილო ევროპაში.

თავის გვიანდელ შრომებში (1941, 1944) ლიჩკოვმა ამ შეხედულებას შემდგომი განვითარება მისცა. იგი აღნიშნავდა, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ალპური დანაოჭების ეპიროგენიის ხანაში, ამიტომ თანადროულ ეპოქას ახასიათებს რელიეფის აქტიური ჩამოყალიბების პროცესი, რაც ლაპარაკობს არა მარტო ცალკეული მთების ფორმების ახალგაზრდობის, არამედ მთელი მიწის რელიეფის შესახებაც. მისი აზრით, ხმელეთს ორივე ნიშნიანი მოძრაობა ერთმანეთთანაა დაკავშირებული, მაგალითისათვის ასახელებს ჩრდილო და სამხრეთ ევროპას. ყინვარების დაგროვებით ჩრდილო ევროპამ განიცადა დაწევა, სამხრეთმა კი აზევება; ყინვარებისაგან გათავისუფლების შემდეგ ჩრდილოეთში დაიწყო აზევება, სამხრეთში კი — დაწევა. კავკასიის შესახებ ლიჩკოვი ამბობს: ოურულიდან ჩრდილო კავკასიის მოსაზღვრედ დაძირვის პირობებში მყოფი ორი მუღლდა განვითარდა. მათ ფსკერზე გროვდებოდა დიდი რაოდენობის მასალა. მეზოზოურში და კაინოზოურში კავკასიონის, კარპატებისა და ყირიმის მთების ენერგიული აზევება და გადარეცხვა მიმდინარეობდა. ამ მთების ძირთან წარმოიქმნა ღრმა დაძირვის ზოლი, რომელიც სისტემატურად ივსებოდა მთებიდან ჩამოტანილი მასალით. შემდეგ განაგრძობს, რომ ახალგაზრდა მთების ზონაში აზევება მიმდინარეობს ეტაპებად. მაღალი მთები გადარეცვით დაბლდება, მაგრამ ამასთანავე დადებით მოძრაობას განიცდის; მთისპირეთებში კი მთებიდან ჩამოტანილი მასალის დაგროვების გამო უარყოფითი მოძრაობა მიმდინარეობს. ლიჩკოვი ვარაუდობს შავი ზღვის სანაპიროს თანაბარ აზევებას პლიოცენსა და მეოთხეულის განმავლობაში. როგორც ახალი გამოკვლევებით დასტურდება, ლიჩკოვის ეს ვარაუდი მცდარია.

ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობა ერთსა და იმავე ზონებშიც კი არ მიმდინარეობს თანაბრად და ჰარმონიულად, იგი ცვალებადია და წყვეტილი, რაც ამა თუ იმ ადგილის მორფოლოგიური პირობებითაც დასტურდება (მაგ. სხვადასხვა სიმაღლის ტერასების არსებობა).

შავი ზღვის ცნობილი მკვლევარები ნ. ანდრუსოვი და ა. არხანგელსკი სხვადასხვაგვარად ხსნიდნენ შავი ზღვის დონის ცვალებადობას პლიოცენში და მეოთხეულში. ანდრუსოვი ეყრდნობოდა ევსტატიკურ მოძრაობას, არხანგელსკი — ტექტონიკურს.

ძნელად მოიძებნება ისეთი მკვლევარი, რომელსაც კავკასიონის თანამედროვე რელიეფის ჩამოყალიბებისა და, კერძოდ, ტერასების განხილვასთან დაკავშირებით გვერდი აეცილოს ეპიროგენეტური მოძრაობისათვის.

იმის შესახებ, თუ რა სახის იყო ვერტიკალური მოძრაობა კავკასიონზე — თაღური ტიპის თუ დიფერენციულ-ბლოკური, ან როგორი იყო მოძრაობის ამპლიტუდა, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. ზოგი მკვლევარი (მაგ. ლ. ვარდანიანცი, ხაინი) ახალგაზრდა ტექტონიკურ მოძრაობებს აკავშირებს დანაოჭების მოვლენებთან. ნიკოლაევის მიხედვით, მრიალი მხარეების უმრავლესობას ეშჩნევა ტენდენცია აზევების პირობებში მყოფი ადგილების გაგანიერებისა და აკუმულაციის მქონე რაიონების შემცირერებისა, ეს ნიშნავს იმას, რომ აზევებას განიცდის არა მარტო მთები, არამედ მასთან მდებარე ძველი ბაქნებიც. ამრიგად, ნიკოლაევი იზიარებს იმ მკვლევართა შეხედულებას, რომლებიც აღიარებენ თაღური ტიპის აზევებას. ამ შემთხვევაში ვერტიკალური მოძრაობის სიდიდე მატულობს მთების ცენტრალური ნაწილისაკენ, ე. ი. ბაქნებიდან დანაოჭებული მთებისაკენ. აღნიშნული ავტორის აზრით, კავკასიონზე აზევების სიდიდე წელიწადში უდრიდა ერთ მილიმეტრს, ხოლო დაწევა, მაგ. შავი ზღვის ფარგლებში, 2-3 მმ. ლ. ვარდანიანცის შეხედულებით, კავკასიონზე დიფერენციულ-ბლოკური მოძრაობის პირობებში აზევების სიდიდე ცენტრალურ ნაწილში აღწევდა 5 მმ. წელიწადში.

ვერტიკალური მოძრაობის აღნიშნული მონაცემები შეუძლებელია მივიჩნიოთ მართებულად, რადგან არც ერთი დასახელებული ციფრი არ ყოფილა კავკასიონისათვის შემოწმებული ზუსტი მეთოდებით. უკანასკნელ ხანებში სხვადასხვა რაიონში ჩატარებული ახალი ნიველობით დადასტურდა, რომ ვერტიკალური მოძრაობა აქტიურ ტექტონიკურ მხარეებში, განსაკუთრებით კი მთებში, უფრო ძლიერია. რუსეთის ბაქნის დასავლეთ ნაწილში ამას წინათ ჩატარებული განმეორებითი ნიველობის შედეგად (ივანგო, 1954) აღმოჩნდა, რომ ორივე ნიშნის ვერტიკალური მოძრაობის საშუალო სიდიდე არ უდრის 3-4 მმ; საერთოდ ცნობილია, რომ ვერტიკალური მოძრაობა ახალგაზრდა მთიან მხარეებში უფრო ძლიერია, ვიდრე ბაქნებში.

ახალგაზრდა ტექტონიკური მოძრაობების საკითხს მნიშვნელოვანი შრომები მიუძღვნა ა. რეინგარდმა (1934, 1938, 1939). მისი აზრით, კავკასიონზე მეოთხეულში აღმავალ მოძრაობაში მყოფ ბელ-

ტებთან ერთად იყო დაწევის პირობებში მყოფი ბელტებიც მაგ. ყველაზე ძლიერ მაღლდებოდა მთავარი ქედის ზონა. სახელდობრ, მდ. ყუბანისა და მდ. თებერდის აუზებში მინდელური გაყინვარების შემდგომი აზევება უდრიდა 1200—1500 მ. ვარდანიანცისა და რენგარტენის შეხედულებით, აზევება აღწევდა 2000—3000 მ. რეინგარდის მიხედვით. მთებში აზევება მიმდინარეობდა ერთდროულად, არა მარტო პერიოდული შეჩერებებით ან შენელებით, არამედ საწინააღმდეგო მოძრაობითაც იცვლებოდა, რაც თუ მთელ სისტემას არ შეეხებოდა, ცალკეულ ბელტებზე მაინც გავრცელდებოდა. ბელტების დამოუკიდებელი მოძრაობის პარალელურად კიდევ ადგილი ჰქონდა მათთა მთელი სისტემის საერთო მოძრაობასაც. ამისათვის იგი იმოწმებს ძველი დენუდაციური დონეების თაღურ მდებარეობას და ზღვიურ ტერასებს. ამრიგად, რეინგარდს კავკასიონისათვის შესაძლებლად მიაჩნია როგორც თაღური ტიპის აზევება, ისევე ცალკეული ბელტების სხვადასხვა ამპლიტუდით მოძრაობაც.

პ. პრავოსლავლევის (1930) აზრით, ეპიროგენეტურ მოძრაობას კავკასიაში აქვს დიფერენციული ხასიათი — ერთსა და იმავე დროს ზოგი უბნის აზევება ხდება, ზოგის კი — დაწევა, ზოგიც, შესაძლებელია, ჰორიზონტულ მოძრაობაში იყოს მოქცეული. მუდამ ერთნაირი არ არის, აგრეთვე, მოძრაობის ნიშნებიც — აზევებული უბანი იწყებს დაწევას, დაწეული კი — აზევებას. ეს მოვლენა მან ახსნა ტანგენსური დაწოლით მიწის ქერქში და იზოსტაზისური კომპენსაციით.

ნ. ნიკოლაევი ბელტურ მოძრაობას კავკასიონისათვის უარყოფს, მისი აზრით ყველა სახის ვერტიკალური მოძრაობის დიფერენცირება ხდება ცალკეული სტრუქტურულ-ტექტონიკური ელემენტების მიხედვით. მას საეჭვოდ მიაჩნია ერთმანეთისაგან დიდი მანძილით დაცილებული ადგილებისათვის მოცემული პერიოდისა და ამპლიტუდის რყევითი მოძრაობის სრული იზოქრონულობა (1950, 1954).

შავი ზღვის მიდამოების ჩამოყალიბების საკითხებზე საინტერესო შეხედულება მოგვცა მ. მურატოვმა (1948, 1951). მისი აზრით შავი ზღვის ღრმული და მის ახლო მდებარე მთავარი გეოტექტონიკური ელემენტები შეიქმნა შუა მიოცენში. შემდეგ მიმდინარეობდა გეოანტიკლინების გაგანიერება და მათი თაღური აზევება, რაც დღემდე გრძელდება. გეოანტიკლინების გაძლიერებული ზრდის ეპოქებად იგი ვარაუდობს შუა იურის დასაწყისს, ზედა

იურის ბოლოს და ქვედა ცარცს, ეოცენის მეორე ნახევარს და ოლიგოცენს, ქვედა და ზედა მიოცენს, პლიოცენსა და მეოთხეულს.

მურატოვმა დაუშვა ხმელეთის ორგვარი დადებითი მოძრაობა — საერთო და კერძო. შავი ზღვის აუზი და მის ირგვლივ მდებარე მთები კერძო აზევებასთან ერთად (რაც მსხვილ ანტიკლინებზე ვრცელდება) განიცდიან საერთო აზევებასაც. შავი ზღვისპირეთში მაქსიმალური ამაღლება მოხდა ჩაუდურის შემდეგ და მასვე დაუკავშირდა თანამედროვე მდინარეთა ქსელის ჩამოყალიბება.

ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად დამადასტურებელ საბუთად ყველას მიერ მიჩნეულია ტერასები (მდინარეული და ზღვიური), რომ მათი წარმოშობა დამოკიდებულია ხმელეთის წყვეტილ-აღმავალ მოძრაობაზე. ამასთანავე, შემჩნეული იქნა ის გარემოებაც, რომ მთები და ბაქნები განიცდიან დადებითს, ანუ აღმავალ მოძრაობას, და მუღლები და დეპრესიები კი — უარყოფითს, ანუ დაძირვას. ოკეანის დონის ევსტატიკურ რყევას მთიანი მხარეებისათვის შეუძლებელია ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა.

დონის პერიოდული ამაღლების შესაძლებლობა მეოთხეულში კლიმატური მიზეზების გამო, მხედველობაში მისაღებია. პლიოცენის დასასრულიდან ჰავის პირობების მკვეთრი ცვლილებების გამო მიწის ზედაპირზე წყალი მოვიდა დიდი რაოდენობით. კლიმატური ცვლილებები ზოგან ყინვარების წარმოშობითა და ზოგან ძლიერი წვიმებით გამოისახა. წყლის სიუხვემ დიდი გავლენა მოახდინა მაშინდელ მდინარეულ ქსელზე და ზღვის აუზებზე, განსაკუთრებით, დახშულ ზღვებზე. ტბებში წყლის დადებითი ბალანსის მკვეთრად გაზრდის შედეგად მათი დონის საგრძნობლად ამაღლება მოხდა, ოკეანეებთან დაკავშირებულ ზღვებში კი ძალზე შემცირდა მარილიანობა. წყლის შემოსავლის ერთბაშად გაზრდით შეიძლებოდა ამაღლებულიყო მსოფლიო ოკეანის დონეც. ეს მით უფრო მართებულად ჩაითვლება, თუ დავუშვებთ ჰავის პირობების შეცვლის საყოველთაო ხასიათს.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ურთიერთობა არსებობდა ზღვის აუზების დონის ცვალებადობასა და მთიანი მხარეების ვერტიკალურ მოძრაობას შორის, ჯერ კიდევ ბუნდოვანია. გამოდგება თუ არა ამ შემთხვევაში ბ. ლიჩკოვის ზემოაღნიშნული შეხედულებანი, საეჭვოა. ყოველ შემთხვევაში შეიძლება ვივარაუდოთ რყევითი მოვლენების გამაერთიანებელი პირობების არსებობა, რაც მიზეზების საყოველთაო ხასიათზე ლაპარაკობს, თუმცა ამის აღი-

არება მოძრაობის ლოკალურ შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს.

ე. ბელოუსოვის მიხედვით, კავკასიონის გეოანტიკლინის ინტენსიური ინვერსია მოხდა მიოცენისა და ოლიგოცენის საზღვარზე. შემდეგ ქედი განიცდიდა გაგანიერებას, ხოლო მის ახლო მდებარე აუზები — შემცირებას. ამის მიზეზი არა იზოსტაზისური კომპენსაციაა, არამედ ენდოგენური მოვლენები. უდავოდ უნდა მივიჩნიოთ ის მოვლენა, რომ კავკასიონი და ანტიკავკასიონი განიცდიდნენ ალმავალ მოძრაობას, მათ შორის მდებარე რიონის დეპრესია კი — დაძირვას. ამასთანავე, საჭიროა ვიგულისხმოთ ის გარემოებაც, რომ ორივე მოძრაობა იცვლებოდა — ხან აჩქარებული ხდებოდა, ხან კი სრულიად ჩერდებოდა; შესაძლებელი იყო, აგრეთვე, ისიც, რომ ერთსა და იმავე უბანზე ერთნიშნიან მოძრაობასთან მონაცვლეობდა მეორე ნიშნიანი მოძრაობა. დადგენა იმისა, თუ როდის, გეოლოგიური დროის რომელ მონაკვეთში როგორი მოძრაობა იყო, ან მოძრაობის ცვალებადობა ხასიათდებოდა თუ არა რაიმე კანონზომიერებით, შეუძლებლად უნდა ჩაითვალოს. მიოცენიდან დღემდე საკმაოდ დიდმა გეოლოგიურმა დრომ განვლო უაღრესად მნიშვნელოვანი ცვლილებებით. გეოლოგიური აგებულებითა და ძველი რელიეფის რელიქტებით ნაწილობრივ ხერხდება ამ ცვლილებების აღდგენა, მაგრამ გაცილებით უფრო ძნელია წარმოდგენა ვიქონიოთ ეპიროგენეტური მოძრაობის ხასიათის ყოველგხრივ ცვალებადობაზე. ტერასების სიმაღლის მიჩნევა აზვების სიდიდის ექვივალენტად საკმარისი არ არის, რადგან ეს წყლის რაოდენობის ცვალებადობაზეც არის დამოკიდებული. ანდრუსოვმა სუდაკის მიდამოების ტერასების წარმოშობა კლიმატური მიზეზებით ახსნა. რატომ არ შეიძლება ზოგიერთი ზღვიური ტერასის წარმოშობა დავუკავშიროთ წყლის ბალანსის ცვალებადობით გამოწვეულ დონის აწევ-დაწევას?.. თუ ეს შესაძლებელია, ტერასები ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობის უტყუარ საბუთად ყოველთვის ვერ ჩაითვლება, მიუხედავად იმისა, რომ ეპიროგენეტური მოძრაობა მათ წარმოშობაში მაინც დიდ მონაწილეობას ღებულობდა. ვერტიკალური მოძრაობის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე დენუდაციური ზედაპირების არსებობა მთიან მხარეებში, თუმცა მათი შექმნის საქმეში დიდი როლი შეასრულა, აგრეთვე, ჰიდროგრაფიული ქსელის ადგილობრივი ბაზისების ცვალებადობამ, რაც სხვა ტექტონიკური ან მორფოლოგიური მიზეზებითაც შეიძლება აიხსნას.

ამრიგად, მიწის ქერქის ვერტიკალური მოძრაობა უტყუარი

საბუთებით დასტურდება, მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს ამ მოვლენის როლის გადაჭარბებული შეფასება.

ამ ზოგადი ხასიათის შენიშვნების შემდეგ დავუბრუნდეთ ისევ იმ საკითხს, თუ როგორ იმოქმედა ხმელეთის ვერტიკალურმა მოძრაობამ კავკასიის ცალკეული ნაწილების გეომორფოლოგიურ განვითარებაზე

მ. მურატოვმა (1951) შავი ზღვის აუზის განვითარების ისტორია დაჰყო რა ხუთ სტადიად, აღნიშნა, რომ პლიოცენში ამ აუზის ირგვლივ მდებარე ანტიკლინები (ყირიმის მთების, კავკასიონის, პონტის, ბალკანების და სხვ.) განიცდიდნენ აზევებას.

ამ შეხედულების მიხედვით, რიონის დეპრესია. ისევე როგორც აღნიშნულ ანტიკლინებს შორის მდებარე სხვა ანალოგიური დეპრესიები, იძირებოდა, მაგრამ ამასთანავე იგი იმყოფებოდა ხოლმე საერთო დადებითი მოძრაობის სფეროში.

სანამ კავკასიონისა და ანტიკავკასიონის მთათა სისტემები შეიქმნებოდა, მანამ ხმელეთისა და წყლის განაწილება კავკასიის ყელზე სრულიად სხვაგვარი იყო. ხმელეთის ვიწრო ზოლები კავკასიის გეოსინკლინებს ერთმანეთისაგან გამოჰყოფდა. ერთ-ერთი იმდროინდელი ხმელეთი მდებარეობდა კავკასიონის ახლანდელი კრისტალური ზონის ფარგლებში, მეორე — კავკასიონის სამხრეთი ფერდობისა და ანტიკავკასიონის გეოსინკლინებს შორის, მესამე — ანტიკავკასიონის სამხრეთით. ხმელეთის ამ ადრინდელმა ზოლებმა მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა მთების ჩამოყალიბებაში. დასავლეთ საქართველოს დეპრესიის ცენტრალური ნაწილი ემთხვევა მეორე ზოლს, რომელიც ეკუთვნის საქართველოს ბელტს. ბელტის დასავლეთი გაგრძელება ღრმად იჭრება შავი ზღვის ფარგლებში, ყირიმისა და ანატოლიის ალპურ ნაოჭებს შორის. შესაძლებელია, იგი უფრო დასავლეთითაც გრძელდება ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, სტრანჯისა და როდოპის მასივებისა და ზოგიერთი დეპრესიის სუბსტრატების სახით.

გეოტექტონიკური რეჟიმი მუდამ იცვლებოდა გეოლოგიურ წარსულში, მაგრამ ეს ცვლილებები ყოველთვის ერთვარი სიძლიერით არ გამოდინარეობდა. კავკასიისათვის ერთ-ერთი ძლიერი გარდაქმნა ეკუთვნის მესამეულს. საინტერესოა, როგორ წარიმართა დასავლეთ საქართველოს დეპრესიის სუბსტრატის განვითარება პალეოგენის შემდეგ, ანუ კავკასიონის ძლიერი დანაოჭების შედეგად. ამ საკითხის გარკვევას, სხვა ბიზეზებთან ერთად, აბრკოლებს ის გარემოება, რომ ბელტის უდიდესი ნაწილი დაძირულია მძლავრი

ნალექების ქვეშ. უკანასკნელ ხანებში რიონის ვაკეზე ღრმა ბურღვის შედეგად ბევრი რამ ცნობილი გახდა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ბელტზე არსებული ნალექების სტრატიგრაფიული ჭრილის ყოველმხრივი შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ დეპრესიის სუბსტრატი სისტემატურ დაძირვას განიცდიდა. დეპრესიის გაჩენის მეორე მთავარი მიზეზი იყო კავკასიონისა და ანტიკავკასიონის მთების წარმოშობა.

იგივე არ შეიძლება ითქვას ძირულის მასივის — საქართველოს ბელტის ყველაზე მაღალი ნაწილის შესახებ. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც ძირულის მასივი შეიძლებოდა ყოფილიყო სტაბილურ ჰიფსომეტრიულ პირობებში, რადგან იგი განიცდიდა ცვლილებებს, როგორც ენდოგენური, ისევე ეგზოგენური მოვლენებით. ალპური მთების ინვერსიის შედეგად ძირულის მასივიც ამიერკავკასიის მთათაშორის დეპრესიის ნაწილი გახდა. გეოლოგიურ წარსულში ეს მასივიც განიცდიდა ეპიროგენეტურ მოძრაობას, რომელიც უმთავრესად დადებითი იყო. მისი მეზოზოურის შემდგომი ისტორია ამ მოძრაობის ცვალებადობას ადასტურებს. იგი ამჟამად უმთავრესად დაფარულია მიოცენური ქანებით. უფრო ძველი ქანები არის მის პერიფერიულ ნაწილებში. ეს ნიშნავს იმას, რომ ცარცულში და პალეოგენში იგი ან კუნძულს წარმოადგენდა, ან უფრო ძველი ქანები მიოცენური ზღვის ტრანსგრესიამდე გადაირეცხა. ფაქტები პირველის სასარგებლოდ ლაპარაკობს. მიოცენში ძირულის მასივი ზღვით იმიტომ დაიფარა, რომ პალეოგენის ბოლოდან ალპური დანაოჭება მოხდა, რამაც წინანდელი გეოსინკლინებიდან ზღვის რეგრესია გამოიწვია. მიოცენის შემდეგ აზევებას განიცდის მასივი, იგივე მოძრაობა ეხება, აგრეთვე, ახალგაზრდა მთებს. ძირულის მასივის დადებითი ვერტიკალური მოძრაობა გრძელდება პლიოცენში და მეოთხეულში. აზევების სიდიდე საშუალოდ შეიძლება ვივარაუდოთ 400—500 მ.

ხმელეთის აღმავალი მოძრაობის დამადასტურებელ საბუთებს შორის აღსანიშნავია მდინარეთა ხეობების მორფოლოგიური პირობები და რელიეფის საფეხურისებურება მთის ფერდობებზე. საუღხურების წარმოშობაში, გაჩნდა წყვეტილი აღმავალი მოძრაობისა, სათანადო წვლილი შეიტანა, აგრეთვე, გეოლოგიურ-ლითოლოგიური პირობების ცვალებადობამ ფერდობებზე. ზოგჯერ სხვადასხვა სიმაღლის დონეების წარსულობა გამოიწვია ზღვის პერიოდულმა აბრაზიამ ზღვის აუზის დონის დაბალებისა და მთების თანდათანობითი აზევების პროცესში. როგორი მიზეზებითაც არ უნდა

ავხსნათ საფეხურების წარმოშობა, ხმელეთის ვერტიკალურ მოძრაობას გვერდს ვერ ავუვლით. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ძველი მაღალი საფეხურები ხანგრძლივი და ძლიერი დენუდაციურ-ეროზიული პროცესების ზეგავლენით დანაწევრდა და მათი უმეტესი ნაწილი გადაირეცხა. ამრიგად, მთის ფერდობებზე არსებული საფეხურების ჩამოყალიბებაში ერთობლივი მონაწილეობა მიიღეს ენდოგენურმა და ეგზოგენურმა პროცესებმა.

დასავლეთ საქართველოს დეპრესიის ფარგლებში, განსაკუთრებით კავკასიონის ფერდობზე, საკმაოდ თვალსაჩინოა რელიეფის საფეხურისებურება. სავარაუდოდ შეიძლება დავასახელოთ შემდეგი სიმაღლის საფეხურები: 250—350 მ, 600—800 მ, 1200—1600 მ, 2000—2400 მ და ა. შ. შემდგომი გამოკვლევებით ახალი ფაქტობრივი მასალები დაგროვდება რელიეფის საფეხურებრიობის განვითარების პირობების დასაზუსტებლად, რაც ხელს შეუწყობს ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობის ამპლიტუდის ცვალებადობის დადგენას მთიანი მხარის პერიფერიებიდან მაღალი ნაწილისაკენ.

როდესაც ხმელეთის ეპიროგენეტური მოძრაობის მნიშვნელობას ვეხებით, შეუძლებელია ყურადღება არ მიიქციოს მდინარეთა ქსელმა, რომლითაც ძლიერ მდიდარია დასავლეთ საქართველოს დეპრესია. აჭაური მდინარეების ჩამოყალიბების ისტორია მომდინარეობს ზედა მესამეულიდან, ე. ი. იმ დროიდან, როდესაც აღმავალი მოძრაობით გამოწვეულმა ხმელეთის გაგანიერებამ გააფართოვა ზედაპირული წყლების მოქმედების ასპარეზი. დასავლეთ საქართველოს მდინარეები და მათი ნაწილები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ასაკობრივად, რაც ზღვისა და ხმელეთის ურთიერთობის ტერიტორიული ცვალებადობით არის გამოწვეული.

უძველეს მდინარეთა ქსელის ნაშთები დარჩენილია უმთავრესად მთებში, ცალკეული ტაფობების ან გადასასვლელების სახით. მდინარეების განვითარება ძირითადად მიმდინარეობდა მთების ამაღლებისა და ზღვის აუზების დაძირვის პროცესში. დასავლეთ საქართველოს მდინარეთა ქვემო წელი, მთებში მდებარე ნაწილებთან შედარებით, უფრო ახალგაზრდაა, რადგან რიონის ვაკის მნიშვნელოვანი ნაწილი მეოთხეულშიც ზღვით იყო დაფარული (დევდარიანი, 1955). მთების ახალი აზევება ნიშნავდა სიღრმითი ეროზიის კიდევ მეტად გაძლიერებას; ქვემო წელი კი ამ დროს, ზღვის უკუდახევის პროცესში, ნელ, პროგრესულ გადაადგილებას განიცდიდა.

დასავლეთ საქართველოს მდინარეთა ქსელის განვითარებაზე

დიდი გავლენა მოახდინა მეოთხეულმა გაყინვარებამ. კლიმატური პირობების შეცვლით წყლის სიუხვემ მდინარის მოქმედების არე გაზარდა, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა რელიეფში.

გაყინვარების ეპოქაში ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობა გაცილებით ძლიერი იყო, ამიტომ ახალი რელიეფის განვითარება სწრაფად და დიდი მასშტაბით მიმდინარეობდა. თანამედროვე მდინარეული ხეობების ჩამოყალიბება ძირითადად მეოთხეულში მოხდა. ხმელეთის ცვალებადმა ვერტიკალურმა მოძრაობამ მთავარი მდინარეული ტერასები და ეროზიული დონეები წარმოშვა. ამ შემთხვევაში ძალაუნებურად ხედველობაში ვღებულობთ ცალკეული მკვლევარების აზრს ხმელეთის ვერტიკალურ მოძრაობასა და გაყინვარებას შორის მჭიდრო კავშირის შესახებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეპიროგენეტური მოძრაობა აღარ მიმდინარეობს გაყინვარების შემდეგ.

დასავლეთ საქართველოს მთავარი მდინარეების: რიონის, ცხენის-წყლის, ყვირილის, სუფსის, ნატანების, ენგურის, კოდორის და სხვების ჩამოყალიბება რთულ გეოლოგიურ და გეომორფოლოგიურ პირობებში მიმდინარეობდა. სანამ მათი ქვემო წელი გაჩნდებოდა, მთიან მხარეებში მდებარე ნაწილი ინტენსიურ ცვლილებებს განიცდიდა. მაგ. ეროზიის სიძლიერე იცვლებოდა ლითოლოგიური პირობების სხვადასხვაობის, ხმელეთის ეპიროგენეტური მოძრაობის, ეროზიის ბაზისებისა და კლიმატური პირობების ცვალებადობით. მთიანი მხარის თითქმის ყველა მდინარეს ახასიათებს ხეობის ინტენსიური მორფოლოგიური ცვალებადობა. ამასთანავე ამა თუ იმ ხეობის მორფოლოგიურად ჩამოყალიბების პირობებში წონასწორობის მრუდის გამომუშავებას ხელს უშლის ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობა, რომელიც ცვლის ეროზიის ადგილობრივ ან საერთო ბაზისს და აიძულებს წყლის ნაკადს მუდამ ხელახლა გარდაქმნას წონასწორობის მრუდი.

ოროგრაფიული და გეოლოგიური პირობების გამო ერთი და იგივე მდინარის ხეობა ხან გასწვრივია, ხან კი განივი, ზოგან განიერია, ზოგან კი — კანიონისებური. კავკასიონის მდინარეები, განურჩევლად სიდიდისა, კვეთენ მაღალ ქედებს და ქმნიან ვიწროებებს.

ერთი და იგივე მდინარე ზოგჯერ რამდენიმე ქედს გადაკვეთს. გამკვეთია, მაგალითად, რიონისა და ცხენის-წყლის ხეობები, რომლებიც რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის შემდეგ ჭრიან მაღალ კირქვიან ქედებს. იგივე შეიძლება ითქვას მდ. ტეხურის შესახებ. იგი მაღალი ხეობიდან გადადის კოლხეთის გორაკ-ბორცვიან ზონაში და მის-

სამხრეთ პერიფერიულ ნაწილში კვეთს კირქვებისაგან შედგარ ნაქალაქევის ანტიკლინს. ასეთია აფხაზეთის მდინარეებიც.

თითქმის ყველა გამკვეთი მდინარისათვის დამახასიათებელია კირქვებისაგან შედგარ ანტიკლინურ ან მონოკლინურ ქედებში შეჭრა სინკლინური მულდებიდან.

ეს გარემოება კითხვას აყენებს ჩვენს წინაშე, თუ როგორ შეძლო მდინარემ ასეთი მაღალი ქედების განივად გადაჭრა. იმისათვის, რომ ეს ნათელი გახდეს, უნდა გავითვალისწინოთ კავკასიონის სამხრეთი ფერდობის გეოლოგიური აგებულება და ხმელეთის ეპიროგენეტური მოძრაობა. ქედები შედგება მკვრივი, ეროზიისადმი მეტად გამძლე კირქვებისაგან, მულდები კი — ფხვიერი, ადვილად შლადი ქანებისაგან. ამიტომ აღმავალი მოძრაობის პროცესში კირქვიანმა ზონამ მეტი სიმაღლე შეინარჩუნა, მიუხედავად იმისა, რომ ხეობების განვითარების ადრინდელ პერიოდში კავკასიონის მთელი ფერდობი თანაბარშემცირებული დახრილობით უნდა ყოფილიყო მიმართული კოლხეთის ვაკისაკენ. ამრიგად, დასავლეთ საქართველოს ზემოაღნიშნულ მდინარეთა (და საერთოდ ყველა მსგავსი მდინარის) განხილული ვიწროებები ანტეცედენტური და ეპიგენეტური წარმოშობისაა.

ხმელეთის ვერტიკალურ მოძრაობასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს შორის აღსანიშნავია კარსტი, რომელიც ფართო გავრცელებით სარგებლობს დასავლეთ საქართველოს დეპრესიაში. კარსტი გვხვდება სხვადასხვა ჰიფსომეტრიულ პირობებში — მაღალ თხემებზე, ფერდობებზე, პლატოებზე, ცალკეულ მაღლობებზე და ბორცვებზე, ყველგან, სადაც გავრცელებულია კირქვები ან სხვა კარბონატული ქანები.

დასავლეთ საქართველოს კარსტის განვითარების ისტორია მომდინარეობს ზედა მესამეულიდან, როდესაც ზღვისაგან გათავისუფლებულმა ხმელეთმა დაიწყო კონტინენტურ პირობებში განვითარება. მდინარეთა ქსელის შექმნამ და ზედაპირის ღრმად დანაწევრებამ გამოიწვია მიწისქვეშა წყლების დონის დაწევა. ყოველივე ეს ხდებოდა ხმელეთის აღმავალი მოძრაობის პირობებში.

ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობის კანონზომიერების პრინციპზე დაყრდნობით უნდა ვიფიქროთ, რომ ძველესი კარსტული ფორმები მდებარეობს კირქვიანი მთების მაღალ ნაწილებში. მაგრამ სინამდვილეში ძველ კარსტს ყოველთვის არ ახასიათებს მაღალი ჰიფსომეტრიული მდებარეობა, რადგან თხემების ინტენსიური დენუდაციის პროცესში შესაძლებელია ადრინდელი კარსტული

ფორმები გადაირეცხოს, ან ადგილი ექნეს დიფერენციულ ვერტიკალურ მოძრაობას. დათარიღებისათვის უტყუარ საბუთად შეიძლება მივიჩნიოთ განამარხებული კარსტული ფორმების შესწავლა. მიუხედავად აღნიშნული დაბრკოლებებისა, კარსტის ასაკობრივი კლასიფიკაციისათვის უმთავრესად მაინც მის ჰიფსომეტრიულ დაჯგუფებას უნდა დაეყრდნოთ, რისთვისაც შესაძლებელია ვისარგებლოთ ზემოაღნიშნული ეროზიული დონეებით, რომელთაც შეიძლება კარსტული დონეებიც ვუწოდოთ.

ხმელეთის აღმავალ მოძრაობაზეა დამოკიდებული მიწისქვეშა კარსტის, კერძოდ, გამოქვაბულების განვითარებაც. თითქმის ყველა გამოქვაბული დაკავშირებულია მდინარეულ ხეობებთან, რომლებიც კირქვებში უმთავრესად კანიონისებურია. გამოქვაბულებით მდიდარია მაგ. ბდ. ყვირილისა და მისი შენაკადების ღრმა ხეობები ძირულის მასივის ჩრდილო პერიფერიულ ნაწილში. მათი წარმოშობა შეუძლებელი იყო ხეობების გაღრმავების გარეშე, ხოლო ამ უკანასკნელის ძირითადი მიზეზი ხმელეთის დადებითი მოძრაობაა, რომელიც ძირულის მასივს ეხებოდა. ხეობებზე უფრო ძველი კარსტი (ძაბრები) ახასიათებს აღნიშნულ კანიონებს შორის მდებარე მოვაკებულ წყალგამყოფებს; მათი წარმოშობაც ხმელეთის აწევის შედეგია, აქაური ძაბრების მცირე სიღრმე და განიერი ფსკერი ძირულის მასივის ზედაპირის ახლო მდებარეობით უნდა აიხსნას. ძირულის პლატოს დაკარსტული ნაწილი, რომლის სიმაღლე 700—800 მ. აღწევს, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ კარსტულ დონეს წარმოადგენს.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს დეპრესიაში კარსტი გეხვდება კირქვის მაღალ მასივებზე (სამეგრელოს ქედი, ასხია მასივი, ხვამლი და სხვ.), ძირულის პლატოზე, კოლხეთის გორაკ-ბორცვიან ზონაში და ა. შ. თითოეულ მათგანს გეომორფოლოგიური განვითაების განსხვავებული ისტორია აქვს, ამავე დროს ყველამ განიცადა ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობის მეტ-ნაკლები გავლენა.

ზემოაღნიშნული მაგალითებით ნათლად დასტურდება ხმელეთის ვერტიკალური მოძრაობის უდიდესი მნიშვნელობა დასავლეთ საქართველოს დეპრესიის წარმოშობასა და თანამედროვე რელიეფის ჩამოყალიბებაში. ეპიროგენეტური მოძრაობის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება, მისი გავლენა ხმელეთის მორფოლოგიურ განვითარებაზე გაცილებით უფრო მრავალფეროვანი და რთულია. ამიტომ საჭიროა ამ მოძრაობის ბუნების საფუძვლიანი შესწავლა და იმის გაგება, თუ სად როგორ წარიმართება მისი განვითარება.

ამის პრაქტიკული განხორციელება შესაძლებელია, თუ სათანადო დაწესებულებები მომავალში იზრუნებენ სტაციონალური დაკვირვებების მოწყობისა და სპეციალური ნიველობის ჩატარებისათვის, საერთოდ, კავკასიისა და, კერძოდ, დასავლეთ საქართველოს ტექტონიკურად განსხვავებულ რაიონებში.

(შემოვიდა რედაქციაში 1. X. 1955)

Г. С. ДЕВДАРИАНИ

ЭПЕЙРОГЕНИЧЕСКИЕ ДВИЖЕНИЯ И ИХ ЗНАЧЕНИЕ В ОБРАЗОВАНИИ РЕЛЬЕФА ЗАПАДНО-ГРУЗИНСКОЙ ДЕПРЕССИИ

Резюме

Изменения, происходящие на морских побережьях, были замечены человеком еще много веков назад, но специальные научные наблюдения над этим явлением начались гораздо позже. Этому вопросу особенно большое внимание уделяли на скандинавском полуострове. Вертикальные колебания суши были замечены и на побережьях Голландии и Италии.

Было установлено, что в различных частях берегов морей происходят движения разного знака. Эти движения были названы эпейрогеническими.

Э. Зюсс выделял периодические и эпизодические колебания. Одновременные для мирового океана повышения или понижения уровня он назвал эвстатическим и связывал с изменением емкости океанов. Некоторые исследователи (А. Пенк, Личков, Саурамо, Де-Геер и др.) связывали эпейрогенические движения с четвертичным оледенением. Известно, что в горах и вообще в активных тектонических областях происходят положительное, а в депрессиях и в морских бассейнах, — отрицательное движения. Дно западно-грузинской депрессии испытывает погружение, а ее склоны — поднятие. Величина опускания возрастает в сторону моря, что подтверждается увеличением мощности четвертичных морских отложений, погруженных в западной части Рионской равнины под современными, преимущественно аллювиальными, наносами. Величина движения обоих знаков равна нескольким миллиметрам в год.

